

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ვ ა ს ი ლ
ბ ა რ ნ ო ვ ი

თხზულებათა
სრული კრებული

ათ ტომად

თხზულებანი

ტომი 3

1912 - 1914

თბილისი
1961
„საბჭოთა მწერალი“

სარედაქციო კოლეგია

გიორგი ლეონიძე (რედაქტორი)

სოლომონ ყუბანიშვილი

მიხეილ ჩიქოვანი

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ვარიანტები, შენიშვნები და
სიტყვების განმარტება დაურთო რ. კუსრაშვილმა

მოთხრობები

რომანები

ფარჩის ახალუხი

I

დიდი სახლები დიდის ქალაქისა ზვიადად გადაჰყურებდნენ მთელ არეს. ღრუბლებს ეთამაშებოდნენ მაღალნი, ბაბილონის გოდოლივით ცისთვის უნდოდით მიეზღინათ თავი. აღარ კადრულობდნენ გალადებულნი ძირს დახედვას, დედამიწა ქალამნადლა მიაჩნდათ და თუ ოდესმე დაჰზრიდნენ თვალს, მხოლოდ მისთვის, რომ მოეთვალაიერებინათ, კიდევ ხომ არ იდგა მათ ახლო ბეჩავი რამ შენობა, წელში გადახრილ-გალუნული, რომ დაეპყროთ იგი, უფრო გაეფართოვებინათ თავიანთი ვრცელი მიდამო, ხოლო თვით შენობა მოეხმარებინათ ქვა-ღორღად ახალი ნაბიჯის წარდგმის დროს და ჩაენთქათ იგი უკვალოდ. შესწოვდა რომელიმე შენობა-ბუმბერაზი ამგვარ ბუნაგის სისხლს, ჩანთქამდა მის რბილს თუ ძვალს და უფრო გადიფურჩქნებოდა, ფერს დაიწმენდდა, დაშვენებოდა, გაიზრდებოდა, გალადებოდა კმაყოფილი. ეს იყო მიზეზი, რომ პატარა შენობები ძრწოდნენ მათი შიშით, ილეოდნენ, უჩინარდებოდნენ.

გარნა წამიერი იყო ამ ბუმბერაზ შენობათა კმაყოფილება; მცირე მოძმეების ჩანთქმა და მათ ნაოხარზე ფესვების გადგმა მხოლოდ წუთიერად აკმაყოფილებდა მათ შეუზღუდავ ლტოლვილებად განდიდებისადმი: კვლავ აღეგზნებოდათ დაუშრეტელი ალი ზვიადობისა და მოსისხლე თვალეbs მიმოავლებდნენ გარემო დაუნდობელ-გაუმადლარნი.

შურით და შიშით შეჰყურებდნენ ბოდმამორეულნი სხვა მათსავით უსაზღვროდ განდიდებულ შენობებს, რომლებიც მეტოქედ ამოსდგომოდნენ მათ გვერდში, წინააღმდეგობას უწყევდნენ და ისწრაფიდნენ თავს წასდგომოდნენ, დაეჩრდილ-დაეჩაგრათ იგინი. დაუცხრომელი შური და სევდა ჰღრღნიდა მათ ქვის გულ-ღვიძლს. ამისთვის გამოიყურებოდნენ მათი ცივი თვალეbs ისე უკაცურად და სასტიკად.

ხოლო ყველა ამ ხელთქმნილ გოლიათებს საერთოდ აწამებდათ ის, რომ თავიანთ სიდიადეში მაინც მლოღავ რამ ჰქებად მოსჩანდნენ იმ უშველებელ კლდის წინაშე, რომელიც თავს წამოსდგომოდა მათ მედიდურად და სევდიანის ღიმილით დაჰყურებდა ზევიდან. იგინი თავიანთ ხელთქმნილ სილამაზით მაინც გახუნებულნი მოსჩანდნენ იმ ბუმბერაზ ხელთქმნილ მშვენიერებასთან, როდესაც ცხოველსმყოფელი მზე ბრწყინვალე სხივებს მიჰფენდა მის სალ გულ-მკერდს და მიესალმებოდა ამოსლისთანავე; როდესაც მთვარე თავის საოცნებო შუქთაგან შექმნილ გვირგვინს დაადგამდა მის ამაყ შუბლს; ან როდესაც ღრუბელთა რიდეს შემოიხვევდა სევდიანი და დანაოჭებულ მის სახეს ცრემლის ცვარი ეპკურებოდა დაღონებულ თვალთაგან.

ხელთქმნილი გოლიათნი განუქარვებელის ჯავრით შეჰყურებდნენ დიდებულ კლდეს, რადგან იცოდნენ, რა მოკლე ხნისა იყო მათი არსებობა მის შედარებით: დადგება ჟამი და მტვრად იქცევიან მის ფეხთ ქვეშ, როგორც მტვრადვე ქცეულან მათნი წინაპარნი; ხოლო იგი კლდე ურყევი იდგება საუკუნოდ და მწარის ღიმილით გაიხსენებს შემდეგში მათ წამიერ არსებობას, მათ არარაობას. ეს უწყლავთ გულს ამ ხელთქმნილ გოლიათებს და ამისთვის გამოიყურებიან იგინი უკაცურად, სასტიკად.

ამ ზვიად შენობათა ამგებელნიც ისეთივე გულქვავები იყვნენ და ცივნი, როგორც მარმარილოსაგან შეთხზილი მათი კოშკები; იმათი თვალიც ისეთივე მშრალი იყო და ულმობელ-მიუკარებელი, როგორც მათი მოვარაყებული სასახლეები; ისინიც ისეთივე უკაცურნი იყვნენ და დაუნდობელნი, სხვის ოფლით თუ სისხლით გასუქებულ გამთქვინებულნი. დახშობილი ჰქონდათ მათ სასმენელი კეთილისა და ძალმიხდილ იყვნენ ქმნად სიკეთისა. მიისწრაფოდნენ იგინი ცხოვრების შარაზე და ჰქელამდნენ გზადაგზა სუსტთა და უძლურთ. ბეჩავთა გმინვა საამო ღიღინად მოესმოდათ მათ და სიხარულს აღვივებდა მათ გულში: ჩაგრულთა კვნესა ნიშანი იყო ზვიადთა აღორძინებისა, რადგან მათი კეთილდღეობა დამყარებული იყო ბეჩავთა უბედურობაზე, მათი ბედნიერების ყვავილი ირწყვებოდა ტვირთმძიმეთა ცრემლით და იფურჩქნებოდა.

განდიდებულნი ერთმანეთისათვისაც მძლავრნი იყვნენ და ბოროტნი, დაუცხრომელი ქიშპი და შური ღრღნიდა იმათ გაქვავებულ გულ-ღვიძლს. მხოლოდ ეს სასტიკი ბრძოლა მათ შორის ფარულად სწარმოებდა, ზრდილობის არდაგით შებურვილი უღიმოდნენ იგინი ერთმანეთს, მაგრამ იცოდნენ, რომ ეს ღიმილი ღრენა იყო მოსისხლეთა; თეთრ კბილს უჩვენებდნენ ერთმანეთს, მაგრამ იცოდნენ, რომ თეთრ კბილთა ჩენა ეშვთა ლესვა იყო, მოძმის გასაგმირად მიმართული. მგელნი იყვნენ იგინი, კაცის სახით მოვლინებულნი და არცა ჰფარავდნენ ამას დაჩაგრულთა წინ, ხოლო ერთმანეთშორის მეგობრულ ქურქში გამოხვეულიყვნენ, სათნოების საღებავით მოყალმულიყვნენ.

პირაშკმულნი მიისწრაფებოდნენ გამარჯვებულნი და სთქამდნენ დავრდომილთ თუ ჩამორჩენილთ, მაგრამ დაწინაურებულთაც განუქარვებელი ჯავრი შავ-ბნელად დასტრიალებდათ თავს, რადგან სიმდიდრისა და დიდების ლანდი თანდათან მალლა იწევდა, ფართოვდებოდა, მიუწვდომელი ხდებოდა და მიუკარებელი. მათ ხარბ ხელში შეგროვილი განძი მაინც მცირე რამ მოსჩანდა ქვეყნის სიმდიდრესთან, შეუმჩნეველი, ქვეყნის სიმდიდრის მოხვეჭა მიზნად დაჰსახოდათ მათ, ხოლო იგი მიზანი მიუწვდომელი შექმნილიყო მათთვის. ისწრაფიდნენ იმ მიზნისკენ და თან ცხადად ჰხედავდნენ, რომ ვერ ეწეოდნენ მას, ვერც მიუახლოვდნენ. სულსა ჰხუთავდა ეს მათ, სისხლს უშრობდა, გულს უქვავებდა. გარედგან რომ ბედნიერნი მოსჩანდნენ და კმაყოფილნი, შიგნიდან ბოროტების მღილი ჰფქვადა მათ გაქვავებულ გულ-ღვიძლს. სიბოროტის მღილი ქვასაც ისე ღრღნის, როგორც რამ სოკოს ღბილს.

არ აკმაყოფილებდა გულცივაძქეს განძი ურიცხვი, არ ახარებდა მას წყნარის დამატკობელის სიამით; არც ის უხსნიდა და უშუქებდა გულს, რომ მისი თვისნი და მახლობელნი ნეტარობდნენ მისი მონაგრით. ჰსურდა სოფელი ყოველი შეეძინა თუნდ თავის სულის ფასად, მოეხვეჭა ყოველი მოსახვეჭი, თუნდ ამისთვის წარეწყმიდა თავი თვისი; მზად იყო იგი შეეძინა სიმდიდრე ნაცვლად სულისა თვისისა; ჩაენთქა მოხვეჭის სურვილის ღვთაებრივი სახე მისი პიროვნებისა, წარეხოცა მასში ხატება ხვთისა, ხოლო მის ნაცვლად მიენიჭებინა მისთვის მხოლოდ ქრთილი რამ ქვეყნიურის სიმდიდრისა. ეს აღონებდა მას და ამწარებდა. გარედან რომ ბედნიერი მოჩანდა და კმაყოფილი, შიგნიდან ჯოჯოხეთური ალი უტრიალებდა დაუკმაყოფილებელ სურვილისა. და მიემსგავსებოდა იგი საფლავსა განგოზილსა,

რომელი მშვენიერ მოჩანს გარედან, ხოლო შინაგან სავსე არს ყოვლითა არაწმინდებითა.

გულცივაძის მედიდური სასახლე ვერა მშვენობდა თავის ახლო შროშანანთ დაბეჩავებულ ქოხს, უკადრისად მიაჩნდა მის გვერდით დგომა, მტაცებელის თვალით დაჰყურებდა მას ზევიდან და უკვე გაწვდილი ჰქონდა თვისი მძლავრი ბრჭყალი მის ჩასათრევ-ჩასანთქმელად. ვერ გაეგო ზვიადს, რომ იმ ქოხსაც ისევე უნდოდა არსებობა, როგორც თითონ მას, რომ იმასაც უყვარდა თავისი თავი და ჰსურდა მზისთვის ეყურებინა. სასახლე დარწმუნებული იყო, რომ თვის გარშემო ყოველივე უნდა ჩაეჩრდილა და მოეშთო სწორედ ისე, როგორც ამოიჭამს ძლიერი მუხა სხვა ყველა ხეს თავის ახლო და მედიდურად გადიშლება გალალეული.

გულცივაძეს დიდი ხანია მოფიქრებული ჰქონდა შროშანანთ სახლის მოპოება, გეგმაცა ჰქონდა თავის სასახლის განზე გასაწევად შედგენილი და ამ გეგმაში უკვე შეტანილი იყო იმ ქოხის ადგილი. იმას უკვე გაწვდილიცა ჰქონდა ქოხისკენ თავისი მხვეჭავი ხელი დაუნდობელი, ვერ შეეგნო მას და არც ენაღვლებოდა, რომ მეზობელ ქვრივს სალომეს ისევე ძვირად უღირდა თავისი მიძველებული ბუნაგი, როგორც მას თავისი ბრწყინვალე სასახლე, რომ მისი სულისდგამც ისევე იყო შედუღებული და შესისხლხორცებული იმ პაწაწა სადგომთან, როგორც თვით გულცივაძე იყო შესისხლხორცებული თავის ძვირფას შენობასთან.

განა მარტო ბინა იყო დედა-შვილისთვის ის სახლი, ყუდე რამ თავშესაფარი; ის ქოხი განგრძობა იყო მათის არსებობისა, მათის პიროვნების ნაწილი, სისხლ-ხორცი მათი: ყველა კუთხე სახლში თუ ეზოში, ყოველივე საგანი მეტყველი იყო მათთვის და მომთხრობელი; მათის დაუვიწყარის წარსულიდან და ბეჩავის აწმყოდან ათასის რამ საამოს თუ გულსატკენის მთქმელი ან მანიშნებელი. ამ სადგომთან იყვნენ სხვისთვის შეუმჩნეველი, ხოლო სალომესთვის ხილული სიმებით დაკავშირებულნი მისი სასურველი ქმარი, მისი საყვარელი შვილები, თუმც აწ მიცვალებულნი, მაგრამ მისთვის ისევ ცოცხალნი და მარად მასთან მყოფნი. ყველა ქვა თუ დირე მოაგონებდათ მათ რომელსამე ნათქვამს თუ ნამოქმედარს, რომელსამე სახეს თუ მოძრაობას. აი ეს ობლად მდგომი ბროწეული, რომელსაც დარიკოს მამა ისე შეჰხაროდა, როგორც პირმშო შვილს: წყალს არ აკლებდა, ტოტებს თუ ღეროს უწმედდა, ჭია-ღუას აშორებდა, ხმელს ყლორტს არ შეარჩენდა, უაღერსებდა; დარიკოს ახსოვს, მამა რომ აჰსვამდა ხეზე წითლად მოლაპლაპე ნაყოფის მოსაწყვეტად. გემოც სხვანაირი აქვს ამ ბროწეულს, არა ჰგავს ნაყიდის გემოს, სრულებითაც არა ჰგავს! აი ის მარად დაკრიალებული ეზო, სადაც სალომეს სანდალა თამაშობდა კოჭს თუ კაკალს; ყუდრო, სადაც ცოლქმარს უყვარდათ ერთად სხდომა და ჭუკჭუკი. ის კუთხე ხატის ქვეშ, რომელიც სხვას მხოლოდ ჩაბნელებული კუნჭული ჰგონია, სალომესთვის წმიდაწმიდათა იყო: იქ დალია სული მისმა დაუვიწყარმა ქმარმა. მამაკვდავს უკანასკნელ ამოსუნთქვამდის არ გაუშვია ხელიდან მისი ხელი. სკამიც იქ იდგა, იმავე ადგილას. იციან განსვენებულთ ეს თავიანთი ბინა, მოფრინდებიან ხოლმე იქიდან, იმ ქვეყნიდან, როგორც რამ ლანდები და დაჰხედავენ თავიანთ დაუვიწყარ დაშთენილებს. როგორ არა! რამდენჯერ უგრძვნია სალომეს

თავის ქმრის სიახლოე, გაუგონია მისი ხმა, უგრძვნია მისი სიოსავით ნაზი შეხება, ოდნავი შეხება იმქვეყნიური!

არა, ვერ შესძლებს სალომე ამ სახლის გაყიდვას, ვერ შეელევა მამა-პაპეულ ბინას, ვერსად გასძლებს სხვაგან. ეს ხომ დალატი იქნება ქმარ-შვილისა. მოვლენ საწყლები და ველარ იპოვიან ვერც თავიანთ სახლ-კარს, ვერც სალომეს, ვერც დარიკოს და სევდა მოიცვავს დაღონებულთ, აუკვნესდებათ გაციებული გული, ცრემლი მოერევათ დამდგარ თვალებზე, სალომესთვის ძვირფას თვალებზე.

– არა, ვერ შევძლებ მე სხვაგან ყოფას! ამ სახლში უნდა ამოვიდეს სული; აქედან უნდა გაიტანონ ჩემი კუბო, – ამბობდა გულჩათხრობილი სალომე და უნდოდა გულში ჩაეკრა თავისი საწყალი ქოხმახობა; თან უიმედო სევდით ევსებოდა გული, რადგან გრძნობდა, რა სუსტი ხელითლა ეჭირა მას თავისი სახლ-კარი და ულონოდ იტანჯებოდა დედაკაცი. უწყალოდ გული სტკიოდა, გული!

პირადი მოგონებები რომ აკავშირებდნენ სალომეს ამ პატარა სახლთან, მისთვის ძვირფასი და უწმინდესი, ხოლო სხვისთვის გაუგებარ-შეუმჩნეველი, მთლად შეუგნებელი მოგონებები, ამავე ქოხზე იყო დამყარებული მისი აწმყო ნუგეში. რა ვუყოთ, რომ საწყალი იყო?! თავის ჭერქვეშ ხომ ცხოვრობდა, სახლიდან დათხოვნისა ხომ არ ეშინოდა და არც კარისკარ დაწანწალებდა ბარგაკიდებული. იმავე ქოხზე იყო დამყარებული სალომეს მომავალი იმედები; იგი სახლი გაათხოვებდა დარიკოს: ან მზითვად გააყოლებდა მას, ან ზესიძედ შემოიყვანდა ვისმე.

ჯერ კი მაინც არაფერი ჰქონდა სალომეს ძალიან დასაღონებელი, სრულებითაც არაფერი! მართალია, მოულოდნელად ვალი დაატყდა თავს: გაჭირვება დაადგა, ფული დასჭირდა ხუმკად და გულცივადის მოახლემ ხელადვე მოურბენინა ოცი თუმანი; არც გირაო სთხოვა, არც თავდები, მხოლოდ თამასუქი ჩამოართვა. განა არა, სალომეს გაურბინა ჰაზრმა, ფული სწორედ გულცივადისა იქნებო, მაგრამ აღარც დრო იყო უარისა. ვერც ამაზე პირიანად იშოვიდა სესხს და დასთანხმდა. ეს იყო სალომეს დარდი, მაგრამ კიდევ იმედი ჰქონდა ღვთისა თუ კაცისა და გულს არ იტეხდა.

– მაინც არა უშავს რა, ღმერთია მოწყალე. ჩემი დარიკო მუყაითი ქალი დადგა, ყაირათიანი; ხელსაქმე კარგი იცის და მუმტარი მოსდევს. ახ, ნეტავი ის ვალი კი არ მემართოს და! თვეში სამი მანეთი მარტო სარგებელი მიდის. მემრე რა ხანია, არ წაუღია. იზრდება ვალი და არ ვიცი, ღმერთი რას ინებებს. ეგებ წვრილ-წვრილად მოვიშორო; კარგი დედაკაცი სჩანს ის ჩემი მევალე და ეგებ დამთანხმდეს, – ფიქრობდა დაღონებული სალომე.

– უჰ, უბედურ კაცს ქვა აღმართში მოეწევა! ის ბიჭი მაინც არ გადაეკარგნათ. სწორედ ითხოვდა ჩემს დარიკოს, ვატყობდი, რომ ითხოვდა: ძალიან მოსწონდა, – განაგრძობდა ფიქრს სალომე.

სალომე რომ ამ ფიქრებში იყო გართული და დაღონებული გაჰყურებდა დერეფნიდან ქუჩის კარებს, მისი ქალი შინ იჯდა ტახტზე და გაჩქარებით ჰკერავდა თეთრეულს: ეშურებოდა, მანამ სინათლე იყო, წარემართნა საქმე, რომ დროზე ჩაებარებინა, დამკვეთელებისათვის. ერთგულადა ჰკერავდა დარიკო, ნემსის წვერს თვალს არ აცილებდა: იცოდა თავის ხასიათი, რომ უთუოდ გამოარღვევდა და მეორედ გაუვლიდა ნემსს, თუ ხინჯს შეამჩნევდა საკერავს. მარჯვედ და მწყობრად მოძრაობდნენ მისი მქრთალი თითები, როგორც რამ მანქანის ჩხირები. დაბლა

დაეხარნა ქალს თავი და ნელის ხმით დაჰლიღინებდა ხელსაქმეს: გულს ართობდა, თავს ამხნევებდა. ღიღინის ხმა ნაირ-ნაირ სახეებს იწვევდა მის გონებაში, სხვადასხვა მოქმედებას თუ მოძრაობას; მის გონების თვალს ათასი სურათი ეხატებოდა წარსულიდან თუ ნანატრ მომავლიდან. ხანდისხან ისეთი უცნაური რამ ჩვენება ჩაექსოვებოდა შიგ, რომელიც არ იყო სინამდვილიდან აღებული, რომელიც აუწერელი იყო და გამოუთქმელი, მაგრამ თვალწარმტაცი, მიმზიდველი, მომხიბლველი. ადევნებდა დარიკო ამ ჰაეროვან სურათებს თვალს და ერთობოდა, დროს ატარებდა. ისე დაღამდებოდა დღე, რომ ერთხელაც არ ეგრძნო სულის სიცარიელე, გულის უაზროდ ცემა. თავის ოცნებათა მსოფლიო ჰქონდა ქალს შექმნილი და იქ, იმ ჰაეროვან სამფლობელოში, დანავარდობდა თავისუფალი. ხოლო როდესაც გარემო სინამდვილე უნებლიედ გამოარკვევდა მას ცხად სიზმრებიდან, შეკრთებოდა ერთ წამს, თითქოს ძალა ვერ მოეკრიფნა, რომ იმ წუთშივე ჩასდგომოდა კვალში ცხოვრების მიმდინარეობას და ან შეკბრძოლებოდა, ან მარჯვედ აპყოლოდა მას.

ბინდი შემოიპარა, თანდათან ჩამოხნელდა, ბუნდადღა მოსჩანდა ნემსის წვერი. ქალმა დაუშვა ხელსაქმე და ერთხანს გარინდებული გაჰყურებდა სივრცეს. მისი ფიქრი ნელ-ნელა მიიქცა ღამის თავდარიგისკენ. მიიხედ-მოიხედა, დედა არსადა სჩანდა. მთლადაც ჩამოხნელებულიყო.

– დედი, დედიჯან! – გასძახა ქალმა ფანჯრიდან.

დედა გამოერკვა ფიქრებს და ხმა მისცა ქალს.

– დედიჯან, ვგონებ ნავთი არ გვეყოფა ამდამ, ცოტაა.

– გვეყოფა, შვილო, ლამპარი თითქმის სავსეა.

– არა, დედი, ბარემ მოიტანე: მინდა საქმე დავათაო და ამდამ მეტი ხანი მომიხდება მუშაობა, – სთქვა ქალმა და ისევ მიაშტერდა სივრცეს.

ეხლა მისი ფიქრები საზრუნველ საქმეებს დასტრიალებდნენ თავს: ფიქრობდა პურზე თუ სატანზე, ტანსაცმელზე თუ საწვავზე, ოჯახის ნაკლულოვანობაზე თუ მოვალეობაზე. მისი ფიქრი შეუმჩნეველად გადავიდა იმ ვალზე, რომელიც ემართათ მათ და რომლის გასტუმრებაც ისე გასაჭირი გახდა, შეუძლებელი. ქალის თვალწინ იგი ვალი გაიზარდა, უზარმაზარი გახდა, შეუმართებელი: გადმოხრილ კლდეს დაემსგავსა იგი, რომელიც აგერ უნდა მომზღვრეულიყო და გულს დასწოლიყო მასაც, მის დედასაც. ახლა ნათლად წარმოუდგა დარიკოს, რომ იგი ვალი იყო ის ხაფანგი რომელიც სხვის ხელით მარჯვედ დაუგო მათ გულცივაძემ.

– სწორედ იმან მოგვაწოდა ის ფული დედაკაცის ხელით, თორემ ვიღაც მოახლეს სად ექნებოდა იმდენა ნაღდი, ან რად გვანდობდა მხოლოდ თამასუქით უგირაოდ. უნდოდა დედისთვის გაეზიარებინა ეს მოსაზრება, მაგრამ შეეცოდა და დაჩუმდა. რა იცოდა ბეჩავმა, რომ დედამისი ადრევე მიხვდა ამას და ამიტომ აღარ მოსდიოდა პირზე ღიმი.

– ახ, გიორგი მაინც აქ იყოს ეხლა, რომ გავანდო ჩემი ფიქრი და შიში.

ვუყვარვარ, ერთგულია ჩვენი; მოახერხებდა რასმე, გზას გვიჩვენებდა, – სთქვა. და განაგრძო ფიქრი ვაჟზე.

გიორგი მეგობარი იყო ქალისა, სიყმაწვილის ამხანაგი დაუვიწყარი. ფიქრი ფიქრს მოსდევდა ეხლა ნათელი, ჰმუნვა სიამედ შეეცვალა, სიმძიმელი სიხარულად. მკრთალი სახე გაუბრწყინდა, მოწითანო სიხარული გადაეფინა ზედ, ვარდისფერი ბაგე გაუპო ღიმილმა, ნეტარების სითბომ დაუარა ტანში, სურვილის ნაპერწკალი ჩამოკვესდა მის წყვილად თვალებში. ქალმა ნაზი რამ სითბო იგრძნო შუბლზე,

საფეთქელს ახლო: იქ გიორგის კოცნა ემჩნეოდა დარიკოს, კოცნა ობოლი; გრძნობდა, რომ ეტყობოდა, იცოდა; სხვები კი ვერას ხედავდნენ, დედაც კი ვერას ამჩნევდა.

- სად არის ეხლა ის ბიჭი, სად? აგერ ერთი წელიწადია მისი წერილი არ მიგვიღია, იმ ბერიკაცმაც, გიორგის მამამ, რომ აღარ შემოიარა და აღარ! ნეტა ხომ არა დაემართა რამ ჭაბუკს სხვა ქვეყანაში? ჰაზრიანია, მარჯვე, მაგრამ ბევრი ხიფათი სდევს უცხოობაში ყოფნას, – გაიფიქრა ქალმა.

და დაღონდა.

ჭმუნვის ღრუბელი გადაეფარა და სევდის ცვარმა მოუნამა დაშვებული წამწამი.

– ღმერთო კეთილო, დაიფარე ის საწყალი ბიჭი ყოვლისაგან განსაცდელისა! –

შეევედრა ქალი უფალს.

ნაზია ქალწულის ლოცვა და ძლიერი. ღმერთი კეთილად მიაპყრობს ყურს უმანკოს ვედრებას.

5

გიორგი, რომელსაც იგონებდა დედა-შვილი, ახალგაზრდა კალატოზი იყო. მისი მამა თედუაც კალატოზი იყო, დღიური მუშა. სუფთა ხელობა არ იცოდა თედომ. თუ სურათივით გამოსაყვანი კედელი იყო ან რამ ჩუქურთმიანი, ის ვერ იმუშავებდა; როცა დიდრონ სახლებს აგებდნენ, იმას არ დააყენებდნენ ზედ. კედელ-ყორეს გაკეთება იყო მისი საქმე და ჩამონგრეულის გამოშენება თუ გამოლესვა. გიორგი კი ძალიან ჰაზრიანი ხელოსანი დადგა და მარჯვე. ალალი საქმე იცოდა, მკვიდრი, შნოიანი.

– რაც უნდა მეჩქარებოდეს ან მაჩქარებდნენ, ხელს არ გავიფუჭებ და მანამ ჩემებურად არ გამოვიყვან საქმეს, არ მოვეშვები. თუნდ პატრონმაც მიღალატოს ან ბეზარს მომიყვანოს, ხელს მაინც არ გავამრუდებ: ყალბი საქმე ოსტატის დამცირებაა, მისი მარჯვენის ღალატია, – იტყოდა გიორგი.

ჯერ არ დაელოცნათ გიორგი, ისევ ქარგლად ითვლებოდა, მაგრამ ეხლავე აფასებდნენ მის მარჯვენას და მასაც ისეთსავე ხელფასს აძლევდნენ, როგორც დალოცვილ ოსტატებს. ისევე მარჯვედ დადიოდა მაღალ ხარაჩოებზე, როგორც ციყვი წიფლის ტოტებზე; ისე უშიშრად იდგა თვალუწვდენელ ფრიალოზე, როგორც აბელა.

– აღარ გახსოვს აბელა?! რა მალე დაგვიწყებია! სამრეკლოების მკეთებელ-შემამკობელი იყო, ჯვარის დამსმელი. ისე არხეინად დადიოდა გუმბათებზე, თითქო კუკიის ხიდზე მოსეირნობსო. სამ ადლიან ოჩოფეხებზე რომ ჩამოივლიდა ანჩხატის უბანში, ჩვენი დღესასწაული იყო, ბალღებისა!

გიორგი მაღლა იდგა ხარაჩოებზე, მაინც თავმდაბალი იყო და ხათრიან-თავაზიანი. ტალახისა თუ აგურის მზიდავ მუშას მისგან ლანძღვა-ყვირილი არ გაუგონია; ბევრჯელ თითონ ჩამოირბენდა მასალის ასატანად, თუ წელში გამწყდარი მზიდავი ერთ წამს მიეგდებოდა კედლის ჩრდილში შესაქაქანებლად. გულგაღელილი, დამკლავებული მუშაობდა ბიჭი და ვერ აშინებდა გამოჯეკილს ვერც სიცხე და ვერც სიცივე, ვერც წვიმა და ვერც ქარიშხალი. სავაჟო და სავაჟკაცო საქმეშიც ძმა-ბიჭებს არასდროს არ უღალატებდა, არ ჩამორჩებოდა. ავაზაკობაში და სხვა რამ მრუდ საქციელში კი არ გაჰყვებოდა: ეჯავრებოდა უშნო რამ საქმე უხამსი. რომ მოირთვებოდა კვირაობით და გაისეირნებდა ან მერმე სავსე ხელსახოცით ხელში დაბრუნდებოდა ჭრიალ-ჭრიალით, გეგონებოდათ ცოლ-შვილით სავსე მეოჯახე მოდისო თავმომწონე. ცოლი ჯერ არა ჰყავდა გიორგის, არც დანიშნული. უბნის გოგოები სიხარულით უყურებდნენ ამ იმედიან და შნოიან ვაჟს, გულიც უთქვამდათ მისთვის და მარჯვე შემთხვევაში თვალს აპარებდნენ მისკენ, თუმცა გარეგნობით არ

ამჩნევენდნენ არავის და ვაჟთან თავი ამაყად ეჭირათ. გიორგი გრძნობდა ამას ყველაფერს და ატყობდა; თითონაც უჩუმრად და შეუმჩნეველად ეარშიყებოდა მათ: დინჯად იქცეოდა, სახლს უვლიდა, შემომტან ვაჟკაცადა სწრთენიდა თავის თავს; უგვან ქცევას თუ ხმას ეკრძალებოდა. ამგვარ ეალერსებოდა შორიდან თავის მოტრფიალებს. გიორგი რომ კარგი იყო და თანდათან უკეთესდებოდა, ეს უბნის ქალების გავლენის ბრალიც იყო, შორიდან მოქმედებისა. უბნის გოგოების და გიორგის შუა იდუმალი ქსელი იყო დაჭიმული, შეუმჩნეველი ზედგავლენა იყო ამოდრავებული, საიდუმლო სიმები იყო გაბმული და იგი სიმები კეთილ ხმას ასმენდნენ ორივე მხარეს, სიკეთის გზაზე აყენებდნენ. ვაჟიც და ქალებიც შორიდან ცდილობდნენ სასახელო და ფაქიზ ქცევა-მოქმედებით თავი მოეწონებინათ ერთმანეთისათვის. ეს იყო მათი არშიყობის მოედანი, როგორ არა, კიდევ გაუელვებდნენ შუქურები ვაჟს: ან თვალთა ნათელს მიჰფენამდნენ მას უეცრად, ან რამე ეშხიანი მოძრაობით გაუზიარებდნენ მას გულის წადილს, მაგრამ მაინც გამრჯელობა და ოჯახისთვის სასახელო საქმეები იყო მათი არშიყობის ასპარეზი. გიორგი ყველას ეალერსებოდა შორიდან, თავს აწონებდა, მაგრამ ერთნაირის თვალთ კი ვერ უყურებდა ყველას, ვერც ერთნაირი სურვილით უახლოვდებოდა: ვაჟს შეგულბული ჰყვანდა გულის ვარდი, კოკორი, რამ სურნელოვანი და ეს გასაფურჩქნად მზადქმნილი ყვავილი იყო სალომეს ქალი დარიკო. გიორგისთვის რომ გეკითხა, სხვებს და-ძმობას ეტყოდა და მეგობრულად მოუალერსებდა, დარიკოს კი თავის სიხარულად ჩასთვლიდა, გულის გამათბობელ სხივად გაზაფხულისა. ეს შორიდან და მოკრძალებით, თორე ახლო და პირდაპირ არაფერი ეთქვა ჯერ, არც არაფერი გაემჟღავნებინა.

გიორგი რომ დარიკოსთან უფრო ახლო იყო გულით და უფრო მოსწონდა, ეს მარტო დარიკოს ეშხის და მიმზიდველობის ბრალი არ იყო. სხვა ქალები არაფერში ჩამოუვარდებოდნენ მას. იქნება ზოგს კიდევ ეჯობნა მისთვის სიმშვენიერით თუ მიმზიდველობით, თუმცა კი დარიკოსებური შეხედვა, ქალწულებრივი მზერა უმწიკვლო, სხვებს სრულებითაც არ ეხერხებოდათ, ვერც შეემლოთ. დარიკო გიორგისთან იყო ბაღლობიდანვე მეზობლურად შეზრდილ-მინდობილი და მათი გული იმისთვის შესდუღებოდა ერთმანეთს. სალომეს სახლის გვერდზედ ეჭირათ გიორგიანთ ოთახი და ბაღლები ერთად იზრდებოდნენ. ბიჭი უფროსი იყო და ხელმძღვანელობდა გოგოს, ფარველობას უწევდა. რომ წამოიზარდნენ და თვალნი აეხილათ, განზე გაუდგნენ ერთმანეთს, მოკრძალება დაიწყეს ერთმანეთისა. მაგრამ რამდენადაც გარეგნობით შორს იწევდნენ, იმდენად მათი გული უფრო შეკავშირდა და შეუდუღდა ერთმანეთს: შეჩვევის ნოყიერ ნიადაგზე იყო აღმოცენებული ღერო მათი სიყვარულისა და უკვე გამონასკვოდა ზედ სურნელოვანი კოკორი ტრფობისა. ეს იყო მიზეზი რომ სხვა ქალები წინ ველარ უვლიდნენ დარიკოს და მეტოქეობას ვერ უწევდნენ. ეს იდუმალ, თორემ გარეგნობით სრულებით არა სჩანდა ახალგაზრდების ესეთი შეტკობა: ვაჟი ყველას ერთგვარის პატივისცემით ეპყრობოდა, როგორც უბნის ქალებს და კეთილ მეზობლებს. მხოლოდ ის გარჩევა კი იყო, რომ თუ სუფთა რამის შეკერვა დასჭირდებოდა გიორგის, უთუოდ დარიკოს მიუტანდა. მაგრამ ეს ხომ ბუნებრივი იყო და სწორედ ესე უნდა მომხდარიყო, რადგან დარიკოსთანა ხელსაქმე არავინ იცოდა იმ უბანში. მარდი საქმეც იცოდა, მუყაითად მუშაობდა. გამოსჭრიდა

და ხელად ჩააბარებდა მუშტარს. გიორგის ერთხლის მეტად არ უნდოდა დარიკოსთან საქმეზე მისვლა. სალომე მიუტანდა გაკეთებულ საქმეს და ხელფასს გამოართმევდა. გიორგის გულითადი წადილი კი იყო რამდენჯერმე მისულიყო სალომეანთა, ზედიზედ ენახა ქალი, გვერდს მოსჯდომოდა, იმავე ჰაერით ესუნთქა. იფიქრა, იფიქრა და ერთხელ მშვენიერი საახალუხე ფარჩა მოუტანა ქალს მის შესაფერ სარჩულ-მასალით. ბარემ საქორწინოდ გამომადგებო, ამბობდა გულში. ჯერ კი არ აპირებდა ცოლის შერთვას.

– მოვიცდი ცოტასაც, ცოლს დიდი ცომი უნდა, ასი ლიტრა საფანელი. მე კი ჯერ ამოდენა საფანელი არ შემიმზადებია, – ფიქრობდა გიორგი.

იმისი ემინოდა ვაჟს, ვაი თუ იფიქრონ: თითონ ხელცარიელია და ქალის მზითებს ეტანებაო. ცდილობდა ღირსეულად მოეწყო სახლი და მერმე შეეყვანა სახლში ახალი სული. მხოლოდ ამიტომ აყოვნებდა დარიკოს თხოვნას, თორემ დარწმუნებული იყო, რომ სწორედ დარიკო დაეხადნა გამჩენელს მის საცოლედ.

დარიკომ აიღო ზომა და ჩაუჯდა საქმეს. რამდენჯერმე მოუწინა დაზომება თუ გამოწყობა. დაათავა, ჩააცვა. საყელოს რომ უკრავდა, უნებლიეთ ხელს ახლებდა ვაჟს, წვერს ურხევდა ნაზის შეხებით და თან ისე მემამიტად შეჰყურებდა ბალღური თვალებით, რომ ბიჭს ელვამ დაურბინა ტანში, ალმა შემოჰყრა და აანთო. უჰ, რანაირად უნდოდა დასწდომოდა და დაეკოცნა ქალის პაწაწინა ხელები! ძლივს შეიმაგრა თავი. რა ექნა, ჯერ დრო არ იყო აშკარა ალერსისა. გიორგიმ მაღლობა გადაუხადა ქალს, მისცა ხელფასი, ახალუხი კი არ წაიღო.

– დარიკოჯან, აქ იყოს ეს ახალუხი; შენ უფრო სუფთად შემინახავ, თორემ შინ იქნება თაგვებმაც დამიკუწონ.

– მაშ არ ჩაიცვამ ხოლმე?

– ჯერ არა, გენაცვა! ფულს შევაგროვებ, ვერცხლის ქამარსა და საათსაც ვიყიდი და მერმე.

შემოვიდა სალომე. გარ შემოუარა ბიჭს, მუშტრის თვალით გასინჯა ახალუხი და მოუწონა:

– მშვენიერადა დგას! ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს და ბედნიერებაში!

– გმადლობთ, დედიჯან! – უთხრა გიორგიმ და ისეთი თვალით შეხედა დარიკოს, როგორც ღვთისმშობელს სასწაულთმოქმედს.

დარიკომ უგრძნო გიორგის, შეწითლდა და ერთი ორად დამშვენდა მაღლიანი. წავიდა გიორგი. დარიკომ დაუკოცნა ახალუხს გულისპირი და ისე სათუთად შეახვია ყალამქრის ბოხჩაში, როგორც ოდიკი მორწმუნე ხუცესმა.

ამის შემდეგ უფრო დაახლოვდა ქალ-ვაჟი. გიორგი თავის ყოველსავე გასაჭირს თუ სამხიარულოს დარიკოს გაანდობდა ხოლმე გულწრფელად. ქალიც თვალს ადევნებდა ახალგაზრდას, ყველა მისი გზა იცოდა და ასავალ-დასავალი. გაეზა მათ შორის დამაკავშირებელი ქსელი ფერადი, ჩაიქსოვა ბადე რამ მტკიცე და გაეხვია შიგ ქალ-ვაჟის გული.

მარჯვე ბიჭი იყო გიორგი და ყველაფერს ახერხებდა. ვერცხლის ქამარიც იყიდა, საათიც შეიძინა თავის ძეწკვით, სახლსაც შეჰმატა და მოაწყო, როგორც შეეფერებოდა მის ყოფას. თითქმის აღარაფერი აკლდა ოჯახს დიასახლისის მაღლიანი ხელის მეტი და, აჰა, მოახლოვდა ჟამი ნეტარებისა!

ეხლა ყველაფერი კარგად მიდიოდა და მხიარულად. მხოლოდ ერთი აფიქრებდა მშრომელ ვაჟს: მისი მამა თედუა მთლად გააზატდა. რაკი შვილი შემომტან ვაჟკაცად დაიგულა, საქმეს გული აჰყარა და განსვენებას მიეცა. თუ დაუძახებდნენ სამუშაოდ, წავიდოდა, თუ არა და საქმეს არ ეძებდა. ადრეც არ იყო ის საქმის მოყვარული და თუ

იცხოვრა ქვეყანაზე, მხოლოდ ცხოვრებული მეუღლის უნარით იღონდიალა; ეხლა კი მთელი თავისი სიმძიმით შვილის მარჯვენას დააწვა. ისღა იყო ნუგეში, რომ ბერიკაცი არა ლოთობდა. მცირედით იყო კმაყოფილი, ოღონდ კი საქმე არ მიეცათ ხელში და ნება ჰქონოდა, ლაზათიანად გამოეძინა. თუ არა, მთელი დღე დაღვრემილი დადიოდა. გიორგი მაინცდამაინც არ სწუხდა ამაზე: ხელგამლილ ჯეეს თავისი მონაგარი სხვისთვისაც არა ჰშურდა და მოხუც მამისთვის როგორღა დაიშურებდა?!

7

რაც ხანი გადიოდა, იმდენი უფრო რწმუნდებოდა გიორგი, რომ სწორედ დარიკო გაეჩინა განგებას მის საბედოდ და ცხოვრებაში თანამგზავრად. ახალგაზრდა ჰმადლობდა ღმერთს, რომ ესეთი ანგელოზი არგუნა მას წილად. დარიკოს სახემ დაისადგურა ჭაბუკის სულში, გააშუქა მისი გული და გაათბო მისი გრძნობები. აღარცა ჰშორდებოდა მას იგი სახე, თანა ჰყვებოდა ხარაჩოებზე თუ ძირს, ამხანაგებთან ყოფნის დროს, თუ განმარტოებულს, ძილში თუ ღვიძილში. თვალის ჩინში ეჯდა ჯეეს დარიკოს სახე მუდამ ჟამს, ყოველ წუთს, მარად წამს. დარიკო ეხლა კვალს უჩვენებდა მას, გზას უნათებდა და ისეც ხალისიანი ბიჭი უფრო მხიარული შეიქმნა და ბედნიერი. სულ ღიღინებდა, მღეროდა, უღიმოდა ოცნებებს და სიმხიარულე იგი გარს უვლიდა დარიკოს აჩრდილს, თავს დასტრიალებდა. ისეც სუფთად და მოკრძალებით მქცევი ახალგაზრდა ეხლა მეტ სიფაქიზეს იჩენდა თავის ყველა მოქმედებაში და კეთილშობილებას: დარიკოს ახლდა თან ყოველ ჟამს და რას იტყოდა ქალი, რომ მოუხეშავი რამ საქციელი ჩაედინა მის თვალწინ?! ხომ გაიბუტებოდა ძვირფასი და მიეფარებოდა მის თვალთახედვიდან! ან როგორ გაბედავდა იმასთან რაიმე უზრდელობას?! პატივსაცემ ქალთან ხლება აფაქიზებს ვაჟკაცის ქცევას.

მუშაობის დროს ბევრჯელ შედგებოდა გიორგი, თვალს მიაპყრობდა სივრცეს და უღიმოდა სასურველ ჩვენებას, ამხანაგებს კი ეგონათ, ხელში რომ აგური უჭირავს, იმ აგურის მოხერხებულ მოყვანილობას შეჰხარისო. ჩუმი სიხარულით იყო გიორგის გული სავსე, წყნარი რამ საიმედო სიამით, რადგან მიზანი ცხოვრებისა უკვე ცხად იყო მისთვის, ხოლო მიზნისაკენ მომავალ ბილიკზე არავითარი დაბრკოლება და სიძნელე არ მოჩანდა, არც ქაჯთა ჰყვანდათ მისი მზე, არც ძნელად იყო საომარი. და ნათელი ესე გულისა საიმედო იყო, სამუდამო, სანეტარო, სამარადისო!

უკვე მოიწიფა ბედნიერების მომნიჭებელი ნაყოფი, ჟამი იყო მოესთვლა ვაჟს იგი და ენეტარნა. მაგრამ, ეჰ, ვინ ჰღირსებია უმსხვერპლოდ სიამეს ან ვის მოუკრეფია ვარდი უეკლოდ, რომ გიორგის სწევით ნათელს უბნელოდ?!

დაიწყო მოძრაობა. ხალხის მღელვარებამ მოჰკრა ამ მუშასაც თავისი ტალღა, გაეტაცა ძლიერ ფრთებით და ჩაიხვია უფსკრულ მორევში, სადაც ყოველივე სდულდა და გადმოდიოდა. გიორგიმ მხურვალე მონაწილეობა მიიღო ერთობაში. ჩვეული არ იყო ტოლ-ამხანაგებს ჩამორჩომოდა რამე საერთო საქმეში და აბა უკან როგორ დაიწევდა ეხლა, როდესაც მოძრაობის დროშაზე ძმობა ეწერა?! როგორ შეიძლებოდა ძმა-ბიჭს თავისი მარჯვენა არ მოეკიდა ამისთანა ბრჭყვრიალა ალამისთვის და არ აპყოლოდა მის ფრიალს?! კრებები, დუქან-ბაზრის დაკეტვა თუ გაღება, ლაჩრების გახალისება, მტაცებელთა ალაგმვა, შეძრწუნებულთა ნუგეში. და ისე ღამდებოდა დღე, რომ ვერც კი ამჩნევდა დროთა სრბოლას. ბევრი რამ უკვირდა გიორგის ამ მღელვარებაში, ბევრი

რამ ჭკვაში არ მოსდიოდა, ზოგს რასმე ვერ ეთვისებოდა, ვერც თანაუგრძნობდა. მაგრამ ვისღა ეცალა ჩაფიქრებისა თუ მოაზრებისათვის. ან რაღა დრო იყო: ქარიშხალი თავის ნებაზე აქანებდა გიორგის და ისე ატრიალ-აბრიალებდა, როგორც რამ ბურბუშელას განხმელს.

შედგა მუშაობა მთელს ქალაქში: ვინღა გაბედავდა რამე შენობის დაწყებას, როდესაც ფულიანი ხალხი ძრწოდა და ქერქში ძვრებოდა, ან როგორ მოახერხებდა, როდესაც მთელი ცხოვრება შემდგარი იყო და სხვაგვარ მიმართული? შეწყდა ხელოსნისათვის შემოსავლის წყარო, დაცარიელდა ჯიბე, დაიფუკა. გიორგისათვის ეს უმუშევრობა იმიტომ იყო მეტად საგრძნობელი, რომ იგი გულწრფელად ირჯებოდა. ჰაზრადაც არ მოსდიოდა ესარგებლა არეულობით და მღვრიე წყალში თევზი ეჭირნა, სხვის კუთვნილი თევზი. ძმობა და ჰარმობა! ერთობა და მტაცებლობა! ვის გაუგია?! გიორგის არ შეეძლო ამისთანა თაღლითობა გაეწივნა და ითმენდა, თავისსავე საკუთარის ქონით იკვებებოდა. ვაი, რომ ცოტა ჰქონდა იგი ქონება! თითონ კიდევ რა უშავდა, მაგრამ მამა ჰყვანდა აკიდებულ: უნდა ესაზრდოვებინა ის და თან მის ბუზღუნისათვის გაემლო. რას იზამდა?! ორიოდე ფარა ჰქონდა გადაგდებული და იმას მიჰყო ხელი: წითელი ოქრო შავი დღისთვისო. იმედიანად კი იყო გიორგი: სწამდა, რომ უკეთესი დრო დადგებოდა და მის მშრომელი მარჯვენა ღირსეულად დაფასდებოდა.

გავიდა დრო, ჩავარდა ქარიშხალი, დაცხრა მღელვარება, მოიწია ჟამი მოსთვლისა და ბევრ ახალგაზრდას ანანია მისმა წინანდელმა მოქმედებამ. მიეზლო გიორგისაც საზღაური თვისი. როდესაც აცნობეს, სახლის გაჩხრეკას გიპირებენო, გიორგიმ შეიხსნა ქამარი, ამოიღო საათი და შეურბენინა დარიკოს.

– დარიკოჯან! გაჩხრეკას მიპირებენ, სწორედ დამაპატიმრებენ და ეს ნივთები შენ გებარებოდეს! გაჭირებაში გაყიდე და მამახმარე. ახალუხი კი არ გაიმეტო, არც არავის დაანებო, გენაცვლე!

დარიკო გაფითრდა და ათრთოლებული ხელით ჩამოართვა ბიჭს ნივთები.

– ნუ გეშინიან. ცუდი არაფერი ჩამიდენია, ავაზაკობა არ გამიწევია და სიმართლე თავის გზას არ დაჰკარგავს.

დარიკოს გული ამოუჯდა, ცრემლი მოერია შემკრთალ თვალებში და მკერდზე მიაყრდნო ვაჟს თავი. გიორგიმ მკლავი მოხვია ქალს ლამაზ თავზე, გადახარა და დაუკოცნა სპეტაკი შუბლი. პირველი კოცნა იყო ეს, შეტკობა გამოთხოვებისა. ღმერთო ჩემო რამდენი სითბო და სიმწარე იყო ჩაქსოვილი ამ წმინდა კოცნაში! მთელი სიხარული და სიმძიმე იყო ჩადნობილი ამ სპეტაკ შეერთებაში. ეს კოცნა იყო, სამუდამოდ რომ დააჩნდა ქალს, თითონ რომ ხედავდა და სხვა კი ვერ ამჩნევდა. აღსრულდა! განდევნეს გიორგი, გადაასახლეს.

წაიყვანეს გიორგი და გაჰყვა თან მათი კერის დოვლათი. ჯერ მანამ ქალაქში ჰყვანდათ ბიჭი პატიმრად, ხარჯი დასჭირდათ და ფული მოუნდათ. სხვა არა იყოს რა, კვირაში ერთხელ-ორჯელ ხომ საჭირო იყო შეეგზავნათ მისთვის რამე სანოვაგე. ახლა ჯიბის ფულიც უჭირდა, უმისოდ არ შეიძლებოდა. სახლს კი შემოსავლის წყარო მთლად დაუშრა. თედუამ რამდენჯერმე აიღო ქაფჩა და გავიდა მეიდანზე სამუშაოს საშოვნელად, მაგრამ სადღა იყო ეხლა საქმე და სამუშაო?! ფულის პატრონები ჯერ ისევ ხვრელებში ისხდნენ, ძლივსა ჰბედავდნენ გამოხედვას, რომ გაეგოთ: მთლად ჩავარდა ქარიშხალი და ჩაიწმინდა ღვართქაფი, თუ ჯერ ისევ საშიშია გამოსვლა და

სახიფათო. რომელი ჭკვათამყოფელი დაიწყებდა ეხლა შენობას, რომ მუშა დასჭირებოდა ან ოსტატი?! ერთხელ-ორჯერ კი შეხვდა კალატოზს ძველის გაახლება თუ გამოლესვა, მაგრამ აქედან აღებული ორიოდე შაური რა ნაკლს დაჰფარავდა ან რა იარას მოამშრალებდა.

გამგზავრეს გიორგი და ფულის სახსარი რომ არსად იყო, გაყიდეს ბიჭის ქამარი, საათი, სახელოსნო იარაღი თუ ხელსაწყო და პატრონს მოახმარეს გაჭირებაში. რახან ერთხელ კარის გზა იპოვა ოჯახის ქონებამ და მოწყობილებამ, შეუკავებლივ გაიწია გარეთ: ერთმანეთს გაჰყვნენ ფასიანი თუ უფასო ნივთები. და სულ მალე ოთახში ტახტის ფიცრებიდა დარჩა ცალიერი. მამ რა ექმნა ბერიკაცს, როცა უკიდურესი გაჭირვება დაადგა და შავი დღე? წითელი ოქრო რომ აღარაფერი ჰქონდა ამ შავი დღისთვის, შავ ფულად აქცია ყველაფერი, რასაც კი ცოტაოდენი ფასი ჰქონდა მის სახლში. მოისპო ბერიკაცის სახლში თბილი საჭმელი; დარიკოანთაგან ათასში ერთხელ შემოგზავნილი კერძი აბა რა ანგარიშში მოსატანი იყო, როდესაც თითონ ისინიც დიდ გაჭირებაში ჩაცვივოდნენ და იწროებაში! მეტადრე სახლის ქირამ გაუჭირა თედუას საქმე. განა ხუმრობა იყო, მთელ სამ მანეთს იხდიდნენ გიორგიანი თვეში. ბერიკაცი მალე გავიდა სახლიდან და სადღაც ნესტიანი სარდაფი იქირავა თვეში მანეთად.

მაინც იმედს არა ჰკარგავდა კალატოზი და ყოველ დღე გადიოდა სამუშაოს საძებნად. მაგრამ ყისმათმა ზურგი შეაქცია მას და ველარ უმარჯვდებოდა. მართალია, სამუშაო თანდათან გაჩნდა, მაგრამ ბერიკაცს ეხლა მკლავი ველარ მოსდევდა: რაღაც ქარები გაუჩნდა, მთელ ტანში დაუარა ტკივილმა, წელი მოსტეხა, ჯანი მოუღო, რაღაც დასაქირავებელი მუშა იყო ჯანდაგი და დაავადებული ბერიკაცი?! გაჭირებული იყო იგი, მაგრამ მუშტარს რა ენაღვლებოდა ან რას დაგიდევდა?! ის ნაღდს იძლეოდა და მუშის ძალასაც ნაღდად თხოულობდა. დაიკლო კალატოზმა დღიური სასყიდელი, ეხვეწებოდა თუნდ ნახევარ ფასად ემუშავებინათ ის, მაგრამ ამაოდ: დამქირავებელი მხოლოდ დამცინავი ღიმილით დაჰყურებდა უძლურს და ზურგს აქცევდა მას.

მთლადაც გაუჭირდა თედუას ლუკმის შოვნა, გატყდა, მოიღვარსლა კაცი უჭმელ-უსმელობით, ჰარაქათი წაერთვა, გადაყრუვდა. სიცოცხლის წყურვილმა კი არ იკლო მასში, არსებობის სურვილი კი ისევ ძლიერი იყო და ყველა ღონისძიებასა ხმარობდა ბერიკაცი თავი დაეცვა მოსპობისაგან. ყველას ესესხა, ვისგანაც კი მცირედი იმედი ჰქონდა, ყველა ფურნიდან წამოიღო პური ნისიად, სადაც კი ცოტა მაინც ანდეს.

ბოლოს მოესპო ყოველივე სახსარი არსებობისა, შიმშილმა გააბოროტა კაცი, ნადირი გააღვიძა მასში, სისხლისმსმელი, მაგრამ ღონე არ მოსდევდა მტაცებლობით მაინც დაეკმაყოფილებინა თავისი უძლიერესი მოთხოვნილება და ბოროტდებოდა; მისი უძლური ბოროტება მის ჩადრმავებულ თვალეზიდან გამოსჰკვივოდა. ისეთი ავი გამომეტყველება მიიღო მისმა სახემ, რომ ყველა უნებლიედ ერიდებოდა მას, განზე უვლიდა. მოესპო ბერიკაცს ყოველივე იმედი მოეპოვებინა პური არსებობისა და დასწყევლა გამწარებულმა თავისი შვილიც, ის მიზეზებიც, რომელთაც მისი ოჯახი დააქციეს და ამგვარ გათახსირებამდის მიიყვანეს ის. პირზედ ქაფი მოსდიოდა გაცოფებულს, როდესაც მოიგონებდა იმ მისთვის შავ დღეებსაც და მაშინდელ მოქმედთაც, მაგრამ უღონო ბრაზი ვერ აძლობდა მას და ვერც ათბობდა.

– ესეც შენი ერთობა და ძმობა, ესეც შენი მუშის ყოფის გაუმჯობესება და მდიდართან გათანასწორება! – ამბობდა ბერიკაცი.

და ცდილობდა მოეფიქრა რამე, რომ მაღამო დაედვა თავის უნუგემო ყოფისთვის.

ამ საზარელ მდგომარეობაში იყო ბერიკაცი, როდესაც გაუდგა გზას უჰაზროდ. გაიარა რამდენიმე მიხვეულ-მოხვეული უბანი და გავიდა ფართე ქუჩაში, რომელიც

ზოლივით შესდევდა აღმართს. მდიდარი ხალხი სცხოვრობდა იქ. ერთხელ მუშაობდა თედუა იქ და დათვალა იერებულნი ჰქონდა იქაურობა. მაშინ შენიშნა, რომ აქ სამოწყალოდ ხელს უშვერდნენ მდიდრებს ისეთი გლახაკებიც, რომელთაც ჯერ ხელობად არ გაეხადნათ მათხოვრობა. ისიც ჰქონდა შენიშნული, რა ზიზლით და სიფრთხილით მისცემდნენ ხოლმე მდიდრები მოწყალებას, რომ არ შეჭებოდნენ მათ მწვირიან ტანისამოსს თუ ხელს. დიდრონი სახლები მოსჯროდნენ ქუჩას ორივე მხრივ და ისე ძვირფასად იყვნენ მოწყობილნი, თითქო კაცთა სადგომი კი არა, ზეკაცთა ბინებიაო. უღონო შურით აევსო ბერიკაცს გული და რომ შესძლებოდა, სამირკვლიანად შეარყევდა იმ ურცხვად განდიდებულ სასახლეებს, რათა ნანგრევებში ჩაემარხა თავისი თავიც და ის უზომოდ ბედნიერნიც, რომლებიც სცხოვრობდნენ იქ. დაუსწორდა ბერიკაცი ერთ ღია კარებს. კარებ წინ კეწკეწი ეტლი იდგა მსუბუქი. წყვილი რაში მოუთმენლად ფრინავდა ადგილობრივ, მწყობრად აყოლებდა ფეხებს. მეჯინიბე ძლივს უჭერდა თავს. მოფარდაგებულ მარმარილოს კიბეზე ჩამოდიოდა ვაჟკაცი, რომელსაც შრიალ-შრიალით მოსდევდა გვერდზედ კეკლუცი. ბერიკაცი მიაჩერდა მათ. მისმა სახის სასტიკმა გამომეტყველებამ მიიპყრო ბატონების ყურადღება. ქალი შეაკრთო გლახაკის თვალთაგან გამომზირალმა სიბოროტემ, უნებლიედ დაიწია მან უკან, მარჯვედ გახსნა მოვარაყებული თალათინის ჩანთა, მანეთიანი ჩაუდო გლახაკს ხელში და მსწრაფლ განშორდა. გაშრა ბერიკაცი, გაშეშდა, სიტყვის თქმა ვეღარ მოახერხა. ეტლი უკვე მიეფარა მის თვალთახედვიდან. ის კი იქ იდგა და დაჰყურებდა ვერცხლის მანეთს. ხელსა სწვავდა მას ეს ცივი ლითონი. არ იცოდა, დაელოცნა მისი მიმცემი თუ შეეჩვენებინა; არ იცოდა, ჩაედო იგი მოწყალება ჯიბეში თუ იქვე დაენარცხებინა კარის ბჭეზე. პრიალა მანეთს კი ნელსაცხებელის სუნი ასდიოდა სუნნელოვანი, იგივე ჰაეროვანი სუნნელობა, რომელიც მიჰფინა ბერიკაცს ქალის მიახლოვებამ.

დარიკოანიც ძლიერ შეიწროებულ და გაჭირებულ ცხოვრებაში ჩაცვიდნენ. მოძრაობის დროს მათთვისაც შემცირდა შემოსავალი, რადგან ცხოვრების ტალღებით გატაცებულ ხალხს მორთვა-მოკაზმისათვის აღარა სცხელოდა. სანოვაგე და სხვა ყოველივე ოჯახის სახმარი ნივთიერება თუ საგანი გაძვირდა, ერთიორად ფასობდა, აღარ იშოვებოდა. მოთხოვნილება კი თვისას არ იშლიდა, ახლა ზედმეტი ხარჯის გაღებაც დასჭირდათ, რადგან თუმცა რაღაც ქოხი ედგათ თავშესაფარი, მაინც სახლის პატრონები ერქვათ, მესაკუთრეები, ხოლო საკუთრების მქონებელთ ჰკრეჭდნენ მაშინ საპარს ცხვარივით. ქალებს ნაღდი არა ჰქონდათ და უნდა ეშოვნათ, თავი ქვაზე უნდა ეხალნათ და უნდა ეშოვნათ! შოულობდნენ კიდეც, სესხად იყო ის, თუ ნივთების ან სამკაულის დაგირავებით. იქნება ხიფათსაც ვერ ასცდენოდნენ ქალები და მთლად განადგურებულიყვნენ, თუ ისეთი მარჯვე ქომაგი არა ჰყოლიყოთ, როგორც გიორგი. დიდი სიკეთე უყო მაშინ უვაჟკაცო და უმწეო ქალებს: თუ რამე განსაცთელი იყო მოსალოდნელი, მაშინვე მათ გვერდზედ გაჩნდებოდა ახალგაზრდა მათ მწედ და ერთგულ მფარველად.

ამ გაჭირვების დროს გამოხსნეს ქალებმა თუ სადმე ჰქონდათ ფარა გამოკრული და შავ დღისთვის მიგდებული. ვალი სულ დაავიწყდათ. სად იყო მევალის გასასტუმრებელი ფული და ან ვინ იხდიდა მაშინ ვალს?! ან რომელი ჭკვათმყოფელი

მევალე აწუხებდა თავის მოვალეს და ყელში უჭერდა?! თვით ვალი კი არ დაგიდევდა არც დროს, არც გარემოებას და იზრდებოდა, ფესვებს იდგამდა, იხვევდა ზედ სარგებელს თუ ჯარიმას და ხორცში მატულობდა, სრულდებოდა, მიმდებოდა, რომ მერმე ერთბაშად გადმოქცეულიყო და თავს დასცემოდა უზრუნველ თუ უსახსრო მოვალეს. ახლა ისიც დაერთო ყველა ამას, რომ დაავადდა დარიკოს დედა: აღელვებულმა და გაჭირვებულმა ცხოვრებამ ცუდი გავლენა იქონია მასზე და მოუდუნ-მოუშალა ნერვები. სულ წუწუნებდა, ჩიოდა, ოხრავდა, კვნესოდა, კრთებოდა, სუსტდებოდა.

შემდეგშიც, როდესაც გადიარა ჭექა-ქუხილმა და ქარიშხალმა, ველარ გამობრუნდა სალომე და ისევ წინანდებურად ღელავდა, გულს იმფოთებდა თუნდ მცირე რამ უსიამოვნებაზე. მთელი ოჯახის შენახვა და მოვლა დარიკოს დააწვა. დედა არამც თუ ველარა ჰშველოდა მას, თითონაც მისი მოსავლელი შეიქნა. უმატა დარიკომ მხნეობას, რამდენიც კი შეეძლო. გულში ცეცხლი უტრიალებდა მოუნელბელი, ის კი მუშაობდა თავდაღუნული, შრომობდა განუწყვეტლად. დარიკო სასიამოვნო რამ ღიღინსაც კი ვერ ახერხებდა ეხლა. გასართობ და გასამხნეველ ჩუმ სიმღერას, რომ გული გადაეყოლებინა მწყობრ ხმებისათვის. სიღარიბე-უმწეობის ლანდი ცალკე აწუხებდა მას და გული ცალკე სტკიოდა – დაკარგული ბიჭისათვის. სიმძიმის პირი დაეხშო მისთვის და თუ უნებლიედ ამოსქდებოდნენ მწყობრი ხმები, თუ ნამეტნავისაგან გულისა იტყოდნენ ბაგენი, იგი გულისთქმა სამგლოვიარო რამ ჰანგებში ხორციელდებოდა, ღიღინში ქვითინი მოისმოდა მწარე და ცრემლით სავსე თვალთათვის ბუნდადლა მოსჩანდა ნემსის კვალი. ღა ვუყოთ რომ მუშა ქალი იყო უბრალო? იმასაც ჰქონდა გული, გრძნობათა შესაკრებელი და ნაღვლობდა უიღბლობას, უხმოდ ნაღვლობდა, უთქმელად.

– ახ, ნეტა იმ ბიჭის სახე ესე ღრმად არ ჩამჭროდა გულში! სად არის ი საცოდავი ან რითი ცხოვრობს? ცოცხალი კი არის სადმე ის ჩემი ცოდვით სავსე? – ფიქრობდა დაღონებული.

არ იცოდა დარიკომ გიორგის გზა-კვალი. გიორგიმ ერთხელ-ორჯერ მოსწერა წერილი თავის მამას, ერთხელ დარიკოვანიც მოეკითხა წერილში. მერმე კი გაჩუმდა, ამბავს აღარ აწვდიდა, ხმას აღარ იღებდა. ხანდისხან დარიკოს ეგონა ბიჭი უსათუოდ დაიღუპაო უცხოეთში, რწმუნდებოდა ამაში, მაგრამ გული ვერ იმეტებდა ვაჟს სასიკვდილოდ და მეორე წუთს იმედს რასმე აწვდიდა ქალს, ნუგეშს უსაფუძვლოს.

ამ გაჭირვებულ ყოფის დროს სალომე ხშირად ოცნებობდა ქალის გათხოვებაზე. ადვილიც იყო აცხადებულიყო ეს მისი ოცნება და საქმედ გადაქცეულიყო ნატვრა, რადგან მთხოვნელი ჰყვანდა ქალს. მაგრამ დარიკო უარზედ იდგა, პირს არავის უჩვენებდა: შეზღუდვილიყო ქალის თვალთახედვა და გიორგის მეტს ველარავის ხედავდა ქვეყანაზე. არც ვინ მიაჩნდა სათავისოდ. დედა თუ ურჩევდა ვისმე ან მაჭანკალი მოუვიდოდა საიდანმე, ქალის პასუხი ერთი და იგივე იყო უცვლელი:

– დამაცა, დედიჯან, ჯერ არ მინდა გათხოვება, ცოტახანს კიდევ მომითმინე; ხომ არაფერში გაწუხებ და რას ჩამციებიხარ!

– არაფერს მაწუხებ, შვილო, და იმასაც კარგად ვხედავ, რომ შენა ხარ სახლის მაცხოვრებელი. მაგრამ როდემდის უნდა იყო ეგრე ან ვის ელი? ეშხში შესული ქალი ხარ, აყვავებული და თანდათან დაიყვავილებ, განა გაგაღანდები.

– არავისაც არ ველი, დედი, მაგრამ გული ჯერ არავისზე მიმდის და რა ვქნა.

ტყუილად ამბობდა დარიკო, არავის ველიო! გიორგის ელოდდა მოუთმენლად, მის ამბის გაგებას: იგი მიაჩნდა თავის ყისმათად, მხოლოდ მას ევლებოდა თავის ოცნებაში, მას უაღერსებდა მისი ქალწულებრივი გრძნობა. რომ გათხოვილიყო, რაღა

პასუხი უნდა მიეცა ან თავის გულისათვის, ან იმ საწყალი ბიჭისათვის, თუ ღმერთი ინებებდა მის მშვიდობით დაბრუნებას. მაგრამ რითიღა უნდა ესაზრდოებინა დარიკოს თავისი იმედი, როცა გიორგისაგან წერილიც კი არა ჰქონდა, უბრალო რამ ბარათი, ნიშანი მისი ყოფნისა. მხოლოდ ახალუხილა შერჩა დარიკოს ნიშნად მისი არსებობისა, ნაცვლად დიდის იმედებისა და გრძნობამორეული ქალი დედის ჩუმიად გაშლიდა ამ მისთვის ფასდაუდებელ ფარჩას, მოუალერსებდა, დაჰკოცნიდა და ცრემლს მოაფრქვევდა მას, როგორც გულდამწვარი ჭირისუფალი რამ ნაშთს დაკარგულის სიყვარულისა.

10

დადგა ზამთარი. დაიჭირა ხმელი სიცივეები. ცა მოწმენდილი იყო, მზე მხოლოდ ბჭყვრიალებდა; დედამიწა გამხმარიყო, ნიავის სისინზე კორიანტელდებოდა ქუჩა. და ციოდა საშინლად, ჰყინავდა, სუსხი ძვალ-რბილში უვლიდა. მზიან მყუდროზე კიდევ არა უშავდა რა შუადღისას, სახლებში კი, დიდრონ შენობებისაგან ჩახშულ-ჩაჩრდილულ და უმზეობით დანესტიანებულ ქოხებში უგემურად აჟრიალებდა ადამიანს. მოძებნეს ქოხმახელებმა ყოველგვარი ძველმანი და აიბანძვნენ. ცეცხლი სათაყვანებელ არსებად გარდიქმნა მათთვის და მარად ნატრულობდნენ სითბოს მომფენელს. შეშა-ნახშირი საოცნებო რამ გახდა. მენახშირეს დანახვავზე ელექტმელეტი მოსდიოდათ. ისე უალერსებდნენ მეგუდურეს, როგორც უშვილო ბიძიას. დაჰკანკალებდნენ ყოველს ღერს, როგორც რამ ნაწილს წმიდას.

დარიკოანიც ძალიან დაუტკბნენ სითბოს დამტარებელთ, ქათინაურს არა ჰზოგავდნენ მათ საალერსოდ, რომ ფარა რამ დაეკლოთ ფასში, მაგრამ ამაოდ: ისე გაკაჟებულიყვნენ გულქვავნი, როგორც მშვენება უბადლო. წინათ კი ამისთანა სოვდაგრებთან სალომეს სახვეწნი არა ჰქონდა რა: სახლის პატრონი იყო, თავის კუთხისა თუ საკუჭნაოს მექონი, არც ნაღდი აკლდა ჯიბეში და თავის დროზე დაიჭერდა ხოლმე თავდარიგს: შეშას ურმობით შეიძენდა ზაფხულშივე, როდესაც პირიანად იყიდებოდა ის. მერმე რა ძნელი იყო დარიკოანთთვის უშემოება! ქალს თითები აზრებოდა, ის შუშა თითები, რომლებიც აცხოვრებდნენ ოჯახს.

ქრისტეშობისთვის მიწურულებში ძალიან მოუჭირა სიცივემ. ახლა ქარი დაჰყვა თან და სისხლი შეყინა ძარღვებში. თანაც დღესასწაული დგებოდა და ხარჯი იყო საჭირო. დარიკოს დედა აქამდისაც აზეზილ გუნებაზე იყო, ეხლა მთლად აირია და მოიშალა. მისჯდომოდა გაციებულ მაყალს, ძველი რამ ნაგლეჯი წამოესხა მხრებზე, ხელები უღონოდ დაეყარნა მუხლებზე, წინდა კალთაში ჩაჰვარდნოდა. გორგალი მაყალ ქვეშ გორავდა. ამრეზილი დამტერებოდა დედაკაცი თავის ქალს თვალმოუცილებლივ. დარიკო მაგიდასთან იჯდა, ლამპრის შუქზე საკერავს აჩქარებდა და თან ლამპარზევე ითბობდა ხელებს. ქალმა იგრძნო მასზე შეჩერებული მზირი თვალი და შეხედა დედას.

– შვილო როდემდის უნდა ჩაჰყურებდე მა საკერავს და თვალს იწყალებდე?

– რას ამბობ დედი?! ჯერ ხომ ცხრა საათიც არ არის.

– ჩასცქერი და ჩასჩერებინარ ვიღაცეების თეთრეულს! ნეტა ვიცოდე, რა გამოდის მა შენი მუშაობიდან? აგერ დღესასწაულები კარს მოგვდგომია, ჩვენ ბედობაზე კი ფარა არსად ჰგდია.

– მეც იმისთვის ვეშურები, დედიჯან! ხვალ წაუღე საკერავი და ფული გამოართვი.

- მერმე რაღაც ხუთი მანეთი გერგება, რა მალამო უნდა დაედოს იმით ჩვენს იარას? არც შეშა გვაქვს, არც ნახშირი, არც ტკბილი, არც მწარე.
- რა ვუყოთ, დედიჯან! ყველა ხომ მდიდარი არ იქნება ამ ქვეყანაზე. სად არის იმდენი ფული, ყველას გახვდეს?! ვიცხოვრებთ, როგორც იქნება, ღმერთია მოწყალე.
- განა ჩვენისთანა საწყლებისათვის არის ღმერთი მოწყალე! ღმერთი არაფერს უწყალობებს ადამიანს, თუ არ ეცდება ან თუ უარპყოფს კარზე მიმდგარ ბედს.
- მაშ რა არის, დედი, თუ არა ვცდილობთ?! დღესა და ღამეს კი ვასწორებ და სხვა რაღა ვქნა.
- საბოლოოვო არაფერი გამოვა ეგეთი მუშაობით. ნემსის წვერს ჩააჭკნებ-ჩაახმები და ცხოვრების სიხარულს კი ვერ ეწევი. გათხოვდი და მორჩეს! გაპყვე მჭედლიანთ ვანუას, აგერ იხვეწება. რით არის ის ბიჭი შენგან დასაწუნი?
- არც დასაწუნი და არცა ვწუნობ, მაგრამ აკი გითხარი, ჯერ არ გავთხოვდები-მეთქი. რა ვუყოთ, რომ დავღარიბდით. ზოგს სრულებითაც არა აქვს რა, პურიც კი ენატრება და ჩვენ ხომ ჭერი მაინც გვაფარია საკუთარი და პური არ გვაკლია.
- ჭერი, ჭერი! სხვებსაც ეგ აკერიათ პირზე და შურით შემოგვცქერიან. გაიგე, ყურებიდან ბამბის ძველა გამოიღე და გაიგონე, რომ დღეს არა, ხვალ ეს ჭერიც გამოგვეცლება ხელიდან და მაწანწალანი შევიქნებით, ქუჩა-ქუჩა მავალნი.
- ღმერთმა დაგვიფაროს!
- ვერაფერი ღმერთი ვერც გვიშველის, ვერც დაგვიფარავს გულცივაძის ბრწყალებიდან. ხედავ, როგორ მთასავით თავს წამოგვდგომია მისი სასახლე და მზეს გვიბნელებს! არ იცი, რომ ის ფული გულცივაძემ შამოგვატყუა მოახლის ხელით? ეხლა აგერ სამოც თუმნამდინ არის ვალი. მაშ რა გეგონა, სარგებელს რომ არ ვაძლევდით და თანაც შიგადაშიგ ფულს ვართმევდით იმ დედაკაცს! ბოლოს რომ თამასუქი შევუცვალე, დედაკაცმა პირდაპირ მითხრა: ეს უკანასკნელია, ჩემი ფული ჩემთვის მინდა და თუ ეხლაც ვერ მიშოვნე ნაღდი, მე თითონ გავუჩენ ამ თამასუქს პატრონსაო. სახლს გაგვიყიდიან ვალში და მაშინ ვნახოთ, ვინლა მოვა შენ სათხოვნელად.
- ძალიან კარგად ვიცი, დედიჯან, აღარავინ მოვა. მჭედლიაანთაც ამ სახლზე უჭირავთ თვალი და იმიტომ გვეტმასნებიან. შენ კი გგონია, რომ ვანუას ჩემზე ამოსდის მზე, – მიუგო ქალმა და გაჩუმდა.
- უნუგემო ფიქრებს მიეცა დარიკო. დიდი ხანი იყო გრძნობდა, რომ გულცივაძიანთ მახეში გაეზნენ ისინი, მაგრამ ჩუმად იყო, თითქო კიდევ რაღაცის იმედი ჰქონდა. კაცი ხომ უკანასკნელ ამოსუნთქვამდის იმედითა ცხოვრობს. ეხლა, როდესაც დედამ პირდაპირ დაასახელა აუცილებელი უბედურება, ქალმა თვალი გაუსწორა მას და შეკრთა. გული შეეკუმშა, ჩაუბნელდა; თავი დაბლა დაახრევიანა მწარე სინამდვილემ, ხმა აღარ ამოაღებინა. დაჩუმდა სალომეც, სამარისებურმა მდუმარებამ მოიცვა სახლი.

დარიკოანთაც მოამზადეს საშობაოდ ყველაფერი, რაც კი მათ ხელმოკლობას შეეფერებოდა, რომ პირნათლად დაჰხვედროდნენ ბრწყინვალე დღესასწაულს. შავი ფულიც გადადეს მიმლოცველთათვის. შობის წინა ღამეს პატარა ბიჭებმა დაიწყეს კარდაკარ სიარული ხატით ხელში: შევიდოდნენ, ლოცვას იტყოდნენ,

მიულოცავდნენ და ფარას რასმე მიიღებდნენ სასყიდლად, შავ ფულს. დიდ სასახლეებში არ იღებდნენ მიმლოცველებს, კარებს არ უღებდნენ. თუმცა აკრძალული იყო ალილოზე სიარული, მაგრამ პატარები მაინც ახერხებდნენ მილოცვას.

დარიკოანთაც მიიღეს რამდენიმე მიმლოცველი და აასრულეს მამაპაპური ადათი. ერთმა პატარა გუნდმა ალილოს თქმაც კი მოახერხა მათ სახლში და დიდად ასიამოვნა სახლის პატრონები. დარიკოს მოაგონდა თავისი უზრუნველი ყმაწვილობა, როდესაც გამჭრიახი მამა ედგა თავს და გულუხვად შეეგებებოდა ყოველ ბრწყინვალე დღესასწაულს. მთელ ჯიბე შავ ფულს ურიგებდა მიმლოცველებს. სალომეც დაწყნარდა, კარგ გუნებაზე დადგა. დაღამდა. მეალილოვე აღარ მიდიოდა.

შეწყდა ქუჩაში ხმაურობა: გვიან იყო. უმატა ავდარმა. ჰბარდნიდა. თოვლის ფიფქი მთვარის შუქს აბუნდებდა. ჩაკეტეს კარები. დარიკომ აანთო თუნუქის ღუმელი და გაშალა ვახშამი. მოუსხდნენ სუფრას. ტკბილად შეექცეოდნენ. ღვინოცა ჰქონდათ. დაილოცნენ, ადღეგრძელეს ერთმანეთი, მოიხსენეს მიცვალებულნი, ადიდეს კერის ანგელოზი. წინანდებულად ტკბილად ჰუკჰუკებდა დედა-შვილი. ოცნებობდნენ. ოცნებათა ჭრელ ქსელში გაბმულთ დაჰვიწყებოდათ დარდი თუ ვარამი და გულუბრყვილო კმაყოფილებას მისცემოდნენ. დარიკოს ფიქრი გიორგის დასტრიალებდა, თავს ევლებოდა. უნდოდა ედღეგრძელებინა გამეგებული; მშვიდობით დაბრუნება ესურვა მისთვის, მაგრამ სცხვენოდა, დედისა ეკრძალებოდა. სალომემ ამოიკითხა ქალის ფიქრი და მოიგონა გიორგი, ადღეგრძელა, მშვიდობა უსურვა და სიკეთე. ძალიან გაეხარდა დარიკოს, გრძნობა ვეღარ შეიმაგრა და გულში ჩაეკრა დედას.

– გიყვარს, გოგო, გიორგი? ძალიან გიყვარს? – ეკითხებოდა გულაჩუყებული დედა და უალერსებდა, ქოჩორზე ხელს უსვამდა, ეშხიანად გადავარცხნილ აბრეშუმის თმაზე.

ის იყო ვახშამს ათავებდნენ ქალები, რომ მოესმათ ჭისკარის რახუნი. გაწყვიტეს საუბარი, ჭამაც კი შეაყენეს; სმენად გარდაიქნენ. გავიდა რამდენიმე წუთი და კიდევ მოესმათ რახუნი. შეკრთნენ გაფითრდნენ.

– ნეტა ვინ უნდა იყოს ამ დროს?! ავი კაცი კი არ იყოს, ქა! ღმერთო, დაგვიფარე.

– ავაზაკი რომ იყოს, რაღას დაარახუნებდა. ალბათ დაგვიანებული მომლოცველია ვინმე; ეხლაღა მოუხწევია ჩვენამდის, – თქვა დარიკომ და წამოდგა.

მაინც არ იძროდა ქალი ადგილიდან, კიდევ ყურს უგდებდა. ისევ გაისმა რახუნი! სალომე წამოდგა და გავიდა ეზოში. დარიკო უკან გაჰყვა დედას. ჰკითხეს ვინაობა.

– მე ვარ, თედუა ვარ, გამიღეთ ღვთის გულისათვის, – მოესმათ უძლური ხმა.

დედაკაცმა გაალო კარები და მთვარის შუქზე რომ ჩააკვირდა მისულს, გაშეშდა ადგილობრივ; თედუა კალატოზი იყო, გიორგის მამა, მაგრამ, ღმერთო ჩემო, რა ყოფაში! დაბდღვნილ-დაგლეჯილი, წვერულვაშაბურმგნული, მთლად მოხრილ-მოღვარსლული! ხელი უთრთოდა ყავარჯენზე. ძლივს იდგა, ფამფალებდა.

– შემიშვით ღვთის გულისათვის, საჩხე ქვეშ მაინც გამათენებინეთ ეს საშინელი ღამე, – შეეხვეწა ბერიკაცი და ცრემლი ისმოდა მის დაჟღელილ ხმაში.

სალომე უძრავად იდგა და მაგრა ეჭირა კარები. ბოროტმა ჰაზრმა გაუელვა თავში: კარები მიეჯახუნებინა და ჩაეკეტნა გაჭირებულის ცხვირწინ. სწორედ ესეც იქმოდა, თუ ქალი არა სდგომოდა გვერდზე და არ შერცხვენოდა მისი. ბუნებით ბოროტი დედაკაცი არ იყო სალომე, არც უდიერობით იყო ის, რომ ხელი უნდა ეკრა დავრდომილისათვის, მაგრამ შეშინდა: მიხვდა, რომ ეს უბედურიც იმათ ჩამოეკიდებოდა ტვირთად, როგორც რამ ლოდი მძიმე და მთლად აუტანელად

გახდიდა მათ სამძიმო ყოფას, ცხოვრების მორევი ისეც სძირავდა მათ თავის უფსკრულში და რაღა სხვა ტვირთის დასართება უნდოდა?!

– მოზრძანდი, სტუმარი ღვთისაა! – უთხრა დარიკომ და ხელი წაავლო კარებს, რომ უფრო ფართედ გაეღო ის.

დედაკაცმა ხმა ველარ ამოიღო, ველარც არაფერი მოახერხა. აღარც დრო იყო ფიქრისა, რადგან ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა კაცი, რომ ანაზღად შველა ეჭირვებოდა, როგორც წყალში ჩავარდნილს მსწრაფლ გამოთრევა და გამოცოცხლება. წაიყვანეს, გაათბ-გააშრეს, დააპურეს, დააღვინეს, მოასულიერეს. ისე იყო საბრალო გაბრუებულ-გამოთაყვანებული, რომ მადლობის თქმაც ვერ მოეხერხებინა; თვალს რეტად აყოლებდა, უაზროდ იღიმებოდა. სადღაც კუთხეში გდებულყო მშიერ-მწყურვალ და ეხლა კი გამოეგდო ბეზარმოსულ სახლის პატრონს და კარი ჩაეკეტნა. ბევრი უაზრო და უშედეგო წანწალის შემდეგ თავის ძველ უბანში მოსულიყო საპყარი და დარიკოანთ კარს მოსდგომოდა. ოთახის გვერდზედ რომ საკუჭნაო ჰქონდათ, იქ მოათავსეს ბერიკაცი იმ ღამეს. როცა ცოტათი დაწყნარდნენ, დარიკოს გაახსენდა ის ამბავი, ქრისტეშობის ღამეს თვით ქრისტე რომ მისულიყო ერთ ღარიბ ოჯახში დავრდომილის სახით და გაებედნიერებინათ სტუმართმოყვარე მასპინძელი.

ბერიკაცი მეორე დღესაც იქ დარჩა და შემდგომისთვისაც იქ დაბინავდა. როგორღა წავიდოდა ის დაავადებული ან სად?! სალომე მაინც არა ჰკარგავდა იმედს, რომ როგორმე მოიცილებდა თავიდან ამ ტვირთს; ან სახანაგოში მოათავსებდა, ან რომელსამე გზას გაუჩენდა, მაგრამ ამოდ: საგლახაკოში არ მიიღეს, სხვა გზაც არსაიდანა სჩანდა; გაგდება ველარ მოახერხა. დარჩა და დარჩა ბერიკაცი დარიკოანთას, ძალაუნებურად დაბინავდა იქ.

ვერაფერი ქრისტე კი გამოდგა საპყარი თედუა დარიკოანთათვის, არც არავითარი ბედი მოუტანა მათ. სალომეს თანდათან უძნელდებოდა ტვირთი არსებობისა და მალე ცხოვრების სიდუხჭირემ პირდაპირ შეანათა მას თავის ცეცხლისმფრქვევი თვალეები: მოუვიდა უწყება გულცივაძე ვალს გიჩივისო, მევალე დედაკაცს მისთვის გადაეცა თამასუქი. რაღას იზამდა უქონელ-უმწეო? მიუსაჯეს ვალის გადახდა და საქმის საწარმოებელი ხარჯი ზედ შეუკცეს. გავიდა ხანი და აცნობეს აღმასრულებელი ფურცლის ძალით გულცივაძეს ვალში სახლი უნდა გაგეყიდოსო. გულშემოეყარა სალომეს. ვადა მისცეს კანონიერი, მაგრამ რაღას უშველიდა ვადა, თუნდ ერთიათად განგრძობილი? ჩაუბნელდათ ქალებს ყოფა. შეირყა დარიკოს რწმენაც, რომ ღმერთი როგორმე უშველიდა მათ და ფართე გზაზე გამოიყვანდა კვალ-აბნეულთ. სალომე ხომ მთლად მოდუნდა, დაჰკარგა ცხოვრების ეშხიც და სურვილიც; ყოველივე ხალისი მოესპო; აჩრდილს დაემსგავსა მიმქრალეებული. ვინდა აქცევდა ყურადღებას შეხიზნულ ბერიკაცს ან რაღა საჭირო იყო მისი დათხოვნა?! ისეც მალე მოშორდებოდა იგი მათ: სახლი სხვას დარჩება, მათ გარეკენ ბინიდან და ახალმა სახლის პატრონმა თვითონ იცის, რას იზამს და როგორ ვის მოეპყრობა.

გიორგის იმედი კი აღარ იყო. ბერიკაცი აღარც კი ახსენებდა თავის შვილს. დარიკოსაც შეერყა იმის ოდესმე დაბრუნების ნუგეში და გული ჩასწყდა. აგერ სამი წელიწადი სრულდებოდა, მისგან ამბავი აღარ იყო. აღბად უპატრონოდ დაიღუპა ბიჭი უცხოეთში.

ტყუილად ეგონათ დარიკოანთ გიორგი დალუპაო; სიცოცხლის ნაკადული სრულიადაც არ შეწყვეტილიყო ჯეელის დანადგლიანებულ გულში. ანგელოსი მფარველი ჰყოლოდა მას საქართველოდან და იგი წარუმართავდა გზას, იხსნიდა ყოვლისაგან განსაცდელისა, იმედის შუქს არ აშორებდა უდროვოდ ჩაშავებულ მის სიყრმეს.

პირველ ხანში ძალიან დაღონდა ბიჭი, დასევდიანდა, გული მთლად ჩასწყდა, როცა გააცილეს ის თავის ქვეყანას და ველარ გაიგონა ნაჩვევი ხმა ტკბილი. ისე წარმოუდგა, თითქო ყოველი კეთილი ჩამოაცალესო სამუდამოდ. მანამ შინ იყო, თავის ქვეყნის სიტკბოებას ვერა გრძნობდა, არცა ფიქრობდა ამაზე უდარდელად მიყრდნობილი მის მკერდზედ, მაგრამ როცა მრისხანე გრიგალმა აგლიჯა ის ამღზრდელი ნიადაგიდან და გასტყორცნა შორს, მაშინ კი აუტირდა გული, როგორც რამ ჩჩვილს უდედაოს!

კიდევ კარგი, ზაფხულში წაიყვნეს ბიჭი, თორემ ჩრდილოეთის სასტიკი ზამთარი მაშინვე მოშუშავდა ამ სამხრეთის ყვავილს და ჩააშავებდა. ადგილზედ, რომ მივიდა და მიიხედ-მოიხედა, სუნთქვა შეეხუთა, გული შეეკუმშა, სისხლის ცვარი დაეცა მის გულს. სად იყო ნაჩვევი ბუნება, ნაცნობ-ნანახი ხალხი, მისი ამზრდელი ქუჩები, ტოლ-ამხანაგი, მისი ყოველდღიური სამუშაო?! მთლად გნმარტოებულად იგრძნო თავი, ადამიანთა კრებულის გარეშე, კაცურ ცხოვრების გადაღმა. ეს მჭიდროდ დასახლებული ადგილი უდაბნო იყო მისთვის უკაცური. ხალხი ეჭვით უყურებდა მას, განზე გასდგომოდა, უნდო თვალი აეყოლებინა მისთვის. ან კი რა უნდა ექმნათ, როცა იცოდნენ, რომ იგი გადასახლებული იყო და, მაშასადამე, ავაზაკობის ჩამდენი?! მართალია, იქ, მისდამი მიზომილ- მიჩემებულ მიდამოში, მთლად თავისუფალი იყო გიორგი, საპყრობილეში არ იჯდა, არც დარაჯი სდევდა უკან ყოველთვის, მაგრამ მაინც კანონისაგან დაგმობილი ადამიანი იყო, განრისხულ-უარყოფილი და საფრთხილო. ეს იყო მიზეზი, რომ ჯანსაღმა და საქმეს მოწყურებულმა ვაჟკაცმა ჯერჯერობით ვერაფერი საქმე ვერ იშოვა და ცხოვრების რამ წყარო ვერ გამოძებნა. დღიური მუშა რა არის, დღიურ მუშადაც არ მიჰყვანდათ გიორგი. გაუჭირდა ყოფა, უსაქმოდ და უსახსროდ ყოფა უცხოეთში.

მაგრამ აკი გითხარ, ღმერთს არა სრულიად დაეტოვებინა იგი, არც ბედს გაეწირნა მთლად: იმ მხარის მმართველი, სადაც გიორგის ნაბძანები ჰქონდა ეცხოვრნა, ადგილობრივი მდიდარი მემამულე იყო და მთავრობისაგან მიჩნეული კაცი. იმ ზაფხულს თავის მამულში სახლებს აშენებდა, აუარებელი მუშა და ოსტატი ირეოდა მის შენობაზე. გიორგი რამდენჯერმე მივიდა შენობასთან და შორიახლოდან ათვალიერებდა სამუშაოს თუ იქაურ მუშაობას, მუშაობის ეშხზე მოდიოდა ახალგაზრდა ოსტატი, ხელები ექავებოდა, მაგრამ ვინ მისცემდა შრომის ნებას ან ვინ აღირსებდა სამუშაოს?! ერთხელ, როდესაც პატრონი ათვალიერებდა თავის შენობას, გიორგიმ ველარ მოითმინა, მივიდა და შეეხვეწა, ნება მიეცა მისთვის ემუშავნა, უფასოდ ეშრომნა, უსასყიდლოდ, რადგან უსაქმობას თავი მოებუზრებინა მისთვის. გაიგო უფროსმა, რომ კალატოზი იყო ის და უბრძანა ზედამხედველს კედელზე დაეყენებინა. ისე გაუხარდა გიორგის, თითქო თავისუფლება მიანიჭესო. დაიმკლავა, შემოიკრა ფეშტამალი და შედგა კედელზე. მეპატრონე შორიდან უყურებდა მას. ოსტატებმა დამცინავის ღიმილით გადახედეს გიორგის. მიჰყო ხელი ნაჩვევ საქმეს, თანდათან გაერთო და ბოლოს მთლად გაიტაცა ხელობამ. ისე მოხდენილად ამოჰყვანდა ლიტაო კედელი, თითქოს ეკლესიას აშენებსო. დაავიწყდა, სად იყო, ისევ თავის ქალაქში ეგონა თავი ბაღჩოსა ან მიტროს გვერდზედ და კედელზე მდგომმა შემოსძახა თავისებურად. თან მღეროდა, თან მარჯვედ მუშაობდა, ეშხიანდა. გარშემო

მყოფთ ჯერ ეოცათ და ეუცხოვათ ეს ხმები; მერე ცნობისმოყვარეობამ გაართო ისინი, პირზე ღიმი მოუვიდათ და შეაქეს. ბატონსაც გაეღიმა, უამა, გაეცინა.

ეს პირველი ნაბიჯი იყო გიორგისა და მარჯვეც გამოდგა იგი ცდა. შემდეგში ოსტატებიც და მუშებიც შეეჩვივნენ მას. შენობის ზედამხედველმაც წყალობის თვალთ გადმოჰხედა პატიმარ ოსტატს, კიდევ უხაროდათ მათ მისი დამტვრეული რუსული და ოხუნჯობა. შენობის პატრონისათვის ხომ მისი მუშაობა ნაპოვნი იყო და ნაპოვნი. ღვთის წინაშე კრიჟანგი რამ არ გამოდგა უფროსი: რახან გიორგიმ დაიმსახურა მისი ყურადღება და ნდობა, იმან მცირეოდენი სასყიდელი დაუნიშნა შრომისათვის. მმართველმა შემდეგში უფრო დაიახლოვა გიორგი. დააკვირდა მას, ნახა მისი მართალი გული და პირდაპირი სიტყვა. მოეწონა მისი სიფხიზლე, მისი გამჭირახობა და კეთილი თვალთ დაუწყო ყურება. ბოლოს იქამდინ შეიწყნარა კაცი, რომ თავის სახლის ეზოში მისცა მას ბინა. რას აგებდა? სახლის მცველი იშოვნა თითქმის უსასყიდლო და მხლებელი ერთგული. მხოლოდ ასაზრდოებდა გიორგის, ნასუფრალს არ უჭერდა. ესეც დიდი ღვთის წყალობა იყო განდევნილისათვის. მეტადრე მაშინ, როდესაც დადგა სასტიკი ზამთარი, დაჰფარა მთელი ქვეყანა თოვლმა, დაჰბერა ჩრდილოურმა ქარმა და ყინვამ. ჰაერში ფრინველს სთოშავდა, ხოლო დედამიწაზე ქვასა ხეთქავდა. თბილი ბინა და საჭმელი სიცოცხლედა ღირდა მაშინ, სიცოცხლედ!

უფროსმა ეხლა მთლად შეიგნო გიორგის ჰალალი გული, ნახა მისი მარადუამს ხალისიანი ხასიათი და მიენდო მას. თუ შორს წავიდოდა სადმე, უთუოდ თან გაიყოლებდა გიორგის. კოფოზე მჯდომ გიორგისათვის ამისთანა სეირნობა მაინცდამაინც სასიამოვნო არ იყო მკაცრ ზამთარში, მაგრამ ეხლა თბილად ეცვა, იქაურულად, თითონაც სიპივით კვრივი ბიჭი იყო და გაჭირების ატანა არ უძნელდებოდა. თანაც გზაზე გამოვლილ ტანჯვის ბადლად, ადგილას რომ მივიდოდა, სითბო დაჰხვდებოდა სანეტარო და სანოვაგე უხვი: მის გავლენიან ბატონს ყველა ფიანდაზად ეგებოდა იმ არეს. არა, ბედის მადლიერი უნდა ყოფილიყო გიორგი: რამდენ მისთანას მოულო იქ ბოლო სიცივემ და შიმშილმა! დიდკაცის მსახურ-მხლებლებიც შეეჩვივნენ გიორგის. მხოლოდ ის უკვირდათ ძალიან, რომ გიორგი არ ეტანებოდა იქაურ გოგონებს, თუმცა ისინი ძალიან უალერსებდნენ ამ შავ ბიჭს და ეტმასნებოდნენ. რა იცოდნენ იმათ ან როგორ მიხვდებოდნენ, რომ დარიკოს სახე თან აჰყოლიყო ჯეელს და იმისი ეკრძალებოდა. იცოდა გიორგიმ, რომ მთლად უარი უნდა ეთქვა სხვათა ტრფიალზე, ახლოც არ უნდა გაჰკარებოდა კეკლუცებს, კარგადა გრძნობდა ამას, როგორ არა! მაგრამ, ახ, რა ფუნთუშები იყვნენ ის მაცდურნი, თეთრები, ლბილები!

უცხოეთშიც მარად თვალწინ ედგა გიორგის თავის დარიკო და თავს მისთვის ინახავდა, მხოლოდ მისთვის. ნებას არ აძლევდა თავის თავს ვიზედმე გაეცვალა მისი სახე, თუნდ დროებით. ეს ხომ ღალატი იყო შეუნდობელი. სწამდა ვაჟს, რომ გაივლიდა დრო ავი და ისევ ეღირსებოდა დაბრუნებას, თავის ქვეყნის ნიადაგის დაკოცნას, ნაცნობ ქუჩა-უბანში ყელმოღერებულ გავლას, ტკბილი სიტყვისა თუ ჰანგის გაგონებას. მაშინ სამუდამოდ შეუერთდება იგი თავის დარიკოს, საუკუნოდ; გულით ხომ ეხლაც განუყრელია მისგან, როგორც მეუღლე მოყვარული,

თავდადებული. ამ რწმენას განამტკიცებდა გიორგის გულში დარიკოს ხელით, მისი ბროლის თითებით დაწერილი გიორგის მამის წიგნი. თავის მხრითაც მიეწერა დარიკოს ორიოდ სიტყვა. მოკითხვას უთვლიდა, ამხნევებდა. სწერდა, ნუ იდარდებ, თავს გაუფრთხილდიო. იმასაც სწერდა, შენი ფარჩის ახალუხი კარგადა მაქვს შენახული და მის დანახვაზე შენ გიგონებო. გიორგის უბეში ედვა ეს ტკბილი წერილი, დარიკოსაგან საკუთრად მასთან მიწერილი უსტარი და თილისმად მიაჩნდა მას იგი, მფარველ რამ ავგაროზად.

მართალია შინიდან ეს ერთადერთი წერილი ჰქონდა გიორგის, მაგრამ იმედს არა ჰკარგავდა ბიჭი და ყოველდღე მოელოდა რამე ამბავს თავის ქვეყნიდან. საკვირველი კი იყო, რომ აღარასა სწერდნენ. თითონ აგერ მესამე წერილი გაგზავნა მამასთან, პასუხი კი არსად იყო. მისი წერილი ხომ დარიკოს უნდა წაეკითხნა, მამასაც დარიკოს ხელით მიეწერნა მისთვის პასუხი. მამის წერილი იმისთვის უფრო უხაროდა გიორგის, რომ დარიკოს ნაწერ სტრიქონებს ჩასთვლიდა და ჩაიკითხავდა. მაგრამ აღარსად იყო იგი წერილი, აღარსად! სწორედ დაივიწყეს განდევნილი.

– გული აიყარეს ჩემზე: როგორც თვალი შორს, ისე გული. ალბად დარიკოსაც გაუგრილდა ჩემზე ჯიგარი. ვინ იცის, ვინ გაეარშიყა ან ვინ შეირთო. მე ვიცი, ქალს დაიწუნებს ვინმე! ეჰ, ან კი რაღა იმედი უნდა ჰქონდეს ჩემი, რომ მიცადოს: ბევრი წამოსულა ჩემ გზაზე და განა ბევრიღა დაბრუნებულა უკან?!

– ფიქრობდა ახალგაზრდა და გული სწყდებოდა.

ენა რომ ამას ამბობდა და ამართლებდა დარიკოს, გული მაინც არ იმეტებდა სხვისათვის. ვერც დაერწმუნებინა ვაჟს თავისი თავი, რომ ოდესმე დაივიწყებდა მას დარიკო. არა დარიკო შეინახავს თავს გიორგისათვის, მანამ ცოცხალი ეგულება მას იგი, არასდროს უღალატებს მას, ოღონდ კი, ღმერთო, ერთი მალე გავიდეს ეს ხუთი წელიწადი! ჯერ ხომ მხოლოდ ერთი წელიწადი მობრუნდა, რაც ის გადაასახლეს. მაინც მოუცდის მას დარიკო, თუ ნამდვილ უყვარს. შწორედ მოიცდის და არვის არ გაჰყვება მანამდის. მაინც რა დიდი ხნისა იქნება მაშინ ქალი. ეხლა სულ რაღაც თვრამეტ-ცხრამეტ წლისა არის და რა უშავს, მოუცადოს! არავის გაჰყვება დარიკო სხვას და გიორგიმ უსათუოდ უნდა შეინახოს თავისი თავი, ფაქიზად დაიცვას თავის ადამიანობა, რომ ღირსეულად და პირნათლად შეხვდეს მას.

და ცდილობდა გიორგი თავი შეეყვარებინა უფროსისათვის თავის შრომით თუ პატიოსნებით. გრძნობდა, რომ მისი ბედის მიმმართველი სწორედ ეს გავლენიანი კაცი უნდა შექმნილიყო ამ უცხო მხარეს. მუშაობდა გიორგი თავის მფარველის ახლო, მაგრამ არც ერთხელ კი არ დაუმიჯნაბლებია თავი და არ შეუმწიკვლია თავის ვაჟობა რაიმე უგვან და მონურ თქმით თუ ქცევით. ამაყ და გულმართალ ბიჭს ბუნება ნებას არ აძლევდა მონურად მოქცეულიყო, სულმდაბლად. თითონ უფროსსაც სწორედ იმისთვის შეუყვარდა გიორგი, რომ ისეთი მარჯვე, მხნე, პირდაპირი და გულმართალი კაცი ჯერ არ შეჰხვედროდა იმ მონათა ბრბოში, რომელიც მარად გარს ეხვია მას და თვალ-წარბში შეჰყურებდა. მისთვის ესეთი კაცი ახალი რამ ხილი იყო, უცხო, მზიან, თბილ ქვეყნიდან ავბედისგან გადმოტყორცნილი ნაყოფი.

წელიწად-ნახევარი დაჰყო გიორგიმ ესეთ ყოფაში. მემრე მოვიდა ამბავი, დიდკაცს შორ აღმოსავლეთში ჰგზავნიან სამძიმო საქმის მოსაგვარებლადო. ამ ამბავმა დაალონა გიორგი, რადგან იმის წასვლის შემდეგ ნიადაგი ეცლებოდა ფეხქვეშ და ისევ

გაჭირებულ ყოფაში უნდა ჩავარდნილიყო კაცი. მებატონეს კი ძალიან გაუხარდა ეს ამბავი, რადგან თუ პირნათლად შეასრულებდა იმ სამძიმო მინდობილობას, დიდ დიდებისაკენ გაეხსნებოდა გზა. მოხელე მსწრაფლ მოემზადა და მოინდომა გიორგის თან გაყოლება. პირდაპირ უთხრა, რომ ძალიან ენდობოდა მას და უცხო ქვეყანაში სწორედ საჭირო იქნებოდა ის მისთვის. საქმის მოგვარება თითონ ითავა და თანაც ჯილდო და სიკეთე აღუთქვა სამსახურისთვის. გიორგი არც კი დაფიქრებულა ისე წაჰყვა მოხელეს. თავისდაგვარად დიდი სამსახურიც გაუწია მას როგორც გზაზე, ისე ახალ ადგილას.

გიორგი ეხლა ტყვე აღარ იყო, ახლა ის თავისუფლად მოქმედებდა, რადგან თავისუფლების მიმნიჭებელს ახლდა გვერდზედ. აღარც ფულის ნატრული იყო, რადგან საჩუქარს და სასყიდელს არ იმურებდა მისთვის უხვი და მდიდარი მებატონე. ცოტაოდენი თანხა შეუგროვდა ჯეელს. დაკვირვებით ათვალეირებდა გიორგი იქაურობას და ხედავდა, როგორ ანაზღად მდიდრდებოდნენ იმაზე უფრო უშნო და უგერგილო ბიჭები ფეხზე ვაჭრობით. იმ მხარეს ძალიან ხელსაყრელი ყოფილიყო სვადასხვა აღმოსავლეთური საქონლით ვაჭრობა, მეტადრე იაპონური ნაწარმოების გასაღება, რადგან ამ ხანში გადაჭარბებული ყურადღება იყო მიქცეული ყველაფერზე, რასაც კი იქაური ელფერი ედვა. გიორგიმ რამდენჯერმე სცადა ამგვარი ნივთებით ხელდახელ ვაჭრობა და მოგებული დარჩა. ამან წაახალისა ჰაზრიანი ახალგაზრდა და დაასკვნა ამგვარ ვაჭრობისთვის მიეყო ხელი, რამდენადაც კი შეეძლებოდა ეს მის ყოფა-მდგომარეობაში.

ბედი შესწევდა გიორგის: მისმა მეპატრონემ მალე დაიმსხურა მთავრობის ყურადღება თავის ერთგული და ჰაზრიანი სამსახურით. ხომ გახსოვთ, როგორის ქებით იხსენიებდნენ მას გაზეთები და რა მალე გაიწვიეს ის სატახტო ქალაქში. წასვლისას უხვად დააჯილდოვა დიდკაცმა თავის ამაგდარი გიორგი და თითონვე მოუხერხა განდევნის ვადის შემოკლება. მთლადაც გაანთავისუფლებინა იღბლიანი და გაახარა. ბედი იმისთვის შეეწია ახალგაზრდას, რომ დარიკო ევედრებოდა ღმერთს: კალთა გადაეფარებინა მფარველი ალაღ-მართალი ბიჭისათვის, უვნებელად დაეცვა ის უცხო მხარეს და მშვიდობით დაებრუნებინა თავის ქვეყანაში. ძლიერია ქალწულის ლოცვა და შესაწყნარებელი, იგი სუნნელოვან გუნდრუკად აღემართება ზეცას და ეფინება ყოვლადძლიერის კალთას.

ეხლა კი ჯარასავით დატრიალებდა გიორგი. მთელი თვისი გამჭირახობა მოახმარა ამ ახალ საქმეს, მაგრამ ჩასჭიდა მას თვისი მადლიანი მარჯვენა და წარმართა იგი სახეიროდ. ფულმა შეგროვება იწყო მის ხელში, შექუჩება. მუშტარს მოეწონა ახალგაზრდა ვაჭართან საქმის დაჭერა: დიდ მოგებას არ დაგიდევდა, დარდიმანდულად ვაჭრობდა, ოღონდ კი ცოტა რამ დარჩენოდა ხელში და მაშინვე ასაღებდა საქონელს. რა არ იყიდა და გაყიდა! რა საქონელმა არ გაიარა მის ხელში! სულ რაღაცა წელიწად-ნახევარში საკმაო თანხა შეუგროვდა. ხუთასი თუმანი ნაღდი ჰქონდა ეხლა გიორგის და ეს ხომ მის ყოფა-გარემოებაში ზღაპრული სიმდიდრე იყო.

აი ამ ხანებში იყო, რომ ვაჭრობაში გართულმა გიორგიმ ვეღარ გაგზავნა წერილი სამშობლოში. ან ვისთვის გაეგზავნა წიგნი და რა მიეწერა, როცა პასუხი აღარავისგან მოსვლია?!

– დამივიწყეს, ყველამ დამივიწყა; დარიკომაც მიმატოვა. ვინ იცის, მკვდარიც ვგონივარ. როგორ იმედს მაძლევდა: გულიდან არ ამოგიღებო! – ფიქრობდა შიგადაშიგ.

– ალბად გათხოვდა. სწორედ მჭედლიაანთ ვანუას გაჰყვებოდა, იმ დუნდულასა. მითომც ისიც ჯეელია რაღა! ერთი გავადო, ციბრუტივით დავატრიალებ. ვანუა და

დარიკო! აფსუს, ქალო, აფსუს! – ამბობდა გიორგი თავის გულში და გაჯავრებული უფრო ცდილობდა მოემარჯვებინა საქმე.

– რა პირკატა ეცემა დარიკოს, რომ ფულიანი კაცი ჩავალ! იმასა ჰგონია, ჯერ კიდევ ორი წელიწადი უნდა ვიყო აქ და მერე დაგლახაკებულ-დაავადებული დავბრუნდები... ახი არ არის, ერთი ისეთი ქალი შევიერთო აქ, რომ მასკვლავებს ეთამაშებოდეს... ვაჰ, რა უშნოდ ლაპარაკობ, ჩემო თავო! აქაური ქალი და ჩვენებური ოჯახი! არა, ჩავალ და იქ ავირჩევ საცოლეს, ისეთს ქალს გამოვიყვან, რომ მზითუნახავი იყოს!.. მაგრამ დარიკოსთანას სადლა ვიპოვნი სხვას?! სადლა?! ახ, რად მინდა ფული ან სიყმე, თუ დარიკო არ მეყოლება?! მივალ, ვაყვედრებ მუხანათობას და თავს მოვიკლავ მის წინ!.. მაგრამ, იქნება ჩემს დაროკოს ფიქრადაც არ მოჰსვლია გათხოვება. იქნება მოთმინებით მელის საწყალი და გზისაკენ აწყდება თვალები!

ღელავდა ახალგაზრდა და გრძნობათა ტალღა ხან იმედთა კიდეს მიახეთქებდა მის ფიქრთა ნავს, ხან სასოწარკვეთილების უფსკრულში ჩაათავქვევებდა ჩასაძირად. ბოლოს ვეღარ მოითმინა, უეცრად შესწყვიტა ვაჭრობა, გაანაღდა დოვლათი, ერთი ოთხასი თუმანი გამოგზავნა თავის სახელზე, ას თუმნამდის დაიკერა აქა-იქ ტანისამოსზე ან ქისაში ჩაიღო და გამოფრინდა შინათკენ.

მოჰქროდა გიორგი და რაც უფრო უახლოვდებოდა თავის ქვეყანას, რაც უფრო ილეოდა მანძილი, იმდენი შიშით ელეოდა გული განუჭვრეტელ მომავლის წინ.

რა გაშინებს, შე ლაჩარო! იქნება დარიკოს გულში სიყვარული უფრო გააძლიერა შენმა მოშორებამ, იქნება ტრფობის დარდი დაერთო და სევდიანმა სიყვარულმა ჩააშავებელა ქალი და ჩაადნო. აბა თუ კარგი ჯეელი ხარ, მიდი და გაახარე, გააღაღანე, როგორც ვარდი ფურჩქენილი, ერთი შვიდმასის წვიმასავით დაუნამე დამწვარი გული!

– „წვიმავ, მათი შენ გელოდება“... – შემოსძახა ფიქრით გატაცებულმა ჭაბუკმა. და უეცრად გამოერკვა ოცნებას. თანამგზავრები გაკვირვებით შეჰყურებდნენ ახალგაზრდას.

15

გიორგის რომ ხან იმედი გაუშუქებდა და ჭრელ ოცნებათა წალკოტში ანავარდებდა, ხან კი უიმედობის შავი ბურუსი წამოებურებოდა და მზეს უბნელებდა; ის რომ მიისწრაფებოდა წინ და თან ეშინოდა გზის დაღვეისა, რომ გული არ მოჰკვდომოდა იქ, გზის ბოლოში, დარიკოანთ იმედი მოსპობოდათ ამ დროს კი უღონოდ აჰყოლოდნენ ავ დროთა სრბოლას, რომელიც უბედურებისკენ მიაქანებდა მათ. აგერ კიდევ ორი დღე და მათ საყვარელ კედელ-კუთხეს გულცივამე დაეპატრონება. ის ხომ მაშინვე დაანგრევს სახლს. მის უზარმაზარი სასახლე გადმოსდგამს ნაბიჯს და ქვეშ დაიტანს სახლის ნანგრევებსაც და სახლის ადგილსაც, იმ მათთვის დაუფასებელ პატარა ადგილს, რომელიც ისე უყვართ მათ, რომელიც მათ არსების ნაწილს შეადგენს, მათ პიროვნობის განგრძობას. მოისპობა ამ უბანში ხსენება და ხსოვნა დარიკოანთიც. ხვალზევით მოესპობათ დარიკოანთ მამაპაპეული ბინა და მასთან ერთად ყოფა ადამიანური.

გააშრო და დააუძლურა ქალები მათზე მოსულმა უბედურებამ, დაჰკარგეს მათ მოქმედების უნარი, მოსაზრებათა ნაკადი ამოშრა მათ არსებაში, სასოწარკვეთილებამ გაყინა და უგრძნობელჰყო მათი სული. უბედობამ დაამცრო იგინი, შეამოკლა, შეკუმშა, გაანადგურა. ჩამოწვა უკანასკნელი ღამეც. მეორე დღეს უნდა გჰყიდოდათ სახლი. ხვალ შუადღემდის კიდევ მათი იქნება ბინა, მერმე კი... მოიტანეს ვახშამი, ახლიჩეს პური, გაცოხნეს. მწარე იყო ის დალოცვილი და მშრალი, ყელში არ

ჩადიოდა. ისე ჩაწვა დარიკოს დედა, ხმა არ ამოუღია, არც ხატისკენ მიუხედნია. რაღას უშველიდა ეხლა ლოცვა?! ცოტა ევედრა ღმერთს, რომ ასცილებოდა ეს განსაცთელის დღე? მაგრამ ვერ გააგონა თავისი ვედრება ვერც ცას, ვერც დედამიწას. დარიკო მაგიდასთან იჯდა უძრავად, მარმარილოს ქანდაკებას დამსგავსებოდა უსისხლო. გადავიდა შუალამე. ქალი ადგა, გამოსწია უჯრა, ბოლჩა ამოიღო და გახსნა. ახალუხის შრიალზე გიორგის სახე მთლად დაეხატა დარიკოს გონებაში, ისე ნამდვილ ედგა ახალგაზრდა ქალს თვალწინ, როგორც ცოცხალი. ქალმა დახარა თავი, ჩამალა თავი ახალუხის კალთებში და ატირდა მწარედ. მთლად თრთოდა, უხმოდ იფუფქებოდა, უსიტყვოდ. სულთქმა ყელში უჭერდა, ახრჩობდა დედაგულს. სალომეს კი არა გაუგია რა: ღრმად ეძინა უსიზმროდ, გაუნძრევლად.

გათენდა. ცა მთლად მოწმენდილი იყო, გუშინდელი მონამული მიწა ოდნავდა იყო ნესტიანი. წმინდა და გამჭვირვალე ჰაერი გააპკეს მზის სხივებმა მსუბუქ ფრთით და აალაპლაპეს. ბუნება მხიარულად იღიმებოდა: უხაროდა, რომ იძლია წყვედიადი ღამისა და განიდევნა. გაიღვიძეს დარიკოანთაც. ქალმა დაგავ-დაწმინდა ეზო, დაარაკრაკა. მორთო გულდამწვარმა ჭირისუფალმა ძვირფასი მიცვალებული. აადულეს ჩაიდანნი. ბერიკაცსაც მიუტანეს ჩაი. მოძრაობდნენ ჩვეულებისამებრ, ხმას კი ვერ იღებდნენ. რა უნდა ეთქვათ? ან რა სიტყვას უნდა დაეხატნა სიმძიმე მათის მწუხარებისა?!

ეს დილა იყო, როცა გიორგი შემოვიდა ქალაქში. ღელავდა, შინ მისვლა ესწრაფებოდა. ეტლით წამოვიდა. ქუჩებს უალერსებდა გზადაგზა, სახლებს უღიმოდა. უნდოდა ყველას მიჰსალმებოდა, ყველასთვის ხმა გაეცა, გადაჰხვეოდა. რა კარგი იყო ეს ქალაქი, მშვენიერი, შეუდარებელი! განა შესაძლოა კიდევ სხვაგან სადმე იცხოვროს ადამიანმა და თავს ბედნიერად გრძნობდეს?! ეტლი მივიდა დანიშნულ ადგილას და შედგა. გიორგი დააშტერდა ქუჩას და ველარ იცნო, ბევრი რამ შეცვლილიყო სამ წელიწადს: იმ ქოხის მაგივრად, საცა მაშინ ცხოვრობდა გიორგი, უზარმაზარი რამ შენობა ამართულიყო. გაუსწორდა მეეტლეს. ფეხით შემოუარა სახლს. ნასახიც ველარ იპოვა ძველის ბინასა. ნაცნობიც არავინ შეჰხვდა, რომ ეკითხნა თავის მამის ამბავი. ერთ წამს დაიბნა, შედგა: არც იცოდა, რა ექნა ან საით წასულიყო. – დარიკოსთან წადი, შენ დარიკოსთან! იქ გაიგებ ყველაფერს, – ჩასჩურჩულა გიორგის იდუმალმა ხმამ.

გიორგიმ გასწია დარიკოანთკენ. გასცდა გულცივადის სასახლეს და ნაცნობმა ეზომ კი შეანათა მის თვალეში. შედგა ერთ წამს. თვალი გადაავლო თავის ტანისამოსს: ბეწვის ქუდს ხელი გადუსვა, მაუდგადაკრული ქურქი ჩაიღია, წადის ყელი გაისწორ-გაიბერტყა, ერთი ღრმად ამოისუნთქა და შეალო ბჭისკარი. დარიკო დახვდა წინ. ის იყო პირი დაალო ქალმა ვინაობის საკითხავად, რომ იცნა მისული და ხელგაპყრობილი წაესწრაფა მისკენ, მაგრამ სიხარულის ელდამ მუხლთ მოჰკვეთა სევდისაგან გაწამებულ ქალს და წატორტმანდა იგი. გიორგიმ არ დაუშვა დარიკო ძირს: გადაფრინდა მისკენ და მძლავრად ჩაიკრა გულში თავისი სიცოცხლე.

ხ უ რ დ ა

I

მაღალი მთის გული ღრმად გაეპო ანკარა ნაკადსა, კისკასად მოჩანჩქარებდა ქვა-კლდიან ხევში, მოსცურავდა მოლიპულ სიპებზე, სხლტებოდა ლოდიდან ლოდზე და მარგალიტის მარცვლებად ეფინებოდა ჩახრიალას. ხანდისხან თავს შეიმაგრებდა მკვირცხლი, დაწყნარდებოდა, ჩატბორდებოდა, ჩაღრმავდებოდა, თითქო დიდი რამ მდინარე ყოფილიყოს დადინჯებული. მაგრამ იგი მისი დაბრძნობა ხნიერი არ იყო, ცოტა მანძილს მისდევდა მას იგი დარბაისლობა; მალე ისევ შეთამაშდებოდა და კასკასით გადაეშვებოდა ჩაკიდებულ თავქვეს ცელქი, დაუდევარი. მთის ყვავილნი ღიმილით დასცქეროდნენ მის გიჟურ ლტოლვას და თავს უქნევდნენ სალამის ნიშნად.

ჩაათავა ნაკადმა ვიწრო ხეობა და გზა გაიკვალა ვაკისკენ. აქ კი მომდორდა, ნამდვილ დაწყნარდა, ნელა დაიწყო დენა, დარბაისლურად და თან გაიხედ-გამოიხედა აქეთ-იქით: ახალს არემარეს ათვალიერებდა, სცდილობდა ყველა ადგილი გაესინჯა, ყველგან მისწვდომოდა თავისი ტოტებით. დროც იყო თავს დასწყნარებოდა, ბალღური სიცელქე და უზრუნველობა მიეტოვებინა, ნაყოფიერ შრომას შესდგომოდა. განა პატარადა და უსუსური! კარგა მოზრდილი მდინარეა და უკვე შეუძლიან სასიკეთოდ ზრუნვა. დროა შეიგნოს, რომ ის არის ერთადერთი იმედი ამ ვაკეზე გაშენებული სოფლებისა: ბაღ-ბოსტნებისათვის თუ ყანებისათვის უნდა მიეშველებინა თავისი მაცოცხლებელი ცვარი, თორემ ძალიან ცხელოდა აქ და მზე ამოსწვამდა დედამიწას, ნებას არ მისცემდა აღმოეცენებინა ნაყოფი მაღლიანი; ხალხი და ყველა სულდგმულიც მას შეჰხაროდა, როგორც სიცოცხლისა და ცხოვრების მიმცემელს, რადგან უმისოდ ჯოჯოხეთის ალი დასწვავდა მათ და მოაშთობდა. შეღერებულ ნაკადს კარგად ესმოდა ეს და ყოველ მხრივ დაეგზავნა თავისი ტოტები, რომ ყველგან მიეტანათ მათ იმედი და სიხარული. ნაკადის ერთი რტო მწვერვალთანსაც გადასულიყო, მხიარული რაკრაკით ჩასდევდა მთელ ეზოს და შესრიალებდა კარის ვენახში.

მწვერვალთან ეზო დიდი იყო, უზარმაზარი. გარს მწყობრად დარაზმული ალვის ხე უვლიდა. ვეება ალაყაფის კარები ფერადი წამლით დაეჭრელებინათ. ეზოში მოსჩანდა ორსართულიანი სასახლე. ფართე წინგარდი გადმოჰყურებდა ეზოს, ჩუქურთმით მორთული. ბეღელი, სათონე, სამზარეულო და ათასი სხვა შენობა მოსდევდა სახლს აქეთ-იქით და ერთის შეხედვით მეკომურის სიმდიდრესა ჰმოწმობდა. მაგრამ თუ ჩაკვირდებოდით, შენიშნავდით რომ ყველაფერი რიგიანად ველარ იყო მოვლილი; თავმინებებული მოსჩანდა ყოველივე. ეზო-ყურეში ერთი ბიჭი ტრიალებდა და ზღაზვნით ჰკაზმავდა მშვენიერ ტაიქს. აივანზე იჯდა ხანში შესული კაცი, ყალიონს აბოლებდა ჩაფიქრებული. გაიღო ოთახის კარი, გამოვიდა წითლებში მოსილი შეიარაღებული ყმაწვილი, ჩამოირბინა კიბეზე, მოახტა ცხენს და გაქუსლა. მოხუცი ერთხანს მიაშტერდა მას, მერმე ხელი ჩაიქნია უღონოდ და უფრო ჩაფიქრდა. ცოტა ხანს შემდეგ ეზოში შემოვიდა ახოვანი რამ კაცი ხელჯოხიანი, გულზე წმიდა გიორგის ჯვარი ეკიდა.

– ბატონს ვახტანგს ვახლავარ! – მიესალმა მოსული.

– ნოდარ, შენა ხარ? გაგიმარჯოს ღმერთმა! რაო, რა ამბავია?

– თქვენი დღეგრძელობა, ბატონო! ხალხი შეიკრიბა, ბოქაულიც მოვიდა და აბა წამობრძანდით.

– კარგი, მოვალ! შენ წადი, მიჰხედე იქაურობას.

2

იმ დროს იყო ეს, როცა ბატონყმობა უკვე მოსპობილი იყო, გარნა კეთილშობილობას ჯერ ფერი არ გაჰხუნებოდა, პეწი არ შეჰშლოდა, არც ყელი გადაეგდო საბრალოდ; მას ჯერ ისევ მაღლა ეჭირა თავი და ზევიდან დასცქეროდა ნაყმევ მოძმეს; იგი ჯერ აბრუს არ იტეხდა, თავისას არ იშლიდა და უწინდებურად სიამოვნების ტბაზე დასცურავდა უდარდებლობის თუ უზრუნველობის ნავით. გრძნობდა კი, კიდევ ჰხედავდა, რომ ფეხქვეშ ნიადაგი გამოსცლოდა და უფსკრულისაკენ მიექანებოდა.

მდაბიო ხალხს კი თავისუფლება მოჰნიჭებოდა, ხელ-ფეხი გახსნოდა, წელში გამართულიყო და უკვე იბრძოდა მთლად განთავისუფლებულიყო იმ საზიზღარ მონობის ჭაობიდან, რომელიც აქამდის ჰფარავდა მას ქოჩრამდის და სულს უხუთავდა თავის სიბინძურით.

მაღალი წოდება შიშითა და ბოღმით გაჰყურებდა მომავალს, რადგან მემკვიდრეობით უსაქმობას შეთვისებულს და უზრუნველობას შესისხლხორცებულს საკუთარი ძალა ვერ წაემძღვარებინა წინ ამ ახალ გზაზე ცხოვრებისა, ხოლო ნაჩვევი ვეშაპი უძლებობისა ისევ ფეხდაფეხ მისდევდა მას და არა შორდებოდა. მდაბიო ხალხი კი იმედის ცისარტყელასა ჰხედავდა ამ ახალ სარბიელზე, რადგან მას ძველთაგან ნაანდერძავი შრომის უნარი და მხნეობა წაემძღვარებინა წინ, ხოლო თანამგზავრად აჰყოლოდა თანშეზრდილი მომჭირნეობა თუ მოთმინება.

ერთი რომ დაღმართს დასდგომოდა და არარაობის უფსკრულისაკენ დაშვებულყო, მეორე უკვე ამოსულიყო ამ არარაობის წყვდიადიდან და იმედმოსილი შესდგომოდა იმ აღმართს, რომელიც თანდათან ნათელს და ბედნიერებას უახლოვებდა მოგზაურს. ერთისა ჯერ-იყო აღორძინებად, ხოლო მეორისა მოკლებად და დამდაბლებად.

ჯერ დასაწყისი იყო ამ ორგვარ მსვლელობისა და თავთავქვე დაშვებულნი ჯერ ისევ მაღლა იდგნენ და დიდობდნენ, ხოლო აღმავალნი ჯერ ისევ დაბლა იყვნენ მთის კალთებში და თვალს ვერ უსწორებდნენ ჯერ ისევ გაბრწყინვებულთ.

3

ნაყმევთაგან შიგადაშიგ კი დაწინაურებული იყო ზოგიერთი და თითქმის გათანასწორებოდა უკვე დაქვეითებულ ბატონეებს, მათ გვერდში ამოდგომას ჰლამობდა, თუმცა მოკრთალებით და გაუბედავად. ამ დაწინაურებულ ნაყმევთა რიცხვს ეკუთვნოდა ნოდარ ნაირაძე, რომელიც სოფელ იანიანში პირველ კაცად ითვლებოდა დღეს ქონებით თუ გავლენით. ეხლა ის შუახანს გადაცილებული კაცი იყო, მაგრამ ისევ წარმოსადეგი, მწითური. მეტ სახელს ხუნძაყს ეძახდნენ, რადგან ოდესმე ხუნძაყში ებრძოლნა და ჯვარიც იმ ბრძოლაში მიეღო. ხუნძაყი პატარობიდანვე ბატონიანთ სასახლეში იყო აღზრდილი, როგორც მორბედი და

ბატონიშვილი ვახტანგის გამრთობი თანატოლი ბიჭი. მერე, როდესაც ბატონიშვილს ომებში დაეწყო სიარული, ნოდარი თან ასდევნებოდა თანამებრძოლად და იარაღის მტვირთველად. ბევრი რამ გადაჰხედოდა ნოდარს, ბევრჯელ გადაერჩინა ბატონი ვახტანგი ტყვეობისა და სიკვდილისაგან, ბევრჯელ შეუშველელია მას თავისი ხმლის ყუა ბატონის გასაგმირად მოქნეულ მტრის ხმლისათვის. ბატონიც ამაგდარი იყო: რამდენჯერმე გამოეტანა დაჭრილი ხუნძაყი გამწარებულ ომიდან სამშვიდობოს. ეს იყო მიზეზი, რომ ბატონყმობის დროსვე ნოდარი და ვახტანგი დაახლოვებულნი იყვნენ, ერთმანეთის ქომაგნი და გამტანნი: ომის ზარს დაემაგრებინა ისინი, დაეკავშირებინა, როგორც თანამებრძოლნი. ხმლის ქვეშ და ტყვიის წინ ყველა მებრძოლი მხოლოდ ამხანაგია და მაშველი, აქ ბატონურ მედიდურობას და მბრძანებლობას ადგილი აღარ აქვს, თუ მეტადრე თანამებრძოლი მხნეა და სანდო ქომაგი. ნოდარი კი გულადი იყო და ყოველთვის მოხერხებული.

მშვიდობიანობის დროს ბატონი, რასაკვირველია, ისევ მბრძანებლად გარდაიქმნებოდა, მაგრამ ომში ნაჭედ-ნაწრთობი ძმობისა და თანასწორობის კვალი მაინც რჩებოდა, მთლად არ იშლებოდა და ბატონი რბილად ექცეოდა ნოდარს, სხვებისგან ბევრად არჩევდა, ეს მით უფრო, რომ ბატონის მხნეობის თუ გულადობის ერთადერთი მოწმე და მისი ნაამბობის დამადასტურებელი ხუნძაყი იყო. ბატონს კი უყვარდა წარსულ ბრძოლათა მოგონება, გარდასრულ ღვაწლთა და მამაცობათა გახსენება. წვეულობაში თუ ყრილობაში ომზე ჩამოაგდებდა საუბარს და მოჰყვებოდა თავის თავგადასავალს, თან ცალი თვალი ხუნძაყისაკენ ეჭირა: კვერი დამიკრას, სიტყვა დამიჭემმარიტოსო.

– გავიწყდებათ, ბატონო, გავიწყდებათ! – ჩაერეოდა ნოდარი საუბარში, – დალლო რომ ავიღეთ და ავიკელით, თქვენმა კეთილმა გულმა მშვენიერი გულ-ყიზი გადაარჩინა ჯარისკაცების მძვინვარებას. დასწვდა, ბატონებო, ი შეშინებულ ქალს შემოიგდო ტახტაზე და ჰერი! მერმე ერთი კვირის შემდეგ ათ თუმნად დაიხსნეს ის ქალი.

– არ კი დამავიწყდა, ბიჭო, მაგრამ მაგისთანების თქმა ქალბატონს ეწყინება და სჯობს დავიწყებას მივცეთ! – მორცხვად მიუგებდა ბატონი.

ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ ხუნძაყსა და ბატონს შორის დამოკიდებულება და პირადი ურთიერთობა ისევ ძველებური დარჩა: უფროს-უნცროსული და ხათრიანი. ნოდარი სიყვარულით და პატივისცემით ეპყრობოდა თავის ნაბატონარს, ბატონიც ჰშველოდა მას, რითაც შეიძლებოდა, მხარს უჭერდა. ნოდარის შვილი ილიკო რომ ეხლა სამხედრო სასწავლებელში სწავლობდა სახელმწიფო ხარჯზე, ეს ბატონი ვახტანგის წყალობა იყო და მეცადინეობა. მართალია, ნოდარს უფლება ჰქონდა, როგორც ჯვარის მექონს და ომებში დამსახურებულს, მაგრამ უფლებას ვინ დაგიდევს, თუ შემწე არა გყავს და დამხმარებელი?! ბატონის სიტყვამ კი შემწეც აღმოუჩინა მას და გზის მაჩვენებელიც.

ხუნძაყმა რომ ბატონი ყრილობაზე მიიწვია, ეს ყრილობა მამასახლისის ამოსარჩევად გაემართნა ბოქაულს. ბატონის სურვილი იყო მამასახლისად ნოდარი ამოერჩიათ და კიდევ მიაღწია თავის წადილს, რადგან მოქაულს, მღვდელს თუ სხვა თავკაცებს სრულებითაც არა ჰსურდათ ეწყენინებინათ ბატონისათვის და პირდაპირ მიუთითეს ხალხს ნოდარზე. არც დასაწუნი იყო ხუნძაყი: სოფელი იმაზე შეგნებულს,

გამოცდილს და მიჩნეულს ვერვის დაასახელებდა, მით უფრო, რომ ნოდარი წიგნის მცოდნე იყო და რუსულსაც ამტკრევდა. მაინც აზრის სხვადასხვაობამ იჩინა თავი ყრილობაზე და ჯგუფ-ჯგუფად დანაწილდა ხალხი. ნოდარის მოწინააღმდეგე ჯგუფი პატარა იყო, თუმცა უფრო საღი და მოსაწონი ჰაზრის მატარებელი: მათი აზრი სოფელსაც უფრო მოსწონდა და სწორედ ამ აზრს გაატარებდა და განახორციელებდა, თუ დიდკაცთა გავლენას არ დაეძლია ყრილობა.

– ხუნძაყი, ჩემო ძმავ, ისევ ბატონის წილი და კერძი კაცია, ისევ წინანდებურად ყმა არის მისი ყურმოჭრილი, ბატონისავე სიტყვა გაჰყავს და სურვილები.

– მწყალობელი ჰყავს და ბატონი! უიმისოდ ეხლა მაგის ბიჭი სკოლაში არ იქნებოდა გაბრწყინვალეებული. დახე, როგორ აცვია, თითქო ეხლავე უფროსიაო.

– სოფლის მამასახლისის ნამდვილი სოფლიდან უნდა იყოს, სოფლის შვილი; ჩვენი კაცი უნდა იყოს, ნამდვილი გლეხი, გლეხოებაში გამოწვრთნილ-გამოჯეკილი, რომ ჩვენი ჭირ-ვარამი გაიგოს და ჩვენ სატკივარს ეწამლოს.

– აი მართალი სიტყვა! თორემ რა იცის ხუნძაყმა სოფლისა?! პატარობიდანვე ბატონის კარს არის გაზრდილი, ომებში ბატონთან ნამყოფი; ბატონური ზნე-ჩვეულება აქვს ძუძუს რძესავით შეწოვნილ-შეთვისებული და, აბა რად უღალატებს ბატონს ან როგორ მოახერხებს?!

– ჯვარ-მენდლებიც რომ ჩამოუკანკურებია! ბატონია რაღა ჩვენი, პატარა ბატონი!

– არა, ჯვარი რომ ჩამოუკიდნია, ღირსიც არის, მე და ჩემმა ღმერთმა, რადგან ბევრი სისხლი დაუღვრია ურჯულოებთან ბრძოლაში, ტყვიით და ხმლით დაცხავებულ-დაკეპილია კაცი; მაგრამ ნამდვილი გლეხი ვერ არის, რადგან ბაღლობიდანვე მოუცილებიათ გლეხის კერისათვის და სწორედ ესა გვაქვს საჩივარი, – ამბობდა სხვა. ამ უკმაყოფილოთა და უარყოფელთა რიცხვში პირველობდა ბატონიშვილი ლევანი, ჯერ ისევ ჭაბუკი პირტიტველა ახალგაზრდა. მესამე კლასამდინ მიაღწია ლევანმა სასწავლებელში და მერე დაითხოვეს: ამტუტა ონავარმა იქაურობა და შეუძლებელიდა იყო მისი იქ დამყოფება. დაუნდობელ-დაუდეგარი ვერც ერთ ფარგალში ვერ ეტეოდა, ვერც ერთ ყალიბს ვერა მშვნებდა და სულსა ხდიდა აღმზრდელებს თუ ოსტატებს. სრულებით არად შეიმჩნია ლევანმა გმორიცხვა. ჩაიცვა წითელი ჩოხა-ახალუხი, აისხა იარაღი, დაიხურა ფაფახი, მოაჯდა მერანს და გაუტია, დაჰქროლავედა ხან აღმა, ხან დაღმა.

სასწავლებელში სწავლობდა ნოდარის ბაღლი ილიკოც, სამხედრო სკოლაში. ის მუშა ბაღლი იყო, მუყაითი და საუკეთესო შეგირდად ითვლებოდა. ბატონი ვახტანგი აყვედრიდა ლევანს და მუდამ ილიკოზე უთითებდა, როგორც მაგალითზე, არცხვენდა შვილს, აღიზიანებდა ილიკოს შექებით. ეს იყო მიზეზი, რომ ლევანმა შეიძულა ილიკო, მტრად დაისახა იგი და მზად იყო გაენადგურებინა ისიც და მისი მამა ნოდარიც. ეხლა ახალგაზრდები ორივენი ხალხში გარეულიყვნენ, ლევანი ბატონკაცურად გამოწყობილი ცხენითა და მათრახით ხელში, ილიკო შეგირდულ ტანისამოსში. ლევანი ნოდარის მოძულეთა ჯგუფში ჩამდგარიყო და, რაც შეიძლებოდა, სამტროდ აქეზებდა მის მოწინააღმდეგეთ. როდესაც ნოდარი დიდის ხმის უმეტესობით ამოირჩიეს მამასახლისად, ლევანი გაბრაზდა, მთლად აირია და დაიწყო ხმამაღლა გმობა ნოდარისა. ეხლა კი ჩამოეცალნენ ხუნძაყის მოწინააღმდეგენი ლევანს: საშიში იყო ნოდარის ლანძღვა, როგორც ამორჩეული მოხელისა და თანაც დიდი უარყოფელნიც არ იყვნენ ნოდარისა, არც შეურიგებელნი. ამან მთლად გააბრაზა ლევანი და ტვინი აურია.

ბოღმამოწოლილმა ლევანმა შეასწრო თვალი თავის მეტოქე ილიკოს. ის მწერალს ამოსჯდომოდა გვერდში და მის კალმის წვერს ადევნებდა თვალს კმაყოფილებით. თვალი დაუბნელდა ბრაზმორეულს. ისე მოეჩვენა, თითქო სწორედ ილიკომ აჯობა მას და ბურთი გაიტანა მოედნიდან, თითქო მხოლოდ ის ორნი იყვნენ გამოსულნი საბრძოლველად მოედანზე, ხალხი კი მარტოოდენ სეირის მაყურებელი იყო და მოწმე მათის ბრძოლისა.

ყველგან ილიკო, ყველგან და ყოველთვის ვიღაცა ტეტის შვილი ილიკო და ყველგან გამარჯვებული სკოლაშიაც და, დახე, ცხოვრებაშიაც! არა, აღარ შეიძლება მოთმენა. სწორედ აქ, სწორედ ეხლა უნდა გაუსწორდეს ლევანი ილიკოს, უნდა დაამდაბლოს იგი კრების წინ, სამასხარო გახადოს ხალხის თვალში; მთლადაც უნდა გაანადგუროს იგი და მოსპოს, დიად, მოსპოს!

– შენ ეი, ილუავ! რა ნალიტა ხბოსავით ამოსჯდომიხარ მა მწერალს გვერდში? ოქმის დაწერა ხომ არ გინდა ასწავლო? ძალიან გიხარია, არა, რომ მამაშენი სოფლის მოსამსახურედ დააყენებინა მამაჩემმა?

– სოფელი ეხლა თავისუფალია და არავის კარნახი არა სჭირია მას; თითონ იცის, ვინც უნდა დაიყენოს მომვლელად და პატრონად. და მე რომ მწერალს ვასწავლო რამე, გასაკვირველი არ იქნება: ჩვენ სასწავლებელში გვწრთვინან, ამას კი სკოლა არ გამოუვლია.

– შენ თუ სკოლაში ხარ, ვინ იცის, სიბრძნით გაქვს გოგრა გამოტენილი! ...

გაკვეთილებს რომ თუთიყუშივითა ჰზეპირობ, ის ხო არა გგონია მეცნიერება?

– იცით, ხალხნო, – მიუბრუნდა ლევანი კრებას, – ამ ბიჭისთანა შეგირდებს ძალიან აფასებენ სკოლაში: რაც უნდა აბდაუბდა კვეთილი მისცენ ოსტატებმა, ზეპირად ჩააბარებენ სიტყვა-სიტყვით, თუნდაც არა ესმოდეტ რა; თანაც კისერწახრილი მონები არიან ყველა უფროსისა, რაც უნდა უბრძანონ, უთქმელად ასრულებენ, თუნდა მაგათივე გათახსირება მოითხოვონ. ისინიც თავზე ხელს უსვავენ მაგათ და ჭკვიანებს ეძახიან.

– სწორედ ეგრე უნდა იყოს, როგორც ბატონიშვილი ბრძანებს! ჩვენც ხომ გავაზე ხელს ვუსვამთ და ჭკვიანს ვეძახით იმისთანა კვიცს, რომელიც ხედნასა მშვნეობს და შეჯდომას, – თქვა ერთმა სიცილით.

– შენ ხომ დაამტკიცე შენი სიჭკვიანე და რაღა გინდა? სულ ოთხ წელიწადს გაიარე რვა წლის გასავლელი და ქება დიდებით დაბრუნდი სახლში, – მოუჭრა ილიკომ.

ილიკოს სიტყვებზე ხალხს გაეცინა.

– ვის უბედავ მაგისთანა სიტყვას, შე ტეტიავ?! დაგავიწყდა, რომ გუშინ მონა იყავ ჩვენი?

– ეგ გუშინ იყო! დღეს აღარავისა აქვს უფლება გლეხკაცს მონა დაუძახოს და ტეტია.

– აბა თუ არა მაქვს უფლება და გაჩვენებ! – შესძახა გაბრაზებულმა ლევანმა, გადაფრინდა ილიკოსაკენ, წაატანა ქოჩორში ხელი და შეუმაღლა მათრახი, მაგრამ ილიკო გაუსხლტა გვერდზე და მხოლოდ მისი ქუდი შერჩა ლევანს ხელში. ლევანმა დაახეთქა ქუდი, წიხლი ამოჰკრა და ისევ მიიწია ილიკოზე. დაიჭირეს, აღარ გაუშვეს. შეურაცყოფილმა ილიკომ თავდახრილმა გასწია შინისკენ.

არის შეცოდება, რომლის შენდობა შეუძლებელია, დავიწყება მოუხერხებელი. ამისთანა წყენის კვალი აღარ იშლება გულში, როგორც რამ ავი იარის ნასახი კანზე.

„ყოველივე მიეტეოს ძეთა კაცთასა, ცოდვანი და გმობანი, ხოლო რომელმან სთქვას გმობაი სულისა წმიდისათვის, არა აქვს მიტევება უკუნისამდე“.

და ყოველ ადამიანსა ჰყავს თავისი წმიდა სული და აქვს წმიდა-წმიდათა სავანე ხელშეუხებელი ამ სიწმიდისა. შელახვა მისი შეუნდობელია და მიუტევებელი, დაუვიწყარია და დაუცილებელი. ამისთანა წყენის სიმწვავე არა ყუჩდება, დროთა მსვლელობას არ ემორჩილება; ფერი არ უხუნდება მას და ყოველ მის გახსენებაზე ადამიანი ისევე იმღვრევა და წითლდება, თითქო იგი შეურაცყოფა ეს არის ეხლა მოხდა, ამ წუთშიო.

ილიკოს აზრით და გრძნობით ლევანმა სწორედ ისეთი შეუნდობელი შეცდომა ჩაიდინა მის შესახებ. თუ შესძლებოდა ახალგაზრდას, სწორედ მაშინვე კბილით დაჰგლეჯდა ლევანს და გაათავებდა; ეხლა კი დამცირებული დამორდა კრებას, დამდაბლებული, მიწასთან გასწორებული, არაკაცი.

– ვაჟკაცს საჯაროდ ქუდი მომგლიჯა თავიდან, დასცა, მიწას გაჰრია და მე კი ვერ შევძელი ჩემი თავის დაცვა და დაფარვა! ქუდს წიხლი ამომიკრა ხალხის წინ და ის ქუდი ხომ თვითონ ჩემი თავია, აწ პანდურამოკრული და გათახსირებული! .. მლანძღა და მე კი დამეხშო ბაგე. ვერ ვუთხარი მაგიერი. ზოგს შევებრალე, ზოგს გაელიმა. შევნიშნე ყველა ეს და დავმდაბლდი, ვაჟკაცი მქვიან და საბრალო კი შევიქმენი, საცოდავი.

იგონებდა ილიკო თითო-თითოდ ჩხუბის წვრიმალს და იტანჯებოდა უღონოდ, თავისივე კბილით სჭამდა თავის ხორცს.

– მათრახი შემიმალა, როგორც რამ პირუტყვს სახედნავს, მე კი ვერ მოვტეხე მას მოღერებული მარჯვენა. ფუ ჩემს ვაჟობას! იმდენი ხასიათიც კი არ დამყვა, რომ იქვე მომეკლა თავი, თუ მტრის ვნება ვეღარ შევსძელი, – ამბობდა ილიკო და თანდათან აზვიადებდა თავის შეურაწყოფას და ამ გაზვიადებაში მწარე კმაყოფილებასა პოულობდა უცნაურს.

მისთვის მოქნეული მათრახი თვალწინ ედგა ილიკოს ჰაერში შეთამაშებული, ცეცხლის ღვედებით იყო იგი ჩაწნული და გახურებული შანთივით მისკენ მიმართული. თვალღიას თუ თვალდახუჭულს იგი მათრახი თვალწინ უთამაშებდა და მრისხანედ ჩასცქეროდა თვალებში.

გააზვიადა ახალგაზრდამ ეს შემთხვევა, ერთობ გაადიდა, უზარმაზარი გახდა. ილიკო პატარაობითვე უფრთხოდა ჩხუბს, ფეხს არავის დაადგავდა, მოუხეშავად არავის შეეხებოდა სიტყვით თუ საქმით და ეს იმისთვის კი არა, რომ ბუნებით კეთილი იყო თუ უწყინარი, არამედ იმისთვის, რომ ეშინოდა, პირი არ შეებრუნებინათ მისთვის და არ შეჰხებოდნენ დაიარავებულ თავმოყვარეობას. თვითმოყვარეობა კი უზომო ჰქონდა.

ბავშვობიდანვე შნოიანი იყო ილიკო, მოცადინე, ნიჭიერი და თავისიანები თუ სხვები ყოველთვის ქებით იხსენიებდნენ მას, დიდ მომავალს უქადდნენ. სასწავლებელშიაც ესეთივე შეხედულება შემუშავდა მასზე. ბავშვი საშინელი მგრძნობიარე შეიქმნა თავის თავის შესახებ. ეს იყო მიზეზი, რომ ეხლა ესე მწარედ მოხვდა მის გულს ლევანის უგვანი საქციელი, თორემ ჩხუბში და აურზაურში რომ ყოფილიყო გამოჯეკილ-გამოჭედილი, იმისთანა უბრალო ამბავს აინონშიაც არ

მოიტანდა, მით უფრო, რომ შეეძლო პასუხი გაეცა მტრისათვის სიტყვით თუ საქმით: ენა ლევანზე მეტად უჭრიდა და მარჯვენასაც არა უშავდა რა, მოქნილი სხარტი ბიჭი ჯან-ლონით იყო სავსე და არც ისე ძნელი იყო მისთვის გამკვლავებულიყო ლევანს.

ილიკო თითონ იყო დარწმუნებული, რომ სწორედ უზომოდ დაამდაბლა იგი ლევანმა, თორემ სხვები ასეთ მნიშვნელობას არ აძლევდნენ ამ წატოლებას და წაკინწლავებას, მათ თვალი და ყური შეჩვეული ჰქონდათ ახალგაზრდების შეხლა-შეჯახებისათვის; მხოლოდ დროებითი გასართობი იყო ამისთანა ამბავი მათთვის, როგორც მამლაცინების გამწვავებული ძიძგილი.

ეხლაც გააშველეს, ახმაურდნენ, გაიცინეს, ზოგმა ილიკოს დასცინა, ზოგმა ლევანს. ბიჭს ქუდი გაუწმინდეს მიაწოდეს.

ილიკო მაშინვე გაჰქრა კრებიდან. ლევანი ერთხანს ყოყოჩობდა ხალხში, ჰფენდა და ამხევებდა თავის სიყოჩადეს, მერე მოახტა ცხენს და გაჰქუსლა. დაიშალა ყრილობაც, ხალხი წავიდ-წამოვიდა. ვახტანგმა შეიყარა ყურთმაჯი და გასწია თავის სახლისაკენ. მას გვერდში მისდევდნენ ბოქაული და მღვდელი. ცოტა მოშორებით აჰყოლოდნენ ახალი მამასახლისი და სოფლის სხვა ქეთხუდები. ამათ ყველას იმედი ჰქონდათ, რომ ბატონი ამ შრომის შემდეგ პირს გაუსველებდა მათ და კუჭს უნუგეშებდა თავისთან თუ თავის ახლო. არც მოსტყუდნენ. მწვერვალიძის სახლის კარი დღესაც ისევე იყო ღია საპატიო მიმსვლელ-მომსვლელისათვის, როგორც ბატონყმობის დროს, როდესაც მას ჰყავდა მონა მრავალი, როდესაც მისი ოჯახი მის ყმების ქედზე იყო დამყარებული, როდესაც მასთან მიმსვლელ-წამსვლელის დამხვედრი თუ გამცილებელი მთელი სოფელი იყო, ხოლო პირად მისი საზრუნველი იყო მარტოოდენ განცხრომა თუ განსვენება. ეხლა ყოველივე ეს კეთილი მოკლებული ჰქონდა, მაგრამ ბატონი თავისას არ იშლიდა და უმძიმებდა ტვირთს საძირკვილიდან შერყეულ ოჯახს?! მაშ სად უნდა მიედრივნა თავი საპატიო სტუმარს, თუ არა მის სახლში?

ამ შემთხვევის შემდეგ ილიკომ დაირცხვინა ხალხში გამოსვლა. ყრილობას ერიდებოდა, მეზობლებს შორს უვლიდა, მიმსვლელს თავს არიდებდა; ეგონა, ყველას ახსოვდა მისი შეურაცყოფა და ყველა დამამცირებელ სიბრალოლით უყურებდა მას. თუ ვინმე შემთხვევით ლაპარაკს ჩამოაგდებდა ან ლევანზე, ან მამასახლისზე, ის თავის ქერქში ძვრებოდა და იქიდან გამოიყურებოდა ამრეზილი; ჰგონებდა, აი ეხლა გადავლენ ჩემ დამამცირებელ ამბავზე, აი ეხლაო. უფრო და უფრო ღრმავდებოდა მის გულში შეურაცყოფის გრძნობა, იარად გარდაექმნა იგი გრძნობა და უბრალო სიოს მოხვედრაზედაც სტკიოდა და სტეხდა.

ეს ტკივილი თან გაჰყვა ილიკოს სასწავლებელშიც და აჩრდილივით სდევდა მის გონებას ყოველ ჟამს და ყოველ წამს. მცირედი შემთხვევა კმაროდა, უბრალო სიტყვა, რომ ცხადად წარმოედგინა მის გონებას მთელი სურათი მისის დამცირებისა, სურათი აღსავსე ყოველივე წვლილით და დაფერადებული შავბნელი საღებავით. ხოლო ამ სურათში უპირატესი ადგილი ეჭირა მის შეურაცმყოფელ ლევანს, რომლის შემადღებელი მათრახი და ბოროტად მოღიმარე სახე თვალწინ ედგა არა როგორც სურათი მეხსიერებისა, არამედ როგორც ხორცსხმული ჩვენება. იგი ჩვენება თანა სდევდა მას მეცადინეობის დროს თუ გაკვეთილზე და ხასიათს უცვლიდა მის ჰაზრს, მრუდედ მიჰმართავდა მის მსჯელობას.

– „აკურთხევდით მაკურთხეველთა თქვენთა და ილოცვიდით მათთვის, რომელნი გამლავრობენ თქვენ!“ – კითხულობდა სჯულის მასწავლებელი და უკავშირებდა ამ მცნებას ღვთაებრივ სიყვარულს, როგორც მის შედეგს და მისგან მომდინარეს.

ამასვე იმეორებდა ილიკო და ისე მარჯვედ, როგორც შეჰფეროდა ეს სანაქებო შეგირდს, მაგრამ მხოლოდ ენით იმეორებდა, გული კი სულ სხვას უკარნახებდა.

– მაშ უნდა დამელოცნა ლევანი, როდესაც სახალხოდ მლანძღა მან და მაგინა; თავი უნდა მომეხარნა მის წინაშე, როდესაც მძლავრობდა ის ჩემზე და მამდაბლებდა?! აკი ესე მოვიქეცი შემთხვევით, სიტყვა ვერ შევუბრუნე, მაგრამ არამც თუ საქებად არ ჩასთვალეს ჩემი ქცევა, მასხარადაც ამიგდეს. ან რას გააგონებ აშვებულ ძალას, თუ ძალავე არ დაუყენე წინ და არ შეზღუდე მომრეობა?! დაახვედრე მეგელს დათმობა და იგი თავს აუშვებს, განამრავლებს ბოროტს თავის გარშემო, – ფიქრობდა ილიკო და უფრო ესმოდა მოსეს დარიგება: კბილი კბილისა წილ და თვალი თვალისა.

– „რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი, იგი ამაღლდეს!“ – კითხულობდა მოძღვარი და განმარტავდა, რომ სიმაღლე და დიდება მოელის ამისთანას მერმისსა მას საუკუნეში.

იმეორებდა მასწავლებლის წრთვნას ილიკო, ლამაზად იზეპირებდა, გული კი არ ითვისებდა ესეთს წრთვნას.

– ამ ქვეყნად ვცხოვრობ და ამ ცხოვრების კანონი მინდა. ვინც თავს იმდაბლებს აქ, დაბალ ღობედ რჩება, რომელზედაც აბიჯებს ყველა. ღირფი და თავწასული უფრო წინა ზის ცხოვრების ტაბლაზე, სინამ კლდემამოსილ; გამბედავი უღირსი უფრო ღირსეულად მიაჩნია ხალხს, რჩეულად და მარილად ქვეყნისა, სინამ თავდახრილი და თავმდაბალი ღირსეული. მაშ, თავი უნდა დამემდაბლებინა ლევანის წინაშე, ბოდიში უნდა მომეთხოვა, შევხვეწნოდი დამშვიდებულიყო, ხელზე უნდა მეკოცნა და მაშინ შევიქნებოდი საქები?

– „გიყვარდეთ მტერნი თქვენნი და კეთილყოფდით მოძულეთა თქვენთა, – განაგრძობდა ოსტატი და განმარტავდა, – ჭემმარიტმა სიყვარულმა არღა უწყის ბოროტება და მტერს თუ მოყვარეს მიაგებს კეთილს ისე, როგორც თანაბრად მოჰფენს მზე თვის სხივს ვარდსა და ეკალს“.

ილიკოც იზეპირებდა წაკითხულს თუ გაგონილს, მაგრამ მხოლოდ იზეპირებდა მისაგებად, გული კი ვერ ითვისებდა მას.

– მტერი იგია, ვინც გებრძვის და ისწრაფის გძლიოს, ხოლო ბრძოლის მცნება მარტივია და ცხადი: მოსპე, თორემ მოგსპობს! აქ რაღა ადგილი აქვს სიყვარულს, დათმობას?! განა შეიძლება უხათრო ყბადაღრენილ ლომს. ან შეიყვარო ის? მაშ მეც უნდა მიყვარდეს ჩემი შეურაცხყოფელი და მტერი ლევანი. არა! გული ვერ დაიტევს ამას, ვერც შეიგნებს გონება ჩემი, – ფიქრობდა ილიკო.

– „რომელმა გცეს ყვრიმალსა შენსა, მიუპყარ ერთკერძოცა!“ – კითხულობდა მასწავლებელი და ასურათებდა ამგვარ საქციელს, როგორც უმწვერვალეს სათნოებას. ისმენდა ილიკო ამას, იმეორებდა, ხოლო გულში ღელავდა ბოროტად.

– როგორ! მაშ, მათრახი რომ გადმომიქნია ლევანმა, არ უნდა ამეცდინა?! არამც თუ არ უნდა მოვრიდებოდი, არამედ ზურგი უნდა მიმეშვირნა მისთვის, რომ დაეკრა და გულის ბუხარი ეყარნა? არა! მონური მცნებაა ყველა ეს, დამონებული და უსასოქმნილ ერისაგან შეთხზილ-დაკანონებული. თავისუფლება ვერ შეითვისებს ამგვარ დარიგებას. მონისათვის კი ერთადერთი ხელსაყრელი წრთვნა არის ეს: უნდა ჰლოცო, მონავ, შენი მგმობელი ბატონი, რადგან თუ სიტყვა მკვახე ასმინე, მოგსპობს: მის ხელთ არის შენი სიცოცხლე! უნდა დაიმდაბლო თავი ბატონის წინაშე, ძონძად უნდა მოჰხვდე მის მძლავრ ხელს და კეთილ მონად გიწოდებს და თვის ნახრავ ძვალს

გადმოგიგდებს სუფრიდან ხელუკუღმა. თუ ბატონმა შეგიძულა და გადაგემტერა, არ შეიმჩნიო, მონავ, თორემ იგრძნობს, რომ გძულს იგი და მოგსპობს: მის ხელთ არის შენი სიცოცხლე! თუ ბატონმა შემოგკრას, არ მოერიდო, ლოყა მიუშვირე, რადგან თუ წინააღმდეგი მახვილით გაგიპობს გულს; მის ხელთ არის შენი სიცოცხლე! დიახ, ეს არი წრთვნა მონისა და მონური, ხოლო მე არც ყმა ვარ ეხლა, არც მონა! – ფიქრობდა ილიკო და ბოროტად მიიმართებოდა მისი არსება.

8

ბოროტმა ხსოვნამ ავად მიჰმართა ილიკოს მმოქმედი ნება, სისხლის აღების გზაზე დააყენა. ცხოვრება მარტოოდენ ბრძოლად წარმოუდგინა და დააბუდა მის გულში გადაჭარბებული შიში ცხოვრებისადმი, რომელიც ან ამონებდა ადამიანს, ან აბატონებდა. და დაისახა მიზნად თვისის სიცოცხლისა ბატონობა. მონობის სიმწარე რომ განიცადა ილიკომ გონების თვალთ, თან ისიც შეიგნო, რომ წინანდელ მონას, აწ თავისუფალს, საკუთარი უნარით უნდა განემტკიცებინა თავის ფეხქვეშ ნიადაგი თავისუფლებისა, იგი ძლიერად შეიარაღებული უნდა გამოსულიყო ცხოვრების ასპარეზზე. თორემ უღონოს და უძლურს სხვა ათასი ძალუნი დაეპატრონებოდა, დასჩაგრავდა, ლუკმა-პურად იყიდდა და ბატონად დააწვებოდა ქედზე.

– რითი შემძლიან ცხოვრებისთვის შევიარაღდე? სიმდიდრე არა მაქვს, მიწა-წყალი არ გამაჩნია საკმაო; მაშ, დამრჩენია ერთადერთი ის უფლება, რომელიც სწავლით მოიპოვება. ლევანს რომ მამულ-დედული აქვს და საბატონოდ მოწყობილი სახლ-კარი, მე სწავლით შეძენილი ძალა უნდა მედვას საცხოვრებელ თანხად, თორემ ხელცარიელი თუ გავედ ცხოვრების მოედანზე, იგივე ლევანი თუ სხვა მის ფერი დამიმონავებს და გამქელავს.

და უმატებდა ილიკო მეცადინეობას, იძენდა სწავლას, პირველობდა სასწავლებელში. ლევანისგან მოქნეული მათრახი დასტრიალებდა მის გონების თვალს, როგორც რამ შოლტი ცეცხლისა და მიეზიდებოდა მას წინ შეუფერხებლივ. მარჯვედ და მარდად იძროდა ლევანი გრძლად გადაჭიმულ გზაზე სკოლებისა, გადადიოდა დაუბრკოლებლივ ერთი კლასიდან მეორეში, უფრო უმაღლესში, ერთი სკოლიდან მეორეში, უფრო წარჩინებულში. სულ ახალგაზრდამ გაათავა საუკეთესოდ უმაღლესი სამხედრო სასწავლებელი, აღიჭურვა ძლიერი უფლებებით და გულდამშვიდებული შეცურდა ცხოვრების მორევში.

ეხლა კი მიანება ილიკომ თავი მეცადინეობას და ამოისუნთქა თავისუფლად. სწავლა და მეცნიერება მისთვის მხოლოდ იარაღი იყო ცხოვრების უკეთეს მოსაწყობად, იგი მის თვალში მხოლოდ ეტლი რამ იყო მატარებელი, ადგილსა განსასვენებელსა მიმყვანებელი და ეხლა აღარ საჭიროებდა იმაში, როგორც უკვე ადგილს მისული. თვით მეცნიერებას მის თვალში არავითარი საკუთარი ღირებულება არა ჰქონდა, არც სიტკბოება. მან ვერც ერთს წამს ვერ იგემა ის უნივთო სხივოსანი ნეტარება, რომელსაც მოანიჭებს გონებას განცდა თვით ჭეშმარიტებისა, ხილვა მისი თუნდ ზურგით კერძო.

ეხლა ილიკო უკვე ბრწყინვალე მოხელე იყო. მას მთლად გაქარწყლებული ჰქონდა ყმაწვილობის შიში, ვაითუ მონად შევრჩე ცხოვრებას და ნადირალადაო. წინანდელი ჯავრიც ვიღაც ლევანისა თუ სხვისადმი უკვე ჩამქრალიყო; სულ სხვა მისწრაფებებს და გრძნობებს დაეჭირა წინანდელი სულსკვეთების ადგილი. მეტადრე ბატონურად დაიწყო ილიკომ ცხოვრება მას შემდეგ რაც ქონებიანი ცოლი შეირთო და ოქროს კვარცხლბეკზე დაამყარა თავისი არსება. ეხლა ილიკო აღარ იყო ვიღაც ნაყმევი

ნოდარის შვილი, იგი ეხლა თვით ბატონი იყო და ბრძანებელი. შიგადაშიგ კიდეც გაახსენდებოდა ის დამცირება, რომელიც წილად ჰხვდა მას ოდესმე ლევანისაგან. მაგრამ ეხლა იმ სურათს წინანდებური სიმწვავე აღარა სდევდა თან. ბავშვურ რამ თავგადასავლად მოსჩანდა მისთვის და უბრალო ღიმილსა ჰგვრიდა. ეხლა ყურადღების ღირსად აღარა სთვლიდა ვიღაც ლევანას.

აღარც ღირსი იყო ლევანი ყურადღებისა და გახსენებისა! იმან მსწრაფლ განვლო ის ზოგადი გზა, რომელმაც ჩვენში ბევრი ბრწყინვალე მიიყვანა სიგლახაკემდინ: საქმის უკადრისობა და უთავობა, თავისუფალი დროს ჩახრჩობა ბანქოში და ყოველგვარ ქეიფში, უადგილო ადგილას პანპლაუქობა და ოქროს ფანტვა, ქონების მტვრად ქცევა და დანიავება, ხოლო ბოლოს უსახსრობა და სილატაკე. ამ დაქანებულ გზაზე დამდგარმა ილიკომ მალე მოინარიკლა თავის მამულ-დედული. მეტადრე აუქლიავა ახალგაზრდამ მამის სიკვდილის შემდეგ. იქამდის მივიდა საქმე, რომ ბედაურისა და ტანისამოსის მეტი აღარა შერჩა რა. მერანიც შეჭამა თუ წააგო. და რამდენჯერმე ვნახე ლევანი ფეხით მომავალი ნაჭედი მათრახით ხელში, თითქო ლაფშა აგერ მიუსვია თივა-ქერზე და თითონ ისე მოსურვებია გამოსეირნებაო.

გაჭივრებაში ლევანმა რამდენჯერმე სცადა ავაზაკობა, მაგრამ მარცხი მოუვიდა; კინაღამ მახეში გაეხა. მან ძლიერ შეაშინა ვაჟი და მუხლი მოჰკვეთა. გაუხუნდა და შემოაცვდა წითელი ჩოხაც. იარაღი გაჰყიდა თუ დააგირავა, ხანჯალიღა ეკანკურა ზედ ობლად. დანა ყელზე მიდგა.

რა დამემართა, რამ შემიკრა ბედი?! მდიდარი საცოლე მაინც მეშოვა; თუნდ ეშმაკს ჰგვანებოდა, ჯოჯოხეთიდან გამოსულს, თუნდ ბეზიაჩემის ხნისა ყოფილიყო, ოღონდ კი ჰქონოდა იმოდენა შეძლება, რომ ცხოვრება არ გამჭირებოდა. სად, ვინ არის! ჩემს ბედობაზე ძალლი არ იყეფება. სათოფედ არავინ მეკარება, არც გამიკარა, – ჰფიქრობდა შეშინებული ლევანი და აღარ იცოდა, რა ექმნა, საით გადავარდნილიყო.

უნდა კი გადავარდნილიყო საითმე, რადგან არც თავის სოფელში, არც მთელ იმ არეში აღარ ეცხოვრებოდა. ყველა აღმაცრივ უყურებდა, უფრთხოდა; უფულო და მუქთახორა ვის რად უნდოდა?! თანაც ყველას ეშინოდა, სწორედ ფულს დამესესხებო. ახლომახლო ქალაქებში წასვლა სრულებით არ გამოდგებოდა, იქ ბუზივით ირეოდა მისი უწინდელი ნაცნობ-მეგობარი და აწ მისი მგომბელ-დამცინავი. იყო ლევანი ასეთს დიდ გაჭირებაში.

ამ დროს გაჩნდა სოფელში მისი მამის მეგობარი თავადი ეგრისელი, თავის სასოვდაგრო საქმეებზე ჩამოსულიყო. ეს კაციც ოდესმე უსახსროდ დარჩენილიყო, მაგრამ ჰკვა ეხმარნა და ეხლა დიდი სოვდა ჰქონდა დიდ ქალაქში, ფულებით კოჭაობდა. ლევანმა გაანდო მას თავისი გარემოება და ფულს დაესესხა.

– არა, ძმავე, – მიუგო ეგრისელმა, – ვერ გავიღებ ფულს სესხად უსარგებლოდ და უგირაოდ. არც არას გიშველის შენ ის ფული, ქარივით გაგიქრება. რამდენი მაგისთანა შეგიჭამია! მეც ოდესმე შენისთანა გარემოებაში ვიყავი და ლუკმა არავინ მომიშვირა მუცელი ამომეყორნა, დაცინვის მეტი აღარა მესმოდა რა არც მოძმეთაგან, არც გუშინდელ ნაყმევთაგან. მაშინ კი ვსთქვი: თუ კაცი ხარ, თენგიზ, მასხარად ნუ გაიხდი თავს, ხელი გაანძრიე და ღმერთი გიშველის – მეთქი. თვალი არ მაკლდა და ხელი, მოაზრება არ მაკლდა და მოხერხება; აი სწორედ ეგრე, როგორც ეხლა შენ. დავკარ ფეხი და გადავვარდი სხვა ქვეყნად. იქ არავინ მიცნობდა და პირდაპირ მსახურად დავდექი ერთ ყავახანაში. ვიარე, ვიტანჯე,

ვეწამე და ცოთა თანხა შევავროვე. შევუდექე ვაჭრობას და ეხლა, გეტყვი გატეხილს, მილიონის პატრონი თუ არა ვარ ჯერ, სიმდიდრე მაქვს გვარიანი და ნდობაც. ეგრე, ჩემო კეთილო! ფარას ვერ მოგაწვდი, გროშს, მაგრამ თუ ინებებ და არ იუკადრისებ, წაგიყვან, საქმეში ჩაგაბავ.

– მაგაზე უკეთესი რა იქნება, ჩემო ბატონო! სწორედ დამიხსნი გაჭირვებიდან.

– ნუ იტყვი! იქაც გაჭირვება გედგება: იქ შენ ჩემთვის არც ნაცნობი იქნები, არც კეთილშობილი. ჩემი დაქირავებული კაცი იქნები და ისევე მოგთხოვ საქმეს, როგორც სხვა მუშას. უკადრისობაც არ შეიძლება! დაბლიდან უნდა დაიწყო, სულ უბრალო საქმიდან, რომ ყველაფერი ნახო, დაისწავლო და ყველაფრის გაკეთება შესძლო. ვაჭრობაში ხათრი და თავაზი არ შეიძლება. მხოლოდ შენზე იქნება დამოკიდებული შენი წარმატება, შენს მუყაითობაზე და ერთგულობაზე.

დაფიქრდა ლევანი და დასთანხმდა. მეტი რა ღონე ჰქონდა?!

– რა მიშავს! ის ქალაქი დიდია თუ შორი. იქ მე ნაცნობი თუ ნათესავი არავინა მყავს და არც ამომიჩნდება. ვიმუშავებ აბა, რად მიწდა ეს ამოდენა ძალა და ღონე?! დავისწავლი ყველაფერს, გავიგებ და ფეხზე დავდგები, საკუთარ საქმეს დავიწყებ და ფულს შევიძენ, სიმდიდრეს! მაშინ ისევ შევისყიდი ჩემს მამულს, სასახლეს შევაკეთებ, ფულს დავატრიალებ სოფლად და ბრძანებით ჩამოთრეულს ყმა-მამულს ფული დამიბრუნებს უკანვე უფრო მაგრა შებოჭილს და დამორჩილებულს. ჭკვა კი ვისწავლე ეხლა! – ოცნებობდა ლევანი და ამხნევებდა თავის თავს.

წაჰყვა ლევანი ეგრისელს და ძალიან ბეჯითად შეუდგა სულ უბრალო საქმეს. თავწახრილი შრომობდა გამწარებული და მიისწრაფებოდა თავის მიზნისკენ. არავითარ საქმეს აღარ ერიდებოდა, რახან ერთხელ შეტოპა. გულში მანაც ზიზღით უყურებდა იმნაირ გარჯას, მგრამ არ იმჩნევდა და იბრძოდა გაჩუმებული. მის გარშემო სხვებიც ისე ირჯებოდნენ, იმავე იმედებით გატაცებულნი. თითონ პატრონიც, თავადი-ვაჭარი სრულებითაც არ ერიდებოდა არც ერთ გასაკეთებელს და ფეხდაფეხ მისდევდა თავის სავაჭრო დაწესებულებაში ყოველსავე წვრიმალს. ფულმაც გაახალისა ლევანი. თავისი თვალთა ჰხედავდა, როგორ ჩეჩქივით მოსდიოდა ფული ეგრისელს ათას მხრიდან, თავის ხელითაცა ჰკრეფავდა იმ ფულს მეპატრონისათვის და იმედი ჰქონდა, რომ ოდესმე ამისთანა ოქროს ნაკადი მის ჯიბისკენ იზავდა პირს.

მეტადრე დიდი შემოსავალი ჰქონდა ეგრისელის ერთ ყავახანას, რომელიც ქალაქის შუაგულში იყო გამართული და რომელსაც მთელ ქალაქში ჰქონდა სახელი განთქმული. აუარებელი ხალხი ეტანებოდა ამ დაწესებულებას; ქალი თუ კაცი, და სულ კარგი საზოგადოებისა, ფულიანი. სუფთად იყო დაწესებულება მოწყობილი და მდიდრულად. სანოვაგე საუკეთესო მოჰქონდათ და რჩეული. მუმტარი ამ მხრივ გულდინჯად იყო მინდობილი. სუფთად გამოწყობილი მორბედები მარჯვედ ასრულებდნენ ბრძანებას, უსიტყვოდ. მეტადრე დიდი ხალხი მიაწყდებოდა კარგ დარში, ისე რომ ტევა აღარ იყო იმოდენა დარბაზში.

გაზაფხულის დღე იყო დინჯი, მზიანი. ნაზამთრევი ხალხი დღეს მსუბუქ ტანისამოსში გამოსულიყო საქულობაქოზე და ხალისიანად დასეირნობდა. დიდძალი ხალხი ირეოდა ქუჩებში თუ მაღაზიებში. შუადღემ რომ მოატანა, ეს

ამოდენა ხალხი ეგრისელის ყავახანისკენ დაიდრა. მთლად აივსო დარბაზი. მაგიდებთან რომ აღარ იყო ადგილი, ბევრი ფეხზე მიირთმევედა საუზმეს. მორბედები ველარ ასწრობდნენ მირთმევ-მორთმევას. თითონ პატრონი თავს ედგა მათ, შორიახლოდან ათვალერებდა და სადაც მსახურნი ველარა სწვდებოდნენ, თითონ აშველებდა ხელს. მორბედთა შორის იყო დღეს ლევანიც, მარჯვედ მიმოიძროდა. თავის პირდაპირი მოვალეობის მეტი აღარა ახსოვდა რა ეხლა, არც არაფერს ყურადღებას აქცევდა სხვას. შემოვიდა ფაქიზად ჩაცმული სამხედრო პირი, დეზებს მოაჩხარუნებდა, ხმლის წვერს მოათრევდა. მკლავზე დაჰკენოდა მას მდიდრულად გამოწყობილი ახალგაზრდა ქალი, მისი მეუღლე. დაჯდა მაგიდასთან, დააწკარუნა, რიხიანად მოითხოვა სასმელი. ლევანს შეჰხვდა მირთმევა. მარჯვედ აუსრულა ბრძანება. ზედ კი არ შეუხედნია: არ ეცალა სათვალერებლად. მისული დააკვირდა მას, ჯერ გაცემა აღებეჭდა სახეზე, მერე ჩამოისვა წვერზე ხელი და გესლიანად ჩაიცინა ულვაშში. დალიეს, მიირთვეს. გაუწკარუნა, გადუგდო სამ მანეთიანი. ლევანმა თეფშით მოართვა ხურდა. წამსვლელი ჩაკვირდა ლევანს თვალეებში და უბრძანა:

– ლევან, აიღე ხურდა, შენი იყოს!

ლევანმა იცნო მუშტარი: ილიკო იყო, ხუნძაყის ბიჭი ილიკო! ერთ წამს გაშეშდა ლევანი უძრავად, მერე გააგდო თეფში ხელიდან და გავარდა დარბაზიდან. აღარც დაბრუნებულა. ამბობდნენ, თავი მოიკლავ.

1912 წ.

ყ ვ ა ვ ი ლ ე ბ შ ი

სევდის ბაღს შეველ შენაღონები,
მოკრეფად მსურდა ვარდის კონები!

I

„... ჩაყვითლებული კუზიანი კი იდგა დარჭმულ ისართან. მარღვიანი თითები გადაეჭდო ერთმანეთზე და სევდიანის თვალით შეჰყურებდა ბატონიშვილს. სახტად დარჩა ოქროსქოჩრიანი ჭაბუკი, სიტყვა ვერა სთქვა, ხმა ველარ ამოიღო. გადახტა ცხენიდან, ამოაძრო ისარი და ჩააგო კაპარჭშივე. მცირედ ხანს შეჰყურებდა იგი გონჯს დარდისაგან გამშრალი და მერე გაიღიმა მწარედ.

„– ჩემი ბედიც შენა ჰყოფილხარ, შე საწყალო! – უთხრა ვაჟმა, შემოისვა ცხენზე და დაბრუნდა.

„ნელის ნაბიჯით მიდიოდა ჭაბუკი: უნდოდა გზაზე შეჰკლამებოდა, რომ არავის დაენახნა მისი საცოლე. ღამე მივიდა სასახლეში მზეთუნახავისათვის გამზადებულ დარბაზში დააბინავე დუხჭირი. მსახურები გაცდნენ, როცა ნახეს გონჯი, მაგრამ კრინტს როგორ დასძრავდნენ: თუ ვინმე გაბედავდა აუგის თქმას, ენას მოჰკვეთდნენ.

– საწყალი ჭაბუკი, ვინ იცის, როგორ იტანჯებოდა!

„დარდით გულმოკლულს ვაჟს ძილი არ მოეკიდა; იწვა უძრავად და გაჰყურებდა ქალის სადგომს. ღამე რომ გატყდა, ვნახოთ, ქალის ოთახი განათდა მკრთალი რამ სინათლით. ნათელი იძროდა, მიდ-მოდოდა. შეანათა ღია კარებში და თავს დაადგა ვაჟკაცს. იგი წამოდგა განცვიფრებული: ისეთი მზეთუნახავი ედგა წინ, ქვეყანაზე იმისი ბადალი არ მოიძებნებოდა. უნდოდა მოჰხვეოდა ტურფას, მაგრამ ქალმა შეაყენა ის:

„– ნუ მომეალერსები! სამუდამოდ გავუბედურდებით, თუ დრომდის შემეხე!
„ჰაბუკს ძალიან უნდოდა ხელი ეხლო ამ სხივოსან არსებისათვის, რომ გაეგო, მის წინ მართლა ხორცსხმული ქმნილება იდგა, თუ მოჩვენება, მაგრამ ქალის სევდიანმა ხმამ შეაყენა. იყივლა კიდევ მამალმა და ქალმა მსწრაფლ მიიღო წინანდელივე სახე. ცრემლმა ნაკადად გადმოხეთქა მახინჯს თვალთაგან და გატრიალდა გულდალახვრული თავის ოთახისკენ...“

- ნეტა რად დაესაჯა ღმერთს ის საწყალი?
- რამე ცოდვა ექნებოდა და იმისთვის განუწესებდა სატანჯველს.
- მოძღვარმა ეგრე გვითხრა იმ დღეს სკოლაში. ყველა უბედურება ცოდვისაგან წარმოსდგებაო, – სთქვა ავადმყოფმა და ამოიკვნესა.
- რა არის, შვილო? – გულმტკივნეულად შეეკითხა გამდელი.
- ძალიან მტკივა წელი, ვერ დავძრულვარ. უეცრად რომ მეც კუზი ამომივიდეს და იმ მახინჯს დავემსგავსო, რაღა მეშველება!
- ღმერთმა დაგიფაროს! რა ცოდვა მიგიძღვის ანგელოზს?! რეებს არ იტყვი! ექიმმა აკი გითხრა, ერთ კვირაზე ფეხზე დაგაყენებო.

2

ეს იმედიანი სიტყვა ექიმმა გასამხნეველად უთხრა პატარას, თორემ დაზიანებულ ადგილის გასინჯვამ მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა მასზე: ხერხემალი ერთ ადგილას მეტად დაჟღელილი ჰქონდა და ეს ძალიან აფიქრებდა ექიმს. მაინც რა კითილი დაეყრებოდა ორ ადგილან კედლიდან ჩამოვარდნილ ბაღს, ქვებზე დაცემულს. ახლა თითონაც უკვე მოზრდილი იყო ბაბუცა, გამთქვინებული. კედელ-კედელ დარბოდა, ფეხი აუცდა და ქვებში ჩაიჩეხა. გულშეღონებული შეიყვანეს სახლში. მართალია ექიმის წამლობამ და კარგად მოვლამ მალე გამოაბრუნეს ბაღი, მაგრამ ყრუ რამ ტკივილი ჩარჩა ხერხემლში, თითქო უკვნესოდა ძვალი. ეს ბაბუცა იყო, გამზრდელი რომ მისჯდომოდა და ზღაპარს ეუბნებოდა.

თითქო გამართლდა კიდევ ექიმის სანუგეშო სიტყვა: ბავშვი ადგა. უშლიდნენ ადგომას, ეხვეწებოდნენ კიდევ ერთი კვირა წოლილიყო, მაგრამ ვერ დააყენეს ლოგინში და უნებლიეთ დასტური დასცეს. გაიარა დრომ და თითქო მთლადაც გადიარა ავადმყოფობამ. ბავშვი ისევ გაიმართა წელში და დაიწყო დაუდეგარმა წინანდებური ცხოვრება, როგორც რამ პეპელა უზრუნველმა. ოჯახში კიდევ მიავიწყდათ ეს სახიფათო შემთხვევა.

მაგრამ სხულის საშიშმა დაზიანებამ შემდეგში საზარლად იჩინა თავი: კუზი ააჩნდა ქალს და იწყო სიმახინჯემ ზრდა შეუფერხებლივ, თუმცა ნელა, თითქმის შეუმჩნევლად. დატრიალდნენ მშობლები, ათასნაირად უწამლეს, ყველაფერი სცადეს, არაფერი არ დაზოგეს; თითქმის გადგნენ საცხოვრებლიდან. ვაღარა უშველეს რა: ავადმყოფობა არავითარ ყურადღებას არ აქცევდა არც მათ მეცადინეობას, არც მათ წუხილს, იგი შეუკავებლად იწევდა წინ და იზრდებოდა.

აგერ, თექვსმეტის წლისა შეიქმნა ქალი, ათის წლისას კი ჰგვანდა ტანით. ხანს მაშინ შეამჩნევდი, თუ მის შეუფერებლად დაგრძელებულ ხელ-ფეხს დააკვირდებოდი. სახეზედაც კი ეტყობოდა, რომ პატარა აღარ იყო: ბალღური იერი დაჰკარგოდა. ეს შეუფერებლობა ტანისა და სახის მეტყველებისა მძიმე შთაბეჭდილებას ახდენდა ადამიანზე და მით უფრო, რომ ქალს თვალებში ზავთი აჰბეჭდოდა უძირო, ბედისადმი მდურება შეუსაზღვრელი.

3

ამ საშინელმა სენმა პირველ ხანში დიდი მღელვარება გამოიწვია სახლში, ძლიერი დარდი და ბოროტი. ჩვეულებრივი რამ ავადმყოფობა რომ ყოფილიყო, თუნდაც სასტიკი და უღმობელი, უფრო მორჩილად დაჰხვდებოდნენ ჭირისუფალნი, როგორც საზოგადო მოვლენას, ხანმოკლეს: მცირე დროს განმავლობაში ან იძლეოდა იგი ავადმყოფობა, ან სძლეოდა და გათავდებოდა ესე თუ ისე. ეს სენი კი თავისებური იყო: იგი სასიკვდილოდ არ გასწირავდა ავადმყოფს, არც მოსპობას უქადა მას, მაგრამ მორჩენის პირიც არა ჰქონდა; ნელ-ნელა სწურავდა სხეულს, ძლიერად ჰხრიდა მას, საზარელ დაღს ასვამდა და მთლად გამოუსადეგარადა ჰხდიდა მას ადამიანურ არსებობისათვის.

– არ მოგსპობ, სულს არ ამოგხდი, დღესაც კი არ შეგიმოკლებ, გარნა ჩაგიშავებ სიცოცხლეს: დაგამახინჯებ, ისეთ საზარლად გარდაგქმნი, პირს გარიდებდნენ ყველანი; გაგრიყავ ცხოვრების სასიხარულო დენიდან და შენს უბედურებას შენისავე თვალთ გაყურებინებ! – ეუბნებოდა სენი ტყვე ქმნილს და გესლიანის ღიმილით ჩაჰყურებდა თვალებში.

ჰხედავდა სენმოდებული, რამდენად შეუმართებელი იყო იმ ავადობის ძალა, როგორ უძლეველი და შეუკავებელი იყო მისი ბოროტი მისწრაფება და ჰღელავდა მარადჟამს. ღრმავდებოდა, უძირო ხდებოდა მისი სევდა. უაზროდლა მოსჩანდა მისი სიცოცხლე მიზანგაცუდებული.

– რა დაგიშავე, ღმერთო, რა შეგცოდე ისეთი ჯერეთ უმანკომ?! რახან მომისპე სიხარული არსებობისა, რად არ ჩამიქრე ცნობა, რომ არ მეძზირნა უკვე ცხოვრებისათვის მკვდარ ჩემის თავისთვის?

ჰყვედრიდა ბაბუცა შემომქმედს, გარნა გამჩენელს სრულებით არ ესმოდა მისი გულისტკივილი? მედიდურად მისწრაფებდა სამყაროს შეუგნებელი. უბედურ ქმნილებათა ვაება სხლტებოდა მის სიპ გულზე და უკვალოდ იკარგებოდა გარეშემოუწერელ სივრცეში.

ცოცხლივ იყო ბაბუცა დამარხული და იცოდა, რომ წყვიდად სამარიდან მისი ამომყვანი ძალა არ არსებობდა დუნიაზე: სამუდამოდ უნდა წამებულიყო. სულშეხუთული ბორგავდა ხნარცვში ჩათხეული, პირს იხოკდა, სიპს აწყდებოდა და თან დარწმუნებული იყო, რომ ამო იყო მისი ბრძოლა, უაზრო, უშედეგო.

დედ-მამაც იტანჯებოდა, რომ ჰხედავდა შვილის წამებას. გული უკვდებოდათ მათ, აღარავითარ ცდას არ ზოგავდნენ, აღარავითარ ხარჯს არ ერიდებოდნენ

გზააზნეულნი. ჯიბე სავსე მიჰქონდათ იქითკენ, სადაც კი მცირე რამ ნუგეშის ხმას გაიგონებდნენ ან იმედის შუქს შეამჩნევდნენ. მაინც კი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ზრუნვა ამოა იყო, ხარჯი უაზრო. რა უნდა ექნათ, როცა გული ვერ შეჰრიგებოდა უბედურებას?! ეგონათ სასწაული რამ იხსნიდა მათ შვილს, შემთხვევა რამ ბედნიერი ააცილებდა მათ ცოდვის მოხილვას: იგინიც გაუვალ საკანში იყვნენ მომწყვდეულნი და კედლებს აწყდებოდნენ იმედმიხდილნი.

– ბაბუცას რომ ესე დამახინჯებულს ვუყურებ, სიცოცხლე მეწამლება! რა უნდა ქნას საცოდავმა? აგერ ოცი წლის ქალია, თოჯას კი ჰგავს ტანით; მთლად დამახინჯდა, გასაცოდავდა.

– სიმახინჯე ხომ სიმახინჯეა და დიდი უბედურება, მაგრამ იცი, კაცო, ამ ბოლოს დროს მღელვარება დაეშვა და ქალი სევდას რასმე მიეცა მძიმეს. მთლად ჩაეთხრო გული, თითქო ავ ფიქრსა ფიქრობს ბედშავი: მეშინიან, არა აუტეხოს რა თავის თავს.

– რას ამბობ, ქალო?! მე კი მეგონა, ბოლოს და ბოლოს ბედს შეურიგდა –მეთქი, ბეჩავი.

– შენგან არ მიკვირს! ქალი ეხლაა ჰასაკში, ეხლა უნდა დაჰქროდეს მას ეშხის ნიავი და როგორ შეურიგდებოდა თავის უიღბლობას?! ვაი, თუ მაგისი გარეგანი სიწყნარე შავი დღის მომასწავებელი იყოს ჩვენთვის! – სთქვა ბაბუცას დედამ და მიეცა საგონებელს ლოდივით მძიმეს.

4

მართლა და, ძლიერ შემძიმებოდა ბაბუცას ყოფა: სენი სულ იზრდებოდა, უფრო და უფრო ამახინჯებდა ქალს, ასახიჩრებდა; თანაც ბუნების ძალას არ უსპობდა, არც უხშობდა, სხეულის მოთხოვნილებას არ უნელებდა. ქალი მოიწიფა, სურვილებით აივსო, ეშხით აუფუვდა მკერდი, მისწრაფება გაუძლიერდა. ცხოვრების თანამგზავრს ეძებდა ჰასაკში მოსული, ტოლი კი არსად სჩანდა, სურვილთა მოზიარე გამქრალიყო მისთვის: მოტრფიალედ გამოსადეგი ვაჟკაცები ზიზლით შეჰყურებდნენ მას, როგორც რამ მყვარს ლორწოიანს, ხოლო უკეთესნი სიბრაღულს თუ დასძენდნენ მისდამი.

– სად არის, ღმერთო, შენი სამართალი, რომ ამისთანა მახინჯს ატარებ ქვეყანაზე, ხოლო ბევრ მშვენიერს უსპობ სიცოცხლეს? მოჰკვეთე მისი არსება, რომ შეურაცყოფილ არ იყოს მასში სახება შენი!

– რას ემართლები, კაცო?! იცხოვროს ქვეყანაზე მაგ საცოდავმაც, ისუნთქოს, მზის სხივზე გაიხაროს: ქვეყანა დიდია, ყველას დაიტევს, ცოტა უსახო ქვემძრომი თუ ნადირი დაიარება დედამიწის ზურგზე! დეე, ეგეც ხალხში იყოს, როგორც რამ ბნელი სინათლეში. ან რადა გგონია, სახება ღვთისა მხოლოდ სხეულის აღნაქვსში იყოს აღბეჭდილი? რა იცი, რომ სული ღვთაებრივი არა აქვს მაგ ბეჩავს?

– სული, სული! ხელმოუკიდებელია იგი, უხილავი, სანამ მას მიაგნებ, ხორცი გიდგა თვალწინ, სხეული გხვდება ხელში ნივთიერს; ხატება ღვთისა ხორცშიც უნდა იყოს ჩასახული, ტანში ჩაქსოვილი! შემომქმედი ყოვლად სრულია ყოველმხრივ. მისი გარეგანი მხარეც უმწიკვლოა, სიმშვენიერით სრული. იგი მისი განუსაზღვრელი მშვენიება უნდა გამოკრთებოდეს მის ხატებაში. ტყუილად კი არ სცემდნენ თაყვანს ღმერთს სიმშვენიერისას! განა ეხლა კი ადამიანი მუხლს არ იდრეკს მშვენიერთა ხელმწიფის წინაშე, გუნდრუკს არ უკმევს მას, ოქროს არ სწირავს, რომ ღირს იქნას ეახლოს მას, ემთხვიოს მოწიწებით?! ან საიდან ექნება ამისთანა მახინჯს სული

მშვენიერი, როდესაც იგი უთუოდ გამსჭვალული უნდა იყოს მოძმისადმი შურით, ხვედრისადმი უმადურობით, შემომქმედისადმი გმობით?

– შენ გდომებია ალვადგინოთ თაყვანისცემა სილამაზისა, შევსწირავდეთ ღმერთს სიმშვენიერისა.

– უნდა თაყვანსა ვსცემდეთ სიმშვენიერეს, ვულადადებდეთ მას და ვუმსხვერპლიდეთ! მშვენება იგი ნათელია შენივთებული, ხორცქმნილი და კაცთა სანუგეშოდ მოვლინებული ამ წყვილად ქვეყანაში; იგი ნათელია თვით საუკუნო ნათელისაგან გამოსული და ჩვენდა სალხენად წარმოგზავნილი. სიმშვენიერის თაყვანისცემა და მისდამი მისწრაფება ერთი გზათაგანია კაცთა ნათესავის გაუმჯობესებისა და ბედნიერებისა: ამრავლე მშვენიერება და გაუმჯობესდება კაცთა მოდგმა, გაუნათდება არსებობის შარავანდედი, მიემატება სიამე; ამრავლე სიდუხჭირე და ჩამოეცლება მას იგი ნათელი, რომელიც გარს შემოარტყა მას გამჩენელმა, ჩაბნელდება მისი ყოფა. სიმშვენიერესვე შეჰხარის და ეტრფის ყოველივე სულდგმული, მისკენვე მიისწრაფვის მთელი არსი, რომ განსპეტაკდეს ემზგავსოს, დაუახლოვდეს და შეუერთდეს შემომქმედს, რომელიც არს თვით მშვენება სამარადისო.

– მაინც ხომ ორგვარია მშვენიერება: სიმშვენიერე ნივთიერი და სულიერი.

– და ყოველგან და ყოველთვის სათაყვანებელია, სადაც და როდესაც უნდა გამოკრთეს იგი. ეს კი, ერთი შეხედვით, უარყოფაა ყოველისავე მშვენიერებისა, შეურაცხყოფაა მისი და მხოლოდ დუხჭირთა მეჯლისში უნდა ჰქონდეს მას ადგილი. არა მჯერა, მაგის სულიც სპეტაკი იყოს და უმწიკვლო: ხორცის სიავეს, აკი გითხარი, უნდა აღეზარდა მაგაში და განევითარებინა სულის სიბნელე.

– სასტიკ სიტყვას ამბობ! ხორცის სიმახინჯეს ყოველთვის არ მოსდევს სულის სიავე.

– ხშირად სასტიკია ჭემმარიტება და მკვეთრი, როგორც ხმალი ფხასხმული.

ბაბოს ბევრჯელ მოუკრავს ყური ამგვარ ლპარაკისათვის და გული მოჰკვდომია. თვალცრემლიანი დაბრუნებულა შინ; გამოსცლია ტოლ-სწორის გატაცებულ მხიარულებას.

ახ, რა ბედნიერნი იყვნენ ის ბუნების საყვარელნი, მისგან წყალობადადევნებული, სიცოცხლის ეშხით აღსავსენი, ცხოვრებისათვის შესაბამად ნაგებ-ნაკეთნი! ნეტარებდნენ ისინი მათდამი მინიჭებულ სიცოცხლით, სინათლეს შეჰხაროდნენ ბედნიერნი, დაჰფარფატებდნენ პეპელებივით, თავს ევლებოდნენ ერთმანეთს. იმ წუთის სიამოვნების გარეშე მათ აღარა ახსოვთ რა, არც რა საზრუნველი აქვთ უდარდელთ. ბაბუცას კი არ შეუძლიან მათთან სიამე თუ ნავარდი: მას წყევა სდევს თან განუყრელი. იგი წყევა ზედა აქვს მას შეხორცებული და საზარლად ჩაჯირჯვებული; იგი ნასახი უმსგავსი საბრალოდა ჰხდის ქალს, ყველას თვალში შესაზარად.

ადამიანურ ცხოვრებისაგან გარიყული იყო ბაბუცა და უხერხულიც გამოდიოდა მისი ყოფა კაცთა შორის: მათ არ შეეძლოთ თვალი აემორებინათ უსახოსათვის და არ დაემცირებინათ იგი საქმით თუ სიტყვით, არ დაეჩაგრათ. მასთან, მართალია, თავდაჭერით იქცეოდნენ, ზრდილობა ყველას არ აძლევდა ნებას პირში დაეცინა

ხინჯიანისთვის, მაგრამ ქალი ძალიან მგრძობიარე შეიქმნა თავის თავის შესახებ: ხმის უბრალო მიმოხვრაში თუ წამიერ შეხედვაშიც კი ამჩნევდა თავის დამცირებას და ისარნაკრავით შეიკუმშებოდა, უკუდგებოდა. თანაც სულ უნდა ჰხსომებოდა თავისი სიმახინჯე, მუდამ ფრთხილად უნდა ყოფილიყო და მორიდებით, თორემ ადამიანის ბოროტ გულს მცირე მიზეზიც ეყოფოდა გაეგლიჯა ზრდილობის ბაღე და რაიმე გესლიანი სიტყვით ან მოძრაობით ეგრძობინებინა მისთვის მისი დამდაბლებული ყოფა და შესაფერი ადგილი. მარადი მოლოდინი დამცირებისა, ყოველჟამიერი დარდი თავის სახიჩრობაზე, ყოველწუთიერი სიფრთხილე, არავისთვის მიეცა რაიმე საბაზი დაცინვისა, იყო იმისი მიზეზი, რომ ქალი ბოლოს დროს მეტად დარდიანი მოსჩანდა და განაწამები. თავს იცალკევებდა მოღმამორეული, ყველას ერიდებოდა, თავის კაემანს არავის უზიარებდა გულჩახშული.

– უნდა გავმორდე ესეთ ცხოვრებას, უნდა გადავიკარგო საითმე! მაგრამ სად წავიდე ისეთს ადგილს, რომ თავი ჩემი საზარელი არ გამომყვეს თან, იქაც საგმობი არ გამხადოს განრისხული?! ... ახ, როგორ ეაღერსებოდა იმ დღეს ილიკო კეკოს! თავს ევლებოდა მშვენიერი ვაჟკაცი. ქალი კი გიჟმაჟად უარყოფდა მის აღერსს, უსხლტებოდა მას და აღელვებდა ხელქმნილს. მერე რა არის ჩემთან შედარებით კეკო? ერთი მსუბუქი რამ არსება! სახითაც ჩემზე ლამაზი არ არის; ტანი აქვს სწორე, უხინჯო და თვალს იტაცებს. მე კი ჩემის კუზით საცოდავად ვიდექ კედელთან, რომ როგორმე დამეფარა სიგონჯე. რად მინდა ეს ძვირფასი კაბა ან ეს მძიმე სამკაული? განა დაჰფარავს ჩემს სიმახინჯეს ფარჩის სილბო და პეწი ან თვალ-მარგალიტის პკყვრიალ-ლაპლაპი?! ძონძი ჩამაცვით, ნაფლეთებში გამხვიეთ, მხოლოდ დამიბრუნეთ უხინჯო ტანი ჩემი, მომამორეთ ეს კუზი საზარელი, მომამორეთ! – წამოიძახა გამწარებულმა ქალმა.

და ზიზლით დაანარცხა იატაკს კაბა თუ სამკაული. დედა შეჰყურებდა გაწამებულ ქალს და გულს სისხლი ენთხეოდა უღონოქმნილს.

6

იტანჯებოდა ქალი და ვეღარ მოჰრეოდა თავის უბედურებას. გაწამებული იყო მისი შემხედვარი დედ-მამაც. ოჯახის თავმოყვრეობა ჩაქოლილი იყო, სიხარული ჩამავზნელებული. იგი უბედურება აშთობდა ქალის სულიერ არსებას, გადუვალ საზღვარს უდევდა მის ხორციელ ლტოლვილებსაც. გულქვავად ავიწროებდა მთელ მის ბუნებას, როგორც რამ მუხრუჭი უტეხი, მძლავრის მარჯვენით მოჭერილი.

– არა აქვს ჩემს ტანჯვას დასასრული და ბოლო ჩემს წამებას! მხოლოდ სიკვდილი მომხსნის მე ამ უგვან ტვირთს, რომლითაც დამამძიმა უსამართლო ბედისწერამ! – დელავდა ქალი.

გარედან კი ისე ცხადად არ მოსჩანდა ის ბოროტებით გაჟღენთილი ღრუბელი, რომელიც შავად ჩამოწოლილიყო ბაბუცაანთ ოჯახში და სულს უხუთავდა ყველას. სიცოცხლე შეუფერხებლივ მიმდინარეობდა, ზღვა ცხოვრებისა ტალღას ტალღაზე მიაქანებდა, ხოლო მის მძლავრს და შეუყენებელ დენას ნებით თუ უნებლიეთ ასდევდა ბაბუცაანთ სახლიც, როგორც რომ ნაფოტი მსუბუქი, ტალღის ფაფარზე მოქანავე. აქაც ჩვეულებრივ მისდევდნენ ერთმანეთს დღე სადაგი თუ სასწაული,

ლხინი თუ ჭირი, მეგობრობა და მტრობა, ურვა, ზრუნვა თუ სიხარული; ყოველგვარი სვლა თუ შეგუბება სიცოცხლისა.

ბაბუცასაც მიაქანებდა ცხოვრების ტალღა გაკვალის გზით, დარდი არა ჰქონდა გულცივს რა ხდებოდა მის გატანჯულ სულში: სრულდებოდა ქალი, მსხვილდებოდა, იძუებოდა, მწიფდებოდა და ისევე ძლიერ ივსებოდა მისი ტანი ბუნებრივ ლტოლვილებით, როგორც უხინჯო. აქ ხშირად ავიწყდებოდა ქალს, რომ იგი კაცთ არამსგავსი იყო, ცხოვრებისაგან განრისხულ-უარყოფილი, დაჩაგრულ-დამცირებული და მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდებოდა, როცა გამანადგურებელის ხითხითით მიაგებებდნენ მას სარკეს, რომ დაენახნა შიგ თავისი უქმური თავი. და ეს ხდებოდა სწორედ მაშინ, როდესაც ქალს ეგონა, ეს არის, მეც სხვებთან ერთად დავეწაფე ცხოვრების სიტკბობასაო. სახტად დარჩენილი ქალი უმწეოდლა იხედებოდა ირგვლივ, მასღა ნატრობდა, გარღვეულიყო დედამიწა და თან ჩაეტანა იგი. ბრუნდებოდა ბაბუცა შინ დამცირებულ-დამდაბლებული, რომ აქ განმარტოებით მისცემოდა სასოწარკვეთილებას. გარნა ნორჩი ბუნება ისევე თავისას ითხოვდა მძლავრად, კვლავ გაიტაცებდა ქალს, ავიწყებდა, რომ მას არავითარი უფლება აღარა ჰქონდა ჯდომილიყო ცხოვრების ტაბლაზე სხვა რჩეულებთან ერთად, რომ მათთან თანასწორად მიეღო კეთილისაგან ქვეყნისა.

– რადა, რად? რა დამიშავებია, ღმერთო, რომ სააქაოსვე მომაგე სატანჯველი დაუსრულებელი? ნუთუ მისთვის მომეცი სიცოცხლე ცნობიერი, რომ საზიზღრად შეგექმენ და პირქვე დაგემხე?! ეს არის შენი სამართალი, შენი ყოვლად სახიერება? უწყალო ყოფილხარ, ბოროტის მომნიჭებელი! – ჰგომბდა ბაბუცა შემოქმედს.

და ეს განუწყვეტელი მისი წამება ხან ღვივდებოდა, ეგზნებოდა, უკიდურეს სიმწვავეს აღწევდა, ხან დაეშვებოდა, მიმქრალდებოდა, ჩანავლდებოდა. ხოლო ერთ დღეს ქალის ამ გაწამებამ ისეთს სისასტიკეს უწია, რომ თითქმის გადაფშვნიტა ღერო მისი სიცოცხლისა.

ზაფხული იყო. საპატიო სტუმარი ეწვია პატარა ქალაქს და იქაურმა ქართველობამ თავი გამოიჩინა. იცოდნენ სად გაემართათ მეჯლისი ამისთანა შემთხვევაში: აქ თვით განგებისაგან იყო ამორჩეული ამისთანა ადგილი. არ ვიცი, რად ემახდნენ ამ ადგილს „სანებივროს“ მხოლოდ განცხრომისათვის იმაზე უკეთეს კუთხის შეთვალაიერება შეუძლებელი იყო იმ არეში.

ქალაქგარეთ ძველ ციხის ნანგრევებს გულში თუ თხემზე ხეები ამოსვლოდა, მაცვლოვანი გადაჰბუროდა; ნაშთს გარშემო ფართო გალავანი ერტყა ნახევრად დანგრეული; ეზოში რამდენიმე ხნიერი ხე ჩაფიქრებული იდგა და მათ შორის დიდებული ჭანდარი, მშვენება იმ არემარესი, გვერდზე წყარო გამოდიოდა, რომელსაც გადმოხურული ჰქონდა ძველებური ქვიტკირი და დატანებული თლილი ქვა, ჟამთა ვითარებისაგან წაშლილის ზედ-წარწერით; მხოლოდ სამი სიტყვის გარჩევალა შეიძლებოდა: „ცრემლნი თვალთა ჩემთანი“ ... წყალი ცოტა გადმოწანწკარებდა, გარნა ანკარა, მყინვარი, რძესავით შემრგო. ცრემლის წყაროს ემახდნენ. დიდებული სურათი იშლებოდა თვალწინ მდიდარისა და თვალწარმტაცის ბუნებისა. რა ჰაერი! რა მადა! ემხმხი მოჰყავდა ადამიანი. აქ უღვინოდაც ითვრებოდა

კაცი, ხოლო ღვინო ცათამდის ამალღებდა მას და მიუთხრობდა მის ცოდვილ ყურს სიტყვას გამოუთქმელს, ჰანგს გარდუვალს.

გახსნა თვითეულმა თვისი სალარო და გულუხვად გამოიტანა თავისი საუნჯე მეჯლისის შესამკობლად, ასაყვავებლად. ვინ ხოტბა შესძღვნა ძვირფას სტუმარს და თავის ენაწყლიანობით მოხიბლა თავისი თავი თუ მსმენელი, ვინ ლექსი სთქვა ხმატკბილად შეწყობილი, ვინ იმღერა; ამან საგულისხმო სადღეგრძელო წარმოსთქვა, იმან ფრთაასხმული სიტყვები ააფრიალა სუფრაზე; ზოგმა იცეკვა, ზოგმა სმით ისახელა თავი: არავის დაუზოგია თავისი ნიჭი თუ უნარი. გაიტაცა მათმა გულუბრყვილო სიხარულმა მოსულიც, გაზაფხულის მერცხალივით ააჭიკჭიკა ენატკბილი.

გათავდა მეჯლისი. აიშალა ხალხი და თავისუფლად განიბნა ვრცელ მინდორზე. დაწყვილდა ახალგაზრდობა. აღტაცებულ ქალ-ვაჟს ენა ასცროდათ და თავისუფლად უზიარებდნენ ერთმანეთს თავის ოცნებას თუ გულის ძგერას.

გახარებული ბაბუცაც ჩაბმულიყო საერთო ფერხულში, აჰყოლოდა მწყობრ ფეხის ხმას: მასაც ეშოვნა რაინდი, განეცალკეებინა და გატაცებული ესაუბრებოდა. აჩქეფებულ სისხლს აევარდისფერებინა ქალწულის ლოყები, წამოკაკლული დიდრონი თვალები ანთებოდა სურვილის ალით და მისი ისეც ფაქიზად მოხაზული სახე სანდომიანი შეიქმნა. ღვინით გაჟღენთილ ვაჟკაცს ძალას ატანდა სურვილთა ჩქროლვა და საუბრის დროს უნებლიეთ ჰხრიდა ქალისაკენ. გასცდნენ გალაგანს, გადაიარეს ვაკე, ბექობს რასმე ჩაეფარნენ. ქალის ხმას მეტი თრთოლვა დაეტყო, მის აღვივებულ გულ-მკერდს მეტი მღელვარება; იგი უნებლიეთ ახლო მიდგა ტოლთან, მიეკრა, შეეხო. ცეცხლი დააფრქვიეს ჭაბუკის თვალებმა; მან მოჰხვია ქალს მკლავი თავისკენ მისაზიდად და ... მსწრაფლ უკუდგა შემკრთალი: მისი მკლავი შეეხო ქალის კუხს და შეაკრთო ჭაბუკი, გამოაფხიზლა ანაზდად, შეაჟრჟოლა იგი, თითქოს ლედვის კრეფაში ფოთოლზე მჯდარ ყვარს მოავლო ხელი. ქალმა ელდის სისწრაფით იგრძნო, რაც მოხდა ვაჟის გულში და გაფითრდა; ერთ წამს შესდგა უძრავად, მერე გატრიალდა და ტორტმანით გაემართა სახლისკენ.

8

მიდიოდა ბაბუცა სამხიარულო არედან, როგორც სასიკვდილოდ დაკოდილი რამ ნადირი იმ ადგილიდან, სადაც შეემთხვა მას ხიფათი. აზრი ვედარ გაერკვივნა უეცრად დადუნებულს, უნარმოკლებულ მის ტვინს. უკიდურესმა გათახსირებამ გრიგალივით გაურბინა მას სულში და თან გაიტანა ყოველივე ფიქრი; საბოლოოვო შეურაცხყოფა მისი ახალგაზრდობისა, მისი ქალობისა, მძიმე ტვირთად დასწოლოდა მას, მიწამდის დაეხარნა მისთვის თავი, წელში გაელუნა, მუხლში მოეშალნა და უზნევდა ფეხის დგმას, არყევდა წასაქცევად.

შეიკეტა ქალი თავის ოთახში. წაეგდო პირქვე. ეხლა კი გამოხეთქა შეურაცხყოფამ შეუწყვეტელ ნაკადად ცრემლისა. ატირდა ქალი მწარედ, მოთქმით, გულსაკლავად. და ამ ცრემლთა ღვარმა წალექა ყველა მისი ოცნება, იმედი, სიხარული თუ სიყვარული. გამოიტირა ბაბუცამ თავისი ახალქალობა და შავ მიწას მიაზარა იგი საუკუნოდ. გამოიფიტა მისი არსება და შესწყდა ცრემლთა დენაც. ადგა, მიავლ-მოავლო თავის ოთახს თვალი. თითქო ვედარ იცნო ის. სხვა სახე მიეღო ყველაფერს:

გაცრიატებულიყო, აზრი დაჰკარგოდა, ეშხი ჩამოჰშორებოდა. აქამდის, რომ მოსწონდა აქ რომელიმე კუთხე თუ ნივთი და უალერსებდა მას, ეხლა ისინი აღარავითარ შთაბეჭდილობას არ ახდენდნენ მასზე, აღარას ეტყოდნენ არც მის გრძნობას, არც მის ფიქრს. გაიხედა სხვა ოთახებში, კარმიდამოზე, – აქაც აღარაფერს მიეკარა მისი გული, ყოველივე უცხო ეჩვენა მის გონებას და უცნობი: წამოცარიელებულიყო მისი არსება, ნაჭუქს რასმე დაჰგვანებოდა, უგულოს, უხმარს, გადასაგდებს.

– გადასაგდებს? უკვე გადაგდებულს! მაშ რაღა ვარ აწ, თუ არ გადაგდებული, ღვთისაგანაც და კაცისაგანაც უარყოფილი, უსარგებლო, უხმარი, ცოცხლივ მკვდარი?!

„მკვდარი!“ ამ სიტყვამ მიიქცია თავისზე გაწამებული ქალის ყურადღება. იგი სიტყვა გაშუქებული ასოებით დაეხატა მის გონებას და უღიმოდა, თავისკენ იზიდავდა.

– მკვდარი ვარ ცხოვრებისათვის, მაშ რა ვარ, როცა გოგამაც კი უარმყო, სხვის ლუკმით გამოზრდილმა, სხვის ხელში შემყურებელმა გოგამ! როგორ სწრაფლ გამოფხიზლდა და ელდანაკრავი გადგა გარე, როცა შეეხო ჩემს სიმახინჯეს! მერე რა არის გოგია? მხოლოდ ტანი უხინჯო და ძლიერი, სხვა არაფერი. იმ ვაჟკაცთა განაკიდმაც კი არ მიმიღო, და მისი სახით უარმყო საბოლოოდ მთელმა ცხოვრებამ, განმამო გარე. სიცოცხლისა და ცხოვრების გარე კი მხოლოდ სიკვდილია!

– უჰ, როგორ მაწევს გულზე! ნეტა რა მიღრღნის შემძიმებულ გონებას ესე უწყალოდ, რა მიხვრელავს მას შეუდრკომლად? – სთქვა ქალმა.

და მიმოავლო თვალი. კედელზე მისი მამის იარაღი ეკიდა. დამბაჩის ტარი პრიალებდა ჩამავალი მზის სხივზე. ქალმა გაუშტერა მას თვალი და უეცრად მიხვდა, რა აზრი იყო ის, რომელიც ბურღისავით ჰხვრელავდა მის ტვინს და ისწრაფოდა გამოსულიყო ცნობიერების განათებულ არეზე.

– ცხოვრებისაგან უარყოფილს, ბუნებისაგან დაჩაგრულს და განწირულს სიკვდილი მიგიღებს სიყვარულით, მიწა ჩაგიკრავს გულში, როგორც სატრფოს ნანატრს! – მკაფიოდ დაესაბა ქალს.

ამოიღო დამბაჩა, გულდასმით დაათვალიერა იგი: პატარა იყო, კოხტა, ექვსივე ტყვიით გატენილი. მძივებივით ესხა ერთი ბეწო ტყვიები. ქალი მთლად მიიზიდეს იმ ძლიერებმა: თვითოეულს მათგანს შეეძლო გაეთავისუფლებინა ის აუტანელ ტვირთისაგან, რომელსაც სიცოცხლეს ემახიან. ისე ბუნებრივად ეჩვენა ეს აზრი, რომ გაუკვირდა, რაღას ელოდდა ან აქამდის, რადღა ჰყოვნოდა? რა რჩებოდა სიცოცხლეში სანუკვარი, რომ დაჰნანებოდა იგი და ვერ გაეხედნა შეელო იმ ქვეყნად გამყვანებელი კარი? არაფერი, სრულებით არაფერი!

ახალგაზრდობა რომ მიდამოში გაიფანტა და თვრებოდა ეშხით, თუ ოცნებით, სხვები იქვე ჯგუფ-ჯგუფად მასლაათობდნენ: ზოგს კი სუფრა გაეახლებინა, ნადიმს განაგრძობდნენ. ახალისებული ხალხი დროის მიმდინარეობას ვეღარ ამჩნევდა და მზის დაწვერვამღა მოაგონა, რომ დრო იყო შინ წასვლისა. ბაბუცას დედამ მოათვალიერა ქალი და ვერ იპოვა ტოლ-სწორში. იკითხა. როგორღაც უგუნებოდ გახდა წელან და შინ წავიდაო, მოახსენა გოგამ.

– რატომ მაშინვე არ მითხარი, ყმაწვილო! – უსაყვედურა მანდილოსანმა.

და გასწია შინისაკენ. ბაბუცას მამა კი მოლხინეთა შორის იყო. შინ წასვლაზე ჯერ სრულებითაც არ ფიქრობდა ღვინით გაჟღენთილი.

– ეგ რა მოგსვლია, შვილო, ფერი აღარ გადევს?! ან რად გინდა დატენილი დამბაჩა რომ აგიღია და ხელში ათამაშებ? ხომ იცი, როგორ მეჯავრება! – შენიშნა აღშფოთებულმა დედამ.

და ჩამოართვა იარაღი. ქალმა დაანება დედას იარაღი, ერთხანს შეჰყურებდა მას აზრმიხდილის თვალებით და მერე გატრიალდა თავის ოთახისაკენ. დედამ ნეკზე იკბინა. ცუდი ეჭვი დაებადა მას და დაჟინებით ჩაეკითხა ქალს:

– მითხარი, რა დაგემართა? რას გაჩუმებულხარ? იქნება რამე უწესო ჩაიდინე, შე გულმკვდრის შვილო! ვისთან იყავი? გოგიასთან?

ქალი მიხვდა, რა ეჭვიც შეჰპარვოდა მის დედას და მწარედ გაიღიმა:

– დამშვიდდი, დედი! ტყუილად მოგსვლია ეგეთი ფიქრები: შენს ქალს არც ერთი ვაჟი არ შეეხება, როგორც რამ ქვემძრომს საზიზღარს, – მიუგო ქალმა.

და გაჩუმდა. ვედარაფერი ათქმევინა დედამ ამის მეტი. ეხლა ქალს აღარც კი ესმოდა რა ამ ქვეყნად. გაჰშორდა სასოწარკვეთილი დედა; შიშმა აიტანა ის: მისი გული ახლა სხვა უფრო ბნელმა ეჭვმა შეიპყრო და გველივით დაეხვია ზედ. მას მოსვენებას აღარ აძლევდა ქალის სახის გამომეტყველება და სიჩუმე.

ბაბუცას მამა კი არსად იყო: მხიარულთ სადილი ვახშმად გადაექმნათ და აღარ ეთმობოდათ არც ნასუფრალი. ღამე თითქმის გატეხილი იყო როცა შემოვიდა ვაჟკაცი. ხმაურობდა, მდეროდა, იძახოდა: თავი ისევ გაშლილ სუფრაზე ეგონა. დიასახლისს ჯერ არ უნდოდა ეთქვა ვაჟკაცისათვის, რაც მოხდა სახლში: შეზარხომებული კაცი აბა როგორ დაუფიქრდებოდა საქმეს ან რა წამალს დაადებდა მას?! მაგრამ როცა მეტად გამხიარულებულმა და გახალისებულმა კაცმა ხელი ჩასჭიდა მეუღლეს ბლომად ჩაჯირჯვებულ ლაყუჩში და მიიზიდა სამთხვევლად, გაფიცხდა ქალი და მიახალა ქმარს:

– კარგი, თუ ღმერთი გწამს! გალექდებით და აღარა გესმით რა! გირჩევნია დაწყნარდე და თავს ჩაუფიქრდე: ღამის, უბედურება დატრიალდეს ოჯახში.

– უბედურება?! რას ამბობ, დედაკაცო, რა უბედურება? – შეეკითხა ელდანაკრავი ვაჟკაცი.

– რა და ის, რომ ბაბუცისთვის რაღაცა ეწყენინებიათ. რომ მოველ, ნაცრისფერი ედვა ქალს და შენს დამბაჩას ათამაშებდა ხელში.

– რაო დამბაჩას?! რას ამბობ, დედაკაცო?

– იმას ვამბობ, რომ ქალი შეშლილივით არის. მეშინიან, რამე უბედურება არ აუტეხოს თავის თავს.

ეხლა კი გამოფხიზლდა ვაჟკაცი. შიშის ზარმა აიტანა ცოლ-ქმარი. დაასკვნეს, როგორმე გამოეკითხნათ ქალისათვის, რა შეემთხვა მას ან რასა ფიქრობდა, რომ მოეგვარებინათ საქმე. ამის შემდეგ იდუმალად თვალს ადევნებდნენ ბაბუცას, გარს უვლიდნენ, მაგრამ საიმისო რამ ვერა გაიგეს რა, ვერც შენიშნეს. ქალი გაჩუმებული იყო, ხშირად გაშტერებული შეჰყურებდა სივრცეს, ხოლო რა ხდებოდა მის გულში ან რა ფიქრს დაეძლივნა მისი თავი, გაუგებარი იყო, მიუწოდომელი. ხედავდნენ კი, რომ სახიფათო რამ გზას დასდგომოდა მათი ბაბუცა.

ბაბუცა კი ბნელ ფიქრს მისცემოდა უსახოს; ცხოვრების ძნელი საიდუმლო აღმართოდა წინ მთელის თავის სიდიადე-სიმძიმით, ხოლო მის გამოუცდელ გონებას გასჭირებოდა გარკვევა ან განმარტება. გონება მისი შიშით და ძრწოლით შეჰყურებდა მას უღონოქმნილი. ვერც შეეძლო, გზა აეჭვია ამ საკითხისათვის ან რომელიმე ბილიკით გარს მოეწყო მისთვის.

– რა აზრი აქვს ჩემს სიცოცხლეს ან რაღას უნდა ვეძიებდე ცხოვრებაში? მინდა ადამიანური ცხოვრება, გულთ მიყვარს იგი, მთელი ჩემი სურვილით მივისწრაფები მისკენ, ვერ კი შემიძლიან შევუერთდე ცხოვრების დენას: დაქოლვილი ვარ მისგან და წყევა ჩემი თითონ მე დამაქვს ზურგით. ყველა მერიდება, უარყოფს, ყველას ვეზიზღები; მეც უნდა უარყო ცხოვრება, მოვერიდო მას, გავდგე მისგან და მხოლოდ შორიდან ვუშხირო, როგორ დანავარდობენ სიცოცხლის ყვავილოვან წალკოტში სხვები, გამჩენის საყვარელი შვილები. მე კი გერი ვარ ცხოვრებისა, მოძულეებული; გაკიცხულ-დამცირებული. არ გაჩენილა ჩემთვის არც ჯადოქარი, რომ მომხსნას სახე საზარელი, არც ოქროსქოჩრიანი ჭაბუკი სულგრძელი, რომ ბედს დამორჩილდეს და მომკიდოს ხელი. სასწაულიც, სულგრძელობაც მხოლოდ ოცნებაა, ზღაპარი. იგინი უკვალოდა ჰქრებიან ნამდვილ ცხოვრების წანაშე.

– უნდა გავიდე ცხოვრებისაგან, სამუდამოდ გავშორდე მას. მაგრამ, ღმერთო, როგორ მიყვარს იგი, როგორ მწყურია! ნეტა მართლა განმეორდებოდეს დალოცვილი, რომ ოდესმე მაინც სრული სახის მექონი შევსცურდე მის ტალღებში და დავეწაფო მის ნექტარს. საიქიოსაო. არა, სააქაოს!..

– რად, რად გამაჩინე, დამბადებელო, თუ ესე ადრე მომიკლავდი გულს, თუ არ გაიმეტებდი ჩემთვის არც ნამს ცხოვრების სიტკბოებისას?! მომისპობდი მაინც სურვილს ცხოვრებისადმი. შეუმართებელი ძალა ყოფილხარ, ბოროტი, მანადგურებელი!

– იქნება ცოდვა მიმიძღვის მძიმე და მომეგო მოსაგებელი? არ მახსოვს, ჩემს მეხსიერებაში წაშლილია მისი კვალი. ან როდის მოვიქმედებდი ესეთ ძლიერ ცოდვას და ვის წინააღმდეგ? არა!.. უნდა გავშორდე ცხოვრებას, მოვსთვლა ჩემი სიცოცხლის ყვავილი, მოვსპო.

მაშინ, იმ გამწვავებული ღელვის დროს, ეს დასკვნა უეცრად იგრძნო ბაბუცამ და ამ გრძნობამ პირდაპირ გაიწვია ის სამოქმედოდ. კიდევ აასრულებდა საწადელს, დაემორჩილებოდა გრძნობას, თუ ხელი არ შეეშალნათ მისთვის, თუ დედას არ წაერთმია ნივთი. იარაღსაც არ დაანებებდა დედას, მაგრამ მისმა შეძრწუნებამ ქალიც შეაკრთო, შეაშინა. ეხლა ცხად მსჯელობას მიჰყავდა ბაბუცა იმავე აუცილებელ დასკვნამდის, მაგრამ იგი აწ სავსებით ვედარ ემორჩილებოდა ცივ აზრს: სიცოცხლისადმი მისწრაფებას კვლავ გაეღვიძნა მის ნორჩ არსებაში და ენანებოდა თავი სასიკვდილოდ.

– მაგრამ მოსპობის გარეშე სხვა გზა რომ არა გაქვს! სად შეჰქმნი შენთვის ახალ ცხოვრებას ან როგორ? მხოლოდ ერთი ხარ, ყველასაგან მიტოვებული, განწირული და როგორ შეიძლება იცხოვრო ამ ქვეყნად მარტოდმარტო? ხომ აკვნესდა დაობლებული სული შენი, ხომ ჩაჰკნება და განილევა უტოლოდ დატოვებული ხორცი შენი; ჩაქრება, ჩაბნელდება არსება შენი განწირული!

ქალმა სცადა მიემართნა ამ უკიდურეს მდგომარეობაში ყოვლად მოწყალე მამისათვის ზეციურისა, გარნა ლოცვას მხოლოდ პირი იტყოდა, გული კი ცივი იყო, გაყინული უარყოფდა ვედრებას: მას ადარ სწამდა ყოვლად სახიერება გამჩენისა, რომელმაც ისე სასტიკად დასაჯა თვისი ქმნილება და ააკვნესა. ეხლა ცხადად ხედავდა ქალი, რომ ბოლოს მაინც გადასდგავდა გაბედულ ნაბიჯს, გონებისაგან

შეუბრალებლად ნაკარნახევს; მაშინ ვეღარ შეაკავებდა მას ვერც დედის ელდა, ვერც უსაზღვრო სევდა მამისა, ვერც თუ მძლავრი ლტოლვილება არსებობისადმი. ჯერ კი მაინც ენანებოდა თავი, სიცოცხლით გაუმძღარი თავისი თავი.

ამ სასტიკმა სულიერმა ბრძოლამ ნელ-ნელა გამოჟონა, თავი იჩინა, დაღი დაასვა ქალის სახეს: თვალები ჩაუღრმავდა და ბნელმა დაიწყო მათში კრთოლვა, სევდა ნაოჭად აჰყვა შუბლს, ზაგემ მთლად დაჰკარგა ღიმილი სიხარულისა. მოსპო ქალმა ყოველივე გარეშე კავშირი და ურთიერთობა: სავსებით სავსე იყო მისი სული თავისივე უბედურობით. იგი დაუცხრომლად ებრძოდა თავისავე ბნელ აზრს თუ გრძნობას და სრულებით აღარ ეცალა სხვისთვის, მის გარეშე არსებულ ქვეყნიერებისათვის.

მშობლები სცდილობდნენ სხვა რაზედმე მიექციათ ქალის ყურადღება, რამე უცხო საგანზე შეეჩერებინათ მისი გულისყური, რომ ახალი გზა მიეცათ მის სულისკვეთებისათვის, მაგრამ ყოველივე ცდა ამაოდ დაურჩათ: აღარაფერი ასიამოვნებდა ქალს, არც აღარაფერი იპყრობდა მის ყურადღებას. ზურგი შეექცია მას ცხოვრებისათვის და სოფლით გაღმა გასაბიჯებლად წარემართა სვლა თავისი. ამ დროს იყო, რომ ერთმა უბრალო შემთხვევამ მოულოდნელად შესცვალა ბაბუცას ცხოვრება და გადაარჩინა მისი დედ-მამა საცოდაობის ხილვას.

11

გაზაფხულის დამლევს ბაბუცაანთ ეწვია მათი ნათესავი ქალი თავის შვილებით. მისი ქმარი შორს მსახურებდა და კარგი ადგილი ეჭირა, მაგრამ სიკვდილის შემდეგ თითმის ულუკმაპუროდ დასტოვა თავისი ცოლ-შვილი. გაჭირებაში ჩავარდნილ ქალს ხელოვნური ყვავილების კეთება შეესწავლნა და იმითი ირჩენდა თავს. ეხლა რამდენიმე თვით შეაფარა თავი ნათესავებს, თუმცა გულს ვერ ავალეებდა მათ, რადგან ბედში მყოფს არ ახსოვდა ისინი. ოჯახი, მართალია, ისეთ გარემოებაში იყო ეხლა, რომ უცხოს მათ სახლში ადგილი არა ჰქონდა, მაგრამ რას იზამდა ქართველი კაცი? ხომ ვერ განდევნიდა სტუმრად მოსულ ხალხს! კიდევ კარგი, სტუმარი გამრჯელი გამოდგა და ხელი წაახმარა სახლს. მას თან მოეტანა ხელობისთვის საჭირო მასალა და მოცლილ დროს ყვავილებს ამზადებდა. ყუთები დაამსო ამგვარ ყვავილთა კონებით. იქაც აუჩნდა მუშტარი მის ნაწარმოებს. ნამდვილ ყვავილების მოვლა და მოგვარებაც ჰყვარებოდა: ბაღა ყვავილებით გაავსო იმ ზაფხულს.

ბაბუცა ჯერ ცივად შეხვდა მოსულებს, რადგან მათ შეუშალეს მას ცხოვრების ნირი, ხმაურობა შეიტანეს ოჯახში და დაურღვიეს განმარტოვება; შემდეგში კი შეეჩვია სტუმარს. ბაბუცას მოეწონა მანდილოსნის სუფთა ხელობა, ნელ-ნელა ხელი შეაჩვია მას, შეისწავლა და ბოლოს კიდევ შველოდა როგორც ყვავილთა კეთება-მოგვარებაში, ისე ნაირის შერჩევა-მოგონებაში. ხელსაქმემ შეუმჩნევლად გაართო ქალი, ჩაიხვია, თავი შეაყვარა. ნიჭიც შეაჩნდა ამ ხელობაში.

შემოდგომაზე სტუმარი რომ წავიდა, ბაბუცას მისი ხელოვნება ხელში შერჩა და ახლა თითონ განაგრძო ის: სევდიან გულს აყოლებდა ამ საქმეს, თავს ირთობდა განმარტოვებული. გავიდა ხანი და შემთხვევით დაწყებული საქმე ქალის ხელობად გადაიქცა, რომელიც არამც თუ მხოლოდ ართობდა მას, დროთა მსვლელობას არ აგრძნობინებდა, ხეირსაც აძლევდა. მამისაგან მის სახელზე დატოვებული მცირე რამ მამული და ეს ხელოვნება შემდეგში საკმარისი შეიქმნა, თავისით ეცხოვრნა მას, სხვის ხელში შემაცქერალი არ გამხდარიყო. ქალს ეხლა შეგირდებიცა ჰყვანდა და ფართოდ

აწარმოებდა საქმეს. გააუმჯობესა კიდეც ეს ხელობა: იწერდა მის შესახებ დარიგებებს თუ ნახატებს, უკეთეს იარაღს. თითონაც ამშვენებდა ნაწარმოებს, მონურად არ ემორჩილებოდა ნიმუშებს თუ რჩევას. ხოლო უმთავრესი წყარო ამ გაუმჯობესებისა იყო ბუნებრივი ყვავილების შესწავლა, რომელთაც ბაბუცა სურვილით უვლიდა ეხლა და ამრავლებდა ბაღშიც, ოთახშიც.

ბაბუცა ეხლა აღარა ფიქრობდა სიკვდილზე, აღარც ისე ემწვავებოდა თავისი სიმახინჯე და ცხოვრებიდან განდევნა. მის ჩასანთქმელად აღელვებულ ზღვაში ცხოვრებისა მან ჰპოვა კუნძული რამ პაწაწინა და დაემკვიდრა მუნ; მისმა გზადახშულმა და აღშფოთებულმა სულმა ჰპოვა სავალი საკუთარი, ხოლო ხორცი წელთა განმავლობაში დაყუჩდა, დადონდგილდა, დაეშვა და დაჰმორჩილდა თავის ბედს. გარემენიც შეურიგდნენ მის სიმახინჯეს, შეეთვისნენ მის ყოფას: ბაბუცა ეხლა თავის ფარგალში იყო მოთავსებული, თავის ქარგაში ჩაქსოვილი, ეხლა ის ყვავილების მკეთებელი ბაბაღე იყო და იქ კი სულ ერთი იყო, რა სახე ჰქონდა მას, ან რა ტანი. სულ სხვა საქმე იყო, როდესაც ის ცდილობდა ჩაბმულიყო ცხოვრების ტკბილ სიმღერაში, მწყობრ რხევა-ცეკვაში კეთილქმნილებთან ერთად და თანასწორ, როდესაც ცდილობდა არ ჩამორჩენოდა მათ და წყრებოდა, რაკი მათთან ერთად ვერ ასდევდა სიცოცხლის სამხიარულო დენას. ეხლა სხვა იყო: იგი დამორჩილდა სასტიკ ბედს, ჩამოდგა სამხიარულოდ მორთულ გზიდან და დაულოცა იგი ცხოვრების ბედნიერ შვილთ. მართალია, ადამიანური მისწრაფება არ ჩახშობია მას, არც ჩაჰქრობია ლტოლვილება ბუნებრივი, გარნა სხვა მხარეს შეუხვია მან, სხვა გზას დაადგა.

12

მიხვდა ბაბუცა, რომ ცხოვრებაში იგი ვერ ივლიდა ჩვეულებრივი გზით, აქ ის ყოველთვის უნდა ჩამორჩენოდა სხვებს, დაჩაგრული ყოფილიყო, უარყოფილი, განდევნილი. ეს შარა ბუნების საყვარელ ნაშენთათვის იყო გაჭრილ-გატკეცილი, სრული სახით ქმნილ შვილთათვის. იმისთანა იღბლიანნი სიცილ-თქართქართ მიემართებოდნენ იმ გზით და თუ ყოველთვის ბედნიერნი არ იყვნენ, მაინც ჰხვდებოდა თვითეულ მათგანს წუთი სიტკბოებისა. და ესეც ხომ ძვირფასია მუხთალ საწუთროს შვილთათვის და დაუვიწყარი. ბაბუცა კი გერი იყო ბუნებისა, მანკიერ სხეულშესხმული და არავითარი უფლება არა ჰქონდა ეცხოვრნა ბუნებრივად. ქალს წინათ ვერ გაეთვალისწინებინა ეს და ძლიერი მისწრაფებით გატაცებული ეტანებოდა რჩეულთათვის შემზადებულ ტაბლას, რომელზედაც კერძი არ ედგა მას. აკი სასაცილო ხდებოდა და საზიზღარი! ბევრი სიმწარე განიცადა, კინალამ მოისპო კიდეც არსებობა, თითქო სიცოცხლე და ცნობიერება შეუდარებელი ნიჭი არ ყოფილიყოს დამზადებლისაგან ბოძებული! თითქო სანამ თვითცნობა არ ჩაჰქრობია ქმნილებას, ღვთის სახის მატარებელი არ იყოს იგი და თვით ღმერთი სათაყვანებელი, თუნდაც შეუგნებელ ძალთაგან დათრგუნვილი!

ეხლა ბაბუცამ ჰპოვა საკუთარი ბილიკი ცხოვრების სივრცეში, მიაგნო თავის სავანეს ქვეყანაზე. საკვირველიც იქნებოდა, რომ ამ უზარმაზარ დუნიაზე, ცხოვრების გარშემოუწერელ ოკეანეში რომელსამე ქმნილებას, თუნდაც მახინჯს და უსახოს, არა ჰქონოდა თავისი შესაბამი ადგილი თუ საქანი; ოღონდ კი სასოწარკვეთილებას არ მისცემოდა იგი და არ დაჰკარგოდა ძეგნის უნარი. განა მართლა ისეთი უსამართლოა დამზადებელი, რომ თავის გაჩენილისთვის წყალობა რამ არ მიეპყრო სიუხვისაგან

თვისისა ან თვისი ყოველ კეთილით სავსე კალთა ისე დაებერტყნა ქვეყანაზე, რომ ვინმე გადარჩენილიყო უმოწყალოდ, მთლად უნამცევოდ!

ბაბუცამ ისიც შეიგნო, რომ ეს ახალი მისი სავანე მხოლოდ თავისთვის შექმნა მან და განკერძოვებით წარმართა თავისი ცხოვრება, საზოგადო სიხარულს თუ სიმძიმლის გადაღმა. შეიკრიფა იგი თავის ქერქში და იქ მოაწყო ახალი რამ ყუდე თავისებური, თავის ხორცისა და სულის შესაბამ-შესაფერი. და თანდათან მოსწყდა ქალი ნათესავებს, ნაცნობებს, მთელ ხალხს. ეხლა ის თითონ ერიდებოდა ადამიანიშვილს, ცდილობდა არავითარი კავშირი რა დაეჭირნა არავისთან. ისე გადაეჩვია ხალხში ყოფნას, რომ თუ უნებლიეთ მოჰყვებოდა საზოგადოებაში, კრთებოდა, განზე იწევდა; გული უფრთხიალებდა, როგორც რამ ფრინველს შეპყრობილს.

– შეხე, როგორ შემკრთალი გამოიყურება კუზიანი, არავის ეკარება!

– ლაპარაკიც კი აღარ ეხერხება: ან ხმაამოუღებელი ზის და თვალებს აფეთებს, ან ხორხოშელასავით აყრის სიტყვას და სწყვეტავს უეცრად: დარბაისლურ მუსაიფს მთლად გადაჩვეულა.

– რა ედარბაისლება!

აგონებდნენ უზრდელნი მწარე თქმას, დამცინავის ღიმილით შეჰყურებდნენ, ზიზღით ზურგს უქცევდნენ, მედიდურნი სულაც ვერ ამჩნევდნენ. და განშორდა კაცთა ნათესავს ეს შუა ქალაქში მცხოვრები ადამიანი. მიმოსვლისათვისაც კი მიყრუებულ ქუჩებს ირჩევდა, მივარდნილ ბილიკებს ეტანებოდა.

– სწორედ უკაცურად უნდა იყოს შექმნილი ადამიანი, რომ შესძლოს ესეთი განმარტოვება!

– ეგეთ ცხოვრებას ის ურჩევნია თავი მოიკლას!

რა იცოდნენ, რომ ბაბუცას შემოქმედ სულს შეეთხზა აწ სიცოცხლე საოცნებო, სავსე საკუთარის მისწრაფებით თუ სურვილით, სიხარულით თუ სიმძიმლით, და ცოდვა იყო მისი სიკვდილი.

- შენ, ჩემო სატრფოვ, მეტად ნაზი ფერი დაგცემს, ცოტა რომ მუქი იყო, ყინჩი, უფრო დამშვენდები! აბა რასა ჰგეხარ გაცრეცილი?! ეგონებათ, გენაცვალე კარგად არა ხარ მოვლილი; ეგონებათ შენი ხელი არ იცის შენმა ბაბიკომ! – ეუბნებოდა ქალი ყვავილს.

და ცოტა მეტი საღებავი მისცა ქსოვილისაგან დამზადებულ იის ფურცლებს, შეყარა შემზადებული ფოთლები ერთად, ღეროდ შეღებულ მავთულზე აასხა იგინი; ჩაუსვა შუაზე კუჭი, სანაყოფო თუ ზროები; მორცხვად თავი დაუხარა ყვავილს და განზე გასწია ხელი, რომ უფრო კარგად დაეთვალიერებინა დამზადებული.

– არა, საყვარელო, არც ეგრე მორცხვად უნდა თავის დახრა, ცოტა უფრო მაღლა აიღე სახე და ისე გამოიხედე მაცდურად; უფრო მეტად დაგშვენდება მაშინ კდემამოსილება.

ქალმა ცოტად აუწია თავი და იგიც მიუმატა იების ჯგუფს, რომლებიც ქალაღდის ყუთში იყვნენ დარგულნი წითელ იების მახლობლად. მარდად მუშაობდა ქალი; მის ჯადოსან თითებში წუთზედ ისახებოდა, ღვივდებოდა, კოკრდებოდა და

იფურჩქნებოდა გაზაფხულის სამკაული. გაივსო ყუთი. ბაბუცამ დაუწყო მზერა თავის ნამოქმედარს, უღიმოდა.

– იცით, სატრფიალნო, ცოცხლებსა ჰგევხართ, ნიადაგიდან აღმოცენებულთ! სუნი რომ არა გაქვთ, თქვე საწყლებო, გულს ნუ შეგაკლდებათ, ცოტა მოითმინეთ!

ქალი მიბრუბდა, მოიღო ნელსაცხებელი და აპკურა ყვავილებს. ნაზი რამ სუნი გავრცელდა ოთახში, მოჰბერა ბუჩქთა და იათა სუნნელებამ.

არა, ენძელაჯან, ძალიან მაღლაც ნუ აგიღია ლამაზი თავი: მაინცდამაინც ისეთი არაფერი ხარ, იების წინ ამაყობდე, თუნდაც წითელი იის წინ! უნდა გახსოვდეს, ჩემო კარგო, უფრო იმისთვის გვიყვარხარ, რომ პირველი ყვავილი ხარ განახლებულის სიცოცხლისა, მახარობელი მოახლოვებულის, უკვე მოსილის გაზაფხულისა. ახლა რა ვუყოთ, რომ იაც კი დაგნატრის:

ნეტავი შენ, ენძელაო:

წელიწადში სამჯერაო! –

ერთხელ მოვალ, მოვშავდები,

ქალის ხელში ჩავშავდები!

@ეუბნებოდა ქალი ენძელებს, რომლებიც იქვე ახლო ჩამწკრივებულიყვნენ ჯგუფ-ჯგუფად და მართლა ერთობ მიედრებინათ ყელი. მივიდა, დაასწორა, უფრო ბუნებრივად დააჭერინა ღერო თუ ფურცლები.

– შენ, ეი, შროშანავ, რა ძალიან თავი მოგწონს შენი სისპეტაკით! ვიცით, ვიცით, რომ უბიწო ხარ და მისთვის გადაპენტილხარ თეთრად! მაინც საჭირო არ არის ეგეთი ყოყოჩობა. გახსოვდეს, რომ ქალწულებრივი სიწრფელე, რაც უფრო წყნარია და ნაზი, იმდენი უფრო მომზიდველია და სუნნელოვანი.

– შე საბრალო, ვარდო ყვითელო! რამ დაგაღონა, რა მწარედ ჩაგიკიდნია თავი? ხომ არა გწყინს, რომ ცრიატი ფერი მოგეცი? ყვიციანს ხომ არ გეძახიან შენი დობილები? იქნება გშურს, რომ აიმ ვარდთა ბუჩქებივით წითელი არა ხარ და ღაღანა? გულს ნუ დაგაკლდება, გენაცვალე, ნურც გეფიქრება: იქნება შენ უფრო ადრე გიპოვოს შენმა ყისმათმა და წაგიყვანოს, რომ შენის წყნარით სილამაზით დაუმშვენო მის ყოფა. გახსოვდეს, ბევრს ფერმიღებული კეკლუცი უფრო მოსწონს, მინაზებულ-მიმქრალეული, სანამ გამოწითლებული, ურცხვად გამოჟინჟილებული, მამ!

– როგორ მალე გეწყინათ ჩემი სიტყვა, ვარდო წითელო, და შენც, ღაჟღაჟო! უფრო გაწითლდით. ნუ, ნუ გშურთ საწყალი ჩაყვითლებული ვარდისადმი ტკბილი სიტყვა ჩემი! გულს ვუკეთებ საბრალოს, რომ მთლად არ დაიჩაგროს, თორემ აბა ვინ შეგედრებათ თქვენ?! თქვენი ღაღანა სიწითლე, თქვენი თვალწარმტაცი სიყირმიზე თვით სისხლია აჩქეფებული, ხოლო სურვილთა უძლეველის ძალით აჩუხჩუხებული სისხლი თვით სოციცხლეა ტკბილი, ნეტარი!

ესაუბრებოდა ბაბიკო თავის ყვავილებს, უაღერსებდა, ესაყვარლებოდა. ყველას გამოეხმაურა იგი: მიხაკსაც, ნარგიზსაც, იასამანსაც, ტუხტსაც კი, ყვითელს თუ წითელს. არავის გულს არ შეაკლო. ყველას მიჰფენდა იგი თავის ზრუნვას, ხელს ახმარებდა, ასწორებდა, აფაქიზებდა.

მარდად აშენებდა ქალი ახალ-ახალ ყვავილებს. ამ გრძნეულის ხელიდან უღვეველად დიოდა ყვავილთა ნაკადი. მხოლოდ ათასში ერთხელ შეაყენებდა ბაბუცა ხელს, მოტეხილ ფრთებსავით ჩამოჰყრიდა მკლავებს და ღრმა რამ ფიქრი თუ ზრუნვა აღებეჭდებოდა სახეზე.

– ახ, აი მაგონდება, მაგრამ ვერ მომიგონია! ვიცი, ეხლა ძალიან კარგად ვიცი, რომ სამართლიანად მომაგო მოსაგებელი მართლმსაჯულმა შემომქმედმა, მაგრამ მაინც რომ ვერ გამხსენებია! – იტყოდა ქალი ჭმუნვით.

და ისევ მოეგებოდა თავს, შეუდგებოდა ნაჩვევ საქმეს.

ოთახის შუა დიდი მაგიდა იდგა; ზედ ეყარა სხვადასხვა ჯურის მავთულები, შეღებილი ან ფერად ქსოვილმოხვეული; ათასფერი ქსოვილი, საღებავები, ყალმები, ნაირ-ნაირი მაკრატლები, დანები, მაყაშები და ათასი სხვა ყვავილთა საკეთები იარაღი. ამ მაგიდაზე მუშაობდა ქალი, ეს იყო მისი დაზგა, მისი შემოქმედების ფარგალი. მთელი ეს ოთახი საყვავილედ იყო ქცეული, ერთი მთლიანი თაიგული იყო ყოველგვარ ყვავილთაგან შეთხზილი. ყვავილთაგან მოსჩანდა ხან აქ, ხან იქ მათი შემოქმედი ბაბუცა. მისი აწ უკვე ჩაფიქრებული თვალები, მისუსტებული ფერმკრთალი სახე, მაღალი შუბლი, რომლისათვის მჭვუნვარე აზრს გადაესვა თავისი ფრთა და რომელსაც შარავანდედად შემოჰხვევიყო თავისუფლად აკრული უკვე შეთრთვილული ხშირი თმა, თავისებურ მიმზიდველობასა სძენდნენ ბეჩავს. უღონო შურისა და ბოროტების ნაცვლად მის სახეს საკუთარი ძალისა და შემოქმედების ნასახი აღბეჭდოდა და პატივცემას იწვევდა მისდამი.

14

მეორე ოთახში არ იყო იმდენი ყვავილი, არც იარაღი და მასალა. ერთ ფანჯარაში ვარდის ბუჩქი იდგა, დაბალი, წვრილფოთლებიანი, მომცრო ყვავილებით დატვირთული. ხელოვნური მეგონა, ბუნებრივი ყოფილიყო, ცოცხალი. ფანჯარა მორთული იყო ყვავილთა გრეხილით, გარნა ეს ყვავილები უცნაურნი იყვნენ, უცხოოდ შეთხზილ შეხამებულნი, აღზნებულ გონების თვალებით ნანახნი, ზღაპრულ რამ მხარეს აღმოცენებულნი. ამგვარისავე ყვავილების თაიგული იდგა მაგიდაზე, ქალის სარეცელთან. ეს იყო ის საკვირველი ყვავილები, რომლებიც გამოჰქონდათ ბაბუცის სახელოსნოდან ათასში ერთხელ და რომლებიც ძალიან მოსწონდა ზოგიერთს. თუმცა სხვანი ეჭვის თვალთ უყურებდნენ მათ მშვენებას. ნიშნ მოგაგონებდათ ეს ვარდის ბუჩქიანი ფანჯარა, ადგილს წმინდას, საიდუმლო რამ ძალის სავანეს, ისე ფაქიზად იყო შენახული.

ბაბუცა დასტრიალებდა ვარდის ბუჩქს, ჩამჰკნარ ფოთლებს აშორებდა, ყვავილებს უსუფთავებდა. არ ეძინებოდა ქალს, თუმცა ღამე გატეხილი იყო და წყვილიად მღუმარებას მოეცვა ყოველივე: მიუჯდა ქალი მაგიდას და დააყრდნო თავი ხელს. მღელვარება აღბეჭდა სახეზე, ტანჯვა ჩაესახა თვალებში: რაღაცას იგონებდა, ვერ კი მოეგონნა; მეხსიერების ნათელ ფარგლისაკენ მიისწრაფოდა სურათი რამ თუ აზრი, აგერ უნდა გამოფენილიყო გაშუქებულ არეზე, გარნა ვერ გამოეხჩია, ვერ წარმოშობილიყო. ეს აწამებდა ქალს. ცხადად კი გრძნობდა, საშინელი მნიშვნელობა ჰქონდა მისთვის იმ სურათს თუ ამბავს, ნამდვილ იცოდა ეს და მთელი არსებით ისწრაფოდა შეეგნო, განეჭვრიტა იგი. ამოდ: სურათი უსხლტებოდა მის გაწამებულ მეხსიერებას, კვამლივით იფანტებოდა მის გონების თვალწინ, უჩინარდებოდა.

– ახ, ნეტა სად მინახავს ეს მშვენიერი ყვავილები ან როდის? მაგრამ ამ ქვეყნიური სახისა და ფერისა რომ არ არიან! ვერსადა ვნახავდი მათ ჩემ სიცოცხლეში, თუმცა კი მინახვანან იგინი, აღბეჭდილი მაქვს გონებაში მათი სახე, როგორ არა! ეხლა თვალწინ მიდგანან: აგერ, ვარდის გარშემო ტრიალებენ, თვალწინ მიმოიძვრიან, ნაკადივით მიმდინარეობენ განუწყვეტლად. ნეტა შემეძლოს მათი სავსებით დახატვა! მაგრამ სად ვიშოვნო იმათ შესაფერ საღებავს ან როგორ შევაზავებ ესე ჰაეროვნად და შეხამებით! სუნიც კი მესმის ამ ტურფებისა.

– როგორ უკვირთ, როცა უცნაურ ყვავილებს შევთხზავ! ზოგს ძალიან მოსწონს. რომ ვუთხრა, ოდესმე ნამდვილ მინახავს სხვა ბუნების წიაღზე და ეხლაც ვხედავ –მეთქი

გონების თვალთ გაუკვირდებათ, არ დაიჯერებენ. მინახავს კი სწორედ! და ის ჩემი საგონებელი ამბავიც ნამდვილ იქაურია, იმ დროის შემთხვევაა, როდესაც ჩემს გარშემო იზრდებოდნენ ეს ყვავილები. სწორედ მაშინ და იქ მოვიქმედე ის შეუნდობელი ცოდვა, რომლისათვისაც დამსაჯა ამ ქვეყნად შემომქმედმა.

– ყოვლად სახიერო მამაო ზეცათაო! მრწამს, რომ შენმა მართლმსაჯულებამ მომიზღო საზღაური მართალი აწინდელ ცხოვრებაში და ვმორჩილებ მხევალი შენი მიუწდომელ განგებას! შემიწყალე, ყოვლად მოწყალეო, მაკმარე ტანჯვა; მომაგონე შეცოდება ჩემი და დამიწყნარე გონება გაწამებული!

უსმინა ბაბუცას ყოვლად მოწყალემ: აგერ აგონდება ის უცნაური ქვეყანა, სადაც უნახავს მას ეს გამოუთქმელი მშვენების ყვავილები, ის უცხო ბუნება, სადაც ჰხარობდნენ ეს საკვირველნი, ის გარემოებაც, როცა გულამაყმა მოიმოქმედა იგი უდიერება, რომლისთვისაც დაისაჯა ამ ცხოვრებაში.

ქანდაკებას დამსგავსებოდა ქალი უსისხლოს, თვალნი დაეღულნა გარინდებულს, თითქო ძილს მოეცვა იგი. არ კი ეძინა, კარგადა ხედავდა ყველაფერს. აგერ ნელ-ნელა გაფართოვდა ვარდის ბუჩქიანი ფანჯარა, გაღრმავდა იგი, გაშუქდა მოციმციმე ნათელით და ქალს თვალწინ გადაეშალა უცხო რამ წალკოტი თვალწარმტაცი, საკვირველ მცენარეებით სავსე, იმ უცნაურ ყვავილებით აფერადებული. ამ ედემში ერთ ბუჩქს გადაჰფენოდა ნათელი შენივთებული, თვალთაგან განუჭვრეტი. იგრძნო ბაბუცამ, რომ სწორედ აქ იყო მისი მტანჯველი საგონებელი და ეს ნათელთა გუნდი ჰფარავდა იმ აწ მივიწყებულ სურათს. გული საშინლად აუძგერდა ქალს და დაჟინებით დააკვირდა იმ ადგილს. შეირხა ნათელი შენივთებული ნელ-ნელა გაიფანტა, გამჭვირვალე შეიქმნა და ქალს წარმოუდგა თვალწინ წითლად გადაპენტელ ვარდის ბუჩქთან ჭაბუკი შეუდარი, ბუმბერაზი საოცნებო, გარნა მკერდსისხლცხებული, თვალეზდახუჭული, უძრავი. ეხლა კი გაახსენდა ბაბუცას ყოველივე და ათრთოლდა შეძრწუნებული. თვალეზზე ხელი მოისვა ქალმა, რომ კარგად გაესინჯა ყოველივე, მაგრამ განქრა, მიეფარა მის თვალთაგან იგი ჩვენება.

– სიზმარი იყო ეს, თუ ცხადად ვნახე? არა, ცხადადა ვნახე და ვიცანი! გამახსენდა აწ ყოველივე, აკი ვგრძნობდი, რომ თვითონ მევე ვიყავ განგების წინაშე შემცოდე და მისთვის მომეგო ღირსეული მისაგებელი ამ ცხოვრებაში! – სთქვა ქალმა.

და ნელ-ნელა დაუმშვიდდა ბაბუკოს აზრი, თუმცა გულის თრთოლვა დიდხანს კი ვეღარ დაიყენა: შავ ბედთან ბრძოლას იმთავითვე დაეჟღლა მისთვის გული და დიდ ღელვას ვეღარ იტანდა.

განა არა, გრძნობდა ბაბუცა, რომ უთუოდ გაახსენდებოდა მას თავისი საგონებელი და იგი ვარდის ბუჩქი დაეხმარებოდა ამ მოგონებაში. წინათაც რამდენჯერმე ეგრძნო მას უცნაური ციაგი ბუჩქის გარშემო, თვალთაც მოეკრა სხივთაგან შეთხზულ სპეტაკ რამ ქალისათვის, რომელიც მიმოეძროდა იქ. აი რადა ჰქონდა ქალისათვის იმ ადგილს საიდუმლო მნიშვნელობა და რად უვლიდა მას, როგორც რამ ნიშნ წმიდას. ეხლა კი ცხადად გაარჩია მან ყოველივე და მკაფიოდ მოაგონდა თვისი სანეტარო წარსული.

მოაგონდა, რომ ნორჩი იყო ის, ალვის ხესავით ლაღად ასული, მაისის ვარდივით გადაფურჩქვნილი, ფიფქივით სპეტაკი, გარნა მისებრ გულცივი;

მსუბუქი რამ ტანისამოსი ეცვა გამჭვირვალ-მოელვარე; ტოლ-სწორთა კრებული ეხვია მას; აღმზრდელთა თუ მხევალთა დასი მიმოვიდოდა მის შორიახლო. საოცნებო

წალკოტი იყო მის წინ გადაშლილი. წყნარი ნიაგი მოჰყვებდა სუნნელებას, რომელს ალაკმევდნენ ის საკვირველი ყვავილები, აწ რომ ეჩვენებინ მას ოცნებაში. სასახლიდან მოისმოდა ტკბილი ხმა საკრავებისა თუ გალობისა და ჟიჟინი: მის დიდებულ მამას მეჯლისი ჰქონდა გამართული და იხარებდა. წარსდგა ქალწულის წინ წაბუკი ახოვანი და მორჩილად დახარა მის წინ ბუმბერაზი თავი თვისი: იგი ვაჟი გამსჭვალული იყო მისი ტრფობით და უსიტყვოდ ემუდარებოდა მას, მიეფინა მისთვის სხივი სიხარულისა. აგერ, განიცალკევა მან ქალი და შეევედრა მუხლმოდრეკით. ამაყმა არ უსმინა ვაჟკაცს, უარჰყო სიყვარული წრფელი და ნათელი. გული ეხვეწებოდა მზეთუნახავს შეეცვალნა სისასტიკე ლმობიერებად, მაგრამ არ შეისმინა ზვიადმა იდუმალი ხმა გულისა, განრისხა თვისაგან რაინდი უებრო და განეშორა: დიდებით ვერ შეედრებოდა ჭაბუკი ქალს და უმსხვერპლა გოროზმა გული თვის თავმოყვარეობას. ვაჟს აღებეჭდა სახეზე სასტიკი რამ ტანჯვა, გამოუთქმელი, გაიკრა მახვილს ხელი და დაისვა გულს.

– ა, ის ჭაბუკი მშვენიერი, ის შეუნდობელი ცოდვა ჩემის ამაყის სულისა, ა, ის სასჯელიც ჩემი შესაბამი! უარვყავ იმ ცხოვრებაში ტრფიალი იგი უმწიკვლო, ჩავუშავე დიდებით და სიტურფით გატაცებულმა ყვავილი სიყვარულისა, ვეურჩე განგებას და აწ წარმტაცა მართლმსაჯულმა დიდება იგი და სიტურფე, შემმოსა სახე უსახო და დამამდაბლა ფრიად; მაშინ უარვყავ სიყვარული ზეციური, გავუგმირე გული ბუმბერაზს შეუდარებელს და მომეგოცა აწ მოსაგებელი: თვით მე უარმყო ცხოვრებამ და დამილახვრა გული უწყალომ! – წარმოსთქვა ქალმა.

და იგრძნო სასოწარკვეთილმა უზომო ტკივილი გულისა; წამს კვლავ განუახლდა მას სატანჯველი იგი სასტიკი, რომელიც წილად ჰხვდა მას ამ სოფლად.

ამის შემდეგ ის ჩვენება შიგადაშიგ ეცხადებოდა ქალს და იმავე ადგილას, სადაც ვარდის ბუჩქი იდგა ოთახში. ამ ხანში იყო, ქალმა რომ შეიკერა ის მშვენიერი სადედოფლო კაბა და შეითხზა იმ საკვირველ ყვავილების გვირგვინი, ოცნება რომ უხატავდა მის გაწამებულს სულს. კაბა იმ ტანზე იყო შეკერილი, რა აგებულეზაც უწინ ჰქონდა ბაბუცას, რა ნაკვთისაც დაესახა მას თავისი თავი ჩვენებაში. ქალი ეხლა მთლად დარწმუნდა, რომ მისი აწინდელი სახე მხოლოდ დროებითი იყო, ეხლანდელი მისი უმსგავსო აგებულეზა მხოლოდ ქერქი იყო ჟამიერი, რომლით შეემოსა ის მიუწდომელ განგებას მის დასასჯელად; რომ მისი ცეცხლებრივ მწვავი ტანჯვა მხოლოდ ბრძმედი იყო, რომელიც გამოახურებს მის სულს, განსწმენდს მის გულს და სული წმიდას დაჰზადებს მასში.

– მაშინ მოვიხსნი ამ ტანჯვის სახეს, განვიძარცვავ ხორცს უხამს და ღირს ვიქმნები შევიმოსო სახე პირველი, მშვენიერი, და სავსებით დავეწაფო კვლავ ამავე ქვეყნად ყოვლადკეთილის შემომქმედისაგან ჩვენდამი მონიჭებულს სიტკბოებას. მაშინ კვლავ ვიპოვი ჩემგან ოდესმე გაწამებულს, უდროვოდ მოსთვლილს ჭაბუკს შეუდარს; ვპოვებთ ორნივე სამოთხეს, ჩემგან ოდესმე უარყოფილს და დაკარგულს; შევიქმნებით ნეტარნი, ვითარცა ღმერთაგანნი.

თანდათან რწმუნდებოდა ჩვენებაც, რომ ბაბიკო გამოისყიდდა თავისი ტანჯვით თვის ცოდვას, განსპეტაკდებოდა, შეიქმნებოდა ღირსი უებრო სიყვარულისა და ყოვლად მოწყალე შემომქმედიც კვლავ განახორციელებდა მათ ერთმანეთისათვის. ამიტომ იყო, რომ ჭაბუკი ისეთი სევდიანი სახით აღარ ეჩვენებოდა და მისი ჭრილობაც თანდათან მთელდებოდა, ქრებოდა. ბაბიკო გრძნობდა ამას და ივსებოდა მისი გული შემომქმედისადმი მადლობით.

იმ დროს გავიცან ბაბუცა ახლო, როდესაც მას უკვე დაემლივნა თავისი სასტიკი სასოწარკვეთილება, არ დაჰმონებოდა მისდამი მიწეულ უბედურებას, გაეკვეთნა საკუთარი გზა ცხოვრებისა, თვისი სულის ძლიერებით შეექმნა განკერძოებული სამყარო ოცნებისა და თავისუფლად ცხოვრობდა შიგ ცხოვრებისაგან უარყოფილი. ეს იყო მიზეზი, რომ თანავუგრძნობდი მას და მიყვარდა ამ განდეგილ ადამიანის სავანეში რამდენისამე წუთის გატარება. ისიც მომენდო: გულწრფელად გადამიშლიდა ხოლმე თვის ფერად-ფერად ოცნებებს.

ბაბუცა მკვდარი ენახათ იმ ვარდის ბუჩქთან. ის საქორწინო კაბა სცმოდა, იმ ყვავილთა გვირგვინითა ჰქონდა თავი შემკული.

[1913 წ.].

აჩრდილი სიკვდილისა

1

ტყის პირად ღრმა ხევს ბუერა მოსდებოდა, დაქანებული ბექები ლელწმით იყო შემოსილი. გაუვალ შამზად ატეხილიყო ხშირი და მაღალი ლელწამი. ძლიერად იცავდა იგი თავის თავს და თავის ადგილს უცხო მცენარეთა, თუ მავნებელ ცხოველთაგან: მწყობრად მიჯრილი ლელის ღეროები ჩრდილში და ნესტში აშფოთ-ალპობდნენ სხვა ბალახს უცხოს, ფოთლები სამართებელივით სხეპდნენ ტიტველა კანს. ნიადაგი აქ მუდმივ სველი იყო, გაჟღენთილი, საფლობი. ერიდებოდა ამ ადგილს ადამიანი, ცხოველიც; ვერა ჰბედავდნენ გადაექელნათ ის და მხოლოდ იმ ბილიკზე ჩადიოდნენ, რომელსაც ერთ ადგილას გადაესერნა ლელწმიანი ნაკადულამდე. მირს ნაკადი დაბურული იყო ბუერით. მისი ანკარა წყალი მხოლოდ აქა-იქ ელავდა მზის სხივებზე, ფოთლებსა და ფოთლებ შუა. ხევზევით გადაჭიმულიყო მოსავლით სავსე მინდვრები.

ლელწამი ისევ ნორჩი იყო, მწვანე, ხასხასი; ჯერ არ დაპურებულიყო სიმწიფე და სიყვითლე არ შეჰპარვოდა, გაშრობ-გახმობაზე სრულიად არა ფიქრობდა. სველ და ნოყიერ ნიადაგზე ისეთი ტანი ექნა ამ ხანმოკლე მცენარეს, რომ თავს წასდგომოდა მის მახლობლად ატეხილს სხვა შამზსა, დაეჩრდილა იგი და სცდილობდა შესჯიბრებოდა იმ წვრილიანსაც, იქვე ახლო ტყის პირას რომ იზრდებოდა; თავს იხრიდა იგი მხოლოდ ამაყ ხეების წინ, ტყეს რომ გამოსცდენოდნენ და ველზე განმარტოებით გამდგარიყვნენ ჩაფიქრებულნი.

არა ცხელოდა, თუმცა მთლად მოწმენდილი იყო ცა: ნიავი მოდიოდა ტყიდან ნელი და ჰაერს აგრილებდა. ნიავის ყოველ შემობერვაზე ლელწამი ირხეოდა, ზვირთდებოდა, ღელავდა და ადგილ-ადგილ მკერდს გადუსხნიდა მოქანებულ ჰაერის ტალღებს, რომ მათთვის თან გაეტანებინა დაჭარბებული ნესტი და ბუდი, გაემზევლებინა თავისი გული თუ წიაღი. ტყის სუფთა ნიავი უვლიდა ლელწმოვანს, სწმენდა მას და თან გაჰქონდა მავნე რამ ოშხივარი შეგუბებული. მზრუნველ ბუნებას ეს სამსახური დაევალებინა ნიავისთვის და ცქრიალაც ასრულებდა დამბადებელის სურვილს პირნათლად, მხიარულად, ღიღინ-გუგუნით; ხან იქ მოისმოდა მის ჰაეროვან ფრთათა შრიალი, ხან აქ.

განა მარტო მცენარეებს ესიამოვნებოდათ ცელქი ნიავის ცქრიალი! ყველა სულდგმული სიხარულით ეგებებოდა მას და დღის სიცხისაგან სულშეგუბებული მკერდს უშვერდა, რომ გაეგრილებინა გული. ელისბარსაც უხაროდა მაცოცხლებელი სიო: ქუდი მოეხადნა, შუბლი მიეპყრნა გასაგრილებლად. ნელ-ნელა აზდევდა ჭაბუკი ღელის პირს, ეალერსებოდა თავთავ შეყრილ ყანას, რომელიც მოსდგომოდა ხევს გახშირებული და სცდილობდა დაეჭირა ის ვიწრო ბილიკიც, ხევის პირას რომ ასდევდა. სიამოვნებით დაჰყურებდა ელისბარ ყანას, გრძნობადაჭარბებული უალერსებდა მას და ხელსა ჰხვევდა ბილიკისაკენ გადმოხრილ თავთავთა ჯგუფებს, რომ გულში ჩაეკრა ისინი, ეგრძნო თავის სახეზე მათ წამწამთა შეხება, ეყნოსა მათი მადიანი სუნნელება. ასცდა ჭაბუკი ხოდაბუნებს და მიუახლოვდა ლერწმიანს. მაინც კიდევ ერთი გადმოხედა მოსიყვარულე თვალთ უხვად მოსულ ჭირნახულს და გული აღევსო სიხარულით, შემოქმედ ძალისადმი მადლობით.

– ნუ, ბუნებავ, უხვად მომცემელო, ნუ მოუშლი შენს სიკეთეს შენგანვე გაჩენილ სულდგმულს, ააცდინე ამ შენგან მონიჭებულ წყალობას ყოველივე მრისხანება შენი, რომ მადლობით და სიხარულით მოისთვლ-მოიმკონ სავსებისაგან შენისა! – წარმოსთქვა ყმაწვილმა სასოებით.

გასცდა ელისბარ მინდვრებს, დაუახლოვდა ტყის პირს, მაგრამ ტყეში შესვლა აღარ მოისურვა და იქვე ბეჭე ჩამოჯდა, ლელწმიანის თავში. მწვანით მოსილი, ფერად-ფერადად შემკული ბუნება უალერსებდა ჭაბუკის თვალს; მცენარეთა შრიალი და სიოსაგან გახალისებულ სულდგმულთ მხიარული ხმაურობა ატკბობდა მის სმენას; ფიანდაზად გადაშლილ კეკლუც ყვავილთა სუნნელება ასიამოვნებდა მის ყნოსვას; კეთილშეზავებული ჰაერი ეტრფიალებოდა მას ნაზად და თავს ევლებოდა. ბუნება თავის სიუხვით და სიტურფით საამოდ გადაშლილიყო მის გარშემო და ანეტარებდა მას. იჯდა ჭაბუკი ხევის პირს ღიმმორეული. იგი შეჰხაროდა ბუნებას და შესტრფოდა, მთელის არსებით შეერთებოდა მის დაუშრეტელ ძალას სიცოცხლისა, მის სიმდიდრეს ულეველს, მრავალფერობას შეუსაზღვრელს, სიტურფეს უცვალებელს. ჰგრძნობდა ცხადად, რომ თვითონაც მთელი თავისი არსებით მხოლოდ ნაწილი იყო იმავე სამარადისო ბუნებისა, ქმნილება მისი განცალკევებული და თანაც მასთანვე გაერთიანებული განუკვეთელის კავშირით, მისივე სიცოცხლით სულდგმული, მისი წიაღიდან გამოსული და მისსავე წიაღად მიმქცევი, მის არსებაში სამუდამოდ ჩასანთქმელად. გული გაჰლებოდა ჭაბუკს სასიკეთოდ, კეთილთა საუნჯემდინ გაჰხსნოდა მას შეგნება და მხოლოდ კარგსა ჰგრძნობდა ამჟამად, მხოლოდ სიკეთის თუ სიყვარულის განხორციელებადა გამხდარიყო მისი მიზანი და მისწრაფება. ჰსურდა ჭაბუკს ძლიერად გაეშალნა მკლავნი, გარს შემოეჭდო მთელის არსისათვის, მიეზიდნა თვისკენ და დაეკოცნა იგი, როგორც სატრფო ვინმე, ცხოვრების მომცემელი.

მოიღალა ელისბარ ბუნების საერთო სურათის მზერით და მისმა თვალმა გაარკვია ცალ-ცალკე საგნებიც, შემადგენელნი ამ დამატკბობელ მთლიანობისა; მისი ყურადღება მიეპყრო საერთო მშვენიერების შემადგენელ ნაწილთ და გაითვალისწინა იგინი. აგერ ცის კამარაზე შეფენილი გამჭვირვალე ღრუბელი, რომლისთვის დახრილ

მზეს ვარდისფერი კუწუბი შემოურტყამს გარს; აგერ ჩამამავალი მზის სხივებით განათებული მთა, უკვე ჩაჩრდილული ხეები რომ ჩაჰმუქებია ფართე ზოლებად; მთის დაბალ კალთებზე ჭირნახულით აჭრელებულ-აფერადებული მინდვრები; ხევის პირას, უზარმაზარი მუხა, ძერა რომ დასტრიალებს დინჯად თავს; ძირს, ბუერიანის ზევით, ჩანჩქერი, სადაც მარგალიტებად იბნევა ანკარა ნაკადული; წინ, ჩაღმა, შრიალა ლერწმიანი, რომელსაც თავს ევლება ათასგვარი მწერი თუ ჩიტუნა, ხოლო ლერწმიანს აქეთ მთლად გამოცალკევებულ-გამონაპირებული ერთი ღერი ლელი, ობლად რომ სდგას ტოლ-სწორს გამოცილებული.

გალაღებულა ეს განმარტოებული ლერწამი, მაღლა წასულა ისარივით და თავმოძვრენდ დაჰყურებს თავის დობილებს. მაგრამ, დახე, ეს აყიროსავით ტანაყრილი მცენარე თითქო ოდნივ წახრილა; სხვები რომ ნიავზე მთელი ტანით ირხევ-იხრებიან და მოქნილად იზნიქებიან, იგი ლერწამი ძირიდან იხრება და მთლიანად გადად-გადმოდის. ლერწამმა მიიპყრო ჭაბუკის გულისყური, ხოლო მისმა თავისებურმა მოძრაობამ აღძრა მისი ცნობისმოყვარეობა. ადგა, მიუახლოვდა მას და სინჯვა დაუწყო. ფესვები მაგარი აღმოაჩნდა და საღი, ტანი სწორე და ღონიერი, ფესვებს ზევით კი ჭრილობა რამ შეაჩნდა: ცხოველს წაექელნა თუ მოუხემავად დაებიჯებინა და დაეჟღა ღერო ძირში.

– შე საწყალო! ლაღად ასულხარ მაღლა, ტანი გიქნია გახარებულს, დარწმუნებული ყოფილხარ, რომ ბედნიერად გაატარებდი შენს მოკლე სიცოცხლეს, სამხიარულოდ მოიხმარებდი იმ დროს, რომელიც უძღვნია შენთვის გამჩენელს, მაგრამ მოსტყუებულხარ! შემთხვევით დაზიანებულხარ სასტიკად და უკვე თავს დაგტრიალებს აჩრდილი სიკვდილისა: ყანდი შეგეპარება და გულს დაგიავადებს, გაგანადგურებს, გაგაყვითლებს, გაგახმობს, მოგსპობს.

გაუწმინდა ლელს ნამზნევი ადგილი, სიმაგრე რამ ააყოლა დაჟღილიზზე, ჩახია ხელცახოცი და შეუხვია მცენარეს ჭრილობა. მსუბუქმა ნაღველმა მოიცვა მისი სული, ჭმუნვამ უსაგნომ. შეემღვრა კმაყოფილება, როცა შენიშნა ამ უდარდელად გადაფურჩქნილ სიცოცხლეში ბრჭყალი სიკვდილისა; გახუნდა ის სიხარული, რომელსაცა გრძნობდა ბუნების კალთაზე ბუნების მაცოცხლებელ ძალთა მიერ გარემოცული.

ბალღობიდანვე გულჩვილი იყო ელისბარ, მოყვარული, შემბრალელები. მეტადრე კი გული სტკიოდა მცენარეთადმი. თუ დაავადებულ ან დაჩაგრულ მცენარეს შენიშნავდა თავიანთ ფართო ეზოში ან ვენახში, მაშინვე მეშველად და პატრონად გამოუჩნდებოდა: შეუხვევდა, რამე მალამოს დაადებდა, ტოტს აუკრამდა, წყალს მიაწვდიდა. მთელი დღე თავს დასტრიალებდა ბალღი თავის სნეულ თუ დასუსტებულ მეგობარს, უვლიდა მას და დიდი სიხარული ჰქონდა, როცა მოახერხებდა რომელიმე თვის სნეულის გამობრუნებას და გასაღებას. ძალიან უყვარდა მცენარეები და თავს ევლებოდა მათ. ხმელ ტოტს არ შეარჩენდა ხეხილს; არ მოეშვებოდა, მანამ არ გაახალისებდა და გაახლებდა რომელსამე მისუსტებულ ღეროს, თუ რტოს. ისე ყოველთვის წყნარი და მომთმინო, ბოროტდებოდა და ხმას იმაღლებდა, თუ მოჯამაგირე ან მებაღე არ აუსრულებდა ნებას და არ დაეხმარებოდა მცენარის მოვლაში თუ მორწყვაში.

– ამ ბიჭს ბოლომდის შეჰყვება მცენარეთა და ნიადაგის სიყვარული! იქნება ღმერთმა ჰქმნას და კარგი მემამულე დადგეს, თავის მიწა-წყლის მოსიყვარულე, მომვლელი, – იტყოდა მისი მამა.

– მეფიქრება, ეგ სიბრალული დაავადებულ-დაჩაგრულ მცენარეთადმი მართლა ბოლომდის არ შეჰყვეს და როცა დავაჰკაცდება, ქალზე არ გადაიტანოს ეგ გრძნობა.

მაშინ ხომ რომელიმე ღონემიხდილი ტურფა შეაბრალ-შეაყვარებს თავს, დაიმონებს და შემდეგ გააწვალებს ცხოვრებაში, – იტყოდა დედა არც თუ ხუმრობით.

ელისბარ ზამთარშიაც გარშემორტყმული იყო მცენარეებით, სოფლადაც და ქალაქშიც ამის ოთახის ფანჯრებზე გამწკრივებული იყო ყველა ტანის საყვავილმცენარო ქოთან-კოჭბები ათასნაირი ყვავილებით და მცენარეებით. მათში ხარობდა ბალდი, მათ ეალერსებოდა, მათ ზრდას და აყვავებას შეჰხაროდა. ისე იყო ბავშვი ამ თავის მეგობრებში გართული, რომ ტოლ-ამხანაგიც აღარ აგონდებოდა.

4

საზოგადოდაც გულჩვილი იყო ელისბარ და ბოლომდის შეჰყვამას სხვისი სიბრალული. გარემოებაც ხელს უწყობდა ესაზრდობინა იგი თავისი გულკეთილობით და განევითარებინა: მისი მამა მდიდარი კაცი იყო და მას შეეძლო არა მხოლოდ გრძნობით და სიტყვით ეწარმოებინა გულჩვილობა, არამედ საქმითაც, მოქმედებით. ღარიბისთვის კი უფრო მტანჯველი გრძნობაა ეს კეთილი თანაგრძნობა, რადგან უსახსრობის გამო ვერა ვარჯიშობს მისწრაფება, მიზანს ვერ აღწევს, ვერა ხორციელდება, არ იფურჩქნება სასურველად, თანდითან სუსტდება სასტიკ ცხოვრების დუღილ-ბრუნვაში და ან სრულიად იშრიტება, ან ტანჯვის წყაროდ გარდაიქმნება გულში.

მცენარეთადმი თანაგრძნობა და სიყვარული არამც თუ მთლად შერჩა ელისბარს, არამედ უფრო განუძლიერდა, განუვითარდა, განუფართოვდა, დაულრმავდა, რადგან იგი მისი სიყვარული ეხლა სასწავლებელში უფრო შეგნებული შეიქნა მცენარეთა ყოველმხრივ მეცნიერულად შესწავლაზე დამყარებული და მათ მიზანშეწონილ ცხოვრების გაცნობით განმტკიცებული. ელისბარ სასწავლებელში მეტისმეტი ხალისით დასწაფებოდა ბუნებისმეტყველებას და მეტადრე მცენარეთა შესწავლას. მას ისეც საკმაო ცოდნა და გამოცდილება ჰქონდა ამ საგანში ბალღობიდან შეკრებილ-შეთვისებული, ახლა მეცნიერებამაც მიაწოდა ბევრი დამუშავებული მასალა თუ დასკვნა და გაუნათა წინანდელი ცოდნა, შეაგნებინა გამოცდილება. ამისთვის იყო, რომ თავის ტოლ-ამხანაგებში საუკეთესო მცოდნედ ითვლებოდა მეცნიერების ამ დარგისა და მასწავლებლის საყვარელ შეგირდად.

თანდათან გაიტაცა ელისბარი თვის საყვარელი საგნის ყოველმხრივ შესწავლამ; დაერია კიდევ ახალგაზრდა ამ საგანს, სძლია იგი. მთელ სასწავლებელში გაითქვა სახელი და ამ საგანში ცალი აღარა ჰყვანდა მოსწავლეთა შორის: თვით მასწავლებელნიც ეხლა ფრთხილად ექცეოდნენ მას და ხათრიანად. გარემოებაც ყოველმხრივ ხელს უწყობდა მას: ისე ჰქონდა მოწყობილი თავისი სამუშაო ოთახი, როგორც რამ სამეცნიერო დარბაზი. ნიმუშები, სახელმძღვანელოები, ხელსაწყოები! მე ვიცი სივიწროვეს იგრძნობდა თავის მამის სასახლეში ან გაუჭირდებოდა რომელიმე იარაღისა, თუ ნივთის შეძენა. მისი მამა სიხარულით უსრულებდა ყოველსავე სურვილს მით უფრო, რომ ახალგაზრდას არავითარი სხვა უაზრო და ფულის მფლანგავი მოთხოვნილება ვეღარ შეაჩნდა, ისე გაართო თავისმა საყვარელმა საგანმა.

არც სხვა სამეცადინო საგნებში იყო ჭაბუკი ჩამორჩენილი, არც ერთი მასწავლებელი არ ემდურებოდა მას. ნიჭიერ ახალგაზრდას არ უძნელდებოდა; არაფერი არა ჰქონდა საზრუნველი, არც ბინა, არც საზრდო, არც ჩაცმა-დახურვა. ისე გაათავა საშუალო სასწავლებელი, რომ სიამოვნების მეტი არა უგრძნია რა. საკმაოდაც განვითარდა: კითხვა უყვარდა და ყოველგვარი წიგნი ხელთა ჰქონდა, ისე რომ უნივერსიტეტში კარგად განსწავლილი შევიდა და განაგრძო საბუნებისმეტყველო განყოფილებაში

თავისი საყვარელი საგნის შეთვისება და შესწავლა. აღარ ესაკმარა: რუსეთში სწავლის დამთავრების შემდეგ ორი წელიწადი საფრანგეთში დაჰყო მეურნეობის შესასწავლად საგანგებოდ მოწყობილ დაწესებულებაში და ეხლა მეცნიერულად დახელოვნებული ბუნებისმეტყველი და მეურნე დაბრუნდა შინ.

განყენებული მეცნიერი არ დადგა ელისბარი, მარტო ჰაზრდთა სამფლობელოში დახელოვნებული, არამედ მომქმედი კაცი გამოვიდა, მშრომელი. მეცნიერებასთან ერთად გატაცებით უყვარდა მეცნარეც და მისი აღმომცენებელი ნიადაგიც, ხოლო კერძოდ თავისი მამული სოფლად, რომელიც იმდენად ვრცელი იყო, რომ შეეძლო ბატონკაცურად ეცხოვრებინა თავისი პატრონი, თუკი ისურვებდა მის გონივრულად მოვლას და მოახერხებდა მის პატრონობას. ყმაწვილკაცი არ შევიდა სამსახურში: საჭირო არ იყო ბედნიერებისთვის სხვის მონობაში და ლუკმის ძებნაში ამოეშრო ჰაზრთა სალარო, გამოეფიტა მგრძნობიერი გული თვისი და დაესახიჩრებინა თვისი სურვილები თუ მისწრაფება.

5

უკვე სამი წელიწადი იყო, რაც ელისბარი დაბრუნდა უცხოეთიდან და თავის მამულის მოვლა-მოწყობას შეუდგა. მარჯვედ მიჰყვანდა საქმე და ხვავიანად. განა მეტად ხელმომჭირნო იყო. ან ვისმე ავიწროებდა და სხვის მარჯვენით მუქთად სარგებლობასა სცდილობდა! სრულებითაც არა! მის მამულში დახიზნული ან მომუშავე ყველა მაღლიერი იყო მისი. ჩამოაცალა ან ალაგმა ყველა მუქთამჭამელი, რომელიც მის მამულს დაჰკროდა მავნე მწერივით, ან მემამულისა და მიწის მომხმარებელთ შუა ჩამდგარიყო და ღვარსლიდა ორივე მხარეს. გარდა ამისა თავის მამულს ბევრი ახალი შემოსავლის წყარო თუ სახსარი აღმოუჩინა, როგორც დაკვირვებულმა მეურნე-მეცნიერმა. ისეთ ადგილას აღმოაჩინა ფულის შემომტანი სახსრები და ისეთს დარგებში მეურნეობისა, რომელსაც და სადაც ვერც კი მოიფიქრებდნენ ვერც წინანდელნი გამგენი მისი მამულისა, ვერც ახლანდელი მეზობლებ-მემამულეები. ყველაზე კარგი ის იყო, რომ ამ ახალმა და ახალს წესზე აღზრდილმა მეურნემ შემოსავლის ძველი ყწაროები არც მოსპო, არც შეარყია. დიდის დაკვირვებით სწავლობდა მათ მიზანშაწონილებას, მათ ჰავასთან თუ ნიადაგთან შექსოვა-შეფერებას და მხოლოდ აუმჯობესებდა სიფრთხილით, სადაც კი საჭირო იყო ან შეიძლებოდა. ფართო რამ გეგმებს არა სჭიდებდა ხელს. ისეთ საოცნებო დაწყობილებებს, რომელთაც შეეძლოთ ან უცბად რამე დიდი შემოსავალი მოეტანა, ან არა და თვით მამულს დასწოლოდნენ აუტანელ ტვირთად და ენაცვალებინათ ის, ზედ შემოეგლისათ. ელისბარ ვიწრო ფარგალში იწყობდა ყოველსავე ახალ ცდას, ისე რომ ერთბაშად არ ითხოვდა დიდს ხარჯს, ხოლო შემოსავალი უეჭველო იყო მისგან. ნიადაგის ზედაპირის შემუშავებასაც აღარ დასჯერდა მემამულე, თვით დედამიწის გულიდან ამოიღო სიმდიდრე. არც მთა, არც ტყე, არც მინდორი, არც წყალი, არც თუ გული მიწისა აღარ იყო ეხლა უქმად და უხმარად: ყველაფერი ამოძრავდა, ამუშავდა; მაღლობით ხელი გაუწოდა თავის მაღლიან პატრონს და სარგებლობას აძლევდა მას, რადგან მისი გამრჯელი მარჯვენა ყველგან სწვდებოდა, ყველაფერს გულმტკივნეულად ჰპატრონობდა. მეურნეობის ყველა დარგში განსაზღვრული წესი შეიტანა, რომელსაც მარჯვედ და შეუხრელად აწარმოებდა და რომლის გამო ღალის მიმცემი მამული არ იფიტებოდა ან კნინდებოდა. ბაზარიც ადვილად მოუპოვა ნაწარმოებს, რადგან იგი ნაწარმოები სალი იყო, კარგი თვისებისა, სუფთად

დამუშავებულ-შენახული და ეტანებოდა მუშტარი; არც გადაჭარბებულ ფასებში ჰყიდდა, მცირედით კმაყოფილდებოდა და ამ მცირე მოგებითაც კადგი დიდი თანხა გროვდებოდა.

ელისბარის მამა ჯერ ეჭვის თვალთ უყურებდა შვილის ზრუნვა-მეცადინეობას და არ მოსწონდა, რომ იგი არ დაადგა იმ გათელილ-გავაკებულ ბილიკს, რომელზედაც ჩვეულებისამებრ დადიოდნენ მისი თანამოდმე განათლებულნი, რომ იმანაც სხვებსავით არ შეაფარა თავი რომელსამე სამსახურს და არ დაეყრდნო მთელის სიმძიმით თავის ჯამაგირს: მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ მისმა შვილმა უფრო თავისუფალი და კარგი გზა ამოირჩია თავისათვისაც და მამულისთვისაც და დაკმაყოფილდა. კიდევ წახალისდა: თითონაც ძალიან უყვარდა მამული, მაგრამ რწმენა ჰქონდა შერყეული მის შესახებ, რადგან მისმა მეზობლებმა ვერ შესძლეს მიწის შემოსავლით ცხოვრება. თითონაც აქამდინ მაგდენ ვერაფერსა რჩებოდა სოფლის მამულს; ეხლა კი ნახა, რა სახეირო ყოფილიყო მისი ადგილი და გული გაეღო, მიწისადმი სიყვარული უფრო გაუცხოველდა, რადგან იგი სიყვარული ხელსაყრელი და საფუძვლიანი აღმოჩნდა.

მიაქციეს ყურადღება ახალგაზრდის დაუღალავ და ჰაზრიან შრომას. შრომა სწორედ დაუღალავი იყო, მაგრამ გაშმაგებულ-გამწარებული კი არა, არც აჩქარებულ-აპილპილებული, არამედ წყნარი, აუჩქარებელი და თანაც შეუფერხებელი. მუშათა შთამომავალი იყო ელისბარ და გარჯის უნარი თუ ხერხი წინაპართაგან ჰქონდა შეთვისებული, მემკვიდრეობით მიღებული, შესისხლხორცებული. ხომ მიგიქცევია ყურადღება ნამდვილი მუშაკისათვის, რომლისათვისაც ხელსაქმე საჭიროებაა აუცილებელი, მთელ სიცოცხლეში გამყოლი ლუკმა-პურის საშოვარი საშუალება. ის გამწარებული არ ებრძვის სამუშაოს, არც ზედ აწყდება გულსწრაფად; ირჯება აუჩქარებლივ, თანაც შეუფერხებლივ; სამუშაოს სიდიადე მას გულს ვერ უწვრილებს, ვერც სულს უხუთამს: ქედწახრილი შესდგომია მას და მოთმინებით ჰლევს ნელ-ნელა, ასუსტებს. სხვანაირად არც შეიძლება. ეს მოზომილი შრომა არამც თუ არა ჰქანცამდა ელისბარს, არც აკნინებდა მის სხეულს; ეს ვარჯიში გაშლილ ველ-მინდორზე და სუფთა ჰაერში მეტ სიცოცხლესა სძენდა, ისეც გალალეზულ ვაჟკაცს ვარდისფრად ჰფურჩქნიდა, წითლად აღლანებდა.

6

ჰაბუკმა შეუხვია ლერწამს ჭრილობა, გადიყარა ლოყაზე ჩამოფენილი თმა ჩამოიბერტყა წვერი, რომელსაც ლერწმის ჩენჩო დასდენოდა და წამოდგა. სახეზე ფიქრი რამ გადაჰკროდა ბურუსად, ისეც ჩათხრობილ თვალებში ნაღველი ჩაჰსახოდა მსუბუქი: ნორჩი ლერწმის უბედო ბედს დარდები აეშალნა მისთვის, ყოველი კეთილით სამსე ბუნების კალთაზე შენიშნულს სიავეს ვარდისფერი მისი ფიქრები ზაფრანის ფერად შეეღებნა, იის მაგრავ მის გრძნობებისთვის ლაჟვარდის ფერი მიეფინნა.

მაინც ამ ბოლოს დროს ელისბარის თვითგრძნობა ვერ იყო სავსებით სავსე; მის წყნარ და მიზანშეწონილ ცხოვრებას დარდი სწეოდა. თუმცა მწვავე არ იყო იგი ლანდი დარდისა, მაინც ახუნებდა მის სიამის თაიგულს, კიდევ აჰკნობდა მას. მისი გული აწ სხვა კმაყოფილებას ითხოვდა, სხვა საგანს მისწრაფებისას, რომ თავს შემოევლო მისთვის თავის სუნნელოვანი გრძნობანი; იმ საიდუმლო საგანს უნდა აღევსო მისი ნაკლული გული პირთამდე, დაეკმაყოფილებინა ის, დაეწყნარებინა,

დაეტკბო, ფიქრთა გუნდიც აშლოდა მას, მის ჭკვიან თავში ფუტკარივით ირეოდა ჰაზრთა კრებული უკმაყოფილო და დაუწყნარებელი. ჭაბუკის ფიქრები თხოულობდნენ არსებაში მოსვლას, განხორციელებას, გამოთქმას, გვერდით კი არავინა ჰყავდა ისეთი, რომლისათვისაც შესძლებოდა გადაეცა თავისი ყველა ფიქრები, მათი ყოველი მიმოხვრა. მის სურვილთა და მისწრაფებათა დასიც ვეღარ იყო მწყობრად დარაზმული; ვეღარ მიმდინარეობდა შეურყეველად, აუმღვრეველად: ვეღარც მარჯვედ ასდევდნენ იგინი მოქმედ ნებას: ახალს და მახლობელ რა საგანს თხოულობდნენ მისწრაფებისა. ჭაბუკის გრძნობებიც, ფიქრები და სურვილებიც ითხოვდნენ განხორციელებას, გამოთქმას, გაზიარებას, სხვა თანამგრძნობ და შემგნებელ პიროვნებაში გადასვლას, რომ გამოსახულიყვნენ იგინი იმ სხვის სულში, როგორც სარკეში. მისი სული ეძებდა ესეთ მახლობელ სულს მონათესავეს, თანატოლს, რომელიც უნდა ყოფილიყო განგრძობა საუკეთესო მისი პიროვნებისა.

ელისბარის ხორციელი ბუნებაც ვეღარ იყო კმაყოფილი და დაწყნარებული, აწინდელი თვისი ყოფნა ვეღარ აკმაყოფილებდა სავსებით; იგი გრძნობდა, რომ მისი არსება ხორციელი, აწ მშვენიერი და ძლიერი, მხოლოდ ჟამიერი იყო და უნდა დამჰკვნარიყო, დაკნინებულიყო, დაშლილიყო და ჰსურდა განეგრძო თვისი ხორციელი არსებობა, განემეორებინებინა იგი თვის ხატად და მსგავსად ქმნილ ახალ არსებაში, რომ მასში ენახა თავისი თავი განახლებული. ძლიერად მიისწრაფოდა ჭაბუკის ხორციელი არსება ამისადმი და ეძებდა თავის ცალს, რათა შეუღლებოდა მას და შექმნილიყვნენ ორნი ერთ ხორც და ერთ სისხლ, ორად განყოფილ, გარნა განუკვეთელ, განუცალკევებელ პიროვნებად.

ფიქრობდა და გრძნობდა ელისბარ ამას ყველაფერს და ჩასდევდა ბილიკს სოფლისაკენ. იფნებს რომ მიუახლოვდა გვრიტები შენიშნა ჰაერში, ერთად მიფრინამდნენ; დაუახლოვდნენ ხეებს და მიეფარნენ.

– ბუდე ექნებათ აქ და ის აცხოვრებთ მათ ერთად, ერთის ცხოვრებით; ბუნებისაგან დადებული მისწრაფება ერთად ამუშავებს მათ, ერთად ასულდგმულებს და იგი მათი ერთობა ტკბილია, თვით ბედნიერებაა განხორციელებული. „არა კეთილ არს ყოფა კაცისა მარტო“, არა კეთილ არს ყოფა სულდგმულისა მარტო!

მისი ფიქრი დაჟინებით უბრუნდებოდა ამავე საგანს.

– ცხოვრება სამარადისოა ყოველ არსებისათვის და იგი მარადისობა პირად უკვდავებაში კი არა მდგომარეობს, არამედ თვის არსების განგრძობაში შთამომავლობის შემწეობით: ყველა შემდგომ მოდგმაში განმეორდების წინაპართა პიროვნობა და ამ სახით გვარის განგრძობასთან არის დაკავშირებული პირადი უკვდავება. ეს ისეთივე ძირითადი კანონია ბუნებისა, როგორც თავის დაცვა ყოველივე არსებისათვის და ისეთივე ტკბილი, როგორც თვით სიცოცხლე. ამისთვის ესწრაფება ყოველი სულდგმული შთამომავლობის განგრძობას შეუკავებელი სურვილით და ეს ლტოლვილება არის ყველა არსისათვის საერთო, ძლიერი, უტკბესი გოლეულისა. მაგრამ თუ ამ კავშირს არ მოსდევს გვარის განგრძობა, იგი ერთობა არ არის ნაკურთხი შემოქმედებისაგან და უაზროა, როგორც უშედეგო. შეუძლებელია უარყოფა ბუნების ამ კანონისა! თუ უარჰყოფ მას, დაისჯები: გაგაწამებს ბოლოს სინანული ძლიერი და დაგიღრღნის გულს, როგორც რამ მღილი სამარისა.

– მეც უნდა გავყვე ამ საერთო კანონს და ვპოვო თანამგზავრი ცხოვრებისა! რასა ჰგავს ეხლა ჩემი ცხოვრება!? ვიცი, რა ჰაზრს ვემსახურები, ცხადია ჩემის შრომის მიზანი, მაგრამ მაინც მთლად ვერ მაკმაყოფილებს ყველა ეს და ეხლაც ამ სიმშვენივრით და სავსებით გარემოცული ვერა ვგრძნობ სიხარულს უნაკლოს, ჰმუნვა რამ შემომწოლია გაურკვეველი.

მეუღლის პოვნის ფიქრი ადრეც მოსდიოდა ჰასაკში მოსულ ჭაბუკს, მაგრამ მხოლოდ გაკვრით, უფრო წესისა და ჩვეულების მიხედვით. ეს სურვილი მალევე გადაუვლიდა და ჰქრებოდა უკვალოდ, როგორც რამ ღრუბელი თეთრი ლაჟვარდ ცაზე. ეხლა კი მთელი არსებით იგრძნო მოთხოვნილება იმ ქალის პოვნისა, რომელსაც უნდა შეუღლებოდა, რომ მათი ერთობა განგრძობილიყო მათს მოდგმაში და შექმნილიყო სამუდამო შემდეგ ჟამთა დენაში. აქამდინაც ბევრჯელ აღეძრა ახალგაზრდას დაწყვილების სურვილი, გარნა იგი მხოლოდ მოწიფული ხორცის მოთხოვნილება იყო, წუთიერ ვნებათა ღელვის დასაკმაყოფილებლად მიმართული და დნებოდა კიდეც წამიერ კმაყოფილებაში. ეხლა სხვა იყო, ეხლა ის პიროვნებას ეძებდა, რომელიც უნდა შექმნილიყო განგრძობად მისის არსებისა, ჰაეროვან განგრძობად მისის ბუნებისა, ახალ სიცოცხლის მომნიჭებელ ქმნილებად.

ადვილი არ იყო ამისთანა ქალის პოვნა: აქ უძლური იყო მხოლოდ გონების გამჭრიახობა, მოაზრების ძალა, არჩევანის უნარი, რადგან ჰაზრი, თუნდ ძლიერი, ერთი სახეა ადამიანის არსებისა და მხოლოდ ჰაზრზე დამყარებული არჩევანი ერთმხრივი იქნებოდა, ერთკერძი. აქ საჭირო იყო ჰაზრთან ერთად გრძნობაც ამღერებულები და სურვილსაც აემალლებინა ხმა თვისი ძლიერი. ერთად უნდა ალაპარაკებულიყვნენ გონებაც, ნებაც და გულისთქმაც; უფრო კი გული და მოქმედი ნება, რადგან ადამიანი თავის მოქმედებაში ამ სულიერ ძალებზე არის დამყარებული და მათგან ამოდრავებული.

ელისბარს კი ჯერ ასეთი ქმნილება არ შეჰხვედროდა, თორემ აქამდისაც იქმნებოდა შებოჭილ-შებორკილებული, ესე თავისუფლად ფიქრს თუ მოზომვას ვეღარ შესძლებდა: მაშინ მთელი მისი არსება აღიძვროდა და იგი ტყვექმნილი მხოლოდ ტალღასდა აჰყვებოდა მოქმედებისა; მისწრაფების ზვირთები აიტივტივებდნენ მას და წარიტაცებდნენ, როგორც ღვართქაფი ნარიყს რამ განხმელს.

ელისბარ აქამდისაც ათვალთვლებდა საცოლოს ნაცნობ ქალებში, ყურს ადევნებდა სასძლოდ განმზადებულთა ამბებს. ესეთი თვალთვლება მოწიფული ახალგაზრდასათვის ბუნებრივი იყო და შესაფერი. ქალთა მუშტრის თვალთ სინჯვა ამ ხანში უნებლიეთია და აუცილებელი, მაგრამ ეს მოთხოვნილება მასში აქამდის საზოგადო იყო და ბუნდი, ამ მისწრაფებას ესეთი მკაფიო სახე არ მიეღო და არც ასეთი ძლიერება გამოეჩინა. ჯერ ასე ცხადად არ ეგრძნო ელისბარის გულს ობლობა, არც ესე ბეჯითად მოეთხოვნა გულს დაკმაყოფილება.

ამ მდგომარეობაში ელისბარ უნებლიედ მიმოავლებდა გონების თვალს სასძლოდ განმზადებულ ნაცნობ ქალებს. მართალია, მას, როგორც გულჩათხრობილს და საკუთარ საქმეში ჩაბმულ კაცს არა ჰყვანდა ბევრი ნაცნობი, მაგრამ, როგორც მდიდარ ახალგაზრდას, შეძლებულის და კარგი ოჯახის მექონს, მაინც ბევრნი მისდევდნენ სოფლადაც და ქალაქშიაც. სიამოვნებით უახლოვდებოდნენ მის სახლს მეტადრე ის ოჯახები, სადაც გასათხოვარი ქალი მოიპოვებოდა, რადგან ამისთანა განათლებული, თავდაჭერილი და მშრომელი ახალგაზრდა ყველასათვის სანუკვარი იყო, საოცნებო; ყველა გრძნობდა, რომ ამ მაღლიან ვაჟკაცს სიამოვნებით შეიძლებოდა მიჰნდობოდა ბედ-იღბალი თუნდ ბროლის კომპში სათუთად აღზრდილის მზეთუნახავისა. თავადებისა და სხვა წარჩინებულთა ოჯახებსაც ეჭირათ მასზე თვალი, რადგან

განათლებას და შეძლებას უკვე ამოემსო ის ღრმა დეღე, რომელიც ჰყოფდა კეთილშობილთა წოდებას სხვა წრის ხალხთაგან.

თვალი გადაავლო ელისბარმა ამ თვის ნაცნობებს და უფრო დაღონდა: დარწმუნდა, რომ მათში არც ერთი არ იყო განგებისაგან მისთვის გაჩენილ-დაწერილი. განა არ ვარგოდნენ იგი ყვავილნი, მაგრამ მაინც ისინი არ იყვნენ ელისბარისთვის გაჩენილნი, არც თვითონ იგი მათთვის დაბადებული: ვერც ერთს იმ ვარსკვლავთაგანს ვერ გაედვიძნა მასში ის უძლეველი სურვილი, რომელთან ბრძოლა კაცის ხელთ აღარ არის; არც ერთი მათგანი არ იყო ისეთი, რომლის დანახვაზე ეთქვა ჭაბუკს: ან ეს, ან სულ არავინ! სხვანაირად კი არ შეეძლო ჭაბუკს ვისთანმე შეკავშირება, ვერც წარმოედგინა სხვანაირი ერთობა სულთა. და ამისთანა გრძნობებით შეპყრობილი ახალგაზრდა ჰყვედრიდა თავის თავს, რომ ასე განმარტოებულ ცხოვრებას მიჰყოლოდა..

– კაცო, უნდა გახვიდე, მიდგე-მოდგე, ეს გაიგონო, ის ნახო. და იქნება შეჰხვდე შენს ბედს! უნდა ეძიო, რომ ჰპოვო. შენ კი განმარტოებულხარ, მოსდებიხარ ამ ტყე-ველს და გგონია, ის შენი ბედის ვარსკვლავი თვითონ ამოგიბრწყინდება, თავს დაგადგება. ჰყვედრიდა ელისბარ თავის თავს, თავისსავე რჩევას კი ვერ ასრულებდა, უფრო და უფრო მარტოვდებოდა, თავის გაძლიერებულ სურვილს მხოლოდ თითონვე ებრძოდა თუ უაღერსებდა: იგი გრძნობა ძვირფას საიდუმლოს შეადგენდა მისთვის და არ უნდოდა ვისთვისმე გაეზიარებინა საჯაროდ გაეტან-გაეფინა.

8

ადვილად შეეძლო ელისბარს ბევრი კარგი ოჯახი გაეცნო, რჩეულ საზოგადოებაში დატრიალებულიყო და ისეთივე მხიარული ცხოვრება დაეწყო, როგორ ცხოვრებასაც ატარებდნენ მისი ტოლ-სწორნი, მისთანავე შეძლებულნი. ელისბარის მამული სააგარაკო ადგილას იყო და ზამთრობით რომ ცარიელი იდგა და გულჩათხრობილ-ჩაშავებული, მაისიდან იღვიძებდა, თვალს ახელდა, სიცოცხლით ივსებოდა, თავს იშვენებდა და მთელი ზაფხული აჟიჟინებული იყო, ხალხით სავსე, ცხოვრების ეშხით დამშვენებული. აგარაკის ტყე-ველი, ნაძვნარი, წალკოტები, ბაღნარი სავსე იყო დიდი ქალაქებიდან მისული ხალხით. იქით იხიზნებოდა უფრო შეძლებული, რომელსაც უკვე მოსწყენოდა ქალაქური გართობა და ახლა სააგარაკო დროს ტარებას დასწავებოდა. ერია შეგადაშიგ ხელმოკლე ხალხიც, რომელიც გაჭირვებას გამოედევნა აქეთკენ. ისინი თავიანთ უკანასკნელ მონაგარს ჰხარჯავდნენ, რომ ბუნების მაღლიან კალთაზე დაებრუნებინათ შრომაში და გაჭირვება-ვიწროებაში დაკარგული ჯან-ღონე, რათა კვლავ შესძლებოდათ ჩვეულებრივ უღელში ჩაბმა, და მძიმე ცხოვრების საზიდად ჭაპანის წევა. ქალაქებიდან გამოსულ-გამოფენილ ხალხს თან აზღვევებოდა მტაცებელ ადამიანთა ბრბო და იგი მოსისხლენი ათასნაირ ხერხსა ჰხმარობდნენ, რომ ბინიდან აშლილ და ჩვეულ ნიადაგიდან დამრულ ხალხისათვის მეტი ტყავი აეცრცნათ ან ქონი აეგლიჯათ თავიანთ საკვებ-საცხოვრებლად.

ელისბარს შეეძლო თამამად ეტრიალნა მოაგარაკეებში, ყველანი გაეცნო, მათთან გართობილიყო და თან თავისი საძებარი ეძებნა. ესმოდა მას, რომ მოხერხებული ადამიანი სწორედ ესე მოიქცეოდა, მაგრამ ეხლა უფრო განზე გაუდგა საზოგადოებას და მთელი დღე ან საქმეში იყო გართული, ან ტყე-ველს მოსდებოდა და შეჰმღეროდა გადაფურჩქვნილ ბუნებას, შეჰლადადებდა. ეხლაც აგერ თავის ახოების, თუ ყორულების დათვალაიერების შემდეგ ნელის ნაბიჯით მოდიოდა ცხენდაცხენ. ფიჭვნარს რომ მიუახლოვდა, ცხენი ბიჰს გაატანა და თითონ ხელში მათრახით

ჩამოჰყვა ბილიკს. დაწყნარებულ-დაყუჩებულ ბუნების ხილვამ ნათელ გუნებაზე დააყენა ჭაბუკი, გული გაუღო მას და ააღილინა:

მოდო, ასპიროზ, მარგე რამ, მან დამწვა ცეცხლთა დაგითა,
ვინ მარგალიტსა გარეშე მოსცვავს მოწისა ბაგითა;
შენ დააშვენებ კეკლუცთა დაშვენებითა მაგითა,
და ვისმე ჩემებრსა დააგდებ, გაჰხდი ცნობითა შმაგითა.

მიიმღეროდა ელისბარ ნელის ხმით და მიდიოდა. მიუახლოვდა იმ კეკლუცს ფიჭვნარს, რომელიც შეადგენდა სააგარაკოს მშვენებას. გასცდა წყაროს და ჩაჰყვა რუვს, რომელიც შუაზე ჩაუდიოდა ფიჭვნარს და შემდეგ უერთდებოდა ღრმა ხევს. წყაროს წყალი ნაკადულად მოჩანჩქარებდა და ალაღებდა მდელოს თვის გარშამო. ერთ ალაგას ჯგუფად გამოცალკევებულიყო ასიოდ ფიჭვი; გალაღებულნი თავისუფლად აწვდილიყვნენ მაღლა და აწ თვის წვეროებით წყნარ ნიავს ეთამაშებოდნენ, ოდნავ შრიალებდნენ და ისე ხასხასებდნენ გამჭვირვალე ჰაერში, რომ თვალი მოსტაცეს ჭაბუკს. მიდიოდა ელისბარ და თვის ვარდისფერ ოცნებებს უერთებდა ცის ლაჟვარდს თუ მცენარეთა ლბილ სიმწვანეს. ბოლოს ძირს დაიხედა გატაცებულმა ყმაწვილმა და მსწრაფლ განზე გადაა ნაბიჯი, ბოდში მოითხოვა: ძალიან მიახლოვებოდა ბუმბერაზ ნაძვს, რომლის მსხვილ ღეროს მიჰყუდებოდა ვიდაცა ქალი. ეხლა წიგნისთვის თვალი მოეწყვიტნა მას, მუხლზე დაედვა ის და გაკვირვებით უმზერდა მასზე პირდაპირ მისულ ჭაბუკს. ელისბარმა გაისწორა ქუდის მოხდაში ჩამოშლილი თმა და გზა აუქცია. მაინც გულმა ვერ გაუძლო და რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ ისევ მიიხედა ქალისაკენ. ის ისევ წიგნს დაჰყურებდა, წამსვე დაჰვიწყებოდა ჭაბუკის ჩამოვლაც და მისი არსებობაც, თითქო დაჰვიწყებოდა თვით ქვეყნიერებაც.

– როგორ გატაცებით კითხულობს! მერე, დახე, ქართული წიგნი უჭირავს ხელში! – წარმოსთქვა მან გაკვირვებით. და სცდილობდა გამოეცნო, რა წიგნსა კითხულობდა ქალი: ქართულ ასოებს კი მოჰკრა თვალი, თხზულება კი ვერ იცნო. წამოვიდა გამოსცდა ფიჭვნარს. მოესურვა წარმოედგინა ქალის სახე, მაგრამ ვერ შესძლო: მისი სახის იერი არ აღბეჭდილიყო გონებაში, მხოლოდ ქალის ყელ-ყური ედგა ჭაბუკს თვალწინ, ემხიანად ნაქანდაკები ყარყარა ყელი, რომელიც გალაღებულ ყლორტსავით თეთრად ამართულიყო გაცრცვილი. ვაჟმა ველარ მოიშორა გონების თვალიდან მწყაზარი ყელ-მკერდი და ველარ! გაეღიმა. იცის ადამიანის გონებამ: ერთი რამე საგანი თუ სახე აღბეჭდება ზედ, აჰყვება და აღარ მოშორდება რამდენსამე ხანს; თუ ეცდები დაივიწყო და განაქარვო, უფრო ცხადად დაგიდგება თვალწინ. როგორ არა, წინადაც გამოუცდია ესეთი ამბავი ჩაფიქრებულ ელისბარს, რამდენჯერმე შეუნიშნავს ეს და ეხლა სრულებით არ ღირს ამაზე ფიქრი! მაგრამ, ახ, რა მშვენივრად მოუხდება იმ სიცოცხლით სამსე მარმარილოს ყელ-მკერდს ფარღული მარგალიტისა! გაიფიქრა უნებლიეთ ვაჟმა და თვალწინ ცხადად დაეხატა იგი სურათი ყელი მარგალიტის სამკაულით მორთული-დამშვენებული.

ამისთანა უეცარი და წამიერი შეხვედრა თუნდაც ლამაზი ქალისა არ უნდა ყოფილიყო საყურადღებო და არც იყო, მაგრამ ელისბარ ველარ დაივიწყა ეს უბრალო შემთხვევა, მისი გონება ყოველ ჟამს და ყოველ წუთს უბრუნდებოდა ამ ამბავს, იგი ბროლივით თეთრი ყელი მუდამ წინ ედგა და იზიდავდა მის გონების თვალს, უცხოველებდა სურვილს მის კვალად ხილვისას; ეს მით უფრო, რომ ქალის სახე

კარგად ვერ შეენიშნა ჭაბუკს, იგი სახე ბურუსში იყო მისთვის გახვეული და დაუკმაყოფილებელი ცნობისმოყვარეობა ძლიერად იზიდავდა მისკენ. ამოდ ცდილობდა ვაჟი წარმოედგინა ქალის სახე; თუ მოჩანდა აჩრდილიდან გონების თვალის წინ, ისევ გაკვირვებული თვალები, თვალები კი არა, მხოლოდ გაკვირვება იმ თვალებში.

– რას იტყობდა ი ქალი ან რას იფიქრებდა! მივდიოდი ბრმა-ბრმად, ცისკენ მიმეპყრო თვალები და წინაღამ ზედ წავაწყდი. იქნება ეგონა, ხის წვერებზე ყვავებსა სთვლის ეს ვიღაც პირდაღებული უსაქმოვო; ან იქნება გაიფიქრა, ქალთ მამიბელი ვინმე ქარაფშუტა არის და განზრახ მოვიდა ზედ, რომ ხმა გაეცა ჩემთვის, ანკესი გადმოეგდოვო, – გაიფიქრა ვაჟმა.

ამ უკანასკნელმა მოსაზრებამ სირცხვილი აგრძნობინა გრძნობაფაქიზ ახალგაზრდას, უნებლიეთ ატკრიცა იგი. ამ ფიქრებმა თავი აღარ დაანებეს ვაჟს არც იმ დღეს, არც მეორეს; თვალწინ ედგა მას ეს შემთხვევა წიგნის კითხვისა თუ წერის დროს, მუშაობის დროს თუ განსვენების ჟამს, საუზმის დროს თუ სადილზე. დედამ შენიშნა მისი მღელვარება და უთხრა:

– დღეს როგორღაც გატაცებული თვალები გიჩანს, ბიჭო! და მოუსვენრობა გეტყობა! თითქო რაღაც შეგმთხვევია. ხომ არაფერი გაფუჭებულა მამულში ან არავინ გაგაჯავრა?

– არა, დედი! ღვთის თვალი ტრიალებს წლეულ ჩვენს მამულში და მადლი; გაჯავრებით კი ან ვინ გამაჯავრებდა, ან რად?!

– მეც იმიტომ შეგეკითხე! მაინც ნუ მუშაობ მაგდენს, არ დაიქანცო; დაანებე თავი ყველაფერს და მიდექ-მოდექ ნაცნობებში, გული გაართე.

მაგრამ ვერ აასრულა ჭაბუკმა დედის რჩევა: იმ ღამეს ხომ მოუსვენრად იყო იგი და მეორე დღეს უფრო დაეტყო მღელვარება. თანდათან უფრო ჩაეჭრა გულში შემთხვევით ნანახი ქალი და მოუთმენლად მოისურვა ერთი კიდეც დაენახა იგი, აღებეჭდა მისი სახე თვის გონებაში; თანაც უნდოდა სუფთად ჩაცმული და დაწყნარებული სჩვენებოდა ქალს, რომ განექარწყლებინა არა საამო შთაბეჭდილება, რომელიც ალბათ მოახდინა მასზე გუშინ. მაგრამ რომ აღარ გადიოდა დრო და მზე აღარ იხრებოდა დასავლეთისკენ! როგორც იყო მოახლოვდა საღამო. ჭაბუკმა ჩაიცვა სუფთად, აიღო წიგნი ხელში და გასწია ფიჭვნარისაკენ.

– ნეტა ეს წიგნი რაღად მიხდა, რომ ილღიაში ამომიდვია?! ეტყობა უნდა ვუჩვენო ი უცნობ ქალს, რომ უბრალო გაუნათლებელი ვინმე არა ვარ და კითხვა ვიცი! უნდოდა დაბრუნებულიყო, დაეგდო წიგნი, მაგრამ კარგა მანძილი ჰქონდა გავლილი და დაეხარა. ფიჭვნარს რომ მიუახლოვდა, გული აუფანცქალდა, აუტოკდა.

– ნეტავი კი ისევ იქ იყოს და! – ინატრა. აჰყვა ნაკადულს. შეორიდანვე შენიშნა ქალის ცისფერი კაბა ხეებშუა. გაუხარდა, გული გაეღო. ქალი გუშინდელ ალაგას იჯდა და კითხულობდა. მის მოშორებით ნაკადის ნაპირას დაცანცალებდა ბავშვი, ბადით პეპელებს დასდევდა. გადაიფარფატა ჭრელმა პეპელამ. ბალღი დაედევნა მას. პეპელა ნაკადულზე გადაფრინდა. გატაცებულმა ბავშვმა თავი ვეღარ შეიმაგრა და წყალში ჩავარდა პირქვე. ქალმა შეჰკვივლა და წამოხტა, მაგრამ ელისბარ უფრო ახლო იყო; გადახტა, ამოიტაცა ბალღი. ქალმა მადლობა გადაუხადა და თან ისეთი ღმობიერად შეხედა მას თვის დაღონებული თვალებით რომ ვაჟს გული აუჩყუდა.

– კაბა გამიფუჭდა, ლიზიკოჯან, კაბა! – ჩიოდა თვალცრემლიანი პატარა.

– არა უშავს რა, გენაცვალე, გავრეცხავთ და ისევ მშვენიერი იქნება. – ანუგეშებდა ქალი და თან ხელ-პირს უწმენდა ხელსახოცით.

– ვაიმე, ბაბთა დამკარგვია თმებიდან, ჩემი წითელი ბაბთა!

ჭაბუკმა ჩაადევნა თვალი ნაკადს და იპოვნა დანაკარგი: წყალს წაეღო, ბალახზე დაეხვივნა. მოურბენინა აცრემლებულ ბალღს.

– თქვენი და გახლავსთ?

– დიახ, ბატონო!

– გამოუცვალეთ, არ გაცივდეს! შორსა სცხოვრობთ ქალბატონო?

– აქვე ვსცხოვრობთ, ქარაძიანთ აგარაკში, – მიუგო ქალმა. ერთხელ კიდევ გადაუხადა მადლობა და წაიყვანა ბავშვი მარდად.

10

ელისბარმა თვალი გაადევნა მიმავალ ქალს.

– კარაძიანთ აგარაკი! ის ხომ იაფფასიანი აგარაკია, სულ რაღაც ორი ოთახი.

მდიდრები არ უნდა იყვნენ ესენი, ძალიან სუფთად კი აცვია, ფაქიზად. რა წერწეტი დალოცვილი! სწორედ მშვენიერი ტანი აქვს! – ფიქრობდა იგი და თვალს ვეღარ აშორებდა ქალს.

მიმავალ ქალს რომ უყურებდა ელისბარ, უეცრად ის ლელწამი წარმოუდგა თვალწინ, იმ დღეს, რომ ნახა ხევის პირს და იარა შეუხვია, ისეთივე წვრილი იყო, მაღალი და თანაც თითქო ისეთივე მისუსტებული. არა, რამე ზიანი კი არ აჩნდა იმ ლერწამსავით, არც ავადმყოფსა ჰგვანდა, მაგრამ მეტად ნაზი იყო, გამჭვირვალე. თვალეში ჩუმი რამ ნაღველი ესახა ქალს. იგრძნო ელისბარმა, რა სუსტი უნდა ყოფილიყო ეს არსება მოუხეშავ ცხოვრებასთან ბრძოლაში, როგორ ძნელი იქნებოდა მისთვის ცხოვრების სისასტიკის ატანა, თუ მიუხედებოდა პირისპირ შებმა მასთან.

– გრიგალი ცხოვრებისა მსწრაფლ გადაჰრის მას და მოჰფშვნეტს წელში, როგორც დაზიანებულ რამ ლელწამს, დაუნდობლად დაუხრის ძირს ყვავილის ღეროსავით ნაზად ახრილს ყელს და ჩააჭკნობს, ჩააშავებს!

ტკივილი იგრძნო ჭაბუკის კეთილმა გულმა, როცა წარმოიდგინა, რა ბევრჯერ იძულებულნი არიან ამისთანა ნაზი ქმნილებანი გამოვიდნენ ცხოვრების ასპარეზზე მარტოდმარტო, უმწეოდ და იწყონ თავიანთ სუსტი ხელით ლუკმაპურის ძებნა, რომელი აღმოცენდება ეკალთა და კუროსთავთა შორის და რომლის ამოღება უწყლულებს მათ კანს, უსისხლიანებს. რამდენადაც მშვენიერნი არიან ეს არსებანი, იმდენად სუსტნი და უმწეონი. ესეთნი არიან ცოდონი, თორემ სხვებს რა უშავთ, თოქმად ნაშენ-ნაგებთ ან ტლანქად ჩამოსხმულთ?! ისევე ვერას დააკლებს მათ ცხოვრების სიდუხჭირე, როგორც ბუნების სიავე ვერ ჩააჭკნობს და მოაშთობს რომელსამე ეკლად ამოსულს, ღეროდაკუჭრებულ-გაბარჯლულ მცენარეს, რომელიც მძლავრად ჩაჰკვრია მიწას, თვით ქვეყნის დამწველ გვალვაშიაც პოულობს საკმაო სიჩხინტეს და სინოტივეს. ჭაბუკის გონების თვალწინ ერთად აღიმართნენ, ერთმანეთს აეტოლნენ მისგან ნანახი დამზნეული ლელწამი და ეს მინაზებული ქმნილება, რომელიც აგერ მიეფარა მის თვალთაგან და ძლიერ მოესურვა ნება ჰქონოდა ეზრუნვა ამ ნაზ ქმნილებაზე, როგორც იმ დღეს ზრუნავდა მოსამტვრევად განწირულ ლამაზ მცენარეზე.

ქალი რომ ნაზი იყო და სუსტი აგებულობისა, ეს ნამდვილ შენიშნა ელისბარმა, მაგრამ ისეთი გაჭირება კი არა ედგა რა, არც მოელოდდა, რომ ვისიმე საზრუნველი ყოფილიყო ან ვისგანმე შესაბრალისი, როგორც გრძნობდა ამას ახალგაზრდა. ქალის მამა მასწავლებელი იყო, მცოდნე ოსტატად მიჩნეული, საკმაო ჯამაგირს იღებდა და ცხოვრობდა სუფთად. მართალია, ძლივსა ჰყოფნიდა ფული, სხვა სამუშაოს აღებაცა

სჭირდებოდა, რომ გასძლიოდა ცხოვრების მოთხოვნილებებს, მაგრამ ეს მხოლოდ იმისთვის, რომ ყველაფერი სასყიდი იყო, ცხოვრება კი უნებლიედ ისე ჰქონდა მოწყობილი, როგორც ვისმე შემძლებელს. თუ რამე შემთხვევითი და მოულოდნელი ხარჯი დაატყდებოდა ოჯახს, ეს ძირიანად არყევდა მის კეთილდღეობას. იყო ზურაბ ციაგაძის ცხოვრებაშიც ისეთი ხანი, როცა იმედი ჰქონდა მას რამე მამულის შექმნისა და თავშესაფარის მოპოვებისა, მაგრამ ტკბილი ოცნება ოცნებადვე დაურჩა, ვერ განუხორციელდა სურვილი: ქულფათი დაეხვია, მეუღლე დაუავადდა და ამან მთლად ამოაშრო, თუ რამ დოვლათი შეგუბებულყო მის ოჯახში. მაინც ვერ გადაარჩინა თავისი ცოლი, ვერაფერი უშველა მას: მიიცვალა ქალი და განსაძელში ჩააგდო ფაქიზად მოწყობილი თვისი სახლი. დაობლდა ოჯახი და დაქვეითდა. იმედი იმითლა შესწევდა კაცს, რომ ბაღლები ნიჭიერები და მეცადინენი აღმოჩნდნენ, სწავლა არ უჭირდებოდათ კარგად მიმართულებს. გერ უკვე შესრულდა ორი წელიწადი, რომ მისმა ქალმა ლიზიკომ გაათავა სწავლა და მასწავლებლობს. მის ნაზ აგებულობას არ შეეფერებოდა ოსტატის მძიმე ტვირთი, არც მამა ატანდა ძალას სამუშაოს დასდგომოდა, მაგრამ ჰხედავდა, ოჯახს უჭირდა და შეებრძოლა საქმეს. კიდევ კარგი, რომ საუკეთესო ცოდნა და მოსიყვარულე ხასიათი უადვილებდნენ ქალს ამ შრომას, თორემ სწორედ მიწამდინ დაჰხრიდა ეს მძიმე ტვირთი. შინაც ბევრი საქმე ჰქონდა ქალწულს: უდიასახლისოდ დარჩენილ ოჯახს ყურადღება უნდოდა და მასა ჰხვდა იგი მოვალეობა, როგორც უფროს ქალს. ამ მოვალეობასაც პირნათლად ასრულებდა ლიზიკო და თავისი კეთილი ხასიათით გამთბარ-განათებული ჰქონდა ყოველივე კუთხე ოჯახისა.

ზაფხულობით სააგარაკოდაც ახერხებდა გამოსვლას ოჯახი: ბაღლები სუსტები იყვნენ, ქალაქის ჩასიცხულ და მოწამლულ ჰაერის ატანა უძნელდებოდათ და მეტი გზა არ იყო. აი, წლეულაც გამოვიდა იგი სააგარაკოდ და თუმცა მდიდრული ბინა არ ეჭირა, არც მდიდრულადა ჰქონდა ცხოვრება მოწყობილი, მაგრამ საღსა და გრილ ჰაერზე ხომ იყვნენ და ესეც ძვირფასი იყო მათ ყოფა-ცხოვრებაში, დიდი ღვთისწყალობა.

ძლიერ გულკეთილი ქალი იყო ლიზიკო, მაგრამ ამაყი. უფრო მეტად იყო იგი ამაყი და თავმოყვარე, სინამ შეეფერებოდა მის ყოფა-მდგომარეობას. გარნა ზვიადი იყო იგი და მიუკარებელი მხოლოდ მათთვის, რომელნიც ქონებით თუ მდგომარეობით მათზე მაღლა იდგნენ ცხოვრებაში; მათ წინაშე თავის მოხრა ან მცირედი რამ ხათრი თუ დათმობა შეუძლებლად მიაჩნდა. ზრდილობა, თავაზიანობა და საზოგადოდ ნარნარი ქცევა ძირითადი თვისება იყო მისი სუფთა ბუნებისა, მაგრამ თუ ამაზე მეტს ხათრიანობას და დათმობას შეჰნიშნავდა თავის თქმაში ან ქცევაში, წითლდებოდა და ჰყვედრიდა თავის თავს. თავის ტოლთან და მცირედთან კი ყოველთვის თავმდაბალი იყო, მოწყალე, ღმობიერი. მეტადრე მოსიყვარულე იყო უმწეო და დაჩაგრული ბაღლებისა. არც ჯანს, არც შეძლებას არა ჰზოგავდა მათთვის და მარად თავს ევლებოდა. თავის გაჭირვებულ შეგირდებისათვის სწორედ ანგელოზი იყო მფარველი და ხელის აღმპყრობელი.

ესეთივე ხასიათისა იყო ციაგანთ მთელი ოჯახი. თითონ ზურაბმაც ასეთი ხასიათი შეიმუშავა პატარაობიდან. ღარიბ სახლიდან გამოსულს თავის საკუთარი მარჯვენით გაეკაფა გზა ცხოვრებისა. შემწე თუ გზის მაჩვენებელი არა ჰყოლია. შემდეგაც თვისი

ოჯახი, მხოლოდ თვისი პირადი მეცადინეობით მოაწყო და გამოკვება, თავისი პატიოსანი შრომით. მის სახლს არ შესძენია არც დანგი მისგან დაუმუშავებელ-დაუმსახურებლად. თუ შველა იყო, ისევ თვითონ ჰშველოდა თავის ღარიბ და დავრდომილ ნათესაობასა, თუ უცხო. არასდროს არ დაუმყარებია მას თავისი იმედები სხვაზე, თუ სხვის მონაგარზე. კიდევ გაეზვიადებინა ზურაბს ასეთი შეხედულობა და დაჰმონებოდა მას.

ქალმა მთლიანად შეითვისა ასეთი შეხედულობა, შეისისხლხორცა და ცხოვრებაში გამოსვლისთანავე ამ თვალთ დაუწყო ყურება ყველაფერს. ასევე უყურებდა ლიზიკო ახალგაზრდა მოტრფიალებს: თუ რომელიმე მდიდარი მოარშიყე მიუახლოვდებოდა ან დიდი შთამომავლობისა, ქალი მაშინვე ეჭვის თვალთ შეჰხედავდა, მზირად იყო და ფრთხილად, ყოველსავე მის სიტყვას ან ნაბიჯს ჰზომავ-სწონამდა და თუ შეამჩნევდა, რომ კაცი ემყარებოდა თავის სიმდიდრეს ან გვარს, თავი მოჰქონდა მით და ამაყობდა, ქალი მაშინვე განზე გაუხტებოდა და დაჰხმამდა თვის მოწყალების კარს მის წინაშე. ვერ ამჩნევდა ქალი, რომ ესეთ მის ქცევას ბევრჯერ სისასტიკის კარამდე მიჰყვანდა ის, რადგან გულუბრყვილოდ წარმოთქმული ან უცაბედად წამოროშილი სიტყვაც განზრახ ნათქვამი ეგონა, მოაზრებით. მოარშიყეს კი აოცებდა მისი უეცარი გულცივობა და სტანჯამდა, ხოლო ქალის ისეთს ქცევას მის უცნაურ ხასიათს, უხიაკობას აწერდა.

ელისბარსაც ესეთი მარცხი მოუვიდა ამ პირველ შეხვედრაზე: ქალმა რომ უთხრა, ქარაძიანთ აგარაკში ვცხოვრობთო, ვაჟმა მიუგო, „ვიცი ის პატარა ფიცრული, შიგნით ეზოში რომ სდგას“. ქალს ისე მოესმა ვაჟის სიტყვები, თითქო მის თქმაში დამცირება რამ იხატებოდა მათის დროებითი ბინისა, დაკნინება. ამ თქმამ გულზე უკბინა ქალს; მან გაკვირვებით შეჰხედა ვაჟს და მაშინვე გაჰშორდა, თითქმის გაიტაცა ზავში. ელისბარ შეკრთა, მაგრამ სწორედ კი ვერ მიხვდა ვერაფერს, ვერც შეიგნო გულუბრყვილოდ, რომ მისმა სიტყვამ უკმაყოფილობის ჩრდილი გააცრევა ქალის გულში.

– სწორედ იმისთვის წავიდა ქალი სწრაფად, რომ ჩქარა გამოეცვალნა ბალღისთვის ტანისამოსი, – გაიფიქრა იმან, თუმცა შენიშნა, რომ ელვასავით განათებულ თვალებში რაღაცა წყენა, თუ გაკვირვება გამოკრთა ერთს წამს.

ელისბარმა შენიშნა ქალის იმ წამიერ შეხედვაში უსიამოვნო რამ გაკვირვება თუ კითხვა, მიზეზი კი ვერ გაიგო წუთიერის წყენისა. აღარც ჩაფიქრებულა ამაზე; უფრო დიდმა გრძნობამ გაიტაცა: ძალიან თვალში მოუვიდა ქალი, გულში ჩაუვარდა იგი უეცრად: მოისურვა, ძალიან მოუნდა ერთი წუთი მაინც კიდევ დაეყო მასთან, ემზირა მისთვის. ღრუბლიდან ნაშუქ მზის სხივად მოეჩვენა იგი სურვილთა ბურუსით მოცულს მის გულს; გაუნათდა გუნება, გაუშუქდა ყოფნა. თანაც გული ეტკინა, რომ ქალი მსწრაფლ მიტრიალდა და განშორდა. გაკვირვებული ჩაჰყურებდა ვაჟი თავის გულს, უნდოდა გაეგო, რამ მოხიბლა იგი ან რითი, მაგრამ პასუხი ვერ მიეღო ვერსაით; გულს მხოლოდ უხაროდა იმ ციაგის ხილვა და გონება სრულებითაც არ დაჰკითხებია იგი ამ სიხარულის მიზეზის შესახებ, არც მიუღია გონებისაგან რაიმე საბუთი ან განმარტება. ვერც მიიღებდა! ფიქრიც გულს დაჰმორჩილებოდა ამ წამს, უზრუნველად აჰყოლოდა გრძნობათა ტალღას და თითონაც ნათლით მოსავდა და ამკობდა სურვილის ამშლელ ნორჩ არსებას. ქალი კი მიდიოდა, ტანს მიარხევდა, აგერ

კიდევ უნდა მიჰფარებოდა თვალთაგან, არა ფიქრობდა სასტიკი, არცა გრძნობდა, რომ ვაჟის სურვილი თან მისდევდა მას და ეხვეწებოდა ცოტა ხანს შემდგარიყო, ემუდარებოდა მცირედ შეეფერხა, ერთი კიდევ მიეხედნა მისკენ. მაგრამ არა! მანძილზედაც გასჭრა ვაჟის ძლიერმა სურვილმა: ქალი შესდგა მისახვევში ერთ წამს და მიიხედა მისკენ.

– შენ კი გენაცვალე მაგ სულში, – წარსთქვა ვაჟმა აღტაცებით.

ამ ხმამ ოდნეობა ელვის სისწრაფით განვლო მანძილი, შეეხო ქალის ყურს, მსწრაფლ შეავარდისფრა ქალწულის სახე და მის დაფიქრებულ-დაღონებულ თვალებში გაშუქდა ბავშვური სიხარული უბიწო, როგორც ნაპერწკალი წყვილიადმი.

ქალი მივიდა შინ და იგი სიხარულის ნასახი თან მიჰყვა სახლში, თანდათან გაძლიერდა იქ, მოედო მთელ მის არსებას, გაათბო იგი და აალილინა მხიარულად. რა მოსიყვარულე ხასიათზე დადგა! რა ლმოობიერად ეპყრობოდა ყველას! მისი ნათელი არსება ეხლა ყოველსავე ჩრდილს ჰფარავდა და აქრობდა იმ მომაბეზრებელ აჩრდილებს, რომლებიც აუცილებლივ დაცურამენ ყველგან და ყოველთვის, მეტადრე ხელმოკლე ოჯახში. მთლად შეუნდო ქალმა ჭაბუკსაც მისგან მოუფიქრებლად წარმოთქმული სიტყვა.

– რა ვუყოთ, რომ დამამცირებელი სიტყვა წამოსცდა მათ ბინის შესახებ?! უცაბედად მოუვიდა, მოუფიქრებლად! ან კი რა სთქვა ისეთი? პატარაა ბინა მაშ რა არის? მხოლოდ იმისთვისა სთქვა, რომ ეთქვა რამე, ხმა ამოელო და არა იმისთვის, რომ დაემცირებინა მათი ყოფა-ცხოვრება. იქნება თითონ უფრო ვიწროდა სცხოვრობს და ხელმოკლედ, ვინ იცის?!

შეუნდო გულკეთილმა მოუფიქრებელი სიტყვა და ერთ წამს ქალის ფერადი ფიქრები, მისი ტკბილი გრძნობები თავს დასტრიალებდნენ ჭაბუკის სანდომიან სახეს.

ელისბარ ამ დროს მთლად გამსჭვალულიყო ქალწულის ჰაეროვანი არსებით. ის გარინდებული იდგა იმავე ადგილას, მიეპყრო თვალი გზისთვის და უხაროდა: გულს ის უნათებდა, რომ ქალმა მაინც კი მიიხედა მისკენ და ისე მიეფარა თვალთაგან.

– სწორედ ჩემი მისწრაფება მისწვდა მას, ჩემი სურვილი შეეხო მსუბუქ ფრთით და მოახედა! რა ნაზია, გამჭვირვალე! განთიადის სხივებისაგან არის შეთხზილი მთელი მისი არსება. მაგრამ რა სუსტი სჩანს! მისმა პაწაწა ხელმა და აყიროსავით ასულმა ჩვილმა კანმა როგორ უნდა შესძლონ ბრძოლა ცხოვრებისათვის და ცხოვრებასთან?! მაგრამ არა! იგი მებრძოლად კი არ არის გაჩენილი, არამედ მებრძოლთა გზის მანათობლად, მათ დამაშვრალ და ტვირთმძიმე არსების დამაამებლად, იმ უკვდავების წყაროდ, რომელიც მიანიჭებს ყოველსავე მებრძოლს მხნეობას დაუშრეტელს, ძალს ბრძოლისას უღვევლს. განა ყველა მებრძოლად არის ცხოვრებაში შექმნილი, ზოგიც მათ მურაზად, მათ მახალისებელ არსებად არის განსახებული. თუ საზოგადო მოღვაწეს ან მებრძოლს მახლობელი მიზანი არ ექნება ღვაწლისა და იქვე არ ეყოლება წამხალისებელი სასურველი, მისთვის ბრძოლაც უეშხო შეიქმნება და მოსაწყენი. რაინდი რომ იბრძოდა მამულისათვის და სჯულისათვის, მას თანა სდევდა გამამხნეველები სურათი სატრფოსი, რომელსაც მიუზღვნიდა ხმლით მოსთვლილ ყვავილს გამარჯვებისას, რომლის კალთასაც უმწეო ბალღვით დააყრდნობდა ბუმბერაზულ ბრძოლის შემდეგ თვის უძლეველ თავს, რომლის ერთი ღიმილი ან ალერსი დაუფასებელი ჯილდო იყო მისთვის. ეს ქალწულიც შექმნილია მებრძოლთა თუ მოღვაწეთა ძალის მიმცემად, მანუგეშებლად, გამამხნეველად.

ვაჟი ჩამოჯდა, სადაც ქალი წიგნს კითხულობდა. დიდხანს იყო იქ დაფიქრებული. ოცნებას გაეტაცნა იგი, დავეიწყებინა ცხოვრების სინამდვილე და იგი თვის ლიზიკოს ამ წუთს ცხადად ხედავდა თავის გვერდზე, გრძნობდა მის სუნთქვას, მის ჰაეროვან შეხებას და თავის ოცნებას უზიარებდა მას, გარდასცემდა თვის ტკბილ სურვილებს. ქალსაც ესმოდა ჭაბუკის გულისთქმა და თანაუგრძნობდა მას, უღიმოდა, უალერსებდა ფიქრმოდებული თვალებით.

ამის შემდეგ ელისზარ სულით დაუკავშირდა ქალს და მხოლოდ მასზე ფიქრით არსებობდა. შესცვალა ნირიც ყოველდღიურ ცხოვრებისა. აქამდინ სულ შრომაში იყო, ნამდვილ მუშაობაში. არც ერთს ნაწილს თავის მამულისა, არ აკლებდა ყურადღებას და სარისტას. სახნავ-სათესი, ბაღ-ბოსტანი, საძოვარი, სათიბი, ტყე თუ მთა ან წყალი მისი გამგეობით სწარმოებდა და მის თვალქვეშ. სადაც ფეხით ვერ მისწვდებოდა, ცხენი ჰყვანდა მზად. იგი პირად იცნობდა ყველას, ვინცა სცხოვრობდა მის მიწაზე ან რაიმე საქმე ჰქონდა მის მამულთან. დამე კი ჩაიკეტებოდა თავის ლამაზად მოწყობილ ოთახში და კითხულობდა ან ანგარიშობდა და თავის შენიშვნებს აღნიშნავდა მამულის მოვლის შესახებ. ცდილობდა განათლების დენას არ ჩამორჩომოდა და შეუმჩნევლად არ გარიყულიყო უვიცობის ჭაობში. მეტადრე სურვილით მისდევდა თავის საყვარელ მეცნიერებას. აკი საუკეთესოდაცა ჰქონდა შესწავლილ-შეთვისებული მცენარეთა ცხოვრება და მათი არსებობის კანონები. მხოლოდ კვირა-უქმელა ჰქონდა საზოგადოებაში გასასვლელად და ნაცნობ-ნათესავების თუ ტოლ-ამხანაგის სანახავად. დღიური ცხოვრების ეს წესი მტკიცედა ჰქონდა დაცული. ან კი რა დაუშლიდა, ან ნირს რა შეუშლიდა? ვერც ქეიფი, ვერც ბანქო თუ სხვა დროის დამღუპველი გასართობი მას ვერ იზიდავდა, არც საზოგადოებაში უყვარდა უსაქმოდ ყოფილი. მისი დროს გატარება იყო თავის მამულის მოვლა და პატრონობა. ხომ ვერც იშოვნოდა ბედნიერი ამაზე სასიამოვნო გასართობს: ბავშვობიდანვე უყვარდა თავისი მიწა-წყალი, საზოგადოდ ბუნების კალთა; ვერც ამაზე სასარგებლო საქმეს მოჰკიდებდა ხელს, რადგან იგი საქმე ღალიანი იყო და უხვად მიუძღვნიდა სასყიდელს თვის მზრუნველს. ზამთრობით კი ქალაქში ატარებდა დროს და ცდილობდა დასტოლებიყო განათლებულებს, ფეხდაფეხ აჰყოლოდა ცოდნათა დენას. შეემლო კიდევ ეს: მოწყობილი ბინა, უზრუნველი ცხოვრება, თავისუფალი დრო ხელს უწყობდნენ მეცნიერების ბედნიერ მოტრფიალეს.

ეხლა კი შეეცვალა მას ნირი ცხოვრებისა. ეხლაც მუშაობდა, არა ჰღალატობდა შრომის საგანს, მაგრამ შეერყა გეგმი ყოფნისა. ეხლაც დილიდანვე შეუდგებოდა ნაჩვევ შრომას, მაგრამ მუშაობდა ფიცხად, მოუთმენელად. მთლად დაჰკარგა წინანდელი სიდიდისა. ცდილობდა სადილობამდინვე მოეშორებინა თავიდან მთელი დღის საქმე; ასწრობდა კიდევ ყველაფერს. სადილთ უკან კი შეიკეტებოდა თავის ოთახში, დადიოდა მოუსვენრად, მღეროდა, თარს უკრავდა, ხან წიგნს მოჰკიდებდა ხელს, ხან კალამს; გულს არც ერთს არ უდებდა. დასცქეროდა საათს მოუთმენლად. რაკი მზე გადიხრებოდა, გამოწყობილი გავიდოდა სასეირნოდ. შორს კი აღარ მიდიოდა, იქვე ფიჭვნარს დასტრიალებდა და ამ სიარულის მიზანი მხოლოდ ერთი იყო: იდროვებდა და აივლიდა იმ ბილიკზე, რომელიც ასდევდა განცალკევებულ ფიჭვნარს, სადაც მოფრინდებოდა იმ დროს მისი გვრიტი. შენიშნავდა თუ არა ვაჟი ლიზიკოს ცისფერ კაბას ხეებსა და ხეებს შუა, შეუდგებოდა ნელის ნაბიჯით ბილიკს:

მიდიოდა დარბაისლურად, გარემო სიტურფის თვალიერებით, გული კი უცემდა და უფთხრიალებდა, ხოლო თვალთ ვერაფერსა ჰხედავდა, გარდა იმ ცისფერ კაბისა, რომელიც ეხლა მას ლაჟვარდ ცაზე უფრო კამკამად და მიმზიდველად ესახებოდა. როცა ქალის სახესაც დაინახავდა ბედნიერი, მაშინ ხომ მზე ამოდიოდა მისთვის და მთლად კაშკაშებდა იგი ცა ლაჟვარდი. დაუსწორდებოდა ქალს, მოუხდიდა ქუდს და უსურვებდა მშვიდობას, ქალწულიც თითქო ელოდდა მას, სალამს მისცემდა, გაუღიმებდა და შეჰხედავდა, შუქს მიაფენდა, გულს გაუნათებდა. ამ ერთ წამში იყო ელისბარისთვის მთელი დღე შეკუმშული, მხოლოდ ამ სანატრელ წუთში; მთელი დღე ჯერ მზადება იყო ამ წამისთვის, მერე მოგონება, ნათლად წარმოდგენა მისი. თუ წვიმიანი დღე გათენდებოდა, ახალგაზრდა დილიდანვე დაჰკარგავდა ქალის ნახვის იმედს და დაღონებული შეუდგებოდა თავის საქმეს; წავიდოდა მამულში, მოედებოდა ტყეს თუ მინდორს, რომ სამყაროსათვის შეეჩვილა თავის ბედი უბედო და დაეღამებინა უსიამოვნო დღე.

ხასიათიც შეეცვალა ჭაბუკს: აქამდის მოდილინე, ლმობიერი და მომთმინო, ეხლა უტყვი შეიქმნა, გულჩათხრობილი, მოუთმენელი; აქამდის ყოველივე წვრიმალის მცოდნე და ყოველგან სარისტის მიმცემი, ეხლა სამეურნეო საქმეებს თვალს ვეღარ ადევნებდა და ბევრჯელ ვეღარც კი ესმოდა, რასა თხოულობდნენ მისგან ან რას ეუბნებოდნენ; შესაფერ პასუხს ვეღარ იძლეოდა კითხვაზე, დამაკმაყოფილებელს. ხან მთელი საათობით იყო დაღვრემილი და ჯანღმოდებული, ხან უეცრად უნათდებოდა სახე, თვალწინ სასიამოვნო რამ ჩვენება ესახებოდა და შესტრფოდა ლამაზ ოცნებას. სწორედ მარტის დღე შეიქმნა მისი სახე, წუთს ბურუსიანი ამ მძიმე ღრუბლებით გარემოცული, იქვე მზის სხივით გაბრწყინებული; ხან მთვარის სხივით მკრთალად გაშუქებული და მოციმციმე ვარსკვლავებით დამშვენებული.

შინაურებმა შენიშნეს ასეთი ცვალემა ჭაბუკისა და საბაბი რომ არ იცოდნენ, საზოგადო მიზეზს აწერდნენ ამ ამბავს.

– ჰასაკში მოსული ახალგაზრდაა, სიყვარულის ხანი დასდგომია და ტოლს ეძებს მაგის გული, ჩქროლავს და ღელავს იგი.

– მეც ეგრე მგონია, ქალო! მაგრამ, აბა, რა უნდა უწამლოს კაცმა მაგ უხიაკს, როცა თავი გაუმარტოებია და ყველას განზე გასდგომია?! სად უნდა შეხვდეს ღირსეულ საცოლეს ან საიდან უნდა აირჩიოს და როდის?

– იცი, კაცო, ძალიან მომწონს ძლიერაანთ მაიკო. მდიდარი, დედისერთა, განათლებული, კოხტა, ცქრიალა. სხვა რაღა უნდა? მისი მზითები რომ შეუერთდეს ჩვენს ქონებას, მაშინ კი სწორედ დიდი მემამულე შეიქმნება ჩვენი ელისბარ.

– ელისბარისთანა პატრონის ხელში ჩვენი მამულიც საკმარისია, მაგრამ მაინც ძალიან კარგი იქნება ძლიერაანთ მამულიც მაგის ხელში გადმოვიდეს. ქალიც კარგია, რა უჭირს! ცოტა ხასობს, მაგრამ ჯერ ბავშვია დადონდგილდება.

– ახალგაზრდას სინორჩე უნდა ეტყობოდეს. მოვა დრო და დარბაისელ მანდილოსნად გარდაიქმნება ქალი. განა მე კი იმთავითვე დინჯი ვიყავი და წყნრი.

– ცეცხლი იყავ სწორედ, ალი დამწველი და აკი ჯერაც ვერ დადონდგილდებულხარ.

– კარგი, თუ ღმერთი გწამს! მოდი, კაცო, ერთი წვეულება გავმართოთ და დავპატიჟოთ ძლიერაანი.

– დავპატიჟოთ! იქნება როგორმე დაუახლოვდნენ ერთმანეთს ქალ-ვაჟი.

დაჰპატიჟეს, მშვენიერი მეჯლისი გადაუხადეს. კიდევ რამდენჯერმე ზედიზედ შეახვედრეს ახალგაზრდანი, რადგან პატრონებს გულითა ჰსურდათ დამოყვრება და ღირსეული ქალ-ვაჟის შეუღლება, მაგრამ ყოველმხვე ცდამ ამაოდ ჩაუარათ. თვით ქალის გიჟმაჟმა ქცევამ და თითქმის თავხედურმა არშეიყობამაც ვერ გასჭრა, ვერ გაუღვიძა ჭაბუკს ხორციელი ლტოლვა ძლიერი, ვერ აღძრა იგი. ელისბარ ზრდილობიანად ეპყრობოდა ქალს, მოკრძალებით, გულისყური კი სხვაგანა ჰქონდა. ქალწულმა იგრძნო ეს და იწყინა. დაახლოვების მაგივრად ქალ-ვაჟი უფრო განზე გაუდგა ერთმანეთს და გაშორდა. დედას არ უამა, რომ ჰაზრი გაუცუდდა და მისმა დაწყებულებამ ვერ გასჭრა, მაგრამ რას იზამდა ან რა ხმის ამოღება შეეძლო?! ჭაბუკი კი უცვლელად გასდევდა თავის გზას და რაც ხანი გადიოდა, იმდენად უფრო იზიდავდა მას იგი დამმონებელი ძალა.

ელისბარ ბუნებით მოქმედი ადამიანი იყო, მხოლოდ ოცნებათა სამფლობელოში დიდხანს ვერ დაჰყოფდა; ძალაც აღარ შესწევდა ესე შორიდან ეტრფიალა და ეალერსა თავის ბედის ვარსკვლავისათვის. ვეღარ შესძლო გულხელდაკრებილი ჯდომა და დაასკვნა უსათუოდ გასცნობოდა ქალს, დაახლოვებოდა და გადაედგა გაბედული ნაბიჯი. მოახერხა მან და გაიგო ქალის ვინაობა, აღზრდა თუ მდგომარეობა. ეხლა უფრო იმედი მიეცა მას, რომ მოინადირებდა ქალის გულს: თითონ ხომ ეშხიანი იყო, არაფერი უჭირდა, ეს კარგად იცოდა ელისბარმა, ახლა თავის ქონებითაც შეეძლო ემოქმედნა შედარებით ღარიბ დედ-მამის შვილზე და ესეც ხომ კარგი მაშველი ძალა შეიქმნებოდა მისთვის ბრძოლაში, თუ ვინიცობაა დასჭირდებოდა იგი ბრძოლა.

აღარც ქალი იყო მისადმი გულცივად და უგრძობელად: შეეჩვია იგი მოხდენილ ვაჟის ყოველდღე ნახვას, მასაც სწყურდებოდა მისი სალამი, მისთვისაც სასიამოვნო იყო ის წამი, როდესაც წამოყელყელავდებოდა ვაჟისთვის სალამის მისაცემად; თუ ამ შორიდან მოტრფიალეებს ვერ შეჰხვდებოდათ ერთმანეთის დანახვა, ქალიც ვაჟივით ღონდებოდა, მასაც გუნება ეხურებოდა. ეს იყო მიზეზი, რომ ელისბარს იშვიათად უცუდდებოდა იმედი და ათასში ერთხელ ასცდებოდა ქალის ხილვას. ამისთვის აიჟინა ლიზიკომ ნამძნარის ეს კუთხე, თორემ განა სხვა ლამაზი ადგილები არ იყო იმ მიდამოში დასასვენებლად: ლიზიკომაც ეხლა უკვე იცოდა ვაჟის ვინაობა, იცოდა მისი განათლებაც, შრომისმოყვარეობაც და ზნეობითი სიფაქიზეც; ყველასაგან მხოლოდ კარგი ესმოდა ვაჟზე, ყველა პატივისცემით იხსენიებდა ამ თავისებურ ახალგაზრდას; ამან უფრო დაუხვია ქალს გული. ლიზიკო თუ ძალიანა ფრთხილობდა ეხლა, მხოლოდ იმიტომ, რომ იცოდა მისი სიმდიდრე და ეშინოდა ვაჟს არ გაეფიქრა, სიმდიდრის ძალა მოქმედობსო ქალზე. ამიტომ იყო, რომ ქალმა არ გაუღვიძა ვაჟს, მგრძობიარედ არ შეხვდა, სიტყვაც კი არ გადაუგდო გულდამწვარს. იცოდა კი სასტიკმა, რომ ვაჟის გული მისთვის ძგერდა ეხლა, დარწმუნებული იყო ამაში.

ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ გაუღვიძა ბედმა ელისბარს: წარმოდგენა გამართეს საქველმოქმედოდ და დარბაზი სულ გაიტენა ხალხით. რამდენიმე ხმაც უნდა ემღერნათ. ელისბარ არ იყო სცენის მოტრფიალეთა შორის, მაგრამ თვით თეატრში სთხოვეს მას ნაცნობებმა რამე ქართული ხმა ემღერნა. აღარ მოეშვენენ. ხათრი ვეღარ გაუტეხა ნაცნობ საზოგადოებას და გაბედა. მაღალი ხმა ჰქონდა, არც სასცენო, თუმცა იმ დარბაზისთვის კი კმაროდა. სასიამოვნოდ დაიმღერა დარდიან რამ კილოზე:

ფიქრით წაღებულ გულზედა ქვიშა ლოგინად მიგია.

ჩამიცვამს ნავთის პერანგი, ზედ ცეცხლის ღილი მიგია,

სამსალასა ვსვამ თასითა, გული ლახვარზე მიგია,
რაც შენ გიხილე, სიცოცხლე, სალხინოდ ეს მომიგია...
მოეწონათ სევდიანი ხმა, სთხოვეს კიდევ რამ ეთქვა, მაგრამ მან მთლად დაირცხვინა
და ხალხში შეერია. ლიზიკო ტრფიალი იყო ნაღვლიანი სიმღერისა და გაუღიმა ვაჟს.
ელიზბარმაც გაბედა და ხელი ჩამოართვა. ეს პირველი შეხება იყო დიდად
სასიამოვნო წუთი ვაჟისათვის.

ამის შემდეგ წინანდებური გეგმი ყოველდღიურის შეხვედრისა მცირედ შეიცვალა.
ვაჟი ნაცნობივით შეხვდებოდა ქალს, ეტყოდა რასმე და განშორდებოდა. ახ, რა
უმნიშვნელო გამოდიოდა მისი ნათქვამი! გრძნობათა სავსებით კი იყო სავსე მისი
გული, ფერად-ფერადი გრძნობებით. ამ დაახლოვებამ უმეტეს ააგზნო ჭაბუკის
სურვილი და დაასკვნა გადაეწყვიტა თავისი ბედი, აღარ დაეყოვნებინა. მაგრამ ახლა
სხვა ეჭვმა შეიპყრო: ვაი თუ ქალის გული უკვე დატყვევებულია სხვისაგან და უარი
მითხრასო.

უარს კი ვედარ აიტანდა ეხლა ახალგაზრდა. იცოდა, ამ გრძნობას ენაცვლებოდა იგი
და ფრთხილობდა, შიშობდა ძლიერ. წინად კი, მანამ შეყვარებული არ იყო, ქალი
სრულებითაც ვერ აშინებდა მას: იცოდა, რა ნანატრი სასიძო იყო ყველა ოჯახისათვის
და საქმრო ყველა ქალისათვის; ვერც კი წარმოედგინა, რომ შეიძლებოდა უარი მიელო
ქალისაგან. არც ეშინოდა მაშინ უარისა: ერთი არ იქნება, სხვას მოვიყვანო, ფიქრობდა
და ეგონა ადვილი იყო ამორჩეულის შეცვლა სხვაზე. ეხლა სხვა იყო. ნახა, რომ
შეუძლებელი გახდა გრძნობის გადატანა სხვაზე და შეკრთა. შეუდგა იმის მოაზრებას,
როგორ მოეხერხებინა ქალის ახლო გაცნობა, მის ოჯახში შესვლა, რომ
ეგრძნობინებინა ქალისათვის თვისი გადაწყვეტილება და შეემზადებინა ის ამ
ნაბიჯისათვის. რამდენჯერმე დააპირა მისულიყო და პირდაპირ ეთქვა თვისი
სურვილი, რომ ბოლო მოელო თავის ტანჯვისათვის, მაგრამ ვერა ჰბედავდა და სიტყვა
პირში უშრებოდა. იცოდა, ეს წუთი სამუდამოდ გადასწყვეტდა მის ბედს-იღბალს და
ემიწოდებოდა. იქნება ქალი დანიშნულიც იყო და მაშინ ხომ ამაო იქნებოდა ყოველივე მისი
ცდა და ფუჭი ყოველივე მისი ზრუნვა. ესე იყო მოწყობილი ქალ-ვაჟის ურთიერთობა,
როცა ერთმა უბრალო გარემოებამ მთლად შეარყია და ჩაშალა ესე სიფრთხილით და
სათუთად აგებული კომპი გრძნობისა.

სადილზე ისხდნენ ელისბარიანი და ოჯახის ავ-კარგზე მუსაიფობდნენ.

– დარიკო უთუოდ უნდა მივცეთ წლეულ გიმნაზიაში, საკმაოდ კი არ არის
მომზადებული; გამოცდილი მასწავლებელი უნდა მოვუნახოთ, თორემ არ მიიღებენ
ბავშვს და მერე უფრო გაჭირდება საქმე. – სთქვა დედამ.

– მონახე, კაცო, მასწავლებელი და მივაბაროთ ბაღლი; ოღონდ კი მართლა კარგი
ვინმე იყოს და ბეჯითი. ეგებ ქალს ვისმე ჩააბარო ყმაწვილი, – მიუბრუნდა მამა
შვილს.

ელისბარს ელვასავით გაურბინა თავში მაცდურისაგან მიწოდებულმა ჰაზრმა და
სთქვა დაუფიქრებლად:

- ვიცნობ ერთ მაგისტანა მასწავლებელ ქალს და მოველაპარაკები.
- კეთილი და პატიოსანი!

ჭაბუკმა განიზრახა ეს შემთხვევა დაეხვივნა ხელზე, რომ გასცნობოდა ქალიაანთ და
შესულიყო მათ ოჯახში.

იმ სადამოუკუნო უფრო მხიარულად გაემართა ელისბარ სასეირნოდ, ღიღინით აჰყვა ნაჩვევ ბილიკს და აგერ ხეებშია მოჰკრა თვალი თავის სიხარულს. ეხლა კი ადვილად მოაგვარებს თავის საქმეს: ქალს ახლო გაიცნობს, შეიჩვევს, დამეგობრდება, თავს მოაწონებს; ეცდება კიდევ შეაყვაროს თავი.

– და მალე ჯვარსაც დავიწერ! მაშ არა, ნებას მივცემ რაღაც ორიოდ ფარასათვის იმსახუროს და ღონე შეალიოს სხვის ბალებს! ისე შეგინახო, საყვარელო, როგორც თვალის ჩინი! ახ, როდის იქნება ერთი დაგიკოცნო ეგ სადაფის გულ-მკერდი!

გაბედულად მიუახლოვდა ჭაბუკი ქალს, ხასად ჩამოართვა ხელი და მოიკითხა მოღიმარე. ქალიც მხიარულად შეხვდა სასიამოვნო ნაცნობს. ეხლა იმასაც ხომ სიყვარულის ნაპერწკალი ჩაჰვარდნოდა უბეში და გაეთბო მისი გულ-მკერდი; საცაა მის არსებას ცეცხლის ალად მოედებოდა იგი ნაპერწკალი დაუვიწყარი პირველი სიყვარულისა და დასწვავდა მას, დასდაგავდა. ეამა ვაჟის მიახლება, რადგან თითონაც მოჰსურვებოდა მისი სიახლე. რაღა საჭირო იყო მეტიმეტი მოკრძალება?! აღარც შეეძლო ქალს მეტი სიფრთხილე: ეს ხომ სიმკაცრე იქნებოდა მისი მხრივ, დამტანჯველი სიკერპე ხელოვნური. ქალმა უკვე იცოდა, რა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მან ამ უცხო ვაჟზე. ორმაგი გრძნობა ჩამოკვესებულიყო მათ შორის და ქალი მზად იყო სიხარულით დაჰყოლოდა ჭაბუკს. ვაჟის ამ გამბედავმა და მხიარულმა შეხედულებამ აფიქრებინა ქალს, რომ დაჰკრა ჟამმა მათის ბედნიერებისა და ვაჟი სიყვარულს განუცხადებდა მას. ჭაბუკმა გაბედვით წარსდგა წინ ნაბიჯი და ხელი ჩამოართვა ქალს. ლიზიკოს გული აუფანცქალდა, გრძნობამ სასიამოვნოდ შეავარდისფრა იგი და აუღელვა ქალწული მკერდი.

– დიდი სათხოვარი მაქვს, ქალბატონო, თქვენთან და გევედრებით უარს ნუ იწებებთ!

– ბძანეთ, ბატონო!

– გავიგე საუკეთესო მასწავლებელი ბძანებულხართ, გამოცდილი და გთხოვთ მიიზაროთ ჩემი პატარა დაი მოსამზადებლად. გვინდა სასწავლებელში მივცეთ. გნებავთ, თითონ გეახლებათ ბაღი და თუ თქვენ იწებებთ სიარულს, ცალკე ოთახი გექნებათ სამეცადინოდ ყველაფრით მოწყობილი. გასამრჯელოზე საჭირო არ არის ლაპარაკი: რასაც გვიბრძანებთ, მოგართმევთ სიამოვნებით.

სინამ ვაჟი ამბობდა, ათასმა გრძნობამ გადიქროლა ქალის გულზე და ყველა მათგანმა თავისი ფრთა გაჰკრა მას, თავისებურად შესცვალა მეტყველი მისი სახე, ხოლო უკანასკნელ დამცირება რამ იგრძნო თუ სირცხვილი და ეს გრძნობა შედგა მის თვალეში, შეიყინა. ქალს ეგონა ვაჟი ჩემი ეშხით არის დადაგული და ისწრაფის სიყვარული განმიცხადოსო; თითონაც თანაგრძნობით გამსჭვალულიყო და ოცნებათა სამფლობელოში დანავარდობდა, სხივოსან რამ სივრცეში დაფრინამდა ჰაეროვან ფრთით, ვაჟს კი თურმე საოცნებო რამე ჰაზრათაც არ მოსვლია, ვაჟს კი მხოლოდ დაქირავება სდომნებია მისი, როგორც უბრალო მუშაკისა! ისრით განგმირული მფრინველივით დაემო ქალი ეთერის საოცნებო ტალღებიდან და უწყალოდ დაენარცხა სინამდვილის შავს ნიადაგს. შერცხვა ქალს, რომ ასე საშინლად შესცდა, რომ ესე უწყალოდ აცდუნა იგი თვისმა გრძნობამ თუ აღლომ. ახ! იქნება კიდევ გადუშალა მან უნებლიეთ თავისი გული ვიღაც სხვა კაცს, მთლად უცხო ვაჟკაცს, იქნება აგრძნობინა მას თავისი საკვირველი ჰაზრები თუ ოცნებები. სწორედ სასაცილო შეიქმნა ამ ვიღაც თავწასული ჭაბუკის თვალში, სწორედ!

საშინლად შეილახა ქალის თავმოყვარეობა და დამცირდა. ძალიან ატკინა ქალს გული ამ ამბავმა. იქნება ეს კაცი უგვან რამ ფიქრითაც უახლოვდებოდა მას და თავს დასტრიალებდა, იქნება ეხლაც მხოლოდ მახის დასაგებად მივიდა მასთან, რომ

ოქროს მარცვლებით მიიტყუოს იგი სახლში. შესაძლოა! ყოველივე საფიქრებელია და შესაძლო! ათას ალაგას ნამყოფი და გაწრთვნილ-გაგეშილი ადამიანისაგან ყველაფერი მოსალოდნელია. იქნება ნაქები თავდაჭერილი ქცევა ვაჟისა ნილაბიც არის ქვენა გრძნობათა სამარი, რიდე რამ უხამს სურვილთა საფარად გადაშლილი, იქნება!

ყველა ამ ჰაზრებმა თუ გრძნობებმა ელვასავით დაურბინეს ქალს და თვითეული მათგანი ლახვარს ასვამდა მის გულს, ხოლო განგმირული გულის კვნესა მთელ მის არსებას ჰკუმშავდა და აწამებდა. ელისბარმა გაათავა თქმა, ქალი კი ერთ წამს ისევ უსიტყვოდ იდგა მის წინ შემძიმებული. მერე მოეგო გონებას, გამოერკვა გრძნობათა ბადეს და მიუგო:

– ბოდიშს ვითხოვ, ბატონო, რომ არ შემძლიან ავასრულო თქვენი თხოვნა! დასასვენებლად გეახელით აქ და შრომის განგრძობა არც შემძლიან, არც საჭიროდა ვრაცხ. – უკუდგა ამაყად და გატრიალდა.

ჩაიხშო ჭაბუკის წინ სადაფი სპეტაკი და ჩაიკეტა შიგ მარგალიტი ობოლი ქალწულ გრძნობათა! მიჰხვდა ჭაბუკი, რა უხერხულად შეეხო ესეთის სიფრთხილით ჩახლართულ ქსელს საოცნებო გრძნობათა, მიხვდა, რომ ჩაწყვიტა მოუხეშავი ხელით იგი ბადე ფერადი და გაწბილდა. ჩასწყდა გული, ჩამოეცალა ნათელი სიხარულისა და მოიცვა იგი ბნელმა გარესკნელმა.

16

ქალი ძალიან აღელვებული დაბრუნდა სახლში. ისე გრძნობდა თავს, თითქო მართლა აზუჩად აეგდო ვისმე ის და შეურაცხყოფა მიეყენებინა ძნელი. შფოთავდა ქალი, ჰგმობდა იმ ღელვისა და უსიამოვნების მიზეზს, ავის თვალთ უყურებდა.

მართლა და რა უფლება ჰქონდა ვაჟს ცუდი ჰაზრი ჩაედო ქალის შესახებ, მიზნად დაედვა მისი მოცდუნება და შეურაცხყოფა?! იქნება განმარტოებული რომ ნახა უქომაგოდ, ეგონა, ხელმისაწდომია, მფარველი არავინა ჰყავსო. სადაური განათლება! ქალის პიროვნობა ხომ ერთნაირად უნდა იყოს უზრუნველყოფილი შეურაცხყოფისაგან, მარტო იქნება იგი თუ ვაჟკაცთან. ეს უბრალო ქცევა მაინც ვერ შენიშნა განათლებულებში ან ვერ ამოიკითხა ვერსად! კიდევ ჰო, თუ რამე მცირეოდენი საბაზი მიეცა ქალს ესეთის ფიქრისა.

– მე ხომ არც კი ვიცოდი მისი არსებობა, მე ხომ ზედაც არ შემიხედნია მისთვის; თითონ ამედევნა ჩრდილივით და ღარ მომცილდა, – ფიქრობდა ქალი.

და უჩქროლავდა გული, ემღვრეოდა გუნება, ღელავდა და მით უფრო ძნელი ასატანი იყო მისთვის იგი ღელვა, რომ გამოთქმა ვერ შეიძლებოდა, არც მისი ვისთვისმე გაზიარება; კერძო საიდუმლო იყო ეს, საკუთარი მისი ხვაშიადი და მხოლოდ თითონ უნდა გადაეტანა ეს დარდი, თითონვე უნდა ჩაეკლა ის გულში, ღრმად ჩაემარხა. არც ვისმე გაუზიარა ქალმა თავის თავგადასავალი; მხოლოდ იმითილა ცხად იქმნა ქალის სულიერი ავი, რომ ნირი შეეშალა მას ყოველდღიურის ცხოვრებისა: აღარც პატარა დას ასწავლიდა, ვეღარც სახლს აძლევდა სარისტას, აღარც ნაცნობებში თუ ტოლ-სწორში გადგა ფეხი; მთელი კვირა სახლიდან არ გასულა.

– ალბად გაცივდი, ქალო! – ეუბნებოდა შემკრთალი მამა. – მიდიხარ ტყეში, ბალახებზე ზიხარ მთელი საათობით და ისიც ლეჩაქივით ტანისამოსის ამარა. გაცივდები, მა რა იქნება!

– შეიძლება, მამი, გაცივდი. რა უშავს! ერთი-ორი დღე და ისევ კარგად გავხდები.

– ექიმს მოვიყვან, შვილო, არ გამწვანდეს ავადმყოფობა. მოწყობილიც არა ვართ რიგიანად, რომ ადამიანმა მოუაროს სწეულს.

– არა, მამი, მალე გამივლის; არა ღირს ხარჯი გავწიოთ ან შევაწუხოთ ვინმე. გაიარა სევდის პირველმა ხანმა და გაცრუვებულ იმედებისაგან აშლილი გუნება ნელ-ნელა დაწყნარდა. სცადა გონებამ საღი თვალით გაესინჯა ეს შემთხვევა და აეწონა. ქალმა ეხლა დაინახა, რომ ვაჟს მაინცდამაინც დიდი დანაშაული არ მიუძღვის მის წინაშე. ჭაბუკი შორიდან ეალერსებოდა უსიტყვოდ და იგი ალერსიც მხოლოდ იმაში იხატებოდა, რომ დღეში ერთხელ ჩაუვლიდა შორიახლო და დაინახამდა მას აჩემებულ ალაგას. მემრე უბრალო შემთხვევამ დაახლოვა ისინი იმდენად, რომ გაეცვინენ ერთმანეთს, შეატყობინეს ერთმანეთს თავისი ვინაობა; შემდეგ წინანდებურადვე განეგრძო მათი დღეში ერთხელ ნახვა. ეს იყო და ეს! ამის მეტი არაფერი უკადრნია ჭაბუკს, არც გაუბედნია. აბა აქ რა არის დასამდური ან საგმობი?! ძნელია იმისი თქმა და გათვალისწინება, რა ჰქონდა ვაჟს ფიქრად, როდესაც ასე აჟინებით და თან მოკრძალებით ეტრფოდა მას. იქნება არაფერი ამღვრეული გრძნობა თუ ჰაზრი არ ახელმძღვანელებდა და მხოლოდ წუთიერი რამ სიამე ამოქმედებდა. რა არის აქ დასაძრახისი ან ქალის დასამცირებელ-გასაწბილებელი?! ლიზიკო თითონაც ხომ გრძნობდა სიამოვნებას ვაჟის ხილვაზე, მოელოდა მას სიხარულით, სცდილობდა დანიშნულს წამს აჩემებულ ადგილას დაჰხვედროდა, რომ გულს არ შეჰკლებოდა ამ უცხო მოტრფიალეს. მამ მხოლოდ ვაჟის ქცევას რად იხსენიებს ცუდად ან რად ამტყუნებს მხოლოდ მას.

– და თუ მე მეტი ვიფიქრე, სინამ საფიქრებელი იყო, თუ გულმა იმაზე მეტი მაგრძნობინა, რაცა ჰხამდა საგრძნობლად, თუ ჩემის მხრივ მეტმა სურვილმა ან მისწრაფებამ იჩინა თავი, ეს მხოლოდ ჩემს გამოუცდელობას უნდა მიეწეროს, ცხოვრების უცოდინარობას, ჩემს დაჭარბებულს მეამიტობას და უმიზეზო აღფრთოვანებას – ფიქრობდა ქალი.

ტყუილი გამოდგა ქალის ოცნებები, ხოლო ვაჟი ამაში სრულებითაც არ იყო დამნაშავე. განა ან უთქვამს იმ საწყალს, ან გაუბედნია ქალისათვის რამე ამისთანა, ან აღუთქვამს? სრულებითაც არა! მამ რაღა ნება აქვს ქალს დაჰგმოს ყმაწვილის ქცევა და გაურისხდეს? არავითარი, სრულიად არავითარი! დეე, თავის თავსვე დაემდუროს ქალი, თვის გადაჭარბებულ სურვილებს, აღზნებულ ოცნებას, საზღაპრო ამბების მოლოდინს. ცხოვრებაში ზღაპარი არ არსებობს. ცივია ცხოვრება, მყინვარი და საარაკო ამბებს ფრთებს უყინავს, უზრობს; ცხოვრების სისასტიკის წინ საოცნებო საქმეები ისე ჰქრებიან, როგორც ჩვენებანი ღამისა მზის სინათლეზე, როგორც ბავშვური აღტაცება სინამდვილის მორევში შეცურვის ხანს.

– სჩანს, ისევ ბავშვური გრძნობა და ჰაზრი სჭარბობს ჩემში და სხვა ვისმე არავითარი დანაშაული არ მიუძღვის ჩემ წინაშე, არც ჭაბუკს, არც მოხუცს. თუ მთხოვა იმ კაცმა, მესწავლებინა ბალღისათვის, უფლება ჰქონდა ამისი, ისეთივე ნება, როგორც უფლება გვაქვს მივმართოთ ექიმს განსაკურნებლად. მასწავლებელი ვარ და შეიძლება დამსაქმონ სასყიდლით. მეც უფლება მქონდა არ მიმელო წინადადება და აკი უარიც ვუთხარი. არა, ყველაფერში მევე ვარ დამნაშავე და მხოლოდ მე! – დაასკვნა ქალმა.

მაგრამ მისი გრძნობა ბუნდი, ალღო რამ გამოურკვეველი არ ემორჩილებოდა ესეთს ცხად დასკვნას და ქალი მაინც ემდურებოდა ვაჟს, მაინც გრძნობდა ისრის პირს, რომელიც დაასვა მის გულს ჭაბუკის ქცევამ. და სტკიოდა ქალს იგი ჭრილობა; გული სტკიოდა ბეჩავს!

მსწრაფლ იგრძნო ელისბარმა, რომ სიყალბე შეიტანა თავის მოქმედებაში. დაიწყო თუ არა ლაპარაკი, მაშინვე მიხვდა, რომ იმას არ ამბობდა, რაც გულში ედგა. მის ნათქვამს არავითარი კავშირი არა ჰქონდა იმ მისწრაფებასთან, რომელიც ისე ძლიერად იზიდავდა მას ქალისაკენ: იმის მაგივრად, რომ სული გადაეშალა სატრფოსათვის და შეჰვედრებოდა მას, როგორც ღვთაებას ცხოვრების მიმნიჭებელს მის ნაცვლად, რომ წრფელად გაეცხადებინა ყოველივე, რაც მის არსებაში აღარ თავსდებოდა, და მკერდგადაღელილი გმირულად დასდგომოდა მომავალს წინ, მან ეშმაკის ნაჭედი ფარი აიფარა, დასდვა საცო გულსა თვისსა და კარი ძნელი გრძნობათა თვისთა; მხოლოდ ენა ალაპარაკა, ცივი და ცბიერი ენა, რათა ბადეში მოეგდო ქალი, შეეჩვივნა იგი და არავითარი შიში აღარა ჰქონოდა მისგან უარისა. დიად, დიდი წინდახედულობა გამოიჩინა, რომ მარცხი რამ არ დაჰმართოდა და არ გაწბილებულიყო ან არ შეჰკლახოდა თავმოყვარეობა, დიდი სიფრთხილე!

– უნდა გეთქვა ყოველივე პირდაპირ, შე ლაჩარო, ჩემო თავო, უნდა გელიარებინა შენი გრძნობა მის წინაშე და მზა ყოფილიყავ მიგელო მისგან ან სიცოცხლე, ან სიკვდილი. ხომ მზად იყავ შეგეწირა მისთვის თავი? მაშ მის მიერ გულში დასმულ დანას ისეთივე ღიმილით უნდა შეჰხვედროდი, როგორც მისგან ნასროლ თაიგულს! შენ კი ვერ გადაუხვია ანგარიშის კვალს, წვრიმანი მოსაზრება წაიმძღვარე წინ და ისე მიეახლე წმიდათა წმიდას; არ წაიძრე ფერხიდან ხამლი მდაბალის თავმოყვარეობისა და ისე მიხვედ სიყვარულის ცეცხლთან დამწველთან; გინდოდა ანგარიშის ბადით შეგეპყრა სხივთაგან შეთხზილი ბედნიერება და მიიღეცა სასყიდელი საფერი, მისაგებელი ღირსეული! – ჰყვედრიდა თავს.

ეხლა კი მიჰხვდა ელისბარ, რომ სხვის სურვილი თუ სიტყვა ამისთანა შემთხვევაში არ გამოდგება, თუნდ დედის ნათქვამი. საქმე შეუკვეთა ქალს სამუშაო, ფული შეაძლია! განა გული ამას ეუბნებოდა მას, წადი, გასარჯე ის ქალი და უხვი გასამრჯელო უღუთქვიო?! მაგრამ, ჰო, მდიდარია, ყოველივე თავისი მოქმედება ფულზე აქვს დამყარებული თუ გაზომილი, ყველგან ვერცხლით იკვლევს გზას და აქაც ოქროს ანკესით მოისურვა გრძნობათა უფსკრულს ჩასწლომოდა და ამოელო მის სიღრმიდან საუნჯე უფასო.

აკი ჩაინგრა კიდეც და განქარდა მისგან შრომით ნაგები კოშკი ბროლისა და მიეფარა თვალთა მისთაგან მუნ ზრდილი მზეთუნახავი. არა, იგი არა ყოფილა ის ბუმბერაზი, რომელსაც წილად უნდა ჰხდომიყო იგი ქალთამზე. იგი ვაჟკაცი მივა კოშკის ძირს, გადისხნის ქალის წინ თავის დამწვარ გულს, მისცემს მას აღმასის მახვილს და შეევედრება მიანიჭოს მას სიცოცხლე და ნეტარება ან თავისივე ხელით განგმიროს მისგანვე დაგუბული გული.

– რატომ შენ კი არ მიუახლოვდი შენს ღვთაებას გულწრფელად, არ შეევედრე, თავს შემოევლო შენი სიცოცხლე, მიელო იგი მსხვერპლად ყოვლად დასაწველად და მით მოენიჭებინა შენთვის ბედნიერება? გეშინოდა განა უარყოფისა?! ვერა გყვარებია სავსებით! შენი მდაბალი ბუნება ვერ შესწდომია იმ ზეგარდამო გრძნობას, როდესაც ადამიანი უკვე მოუფიქრებლად, ანგარიშმიუცემლად და მთლად უზრუნველად მიისწრაფის სატრფოსაკენ, რადგან მის გარეშე ცხოვრება აღარ შეუძლიან მას და ვედარც შეუგვნია.

აკი იგრძნო კიდეც ქალმა რაღაცა სხვა სარჩული ვაჟის სიტყვებში და იწყინა; ცხადად გამოკრთა მის ნათელ თვალეებში იგი მასდამი უნდობლობა და აღელდა ქალი, გაწყრა.

სისუსტე რამ იგრძნო ელისბარმა მთელს ტანში, მუხლი მოეკვეთა, მთლად მოიშალა სახსრებში, მოიღვედა და იქვე დაეშვა მიწაზე. დიდხანს იჯდა იგი ღონემიხდილი, მკლავებჩამოყრილი. ყოველივე ჰაზრი გამომქრალიყო მის მოდუნებულ გონებაში, გული დასცარიელებიყო და გამოჰფიტოდა, მის თვალთაგან მიხრწნილი სიცოცხლედა გამოიმზირებოდა უჰაზროდ, გრძნობას თუ რაიმე მისწრაფებას მოკლებული.

18

კარგა ხანს იჯდა ელისბარ ესე მოშვებული და უსიცოცხლო, მერმე შეინძრა ძლიერად, სასტიკი რამ ტკივილი აღებეჭდა სახეზე, დაღრიჯა ამ ტკივილმა ვაჟკაცი, დაამტვრია. იტაცა მან ხელი უხვად გადმოშლილ ქოჩორზე, ძალუმად დასწია იგი და ზე წამოიჭრა.

– ვაჰ! სირცხვილო და გაწბილებავ! იქნება იფიქრა ი ქალმა, რომ შორიდან ალერს-არშიყობით და აწ ჩემის საკვირველის წინადადებით მხოლოდ ცთუნება მეწადა მისი, მოტყუება! სწორედ ეს იფიქრა მან და იმიტომ გაიკვირვა კიდევ. იწყინა ჩემი სიტყვა სხვა რაღა უნდა ეფიქრა?! ავედევენე კაცი, ვეალერსე შორიდან, შემთხვევით ვისარგებლე და გავეცანი, გავიგე, მისი ხელობა და ბოლოს ქირა შევადლიე უხვი, რომ ევლო მას ჩემ სახლში ვითომ და როგორც მხოლოდ მასწავლებელს. ნეტა საიდან ვიცოდი, რომ ის საუკეთესო ოსტატი იყო ან ვინ მითხრა?!

ეს ბნელი ეჭვი გველივით შემოეხვია ჭაბუკის გონებას, მოწყრა მისი გული და დაჰკრა მას ისარი გესლიანი, მთლად მოშხამა არსება მისი. ვეღარც შეიძლებოდა ამაზე მეტი გათახსირება ჭაბუკისა: ის ყოველთვის ზნეობითი სიფაქიზეს ეტრფოდა, მას ზნეობრივი სიმშვენე მიაჩნდა იმ უდიდეს ძალად, რომელიც უნდა ამოძრავებდეს ადამიანის მოქმედებას და რომელიც თვითონვე უნდა იყოს მიზანი ადამიანის ყოველგვარ მოქმედებისა; კაცი ყოველსავე თვის ნაბიჯს ზნეობრივი სიმშვენივრითა ზომავდა, ეხლა კი მოულოდნელად დაუმსახურებლად ჩაირიცხა თვით იგი იმისთანა გათახსირებულ გვამთა შორის, რომელთაც სხვათა პიროვნობის პატივისცემა ჩირად დაუსახავთ და სხვათა არსების შელახვაზე თუ შემწიკვლაზე აუგიათ გოდოლი თავიანთ სიამოვნებისა და ნეტარებისა. მერმე ვის თვალში შეირაცხა იგი ესეთად? ისეთ ქმნილების თვალში, რომელიც პირველსავე ნახვაში შეიქმნა მისი სულისდგმა, რომელიც მთელ ქვეყანას ურჩევნია, რომლის პიროვნებაში შენივთებულა ჭაბუკისათვის მთელი სამყარო! როგორ შეიძლება ესეთი უსამართლობა?! მხოლოდ შემთხვევით მიიღო ვაჟის ქცევამ ესეთი საზიზღარი სახე, თორემ იგი მისი მისწრაფება ანკარა იყო, როგორც ცვარი დილისა, გამჭვირვალე და ნათელი, როგორც სხვისი ვარსკვლავისა.

– წავალ, ეხლავე მივიჭრები ჩემ ლიზიკოსთან, მუხლ მოვიდრეკ მის წინაშე, გადავუშლი მას ჩემ სულისკვეთებას, ვაჩვენებ ჩემ სურვილთა უბიწოობას და იმ ცეცხლს ჯოჯოხეთურს, რომელიც ტრიალებს ეხლა ჩემს გულში, ჩემს მთელ არსებაში!

მაგრამ როგორღა შეიძლებოდა ეხლა ეს? აღარავითარი უფლება არა ჰქონდა მისულიყო იმ თითქმის უცნობ ქალთან და შეეშფოთებინა მისი ყოფა. აღარც დაუჯერებდა ეხლა მას სხვა რამ თქმას, ეხლა ყველა მის მოქმედებას თუ სიტყვას ეჭვის თვალთ შეჰხედავდა და მის პირიდან ამოსული თვით ჭეშმარიტებას სიყალბის სახეს მიიღებდა ქალის თვალში. ან რა პირითღა უნდა წარსდგეს ელისბარ

და ეჩვენოს ესრედ შემწიკვლული და დამდაბლებული?! შველა აღარ შეიძლება ეხლა, სამუდამოდ ჩაიშალა საქმე და განქრა მისთვის ჩვენება ჭრელი, გულის წარმტაცი.

– აღარ შეიძლება სიცოცხლე! როგორღა შეიძლება ცხოვრება, როდესაც ჩაჰკნა ჩემი გული და შეიმუსრა?!

და ჩავარდა ვაჟი ამოუსვლელ ხნარცვში სულიერის იწროებისა, მოესპო მას ყოველივე სიმშვიდე სულისა! ამ დღიდან ველარაფერმა ვერ მიიზიდა ჭაბუკი, ცხოვრების ვერც ერთმა მოვლენამ ველარ შეაჩერა თავისზე მისი ყურადღება თუნდ ერთს წამს. უაზრო შეიქმნა მის თვალში ყოველივე საქმე და მოქმედება; დაანება თავი ყოველსავე საოჯახო ზრუნვას. შეეზარა კაცთა ნახვაც, ადამიანის ხმა ყურს უსერავდა უსიამოვნოდ. ვერც შინ, ვერც გარეთ, ვერც ტყეში, ვერც ველად ველარ პოულობდა ადგილს თუნდ წუთიერად განსასვენებელს. ძილიც წაართვა ჭაბუკს მუდმივმა ღელვამ, მოღალა იგი მოუსვენრობამ. მიიქანცა, შეიშალა სახიდან: დაუდგრომლობა აღებეჭდა თვალეში და სევდა სასტიკი. იცოდა, რომ იგი ტანჯვა უწყალო მოსჩანდა მის თვალეშიდან და ცდილობდა თვალი აერიდებინა ყველასათვის. ველარ შესწევდა ძალა თუნდ წუთიერად შეემაგრებინა თავი და სხვა რამ იერი მიეცა თვის თვალთამეტყველებისათვის. ერიდებოდა ყველას, იკრძალებოდა, უკაცურ ადგილს ემებდა ტყეში თუ ველში, მთაში თუ წყლის პირს, მაგრამ აქაც ველარ ჰპოვებდა თუნდ წამიერ სიმშვიდეს: მის საყვარელ ბუნებასაც პირი მოერიდებინა მისთვის და დაეფარა მისგან თვისი სიმშვენიერე თუ სიტკბო. აქაც ველარაფერი იზიდავდა ტანჯულს, აღარავინ იზიარებდა მის სევდას, აქაც ისევე მარტო რჩებოდა იგი თავის კაემანთან პირისპირ და იგივე გველი მგესლავი სწურავდა მის გულს საბრალოს.

19

ძალიან შეაფიქრა ელისბარის დედ-მამა შვილის ამისთანა ცვლილებამ. ჰკითხავდნენ მიზეზს ურვისას, მაგრამ ვერაფერი ვერ ათქმევინეს და ვერც არა გაიგეს რა, რომ ძალამო მოეძებნათ მის დაავადებულ სულისათვის. ხედავდნენ, ვაჟს სევდა რამ შემოსწოლოდა, მის გულს მახვილი რამ დაჰსობოდა ბასრი და ჩაფიქრდნენ, დაღონდნენ, ჭმუნვამ მოიცვა იგინი. საფიქრებელიც იყო: ეს ერთადერთი ვაჟი გამოერიათ ქალებში, ეს ერთადერთი მემკვიდრე ჰყვანდათ მათ იმედათ და თვალის ჩინათ; ესეც თუ აღარ ეყოლებათ, რაღათ უნდათ ან ცხოვრება, ან სიცოცხლე? ვისღა უნდა დარჩეს მათი ქონება ან ვინ უნდა განაგრძოს მათი გვარი?

– მითხარ, შვილო, რა გაწუხებს ან რამ დაგიჩაგრა გული ეგრე უწყალოდ, ისეთი რა ავი საქმე წაგეკიდა, რომ ვერ შევძლოთ მისი მოგვარება და მოხერხება. იცი, ბიჭო, საკმაო თანხა მაქვს მიგდებული და ჰელთა გვაქვს ვძლიოთ ყოველივე დაბრკოლება, ოღონდ კი მითხარ ერთი, რა გაწუხებს და გამაგონე.

– გმადლობ, მამი! ჩემ საქმეში ფული უძლურია. დარწმუნებული ხარ ფულის უძლეველ ძალაში, მაგრამ არის ცხოვრებაში ისეთი შემთხვევაც, როცა სიმდიდრე ველარა სჭრის. ჩემი საქმე ესეთია. ვერ გეტყვი ჩემს დარდს: იგი საკუთრად მე შემეხება და შეუძლებელია მისი გამჟღავნება.

იქნება კარგი ყოფილიყო, რომ ეთქვა ელისბარს თავისი ვარამი, რადგან გამოთქმული ჭირი ჰკარგავს სისასტიკეს, სიტყვას თან ამოსდევს ბოდმის ქარები. ესეც რომ არ იყოს, სხვას შველაც შეუძლიან ზოგიერთ შემთხვევაში, რადგან გულდინჯად და მოზომით შეუძლიან საქმის მოაზრება და მოგვარება; თითონ ტანჯულის გონება კი შებოჭილია ურვით, ხოლო მისი მოქმედი ნება მოდუნებული და მოშვებული, მაგრამ რა ქმნას ჭირისუფალმა, როცა ზოგი ჭირის გამოთქმა და გამომჟღავნება შეუძლებელია,

როდესაც ბევრ დარდს პირადი ხასიათი აქვს და სხვას არ ძალუმს შეიგნოს იგი მთელი მისი სიდიადით. ელისბარის დარდი სწორედ ესეთი იყო და აბა როგორ გაანდობდა მას თუნდ მოსიყვარულე მამას. ჩაუგუბდა ჭაბუკს გამოუთქმელი ვარამი და ტეხვა დაუწყო, დასძლია, დაიმონა. იქნება ცოტად მაინც ჰფონებოდა მას, რომ სადმე კიდევ მოეკრა თვალი იმ ქალისათვის, მაგრამ დღე დღეს მისდევდა, კვირამ კვირაზე გადადო თავი, იმან კი ქალის აჩრდილსაც ვეღარ მოჰკრა თვალი.

ლიზიკო კი ისევ იქ იყო, ჯერ არსად წასულიყო, თუმცა ზაფხულის არდადეგები მიიწურა და მოაგარაკენი შიგადაშიგ კიდევ დაიმონენ ქალაქებისაკენ. ორი-სამი კვირაცა და ყველანი გაიკრიბებიან თავიანთ მუდმივ ბინებზე, აწ აჟიჟინებულ დაბას მოიცავს მოსაწყენი მდუმარება და იწყებს დენას ერთფერი ცხოვრება მდორე. ქალი ისევ იქ იყო, დარდი ცოტადნად გადაჰყროდა გულიდან, გამოდიოდა სასეირნოდ, ნაცნობებშიაც დადიოდა, მაგრამ მისი ნაცნობები ელისბარის ოჯახის კბილისანი არ იყვნენ, რომ ვაჟი სადმე შეჰხვედროდა ქალს; საზოგადო გასართობებში კი აღარ გაიარა ქალმა, იქ არ შემხვდესო ახალგაზრდა. რა იცოდა ლიზიკომ, რომ ვაჟს იგი ვერ შეხვდებოდა ვერც სახლებში, ვერც საზოგადო შესაკრებელში: მას აღარა სცხელოდა არც ნაცნობებისათვის, არც საზოგადოებისათვის, მას მოსძულებოდა თავისი თავი, გასჭირებოდა ყოფა და არ იცოდა რა ექმნა, რა წყალში გადავარდნილიყო. გატანჯული ერთხელ-ორჯერ კიდევ აჰყვა ნარჩევ ბილიკს, მაგრამ ამოდ: ქალს ეხლა სულ სხვა კუთხე ამოერჩინა სასეირნოდ, რადგან სრულებითაც აღარა ჰსურდა შეჰხვედროდა იმ უცნობს. ლიზიკოს ეხლა სცხვენოდა იმ თავის აღტაცებულ ოცნებისა, რომელიც ისე ბავშვურად დაისახა მაშინ ვაჟის შესახებ და რომლის მოლოდინში ისე მწარედ მოტყუვდა, სამარცხვინოდ. ეხლაც აღმური აჰკრავდა ხოლმე სახეზე, როცა მოაგონდებოდა ის წუთი. ვერ ეპატიებინა თავის თავისთვის, რომ ისე დაემონა თვისსავე ოცნებას, ვერ იცნო ვაჟის გული და იქ იგულვა სიყვარული, სადა იგი არა იყო სიყვარული, სადაც არ იყო არავითარი გრძნობა, გარდა მამაკაცის საზოგადო ლტოლვილებისა მდებდრთადმი.

ლიზიკო მაინც ეხლა უფრო დამშვიდებული იყო, დაწყნარებული. ვაჟის არშიეობას და მისდამი ლტოლვილებას განზრახული უზნეო მიზნით აღარა ჰხსნიდა იგი ეხლა. იქნება ვაჟს არავითარი უზნეო ჰაზრი არა ჰქონდა გულში, არცა სცდილობდა რაიმე ხიფათი შეემთხვია მისთვის. ხომ არც ერთხელ არ გადასცილებია ის ფარგალს ზრდილობისა და სამზღვარს პატივისცემისა, ყოველთვის ფაქიზი იყო მისი ქცევა, შეუმღვრეველი. ბოლოსაც მხოლოდ მოკრძალებით მოახსენა სათქმელი, რომ მიიწვია მასწავლებლად; ამისთანა თხოვნას სხვა მის ხელობის ქალები სიხარულით მოისმენდნენ და მადლობით მიიღებდნენ.

– და თუ მეწყინა მაშინ მისი თხოვნა, მხოლოდ მისთვის, რომ სრულებით სხვას მოველოდდი ჩემივე აღტაცებული ოცნებით გატაცებული, რა შუაშია აქ საწყალი ვაჟი ან რა დანაშაული მიუძღვის ჩემ წინაშე?!

სრულებით არაფერი! და სწორედ უხერხულად მოიქცა ლიზიკო, რომ მკაცრად უთხრა მაშინ უარი და ნაწყენივით გაშორდა მას. რას იტყოდა კაცი ან რას იფიქრებდა?! უნდა გონებას დასწყნარებოდა, მადლობა ეთქვა, დინჯად ემცნო თვისი უარი და ისე განშორებოდა. საჭირო კი იყო მოსპობა იმ უცნაურის ურთიერთობისა, უნდა ამოკვეთილიყო იგი ტრფობის მაგვარი რაღაცა ქცევა. აკი გათავდა კიდევ მათი საკვირველი ნაცნობობა და ჩასწყდა მათ შორის გაბმული საიდუმლო ქსელი.

– მაგრამ, ახ, რა ფერადი იყო და თვალთწარმტაცი იგი ზრაპრული კავშირი ჩვენი, რა ტკბილი გრძნობები აღძრა მან გულში! სასიამოვნო სიზმარსა ჰგვანდა იგი გრძნობა თუ ოცნება, მხიბლავ ზმანებას. სიზმარივით განქრა იგი ერთ წამს. ლიზიკოს გულში

მაინც ღრმად აღბეჭდილი დამრჩალიყო ჭაბუკის სახე, მას აღარა ჰშორდებოდა იგი სურათი და ამ ხსოვნამ დარდის რამ საბურველი გადააფარა მის გუნებას, სევდის ბურუსში გახვია მისი თვალები, მისი სახე, მთლად მისი არსება. მამამ შენიშნა ესეთი დარდიანი ყოფნა ქალისა და რამდენჯერმე მზრუნველობით შეეკითხა მას, მაგრამ რა პასუხს მიიღებდა მისგან ან რა განმარტებას, როდესაც თითონ ქალსაც არა ჰქონდა გარკვეული საგანი თვისის კაემნისა თუ ურვის მიზეზი. სიყვარულს კი ჰგვანდა მაშინ ქალის გრძნობა, სწორედ სიყვარული იყო იგი, თუმცა ჯერეთ გაურკვეველი, გადუფურჩქნავი, ჩჩვილი, მალალი. მაგრამ რა ტკბილი იყო იგი, გულის გამღებ-გამღიმებელი, სანეტარო!

20

ესეთი მიმოხვრა მიიღო ქალის გრძნობამ და ჰაზრმა ამ ხნის განმავლობაში. მას ეხლა ენანებოდა იმ წუთების სამუდამოდ დაკარგვა, როდესაც ის განიცდიდა წრფელ სიხარულს ვაჟის ნახვაზე. მოსწყურდა იმ წამთა ერთხელ მაინც განმეორება. უფრო სანდომად დაეხატა მას ეხლა თვით ის ადგილი ფიჭვნარში, რომელიც ამოჩემებული ჰქონდა წინათ: იგი ნაკადი უფრო ანკარა მოჩანდა შორიდან, მისი ჩხრიალიც უფრო სასიამოვნო შეიქმნა ყურთასმენისთვის; ნამძვნიც უფრო მალაღნი მოსჩანდნენ იქ, მეტ სუნნელოვანებას აკმევდნენ, მეტ ჩრდილს ჰფენდნენ მიდამოს, მათ ტოტებ შუა რომ ცა მოსჩანდა, იგი ცა უფრო ლაჟვარდი იყო და კამკამი, სინამ სხვა დანარჩენი სამყარო; ყვავილებიც იქ უფრო ფეროვანნი იყვნენ და კეკლუცნი, მთელი ის კუთხე სამოთხის სახედ დაესახა ქალს, დაკარგული ედემის ნაკვთად და მოუთმენლად მოუნდა მისი ნახვა, ქალაქში წასვლამდის ერთი დღის გატარება მაინც იქ, იმ მშვენიერ წალკოტში.

– იქნება საწყალმა ჭაბუკმაც მაშინდელივით ამოიაროს, შენის ხილვით პირს ნათელი გადაეფინოს და აღტაცებით მოგაპყრას თვალნი; იქნება კიდევ გესაუბროს გულის სწორი, თუ შეყვარებულია, გული უგრძნობს და მოვა სანახავად! – ჩასჩურჩულებდა მას სასიამოვნო ხმა ტკბილი.

მოირთო ლიზიკო, ჩაიცვა ისევ თავისი ცისფერი კაბა და გაუდგა გზას. მშვენიერი დარი იდგა. ჰაერი ფიჭვთა და ყვავილთა სუნნელებით იყო გაჟღენთილი და ათრობდა ადამიანს ძვირფასად შეზავებული, საკვირველი იყო, რომ იგი განმარტოებული კეკლუცი ადგილი არავის აეჩემებინა სამყოფად და წინანდებურად მოელოდა ქალს, ჩამოჯდა ბექზე. ერთხან მოჯადოვებულივით შეჰყურებდა ბუნებას. სული დაუამდა, დაუმშვიდდა; გულმაც წინანდებურად გაუღიმა. აგერ ის ბილიკიც, რომელსაც ამოჰყვებოდა ჭაბუკი; ყანები მომკილია, ნამჯაში მოიკლაკნება ხვეული, მაინც კარგია, ლამაზი. შეუდარებელია ეს მხარე ნამძვნარისა! ნეტა მაშინ თავი არ დაენებებინა მისთვის, სულ აქათ ევლო წინანდებურად! მაინც რა მოხდა ისეთი, რომ უეცრად მიატოვა რჩეული კუთხე? არაფერი! არც სამრახ-საკილი, არც საგმობელი, არც საწყენი თუ გასაწყრომი. მხოლოდ თავის გადამეტებულ ოცნებას და გადაჭარბებულ ეჭვებს აჰყვა და შეიმღვრია ის გულუბრყვილო სიამოვნება, რომელსაც ჰპოვებდა აქ.

– იქნება ი საწყალ ჭაბუკსაც ვაწყენინე მაშინ და მოუშხამე სიამე. სწორედ ესე იქმნებოდა, თუ მართლა ისეთი მგრძნობიარე და პატიოსანია როგორც ამბობენ.

ძლიერ მოესურვა ქალს ერთხელ კიდევ მოეკრა თვალი იმ ყმაწვილკაცისათვის, კიდევ შეჰყროდა მას მაშინდებურად; წინანდებურადვე გამოჰხმაურებოდა ქალს იგი, სალამი მიეცა, მშვიდობა ესურვნა.

ქალს უნდოდა წყნარად ყოფილიყო აქ, სულით დაესვენა ბუნების კალთაზე, მაგრამ გული ისევ უნებლიეთ აუჩქროლდა და აულელდა. უნდოდა წიგნი წაეკითხა და გულისყური ედევნებინა მოთხრობილისთვის, თვალი კი სხლტებოდა ფურცლებიდან და გზას აჩერდებოდა, სოფლიდან ამომავალ ბილიკს. დადო წიგნი და იწყო მოუსვენრად რონინი. დაიხარა მზე, ვაჟი კი არ გამოჩნდა ბილიკზე. დაღონდა ქალი, დაეშვა, მკლავები ჩამოყარა მოტეხილი ყლორტებივით, მოჰხარა რტო ალვისა და დაიწია, დადაბლდა, გული ასტკივდა; სულმა ჰმუნვა იგრძნო მძიმე, დამლახვრელი; მოეშო ბროლის ყელი მიმჭკნარ-მიდუნებულ ღეროსავით და ჩაჰკიდა ხუჭუჭით დატვირთული ლამაზი თავი.

უჰ, როგორი ბნელი იყო სამყარო, რა უფერული იყო სიცოცხლე, უნდო, უჰაზრო, უშედეგო, ტვირთი მძიმე სატანჯავად მონიჭებული განუსაზღვრელ ბოროტი ძალისაგან!

21

ელისბარსაც ყოფა გასძნელობოდა ამ დროს და სიცოცხლე მოსძალეობოდა. უზომოდ იტანჯებოდა. აღარ შეეძლო განგრძობა ამისთანა არსებობისა; მიწურულიყვნენ მისნი ძალანი, ამომშრალიყო უნარი თმენისა თუ ბრძოლისა; მძიმე ტვირთად დასწოლიყო მას სიცოცხლე, ვერ განაქარვა დღეს მისი სევდა, ვერ შეამსუბუქა იგი ვერც ველმა და ვერც ტყემ, ვერ წაიღო იგი მდინარემ, არც ნიაგმა წარიტაცა იგი მსუბუქ ფრთით. მოდიოდა ჭაბუკი ცხენდაცხენ, უახლოვდებოდა სახლს, მაგრამ დასვენებას არ ელოდდა მუნ, არც დაწყნარებას. ბუნების უბეშიც ხომ ვერ ჰპოვა მან სიმშვიდე; ქარმა თუ წყალმა, ტყემაც, ველმაც, მთამ თუ ბარმა ყველამ ზურგი შეაქცია მას, პირი არ უჩვენა, უარჰყო; ყვავილმა არ მიუმტკივნა, სულდგმულმა არ მიუსამძიმრა; არცერთმა ქმნილებამ თავს არ იდგა გაექარწყლებინა მისთვის კაემანი, ენუგემებინა იგი. უწყრება მას მთელი ბუნება, რომ ვერ იცნო ტოლი შემოქმედებისაგან მისთვის მიჩემებული, არ შეუუღლდა მას, რომ ჩაბმულიყო წარმოშობის თუ არსებათა განგრძობის ფერხულში და მით შეესრულებინა უდიდესი ვალი ბუნებისა, განებორციელებინა უძლიერესი და უტკბესი მისწრაფება არსისა. სიცოცხლე ხომ იმისთვისა ჰქონდა მას ბუნებისგან მინიჭებული, რომ განეგრძო იგი გაძლიერებული, განვითარებულ-განათლებული. რაღას შესჩიოდა ბუნებას ან რას ემდუროდა მხვედრს, როდესაც ვერ შესძლო დახრილიყო და აელო იგი ბედნიერება, რომელიც მიუძღვნა მას ყოვლად მეცნიერმა შემოქმედმა. ან რაღა შველას ელოდდა მართლმსაჯულ ბუნებისაგან მისისავე წესის ვერ შემგნებელი და უარმყოფელი?!

არა, გარეშე ძალა, მიწიერი თუნდ ციური, ვერღა შემძლებელ არს შველად მისსა და ხელის აბყრობად. თითონ მხოლოდ თითონ უნდა მისწვდეს თავის ბედნიერებას და არ ჩამორჩეს ცხოვრების სვლას გარიყული, მთელი არსის სიცოცხლის დენას დაუსრულებელს. თუ არა, უნდა მოისპოს იგი, ვითარცა ხე, ვერ გამომღებელი ნაყოფისა.

– აღარ შემიძლიან მეტი; ან უნდა მოვისპო მე, ან უნდა მოვისპო ტანჯვა ჩემი! მივალ პირდაპირ, მუხლ მოვიდრეკ მის წინაშე, გადვუხსნი ამ ჩემ გაწამებულ გულს დალახვრულს, ვაცნობ ყოველსავე და, დეე, ან უარმყოს და მომკლას, ან მიმიღოს და მომანიჭოს ცხოვრება ადამიანური. იგი აწ ღვთაებაა ჩემი, მის ხელთ არის ჩემი სიცოცხლეც და სიკვდილიც. მეტი აღარ შემიძლიან! – დაასკვნა ჭაბუკმა და აჰკრა ლაგამს ხელი.

იგრძნო მერანმა მარჯვენის ძალა, აიღო თავი ამაყად და წამოვიდა ქარით. მოხდენილად მოაქანებდა ტაიჭი ტოტებს და ხალისიანად მოარღვევდა მკერდით ჰაერს. მხედარიც მარჯვედ იჯდა ზედ, წელში გასწორებული, ყელმოღერებული: გარკვეული აზრის და გათვალისწინებული მიზნის მექონი კაცი მებრძოლს დაეგვანა შამმართებელს. სახეზე მკაცრი გადაწყვეტილება აღებეჭდა, მთლად მოშორდა მჩაგვრელი სევდის იერი; ცეცხლი აღეგზნო აქამდის მიმქრალ თვალებში. აჩემებულ ბილიკს ჩასდევდა ზევიდან. იმედი კი აღარა ჰქონდა შეხვედროდა თავის სულისდგმას, რადგან თითქმის ერთი თვე სრულდებოდა, რაც ამ ბუდიდან გაფრენილიყო მისი გვრიტი და აღარც ერთხელ აღარ დაბრუნებულიყო შემფრთხალი. მაინც მზირი თვალი გაუყარა ნამძნარს და გული გადაუბრუნდა: ხეებ შუა თვალი მოჰკრა ცისფერ კაზას. შეაყენა ჰუნე, შეეყოყმანდა. შიშის ზარმა აიტანა ჭაბუკი ერთ წუთს, მხოლოდ ერთ წამს. ახსენა ღმერთი და გასწია ქალისაკენ. ქალს ზურგი შეექცია მისთვის, სოფლისაკენ იმზირებოდა; ქანდაკებასავით იდგა უძრავად; ვერ იგრძნო ცხენოსნის მიახლოება. გადმოხტა ჭაბუკი, გადაადგო ცხენს ლაგამი. გაწრთვნილი მერანი უძრავად გაჩერდა ერთ ალაგას. გაემართა ელისბარ ქალისაკენ. ეხლა კი გაიგო ლიზიკომ ფეხის ხმა და მსწრაფლ მოტრიალდა. ფერი ეცვალა ქალს. ჭაბუკი დაუახლოვდა მას და დაეშვა მის წინ ცალ მუხლზე.

– მეტი აღარ შემიძლიან, ქალო! დაიტანჯა გული. მიყვარხარ! ან მიმიღე მეუღლედ და გამაცოცხლე, ან უარმყავ და მომკალ!

ქალი სრულებით არ მოელოდდა ამისთანა მიმოხვრას საქმისა და შეკრთა, ენა დაემა, სიტყვა ვედარა სთქვა. გული კი გაეხსნა, სული გაუნათდა და ეს ნათელი გადაეფინა მის სახეს; სითბო რამ იგრძნო სანეტარო და სიამოვნებამ ღიმილად გაუღო მას ბაგე. ქალმა ხელი წაატანა ჭაბუკს ასაყენებლად. შენიშნა ვაჟმა ქალის სახეზე გაშუქებული ვარდისფერი სიხარული, იგრძნო თვისი ბედნიერება და დაეკონა მისკენ გაწვდილს ხელს. თვით ნეტარებას შეახო მან ბაგე. აივსო გული მისი გამოუთქმელი სიამით და მადლობით. ქალმა ააყენა ვაჟი და მიჰყვა მოსახვეველად. გაისმა პირველი კოცნის ხმა და კოცნა იყო იგი ტკბილი, სანეტარო, დაუვიწყარი, ნაკურთხი ბუნებისაგან, დალოცვილი.

თავგვირგვინიანი ქალ-ვაჟი რომ შეიყვანეს სახლში, გახარებულმა დედამ მიულოცა შვილსა და რძალს, დაჰკოცნა იგინი და თავის ხელით შეაბა ქალს მარგალიტის მძიმე ფარღული ბროლის ყელზე. და იგი მარგალიტი ძვირფასი მომასწავებელი იყო იმ წყნარი სიხარულისა, იმ მუდმივ ნაზი და დამამშვიდებელი სიამისა, რომელიც შეიტანა ქალმა თავის ახალ ოჯახში, რომელი მიუზღვნა მან თავის მეუღლეს ზღვნად ფასდაუდებლად, რომელი განავრცელა მან თვის გარემო, როგორც რამ სუნნელება მრავალფასიან ნელსაცხებელისა. ჰპოვა ჭაბუკმა სადაფი შეუდარი, ზღვის ფსკერიდან აღმოზიდა იგი მან სიყვარულის ძალით. გახსნა ბედნიერმა ლუსკუმმა საუნჯისა და ნახა მუნ მარგალიტი ობოლი, რომელი შეიქმნა მისთვის წყაროდ უშრეტის სიამისა, მარად მიმნიჭებლად სიხარულისა. დილით რომ დახედა თავის გვერდზე ბამბის ქულასავით გადაპენტილ ქალს, რომლის ჩაშლილ ნაწნავებს მთლად მოეფინა ბალიშები, ხოლო საბნიდან გამოწდილი მკლავი სითეთრით არ ერჩეოდა გაქათქათებულ საურს, გულს ნათელი შემოადგა მხიარული. ქალს ჯერ ისევ ღრმად ეძინა, ოდნავ ისმოდა მისი სუნთქვა. ვაჟკაცი კრძალვით დაჰყურებდა მას, არ ინძრეოდა, სუნთქვას იმაგრებდა, რომ არ შეეფთხო განსვენება მძინარე

მზეთუნახავისთვის. ბევრი ხანი დაჰყურებდა იგი განხორციელებულ თვის ოცნებას და დასდვა აღთქმა, რომ მთელი თვისი სულიერი თუ ხორციელი ძალ-ღონე თავს შემოეფლო მისთვის და აეცილებინა ამ ხორცქმნილ სიამოვნებისათვის ყოველივე ავი, წყნარად და სიხარულით გაეტარებინა მისთვის ეს წუთიერი ცხოვრება. და ეს ცხოვრება რომ სწორედ წუთი იქნებოდა ელისბარისთვის, ამას ცხადადა ხედავდა ის: ბედნიერებაში რბიან წელიწადი, როგორც წამნი უხანონი; უბედურებამ იცის, რომ შეაყენებს დროს, შეაგუბებს ჟამთა დენას, რათა გრძლად ქეჯნოს ადამიანი და ნელ-ნელა შეასვას ძირამდინ სამსალით სავსე ფიალა. ბედნიერებას მსუბუქი ფრთები ასხია, ელვის სისწრაფით მიჰქრის იგი ჩვენ მძიმე და ბნელი ქვეყნიდან გამჭვირვალე ეთერთა სამფლობელოში.

ქალს სახეზე გრძნობამ თუ რამ ოცნებამ გადურბინა და გაულო ღიმილად კოკობი ბაგე, შეურხია რაზმი ინდომთა ჯარისა, მოზიდნა მშვილდნი ნახატნი, აჰყვა შუბლს სპეტაკს და წყნარს სიოსავით ოდნავ შეურხია გადმოშლილი ქოჩორი. გაალო თვალი მშვენიერმა, მაგრამ თვალის ბაიაში ჯერ აზრი ვერ მოჩანდა გარკვეული, მხოლოდ ტკბილ ნეტარებას დაეხუდნა იქ. დააჩნდა ქალს სავსება სიყვარულისა ბედნიერ ვაჟკაცისადმი მიმართული: გაუღიმა ქმარს კმაყოფილის ღიმილით, მოჰხვია მას მკლავი და მიჰფინა სიამე ღვთაებური.

იგი სავსება სიამისა აღარც მოჰშლია შემდეგ ღირსეულ ვაჟკაცს. ცოლ-ქმარი მთლად შეექსვა ერთმანეთს ხორცის მოთხოვნილებით და ვნებათა იგი დაცხრომა შეიქმნა შემდეგ დამტკობი მათი სავსებით და უცვალეზლივ. ქალმა გულსავსედ მიუძღვნა მთელი თვისი არსება ვაჟკაცს, როგორც რამ მსხვერპლი ყოვლად დასაწველი ღვთაებას ძლიერს და საესავოს. იგი ამ თვის ღვთაების კმაყოფილებაში ჰპოვებდა თვის ნეტარებას. გარნა ზეწარი მიუწვდომელი საიდუმლოებისა, ფერად-ფერადის სიამოვნებისა და ულეველის სიტკბოებისა არ მოსხნია შემდეგაც ქალის ხორციელ არსებას, არც შემოსძარცვია. კდემით მოსილი არსება მაშინაც იდუმლობით მოსილი მოსჩანდა ქმრის თვალწინ როდესაც აღტაცებით ჩამოიხსნიდა საბურველს იდუმლობისა და მთელის არსებით მიემადლებოდა მას. იგი ჯადოსანი უებრო აღვიდოდა სარეცელს სიყვარულისა, როგორც ქალწული უბიწო, ინთქებოდა იქ ვნებათა ტალღებში და გამოხდებოდა მუნიდან უმანკოვე, შეუბლავ-შეუმწიკველი. მარად ქალწული იყო იგი ჯადოსანი, მარად კარგი, სანუკვარ-სანატრელი. მთლადაც დაიპყრო ვაჟკაცი სასურველი მონობით. ელისბარისთვის მეუღლის იქით აღარ არსებობდა სხვა ქალი არც საქმით, არც სიტყვით, არცა თუ გულისთქმით დაფარულით. ხორციელმა მათმა ერთობამ შეტკობილ-შეწყობილმა განამტკიცა ერთობაცა მათი სულიერი, აკურთხა იგინი უცვალეზელმა ძალმა ბუნებისა, ჰქმნა ორნი ერთხორცს და ერთსულ. მათი გული თუ გონება, მისწრაფება თუ ოცნება შეთანხმდნენ და შეკავშირდნენ განუყრელად და ეს ორი ადამიანი მწყობრად გავიდა ცხოვრების ასპარეზზე, ვით არსება ერთი განუკვეთელ-განუყრელი.

ან ვინ სთქვა ხორციით ერთობა განუყოფელი, ხოლო სულით განცალკევება შეუერთებელ-შეურიგებელი? ვინ განაცალკევა, ვინ განკვეთა არსება ერთი ორ მოწინააღმდეგე, სხვადასხვა ბუნების მექონ ძალად? ვინ დაასკვნა და დაამტკიცა, რომ სული არ არის განვითარებული, გაწმენდილი, ჰაეროვანი და ცნობადმოსული ნივთიერება ჩვენი განუვითარებელ გარძნობათაგან მიუწომიელ- შეუგნებელი, ხოლო ხორცი არ არის შენივთებული სული, შემძიმებული და ბნელქმნილი, ჩვენ გრძნობათაგან უკვე საცნაური და მისაწდომელი? განა მთელი მრავალგვარი და

განუსაზღვრელი ბუნება არ არის განვითარება ან განცხადება ერთისა და იმავე მიუწდომელი არსისა, განხორციელება თუ საცნაურ ქმნა მისი? ვინ იცის, ვინ?!

23

იგი სიხარული, რომელი ჩასახული იყო ქალის არსებაში და თანა ზდევდა მას განუყრელად, არ იყო აღმასივით მოელვარე და მკვეთრი; იგი იყო სიამე მშვიდი, გარნა ხანოვანი, ნათელი წყნარი, გარნა უშრეტი. იგი სიყვარული არ იყო ელვასავით მსწრაფლ-დამწველი და წუთიერი, ვნებათა აღმტყინებელი და წამს ნეტარების მწვერვალადან ტანჯვის უფსკრულში ჩამნთხევი. მისი სიყვარული არ იყო მოტრფიალის მაწამებელი, სულის სიმშვიდის წარმტაცი, არამედ იყო გულჩვილი, მოწყალე, თანაბარი, ვნებათა დამაცხრობელი, მარად სანატრელი. ლიზიკოს სიყვარულში არა ერია რა, არც სატანასებური ხარხარი თუ ქვითინი მოისმოდა შიგ. ბედნიერი მისი მოტრფიალე არა ძრწოდა შიშით: ვაითუ უეცრად განრისხდეს ჩემი ბედის ვარსკვლავი და ნისლს მიეფაროს გულქვავი, ღრუბელს, რომ მუნით დამწველ ცეცხლად მომევილინოს დაუდგრომელი და მტანჯოს თვისი აშივი დაუნდობელმა.

ამისთვისთვე იყო, რომ ლიზიკოს მახლობელნი ყოველთვის გულსავსენი იყვნენ მისგან და გულდინჯად, მარად თანაბრად უყვარდათ იგი და უალერსებდნენ. რამდენიც უფრო ხანი გავიდა და ახლო გაიცნეს ეს ახალი სული, მით უფრო სიამით და სიხარულით შეჰყურებდნენ მას. ბედნიერად მოეწყო ეხლა ამოძიანთ ოჯახი და მარჯვედ. ეხლა ოჯახიშვილების ცდა იმაზე იყო მიქცეული, რომ რაიმე გარეშე ბოროტი არ შეჰრილიყო მათ სავანეში და არ დაერღვია მათი მყუდროება ან არ დაეთრთვილ-დაესუსხა მათი ოჯახის ახალი ყვავილი სუნნელოვანი.

სწორედ ლიზიკოსთანა მეუღლე შეეფერებოდა ელისბარს და მისთანა რძალი მის მამის სახლს. თითონ ელისბარის მამა ხომ წყნარი კაცი იყო, მოსიყვარულე და თავმდაბალი. არ უკვირდა მას თავისი სიმდიდრე, არც არავისგან თხოულობდა პატივს და მონობას, თვით უძლეველი ფულით ნაყიდს მონობას. არ აპყოლოდა წუთიერ თვითმოყვარებას უაზროს, არცა სცდილობდა მოეპოვებინა ბჭყვრიალა რამ სახელი მოლაპლაპე. მის სიმდიდრეს სიმარტივე და სიმდაბლე დაჰყოლოდა; სიტკბოებით იყო განთქმული მისი ოჯახი. ნაცნობი თუ ნათესავი, ყადარი თუ მდაბალი, ღარიბი თუ მდიდარი, მადლობელი თუ შორეული ყველა პატივცემით და სიყვარულით ეპყრობოდა მათ, რადგან ყველა პატივცემული იყო მათგან და დაყვავებულ მოალერსებული. ელისბარის მამა ძვირად აფასებდა კერის სიმშვიდეს, ფრთხილობდა, უაზროდ არ დაერღვიათ იგი სიწყნარე; ეფიქრებოდა, სახლში არ შესტყუებოდათ თუნდ რძალის სახით რაიმე გატაცებული უხასიათობა ან ლირფი სითამამე ლაგამწყარილი. ოჯახის ამ სიწყნარის და სიამის ბურჯად ელისბარის დედ-მამა იყო, რომელნიც ისე შეჰქვსოდნენ და შესთვისებოდნენ ერთმანეთს, რომ ვეღარც კი არჩევდნენ ერთმანეთისაგან თავიანთ პიროვნობას თუ აზრ-სურვილებს. შემტკბარ და ერთ არსებად ქმნილ ცოლ-ქმარს დაჰკარგოდა თვით წარმოდგენა უერთმანეთოდ ყოფნისა, ხოლო ურთიერთის თუნდ წუთიერი უარყოფა ვეღარც შეეძლოთ, ვეღარც წარმოდგენილი ჰქონდათ. და ამ ბედნიერი ოჯახის სიკეთე უფრო მომხიბვლელად გარდიფურჩქნა, როდესაც ლიზიკოს ძვირფასმა პიროვნობამ გაანათა და გაათბო იგი კერა.

ელისბარიც თავის მამის კვალზე წავიდა საოჯახო ცხოვრებაში, იმანაც და მისმა ცოლმაც სიყვარულივე წაიმძღვარეს ცხოვრების გზაზე, მხოლოდ უფრო განათლებულები იყვნენ იგინი, განვითარებულნი და განათლებას მათი ხასიათი

უფრო გაესპეტაკებინა, გრძნობები გაემშვენებინა, აზრნი დაედრმავებინა და გაეფართოვებინა, მისწრაფებანი სასიკეთოდ მიემართნა. შვილნი სჯობდნენ დედამას და ეს უხაროდა ოჯახს, ამითი ამაყობდა სახლი, ამაზე ჰქონდა კერას დამყარებული თავისი ფერადი იმედები.

24

ახალი ცოლ-ქმრის ერთმანეთისადმი სიყვარულს და ოჯახის ყველა წევრთ წყნარ სიხარულს ხელს უწყობდა და მკვიდრ საფუძველზე ამყარებდა მათი ნივთიერი უზრუნველყოფა, რომელიც იზრდებოდა და მატულობდა დღითი დღე, ღმერთს სიუხვის კალთა დაებერტყა მათ ოჯახზე და აღევსო იგი ყოვლისავე კეთილითა.

ოჯახის პატრონ ადამიანისთვის ნივთიერი უზრუნველყოფა მტკიცე ნიადაგია სულიერი სიმშვიდისა და კეთილგანწყობილებისა. მაშინ აღარ არის საჭირო მეტის მომჭირნეობით დაკნინდეს ადამიანი, აღარ არის საჭირო შრომობდეს იგი უდიერად და თან ფიქრობდეს მწარე ფიქრს როგორ გააწვდინოს ყველას ნაყოფი შრომისა. შიში ცხოვრების წინაშე ამდაბლებს ადამიანს: ან ბოროტ ფიქრს თუ უკაცურ განზრახვას ჩასთესავს მის გულში და ავაზაკთა თანა შერიცხავს მას: ან მოსტეხს მის ძალას, მოჰხრის წელში და გაიყვანს მას მონობის გზაზე, დამამდაბლებელ მონობისა; ან უსპობს ხალისს თუ ეშხს, უსპობს ყოველსავე სურვილს და გრძნობას ადამიანურის წარმატებისა, იძულებელ ჰყოფს მას ჰბამავდეს პირუტყვსა და მიემსგავსოს მას. ლუკმის ძიება ჰლუპავს მთელს დროს ადამიანისას, ნებას არ აძლევს მას აჰყვეს ფართე აზრებს, წმინდა მისწრაფებებს, ფაქიზ გრძნობებს და განავითაროს, გადაფურჩქნოს ეს ნიჭი თვის სულში. ვეღარ ფართოვდება მისი გონების ფარგალი, გაღიებაშივე იშრიტება მის სულში ყოველივე სიმშვენივრე თუ სიკეთე და ბნელდება გულიც, გონებაც. სადა სცალიან ან სად შეუძლიან მას განიცადოს ქმნილებათა სიკეთე უცვალებელი, მშვენიერება გარდაუვალი, ჭეშმარიტება საუკუნო, სიმართლე საოცნებო?!

„ოფლითა თვისითა სჭამდე პურსა შენსა!“

შრომობს წყევის შვილი შეუფერებლივ და აღმოუცენებს ქვეყანა კრული იფქლისა წილ ეკალთა და კუროსთავთა, მიუპყრობს მას პურისა წილ ქვას, ხოლო თევზის წილ გველს გესლიანს. როგორღა შეინახოს მან კეთილგანწყობილება სულისა და განდევნოს ბოროტი თვისი გულიდან?! წყევა წინაპართა ულმობელი შედეგი ცოდვის, ტვირთად მძიმედ დასწოლია შრომის შვილს; შავ მიწამდინა ჰლუნავს მის შუბლს და როგორღა შეინახოს მან ღვთაებური განძი გულისა ან რითი ინეტაროს გულუბრყვილოდ?!

„ოფლითა შენითა სჭამდე პურსა შენსა!“

ყოვლადმეცნიერი არსებისაგან არის წარმოთქმული იგი წყევა კაცისა მიმართ და იმისთანა წუთს, როდესაც მას მთლად განუწირავს ქმნილება თვისი: იგი წყევა შეძლებას უსპობს ღვთის შვილს განიცადოს სახე ღვთაებისა ქმნილებაში, განავითაროს სული თვისი, აღამაღლოს იგი და შეიქმნას, ვითარცა ერთი ღმერთთაგანი. მოაშთო ამ საშინელმა წყევამ ის ღივი, რომელიც გამოიღო ადამიანის სულში აღკრძალული ხის დალოცვილმა ნაყოფმა, რომელსაც ცამდინ უნდა აღემალღებინა ადამიანი და ზიარ ექმნა იგი ღვთაებურის ნეტარებისა; მოაშთო ამ საშინელმა წყევამ ნაყოფი პირველი დედის აღტაცებულ და გმირულ მოქმედებისა! ელისბარს კი თავი დაედწია ამ პირველ წყევის მწვავე შედეგისათვის: მას არა სჭირდებოდა მძიმე ტვირთის მუდმივი ზიდვა არსობითი პურის მოსაპოვებლად,

ძალდატანებითი შრომა მხოლოდ ლუკმის მოსაძებნად; ჰქონდა მას სიმდიდრე და იგი ქონება აძლევდა მას თავისუფლებას, იმოდენა მოცალებას, რომ ყურადღება მიეპყრო თვის გულის, გონების და მისწრაფებათა განვითარება-აღორძინებისათვის; იგი ხელშეუშლელად ჰზრდიდა და ანაყოფიერებდა თვის სულში ყოველსავე ნიჭს მშვენიერს თუ კეთილს. ძალ-ღონით სავსე გონიერ ვაჟკაცს ფართე სარბიელი ჰქონდა ცხოვრების თვალუწვდენელ ტაშირზე და შეეძლო დაუბრკოლებლივ ენავარდნა მუნ, რომ საკეთილოდ მოეხმარებინა შემოქმედისაგან მისთვის მინიჭებული სიცოცხლე, ეს უძვირფასესი ნიჭი ქვეყნიერებაზე.

25

ბედი უღიმოდა ელისბარს, ყისმათის საყვარელი იყო ის და რჩეული. ამისთვის ღირს იქნა ის სიყვარულისა. განა ყველას შეახებს ტრფობა თავის სხივოსან ფრთას; მხოლოდ რჩეულთ ჩამოუვლის იგი. უმრავლესობა ისე განვლის გზას ცხოვრებისა, რომ შორიდანაც ვერ იხილოს ღმერთი უკვდავის სიყვარულისა. იქნება ვისაც არ უნახავს ნათელი ტრფიალებისა არც ზურგით კერძო, უფრო წყნარად და ნაყოფანად განვლიან ცხოვრების გზას, მაგრამ ვინ გასცვლის ერთს წამს დამწველ ტრფობისა თუნდა წელთა სიმრავლეზე უფერულ კმაყოფილებისა?! მოტრფიალე იმ ერთს წამს ხომ თვით ღვთაებაა ყოვლად ნეტარი!

ელისბარს ეწია ეს იშვიათი ბედნიერება, იცოდა კიდეც დაფიქრებულმა მისი ფასი და ისე სდარაჯობდა თვის ნეტარების მიმნიჭებელს, როგორც გველი მის მასაზრდოებელ თვალს მოეღვარე. კმაყოფილი ვაჟკაცი ეხლა ისევ დაუწყნარდა გონებას, ისევ დაუბრუნდა მას ცხოვრების ემზი და უფრო მეტის სიმღიერიტაც. ის ეხლა მეტის ხალისით შეუდგა თვის ნაჩვევ საქმეს: მოავლო აზრიანი თვალი თვის მამულს, მიაშველა მას თვისი მადლიანი მარჯვენა და ააყვავა იგი, აავსო ნაყოფთა სიუხვით. დაუბრუნდა სახლს თუ მამულს დრო წარმატებისა, საამოდ გარდაიფურჩქნა იგი, ყოველმა დარგმა შრომისა გამოიღო ნაყოფი ასწილი და მიუზღვნა სასყიდელი უხვი პატრონს თუ თანამშრომელთ. არც ერთს მამულში ეხლა ისე იმედიანად არა გრძნობდა თავს მუშა თუ მოსახლე, როგორც ამ მამულში, ვერც ერთი მემამულე ისე უხვად ვერ აჯილდოებდა მშრომელს, როგორც ელისბარი, რადგან არც ერთს მახლობელ მამულს არ შემოჰქონდა იმოდენა შემოსავალი, როგორც მის მიწა-წყალს. რამდენჯერმე საყვედურიც კი ასმინეს ელისბარს იმაზე, რომ ის მეტს ქირას აძლევდა მშრომელ მარჯვენას, მაგრამ ესეთი საყვედურები ქებად ესმოდა მას: იგი ხერხი იყო ბასრი და მარჯვედ ახერხებდა თვის კეთილდღეობასთან სხვის სიკეთესაც. ეხლა ელისბარს შეძლება ჰქონდა, ხელფასის წამატების გარდა უხვად ესაზრდოებინა მომუშავენი, შესაფერი ბინა მიეცა მათთვის, საუკეთესო იარაღი და მით გაედვილებინა შრომა.

ეხლა ელისბარის ოცნება ის იყო, მის მამულზე მოსახლეთა თუ მომუშავეთ შვილების აღზრდაზედაც ეზრუნვა რამე, რომ ცოტად მაინც განვითარებინა და განემახვა მათი გონება, რათა უკეთეს პირობებში გამოსულიყვნენ ცხოვრების სარბიელზე, სინამ მათი დედ-მამა. აქ ქმარი მრჩობლის სიყვარულით და იმედით გადმოჰხედავდა თავის მეუღლეს რადგან განათლებულს და ბალებების წრთვნაში დახელოვნებულს ქალს შეეძლო შემწეობა აღმოეჩინა და დახმარება გაეწივნა ქმრისათვის ამ საზოგადო საქმეში. მაინც ელისბარს ისიც ახალისებდა თვის შრომაში, რომ იგი მისი მუშაობა მიმართული იყო არა მხოლოდ მის საკუთარ

კეთილდღეობისადმი, არამედ მოძმეთა სასიკეთოდაც, იმ მცირერიცხოვან მოყვასთა სანუგეშოდ, რომელნიც მოჰყოლოდნენ მის ზრუნვის ფარგლებში.

ელისბარ უფრო ფართედაც უყურებდა საქმეს, მისი აზრით მის გარჯას უფრო შორეული მიზანიცა ჰქონდა: ის დარწმუნებული იყო, რომ მისი ნაყოფიერი შრომა საკუთარს მამულზე იმავე დროს იყო შრომა სამშობლოს საკეთილდღეოდ, რომ მისი მეცადინეობა პირად კეთილდღეობაზე ამავე დროს იყო მეცადინეობა საზოგადო მამულის საკეთილდღეოდ და თვით იგი იყო ერთ უჩინარ, გარნა აუცილებლად საჭირო მეზრძოლთაგანი სამშობლოს განსამტკიცებლად და ასაყვავებლად.

– აჲ, ჩემ შრომაში, შეთანხმებულია ჩემი პირადი სარგებლობა საზოგადო სარგებლობასთან და სწორედ ეს უფრო მახალისებს მე.

– როგორ?

– ყური დამიგდე! ჩვენს მოვალეობას შეადგენს დავიცვათ ჩვენი მიწა-წყალი, შევინარჩუნოთ ის, არ დავანებოთ იგი შემოსეულ მტერს და ბოლოს უკანვე დავიბრუნოთ ის მამულიც, რომელიც წარუტაცნიათ ჩვენთვის ჩვენი გონებითი ძილისა და უძღურების დროს. უწინათ ამას ედგნენ მამულიშვილნი დარაჯად. მხოლოდ მაშინ ხმლით იცავდნენ ამ მისწრაფებას, რადგან მოსულ მტერსაც ხმალი ეჭირა ხელში, ეხლა კი მხოლოდ ხერხით შეიძლება ამაზე ზრუნვა, რადგან შემოტყუებულ მტერსაც ხერხი უჭირავს ხელში და თანდათან ჰხერხავს იმ ფესვებს, რომელზედაც დამკვიდრებულია ქართველი ხალხის კეთილდღეობა. შრომა და წინდახედულობა უნდა დავახვედროდ ამგვარ მტერს, რადგან მამულის შერჩენა, მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა სასარგებლო იქნება იგი მამული და პატრონს შეაძლებინებს ცხოვრებას; მიწა კი მაშინ შეიძლება ესეთი, როდესაც გონივრულად მოუვლი მასაც და მის მოცემულ საუნჯესაც. და რომ ჩვენს მიწა-წყალს შეუძლიან თავისი თავიც შეინახოს და პატრონიც ასაზრდოვოს, ეს დავგიმტკიცეს უცხოელებმა, რომლებიც დაბინავდნენ ჩვენს მიწაზე და ჰხარობენ. მეც ვცდილობ დავამტკიცო ეს აზრი ჩემს მამულზე შრომით. როცა ამისთანა მემამულეები გამრავლდებიან ჩვენში და ხელი ხელს გადააბმენ ზღვიდან-ზღვამდის, მაშინ დაიძლევა მტერი, მაშინ გასწორდება ქართველი წელში და შეუერთებს თვის რიხიან ხმას სხვა ხალხთა ძახილს. მხოლოდ ამ გზით შეიძლება შევინახოთ მამული. აი ეს არის ის საზოგადო აზრი, რომელიც მიუძღვის ჩემს კერძო შრომას. ჩემი შრომა პირადი მეცადინეობაა, იგი ჩემს საკუთარს კეთილდღეობას ემსახურება, გარნა საზოგადო კეთილისადმიც მისწრაფის. ჩემისთანა მშრომელი ისევე აუცილებელია სამშობლოს დაცვისათვის, როგორც აუცილებელი იყვნენ ის კერძო მეომარნი, რომელნიც შეადგენდნენ ლაშქარს და რომელთა სისხლით ირწყვებოდა სამშობლო. მათი სახელი არ გვახსოვს, გარნა მათნი გვამნი დღესაც ტკბილად ჰყავს სამშობლო მიწას ჩაკრული, ხოლო სულნი მათნი თავს დასტრიალებენ მას დარაჯად.

– ტყუილი იმედებია, მითომ გამრავლდნენ მამულის დამცველ-შემნახველი მემამულეები: ქართველი უხვის ხელით ჰფანტავს მამულს და მტერს მხოლოდ დახრადა სჭირია მის ასაკრებად.

– მთელ საქართველოში არ არის ეგრე. გვაქვს ისეთი კუთხეებიც, სადაც უფროთხილდებიან მიწას, როგორც გუგას თვალისას. არც ყველა წოდება იმეტებს მამულს ისე ადვილად. მშრომელთ უყვართ მიწა და ამ ახალ მეზრძოლთა რაზმებიც უნდა გამოვიდეს მშრომელ ხალხის წიაღიდან, რომელსაც უკვე გამოუვლია ეკლიანი გზა ჯაფისა, რომელსაც წინაპართაგან აქვს ნაანდერძევი შრომის უნარი, რომელთა სისხლში გამჯდარია მიწის სიყვარული თუ ალერსი, რომელსაც ესმის დედამიწის ხმა, მისი ნათქვამ-ნაანდერძევი.

პირად მისწრაფების ფარგალიც გაფართოვდა ეხლა ელისბარისთვის: მარტო თავის თავი ხომ არ ებარა, ცოლის პატრონი იყო, რომელსაც უკვე ოქროს ქოჩრიანი ვაჟი ეპყრა ხელთ, მემკვიდრე და იმედი მისი გვარისა. საჭირო იყო მათზე ზრუნვა. ესენი მის პიროვნობის გარეშე იდგნენ, გარნა მის საკუთარ არსებაზე უტკბილესნი იყვნენ, რადგან მისი საკუთარის არსების საუკეთესო და სათუთ განგრძობას შეადგენდნენ. მათის ცხოვრების უკეთ მოსაწყობად, მათ უზრუნველსაყოფელად ეხლა მეტი შრომა ეჭირვებოდა ვაჟკაცს და იმანაც უფრო მეტი ყურადღება მიაქცია მამულის აზრიანად შემუშავებას. მარტივი იყო მისი გეგმა. ერიდებოდა ძნელ საქმეს, რომლის ატანას ვერ შესძლებდა მამული; მიწას თავისი თავი თითონვე უნდა გაეუმჯობესებინა და სარგებლობაც მოეტანა პატრონისთვის. ელისბარისთვის არ იყო ესეთი საქმე ძნელი: მამულის გაუმჯობესება თუ შემოსავლის ახალ-ახალი წყაროების აღმოჩენა ეხერხებოდა მას, რადგან შესწევდა საამისო ცოდნა; იცოდა განათლებულ ქვეყნებში რა საშუალებასა ხმარობდნენ იმისთვის. ისიც ესმოდა, რომ ჩვენებურ ნიადაგს თუ ჰავას ვერ შეეთვისებოდა პირდაპირ სხვა ქვეყნიდან გადმოტანილი წესი მეურნეობისა თუ წარმოება და ცდილობდა ნაჩვევ-ნაცად ნიადაგზე ემყნო მეცნიერებისგან დასკვნილი თუ სხვა ქვეყნებში მიღებული ხერხი შემუშავებისა. ბევრი რამ ახალი შემოიღო, ბევრი ახალი მცენარე აგვარა, ბევრი ძველი გააუმჯობესა და რადგან მის მამულის ნაყოფს ცხადად დაეტყო უკეთესობა, ბაზარის მოპოვებაც გაუადვილდა მას. ელისბარის დაკვირვებითა ნიჭმა ფართედ გაშალა აქ ფრთები და მან ბევრი ახალი დარგი წარმოებისა შეიტანა თვის მამულში. მართალია, მდიდარი იყო ელისბარ და მამულის შესამუშავებლად თანხის სხვაგან ძებნა არა სჭირდებოდა, მაგრამ ბოლოს ისე დააწყო საქმე, რომ გარეშე ფული აღარც საჭირო იყო და შემოსავალი მთლად უძღვებოდა საქმეს.

თანდათან უფრო შეუყვარდა ელისბარს თავისი მიწა-წყალი. რაც უფრო მეტი ამაგი დასდო მან თავის მამულს, იმდენად უფრო დაუახლოვდა მას, გაიცნო და დაუკავშირდა. მამულმაც მეტი ნდობით გადუსხნა მას გულ-მკერდი და მეტი იმედი მისცა თავის ერთგულ პატრონს. ერთი-ორად გამხნევდა ვაჟკაცი; სამაგალითო გახადა თავისი მამული, თითით საჩვენებელი. დაამტკიცა, რომ ჯერ არ მომკვდარა ის ქართველი, რომელიც უხსოვარ დროშივე განთქმული იყო თავის მიწისადმი სიყვარულით, მის აზრიანად მოვლით. და ეს შრომა თუ ზრუნვა სრულებითაც არ იყო მისი მტანჯველ-მომღვარსლელი თუ დამაბეჩავებელი, როგორც აბეჩავებს ადამიანს დღიურ ლუკმისადმი უზომო ჯაფა, როდესაც ადამიანი იძულებულია ჰღვაროს ოფლი, ხოლო ნაყოფი შრომისა სხვისაა და მას ერგება მხოლოდ ლუკმა რაიმე განხმელი, რომ არ განილიოს შიმშილით და კვალად შესძლოს შრომა სხვისათვის, შრომა მონური, უდიერი! ელისბარი კი მონა არ იყო ცხოვრების სიმძიმისაგან ძალდატანებული და მოწურული. იგი იყო თავისუფალი, შრომის ნაყოფის ბატონ-პატრონი და მომხმარებელი. ამ მშრომელისთვის დედამიწა ეკალს კი არ აღმოაცენებდა და უხმარს, არამედ იფქლს წმიდას, მასაზრდოებელს. მისი შრომა არ იყო შედეგი წყევისა, ღვთის რისხვისაგან დადგმული მასზე უღელი მძიმე; იგი შრომა იყო ნებითი, ზომიერი, მომცემი კეთილისა და წამხალისებელი. ელისბარ უვლიდა და ამშვენებდა ბედისაგან მისთვის მიცემულს ედემს და არა მხოლოდ შეიკრიფავდა ნაყოფს უხვს, არამედ ავარჯიშებდა კიდევ თვის ძალებს ხორციელს თუ

სულიერს, განიმსჭვალებოდა ბუნებისადმი სიყვარულით და შეიგნებდა, რა სათაყვანებელი იყო წიაღი იგი მიწისა და ტკბილი.

ბედი ელისბარისა, რომ მისი მამულის შემოსავალი არ ინთქმებოდა მის მეუღლის ხელში, არც იფანტებოდა. ხელმოკლეობა გამოვლილმა ქალმა იცოდა ფასი ქონებისა. იგი დამშეულივით კი არ ეცა სიმდიდრეს, რადგან ნატრული არ იყო, არც დამშეული; დოვლათი რა ნახა, ცხრა მთა კი არ გადალახა, როგორც უნახავმა, რომ იქ, მთებს იქით, განებნია ოქრო და გაეკვირვებინა თავის მსუბუქობით შინაური თუ გარეული, არამედ აზრიანად შეხვდა ქონებას: სიძუნწე უარჰყო, ნაკლულოვანებათა დათმენა უკუაგდო, როგორც აწ უხმარი და უადგილო, გარნა თვის მოთხოვნილებას სამზღვარი დაუდვა, თვისი სურვილები შეაჩერა იმ ზღვარზე, რომლის იქით იწყება უაზრო ჟინიანობა და მედიდურება, როდესაც ადამიანი თავისთვის კი აღარა სცხოვრობს, არამედ მისთვის, რომ მიახედოს სხვა თავის კმაყოფილებაზე, წაემატოს მათ თავმოწონებაში, შური აღძრას უცხოში თუ მეცნიერში და მოვარაყებულ ბჭყვრიალებით მოსჭრას და დაუყენოს თვალი გარეთ თვის მტერს თუ მოშურნეს, შიგნით თვის პატრონს. ამისთანა ფრთასუბუქ მისწრაფებას ბევრად სავსებით-სავსე ოჯახი შეურყევია, დაუცია, წარმოუცალიერებია. ლიზიკოს გარედან ნასმენ ბარაქლაზე არ ეჭირა თვალ-ყური, იგი შინვე ჰპოვებდა სრულ კმაყოფილებას, ოჯახის კეთილდღეობაში და ქმარ-შვილის სიყვარულში.

შეითვისა ქალმა ქმრის ოჯახი, გვერდში ამოუდგა თავის დედამთილს, როგორც მოსწრებული ქალი მისი და ყოველსავე საოჯახო საქმეში მხარდამხარ მისდევდა მას. ეს მით უფრო ადვილი იყო უკვე ოჯახის მოვლას ნაჩვევ ქალისათვის, რომ მას სრულებითაც არ სჭირდებოდა მძიმე რამ და უხამსი საქმის კეთება: გარს მსახურ-მოახლე ეხვია და საჭირო იყო მხოლოდ სარისტის მიცემა, რომ ყოველივე წესზე ყოფილიყო და თვალის დევნება, რომ არ გაეტან-გაეჩანაგებინათ მონაგარი და არ გაემარცვათ ოჯახი. არავის არა სჩაგრავდნენ ქალები, არც ნაწვავ-ნადაგს უჭერდნენ ვისმე, უფრო ხელგაშლით აჯილდოვებდნენ მშრომელ მარჯვენას და პატივსა სცემდნენ ყველას, მაგრამ მათთან საქმის დამჭერი მალე გრძნობდა, რომ მოტყუებ-მოცდუნებით ან ნამალევად იქიდან ვერას გაიტანდა, თვალხმიერ დიასახლისებს ვერას მოაპარებდა. ლიზიკოს დედამთილმა ისე იცოდა ყოველივე სოფლური თუ ქალაქური საქმე, რომ სწორედ ოსტატად გამოდგებოდა მათთვის ვინც გარს ეხვევოდა მას. მიხვედრილმა რძალმა მალე შეითვისა ყველაფერი და ამით დიდი პატივცემა დაიმსახურა შინაურისა თუ გარეულისა. მით უფრო ხათრიანად ეპყრობოდნენ რძალ-დედამთილს ყველანი, რომ გაჭირვებაში ვერც ერთი ქალბატონი ვერ დეედრებოდა მათ გულშემატკივრობით; სწორედ გაჭირვების ტალ-კვესნი იყვნენ, ტვირთმძიმეთა ხელის ამპყრობელნი. ამ ოთხ წელიწადს ისე შეეთვისა ქალი ქმრის ოჯახს თუ დედამთილს, რომ იგი ოჯახი თვის ტკბილ ოჯახად მიაჩნდა, დედის დროს რომ ახსოვდა, იმ კერად; ხოლო დედამთილი ნამდვილ თვის დედად, პატარაობითვე რომ დაჰკარგა მან და აწ კვლავ ჰპოვა უვნებელ-უტკივარი, მოსიყვარულე.

ცხოვრება უალერსებდა ელისბარს და გული იმისთვის უმღეროდა სვიანს. თავის საყვარელ საქმეს ედგა სასარგებლოს, მბრძანებელი არავინა ჰყვანდა, თავის მოქმედების ბატონიც თითონ იყო, პატრონიც. რომ დადიოდა ის თავის მამულში და აწარმოებდა თუ ჰხელმძღვანელობდა მის შემუშავებას ან დაცვას, თან მისი

მოყვარული, მისგან შეყვარებული ოჯახის სურათი დასდევდა და ამხნევებდა; იგი სურათი კმაყოფილებისაგან შეთხზილ ჩარჩოში იჯდა და უდარდელად უღიმოდა მუშაკს. იცოდა სახლიდან გამოსულმა ვაჟკაცმა, რომ შინ დატოვებული ცოლ-შვილი ყოველმხრივ უზრუნველყოფილია, გაჭირვებას თუ ნაკლებობას არ განიცდის და არ შევიწროვდება, არც შეწუხდება. იცოდა მან ისიც, რომ შრომაში გატარებულ დღის მიმწუხრს თბილი, ნათელი და წყნარი ბინა დახვდებოდა მას, რომელიც სიყვარულით მიიღებდა დამაშვრალს და ჩაიხვევ-ჩაიკრავდა მას განსასვენებლად. ვაჟკაცს მიუხაროდა შინ: ქალმა დაუხვია მას გული და გაუმზადა სიხარული სულისა თუ ხორცისა.

დიდი საქმეა ოჯახისთვის, როცა ვაჟკაცს მიუხარიან სახლში და ესწრაფის მოღიმარე სახის შეხვედრას, ხოლო ღელვან დამნთქმელი სახლისა, თუ ღიმილის წილ ბოროტს მიელის იქ დადრეჯილს, ალერსის წილ უარყოფას, მაღლიერ კმაყოფილების წილ უმადურობას გარდარეულს, დრტვინვას შეუწყნარებელს, ჟინს უაზროს, ცრემლს მღვრიეს, გესლიანს. ამისთანა უაზრო სიბოროტე ხომ შეიძლება დახვდეს კაცს თვით დოვლათით სამსე ოჯახშიც, რადგან ადამიანის გული კრულია, ხარბი, უძლომი, ხოლო მისი სურვილები უსამზღვრო, დაუსრულებელი. არც იმისი ეშინოდა ვაჟკაცს, რომ მისი რამ ნაკლი, უხერხული ქცევა თუ მოუწყობელი თქმა ააღელვებს და გაამწარებს ქალს, შეარყევს მათს წყნარ და ნათელ ყოფნას: მისი მეუღლე აზიზი რომ იყო, მომთმინოც იყო და ამტანი, იცოდა მან, რომ ადამიანი ყოვლად სრული არსება არ არის, ათასნაირი ნაკლი სდევს ნებსითი თუ უნებლიეთი და აქაც, როგორც ყველგან მეგობრობაში, სიყვარულის საბურველმა უნდა დაჰფაროს სიშიშვლე უხამსი და დუხჭირი. ძნელია თუ დიასახლისს არ შესწევს ზნე მიმტევებელ-შემწყნარებელი, თუ ხელთ არ უპყრია მოყვასთა ნაკლის დამბურველი რამ არდაგი, თუ ამისთანა სული ბოროტი დაბინავდა კერაზე, განდევნის იგი ვაჟკაცს სახლიდან და მიაქცევს მას იქით, სადა იგი არა არს, არა ურვა, არცა სულთქმა, არცა თუ დადრეჯილობა, არამედ სიყვარულ-სიხარული დამათრობელი, ცხოვრების სიავის წუთიერად დამაქრობელი.

ლიზიკოს კი ბუნებით რბილი ხასიათი ჰქონდა, სათნო, შემბრალეული; თანაც ხომ შეყვარებული ქალი იყო იგი, ქორწინების შემდეგაც საყვარლად დამრჩალი, და აბა როგორ გაამწარებდა, თუნდაც შემთხვევით თავის ვაჟკაცს სასურველს ან რად?! ამისთვის იყო, რომ ელისბარს ყოველთვის მიუხაროდა სახლში, რომ ცოლ-ქმარი მარად სიხარულით მიელოდნენ ჟამს, როცა იგინი გამარტოებულ-განცალკევებულნი შეხვდებოდნენ ერთმანეთს საკუთრად მათთვის მიჩემებულ ოთახებში და ტკბებოდნენ ერთმანეთის ახლო ყოფნით, საუბრით, სუნთქვით, შეხებით.

აქვე, ამ განცალკევებულ კუთხეში მუშაობდა ელისბარ თვით საყვარელ სამეცნიერო საქმეს: კითხულობდა საუკეთესო გამოკვლევებს, რომ შეევესო თვისი ცოდნა, სწერდა თვის შენიშვნებს სამეცნიერო თუ სამოქმედო კითხვების შესახებ ან აღნიშნავდა თვის გამოცდილებას და დაკვირვებას. ამ გონებითი ვარჯიშობაშიც ხელს უწყობდა მას გარემოება: მშვენიერად მოწყობილი სამუშაო ოთახი სოფლად და ქალაქში, ყოველივე სასურველი წიგნი თუ გამოცემა, იარაღი თუ ხელსაწყო, დამშვიდებულ-დაწყნარებული გონება, თავისუფალი დრო, დამტკბარი გრძნობა. ეხლა უფრო ხვავიანად მუშაობდა ელისბარ ამ დარგში შრომისა, რადგან თვის ახლო გრძნობდა საყვარელი არსების სიახლეს, ძალის მომცემ და მხნეობის გამღვივებელ მის სუნთქვას. ქალსაც ეს სამუშაო ოთახი უფრო უყვარდა: აქ კითხულობდა ის თავის საყვარელ მწერლებს, აქა ჰკერავდა საკერავს ან ჰხატავდა თუ ჰქარგავდა რასმე.

ამ დროს იყო, ელისბარმა რომ მოათავსა ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში ისტორიული ცნობები ქართველთა მეურნეობის შესახებ და რამდენიმე შესამჩნევი დაკვირვება თუ

შენიშვნა სამეურნეო ხასიათისა. აკი საზოგადოებამაც მიაქცია მაშინ ყურადღება მის აზრიან და გამოცდილებისაგან ნაკარნახებ ნაწერებს. ამან ძალიან ასიამოვნა ვაჟკაცი და წაახალისა.

იგი წყნარი ცხოვრება ბედნიერი ცოლ-ქმრისა არ იყო და ვერც იქნებოდა მთლად დაუჩრდილავ-შეურყვეველი, ყოველ ჟამს თანაბრად ბედნიერი; აქაც მოჰბერავდა ჟამითი-ჟამად სუსხიანი ქარი ქვეყნის ნიავისა თუ დაუდგრომლობისა, გარნა ეს მსუსხავი ნიავეარი გარეგანი იყო, მათ ორთა პიროვნებათა გარეშე არსებულის სიავისაგან მონაბერი და ცოლ-ქმარი ებრძოდა ამგვარ სიღუბს მწყობრად, მხარდამხარ, განუყრელ-განუყოფელად; და ასუსტებდნენ იგინი ბოროტის სიმწარეს, უკუაქცევდნენ მის ძალას მავნებელს.

28

– იცი, გენაცვალე, თუ ჩემი განზრახვა შემისრულდა, მაშინ კი სწორედ ბედნიერი ადამიანი ვიქნები და ვიტყვი, რომ ამოდ არ განვლე გზა ცხოვრებისა.

– რომელი განზრახვა? ათასი ოცნებითა ხარ გატაცებული, ათას ფერად აზრს შესტრფიალებ და შეჰხარი.

– ორად ორი ფერადი ოცნება იყო, რომელსაც მე შევტრფოდი და შევხარი: ერთი ცისარტყელის ნაწყვეტივით მშვენიერი და მანუგეშებელი აგერ ჩემს გვერდზედ ზიხარ და ეს მაძლევს იმედს, რომ მეორე ჩემი ოცნებაც ხორცს შეისხამს და განხორციელდება ჩემს ცხოვრებაში.

– მაინც რომელი?

– რომ ჩემი ზრუნვა პირად კეთილდღეობაზე შეუერთდება და შეექსვის საზოგადო სამსახურს, სამშობლოს კეთილდღეობაზე ზრუნვას და ხელს შეუწყობს მის განახლებას თუ აღდგენას.

– კიდევაც გითქვამს ეგ შენი სურვილი და დაგიხატნია ეგ მისწრაფება, მაგრამ ვაი თუ ორი ლტოლვილება, პირადი და საზოგადო, შეუკავშირებელი გამოდგნენ და ერთმანეთის უარყოფელნი. იქნება ყველგან და ყოველთვის საჭირო იყოს პირადი მისწრაფება შეეწიროს საზოგადოს, ხოლო მამულიშვილის კეთილდღეობა სამშობლოს კეთილდღეობას.

– იმისათვის ვიმეორებ, რომ არ იქნა და ვერ დაგარწმუნე. მომისმინე! სადაც კერძო პიროვნობა მრავალთა უზრუნველყოფილია, იქ საზოგადოებაც უზრუნველყოფილია და ბედნიერი; სადაც მეკომურთა სიმრავლე არ განიცდის ნივთიერ ნაკლულოვანებას, იქ მხარეც კეთილდღეობაშია, რადგან როგორც ხალხი შესდგება მეკომურთაგან, ისე ხალხის ბედნიერება წარმომდინარეობს მოსახლეთა ბედნიერებისაგან. კერძო დოვლათი შემადგენელი ნაწილია საზოგადო სიმდიდრისა, ოღონდ კი კერძო ქონება პატიოსანი შრომით იყოს მოპოვებული, ისეთი ხერხით, რომელსაც ვნება არ მოაქვს არც კერძო კაცისათვის, არც საზოგადოებისათვის. მართლა და, თუ შენ თავზე ვერ გიზრუნვია პატიოსნად, როგორღა მოახერხებ იზრუნო მოყვასზე ან მთელ ხალხზე, რომელიც არის კრებული მოყვასთა?!

– ხშირად რომ კერძო კეთილდღეობისადმი მისწრაფება ძირს უთხრის და არყვეს საზოგადო საქმეს?

– ეგ მაშინ, გენაცვალე, როცა კერძო მისწრაფება არ არის საზოგადო საქმესთან შეთანხმებული. გავსინჯოთ! მიყვარს ჩემი საკუთარი მამული, ჩემი მიწა-წყალი და უკანასკნელ ამოსუნთქვამდინ ვეცდები არ მოვცილდე მას, ხელიდან არ გამომეცალოს იგი. რომ ვეწიო ამ სურვილს, უნდა გავაუმჯობესო მეურნეობა ჩემს მიწა-წყალში,

საუკეთესოდ შევამუშაო მამული, ვადინო იქ ნაკადები შემოსავლისა. ეს ჩემი პირადი მისწრაფებაა და აბა აქ რა არის მავნე საზოგადოებისათვის თუ ხალხისათვის?! ყველას რომ ესე უყვარდეს თავის მამული, ყველა რო ესე უყურებდეს თავის მიწა-წყალს, ყველა რომ ესე ცდილობდეს მამულის გაუმჯობესებაზე, მაშინ ხომ ჩვენი სამშობლო აღარ გაიყიდებოდა სხვაზე, არამედ აღყვავდებოდა და გადიფურჩქნებოდა თვალთწარმტაც წალკოტად. ვისწრაფი ხელსაყრელი გზები გამოვუნახო მიწისგან მოცემულ ღალას, რომ ბზის ფასად არ გაჰქონდეს იგი სხვას, და ყველა მემამულე რომ ამაზედ ზრუნავდეს აზრიანად, მაშინ ხომ ჩვენი მამულ-დედული და მთელი სამშობლოც მეწველ ფურად ვეღარ გარდიქცეოდა შემოსეულთათვის. თუ ყველა მემამულე ესე მოაწყობს თავის მიწა-წყალს, მაშინ მთელი საქართველო მოიფინება გონივრულად შემუშავებულ სამკვიდროებით ქართველთა და ჩვენი ქვეყანა იმ ადგილს დაიჭერს სიმდიდრით თუ მეურნეობის განვითარებით, როგორი ადგილიც ეჭირა ოდესმე ხალხთა შორის და როგორიც ეკუთვნის მას. ესეთი ჩემი მისწრაფების განხორციელება ხომ ნაბიჯი იქნება ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობისკენ გადადგმული. ვიცი, რომ ეს ყოველივე ვერ მოხდება უეცრად, მაგრამ დიდ საქმეში ხომ სისწრაფეც არ შეიძლება. ქართველთა კეთილდღეობა ნელ-ნელა დაეშვა ძირს და ნელ-ნელავე უნდა ამაღლდეს იგი, თანისთანობით. ესეც მოხდება! ვხედავ სამშობლოს აყვავებულს და სანეტარო წალკოტად გადაფურჩქვნილ-გადაშლილს, ხოლო შიგ ქართველთა ერს კმაყოფილს, პატივსაცემს და პატივცემულს.

– მაშ ის რაღა არის, რომ საზოგადო საქმე მსხვერპლად ითხოვს კერძო საქმესაც, კერძო პიროვნობასაც?

– თუ საზოგადო მიზანი გექნება და შენს კერძო მისწრაფებას შეუთანხმებ ხალხის სიკეთეს, ესეც მსხვერპლია შენის მხრივ, რადგან ამ გზაზე ბევრჯელ დაგჭირდება შენ ვნებათა თუ სურვილთა შეზღუდვა და უარყოფა. ხოლო როცა საზოგადოება თუ სამშობლო მოითხოვს მეტ მსხვერპლს, მაშინ შესწირავ მას შენს ქონებასაც, ჯან-ღონესაც, თვით შენს სიცოცხლესაც, რადგან გიყვარს იგი, ხოლო საყვარელ არსებისთვის სიცოცხლესაც არვინ დაიშურებს. ეს საზოგადო კანონია: თვის მოდგმას და თვის ბინას ყველა სულდგმული იცავს თავგანწირვით.

– ზოგიერთს რომ პირადი სარგებლობა სრულებითაც ვერ შეუგვნია, ვერც შეუთვისებია და დაუზოგველად, ხელაღებით მეტად ედება საზოგადოებას თუ სამშობლოს. ქრისტემაც ხომ ეგრე გვამცნო:

– ისინი ზეკაცნი არიან, ჩემო მშვენიერო ქრისტიანო, მცირედნი რჩეულთაგანნი, ჩემი გეგმა კი ცხოვრებისა საზოგადოა, საშუალო ადამიანზე მოხაზულ-გამოჭრილი, ხალხის დიდ უმრავლესობისათვის ჩამოსხმულ-ჩამოყალიბებული. აქ არის საჭირო გეგმა თუ გზის მაჩვენებელი, თორემ ის ღვთის შვილნი თუ ზეკაცნი მოქმედებენ ზეშთაგონებით, მათ ვერ იტევთ ვერც ერთი გეგმა მოქმედებისა, ვერც ყალიბი ცხოვრებისა; ისინი სასწაულებრ ჰქმნიან თავიანთ საკუთარ გეგმას ცხოვრებისა, ისინი მოქმედებენ დროისა და გარემოებათა გარეშე... მაგრამ ამ ჩემი აზრის ასრულებასაც გული უნდა მთელი, გუნება დაწყნარებული და თუ ეხლა გულდინჯად ვებრძვი საბრძოლველს, ეს მისთვის, რომ ჩემმა ოცნებამ უკვე განხორციელებულმა ძალა შემძინა მოქმედებისა და ვტკბები მისი სიახლით, – მიუგო ელისბარმა და დაუკოცნა ცოლს მაჯები.

– მეც შევეტრფი ერთს ოცნებას, მაგრამ ჯერ ვერ გამიბედნია გითხრა, უთხრა ბედნიერმა ქალმა და მაცდურად შეხედა ქმარს, – მეშინიან, იმ ოცნების განხორციელება მძიმე ტვირთად არ დააწვეს ჩვენს ოჯახს.

- რა ოცნება გაქვს ეგეთი, შენ თვითონ ოცნებავ ხორცმესხმულო? – ჰკითხა ვაჟკაცმა და გვერდს მოუჯდა ქალს.
- იცი რა? მაგრამ არა! მეც იმ მესაცრესავით არ მომივიდეს, ხელმწიფედ რომ დასვეს.
- რა მესაცრესავით?
- საცრების მკეთებელი ხელმწიფედ დასვეს. საბრძანებელის დათვალიერების დროს ტყე ნახა მშვენიერი და წარმოსთქვა აღტაცებით: „რა საკრკალე ხეებია!“ მეც ისე მომდის, ჩემს ხელობას არ ვივიწყებ: მინდა ოდესმე სასწავლებელი გავმართო ამ ჩვენი სოფლის გოგო-ბიჭებისათვის, რომ ანბანი მაინც ვასწავლო საწყლებს.
- გულთმისანი ხარ, საყვარელო, ჩემს აზრებსა ჰკითხულობ! მეც ვოცნებობ მაგაზე და ვეცდები ეგ ოცნება უთუოდ განვახორციელო, – მიუგო ვაჟკაცმა და მკლავი მოხვია ქალს ნაქანდაკებ წელზე.
- აკი გითხარ, ათასი ჭრელი ოცნება გიტრიალებს – მეთქი თავში, – მიუგო ქალმა და შუბლზე ჩამოშლილი ქაჩორი გაუსწორა ვაჟკაცს.

ბედნიერი იყო ეს ყოველ კეთილით სავსე ცოლ-ქმარი. მათი ბედნიერება სავსებით ავსებდა მათ პიროვნებას და უტკბობდა ყოფას. მათი ბედნიერება თავს გამოდიოდა და სუნნელ რამ ნელსაცხებლად ედებოდა მათ ბინას, სახლს, მთელ მიდამოს. იგი მათი ბედნიერება ტკბილად საყნოსელ-საგრძნობელი იყო და ნივთიერად ხელშესახები ყველასათვის, ვინც კი სცხოვრობდა მათთან თუ მათ გარემო და ვინც სასიკეთოდ მიეახლებოდა მათ. იმათი კარგი ცხოვრებით და დამატობელ-მანათობელ პიროვნობით მხიარულ-ქმნილიყო მახლობელი თუ გარეშე, უცხო თუ შინაური. ისღა იყო სანატრელი, რომ არ მოშლოდა ამ ოჯახს ყველასათვის სასარგებლო და საამო კეთილდღეობა, რომ არ დათხეულიყო ქვიშაზე იგი სავსება მადლიანი და არ წამოცლილიყო.

ლიზიკოს მამასაც სიხარულად ედებოდა ამ ბედნიერების სიკეთე და იშვებდა გულით, იხარებდა. ზურაბი ეხლა არამც თუ მხოლოდ დაუნათესავდა ელიზბარს და მის დედ-მამას, გულითადი მეგობარიც გახდა მათი, გულუბრყვილოდ მოყვარული. შემდეგში მთლადაც შეეთვისა ის მძახლებს თუ მოყვრებს და მათთან ერთად შესტრფოდა შვილების ნეტარებას და დოვლათს, რომლის სიუხვიდან მის ოჯახსაც მისდენოდა სიკეთე, უეცრად კი ვერ შეეთვისა ლიზიკოს მამა ბედის წყალობას. პირველში რომ უხაროდა თავისი ქალის ესეთ ბედში ჩავარდნა, თანაც სწუხდა, რომ ვერ ისტუმრებდა ქალს სიძის ოჯახის შესაფერ მზითვით და ეს უსიამოვნოდ ეხებოდა მის თავმოყვარეობას. მაინც თავი არ შეირცხვინა და ღირსეულად შემოს-შეამკო სასძლოდ გამზადებული ქალი. პირველ ხანს ძალიან ეჩოთირებოდა ზურაბს, რომ მდიდარის სიძის თავგადმოდენილ ოჯახიდან მცირედი პატივცემა მოსდიოდა, სოფლის რამ ნაწარმოები. ეს კაცი მთელი თავის სიცოცხლე საკუთარი მარჯვენითა სცხოვრობდა, მის სახლში დანგის საფასიც არა შესულა რა ისეთი, რაც არ ყოფილიყოს მისგან შრომით დამსახურებულ-დამუშავებული და ეხლა ვეღარ შესთვისებოდა იმ აზრს, რომ მისი შვილის ახალი ოჯახიდან მცირე რამ მოსაკითხი მოსდიოდა. აქამდის ყიველთვის თითონ ეძლია შემწეობა თავის ღარიბ ნათესავებისთვის და ვეღარ ეხერხებოდა უჩვევს რაიმე შეღავათი მიეღო თუნდაც საკუთარი შვილის ხელით. მძახალმა რამდენჯერმე შესთავაზა მას ქალაქში ბინა, გულწრფელად სთხოვა მის სასახლეში აედო მოხერხებული ოთახები საცხოვრებლად, მაგრამ მთლად უარჰყო ეს ლიზიკოს მამამ და შორს დაიჭირა: ვერ წარმოედგინა რომ ამისთანა პატივცემა მის

მდიდარ მძახლისათვის დიდი რამ არ იყო და სამძიმო. იქნება სწორედ ესეთი ფაქიზი ქცევა და ზნეობრივი სიფრთხილე იყო იმის მიზეზი, რომ ლიზიკოს ახალი ოჯახი დიდს პატივსა სცემდა ამ კაცს. ისიც სათქმელია, რომ მხოლოდ ლიზიკოს მამა იყო მათ შორის განათლებით ელისბარის სწორი. ელისბარი მხოლოდ თავის სიმამრს უზიარებდა თავის მეცნიერულ აზრებს, ოცნებებს, თუ მისწრაფებებს და გატაცებით ებაასებოდა სამწიფო კითხვებზე, რადგან ისიც სიძესავით მეცნიერების მოტრფიალე და მიმყოფი ადამიანი იყო, მასაც ელისბარივით ვერ იზიდავდა უაზრო დროს ტარება და ფუქსავატი ყოფნა. ახალ ნათესავებს თავიც მოსწონდათ, როცა მათი მძახალი საპატიო ნიშნებით გულმკერდშემკული ინახულებდა მათ დღესასწაულში ან სუფრას უმშვენებდა მეჯლიშში და სტუმრობაში.

ბედნიერად მიდიოდა ელისბარიანთთვის დრო, კმაყოფილებაში. აგერ მეხუთე ზაფხული მიიწურა ლიზიკოს ჯვრისწერის შემდეგ და სულ სიამოვნებაში გადიოდა დრო. მეტადრე სასიამოვნო იყო მათთვის ზაფხული, როდესაც ყველანი თავს მოიყრიდნენ ელისბარიანთ მამულში. ამ დროსვე იკრიბებოდა დაბაში მოაგარაკე ათასობით და მთელი სამი თვე იქაურობას ჟიჟინი გაჰქონდა. ელისბარიანთა ხომ ერთი განუწყვეტელი სიამოვნება იყო, დღესასწაული უხვი და გულსავსე ბუნების დიდებულ და მშვენიერ კალთაზე. კმაყოფილი იყო ეს ორივე ოჯახი თავიანთ ბედ-იღბლისა, ხოლო მათი სიამის დაკმაყოფილების თაიგული იყო დალოცვილი ლიზიკო, რომელიც ეხლა დედაკაცობაში ჩავარდნილიყო, მთვარესავით გავსებული, ბამბის ქულასავით გადაპენტილიყო, გაღალანებულიყო სასურველად. მის სპეტაკ და მიმზიდველ აგებულობას შარავანდედად მიჰფენოდა მისი სიწყნარე, შეურყეველი გულკეთილობა და მოღიმარე თავაზიანობა. ისე მოსჩანდა კრებულში ძვირფასი ქალი, როგორც რამ ყვაველი საუცხოვო ნოყიერ ნიადაგზე ლაღად გადაშლილი. თვალი ტკბებოდა მისი ხილვით და სული მისი სიახლოვით. ქალის სიტურფის და სათნოების ხმა მთელ იმ არეს მოჰფენოდა და ამით სამართლიანად ამაყოფდნენ ელისბარიც და მისი ოჯახიც.

ელისბარ გულდამშვიდებით უმზერდა წყნარად მანათობელ თავის ბედის ვარსკვლავს, ტკბებოდა მისი ნორჩი სიცოცხლით და უკვირდა, რადღა ესახებოდა მას თავისი მეუღლე იმ დაჟღელილ და დღემოკლე ლერწმის სახით, მაშინ რომ ნახა ხევის პირას: რა იყო საერთო ამ სიცოცხლით სავსე და ტურფად აყვავებულ ქალისა და იმ ნამზნევ ლერწმის შორის, გარდა წერწეტი ტანისა, ესე ნაზად რომ ირხევა წელში, როგორც ლერწამი ნიაგზე. არაფერი სრულებით არაფერი! მაგრამ, ღმერთო ნეტა რად ეხატება იმ თავით ამ თავამდე იგი ლერწამის სახედ ლიზიკოსი?!

ზურაბიც იმედიანად უმზერდა თავის ქალს. მას სრულებითაც აღარ აშინებდა იმ ავი სენის აჩრდილი, რომელმაც ისე უდროვოდ მოსტაცა მას მეუღლე, დედა ლიზიკოსი. არა, ამ ჯანსაღ და სიცოცხლით სავსე ქმნილებაში არ დაუსადგურია არც ნასახს იმ შეუმართებელის და სასტიკი სენისა, ვერც დაისადგურებს იგი მუნ ვერასოდეს!

გავიდა ზაფხული. გაიკრიბნენ მოაგარაკენი ქალაქებში. ყველამ თავის საქმეს მიაშურა. წავიდა ლიზიკოს მამაც. სამსახური ნებას არ იძლეოდა თორემ ესე ადვილად ვერ შეელოდა ის ბუნების სათაყვანებელ წიაღს. ელისბარის მამა კი მხოლოდ ერთი კვირით ამოვიდა იმ ზაფხულს: სავაჭრო საქმეები ნებას არ აძლევდნენ მას ხანგრძლივ გასულიყო ქალაქიდან. ელისბარ გულსავსედ შეუდგა თავის სამუშაოს და ხალისიანად: უხვად დატვირთული შემოდგომა მოსდგომოდა კარს და ახარებ-

ახალისებდა მემამულის გულს. ლიზიკო ჯერ არ წასულიყო ქალაქს. მაინც ღრმა შემოდგომამდინ იცოდა სოფლად ყოფნა: მხარში ედგა თავის დედამთილს, შემოდგომის მოსავალს მასთან ერთად აზინავებდა, ამუშავებდა, ღვთის მოცემულ სარჩოს შენახვაში ჰშველოდა. ბევრ შრომის ნებას კი არ ამღევდა რძალს დედამთილი: შვილიშვილს მოელოდდა მეორეს და ფრთხილობდა, ქალი სავნებლად არ დადლილიყო ან შემთხვევით არ დაზიანებულიყო. ახალგაზრდა დედაც სიხარულით მოელოდა მეორე შვილს, მაგრამ, აქ, ამ სიხარულის მოლოდინში შეყვარებულ ცოლ-ქმარს დიდი უთანხმოება მოსდიოდათ და კამათი: ელისბარს გულით უნდოდა მეორეც ვაჟი ჰყოლიყო და ოქროსქოჩრიანი ბიჭები დაეწყვილებინა, ლიზიკოს კი ძალიან ჰსურდა ახლა ქალი გასჩენოდა.

– მინდა ქალი გამიჩნდეს, რომ ერთი ჩემებურად ავღზარდო! ვაჟის აღზრდა-განვითარებაში დედა მაგდენად ვერ გამოიჩენს თავის კარგ გავლენას: ის ვაჟკაცი უნდა გაიზარდოს, საბრძოლველ საქმეებში დახელოვნებული და მამაცი, დედას კი შეუძლიან ნამეტანი შიში თუ სიფრთხილე შთაუწერგოს ან ვაჟკაცისათვის უფერი ნაზობა თუ კოპწიობა შეათვისოს. დედის კალთაში გაზრდილი ვაჟი შეიძლება ქალაჩუნა გამოვიდეს, მე კი ძალიან მეჯავრება კაცი კეკელა.

ელისბარ არ ეთანხმებოდა ცოლს არც მომავალი შვილის შესახებ, არც ვაჟის აღზრდის თაობაზე და აღელვებდა გუნებანაქცევ ლიზიკოს, გააზიზებულს. ეს ძირითადი უთანხმოება მათ შორის იმ სამზღვრამდი კი მაინც ვერ აღწევდა, როდესაც მხურვალე კოცნაც ვედარა ჰშველის და გულს ვედარ უთბობს მოკამათეთ. სხვა საკამათო საქმეცა ჰქონდათ ცოლ-ქმარს; ლიზიკო სულ იმას ეხვეწებოდა ქმარს, შინ დროზე დაბრუნებულიყო მამულიდან, არ დაეღამებინა გზაზე: ქალს გულიც ელეოდა ლოდინით და ცოტა კიდევ ეშინოდა, რამე ავი არ წაჰკიდებოდა უგზო-უკვლოდ მავალ ვაჟკაცს ავაზაკისა თუ ნადირისაგან. ელისბარსაც ესწრაფებოდა სახლში მისვლა, მაგრამ ხშირად ვერ ასრულებდა სურვილს: მამული აქა-იქ იყო გაფანტული, ათასგანა ჰქონდა ვაჟკაცს საქმე და მისი ფეხმარდი მერანიც კი ვედარ ამოკლებდა შარას გრძელს და გზას ნელსავალს.

ერთ საღამოს მეტად დაიგვიანა ელისბარმა, ქალი მაღალ წინგარზედ გასულიყო და გზას გასცქეროდა. მიეპყრო თვალი სივრცისათვის და ვედარ ამჩნევდა, რომ ცივი ნიავი ტყვიასავით მოდიოდა მახლობელ მთის წვერიდან. ეს მთა ახალ შემოდგომაზევე ითოვლებოდა და სასტიკ სიცივეს მოჰბერავდა დაბას. ზაფხულობით ამ მთის ნიავი სასიამოვნო სიგრილედ ეფინებოდა არემარეს, შემოდგომიდან კი აუტანელ სუსხს ამღევდა ჰაერს და საშიშიცა ხდებოდა ჯანმრთელობისათვის. მზე ჩავიდა, ქალი მაინც იქ იჯდა გარინდებული. სათბილობელი არ ესხა, ზაფხულში მსუბუქად ჩაცმას ჩვეულს, ჯერ ვერღა ეხერხებოდა თბილად დაბურვა. იგრძნო სიცივე, უსიამოვნო ჟრუანტელმა დაურბინა ტანში. უნდოდა შებრუნებულიყო შინ, მაგრამ დაეზარა: მთელი სხეული რაღაც სიმძიმეს მოეცვა და ქალს ვერ მოეხერხებინა ადგილიდან დაძვრა. ახლოც არავინ იყო დაესაქმებინა და სათბილობელი გამოეტანინებინა. სიცივე უფრო დაერია ქალს და შეაჟრჟოლა ძლიერად. დედამთილი შინ არ იყო, თორემ ვერ გამოეპარებოდა მას რძლის დაუდევრობა. ქალი შებრუნდა შინ, მაგრამ გვიანდა იყო: ვედარ გათბა და ვედარ! ვერც ოთახმაღა უშველა, ვერც თბილმა წამოსასხამმა. დედამთილი რომ მოვიდა, ქალი ისევ თრთოდა და ცახცახებდა. არ უამა რძლის ესეთი ყოფა. მაშინვე ცეცხლი დაანთებინა, ცხელი წყალი მიაშველა, ქალს ესიამოვნა მხიარული ბუხარი და შეთბა. ელისბარი რომ მოვიდა და შეხედა მეუღლეს, შეკრთა, თითქო გულზე რაღაცამ უკბინაო და ყვედრებით გახედა დედას.

– რას იჯექი, ქალო, ი სიცივეში? აკი სულ იმას გეუბნები ავი ქარი იცის ამ აივანზედ. სათბილობელს რასმე მაინც ჩაიცვამდი!

– შენს გზას გამოვყურებდი, აი ეხლა გამოჩნდება – მეთქი, აი ეხლა. სულ იმას გეხვეწები არ დაიგვიანო.

მეორე დღეს არა უშავდა რა ქალს, მხოლოდ სურდო შეაჩნდა უბრალო. საქმეში გართულმა ვაჟკაცმა გადაივიწყა ეს უსიამოვნო შემთხვევა. ოჯახში ყველა დაადგა ისევ ჩვეულებრივ შრომას.

31

მესამე დღეს ისევ შეაჟიჟინა და სიცხე მისცა ქალს. ყელშიც უფრო მოუჭირა, სურდომ უმატა, ხამალდად გარდაიქცა. მოიყვანეს ექიმი. გასინჯა, ციების წამალი მისცა, ხველებისთვის რამ ფხვნილი დაუნიშნა და წავიდა. საშიში არაფერია, მცირედ გაცივებულაო. მაგრამ ვერ სძლია მისმა წამლობამ ეს მცირედი გაციება; აღარ ნელდებოდა ავადმყოფობა, თანდათან ძლიერდებოდა; ხველა დაუღრმავდა, გული შეეხუთა, სუნთქვა გაუძნელდა, ახრიალდა. სახუმარო აღარ იყო ეს. შეფიქრიანდა ექიმი, შეეცადა, მაგრამ კარგად ვერ იღებდა ავადმყოფობას მიზანში და წამალი სცდებოდა მას. ვერ გაანადგურა ავადმყოფობა, ვერც შეამცირა, ვერ შეასუსტა, ვერც კი შეარყია. შემძიმდა ქალი. სენმა დაიწია ძირს, იგი მთლად მოედო ფილტვებს და ჩააგდო ქალი ლოგინად. მაშინ კი შეშინდა ექიმი; მიხვდა, რომ აქ მისი ცოდნა და გამოცდილება საკმარისი აღარ იყო და შეატყობინა თავისი ეჭვი და შიში ელისბარს. მიიწვიეს განთქმული ექიმი, თითონ ელისბარის მამამ ამოიყვანა ის ქალაქიდან. ნახეს, ბჭობა გამართეს. წამლები დაიბარეს სწრაფად. ახალი ექიმი ჩააფიქრა ავადმყოფობამ.

– ამ ქალს სიჭლექე ხომ არ მოუდის გვარად, ვინმე მახლობელი ხომ არ მოჰკვდომია ამ სენით? – იკითხა მან.

ყველა შეკრთა. გაახსენდათ, რომ ლიზიკოს დედა ჭლექს გაეტანა ახალ ქალობაშივე და უთხრეს ექიმს, უფრო დააღონა ამ ამბავმა ის. ძალიან ენანებდა ქალი.

ავადმყოფობამ საშიში ხასიათი მიიღო, სახიფათო. ლიზიკოს მამაც მოვიდა გულგახეთქილი. იმასაც ექიმი წამოეყვანა თან. მაგრამ ავადმყოფობას თავი ეპოვნა, გაძლიერებულიყო, სრულებითაც აღარ ეპოვებოდა აღარც ექიმებს, აღარც წამლებს. ქალის აგებულებაში შეუმჩნევლად მიმალულ სენის თესლმა გაიღვიძა, აღივდა, იბარტყა, მსწრაფლ გაიზარდა, გადიშალა და დაჰრია ხელი სწეულს. იმედი დაეკარგათ ექიმებსაც, პატრონსაც.

ელისბარი აღარ მოჰშორებია ძვირფასი ავადმყოფის სარეცელს. ჩაჰყურებდა ქალს, უაღერსებდა, ჰკოცნიდა, ანუგეშებდა თვით უსასოქმნილი. ვერაფერი უეზარი წამალი გამოდგა ალერსი თუ კოცნა საშინელი სენის წინააღმდეგ, რომელიც ცეცხლივით მოსდებოდა ქალის აგებულებას. ექიმებიც, ელისბარის მახლობლებიც ცდილობდნენ როგორმე გაფრთხილებოდნენ ვაჟკაცს, რომ საშინელი სენი არ გადასდებოდა ახლა იმას, მაგრამ ელისბარს, თავის უბედურობის მეტი აღარა ახსოვდა რა, ვერც არასა ჰხედავდა სხვას, არც არაფერი ესმოდა მის გარეშე. დაჰყურებდა იგი თავის სატრფო მეგობარს საშიშად დაავადებულს და უკვე ჰგრძნობდა მის სარეცელის თავით შავ სულთამხუთავს, რომელიც ელანდებოდა თვით ავადმყოფს. ერთ წუთსაც ვერ დაანებებდა მას თავს, ვერ მოშორდებოდა ვერც ერთს წამს. ცდილობდა გაემხნევებინა მდებარე, ზრუნავდა რამე ნირი არ შეჰპლოდა მას, რომ ეგებ როგორმე გამოეტაცნა ეს ნორჩი სიცოცხლე ავის სულისათვის. ხავსს რასმე ეჭიდებოდა

წყალწადებული! ეხლა ცხადად წარმოსდგომოდა ელისბარს ის ლელწამი დაჩეჩილი, რომელიც შენიშნა ოდესმე ხევის პირას. ნანობდა, რომ მაშინ ისე გარეწრად მოექცა იმ მცენარეს. მალამო არ დაადო, ამყოლი რამ სარი არ მისცა სიმაგრედ და არ განკურნა იგი.

– ალბად შედეგში ქარმა წააქცია ის, ხოლო ტლანქმა რამ ფეხმა ჩაღეწა და ჩაანადგურა, თურმე კი ლიზიკოს მომასწავებელი იყო ის ლელწამი ნამზნევი, მისი ბედის განხორციელება და ნიშანი.

– ვერ გავუფრთხილდი ქალს, ვერ მოვუარე რიგზე, ამაო ზრუნვათაგან გატაცებულმა თვალი მოვარიდე საუნჯეს ფასდაუდებელს, გარეწრად მოვექეცე და დახე, ჩემის ხელითვე გავსტყორცე უფსკრულში ჩემი ბედნიერება, ჩემი აწმყო თუ მომავალი! – ფიქრობდა ვაჯკაცი ჩაბნელებული.

ქალი კი იბრძოდა გაწამებულ-გამწარებული, სწუხდა გამოუთქმელად, ბორგავდა, მოსვენებას ვერ პოულობდა, აწყვეტდა მკლავებს საბრალოდ.

– მიშველე, ელისბარ! მოახლოვებულია ჩემი სიკვდილის დღე. არ მინდა მოვკვდე! ჯერ ხომ სწორედ არც კი დავმტკბარვარ სიცოცხლით, ჯერ ხომ ესე ახალგაზრდა ვარ. ნუ გამიშვებ, ნუ გამატან სიკვდილს! შენც ხომ დაობლდები, ხომ აღარ გეყოლება შენი ლიზიკო! – ეუბნებოდა ავადმყოფი და ხელს მაგრა უჭერდა, თითქო მართლა ძალა ედვა ბეჩავ ელისბარს შეემაგრებინა იგი ამ ქვეყნად და განედევნა მის თავით მდგომი სულთამხუთავი.

ელისბარ ჩასჩერებოდა ავადმყოფს და თვალეში მხოლოდ უსახსრობა ეხატებოდა უძლური, სასოწარკვეთილება ბნელი, სევდა უსამზღვრო, მძიმე, აუტანელი. რა უნდა ეშველნა ქალისათვის ან რითი, როცა ძლევა მოსილ ავადმყოფობას ფოცხვერივით ჩაეჭირნა ქალისთვის ბასრი ბრჭყალები და სწოვდა სიცოცხლეს, აღრჩობდა?!

ჩაჰყურებდა ძვირფას ავადმყოფს იმედმიხდილი ვაჯკაცი და ჰსურდა ღრმად აღებეჭდა გონებაში მისი შეუდარებელი სახე თუ იერი. ხელს არ აშორებდა ქალს, ეგონა სიახლოვით და შეხებით თვის ძალ-ღონეს გაუზიარებდა ძალმიხდილ ქალსა. ქალიც სრულებით ვეღარა სძლებდა უმისოდ; თუ მცირეოდენ ხანს მიეფარებოდა კაცი მის თვალთაგან, შფოთვას უმატებდა და ატირდებოდა საბრალოდ. სხვები ყველანი უარჰყო ავადმყოფმა, არავის ყოფნა აღარ ესიამოვნებოდა ოთახში, აღარავისგან აღარ მოელოდდა რამე ნუგეშს თუ ლხენას.

– ნუ მომშორდები, გენაცვალე, ნუ გახვალ აქედან! ახლო მოდი, ხელს ნუ მომაშორებ. მინდა სულ შენ გიყურო, თვალს რომ ავახელ, მხოლოდ შენ დაგინახო; მინდა ახლო გგრძნობდე, ძალიან ახლო! იცი, გენაცვალე, ბუნდადღა ვხედავ ყველაფერს, შორიდან. შენც კი ბუნდად გხედავ, თითქო შორიდან მესმის შენი ხმა. ალბათ მივდივარ იმ ქვეყნად, მივესწრაფები.

– ნუ, გენაცვა, ნუ შეშინდები! შეებრძოლე ავადმყოფობას: ჯერ მთლად ახალგაზრდა ხარ, ჯან-ღონით სავსე და როგორ შეიძლება ეგეთი მოუძლურება და უიმედობა.

– იცი, რა ფიქრი მაწუხებს ეხლა?

– რა ფიქრი, საყვარელო?

– ვაითუ საიქიოს ვეღარ გიპოვო ან ვეღარ გიცნო. ვაითუ ეს ბინდი თან გამყვეს, უფრო ხშირმა ბინდმა დამბუროს და ვეღარ გაგარჩიო, როცა შემდეგში, ბევრი, ძალიან

ბევრი წლების შემდეგ შენც მოხვალ იმ ქვეყანაში. თუ ველარ გნახავ, სამოთხეშიც ხომ ბნელი იქნება ჩემთვის, მაშინ გაუვალი წყვილია მომიცავს მე და დამფარავს ბნელი. საუკუნოდ მარტო დავრჩები მაშინ და დაუსრულებელი სევდა დამაწვება გულზე, როგორც რამ ლოდი მძიმე, უზარმაზარი. უკ, როგორ საშინლად მაწევს გულზე, სუნთქვას მიხუთავს, ჰაერი აღარ არის. ფანჯარა გააღე, გენაცვა!

– როგორ ხრიალით ამოდის სუნთქვა! აბა ყური დაუგდე, აბა, დამადე ყური, უთხრა ქალმა და უძლური ხელით გადიხსნა გული. დაიხარა ელისბარ, მოხვია ქალს მკლავი, ჩაღვა თავი აწ მიმტკნარებულ და მოშვებულ ნეტარების ბორცვთა შორის და ცრემლით დაალტო იგინი ვაჟკაცმა. მაგრამ ცრემლი, ცხელი ცრემლი, როგორ გააგრილებდა იმ მწვავე ცეცხლს, რომელიც მოსდებოდა ამ მარგალიტის ბუმბუტებს, რომელიც სწვავდა მათ, ანადგურებდა, ჰნავლავდა?!

– იცი, მე ვერ გავძლებ უშენოდ, სრულებითაც ვერ გავძლებ შენს უნახავად! მოვალ ხოლმე, დაგხედავ, მოგესალმები შენც და ჩვენ ბიჭიკოსაც. ძალიან შევეხვეწები, ცრემლით შევევედრები და გამომიშვებენ. რომ გაიგონო ნელი ხმა ან ძახილი, თუ იგრძნო ოდნევი რამ შეხება, იცოდე, მე ვარ! – თქვა ქალმა და შემფოთდა, მკლავები გადაყარ-გადმოყარა, თითები აათრთოლა.

– სანდრო მიჩვენე! მინდა ჩემი ბიჭიკო ვნახო, – შესთხოვა ქალმა, როცა ცოტა დაწყნარდა.

შემოიყვანეს ბაღი. ქალმა მიიახლოვა, ქოჩორზე ხელი გადაუსვა, ბუნჩულა თითები დაუკოცნა და გააყვანინა ისევ.

– იცი, საყვარელო, ის უფრო მაწუხებს, რომ ჩვენი მეორე შვილი ჩემთან უნდა მოკვდეს, ძალიან მიმძიმს, რომ თან უნდა გავიყოლო. საწყალი.

ახლა ცხადად დაეტყო ქალს, რომ დღე მოსწრაფებოდა: თვალები გაუცრიატდა, ხმა მოუდუნდა და დაეშვა, სუნთქვა გაუძნელდა, ხველა ჩაუყრუვდა, ხრიალს უმატა. დაძლეული ექიმი კიდევ სცდილობდა, ფათურობდა, მაგრამ ყველა მის მოძრაობაში სჩანდა, რომ ამოდლა მოქმედებდა მითომ ავადმყოფის საშველად. სევდით გამშრალი მახლობელნი გარს შემოჰხვევოდნენ განწირულს. ვერ მოაცილეს ელისბარ სულთმობრძავს, უკანასკნელ ამოსუნთქვამდინ ხელი არ გაუშვია, არც თვალი მოუშორებია.

ისეთი ესვენა ქალი კუბოში, როგორც ქანდაკება მარმარილოსი. სიყვითლე რამ გადაჰკროდა მცირედი, ისევ კი სავსე იყო, არ ჩარჩულიყო: სწრაფმა ავადმყოფობამ ვერ დააძნო ქალი, ვერც ჩაფერფლა. დასწყნარებოდა სახე, დაჰმშვიდებოდა სამუდამოდ, მაგრამ ღრმა ნაღველი თუ სიმწარე აღბეჭდოდა სახეზედ, დახშულ ბაგეს გარს შემოჰხვევოდა იგი სევდა გამოუთქმელი.

ქალის მამა შემშიშებით შეიქმნა. თითქო ჯერ ვერ გაეთვალისწინებინა მთელი სიავე მასზედ მისულის უბედურებისა, და იძროდა უაზროდ, ხან ერთთან მივიდოდა თითქო რისამე სათქმელად, ხან სხვასთან. კუბოს უახლოვდებოდა, გარს უვლიდა. უნდოდა ეთქვა, ჩაეძახა, ენას კი ვერ იგნობდა, სიტყვას ვერ ახერხებდა.

წირვის დროს დედამთილმა ველარ შესძლო მოთმინება, წრსდგა წინ, გაუსწორა მიცვალებულს შოლტივით ნაწნავები გულზედ რომ ეყარა და დაიძახა:

– ცოდვა არ არის ეს ძვირფასი ქალი მიწამ შეჭამოს?

– ცოდვაა! აფსუსია! ოღონდაც რომ ცოდვაა! – გაისმა ხალხში და შეუერთდა იგი ხმა ხალხისა გალობას დარდიანს, სამგლოვიაროს.

როცა სასაფლაოზე დაახშეს კუბო და დაჰკრეს ლურსმანი, ელისბარს მოუთმენლად მოუწია ერთი კიდევ დაეხედნა თავის მიცვალებულისათვის. უშლიდნენ, ნებას არ აძლევდნენ, ეხვეწებოდნენ აღარ შეერყია წყვილია მდუმარება განსვენებულისა,

მაგრამ არა ქმნა, არ დაიშალა! აჰხადეს კუბო. ელისბარ დაეცა მუხლებზე, შეახო ხელი დაფენილს წამწამს და შეუფერდა გული.

ამის შემდეგ თითქო რაღაც ბუნდი გადაეფარა ელისბარის გონების თვალს და აღარ მოჰშორებია მას იგი ბუნდი. ისე ფიქრობდა ეხლა ფიქრს ნაჩვევი ვაჟკაცი, თითქო მძიმე რამ ძილს ვერ გამოჰრკვევია და თავს ვერ მოჰგებიაო. თითქო ვერ დაჰბრუნებიაო სრულ ცნობიერებას განათლებულს, ვერღა მისწვდენიაო ჰაზრს მკაფიოს. მის თავში ათასი ფიქრის ნაგლეჯი ირეოდა, უმსგავსი ნაფლეთები ტლანქი აზრებისა; უხერხულად ჯგუფდებოდნენ იგინი ცნობიერების კარებში, ქუჩდებოდნენ იქ, ერთმანეთს ეცილებოდნენ სინათლეზე გასვლას, მაგრამ ვერც ერთს ვერ გაეხწია გაშუქებულ ველზე ნათელის ცნობიერებისა, რომ დასრულებულიყო იქ განათებული. ვერც რამ გარკვეული და ნიშანდობრივი გრძნობა გაძლიერებულიყო მის გულში, თუნდ გრძნობა მწარე, ოღონდ კი სრულქმნილი, დამთავრებული, განსაზღვრული სახის მექანი. უკიდურეს, უაზრო სევდის წყვილიაღმში არეულიყვენ უფერო რამ გრძნობები, გადასჭდობოდნენ ერთმანეთს დახლართულნი; ერთმანეთზე მიჯრილ-მიქუჩებულთ დაჰკარგოდათ თვის განკერძოებული სახე და შესაზარი რამ სახე მიეღოთ გველთა ბრბოსავით შეგუნდებულ გადახლართულთ. მძიმედღა ფეთქავდა მათის გესლით გავსებული გული ზარდაცემული. შემდგარიყო ვაჟკაცის სურვილთა მწყობრი დენაც. რაკი უმთავრესი მისი სურვილი ვერ აღსრულდა, რაკი ვერ იხსნა სიკვდილისაგან თვისი მეუღლე, მისი ცხოვრების გზის მანათობელი თუ აზრის მიმცემი, ვეღარც ერთი გარკვეული გრძნობა ვეღარ ამოტივტივდა სურვილთა უფსკრულიდან, რომ ამომძრავებინა ვაჟკაცი სამოქმედოდ; ვეღარც ერთი მისი ლტოლვილება ვერ დამთავრებულიყო, ვერ გაძლიერებულიყო იქამდინ, რომ გაეტაცნა იგი და ამოქმედებინა მისი ნებისყოფა. დაჰკარგოდა ვაჟკაცს აზრი ცხოვრებისა, მოსკობოდა მიზანი არსებობისა, გაჰქრობოდა ის სხივი რომელიც გზას უნათებდა მას და აწ მისი სიცოცხლის ნავი უაზროდ მიდ-მოდიოდა ცხოვრების ზღვაზე, საჭე მომსხვრეული, აფრებდაფლეთილი. ვაჟკაცის გული, გონება და ნებისყოფა გაეყინა მისადმი მიწვენილ უბედურების სუსხს და უხმარ ექმნა იგი ცხოვრების დენისთვის. მთლად დაჰკარგოდა მას ეშხი არსებობისა, სურვილი სიცოცხლისა.

ყოველსავე თვის საქმეს ხელი უშვა, თავი მიანება. მალე ისე გაიშანშლა პატრონისაგან მიტოვებული ათასი საქმე, როგორც ძნა ულო დაწყვეტილი. მამამ სცადა როგორმე მიეგდო საქმეზე ვაჟკაცი, რომ დოვლათი ხელიდან არ წასვლოდა და გართობილიყო კიდეც სევდიანი, მცირედ მაინც უკუჰყროდა დარდი უნელებელი, მაგრამ ამაოდ: ელისბარს ვერც კი გაეგო რას ეუბნებოდა მამა, გამტერებული უყურებდა მას; ვერ შეეგნო რაღასა სთხოვდნენ მას ან რად. ორმოცის წირვაზე მოძღვარმა სცადა დარიგება რამ გადაეგდო ჭირისუფლისთვის და გზაზე დაეყენებინა გზააზნეული:

– ღვთის ნება იყო, რაც შეგემთხვა! მის განგების გარეშე არა ხდება რა; უნდა დავემორჩილოთ მის წმინდა ნებას; მაშინღა შეგიმსუბუქდება სევდა. გავა ჟამი ბნელი, ამოგიბრწყინდება ნათელი და ისევ იგრძნობ ცხოვრების სიამეს: „მწუხრსა განისვენოს ტირილმან და ცისკარსა სიხარულმან“.

ელისბარმა უაზროდ შეხედა მოძღვარს. მისი დარიგება მთლად ასცდა მწუხარის გულისყურს, ფეხი ვერ მოიკიდა მის გაყინულ გონებაზე. არც დრო იყო ესეთის

თქმისა ჯერ ისევ ახალი საფლავის წინ. შემდეგში იგივე აზრი რამდენჯერმე გაუტარეს ვაჟკაცს, მაგრამ ამოდ: აღარა სჯეროდა, რომ კიდევ რაიმე დააკავშირებდა მას ცხოვრებასთან და შეარიგებდა უღმობელ ბედის წერასთან. ან რაღა საჭირო იყო კვლავ შებმულიყო იგი ცხოვრების უღელში, ან როგორღა მოხერხდებოდა ეს?! ლიზიკო ხომ უბრალო მეუღლე არ იყო მისი, მასთან მხოლოდ შემთხვევით დაკავშირებული; იგი საუკეთესო განგრძობა იყო მისის არსებისა; მის შემდეგ თავის თავს მასთანვე დამარხულად ჰგრძნობდა ვაჟკაცი და, თუ კიდევ დადიოდა იგი ქვეყნაზე, ეს ნამდვილი ელისბარი კი არ იყო ხორცშესხმული, სურვილებით და მისწრაფებებით სავსე, არამედ აჩრდილი იყო მისი, მხოლოდ დროებით საწამებლად დატოვებული უწყალო განგებისაგან, სევდის ფიალის სესასმელად-დასაცლელად. აწ ნახევრად მკვდარი იყო იგი, ორად გაკვეთილი. ბუნებამ იცის ესეთი სისასტიკე, როდესაც გადაჭრილი სულდგმულის ნახევარი კიდევ რამდენსამე ჟამს სცოცხლობს, მოძრაობს, გარნა უაზროდ, მიზანშეუწონლად.

34

სცადეს დაეახლოვებინათ ელისბარისთვის მისი შვილი. იმედი ჰქონდათ, მასზე გადმოიტანდა ის დაკარგული მეუღლისადმი აწ უსაგნო სიყვარულს. იმედი ჰქონდათ, მასზე გადმოიტანდა ის დაკარგული მეუღლისადმი აწ უსაგნო სიყვარულს. ეს დიდ შეღავათს მისცემდა მწუხარეს, ახალ საგანს გაუჩენდა მის გონება-გრძნობას თუ სურვილებს, ახალ გზას გაუსხნიდა მის სულიერ ძალებს. ელისბარმა მოხედა ბავშვს, მაგრამ გული კი ვერ დაუხვია პატარამ სევდიან მამას: ეხლა წარსულისკენ იხედებოდა ელისბარი, მთელი თავისი ყურადღება მხოლოდ განვლილ ბედნიერებისაკენა ჰქონდა მიქცეული და ველარა ჰხედავდა ვერც აწმყოს, ვერც მომავალს; ბავშვი კი მომავალს ეკუთვნოდა და ამისთვის იგი კარგად ველარა ხედავდა მას გონების თვალთ, სწორედ ვერ გაერჩია. გარდა ამისა ბავშვი ძალიანა ჰგვანდა დედას სახით თუ იერით და უძლიერებდა ვაჟკაცს დანაკარგის სიმწარეს და სიმძიმეს, უფრო უცხოველებდა დაკარგულ ბედნიერების ძეგლის სურვილს.

ელისბარ რამდენჯერმე წავიდა სასაფლაოზე, მუხლი მოიდრიკა ლიზიკოს სამარესთან და დაჟინებით ჩაჰყურებდა მიწას; მაგრამ ის მხოლოდ მიწასა ჰხედავდა იქ, მხოლოდ მიწასა ჰგრძნობდა; მისმა გონებამ ნასახიც კი ველარა ჰპოვა აქ ძვირფასის არსებისა. იქ არ იყო ლიზიკოს ბინა! იქ მხოლოდ უმსგავსო ნაშთიღა იდვა მისის პიროვნებისა, უვარგისი, უსახო რამ ნივთიერება შესაზარი. თითონ ლიზიკო აღარ იყო იქ. ქალის საფლავთან ყოველთვის არარაობასა ჰგრძნობდა ვაჟკაცი, საზარელს და ძნელად შესათვისებელ არარაობას.

სადმე კი უნდა ყოფილიყო ლიზიკო! როგორ შეიძლებოდა ისეთი უაზრობა და უსამართლობა, რომ სიცოცხლით სავსე, ყოვლის კეთილით შემკული ქმნილება, მოჰაზრე, მგრძნობიარე, ფაქიზ და მაღალ სურვილებით აღსავსე მთლად გამქრალიყო, განქარვებულიყო, არარაობად გარდაქმნილიყო?! ბოლიც არ ქრება უკვალოდ, კვამლი რამ უბრალო და ნუთუ ისეთი ყოვლადშემკული პიროვნება უნდა განქრეს მთლიანად?

ვერ შესთვისებოდა ელისბარ ამ აზრს და ეძებდა იგი თავის საყვარელს, სახლში თუ სახლგარედ, ჭალაში, ტყეში, მდინარის პირას, მთაში, ჰაერში, ცაში, გარნა ვერა ჰპოვებდა ვერსად მის კვალს და იტანჯებოდა. ეძახდა მას განწირულის ხმით, მოუწოდებდა ვედრებით, იგი კი არსად იყო, სრულებით არსად! სმენად გადაქცეული ვაჟკაცი ყურს მიუპყრობდა ქალის ხმას სასაფლაოზე თუ შინ, ლიზიკოსაგან

ამოჩემებულ ადგილას ფიჭვნარში, ვარდობის ბუჩქებთან, წალკოტში, სადაც ისე ძალიან უყვარდა ქალს ყოფნა, მძინარე ბავშვის სარეცელთან. ყველგან შესდგებოდა სმენად გარდაქმნილ ელისბარ და დიდხანს ელოდდა გარინდებული, ეგება როგორმე გაეგონა მისი ტკბილი ხმა ან ეგრძნო მისი ნაზი შეხება, მაგრამ ამაოდ: დაავიწყდა ქალს თავისი აღთქმა, აღარ ისურვა მასთან მისვლა, მისი სიახლოვე!

– ან იქნება ჩემ ბრგვილ გრძნობებს ვერ ძალუძთ აღნიშნონ და შეიგნონ იმ ქვეყნიური ხმები, მოძრაობა, შეხება ან სახე? მაშინ ხომ ძალიან დაიტანჯება ჩემი ლიზიკო, მას ხომ გააწამებს ის, რომ ვერ გაუგონებია, ვერ შეუსმენინებია ჩემთვის თავისი ძახილი. ველარ უგრძნობინებია თავისი სიახლოვე ან შეხება!

იქნება მართლა მთლად განქარდა ლიზიკოს არსება თუ პიროვნება, განქრა უკვალოდ; აღარსად იყო აწ მათში განხორციელებული სახე ღვთისა და მხოლოდ ფიქრთა სამფლობელოშიდა არსებობდა ის, მის მახლობელთ და მცნობთ ხსოვნაში.

ელისბარს მაინც ვერ შეეგნო არსის არარად ქცევის საიდუმლოება, ვერ გაეთვალისწინებინა და ვერ შეეგნო სიკვდილი, როგორც მოსპობა არსებისა, მისი განქარვება, არარად ქცევა. მას, ცოცხალს და არსებულს, ვერ შეეთვისებინა ჭეშმარიტება: იყო და არღა არს, ვერცაღა თუ ჰპოვო კვალი მისი! და კვლავ ეძებდა ყველგან თავის ფასდაუდებელ დანაკარგს, ეძებდა უიმედოდ, გარნა დაუცხრომელად. ასეთია ბუნება კაცისა: ძვირფას დანაკარგს ეძიებს იქაც, სადაც შეუძლებელია პოვნა მისი.

35

აღარც უფრთხილდებოდა სევდით მოცული ელისბარ თავის თავს, აღარ ესმოდა გაფრთხილების საჭიროება და აუცილებლობა. ყოველივე მისი მისწრაფება მოდუნებულ-მოშვებულიდა იყო, გამოურკვეველი და მისუსტებული. მიმქრალიყო მასში პირადი არსებობისადმი ლტოლვილება, ეს უძლიერესი მისწრაფება შემოქმედისაგან არსში შთანერგილი; გასციებოდა სიყვარული თავის თავისადმი. აღარაფერი იზიდავდა მას ამ ქვეყნად, არ აკავშირებდა მას მარად მოძრავ და მოქმედ ცხოვრებასთან. მოჰლალდებოდნენ ცხოვრებასთან საბრძოლველად მოწყობილი ძალები და უხალისობას მოეცვა მისი არსება, მოედვენდა ლაფანივით. აღარც თავის დროზე ჭამა-სმა ესმოდა, აღარც ჩაცმა-დახურვა, აღარც წესი ცხოვრებისა ყოველდღიური. ველარა ჰგრძნობდა იგი ველარც ჰაერის ცვალებას თუ სისასტიკეს. აკი რამდენჯერმე შეუძლოდაც შეიქმნა ვაჟკაცი და შეაკრთო ოჯახი.

შედლებული რომ არა ყოფილიყო ელისბარ და უზრუნველყოფილი, იქნება დღიურ ლუკმის ძებნას თუ შიმშილს უნებლიედ გამოეყვანა იგი ამისთანა უმოქმედობისაგან, ძალად აემოძრავებინა და რამე საქმეზე მიეგდო. მაშინ თითონ საქმე გამოარკვევ-გამოაფხიზლებდა მას, მიზანშეწონილ მოქმედებათათვის მოჰმართავდა მის სულიერ თუ ხორციელს ძალებს, ააყოლებდა ცხოვრების ჩარხს და იგი ბორბალი ჩაიხვევდა მას, მოუსპობდა შეძლებას მთლიანად დაჰმონებოდა უბედურებას. გაუმძღარი გაჭირვება რად დაანებებდა თავის მსხვერპლს სხვას, თუნდ გამანადგურებელ სევდას?!

ეხლა გარეშე რამ ძალა ძლიერი იძულებით არ იწვევდა ვაჟკაცს სამოქმედოდ, თავისით კი მას აღარ შეეძლო რამე სურვილი აღეზარდა თვის სულში და წაესწრაფებინა თვისი არსება მის მისაღწევად. იტანჯებოდა აზრსა და მოქმედებას ნაჩვევი კაცი ესე წამოცარიელებულს რომ ჰხედავდა თავის თავს, გარნა უნარი აღარ შესწევდა თავი დაეღწია ამ საზარელ მდგომარეობისთვის. სცადა ღვინით წაერღვნა აწ

უხმარი თვისი პიროვნება, მაგრამ ბუნებით უარყოფელი იყო ბახუსისა და ამ ღმერთმაც უარყო უნებლიეთ მასთან მისული მოსავი დაღრეჯით მყოფი, არ შეიფარა იგი საფარველსა ქვეშე თვისსა.

ელისბარის დედ-მამა ძალიან დააღონა შვილის ამისთანა მდგომარეობამ. იმათ ბუნებრივად მიაჩნდათ დარდი თუ მწუხარება ახლად დაქვრივებულის კაცისა, მით უფრო რომ ძვირფასი განძი დაჰკარგა მან, მაგრამ თანაც დარწმუნებულნი იყვნენ რომ იდარდებდა იგი ერთ ხანს, მერმე ნელ-ნელა გადიყრიდა სევდას, ისევ სიცოცხლისკენ იზავდა პირს და გაივსებოდა ცხოვრების ეშხით თუ სურვილით. მაგრამ შესცდნენ: ხანი გადიოდა, ვაჟკაცის მდგომარეობა კი არ იცვლებოდა, არ უმჯობესდებოდა: ისევ გულჩათხრობილი დადიოდა ის, იშვიათად გასცემდა ვისმე ხმას, საზოგადოებას ერიდებოდა, კაცთა ნახვა არ იამებოდა. ამდღე ან ოთახში იყო შეკეტილი და ბოლთასა სცემდა კუთხიდან კუთხემდინ, ან იწვა საათობით თვალეზამწუხული და გარინდებული, ან ტყე-ღრეს მოედებოდა მარტოდმარტო და დადიოდა უგზო-უკვლოდ; იღლებოდა, იქანცებოდა. ძალიან სავნებელი კი იყო ეხლა ეს მისთვის: ჰავა გამოიცვალა სოფლად, ზაფხულში რომ სასიამოვნოდ გრილოდა აქ, ეხლა სასტიკი სიცივეები დაიჭირა და ნესტით გაიჟღინთა ჰაერი. მით უფრო ძნელი იყო ეს ელისბარისთვის, რომ თავის გაუფრთხილებლობით და დაუდევრობით ხშირად შეუძლოდა ხდებოდა: ხან აჟრიალებდა და სიციხეს ამღევდა, ხან სურდო რამ მოედებოდა და ახველებდა. ჩამოდნა ვაჟკაცი, ფერი დაჰკარგა, მაგრამ არაფერ ზომებს არა ხმარობდა თავის დასაცველ-დასაფარავად.

როგორც იყო ჩაიყვანეს ქალაქს, მაგრამ ვერც ქალაქმა გამოაბრუნა კაცი, იქაც ისევ განმარტოებული სცხოვრობდა შავ ფიქრებში გაბმულ-გართული. არც წიგნსლა ეკარებოდა, არც საზოგადოებას, არც სხვა რამ გასართობს და გულისტკივილთა დამყურებელ-დამწყენარებელს. ერთადერთი სახლი, სადაც ხანდისხან დაიარებოდა ელისბარ, იყო მისი სიმამრის ბინა, ხოლო ერთადერთი ადამიანი, რომელსაც ის ოდნავ მაინც გადუხსნიდა თავის გულს, იყო მისი სიმამრი, სიძესავით დაჩაგრული და გულმოკლული. თითონ ელისბარ დადიოდა იმასთან. ზურაბი ერთხელ-ორჯერ იყო იმათთან, რომ მიჰსალმებოდა მოყვრებს და აესრულებინა წესი.

თანდათან დაუახლოვდნენ ერთმანეთს სიძე-სიმამრი და დამეგობრდნენ. ესეთი მათი განწყობილება არ იყო წინანდელ ნათესაობაზე აღმოცენებული, რადგან ქალის სიკვდილმა გადასჭრა ნათესავური კავშირი მათ შორის; არც მეცნიერული რამ აზრთა გაზიარებაზე და შემუშავებაზე იყო იგი დამყარებული, არც ნივთიერი რამ სარგებლობა ედვა საფუძვლად. ეს სულიერი კავშირი მათ შორის შექმნა ლიზიკოს სახელმა და ხსენებამ.

ლიზიკოს მამას ფეხი არ ამოუკვეთნია, იგი ათასში ერთხელ მიდიოდა კიდევ ელისბარიანთსა, რომ არ ეთქმევინებინა მათთვის, სრულებით დაგვივიწყა და უარგვყოვო. მაგრამ აღარ უხაროდა მას იმ სახლში მისვლა, სადაც მისი ქალი იყო დიასახლისი და ეხლა კი მისი ადგილი სხვას ვისმე უნდა დაეჭირნა უცხოს: დარწმუნებული იყო, ელისბარ მალე მოიმგლოვებდა მის ქალს, მოიყვანდა მეორე ცოლს და მის უბეში მთლად დაივიწყებდა პირველს. ესე სჩადიან ყველანი და ყველგან! ან სხვა რა უნდა ექმნა ჯერეთ ახალგაზრდა და ჯან-ღონით სავსე ვაჟკაცს? თან ხომ არ გადაჰყვებოდა გარდაცვალებულს და მის საფლავში არ ჩაჰმარხავდა ეშხით სავსე სიყრმეს.

– თუ მე თითონ არ გავყევი ამ გზას და არ მოვგვარე დედინაცვალის დაობლებულ პატარებს, ეს სხვა საქმე იყო, იშვიათი: მიყვარდა განსვენებული უცვალელების, განუმეორებელის სიყვარულით და შეუძლებელია იქნებოდა ვისმე გაეწინა ჩემს გულში მისი მაგივრობა, ვინმე დაჰნაცვლებოდა მას, – ფიქრობდა ზურაბი.

არც შეიძლებოდა ეს ზურაბის მხრივ, რადგან ცოლმა იგი მხოლოდ ხორციელად დასტოვა, თორემ, სულიერად მასთანვე სცხოვრობდა უხილავად, მის გულში სადგურობდა, მის ფიქრთა თუ გრძნობათა მსვლელობას ეუფლებოდა. ტასოს მოყვარული სული ვერც დასტოვებდა თავის ქმარ-შვილს, ვერ განუმეორებინა მისი მათზე გადაგებული გული მათ, ვერაფერი ძალა ვერ განაშორებდა მას მათგან, ვერც სიკვდილი უძლეველი.

აკი ნივთიერადაცა გრძნობდა ზურაბი თავის ტასოს თავის ახლო: ბევრჯერ გაუგონია ღამის მყუდროებაში მისი ხმა ნაზი. უგრძნვია მისი ჰაეროვანი შეხება, რამდენჯერმე შეუნიშნავს თვით იგი აჩრდილივით მიმომავალი ოთახებში და მეტადრე იქ, სადაც ბავშვებს ეძინათ; ერთხელ მკაფიოდ ნახა, რომ იმ ქვეყნით მოსული დედა ჯვარსა ჰსახავდა თავის მძინარე შვილებს.

როდესაც შემდეგში გაიგო ზურაბმა, როგორ გლოობდა დანაკარგს უბედურებისაგან სასოწარკვეთილი მისი სიძე, შესცვალა მასზე აზრი, მეტის თანაგრძნობით მოეპყრო მას. მაინც ეჭვი ჰქონდა და ფიქრობდა, რომ ელისბარ მალე განაახლებდა თავის ცხოვრებას და თავის პატარა შვილს დედინაცვლის ხელში ჩააგდებდა. მაშინ კი მთლად მოსპობდა ის კავშირს თავის ნასიძართან; წამოიყვანდა შვილიშვილს თავისთან და თითონ აღზრდიდა, რომ სხვის ხელში არ დაჩაგრულიყო იგი, სულით არ დამახინჯებულიყო და უსარგებლო ან მავნე პიროვნება არ დამდგარიყო. ისევე პატიოსნად და აზრიანად აღზრდიდა, როგორც აღზარდა თავის ობლები. ამას იგრძნობდა მისი ქალის სული და დაწყნარდებოდა, თორემ პატარის დარდი წაჰყვავა ლიზიკოს და იგი დარდი მოსვენებას არ მისცემს იქ საბრალოს. ლიზიკოს დედასაც ხომ გაჰყვავა მაშინ თავის პატარების დარდი, რომ კვდებოდა ტასიკო, სულ იმას ეხვეწებოდა, არავისთვის დაეჩაგვრინებინა ობლად დარჩენილი ბალები.

– სწორედ ერთნაირი ბედი ჰქონდათ დედა-შვილს: ორნივე მშვენიერი (ლიზიკო ხომ ძალიან ჰგვანდა თავის დედას), სათნოიანნი, მოყვარულნი, ქმარ-შვილისთვის თავდადებულნი, სიყრმით გაუმადლარნი, ახალგაზრდობაშივე მოკვეთილ-მოსპობილნი ერთისა და იმავე უღმრთელო სენით, – ფიქრობდა ზურაბი.

და მის გონებაში დედა და შვილი ნელ-ნელა დაუახლოვდნენ ერთმანეთს, ბოლოს თითქოს შეერთდნენ კიდეც. ის ეხლა ყოველთვის ერთად წარმოიდგენდა ამ ორივე ადამიანს, ერთნაირად უბედურებს და გულის დამწველებს. მის გონებაში თანდათან შეიკუმშა, შემოკლდა იგი დრო, რომელმაც განვლო დედისა და ქალის სიკვდილის შუა და მისმა ტანჯულმა ფიქრმა ბოლოს ისე წარმოიდგინა, თითქოს ეს ორივე უბედურება ერთსა და იმავე დროს დასტეხოდეს მას, ეს ორივე ძვირფასი პიროვნება ერთსა და იმავე დროს დაეკარგნოს მას. რა ექმნა საწყალს, რომ აწ ველარ გაერჩია, რომელმა უფრო მწარედ დასცა მის გულს მახვილი, რომელმა უფრო უმეტეს დააობლა მისი სული?!

როდესაც მისი სიძე ჩავიდა ქალაქში, სულითაც და ხორცილთაც დატანჯულ-გამწარებული, და გაუზიარა სიძამრს თვისი გულისტკივილი, ზურაბი მიხვდა, რომ ელისბარის გულშიც გაეგლო იმ მახვილს, რომელიც ოდესმე განეწონა მის გულს, რომ იგიც დაეწვა იმავე ცეცხლს, რომელიც ოდესმე მოედო მას მეუღლის დაკარგვის გამო და რომელიც ქალის სიკვდილმა წინანდებურად ააპრიალა უკვე შეფერფლილ

მინელებული. მიხვდა ამას ზურაბი და შეიბრალა ვაჟკაცი: დაიახლოვა იგი, გული გადაუსხნა სამეგობროდ. ერთმა და იმავე უბედურებამ შეაკავშირა იგინი ძლიერად. ამის შემდეგ იყო, რომ ელისბარმა იწყო სიარული სიმამრისას, რათა გული მოეოხებინა დაკარგული სიყვარულის ცოცხლად მოგონებით. იქ, სადაც აღზრდილი იყო მისი სატრფო, იმ კაცთან, რომლის გულში დღესაც არსებობდა ის. ერთნაირად დაიარებულ გულთ ესმოდათ ერთმანეთის ტკივილი და სწყუროდათ ამ ტკივილზე საუბარი თუ ფიქრი; იმისთვის ეძებდნენ იგინი ერთმანეთს. სხვებისთვის მათი სევდა-წუხილი გაუგებარი იყო, გარეშე რამ; სხვებისთვის არც საყურადღებო იყო მათი გულისტკივილი. ამისთვის ისინი თავიანთ დარდს ვერც გაუზიარებდნენ, არც უზიარებდნენ სხვებს.

უბედურების პირველ ხანში ელისბარს ეგონა, რომ მხოლოდ მასა სტკიოდა გული აუტანელად. სხვებისთვის, მის მახლობელთათვის, ლიზიკო მარტო კარგი ქალი იყო, ძვირფასი.

– გარნა ძვირფასი ქალი სხვაც არის ქვეყანაზე და შესაძლოა პოვნა მისი. გაივლის მწუხრი გლოვისა, დადგება დილა სიხარულისა და ელისბარ მოგვგრის სხვა რძალს ახალს; მისი ეშხით ფენიქსებრ განაახლებს თავის ძალას სასიცოცხლოდ! – ფიქრობდნენ ისინი.

იცოდა ელისბარმა, რომ გულითა სწუხდა ლიზიკოს მამა და არც შეეძლო არ ეწუხნა, მაგრამ მხოლოდ ეხლა, დაახლოვებისას გაიგო, როგორ ღრმად ჩაეჭრა მწუხარების საკვეთს იმ კაცის სული და გადაესხნა მასში წინანდელი იარა, ნახა, რომ მის საკუთარ დარდს სხვაც ძლიერად დაეჩაგრნა; შეიგნო, რომ ამ ქვეყნად იყო ადამიანი უბედურობით მასთან სწორი. ამ შეგნებამ თანაგრძნობით მიახედა ელისბარი ზურაბისაკენ.

ამ ორი ტანჯული ადამიანის სულიერი მეგობრობა მით უფრო მჭიდრო შეიქმნა, რომ ორივეს აზრთა მიმართულება ერთგვარი იყო, ისინი ცხოვრების აზრში ეთანხმებოდნენ ერთმანეთს. ზურაბსაც ელისბარისავით ჰქონდა ცხოვრების ასპარეზზე მოზომილ-მოფარგლული თვისი კალო, რომელზედაც შრომობდა იგი მთელი ძალ-ღონით, რომ იფქლი წმიდა აეკრიფა მასზე. ეს მისი სარბიელი ახალთაობის აღზრდა იყო. ამაზე დაემყარებინა მას პირადი სიკეთე თუ სარგებლობა და თანაც ხალხისა თუ მამულის კეთილდღეობა, სწორედ ის, როგორც ელისბარ ამყარებდა თავის კეთილდღეობას თავის მამულის მოვლა-გაუმჯობესებაზე და ამასვე სთვლიდა სასარგებლო საქმედ ერისა და მამულისათვის. ორივენი ერთნაირად გამოელოდნენ თავიანთ შრომიდან ნაყოფს საღს და სასარგებლოს თავისათვისაც, ხალხისთვისაც. თვითეული მათგანი მოქმედობდა ვიწრო ფარგალში და მოელოდდა ნაყოფს მცირეს, გარნა აუცილებელივ საჭიროს, რადგან მხოლოდ ამისთანა უბრალო მუშაკთა შეერთებული შრომით უნდა შემდგარიყო ის ხვავი, რომლისაგანაც უნდა ესაზრდოვნა ერს.

დიდი გარჩევაც კი იყო ეხლა მეგობართა შორის: ელისბარი რომ მთლად დაუძლურებულიყო უბედურებისაგან, მას რომ მთლად მოჰსპობოდა მოქმედების უნარი, ზურაბი უკლებლივვე ასრულებდა თავის მოვალეობას, ხოლო თავის გულისტკივილს გულშივე იხვევდა, როგორც მხოლოდ პირად გრძნობას: მეტი გზა არა ჰქონდა, რადგან ამ შრომით მოიპოვებდა ის პურს არსობისას; ხასიათითაც კი უფრო ძლიერი იყო, ლუკმისათვის შრომის ცეცხლ-წყალში ნაწრთობი ხასიათით.

ამ საყოველღეო მოქმედების ვიწრო ფარგალის გარეშე მათ ერთავეს ჰქონდათ განყენებულ აზრთა თუ აღფრთოვანებულ ოცნებათა სამფლობელო. ფიქრის კაცნი იყვნენ და ამ ფრთიან მსჯელობათა სავანეში სულით ისვენებდნენ დუბჭირ ცხოვრებისაგან ტანჯულნი. ელისბარ დადიოდა თავის სიმამრთან, მთელ საღამოებს ატარებდა მასთან საუბარში და მოგონებებში, რომელნიც დასტრიალებდნენ ერთსა და იმავე მათთვის ძვირფასს და მარად საგონებელ საგანს. ეს გრძნობათა გაზიარება უმსუბუქებდა მათ სევდის სიმძიმეს. მაშინ ზურაბის სამუშაო ოთახი, მწვანე სინათლით გაშუქებული მცირე რამ ყუდე შეიქმნებოდა მყუდრო სავანედ, სადაც მათ შეეძლოთ გადაეშალნათ თავიანთ გულისტკივილი, ხოლო სხვის მრუდე თვალი, მკილავი ენა ან შემძწიკვლელი ხელი ვერ შეეხებოდა მათ სევდის საგანს.

აქ მათი მსჯელობა შეეხებოდა უმთავრესად საიქიოს ცხოვრებას და პიროვნულ უკვდავებას, რადგან მიზეზი მათის კაემნისა იქ იყო, იმქვეყნად, და იქვე იზიდავდა მათ ფიქრს თუ სურვილს. ეს მათთვის ვრცელი ასპარეზი იყო მსჯელობისა, რადგან ისეთ კითხვებს ეხებოდნენ აქ, რომელთა შესახებ შეთანხმება, ერთს აზრზე თუ დასკვნაზე დამყარება, შეუძლებელი იყო: ორნივენი უკვე გასცდნოდნენ რჯულის მდებელთაგან მოწოდებულ მცნებებს, მეცნიერებას კი ჯერ ვერ შეემუშავებინა ამ კითხვათა შესახებ დასკვნა შეურყეველი.

38

– კიდე კარგი, რომ ხასიათი შეგრჩენია და შეგიძლიან საქმის კეთება, მოვალეობის შესრულება, – ეუბნებოდა ელისბარი ზურაბს.

– ჩემს მდგომარეობაში არ შეიძლება უამისოდ! ხვალ სასწავლებელში რომ მივალ, ყველაფერი მზად უნდა იყოს გაკვეთილის შესახებ, საწერი იქნება ის თუ საკითხი ან ასახსნელი. მოსწავლეებს არავითარი საქმე არა აქვთ ჩემს სულისკვეთებასთან, ისინი ყოველთვის თავისას მოითხოვენ და უფლება არა მაქვს არ დავაკმაყოფილო; ეს ჩემი მხრივ უზნეობა იქმნებოდა და უსამართლობა: ვისაც არ შეუძლიან მუშაობა, არც გასამრჯელო ეკუთვნის.

– მე კი აღარ შემიძლიან აღარავითარი შრომა; არც აზრსღა ვხედავ შრომაში, არც მიზანს, აღარც ძალა შემწევს და ხასიათი. მართლა და, თუ ყოველივე ესე უნდა მოისპოს, როგორც დაიღუპა და განქრა საგანი ჩემის სიყვარულისა, თუ ოდესმე ქვეყანაც უნდა დაინთქას და დაიშალოს მთელი სამყარო, რაღა აზრი აქვს ჩვენისთანა მდილთა ბრძოლას თუ მისწრაფებას? – სთქვა ელისბარმა და მიწვა სავარძელზე.

მისი სიმამრი კი მუშაობდა თავგადასხვით: რვეულებს ასწორებდა, მერე რაღაცა ჩაინიშნა უბის წიგნში, შემდეგ ამოწერა და ამონიშნა მასალა წიგნიდან, ბოლოს ყველაფერი წყობისად ჩაალაგა თალათინის ჩანთაში და გადადო გვერდზე.

– უჰ, მოვრჩი! ხვალ პირნათლად შემიძლიან მივიდე ჩემ შაგირდებთან. ისეთი გაკვეთილი ჩამოვუყალიბო, ეგონოთ, ამ კვს მხოლოდ ჩვენზე უფიქრია, ჩვენის მეტი დარდი არა ჰქონიაო, – სთქვა ზურაბმა და მიუბრუნდა სიძეს:

– მე და ჩემისთანა ხალხს არავითარი სხვა გზა არა გვაქვს! ჩვენ ჩვენი არსება ორად უნდა გავაპოთ. მთელი პიროვნული ზრუნვა თუ დარდი უნდა შევანივთოთ იმ ნახევარში, რომელიც გვეკუთვნის მხოლოდ ჩვენ. ის უმეტესი ნაწილი კი ჩვენის პიროვნობისა, რომელიც დაუქირავებია ან უყიდნია სხვას, უნდა თავისუფალყოთ შრომისათვის და ხელი არ შევეშალოთ, რადგან, აკი გითხარ, სხვას არავითარი საქმე არა აქვს ჩვენ პირად განწყობილებასთან. ჩვენ ნასყიდი მონები ვართ და ან უნდა აღნადგინებით მივუზღაოთ ჩვენზე დანახარჯი ვერცხლი, ან მივიქცეთ იქ, სადა იგი

არს წყვილია სიყმილისა და ღრჭენა კბილთა. შენ კი, ბედნიერო, თავისუფალი ხარ, სული არავისთვის არ მიგიყიდნია და შეგიძლიან უკლებლივ მიეცე შენს ფიქრს თუ გრძნობას, შენს სიხარულს თუ სიმძიმის და იგემო მთელი მათი სიტკბოება თუ სიმწარე.

– იქნება მართალი ხარ! მაგრამ მე ისე მოულოდნელად დამჩაგრა უსამართლო ძალამ ხელშეუბრუნებელმა, რომ მომესპო ყოველივე ხალისი და ძალა შრომისა. თუნდ შენს გარემოებაში ვიყო, ვერ შევძლებდი საქმეზე მიმეგდო თავი. არ ყუჩდება ტკივილი, დრო ვერა ჰფერფლავს ჩემს წამებას, ვერ აამებს და შენ კი გსურს წინანდებურად ვიცხოვრო, უწინდელ კვალზე ვიარო. ჩემს სულს ვერ შეუწყვეტია კავშირი დაკარგულთან, გული დაუცხრომელად ეძიებს მას, ის კი განქრა, განქარდა; იყო და აღარ არის, არსებობდა და აღარ არსებობს; იქცა არარად, მოისპო!

– რად ამბობ მაგას? რითი ხარ დარწმუნებული, რომ მთლად მოისპო იგი ჩვენთვის ძვირფასი არსება და სამუდამოდ? განა შესაძლოა ქმნილების უკვალოდ მოსპობა, არარად ქცევა? არსებას მხოლოდ გარდაცვლა შეუძლიან ბუნების დაუდგრომელ მიმდინარეობაში და დაუსრულებელ ტრიალში შეუძლიან მხოლოდ სხვა სახე მიიღოს თუნდ ჩვენ მძიმე გრძნობათაგან მიუწდომელი სახე. რაც არსებობს, მისი არარად ქცევა აღარ ძალუმს არც განუსაზღვრელ ძალას ყოვლად ძლიერის ბუნებისა!

– ვიცი ქმნილების განქარვება და არარად ქმნა შეუძლებელია, ჩვენი სხეულის შემადგენელი ნივთიერებანი არ მოისპობიან, არამედ განაწილდებიან: მათ განიტაცებენ მათგვარნივე სტიქიონნი, რომ შემდეგში იმ ნაწილებით შეაზავონ ათასი სხვა ახალი ქმნილება; მაგრამ მე ვამბობ იმ კერძო შეგნებულ პიროვნობაზე, რომელი აღმოჩნდების განუსაზღვრელ არსის წიაღიდან და სცხოვრობს განკერძოებული აზრებით, გრძნობებით და მისწრაფებით აღსავსე, თვითცნობიერებით შემკული. იგი ცნობიერი არსება ისევ უნდა მიიქცეს განუსაზღვრელ, ცნობიერებას მოკლებულ ნივთიერებისადმი და განქრეს მისი კერძო პიროვნობა, მოისპოს მისი საკუთარი თვითცნობიერება საუკუნოდ, განუმეორებლად.

– ვერ გეთანხმები, ჩემო კარგო, ჯერ იმაში, რომ თვითარსი ნივთიერება, რომლისაგან შესდგება მთელი მსოფლიო, თვისი ბუნებით მთლად შეუგნებელი იყოს, ყოველ ცნობიერებას მოკლებული. თუ ეგრეა, მაშ საიდან მიეძღვნის მისგან შემდგარს და მის წიაღიდან წარმოშობილს ცალკე ქმნილებას იგი თვითცნობიერება? თუ გრძნობა, გონება და სურვილები არ არიან თვით ნივთიერების აუცილებელი თვისებები, მაშ საიდან ისახებიან იგინი ამავე ნივთიერებისაგან შექმნილ არსებებში, ვინ მოჰმადლის ამ დიდებულ ნიჭთ ყოველსავე სულდგმულს? რახან აღარა გწამს, რომ ეს ნიჭნი მონაბერნი არიან ნივთიერების გარეშე მყოფ უნივთო არსებისაგან, მაშინ აუცილებლად უნდა დაასკვნა, რომ პიროვნობა თავისი თვითშეგნებით თუ თვითცნობით და ყოველივე სხვა ნიჭით წარმოშობილია თითონ ნივთიერებისაგან, რომელიც თავის განვითარების მწვერვალებში მიაღწევს ამ უაღრეს თვისებებამდის.

– მობრძანდით, ბატონო, ჩაი მიირთვით! რათახანია მოგართვით ადუღებული ჩაიდან, – გააწყვეტინა სიტყვა მოახლემ, რომელსაც ილაჯი გასწყვეტოდა მეტის ლოდინით.

– მელანო, ბარემ მცირე რამ ვახშამიც მოგვიმზადე, – უთხრა ზურაბმა მოახლეს და წამოდგა.

ისევ განაგრძეს საუბარი ამ გამოურკვეველ, მაგრამ მათთვის საგულისხმო და სასურველ საგნებზე.

– თუნდაც ნივთიერების თანაარსი თვისება იყოს შეგნებული გრძნობიერება, თუნდაც ყველა მისგან და მის წიაღში მოსულ ქმნილებას ამა თუ იმ ზომით თანასდევდეს იგი გრძნობიერება და შეგნება, ხოლო უკეთესად განვითარებულ ქმნილებებში ეს თვისება ზეაღსრულ იყოს თვითცნობიერებამდის, ეს მაინც ვერ შეამცირებს ადამიანის განუსაზღვრელ სევდას სიკვდილის წინაშე: იგი რომ მოკვდება, სამუდამოდ ჩაქრება მისი ცნობიერება, მოკვდება იგი და აღარ იქნება მისი პიროვნობა, აღარც განმეორდება თვისი საკუთარის თვითშეგნებით. ვერ ანუგეშებს ადამიანს ის, რომ მისი შემადგენელი ნაწილები, თუნდ შემძლებელნი კვლავ განვითარდნენ ცნობიერებამდინ, განიფანტებიან სხვადასხვა ახალ არსებაში, რადგან ეს ახალი ქმნილებები თვისი სიცოცხლით, ცნობიერებით ან თვითცნობით მაინც სხვები იქნებიან, სხვა პიროვნებები. ხეც აყვავდება ყოველ გაზაფხულს და შემოისება ფოთლით, გარნა იგი ყვავილი თუ ფოთოლი შარშანდელი არ არის, სულ სხვა არის; შარშანდელი უკვე განიხრწნა და განქრა განუმეორებლად, თუმცა ახალში შეიძლება მოჰყვა ზაგიერთი მისი შემადგენელი ნაწილი, – სთქვა ელისბარ.

– ვერ შემიძლიან დაგეთანხმო, რომ ჟამთა უსამზღვრო მსვლელობაში არ განიმეორებოდეს პიროვნობა მთელი თვისი არსებით სულიერით და ხორციელით, მთელი თვისი ცნობიერებით და თვითცნობიერებით. უსათუოდ განმეორდება იგი პიროვნობა და უფრო განწმედილ-განვითარებული და ეთეროვანი.

– როგორ?!

– აი როგორ: ეს აღურიცხველი სხვადასხვა სახე ქმნილებათა, რომელნი წარმოიშობიან ნივთიერებიდან და მიექცევიან წიაღსავე ნივთიერებისა, ეს უთვალავი სხვადასხვა სახე ერთისა და იმავე გვარის წარმომადგენელთა შეუძლებელია არ განმეორდეს ჟამთა დაუსრულებელ მსვლელობაში; თვით ნივთიერება განსაზღვრილი უნდა იყოს და გარემომოწერილი. მაშ განსაზღვრულნი უნდა იყვნენ და დასასრულის მექონნი ის უთვალავი სახენიც ქმნილებათა, რომელთ წარმოშობავს თვითარსი ნივთიერება თვისი შეუკავებელი მისწრაფების ძალით; აუარებელ წელთა სიმრავლეში უნდა განიმეოროს შემოქმედმა ნივთიერებამ ქმნილებათა წინანდელი სახეები და ეს ყოველთვის, როდესაც ოდესმე ყოფილ არსების შემადგენელი ნაწილები ისევ წინანდებურად შეიყრებიან ერთად და შენივთდებიან იმავე სახით, როგორც იყვნენ შეკავშირებულნი უწინ. მაშინ განმეორდება თვითეული ჩვენთაგანი, მაშინ აღეზნება თვითეულ ჩვენთაგანში უწინდელი ძალა სიცოცხლისა, უწინდელი ცნობიერება და თვითცნობა; იგი ახალი ცხოვრება იქნება უკეთესი განგრძობა ეხლანდელი ჩვენის ცხოვრებისა, რადგან აწინდელი ჩვენი განვითარება თან დაჰყვება მეორედ წარმოშობილს ჩვენს პიროვნობას, როგორც რამ განძი დაკრძალული.

– თუნდ ეგრეც იყოს, როდის უნდა ეღირსოს დაშლილი ქმნილება თვის განმეორებას, გახრწნილნი და მიმობნეულნი ნაწილნი ქმნილებისა როდის უნდა მოესწრნენ კვლავ ერთად შეყრას, წინანდებურად შენივთებას და განხორციელებას? წელთა დაუსრულებელ სიმრავლის შემდეგ?

– ეგ არაფერი! ჩემი ნათქვამი მართალი იყოს, თორემ მოცდა ადვილი იქნება, არც კი დასჭირდება ადამიანს მოცდა.

– როგორ?

– წლებს მხოლოდ თვითცნობაში მოსული არსება სთვლის: ჩამქრალ ცნობიერებისათვის ხანი არ არსებობს, წელთა უთვალავი სიმრავლე მისთვის ერთი

წამიც არ არის; ჩამქრალი ცნობიერებისათვის დრო ვერ იარსებებს, სანამ მეორედ არ აღეგზნება ქმნილებაში იგი ცნობიერება.

– მაინც ჩემი ბუნება ვერ შესთვისებია ადამიანის თვითცნობიერების თუნდ დროებით ჩაქრობას. მე ისე მგონია, რომ სიკვდილი მხოლოდ გაყრაა და განცალკევება მძიმე ნივთიერებისა და იმ საიდუმლო ძალისა, რომელიც განხორციელდება იმ ნივთიერებაში და ჰქმნის პიროვნობას. მე მგონია, რომ ჩვენგან მიცვალებულნი არსებობენ უხილავად, როგორც თვითცნობიერი პიროვნებები. ესე დამარწმუნა ლიზიკოს გარდაცვალებამაც.

– როგორ დაგარწმუნა ან რითი?

– გეტყვი: ლიზიკომ აღმითქვა, რომ ყოველ ღონისძიებას იხმარებდა და საცნაურ ჰყოფდა ჩემთვის თავის არსებობას სიკვდილის შემდეგაც. ველოდდი აღთქმის აღსრულებას, მაგრამ ამოდ: პირველ ხანში მხოლოდ ჩემს მეხსიერებაში არსებობდა ის. ამ ბოლო დროს კი რამდენჯერმე მომესმა მისი ხმა, რამდენჯერმე დამიძახა, – სთქვა ელისბარ და გაფითრდა.

– იცი, ელისბარ, მეც გამოვცადე ეგეთი მდგომარეობა! განსვენებული ჩემი მეუღლის ხმა შემომესმოდა ხანდისხან და ისე მკაფიოდ, თითქო ცოცხალია და მეძებსო. კიდევ მეჩვენა: ჩრდილივით გამოვიდა დარბაზიდან ჩემ ოთახში, ერთ ხანს მიყურებდა სევდამორეულ თვალებით და მერე განიფანტა ნელ-ნელა, როგორც რამ ნისლი. სულ ბოლოს მაშინ მომეველინა, როცა ლიზიკო ავად გამხდარიყო. აქ ვიჯექი, ვსწერდი; უეცრად შრიალი რამ მომესმა ნელი და, რომ მივიხედე, თავს მედგა. ახ, რა ძლიერი სევდა ჩაჰსახოდა მიმქრალ თვალებში!

– იცი, ზურაბ, ყოველდამ მოუთმენლად მოველი ლიზიკოს ხმის სმენას, თუმცა თან შიშის ზარი მიტანს. ვიცი აშლილი ნერვების ბრალია ამისთანა საიდუმლო ხმათა სმენა, მაგრამ მაინც ვძრწი და თან მოუთმენლად ველი ვისმინო მისი ტკბილი ხმა, ვიგრძნო მისი სიახლოვე! – სთქვა ელისბარმა.

და ნაცრისფერი დაედვა, თვალები აღეგზნო, მოუსვენრობა დაეტყო; ხველაც უფრო ყრუდ გაისმა, ღრმად. ზურაბი შეჰყურებდა სიძეს თანაგრძნობით და იდუმალი შიშით, რომ თავი არ ეჩინა ვაჟკაცის აგებულებაში ულმობელ სენს, არ ეძლია ღელვათაგან მისუსტებული და არ დაენთქა.

ელისბარმა მთელი ზამთარი გაატარა ქალაქში, მაგრამ იქაური რამ სიამოვნება კი ვერ იგემა. ფული ჰქონდა ვაჟკაცს უშურველი, გული კი აღარ მოსდევდა. სიმდიდრე ვეღარ ახარებდა გულმკვდარს, უხმარ იყო იგი მისთვის. არც ტოლ-სწორში გავიდა ამ ხნის განმავლობაში, არც წიგნს გაერთო, არც კალამს მოჰკიდა ხელი. ქალაქში სცხოვრობდა, სადაც ხალხი ბუზივით ირეოდა, ხოლო მისთვის ეს ხალხით სავსე ადგილი უდაბნოვე იყო უშენი და უკაცო. უმეტეს ნაწილად თავის ოთახში იჯდა. თუ გავიდოდა, დადიოდა თავჩაღუნული და ამხანაგად, აზრთა თანამოზიარედ, გაეხადნა თავისი უნელებელი სევდა, რომელიც მხოლოდ ერთს ესაუბრებოდა მას, ერთს ევლებოდა თავს და ეს ერთი იყო მისი ლიზიკო. ან შევიდოდა თავის სიამამრთან, რომ დაესისხლიანებინა, გაეღრმავებინა იგივე წყლული გულისა. ეს აჟინებული, მარად თვალწინ მდგომი ფიქრი აწამებდა ვაჟკაცს და უფრთხობდა განსვენებას თვით მიცვალებულსაც. იწვევდა მას ამ ქვეყნად აჩრდილთა სამფლობელოდან.

ეხლა ხშირად ევლინებოდა ელისბარს ლიზიკო, ხან ხმას აწვდენდა, ხან სიოსებურ შეხებით აგრძნობინებდა თავის სიახლოვეს, ხან ნისლივით გაივლიდა მის თვალწინ. რამდენჯერმე როიალსაც შეეხო იგი და სევდიანად აახმაურა წყვილიად ღამეში. ვაჟკაცს თან შიშის ზარი იტანდა მის მოვლენაზე, თან ჰსურდა იგი მალ-მალ გამოსცხადებოდა მას, რომ ცხადად, ნივთიერად ეგრძნო მისი სიახლოვე.

ერთადერთი ადამიანი, რომელთანაც მას ჰქონდა ერთობა ამ ხნის გნმავლობაში, იყო მისი სიმამრი ზურაბი. ეს ერთობა დიდ იმედს აძლევდა ელისბარის მშობლებს: ნელ-ნელა გაერთობა მასთან და დასძლევს თავის სევდასაო, – ფიქრობდნენ ისინი. რა იცოდნენ, რომ ეს მეგობრობა უფრო უიარავებდა მას სულს დაწყლულელებულს, რომ მათ იქ იმავ საგანზე ჰქონდათ გატაცებული საუბარი, რადგან ზურაბსაც იგივე სწყლული სტკიოდა, მისი გონებაც ამავე საგანს ევლებოდა თავს. ელისბარის მახლობელთ არ იცოდნენ ეს და მადლობელნი იყვნენ მოყვრისა, რომ ქალის დაკარგვის შემდეგაც არ უარყო თავისი სიძე, გული დაუხვია მას და მეგობრულად გაუწოდა ხელი.

ელისბარი კი უარ და უარ მიდიოდა. სულით რომ მოეშვა იგი და მოდუნდა, ხორციტაც მოუძღურდა: ჩამოდნა, ხველა აღარ მოეშო, შიგადაშიგ აციებდა, ხშირად ოფლს ასხავდა, ხელები ელიპებოდა. მთლად დაკარგა ხალისი. შვილიც ვეღარ იქცევდა თავისზე მის ყურადღებას. დაუმახებდა ბიჭს, ხელში აიყვანდა, მოუალერესებდა, მაგრამ ყველა ამას თითქო მოვალეობის შესასრულებლად სჩადიოდა, უგულოდ. შეიძლება ისიც მოქმედებდა მასზე, რომ დარწმუნებული იყო, ბალღს უმისოდაც არაფერი გაუჭირდება: პაპა და დიდედა არ აგრძნობინებდნენ მას უღელობას და მამის მისადმი სიგრილეს.

გავიდა ზამთარი და დადგა წვიმიან-ნესტიანი ცვალებადი გაზაფხული. ელისბარს დააჩნდა ნიშნები საშიშის ავადმყოფობისა. ხუმრობა აღარ იყო, საჭირო გახდა მიემართათ საიმედო რამ საშუალებისთვის. ექიმებმა ახედ-დახედეს და ჰაერის გამოცვლა ურჩიეს. უთხრეს ჭირისუფლებს, თითქო სიჭლექის ნიშნები დაეტყოვო. უიმედოდ კი არ დასტოვეს ისინი.

– ჩვენი ხელოვნება თითქმის უქმია ამ სენის წინააღმდეგ, მეცნიერებას ჯერ უებარი წამალი არ აღმოუჩენია მის განსაკურნად, მაგრამ იმედის დაკარგვა მაინც ჯერ ნაადრევია: არის შემთხვევები, როცა დაავადებული სხეული თითონ იმარჯვებს მაგ სენზე და ადამიანი იხდის ხოლმე ამ ავადმყოფობასაც, თუ შესაფერი გარემოებები ხელს უწყობენ მას. ამ შემთხვევაში სწორედ მოსალოდნელია ეს კარგი შედეგი, რადგან გვარში არა გქონიათ ეგ სენი, თითონ ავადმყოფი მაგარი აგებულობისაა და შემლებაცა გაქვთ, ნირი არ შეუშალოთ მას.

– დაღონებულებმა გაისტუმრეს ელისბარ სოფელში, რადგან სწორედ მათი დაბის ადგილი ურჩიეს ავადმყოფისათვის.

– სოფელში იმ დროს მივიდა ელისბარ, როდესაც სითბოს უკვე დაეძლია სისასტიკე ზამთრისა და მთლად განედევნა ის, როდესაც თვის სატრფიალო მზისაგან ნუგემცემულ და გამთბარ ბუნაბას საალერსოდ გადაეშალნა თვისი ათასფერად შემკული გულ-მკერდი და თვალწარმტაცად დაშშვენებულიყო კეკლუცი; როდესაც აჩქეფებულიყო მის ძარღვებში ნაკადი ძალთა მრავალთა და წარმოშობის სურვილით სავსეს მიეპყრო ვნებათა ღელვით მიზნედილი თვალები ცვართა მაკპურებელ ზეცისთვის. ქალაქის დახშულ ჰაერის და შეზღუდვილ-შევიწროებულ ქუჩების შემდეგ, სამოთხედ მოეჩვენა ელისბარს საპატარძლოდ განმზადებული ბუნება და გაეხარდა ბავშვივით. სიცოცხლის ნაკადმა, რომელიც უხვადა სჩქეფდა ბუნებაში და აღვიძებდა იქ აღორძინებისადმი მისწრაფებას, მოჰკრა თავისი ტალღა ვაჟკაცს და

გაიტაცა. კვლავ იგრძნო ელისბარმა სიცოცხლის დუდილი და მოესურვა, თითონაც გაეზიარებინა ბუნების მისწრაფება ახალ ცხოვრებისადმი, ჩაბმულიყო ბუნების შვილთა მხიარულ ფერხულში, ბანი მიეცა მათ ტკბილ და მხიარულ მაყრულისათვის. მთელი თვისი დაავადებული არსებით იგრძნო სიდიადე იმ ზეგარდამო ნიჭისა, რომელიც არის სიცოცხლე, რომელსაც აღარ უფრთხილდებოდა უბედურებისაგან მიწად დახრილი ვაჟკაცი და რომელიც ეხლა თითონ არიდებდა პირს უმადურს.

კვლავ წაესწრაფა უღონოდ ქმნილი ელისბარ სიცოცხლისაკენ და რად უნდა სწყენოდა განსვენებულ ლიზიკოს ესეთი მისწრაფება მისი?! სიცოცხლე ხომ თვით სიმშვენიერეა და სიხარული, მხოლოდ ხომ სიცოცხლეა ის ზეცით მონაბერი ნიჭი, რომელიც აახლოვებს სულდგმულს შემოქმედთან, რადგან შემოქმედი არის თვით სიცოცხლე უბერებელი, ცხოვრება გარდუვალი, უკვდავება შემოუწერელი; მხოლოდ ცოცხალს ძალუძს ჰბაძავდეს შემოქმედს ცხოველმყოფელს და მიემსგავსოს მას. ლიზიკოს სამარეც ამასვე უკარნახებს მას და ყოველთვის აგრძნობინებს, რომ სიკვდილი არის უმსგავსო დარღვევა და განქარვება ყოფნისა, წყვედიადი რამ არარაობა, საზარელი უარყოფა არსებობისა. თვით ლიზიკოს სულისათვისაც ხომ ძვირფასია ეს ქვეყანა და ამქვეყნიური სიყვარული, თუ არა, რადღა იბრუნებდა იგი პირს სააქაოსკენ, რადღა მოევლინებოდა იგი ელისბარს.

– ბედნიერება სანეტარო მხოლოდ ამქვეყნად არის! და იგი ბედნიერება არის სიცოცხლე თვითცნობიერი, რომელი მისწვდება სიცოცხლეს მთელის სამყაროსი, რომელი ჰგრძნობს ამ სიცოცხლის ნაკადს თვის არსებაში და ჰნეტარობს ამ ღვთაებრივის გნცდით.

ენანებოდა აწ ვაჟკაცს თვისი განწირული თავიც, თვისი მიტოვებული საქმეც, ეს ძვირფასი ბუნებაც, რომელიც გარს ერტყა მას, მთელი სხივოსანი სამყაროც, რომელიც უნდა ჩამქრალიყო მისთვის, რაკი ჩაქრებოდა ლამპარი მისის ცნობიერებისა. ექიმს ძლიერ უხაროდა ესეთი ცვალება სნეულისა.

– ვაჟკაცში კვლვ გაიღვიძა სიცოცხლის წყურვილმა, მან უკვე მოიხედა ცხოვრებისაკენ, ეხლა მთელი თვისი ძალით შეებრძოლება ავადმყოფობას და ეს გაადვილებს სენის დაძლევას, – ამბობდა ის.

კეკლუც გაზაფხულს ადგილი დაეთმო მთლად გადაფურჩქვნილ და გულსავსე ზაფხულისათვის. დედამიწა სავსებით დამტკბარიყო ცხოველმყოფელი მნათობის ალერსით, ამ ტრფობას უხვად აემსო წიაღი მისი ნაყოფიერებით: დატვირთული იყო მოსავლით ხე, მდელო, ნიადაგი. მზეს გასტკბობოდა იგი ალერსი, ბრწყინვალედ დაჰნათოდა დედამიწას, უშურვებლად აფრქვევდა სხივებს სავსებისაგან თვისისა, სცდილობდა დაჰხმარებოდა დედამიწას, რომ უკლებლივ დაესრულებინა და მოემწიფებინა ნაყოფი მათის ტრფობისა გასახაროდ ახალის სიცოცხლისა, ასაღორძინებლად ახალის ცხოვრებისა.

სულდგმულს კი შეჰშინებოდა მნათობის ვნებათა ღელვისა და, მის სიმწვავისაგან ლტოლვილი, შეჰფარებოდა ჩრდილს. აგარაკად გამოსული ხალხი მოსდებოდა ფიჭვნარს და ნეტარებდა ამაყ მცენარეთა სურნელოვან ფშვენით გაჟღენთილ ჰაერში. მოსულიყო ფიჭვნარში ელისბარიც და დაევიანა იმ ადგილს, სადაც ოდესმე ცა გაეხსნა მას და იხილა ბედნიერება პირისპირ. ლაღად აწვდილი ფიჭვები გადასჭდობოდნენ ერთმანეთს მწვანედ გადაშლილ წვეროებით და ხარბად სვავდნენ მზის სხივებს,

ითვისებდნენ მათ, ხოლო შემოქმედისადმი მაღლობის ნიშნად აღაკმევდნენ მისადმი სურნელებას, ვითარცა საკმეველს.

მაგრამ ველარ ატკობდა ელისბარს ჩრდილი და სიგრილე ფიჭვნარისა, ფერად-ფერადი ყვავილებით შემკული ხასხასი მწვანე, კეთილშეზავებული ჰაერი სურნელოვანი; ველარ უაღერსებდა მის სმენას ქოჩორგადავარცხნილი ფიჭვთა მწყობრი შრიალი, მის გვერდზე ჩამონადენ ნაკადის ღულუნ-რაკრაკი; მაღლიანი ბუნების სიმშვენიერე ველარ ახარებდა მის გულს. ველარა გრძნობდა იგი თავის თავს შემადგენელ ნაწილად ამ მშვენიერებისა, ველარ ჩაბმულიყო ბუნების გალალბულ შვილთა ფერხულში, ველარ იძროდა მათის მოძრაობით, ვერ უერთებდა თავის ხმას მათ სამხიარულო გუგუნს. ველარც თავყანსა სცემდა მათთან ერთად მშობელ დედამიწას, გაკაშკაშებულ ცას, ძლევამოსილ მზეს მცხოველმყოფელს, რომელი ამყად მისცურავდა ლაჟვარდ სივრცეში. დაჰშობოდა ელისბარს ყოველივე გრძნობა ფერადი, მოსცუდებოდა ყოველივე აზრი ნათელი, ჩასჰკნობოდა ყოველივე სურვილი თუ მისწრაფება და მის არსებაში გამეფებულიყო შიში უსახო და საზარელი იმ წყვიდადისადმი, რომელს უმზერდა იგი გონების თვალთ: აჩრდილი სიკვიდილისა მიახლებოდა მას, შეეხო მისთვის ფრთა შავი და იზიდავდა თვისკენ ძლიერი.

ელისბარს კი არ ეთმობოდა თავი სამარისათვის! იგი შესთხოვდა ბუმბერაზ ფიჭვს მიენიჭებინა მისთვის ძალა სიცოცხლისა, რომელი უხვადა სჩქეფდა იმაში. მაგრამ ცამდინ აწეული ფიჭვი ველარა ჰხედავდა მის ძირში უძლოურად მისვენებულ ვაჟკაცს: სიოსაგან რხეული აჰყოლოდა იგი ეთერთა ღელვას და მხიარულად სცურავდა გამჭვირვალ ჰაერში; მისი ნელი მიმოსვლა და წყნარი შრიალი უერთდებოდა მთელის ბუნების მწყობრ მოძრაობას და სამადლობელ გალობას დამატკობელს.

[1913 წ.]

მიმქრალი შარავანდედი

(ისტორიული რომანი)

1

მდინარე ხინოსა და შავ ზღვის შუა ფართე ბორცვია ამართული. ბორცვს ერთის მხრივ შემორტყმული აქვს გრეხილი ხევი მდინარისა, ხოლო მეორე მხრივ ამ მაღლობის კალთები ჩაფენილია ზღვაში. ბორცვის ოდნავ დაქანებულ კვარცხლბეკზე წყალს უხვად შემოუყრია ათასნაირი ღვრინჭილა თუ ნიჟარა, ფერად-ფერადი ქვიშა თუ კენჭი და თვის ტალღების მწყობრ მოძრაობით აშრიალებს ამ ქვიშრობს, ნაზად ათამაშებს მას: წყნარ გუნებაზეა დღეს მძლავრი ზღვა, იგი შესტრფის ამწვანებულ გორაკს. ეაღერსება ლამაზს, კალთებს უკოცნის მშვენიერს.

ბორცვის გავაკებულ თხემზე გადმომდგარიყო ალამბარი, თვალთწარმტაცი სასახლე ბატონ გურიელისა. სივრცით იგი ვერ შეედრებოდა გურიელისავე დიდშენ ციხე-დარბაზს ოზურგეთში, გარნა მისი სიკეკლუცე და კეთილ-ნაგებობა უფრო ძლიერ იზიდავდა თვალს, ჰხიბლავდა ადამიანს. სასახლე წინ თავდებოდა

ქონგურებიანი კომპებით, რომელნიც სდარაჯობდნენ მას აქეთ-იქით, ხოლო კომპებ შუა გამართული იყო ფართე აივანი, ჩუქურთმით ნაკეთი, საუცხოვოდ შეღებილი. სასახლიდან ზღვისკენ ჩასდევდა გზა, რომელსაც აქეთ-იქით მოსჯროდნენ ღერო-სხვილი გაბარჯღული რამ ხეები: ამ მხარეს ძლიერი ქარიშხალი სცემდა ზღვიდან და უფრო ნაზი ხე ვერა ხეირობდა აქ; მეორე მხრიდან გორაკს ჩაჰფენოდა ხეხილის ბაღნარი, რომელსაც გარს ერტყა მწყობრად დარაზმული ალვის ხე.

ალამბარის აივანი დაჰყურებდა მდინარე ხინოს შესართავს. აქედან ცხადად სჩანდა, როგორ ჰსდუღდა და ქოჩქოჩებდა ზედ ზღვის წინ მდინარის ანკარა წყალი, შხეფს ისროდა აღქაფებული, ცდილობდა უბრძოლველად არ დაჰნებებოდა შეუმართებელს, უნდოდა კიდევ რამდენსამე წუთს განეგრძო თვისი საკუთარი სვლა და არსებობა. ზღვა კი დინჯად იდგა მის წინ, გულცივად ელოდა მას ჩასანთქმელად: თვალი და გული შეჩვეული ჰქონდა უზარმაზარს მდინარეთა ამისთანა უღონო ბრძოლისათვის; ბევრი, ძლიერ ბევრი მდინარის არსებობა ისპობოდა საუკუნოდ მის უძირო და თვალუწვდენელ სივრცეში.

სასახლეზე სამთავროს ალამი ფრიალებდა, რადგან ბატონი გურიელი ამჟამად იქა ბრძანდებოდა; უიმისოდ დროშა ჩამოშვებული იყო.

2

შუადღე მოტანებული იყო, საკმაოდ ცხელოდა, თუმცა ზღვიდან მაგრილებელი სიო იძროდა. წინგარდზე შეფენილი ვარდის ფოთოლ-ყვავილი ოდნავ ირხეოდა; მცენარეთაგან მონაბერ სუნნელებას აევსო ფართე აივანი, სასახლის დარბაზები, მთლად იქაურობა.

ბატონი მამია გურიელი აივანზე ბრძანდებოდა. სავარძელში იჯდა მოაჯირს ცალის მკლავით დაყრდნობილი და ყალიონს შეექცევოდა. დილებჩახსნილ ახალუხიდან ყვითელი ფარჩის პერანგი მოსჩანდა ოქროს დილით შებმული. მოქარგული მსუბუქი ფაფანაკი ზურგზე გადაეგდო, ხოლო ყულფად შეკრული ზონარი ყელზედა ჰქონდა მოდებული. თავისუფლად გაშვებული ხუჭუჭა თმა მცირედ აშლოდა. წვერი წმინდად ჰქონდა მოპარსული, ხოლო უღვაშების ბოლოები ზევით შეხრილი და ოდნავ ჩახუჭუჭებული, თმა-უღვაშს ხშირი ჭაღარა შეჰფრქვევოდა.

ფიქრს რასმე ღრმას მისცემოდა ბატონი. ამას კარგადა ჰგრძნობდა მისი ერთგული მხლებელი კოწია, წითლით მოსილი, კოხტად შეიარაღებული ახალგაზრდა. ეს იყო მიზეზი, რომ იგი უძრავად იდგა კუთხეში, თორემ სიცოცხლით სავსე მარად მოძრავ ბიჭს რა გააქვავებდა უსულო რამ ქანდაკებასავით.

- ლევან თანახმაა დამიმოყვრდეს. მოსწონს მას ჩემი ჰაზრი. წინდაწინვე დარწმუნებული ვიყავ ამაში. ქართლის მეფეს დავითს რომ ვებრძოდი, მაშინაც გავუკარ ლევან მეფეს სიტყვა და მოეწონა, მიმიხვდა. მაინც, ეტყობა, მარჯვედ გადაუცია ჩემი სიტყვა იასესაც: ენაწყლიანი კაცია, სწორედ სადესპანო. თუ ლევანს მაინც კიდევ ცხადად არა აქვს წარმოდგენილი ყველა ის, რაც მე ვუთხარ მაშინ და შევუთვალე ეხლა, მე თითონ დავუსახამ ყველაფერს გარკვევით, როცა ჩემი სიძე შეიქმნება იგი, რადგან თუ ამ განზრახვას არ გაჰყვება და არ აღასრულებს, მისი

მეფობა მხოლოდ სახელია უმნიშვნელო: იგი აწ მხოლოდ მთავარია, კახეთის მებატონე უბრალო, და ან ყოველთვის მორჩილი უნდა იყოს საქართველოს მეფისა, ან აჯანყების გზას ედგეს და მოღალატედ ითვლებოდეს საქართველოს წინაშე.

- მეც იმავე გარემოებაში ვარ ეხლა, რა არის გურიელი? მხოლოდ უფროსი თავადი გურიაში და სხვა არაფერი! მეფე ყოველთვის თავის ხელქვეითად უნდა სთვლიდეს მას და სცდილობდეს მორჩილებაში იყოლიოს. განა ბაგრატი დამზოგავდა მე, ან დამიმეგობრებოდა, რომ ათაბაგს არ შეევიწროებინა იგი? ან შემდეგ განა შეითვისებს და შეურიგდება ჩემს გაძლიერებას? თავის დღეში! დროს ჩაიგდებს ხელში და ეცდება ისევ ჩამომართოს შეძენილი ქვეყნებიც და დიდებაც. არა, ან უნდა დავიჭიროო ხელმწიფობა, ან ვითვლებოდე ხელქვეითად მეფისა, მის მორჩილად, მის მონად, თუნდაც საპატიო მონად.

- მამია გურიელი და სხვის მონა-მორჩილი?! შეუძლებელია! სწორედ საჭიროა ჩემთვის ერთგული მომხრეები. კახეთის მეფე ლევანი ნამდვილ სასარგებლო და სანდო მომხრედ მეყოლება. მეც ერთობ საჭირო ვიქნები მისთვის. მაგრამ ჩემმა ქალმა გულგრილად მიიღო ჩემი განზრახვა და ეს მაფიქრებს. გულგრილად კი არა, მთლად უარზედაც შედგა. საკვირველი კია! ალბად მოსაჩვენებლად სჩადის ამას, წესის დასაყენებლად, თორემ რა ჰმართებს სიხარულის მეტი: დედოფალი შეიქმნება კახეთისა, მეუღლე ნაქებისა და ჭკვიანის ვაჟკაცისა. მაინც კარგი ჭაბუკია ლევანი, ძალიან მომეწონა იგი მაშინ.

ამ ფიქრებში იყო გართული ბატონი, როდესაც გაიღო კარი და მოახლეებმა გამოიტანეს აივანზე სკამი და ქარგა. ქარგა ლითონისა იყო, დასევადებული, ბრინჯაოს ლომებზე იდგა კოხტად; შიმშები ჭახრაკებით მოძრაობდნენ. ქარგაში ჩაბმული იყო წითელი ფარჩა და ზედ ოქრომკერდით ჯვარი იყო ამოყვანილი.

გამობრძანდა ბატონიშვილი თინათინი. ფერმკრთალი ქალი იყო, თეთრი, ჭრელთვალა. თავსაფარი უკან გადასწეოდა და ქოჩორი გადმოჰშლოდა. ხშირი თმა არკი უხუჭუჭდებოდა, წყობრად ელაგა. ნელი მოძრაობა ჰქონდა ქალს, მინაზებული. მხევალმა გაუსწორა სკამი. დაბრძანდა ქალი და მიჰყო ხელი ქარგვას. აუჩქარებლივ მუშაობდა. მის გამჭვირვალ თითებში ნაზად იძროდა ყაისნალი. ბატონიშვილი რომ გამობრძანდა, კოწიამ მდაბლად დაუკრა თავი და ისევ უძრავად გაჩერდა.

- რას ჰკერამ, ქალო, ეგრე ერთგულად?

- დაფარნა გახლავსთ, ბატონო: ჯუმათის მონასტერს აღვუთქვი.

- შეგიწიროს ღმერთმა და წყალობა დაგადევნოს შორს გზაზე მიმავალს! მაგრამ რა არის, რომ სულ ხატისა და ჯვარისათვის ზრუნავ; განა მონაზონი ხარ, შე ქალო! ხანდისხან ხალისიც უნდა, თამაში, მხიარულობა. ბევრი ხანი აღარ დაგრჩენია უდარდელი ქალობისა: მალე გაგისტუმრებ ქმრისას და მაშინაც გეყოფა მძიმედ ქცევა; დარბაისელი ხალხია იქ და ღვთისნიერი.

- გმადლობთ, ბატონო მამავ! მე კმაყოფილი გახლავარ აწინდელი ჩემი ყოფისაც, - მიუგო ქალმა და უფრო მდაბლად დახარა თავი ქარგაზე.

ჩაფიქრებულ ქალს სრულებითაც არ ეტყობოდა, რომ ახლად დანიშნული იყო იგი, რომ მისთვის ბედს მიეპყრო ერთი დღის დედოფლობა კი არა, წამიერი, არამედ დედოფლობა დიდებული, ნამდვილი, რჩეულთათვისაც სანატრელი.

3

ფიქრმა მოიცვა ქალი, ჭმუნვა აღებეჭდა სახეზე. მამამ შენიშნა ეს და გუნება გაუფუჭდა. გული მოუვიდა.

- რა გაქვს, ქალო, დასაღონებელი ან სადარდებელი?! წესია, უნდა გათხოვდე ქალი, შეელიოს მამის სახლს და ახალი ბინა მოაწყოს შესაფერი. შენ რომ ბედმა გაგიღიმა, ჩემო თინავ, ადვილად არ ჰხვდება იგი ბედი სხვას: დედოფლობა მოგელის კახეთისა, მთელი საქართველოსი.

- ვიცი, ბატონო, რომ დედოფლობა მომელის, მაგრამ არ მიმიწევს გული იქითკენ, ვერ დამიმორჩილებია ჩემი თავი, ვერ დამიყოლებია; მიკვნესის გული, თითქო რაიმე უბედურობა მომელისო იქ - შეჰბედა ქალმა მამას და თითონვე გაუკვირდა, რომ ესე კადნიერად შეელაპარაკა.

გაკვირვებულმა მამიამ გადაავლო ქალს თვალი. სხვა რამ მიზეზი მოესმა მის ხმაში, სხვა რამ დაფარული ჰაზრი იგრძნო მის თქმაში, მაგრამ აღელვებული იყო და ვერ ჩააკვირდა საკმაოდ, ვერ გაირკვია იგი ჰაზრად. მთელი თავისი ყურადღება მიაპყრო იმას, რომ ქალი ეურჩებოდა მას, თითქო განზრახ ჰმლიდა მისგან ესე მარჯვედ მოფიქრებულ და მოგვარებულ საქმეს დიდს, დიდმნიშვნელოვანს.

სახლშივე უბედავენ უარს და სწორედ ის უბედავს, რომლის ბედისთვის ზრუნავს იგი ესე თავგამოდებით. როგორ შეიძლება ეს?!

მამია ნაჩვევი არ იყო წინააღმდეგობას და სისხლი აემღვრა, მთლად აინთო. მაინც მოახერხა იმ წუთს თავის შეკავება; მაგრამ ეშინოდა თავისი თავისა, იმედი არა ჰქონდა, რომ გაუმაგრდებოდა წყენით აზვირთებულ გრძნობებს და უბრძანა მკაცრად:

- ბიჭო, კოწია! უთხარ მეჯინიბეს ცხენი მომართვას!

კოწია მსწრაფლ გადახტა აივნიდან. მერე ერთს წამს შეყოყმანდა: უნდოდა ეკითხნა ბატონისათვის, რომელი ცხენი მიერთმიათ, მაგრამ მაშინვე გადიფიქრა, გაქრა თვალთაგან და გადასცა ბრძანება.

- სად მიბრძანდება ბატონი, ან რომელი ცხენი ბრძანა? - ჰკითხა მეჯინიბემ.

- ვერ გავუბედე კითხვა: თითქო რამე წყენა ეტყობა სახეზე, - მიუგო კოწიამ.

მეჯინიბე დაფიქრდა, ერთს წამს სასოწარკვეთილება რამ აღებეჭდა სახეზე, მაგრამ დაყოვნებისა და ფიქრის დრო აღარ იყო; უბრძანა ხელქვეითებს „ქარიშხალი“ გამოეყვანათ თავლიდან. საშინელი ფიცხი ცხენი იყო ეს „ქარიშხალი“ ელვასავით სწრაფი, ქარივით მსუბუქად დაჰყავდა მხედარი. ორმა ვაჟკაცმა ძლივს გამოიყვანა

ფეხ-მაღალი, სურათი რაში. შეკაზმულობაც თავისებური ჰქონდა ამ მერანს: მსუბუქი, კოხტა, მინანქრებით მორთული; ფირუზ ასხმული რახტი და სამკერდული ამშვენებდა მწყაზარს. როდესაც ცხენი მიართვეს აივანთან, ბატონი მზად იყო. მხოლოდ ხმალ-ხანჯალი შემოერთყა, ეტყობოდა შორს არ მიბრძანდებოდა.

- ბიჭო, მდეგრად ხომ არ გავდივარ, რომ „ქარიშხალი“ გამოგიყვანია! - ბრძანა ბატონმა და უსიამოვნობის ჩრდილმა გადაურბინა სახეზე.

- ქარივით რომ დაფრინავს, თავს მოგაწონებს, შენი ჭირიმე, - მიუგო მეჯინებმა და კრძალვით შეხედა ბატონს, მაგრამ მას უკვე თვალი აერიდებინა მისთვის.

ჩაბრძანდა კიბეზე. მეჯინებმა ერთის ხელით ლაგამი დაუჭირა ცხენს, მეორე ხელით დასწია ავჯანდა. მამიამ შედგა ფეხი. ცხენი უეცრად მიდრკა იქით და მხედარს ფეხი დაუსხლტა უზანგოდან, მაგრამ იქვე, უზანგოსთანვე, დაჰხვდა კოწიასაგან მკვირცხლად მიშველებული სიჰსავით უძრავი თათი და ბატონი ისე შეხტა ცხენზე, თითქო არავითარი მარცხი არ მოსვლიათ. მეჯინებმა ელდის სისწრაფით იგრძნო უბედურება. ბატონმა ოდნავ ასწია ნაჭედი მათრახი, მაგრამ ისევ დაუშვა და მხოლოდ მრისხანედ გადაჰხედა გაწბილებულს. სიკვდილის ფერი დაედვა მონას. გამოჩნდნენ შეიარაღებულნი მხედარნი. მათ წინ მიუძლოდა ვინმე ჭაბუკი. ყვითლით მოსილი, მთლად ბრწყინვალე იარაღში ჩამჯდარი. რომ დაუსწორდა იგი აივანს და შენიშნა ბატონიშვილი, გადმოხტა ცხენიდან, მიაგდო ლაგამი თავის შინაყმას, აირბინა აივანზე, დაეყრდნო ქალის წინ ცალ მუხლს და დაუკოცნა თავსაფრის ფოჩი. ქალს ვარდისფერმა სიხარულმა აჰკრა ლოყებზე და გაუბრწყინა თვალები. ჭაბუკი უკუზდგა მოწიწებით. მერმე შემოტრიალდა და ელვის უმაღლ მოახტა მერანს. ერთ ასმით მისწვდა ბატონის ამაღას და ჩაუდგა სათავეში.

შეძრწუნებულმა მეჯინებმა ჩაიკეცა ადგილობრივ და შემოიკრა თავში:

- ვაიმე, უბედურს, ვაი!

ბატონიშვილს შეეცოდა უცაბედად დამნაშავე, უნდოდა ენუგეშებინა რითიმე, მაგრამ საიმედო ვერა უთხრა რა: იცოდნენ ბატონი არასგზით არ შეარჩენდა მონას ამისთანა უხერხულობას. კოწიაც დაღონებული იდგა შემცოდველის გვერდით. იმან მარჯვედ, თითქმის შეუმჩნევლად გაუწია ბატონს სამსახური და გრძნობდა, ჯილდო არ ასცდებოდა მას, მაგრამ ენანებოდა ბეჩავი მეჯინიბე და მისთვის დაღონებულიყო.

- ეჰ, თუ მათრახი გადაეკრა შენთვის, გაბრიელ ჩემო. იმითი გათავდებოდა ბატონის რისხვა, ეხლა კი სწორედ საფიქროა, - უთხრა კოწიამ და ურჩია დიდ ქალბატონს შეჰვედრებოდა.

მხედარნი რომ მიეფარნენ თვალთაგან, ბატონიშვილი ისევ დაღონდა, ფიქრმა დაჰრია ხელი. ჩაუჯდა ქარგასვე და განაგრძო ხელსაქმე. თან ჰკერავდა ქალი, თან ნელის ხმით ღიღინებდა. მის ღიღინს ოდნავ ასდევდა მოქნილი, გამჭვირვალე ხმა მოახლისა, რომელიც მუხლ ქვეშ მისჯდომოდა ბატონიშვილს და შეჰყურებდა

თვალაუშორებლივ. კოწია ეხლა თავისუფალი იყო, შეეძლო სადაც უნდოდა წასულიყო, რაც უნდა გაეკეთებინა, მაგრამ ამ ღიღინით და მოახლის შავი თვალებით მოხიზლული მიჰყრდნობოდა ძირიდან აივნის მოაჯირს და ჩუმის, გამოუთქმელის ვედრებით შეჰყურებდა ქალებს.

ბატონიშვილი ნაღვლიან რამ სიმღერას ღიღინებდა. მისი ხმა ცრემლით იყო ნაჰკურები, თვალთა ნამით გაჟღენთილი; მისთვის იყო ისეთი ლბილი და გულსაკლავი.

- ნეტა რა აქვს დასადონებელი ამ ყოველმხრივ ბედნიერ ბატონიშვილს, რომ ესე საბრალოდ უტირის გული?! - ჰკვირობდა კოწია.

არა სჯეროდა მის გონებას რომ ეს სიმღერა ქალის გულის პასუხის გამომთქმელი იყო, თუმცა ხმის მიმოხვრა თუ ბგერა ამცნებდა მას, რომ ეს ხმები არ იყვნენ მხოლოდ ზეპირ თქმულნი, რომ იგინი წამომდინარებდნენ სიღრმიდან გულისა და თან მოჰქონდათ კაემანი საიდუმლო.

არ იცოდა გულუბრყვილომ, რომ კაემანი სდევს ადამიანს მთელ მის სიცოცხლეში, როგორც რამ აჩრდილი განუყრელი, რომ სევდა არასოდეს არა ჰშორდება მას, ხოლო ხან ცრიატდება იგი, მკრთალდება და ძლივსღა მოსჩანს, ხან ხშირდება, მძიმდება და ჰშხამავს გულს, როგორც ღამე უმნათობო ჩაბნელებული.

არ იცოდა კოწიამ, რომ ბატონიშვილის გულსაც გარს მოსდებოდა კაემანი და ეხლა, შუქური სიხარულის წამიერ განცდის შემდეგ, შეჰმძიმებოდა იგი დარდი, სიამის ფიალა ამოეშრიტა იმ დარდს და გრძნობას უწურავდა საბრალოს. ამისათვის იყო, რომ დაღონდა ბატონიშვილი და ჩაითუთქა, როგორც ყვავილი მდუღარით შენამული.

ეს დიდი ბედნიერების კარს მდგომი ქალი ამ ბოლოს დროს მაინც როგორღაც მოშვებული მოსჩანდა, უხალისო; მხიარული ღიმილი ასცლოდა მის სახეს, ნათელი სიცილი აჰრიდებოდა მის ბაგეს; მის თვალებში გამოჰკრთოდა გაურკვეველი რამ ბრძოლა, გარნა უკვე ძლეული ბრძოლა, ღონემიხდილი, უშედეგო, სასოწარკვეთილი.

ქალი დაჩუმდა, უფრო დაბლა დახარა თავი: ლოდივით მძიმე საფიქრებელმა თვით საკერავამდინ დასწია მისი სპეტაკი შუბლი. ყაისნალი გასჩერებოდა ხელში უმოქმედოდ, უძრავად. განცვიფრებული მოახლე ხმაგაკმენდილი შეჰყურებდა ქალბატონს, სცდილობდა სუნთქვაც კი შეეკავებინა, რომ არაფრით არ დაერღვია დუმილი, არ შეეკრთო ქალწულის მუქი ფიქრები.

გამობრძანდა დიდი ქალბატონიც: ძილი უყვარდა განაზებულს და შუადღე დილადა მიაჩნდა. ქალი ფეხზე წამოდგომით მიესალმა დედას. ქალბატონმა დაკვირვებით გასინჯა ქალის ხელსაქმე, გაუსწორა რამდენიმე ძაფის მიმართულება და მოუწონა ნამუშევარი:

- მშვენიერი დაფარნა გამოვა, შვილო! ზედ შენი სახელიც ამოქარგე, რომ საუკუნოდ დარჩეს. ჩემი ნაქარგი გარდამოხსნა დღესაც ამშვენებს გელათსა. მეც შენსავით დანიშნული ვიყავი, როცა შეგკერე იგი გარდამოხსნა. მაგრამ რატომ არ

გახვალ, შვილო, და არ დაჰხედავ, რა მშვენიერი მზითი იკერება შენთვის? წითელ-ყვითელ ფარჩას სულ შარიშური გააქვს მკერავთა ხელში, შენ კი არც ერთხელ არ შეგიხედნია ოდაში.

- გული არ მიმწევს, ბატონო დედავ, არა მესიამოვნება რა.

- საკვირველია! მაინც იმ დღიდან, რაც კახეთის სადედოფლოდ გამზადებთ, ვეღარ მიცვნიხარ. მართალია, ძნელია მშობელთა სახლის დატოვება და უცხო მხარეს წასვლა, მაგრამ სათათრეთში ხომ არა გგზავნი, შვილო, ისევ საქართველოში მიდიხარ დედოფლად, საუკეთესო მხარეს საქართველოსი. ნუ თუ არ მიგიხარია?! ვაჟკაცადაც კარგს აქებენ ლევან მეფეს, ჭკვიანი კაცის ხმა აქვს დავარდნილი და მადლობით უნდა მიიღო კარზე მომდგარი ბედი. არა, შვილო, გამხიარულდი! ვინძლო შენს გონიერებასთან მხიარული გულიც შეიტანო შენს ახალ ოჯახში, რომ ღმერთმა აკურთხოს იგი მხარე შენგამო, რომ ხალხმაც დაგლოცოს სიკეთისა და სიხარულის მიმტანი. იცოდე, მამაშენი დიდი მოხარულია ამ კავშირისა და ბევრს იმედებს ამყარებს მასზე, როგორც თვის სამფლობელოს აღსაყვავებლად, ისე ლევანის სამეფოს ასაღორძინებლად.

იცოდა ჭკვიანმა ადამიანმა თავისი მეუღლის ჰაზრები, თანაუგრძნობდა მის მისწრაფებებს, მაგრამ თანაც ეშინოდა, მარცხი არსად მოსვლოდა მის ფიცხელ, გულზვიადს მეუღლეს, წაღმა დატრიალებული ბედის ჩარხი უკუღმა არ მოსტრიალებოდა აუარებელ მტერთა გასახაროდ.

თინათინი ისმენდა დედის სიტყვებს, ჭკვაშიც მოსდიოდა მისი მსჯელობა, მამასავით დიდების მოყვარულს, მაგრამ მის გულს არ მიუხაროდა კახეთისკენ: ალაგობრივ იყო იგი დაბმული გრძნობათა ძეწკვით და ვერ ეთანხმებოდა ვერც თვით ქალის ზვიად ფიქრებს, ვერც მისი მამის დიდებულ ჰაზრებს თუ მისწრაფებას. ქალწულის გულს ენახა საიდუმლო რამ ტაძარი სიყვარულის ციაგით განათებული და ჰსურდა მიეტანა თავი თვისი მსხვერპლად მუნ დავანებულ ღმერთისათვის. ეს სურათი არა სცილდებოდა თინათინის გულს, იზიდავდა მის არსებას თვისკენ, მაგრამ გრძნობდა იგი, რომ ამაო იყო მისი ასეთი ლტოლვილება: ძლიერი პატივმოყვარეობა ბოლოს დასძლევდა მას, დაანგრევდა მისგან ხილულ ტაძარს განსასვენებელს, დაამსხვრევდა მასში განბრწყინვალეულ მის სალოცავს კერპს და მასთან მის გულსაც, თინათინის საბრალო გულს. მამიას ქალი იყო და დიდებისადმი ძლიერი მისწრაფება საშოდან დედისა დაჰყოლოდა მის სულს.

ის უებრო ჭაბუკი, რომელზედაც გული შეჰვარდნოდა ბატონიშვილს თინათინს, რომლისადმიც ისწრაფოდა მისი ქალწულობა, ხოლო რომელს ძლიერად ეწინააღმდეგებოდა შთამომავლობით დაყოლილი და მეფურის აღზრდით გამტკიცებული მისი პატივმოყვარეობა, იყო ყვითლით მოსილი შავარდენივით ვაჟკაცი, რომელი წედან მიესალმა ქალს. გურულივე თავადიშვილი იყო ნოშრევან, ბატონ მამიას შინაყმა, მის გვერდზე მეომარი ვაჟკაცი. ეს იყო მიზეზი, რომ ჭაბუკის დანახვაზე ქალის გულმა უეცრად გაიღიმა, ხოლო როცა დაუკოცნა რიდეს ფოჩი, ისეთმა ჟრუანტელმა დაუარა, თითქოს ჭაბუკმა თვალებში აკოცაო. თანაც შეკრთა

ქალი, შეშინდა და უკუდგა; სცადა ცივი რამ გამომეტყველება მიეცა თავის სახისათვის, უგრძობელი. ნოშრევანმა ელვის უმაღლეს იგრძნო ქალის გულწრფელი სიამოვნება, მისი განზრახ უკუდგომაც და გრძობათა სხივის ჩაქრობაც. იმისთვის იყო, რომ სიხარულის ღიმილი უცებ გამოკრთა მის სახეზე, გარნა მსწრაფლვე ჩაქრა და დაუთმო ალაგი სევდის ნასახს მის ვაჟკაცურ თვალებში.

ქალ-ვაჟის ერთმანეთისადმი თანაგრძობა ადრევე დაიწყო, პატარობიდანვე. პირველ ხანში გამოურკვეველი ხასიათი ჰქონდა მათ მეგობრობას და ჩაუსახავი მიზანი: იამებოდათ ერთმანეთის ნახვა, უხაროდათ ერთმანეთის სიახლოვე. ვაჟის გრძობა კი უფრო ძლიერი იყო და არაჩვეულებრივი: ნოშრევანი განუსაზღვრელი პატივცემით იყო გამსჭვალული ბატონის ასულისადმი, არაქვეყნიურ არსებად მიაჩნდა ის, ზღაპრულ რამ მზეთუნახავად და მოწიწებით ეპყრობოდა მას, თაყვანსა სცემდა მის აჩრდილს. ქალსაც უხაროდა მშვენიერი შეხედულობის, მარად მხიარული, მარად მომღერალი ვაჟის ნახვა; შეეჩვია ის მასთან ყოფნას და თუ რაიმე შემთხვევით დიდი ხნის განმავლობაში არ ეახლებოდა იგი ბატონიშვილს, ქალი მოიწყენდა, თითქო რამ აკლდა თვალში, გული უსიამოვნოდ ეხურებოდა. როცა შეღერდა თინათინ და მოიწიფა, ნოშრევანს დაუძვირდა მისი ნახვა, მაგრამ თუ ქალი გაისეირნებდა საითმე, ან სტუმრად წაბრძანდებოდა, კობტად გამოწყობილ-შეიარაღებული ახალგაზრდა თან ახლდა მას, რადგან მისთანა ზრდილობიანი, ჰაზრიანი და მოხერხებული მხლებელი მეორე არ მოიძებნებოდა გურიელის კარს. თანაც ჰხედავდა დიდი ბატონი, როგორ გატაცებით თაყვანსა სცემდა ქალს ყრმა და დარწმუნებული იყო, იმაზე ერთგულს ვერავის აახლებდა იგი თავის ასულს.

როდესაც გურიელი ბაგრატ იმერთა მეფესთან ერთად ისე გამარჯვებული იბრძოდა ძლიერ მტრის წინააღმდეგ, ნოშრევან განუყრელად თან ახლდა და განაცვიფრა ომში გამოცდილი ვაჟკაცი თავის უშიშრობით, შემბედაობით და მკლავის ძალით. მას შემდეგ გურიელი მთლად მიენდო ამ ჭაბუკს; თავი მოსწონდა, რომ ამისთანა მებრძოლი და ერთგული ყმა ჰყავდა გვერდით. ბრწყინვალე ბედი მოელოდა ნოშრევანს გურიელის კარს!

ამ ომის შემდეგ იყო, რომ უეცრად გამოირკვა ქალ-ვაჟის კავშირის ხასიათი, თვისი საკუთარი სახე დაედო მას. ბატონი გურიელი გამარჯვებული დაბრუნდა ბრძოლიდან და გახარებული: ლაშქრობამ მის საბრძანებელს შესძინა დიდმნიშვნელოვანი მხარეები - აჭარა და ჭანეთი. ამ სასიხარულო ამბის აღსანიშნავად მამიამ მეფური მეჯლისის გამართა თავის კარს. ზეიმის მესამე დღეს ახალგაზრდობამ მოისურვა ცხენდაცხენ სეირნი მიდამოებში. ქალნიც და კაცნიც დახელოვნებული იყვნენ ცხენოსნობაში, თავიც მოსწონდათ თავიანთ ცხენებით, თუ მათ შეკაზმულობით. ლამაზი გუნდი შესდგა ცხენოსანთა. ეს ალყავებული ახალგაზრდობა მხიარული ჯირითით რომ შეეფინა ხევ გაღმა ამართულ ფერდობს, სწორედ საამური სანახავი იყო. გახალისებული ახალგაზრდობა დააქროლებდა ფეხმარდ ბედაურებს და ერთმანეთს უსიტყვოდ ეჯიბრებოდა მოხდენილად ჯდომაში თუ მკვირცხლ მხედრობაში: ბატონიშვილი თინათინი ბრძანდებოდა მათთან და რალა დღისთვის დაჰზოგავდნენ თავის უნარს?!

ტყეს რასმე გასცდნენ, მინდორს გავიდნენ ოდნავ დაქანებულს. ზოგიერთმა ვეღარ შეიკავა თავი, გაქუსლა ცხენი. მათ მიჰყვა თან გახალისებული სხვა ქალ-ვაჟი.

ბატონიშვილის ამაღლა თავს იჭერდა ჯერ, მაგრამ მაინც ბევრი აღარავინ დარჩენილიყო მის გარემო. გული აუჩქროლდა თინათინსაც და ოდნავ სადავე მისცა თავის მერანს. ცხენმა მერცხალივით დაიწყო ნავარდი და რომ შეხურდა, თავი წაართვა ქალს, გაიტაცა. გაისმა ქალის კვილი. საშინელი კვნესა აღმოხდა შეპრწყუნებულ ამაღლას. ყველანი დაიბნენ, ველარაფერი მოახერხეს. ზოგი მაშინვე გამოეკიდა გაგიჟებულ ცხენს და ამან უფრო გაახელა იგი. ომში გაწვრთნილმა ნოშრევანმა მსწრაფლ შენიშნა ხიფათი, დაჰკრა თვალი ცხენის სრბოლას და მოიაზრა: განზე გაახტუნა ბედაური, წრე გააკეთა, ანაზდად თავს დაუარა, უყელა, დაუსწორდა, დასწვდა ლაგამში ბატონიშვილის ცხენს და მძღვრად ასწია მალა. ცხენი შესდგა ყალბზე და შემოტრიალდა უკანა ფეხებზე. ვაჟმა მსწრაფლ მოხვია თითქმის გულწასულს ქალს მკლავი და გადიტაცა თავისთან. ყველამ თავისუფლად ამოისუნთქა: გადარჩნენ საშინელს გაწბილებას და ბატონის უღმობელ რისხვას. ქალი რომ მოსულიერდა, ისეთის მადლობისა და მოყვარულის თვალით შეხედა თავის მხსნელს, რომ ჭაბუკს სიხარულით ენა დაება.

აი მაშინ იყო, რომ ნოშრევანის ქალისადმი მეგობრობა უსამზღვრო თაყვანისცემად გარდაიქმნა, უცვალეებელ და უიმედო სიყვარულად. ქალის გულიც ძლიერ ააძგერა ვაჟისადმი თანაგრძნობამ. ამის შემდეგ ველარ მოიშორა ქალმა ვაჟკაცის სიახლოვის გრძნობა; ის რვალის მკლავი, რომელიც ძლიერად შემოეჭდო ქალს და მსუბუქად გადიტაცა ცხენიდან, სამუდამოდ დააჩნდა ქალწულის წელს. ეს სასიამოვნო შთაბეჭდილება ტანისა შეუერთდა მის გულის სიხარულს, რომელიც განიცადა სიკვდილს ან სახიჩრობას გადარჩენილმა ქალმა. ეს ორი სანეტარო გრძნობა განუყრელად შეერთდა მის სულში, ამოუშლელად.

როგორი ტკბილი მოსვენება იგრძნო ქალწულმა ჭაბუკის გმირულ მკერდზე მის მფარველი მკლავით გარშემოჭდობილმა! ერთი წამი იყო იგი ჩახვევნა, გარნა დაუვიწყარი. ახ, სამოთხე იქნება მის მძლავრ მკლავზე მიყრდნობა სამუდამოდ, ნეტარება ტკბილი, უზრუნველ-უდარდელი!

და ისეთის უტყუარის სიციხადით განიცდიდა ქალი ვაჟკაცის მკლავს თავის წელზე, რომ ბევრჯერ ტანთ-გაცრცვნილს დაკვირვებით გაუსინჯავს თავისი თავი, რომ დარწმუნებულიყო იმ უტეხი სალტის ნაკვალი მართლა ხომ არ ეტყობოდა ზედ. ბევრჯერ მეტად გაუცხოველდებოდა ეს გრძნობა, შეუკავებლად მოესურვებოდა ჭაბუკის ნახვა, მის ახლოს ყოფნა, მის უნაკლულო აგებულობის მზერა, მისი მშვენიერი ხმის სმენა. კიდევ ეწეოდა ხოლმე ქალწული თავის სურვილს, ბატონიშვილი იყო და თავის ყმის ბრძანება რად გაუჭირდებოდა?!

ღამე გატეხილიყო, სასახლეში კი ჯერ არ ეძინათ. ისევ გაჩაღებული ჰქონდათ ციხე-დარბაზი: გურიელი ჯერ ისევ ოზურგეთის სასახლეში ბრძანდებოდა, ჯერ არ გადაბრძანებულიყო ალამბარს. რაღაც საიდუმლო მზადებაში იყო გართული. დღეს ბაგრატი მეფის დესპანი ახლდა მას და გვიანობამდინ არ გაისტუმრა. ეტყობოდა სამძიმო საქმეს შესდგომოდა ბატონი, ჩასაფიქრებელს, საომარი რამ დაწყება კი არ უნდა ყოფილიყო, თორემ ნოშრევანს უხმობდა სავეზიროდ, უთუოდ გააგებინებდა.

- იქნებ ბატონიშვილ თინათინს შეეხება იგი საქმე! - ეჭვობდა ნომრევანი.

და გულს სევდა ედებოდა, გუნება ეხურებოდა, ცოტაოდენი საბუთიცა ჰქონდა ესე ეფიქრა: იასე რომ გაატანა თან ბაგრატის კაცს. ამანაც ჩაუსახა მას ესეთი ეჭვი: ეს იასე ლივანელი ძალიან გამოცდილი კაცი იყო სწორედ ამისთანა საოჯახო საქმეებში. ქალის გათხოვებაზე მაშინ ჯერ არაფერი ხმა არ იყო, მაგრამ გული მაინც რაღაცა ცუდად უცემდა შეყვარებულ ახალგაზრდას. კარები დაურაკუნეს. ნომრევანმა გააღო და განცვიფრდა: თინათინის მხევალი იყო! ჭაბუკი დაებარებინა ქალწულს თავისთან, დაუყოვნებლივ მოდიო, გაჰკვირდა: არ იცოდა, რად უბრძანებდა ქალი ამ დროს ან რის დავალება განეზრახა მას. სწორედ რამე სავაჟკაცო საქმეს უბრძანებდა ქალი მას და საიდუმლოს, თორემ უჟამოდ არ იხმობდა იგი მას. ჩაიცვა. გაემართა. ქალის სადგომს რომ მიუახლოვდა, იგივე მხევალი დაჰხვდა წინ, გაუძღვა, თვით ბატონიშვილის ოთახში შაიყვანა. თინათინმა მიიწვია მის წინ მოწიწებით მდგომარე ვაჟკაცი:

- დაბრძანდი! საქმე რამ მინდა დაგავალო.

- მიბრძანე, ბატონიშვილო!

ქალმა გადასცა ჭაბუკს ფარჩაში გახვეული წიგნი საკუთარი ბეჭდით დაბეჭდილი.

- ჩემი უსტარია! ვიცი, მარჯვედ ამისრულებ საწადელს.

- გმადლობთ, ბატონიშვილო, ნდობისათვის. ნეტა ისეთს რასმე მიბრძანებდეთ, ჩემი სიცოცხლის ფასად მოიპოვებოდეს!

- არა, ნომრევან ჩემო, არც ეგეთი სასტიკია ჩემი გული რომ ვინმე გასწიროს და მეტადრე შენ, ჩემი გადამრჩენი სიკვდილისაგან.

„ნომრევან ჩემო!“ ისე ტკბილად მოესმა ჭაბუკს ეს სიტყვა, როგორც სანეტარო ბგერა გარდარეულის ბედნიერებისა.

- მიბრძანე, ბატონიშვილო! - სთქვა ხმა ათრთოლებულმა და ზე წამოდგა.

- ეგ წერილი ბატონიშვილ თამართან არის, დადიანის ქალთან, უნდა პირდაპირ მიართვა მას ხელში. მხოლოდ შენ იცი, რომ ამ წერილს ვგზავნი მამა ნამდურავია დადიანთან და არ მომცემს ნებას. არც დედა მომიწონებს ამ საქციელს. მე კი არ შემიძლიან არ გავგზავნო ეს წიგნი: ვერ მოვითმენ. მომისმინე!

- მიბრძანე, ხელმწიფე ჩემო!

-თამარისათვის მოურთმევიათ საოცნებო რამ ჯიღა. სინდური ხელოვნება არისო საარაკო. ხუთი მონა უჩუქებია დადიანს ზღვის მომტან სოვდაგრისათვის. მე ამ წიგნში ვწერ, იგი ჯიღა გამომიგზავნოს სანახავად. შენის ხელით გამომიგზავნოს და შენისავე ხელით ვაახლებ. ვნახოთ, გაიმეტებს თუ ვერა, პატივს დამდებს თუარა.

თუ არ გამოგზავნოს, სთხოვე გიჩვენოს, შენითა სთხოვე; მე არ ვსწერ ამას. კარგად დაათვალიერე, გაზომე, ყველა წვრილმანი დაიხსომე!

ქალი ცდილობდა ყოველივე ეს მტკიცედ ეთქვა, ბრძანების კილოთი, მაგრამ ხმა არ ემორჩილებოდა, თრთოდა; უცნაურად მისდი მოსდიოდა ქალს ფერი, ძლიერ ღელავდა.

- ეხლავე წადი, ნომრევან ჩემო, და ან თვით ჯილა მომიტანე, ან მისი ამბავი!

- ბატონი ბრძანდები! - მიუგო ნომრევანმა და მდაბლად თავი დაუკრა, რომ უკუმდგარიყო.

- მოიცა! - ბრძანა ქალმა! წამოდგა, მიუახლოვდა ჭაბუკს, შეახო ათრთოლებული ხელი მის ხანჯლის ტარს და უთხრა:

- ამისრულე საწადელი! მაინც ჩემი გული შენ გენდობა.

დაიხარა ქალი და მიაყრდნო გრძნობათაგან დამძიმებული თავი თვისი მის მკერდს. შესძრა უძლეველმა ძალამ ჭაბუკი, დაავიწყდა ყოველივე, მთელი ქვეყნიერება; გრძნობათა ტალღამ გადალახა ყოველივე მისი მოსაზრება თუ მოკრთალება და ჩაიკრა გულში მთრთოლარე ქალწული, დაუკოცნა თმა, თვალები, სახე. მოეგნენ თავს გრძნობით დამთვრალნი, განშორდნენ ერთმანეთს. მხევალმა ფეხაკრეფით გააცილა ჭაბუკი.

ამ დღიდან აღარ გამოფხიზლებულა ნექტარისებური ტკბილი გრძნობით დამთვრალი ნომრევანი. ვეღარც გამოფხიზლდებოდა: უაღრესი ბედნიერება იხილა მან პირისპირ, გამოუთქმელი საქმე განიცადა მან იშვიათი და როგორღა შეიძლებოდა მისი დავიწყება ან განქარვება?!

როგორ გაჩნდა ნომრევან დადიანის კარს, როგორ მოახერხა ბატონიშვილი თამარის თუ სხვების მოხიბვლა და მოჯადოება, როგორ მოართვა თავის თინათინს იგი იშვიათი ნივთი და დადიანის ასაულის წერილი, ყველა ეს ვეღარც შეეგნო ბედნიერს, ვეღარც გაეთვალისწინებინა: ჭაბუკი აღტაცებული იყო მაშინ და რას უკარნახებდა მას მეშვიდე ცამდინ მიწეული მისი გონება ან როგორ და რა გზით ამოქმედებდა მას მისი ნებისყოფა, ეს არც ესმოდა მას ცხადად, არც ეცალა შეეგნო. სად ეცალა დასაფიქრებლად ბედნიერებისაგან დამთვრალ ჭაბუკს, ან როგორ შესძლებდა დაფიქრებას ხელქმნილი?! ალლო რამ გამოურკვეველი, გარნა მიზანშეწონილი, ამოქმედებდა მას, შთაგონება რამ საიდუმლო, თვით უცვალეებელ სიბრძნისგან მონაბერი წინაუძლოდა მას და უნაკლულოდ ასრულებინებდა ბრძანებას ხელთქმნილისა.

ქალი გამოერკვა ვნებათა ღელვას, ჩაუფიქრდა თავის მოქმედებას, იწყო შეფასება თავის მდგომარეობისა. შენიშნა, რომ ორად გამდგარიყო მისი განუყოფელი პიროვნება:

მოხიბლული გული ჩასჩურჩულებდა, რომ მხოლოდ ნოშრევან იყო მისთვის ბედისაგან დაწერილი, ამას უკარნახებდა გული, გარნა ისე კი არა, როგორც გარკვეულ რამე სიტყვას, არამედ როგორც სიტკბოებას სანეტაროს და უძლეველს. ისე იყო მისი გული ეხლა გახარებული, ისე უცინოდა მას გრძნობათა იგი შესაკრებელი, ისე იყო ამ წუთს იგი სავსე ნოშრევანით, რომ იგი სხვა ვინმე ვაჟკაცს ვეღარ დაიტევდა, ვეღარ შეითვისებდა, ვეღარც შეიტკბობდა. ნოშრევანის გარეშე ქალწულის სული ვეღარავის შეუერთდებოდა განუყრელად, მისი ტანი ვინმე სხვის ხვევნას ვეღარ აიტანდა, ვეღარც დაჰხვდებოდა სიამით:

- რა ძლიერია, რა ტკბილია, რა კარგი! რად მოვწყდი ისე მალე მკერდიდან, ნეტავ რად?! ერთი წუთიც, გენაცვა, ერთი წამი! მაგრამ მის მკერდზედ საუკუნოც ხომ მხოლოდ წუთი იქმნება უხანო... არ შემიძლიან უმისოდ! ამიკვნესდება გული, მომიკვდება გული საწყალი. ერთ დღესაც ნუ მაცოცხლოს ღმერთმა უმისოდ. ერთ საათს! - სთქვა ქალმა.

გარინდა ერთს ხანს, მიაპყრო მიზნედილი თვალები სივრცეს, უღიმოდა რაღაც ჭრელ ჩვენებას, ფერად ოცნებას; ჩაიხსნა გულისპირი, შეიხსნა საკინძი და სინჯვა დაუწყო მუძუს, რომელიც წელან ისე ტკბილად გაიწურა ნოშრევანის მუჭაში. როდესაც მან მძლავრად მოჰხვია მკლავი თავის თინათინს და ჰაერში აიტაცა აღტაცებულმა. შევარდისფერებული იყო ეშხთა საგუბარი. რა სიამით გამოიყურებოდა ბედნიერი, რა ტკბილი ღიმილით იმზირებოდა ვნებით მიზნედილი! მეორე კი დაღონებულიყო ფერმიხდილი, თავი დაეხარნა გულნაკლულს, გაბუტულიყო.

- რას დაღონებულხარ, შე კარგო? შენც მოგიალერსებს ჩვენი ნოშრევან, გაკოცებს, გაგახარებს. იცი? თვით ულეველი ალერსია ნოშრევან, სიამე სრულქმნილი. ნათელი უბინდო, დაულამებელი!

უღიმოდა ქალწულს მთელი არსება, უცინოდა. უკასკასებდა. უნდოდა დაემახნა ხმამაღლა. უნდოდა ემცნო ყველასათვის. რა უზომოდ ბედნიერი იყო იგი, უნდოდა ეხარებინა ცისა და ქვეყანისათვის, რა კეთილი იყო იგი ეხლა, რა კარგი. მზა იყო მოეფრქვია სხივი სიკეთისა თვის გარემო, დაეკოცნა ყოველივე. აკი მაშინვე ყელზე შემოეჭდო ქალი მასთან შესულ გამდელს და გარდუკოცნა მოხუცი სახე.

მაგრამ განვლო ხანმა და განიღვიძა გულისაგან ძლეულმა გონებამ, შეიკრიბა ძალა ძლიერი. გააღვიძა ქალის თვითმოყვარეობა და გესლიანის ღიმილით გადაჰხედა ქალწულის ფაქიზ გულისთქმას. მოაგონა გონებამ თინათინს, რომ იგი იყო ქალი მამია გურიელისა, შვილი იმ გოროზი ადამიანისა, რომლის მოუსვენარ თავში ცეცხლივით ტრიალებდა სურვილი განდიდებისა. თინათინის სულიც ხომ აღსავსე იყო დიდებისადმი მისწრაფებით. აღტყინებული ოცნება მოელვარე სახით უხატავდა მას მომავალ ცხოვრებას, თვალთწარმტაც ფერადებით შეუხამებდა მას. ამ ოცნებობას ბალღობიდანვე შესჩვეოდა ქალი, შესთვისებოდა. მისი აწინდელი გულისთქმა კი სრულებით არ შეჰფეროდა ცხოვრების ამგვარ წარმოდგენას: ნოშრევან ვერასდროს ვერ შეუქმნიდა თავის სატრფოს ღირსეულ მომავალს.

- ტკბილია ნოშრევან, შეუდარებელი, კარგი, გარნა მხოლოდ თავადია უბრალო, ჩვენივე კარის თავადი, მამაჩემის შინა ყმა და ნების ამსრულებელი. უბრალო თავადადვე დარჩება იგი მარად და ყველგან: თუნდ აქ, გურიაში, თუნდ იმერეთის მეფის კარს, თუნდ ათაბაგთან. მეც მხოლოდ თავადის ცოლი შევიქმნები, სხვა ათასი თავადის ცოლების სწორი. ბატონიშვილი ვარ და უნდა კი ვემორჩილებოდე ყველა მეფის თუ მთავრის მეუღლეს, ბოლოში უნდა ვიჯდე პატივმოკლებული. იქნება ისეც მოხდეს, რომ დადიანის ქალს თამარს თავს ვუკრავდე და ადგილს ვუთმობდე. რატომ?! გათხოვდება იგი იმერეთის მემკვიდრეზედ, ან კახეთის მეფე ლევანზე და შეიქმნება დედოფალი დიდებული. შეიძლება თვით ჩემმა ძმამაც შეირთოს იგი და დედოფალი შეიქმნას ჩემი, თუ ნოშრევანის მეუღლე შევიქმნები. - სთქვა ქალმა და წარმოიდგინა რა დამცირების სურათი, შეაჟრჟოლა.

- შეიძლება სიღარიბეც კი მხვდეს წილად ნოშრევანის ხელში, - განაგრძო ქალმა ფიქრი, - რა შეძლების პატრონია ნოშრევან? ცოტა ყმა, პატარა მამული! მართალია, ვაჟკაცია მხნე, შეუძლიან ხმლით მოიპოვოს დიდებაც და ქონებაც, მაგრამ ბევრი-ბევრი სარდალი შეიქმნას რომელიმე მეფის კარს. მე რომ თითონ ვიყო მემკვიდრე, თითონ მე რომ მომელოდეს ოდესმე დედოფლობა, მაშინ სხვა იქმნებოდა, მაშინ სრულებით საჭირო აღარ იქმნებოდა ამისთანა ფიქრები.

თანდათან მრავლდებოდნენ ქალწულის მუქი ფიქრები, ძლიერდებოდნენ, ირევოდნენ ერთმანეთში, იხვევოდნენ, შავ ფრთათა ცემით ჰშხამავდნენ ნათელ გრძნობებს და ბნელ ჯანლად ედებოდნენ საწყალ ნოშრევანის სახეს, ჩრდილავდნენ მას ქალწულის თვალთაგან. ეხლა თინათინ მკაფიოდ ველარა ჰხედავდა ნოშრევანს, ველარცა გრძნობდა მის სუნნელოვან სიახლეს; განუჭვრეტელ სივრცეში იშლებოდა და იფანტებოდა მისთვის ჭაბუკის არსება.

გული კი მძიმდებოდა განხმელ ფიქრებით, იჩაგრებოდა, ვიწროვდებოდა, იკუმშებოდა, ღონდებოდა, კვნესოდა. მხოლოდ ქალწული ძუძუ თანაუგრძნობდა გულს ჩაბნელებულს, იგიც უარყოფდა მშრალ ფიქრებს ეკლიანს, ჰსურდა გაეგებინა ქალისათვის, რა სასტიკად აჭკნობდა იგი ამგვარ ჰაზრებით ბედნიერების ყვავილს იშვიათს, მაგრამ რა ექმნა, როცა საუბარი არ იცოდა საწყალმა, არც ხმის ამოღება; მხოლოდ ვარდისფერი ღიმილი შეეძლო კოკობს და ცრემლი მარგალიტური! გულთმისანი კი იყო ლამაზი, მგრძნობელი მომავლისა.

- არც მამაჩემი მომცემს ნებას: არ იკადრებს ნოშრევანის სიძეობას ბედისაგან გალალელებული. უყვარს იგი, მაგრამ მოსწონს, როგორც ბატონს ყმა და არა როგორც თავისი დარისადარი. განრისხდება მამა. იქნება კიდევ აუტეხოს რამე საწყალს ნოშრევანს და უნებლიეთ შევიქმნები მისი უბედურების მიზეზი. მოსპობს მამა ჭაბუკს, თუ ვეურჩე! - ფიქრობდა ქალი.

და გონება მისი უარყოფდა ნოშრევანს. ჭაბუკის მკლავი კი რკინის სალტად შემოსჭოდდა ქალწულის წელს, ძუძუ კი ჯერ ტკბილად იკუმშებოდა მის ხელში, მხურვალე კოცნა კი ჯერ არ მოჰპოვებოდა მის ბაგეს.

გვიან დაეძინა ფიქრთა დენით დაღლილ ქალს, გარნა ძილმა არ მიჰმადლა მას სიმშვიდე, არც დასვენება; მღვრიე რამ ოცნებები შესძვნა ისეც გატანჯულს. თავის ნოშრევანთან იყო ის სიზმარში, ხოლო ნოშრევანი მეფე იყო დიდებული ბრწყინვალე; თვისი სიჭაბუკეც, გვირგვინიც, დიდებაც. საუნჯეც უთვალავი ფიანდაზად გაეშალნა მისთვის. მიეალერსა მადლიერი ვაჟკაცს, მიეხმატკბილა. აჰკრა მოყვარულ ქმარს გრძნობის ალმა და ძლიერად მიიზიდა მეუღლე. ქალი მიჰყვა მას, მაგრამ იგი ვაჟკაცი ნოშრევანი აღარ იყო, სხვა ვინმე იყო უცხო, უცნობი. შეჰკვივლა ქალმა, გაიბრძოლა, რომ განრინებოდა შეურაცხმყოფელს და თვალები ღია დარჩა გაწამებულს.

8

მეორე დღეს დაღლილი ადგა ქალწული სარეცელიდან. გუშინდელი ფიქრები გაურკვეველ სევდად დასწოლოდნენ მას და შეემძიმებინათ მისთვის ყოფა. დადიოდა ფერმკრთალი, უაზროდ მიმოიძვროდა; აღარ უღიმოდა ბაგე, აღარც რა ესიამოვნებოდა. კიდეც ნანობდა ეხლა, რომ ისეთი იშვიათი საქმე დაავალა ნოშრევანს. რაღად უნდოდა რაღაცა ჯილა?! ან რაღდა უნდოდა თუნდ ის აუარებელი სამკაული, რომელიც აქვს მას?! რაღდა უნდა თუნდ თავისი ქალწული თავი და თვით სიცოცხლე, თუ ნოშრევანს ვერ მოუტანს მსხვერპლად საოცნებოდ. თუ ვერ გაახარებს მას და ვერ გაიხარებს მისით?! არ უნდა თვით ბატონიშვილობა! რად უნდა, თუ წინააღმდეგება იგი მის ბედნიერებას?!
- უფალო ყოვლად ძლიერო! მომეც ძალა, უარვეყო ყოველივე: შარავანდედი დიდებისა, ნება დიდებულ მშობელთა, მისწრაფება ჩემის ზვიადის ბუნებისა და თავი შეესწირო სიყვარულს, ავუსრულო წადილი მხოლოდ გულს!

ამაოდ ლოცულობდა ქალწული: თითონვე ირყეოდა თავის მისწრაფებაში, მსხვერპლად ჰხადოდა ტრფობისკენ მიხრას, თითონვე ჰგრძნობდა, რომ ბოლომდინ არ გაჰყვებოდა თავის გულს, საძირკვლიდგანვე შერყეული იყო მისი ნებისყოფა, მის მედიდურობის სიმძიმეს დაეზარა და დაერღვია იგი საძირკველი და როგორღა ამოშენდებოდა მასზედ გოდოლი ბედნიერებისა?!

ქალის ანგარიშით ნოშრევან ხუთ-ექვს დღეზედ უნდა დაბრუნებულიყო: კარგა გზა იყო ნაქალაქევამდინ, სადაც მაშინ დროებით იმყოფებოდა დადიანის სახლობა. მისვლის უმალვე ვერ გამობრუნდებოდა ბატონიშვილისაგან გაგზავნილი თავადი, არ გამოუშვებდნენ, ერთ-ორ დღეს მაინც განუსვენებდნენ; მაგრამ ეს მოლოდინი ისეთი სასიხარულო აღარ იყო ქალისათვის: ეკრძალებოდა ნოშრევანისა, სცხვენოდა. რომ რყევამი იყო ეხლა მის შესახებ: ხან ნანობდა კიდეც, რომ დაუახლოვდა ვაჟკაცს; მაგრამ მეორე ხანს გული გაიბრძოლებდა, ისეც დასთრგუნავდა უკაცურ ჰაზრს, კვლავ იჰყრობდა ქალის არსებას და სასიხარულოდ მიჰხრიდა ჭაბუკისაკენ.

მეხუთე დღეს მოვიდა ნოშრევან და მიათვა ქალს ძვირფასი სამკაული. გამარჯვებული მოვიდა იგი და მხიარული. ისე იყო ეშხით აღსავსე, ბედნიერებით აპირთავებული, რომ მისმა სიახლე ისეც გაიტაცა ქალი, დაავიწყდა მას ყოველივე სხვა მოსაზრება, გაუფანტა გულიდან აჩრდილი ბოროტისა. როგორც განფანტოს წყვილი ამომავალმა მზის სხივმა.

- ეჰ, რასა ვზრუნავ და ვდარდობ?! ნოშრევან თითონ მოახერხებს ყველაფერს და მოაწყობს მომავალს; ვუყვარვარ და თვით გამიკაფამს გზას ცხოვრებისას, - გაიფიქრა მადლიერმა.

და გამხიარულდა. მაგრამ შეეყვარებული ყმაწვილის თვალმა, თუ ალღომ, მაინც შენიშნა ქალწულის თვალებში სულიერი ბრძოლის კვალი და შეჰკრთა. გაუბედა, შეუძლოდ ხომ არ ბრძანდებო. ქალი ერთს წამს დაიბნა, თვალი ველარ გაუსწორა ვაჟკაცს და უხერხულად მოიხადა მადლობა ყურადღებისათვის. ამ მცირე შემთხვევამ ჩრდილი მიაყენა ჭაბუკის მოცინარე გრძნობას, პირველი ჩრდილი გაკაშკაშებულ გულზე. შემდეგ გამრავლდნენ იგი აჩრდილნი, გამუქდნენ, შეერთდნენ და დაჰფარეს სინათლის მოტრფიალე სული ვაჟკაცისა განუჭვრეტელი წყვილიადით.

ჯიღა მართლა მოხდენილი აღმოჩნდა: ოქროს ზროების ბუნჯგალი იყო ბრწვინვალე, ნაზ ზროთა წინ დახრილ თავებზე ლალი ისხდა; სამ წყოზად იყო ზროები. თანისთანობით გადაშვებული; ძირს იგი ღეროები ერთდებოდნენ დაჩუქურთმული ოქროსავე მომხო ღეროში, რომელიც წინ დამშვენებული იყო ფაქიზად ნათელი დიდი ლალითვე. მწყობრად იყო თვალები შეხამებული, როგორც რამ ხმები ტკბილ ღიღინში და ყოველ განძრევაზედ ირხეოდნენ ნარნარად, კრთოდნენ, ციმციმებდნენ. დადიანის ქალს სამეგობრო უსტარიც მოეწერნა თინათინისთვის.

გურიელი ჩააფიქრა მის ნებადაურთველად მომხდარმა ამბავმა, მაგრამ მალე იგრძნო, რომ ამასაც სასიკეთოდ გამოიყენებდა იგი და თვალი აარიდა ქალის თვითნებობას.

- სწორედ არ მოგცემდი ნებას დადიანის კარს კაცის გაგზავნისას, თუ გამეგო: მტრად ვართ გადაკიდებულნი და შეიძლებოდა რამე შეურაცხება მიეყენებინათ დესპანისათვის, - ბრძანა მან.

- რა ბრძანებაა?! დადიანის სასახლეში მაგას თავის დღეში არ იკადრებდნენ: ზრდილობა ნებას არ მისცემდა მათ, - სთქვა მამიას მეუღლემ.

- ან რა დროს მტრობის გახსენება იყო: სახელმწიფო საქმისათვის ხომ არ გავგზავნე კაცი, კერძო დავალება მივანდე ბატონიშვილთან, - მიუგო თინათინმა.

- მაგას კი არ დაგიდევდა დადიანი! მაგრამ ეხლა ძალა ჩემსკენ არის და კიდევაც იამებოდა ჩემი კაცის ხლება, - სთქვა ბატონმა და ცნობისმოყვარეობით დააკვირდა ნოშრევანს:

- ქალის ბრძანებას ემორჩილები ჩემს კარს და არ კი მატყობინებ!

- მზეთუნახავის ბრძანება გაუტეხელია, ბატონო, და არც გაიცემა მისი სიტყვა!

- კარგი, მაგრამ არ გეშინოდა, დაედევნებინა დადიანს შენთვის ბიჭები და წაერთმიათ სამკაული? იტყოდნენ, უხეირო კაცი გამოგზავნა გურიელმაო.

- ეგ კი ვიფიქრე, ბატონო! ჯერ შარაგზით მოვდიოდი ვითომ გულდინჯად და რომ მივეფარე თვალთაგან, დავუხვიე ჭალებისა და ჭყვანტებისაკენ, სულ საცალფეხო ბილიკებზე ვიარე; რიონში ცურვით გამოველ, იმისთვის შემვიგვიანდა.

უამა გურიელს მოხერხებული ქცევა, გაილიმა, სიამოვნებით შეხედა მარჯვე რაინდს.

9

დაიბარეს ოსტატი და დაავალეს სწორედ იმისთანა ჯილა გაეკეთებინა, როგორც მოართვა ქალს ნოშრევანმა. მხოლოდ ლალის მაგიერად ზურმუხტი უნდა ეხმარა, რადგან ეს პატიოსანი ქვა უფრო მოსწონდა ქალს.

- ვინძლო სწორედ ესეთი ხელოვნება გააკეთო! მაშინაც შესაფერი უნდა იყოს ნივთი ბატონიშვილისათვის, როდესაც კახეთის დედოფალი შეიქმნება იგი და უთვალავი საუნჯე ექმნება ხელში, უბრძანა გურიელმა.

მამის სიტყვამ უკბინა ქალს და შეაკრთო. ნოშრევანს ფერი ეცვალა და თვალი რეტად მოავლო იქ მყოფთ. დიდმა ქალბატონმა ცნობის მოყვარეობით შეჰხედა ქმარს და თვალი თვალში გაუყარა. ხმები თინათინის კახეთში გათხოვებაზე წინადაც იყო გავრცელებული, მას შემდეგ, რაც მამია დაბრუნდა ქართლის ომიდან; თავის საბოლოო ცდა კი ამ საქმეზე საიდუმლოდ დაიჭირა გურიელმა, არავის არ გაანდო იგი, გარდა მეფე ბაგრატისა, რომელსაც სთხოვა შუამავლობა: ამაყი კაცი იყო, ზვიადი და თუ გადაწყვეტილი უარი მოსვლოდა კახეთიდან, შეურაცხყოფად მიიღებდა მას, ვერ აიტანდა საჯაროდ. ეხლა კი შეეძლო უკვე ფარდა აეხადა ამ ამბისათვის: ცნობა ჰქონდა, რომ ლევან მეფის კაცი მოახლოვებოდა მის სამფლობელოს, დღე-დღეზე მოვიდოდა და სრულ თანხმობის ამბავს მოუტანდა.

მოვიდა დესპანი კახეთის მეფისა, ლევანს საბოლოოდ მიეღო მამის წინადადება, მოსწონდა მისი ჰაზრი სახელმწიფოს შესახებ და ყველაფერზე თანხმობა განეცხადებინა.

- „დარწმუნებული ვარ, ეს კავშირი განამტკიცებს ჩვენს ხელმწიფობას და წარმატების გზაზე დააყენებს ჩვენს სახელმწიფოებს“, - სწერდა ლევანი სხვათა შორის.

უამა გურიელს, რომ სასიძო ხელმწიფედ იხსენიებდა მას, ხოლო მის სამფლობელოს სახელმწიფოდ. ლევანი სავსებით მიუხვდა გულის ნადებს: ამ გულის ნადებზედ იყო შეთხზული და ამოშენებული კახთ ბატონის უსტარი სასიძამროსთან. ლევან მეფეს ნიშანიც უკვე გამოეგზავნა ქალისთვის, სადედოფლო ბეჭედი, მარტივი რამ ნივთი ჩნდა, ერთადერთი თვალი ეჯდა ბრილიანტისა, მაგრამ იგი თვალი ფასდაუდებელი ჯავარისა, ელვარებისა და მოყვანილებისა იყო, იშვიათის ბრწყინვალეებისა. ერთ სამეფო გვირგვინადა ჰღირდა ეს სადედოფლო სამკაული.

ეხლა კი მივიდა თინათინ იმ სამზღვართან, სადაც თავდება გზა უზრუნველის და გულუბრყვილო ქალწულობისა, სავალი უმანკო ნორჩობისა, მოყვარულ მშობელთა მზრუნველის ხელით გაყვანილი და ვარდ-ზამბახით მოფენილ

- დამშვენებული. ეხლა კი იწყობოდა ნამდვილი გზები საკუთარის ცხოვრებისა. ორი გზა მიემართებოდა აქედან ტრიალ მინდორზე, მარჯვნივ და მარცხნივ და თანდათან ჰშორდებოდნენ იგი გზები ერთმანეთს, იკარგებოდნენ თვალუწვდენელ სივრცეში. გზათა დასაწყისში ამართული იყო მარმარილოს სვეტი და ზედ ამოჭრილი წარწერა რამ საიდუმლო.

ქალი შესდგა სვეტთან, ჩააკვირდა წარწერას, მაგრამ ვერ ამოიკითხა: ბუნდი იყო იგი წარწერა მის თვალთათვის, მქრალი, გაურკვეველი. აღეძრა ცნობისმოყვარეობა უსამზღვრო, დაჟინებით ჩააჩერდა დაწერილს, ჰსურდა თვალის ისრით განეპო ბნელი და განეჭვრიტა წარწერაში აღნიშნული იდუმალი სვლა მომავლის თვისის ცხოვრებისა, მაგრამ ამაოდ! დაიქანცა ქალი, სასოწარკვეთილებას მიეწურა გაწამებული. მაშინ განათდა სვეტი მარცხნივ წითელი რამ სინათლით და სისხლის ფერმა ნათელმა ცხად ჰქმნა ასოები. ეწერა:

„გზა დიდებისა არს ესე, სავალი რჩეულთა! წახვალ მარცხნივ და შეიმოსამ ძალს ქვეყნიურს, განირთხმინა შენთ ფერხთ ქვეშ ათასნი და ბევრეულნი, მოგეზღვნის საუნჯე უთვალავი, შარავანდედი ძლიერებისა გარემოიცვავს თავსა შენსა და იბრწყინვალეbs სახელი შენი ჟამთა დენაში!“

გააყოლა ქალმა თვალი გზას. რა კარგი იყო, მხიბლავი, ბრწყინვალე! ძვირფასი ქვებით მოოჭვილი, ოქროს სვეტებით გარს მოჯრილი, სუნნელებით ნაპკურები, სუნნადსუნნელით! ელოდდნენ მას გზაზე ეტლნი და ჰუნენი, ქალწულნი და ყრმანი მსახურებად განმზადებულნი, რაინდნი შესაზარნი მცველად მოსულნი, ხოლო საშუალ მათსა ვაჟკაცი გვირგვინოსანი, მის თანამგზავრი ცხოვრებაში. მშვენიერი იყო იგი მეფე-ვაჟკაცი, გარნა, ახ! გული არ უცემდა: ცივი იყო თინათინისთვის მისი გული; უძრავი, გაყინული. და მოესმა ქალს ხმა მკვეთრი:

„იხილე გზა ცხოვრებისა შენისა და თანამგზავრი შენი: იარე!“.

მკრთალი რამ ნათელი შეეფინა სვეტს მარჯვნივ და ქალმა ოდნავ გაშუქებულ ნაწერში ძლივს გაარჩია სატყვები:

„სიყვარული მარტოოდენ, მხოლოდ სიყვარული!“.

გაჰხედა ქალმა გზას მარჯვნივ და ეკლიანი იყო იგი, ვიწრო, ბინდით მოცული, ძნელად სავალი. და შორს, ძლიერ შორს მოჩანდა სევდიანი სახე შავით მოსილის ნოშრევანისა. მიუპყრო ქალმა ყური და მოესმა ძგერა გულისა, კვნესა მწარე ნოშრევანისა გულისა.

დაისახა აწ ქალწულის წინ ცხოვრება ერთის მხრივ ნოშრევანის სახით და ეს სახე უხაროდა გულს, მის ხილვაზე ვარდისფერად ნათდებოდა იგი, გარნა დამცინავი გონება პირს უკუიქცევდა გესლით სავსე ღიმილით იღიმებოდა. მეორე მხრივ დაესახა ქალწულს ცხოვრება მეფე ლევანის სახით, რომელი იყო მფლობელი მთელის კახეთისა, რომელი ხელს იწვდიდა მთელი საქართველოს გვირგვინისაკენ, ბაგრატიონთა გვირგვინისაკენ, ზეცით მონაღებისა. და ამ დიდებული სახის ხილვით თავს ამაყად სწევდა მალა ცივი გონება, ყელს იღერებდა, მიმოიხედდა

თავმომწონედ, მედიდურად, ხოლო გული იჩრდილებოდა, იძირებოდა კაემნით შემძიმებული.

ირყევოდა ქალწულის ნებისყოფა ამ ძალთა შორის, უღონოდ გადადგადმოდიოდა. მით უფრო მწარდებოდა ქალის ყოფა, რომ იგი გრძნობდა თვის არსების სიღრმეში, რომ თანასწორნი არ იყვნენ ეს ძალანი: განყენებული მსჯელობა სძლევდა გულისკვეთებას. იცოდა ქალმა, რომ მკვეთრი ხმა გოროზის სატანაილისა თანდათან იმატებდა, მისი კარნახი თანდათან გაძლიერდებოდა და ბოლოს მთლად დაჰფარავდა საწყალი გულის კვნესას. მაშინ წაესწრაფებოდა ქალი გვირგვინოსან თანამგზავრისაკენ და დაჰშორდებოდა ობლად მდგომ ნომრევანს. მთლად განშორდებოდა. მეტადრე დღისით გრძნობდა ხოლმე ქალი ამას, როდესაც ცხოვრების სინამდვილე უფრო ცხადად მოსჩანდა, ხოლო მსუბუქ ოცნებას ეკვეცებოდა ფრთა ჭრელი.

ან კი რა უნდა ექმნა ქალს და როგორ აჰყოლოდა თავის გულს? განა შესაძლო იყო დაეთმო დიდება, სიმდიდრე, ფუფუნება, უფლება და პატივი განგებისაგან მისთვის მინიჭებული! განა შესაძლო იყო დამცირებულიყო, დამდაბლებულიყო, დასწორებოდა იმათ, ვინც ეხლა ესე დაბლა იხრიდა თავს მის წინაშე და შეჰნატროდა მის ყოფას?! ხომ ყველა დამცინავის ღიმილით დაუწყებდა მას მზერას, ყველა აგრძნობინებდა მას, რომ ის არაფრით მეტი აღარ იყო მათზე.

მამის ნებით რომ იჭერდეს თავის საქმეს, კიდევ არაფერი; მამა შესძლებდა დაეფარნა ქალი დამცირებისაგან. მაგრამ მის უნებლიეთ ხდება საქმე, მისგან იდუმალ და იგიც წინ აღუდგება ქალს, შეიძულებს, ყურადღებას აღარ მიაქცევს; იქნება განზრახ დაამდაბლოს კიდევ იგი, რომ აგრძნობინოს უაზრობა თვისის ქცევისა; იქნება მთლად განრისხოს და განდევნოს იგი; იქნება კიდევ მოაშთობინოს საწყალი ნომრევან ოჯახის დამცირებისათვის. ვინ იცის? ყოველივე მოსალოდნელია მისგან და შესაძლებელი.

მართალია, უყვარს თინათინი ნომრევანს. გაგიჟებით უყვარს, მაგრამ ლევან მეფესაც მოსწონებია ქალი, მხოლოდ სურათის ნახვითაც კი შეჰყვარებია, თორემ რად დასთანხმდებოდა ესე ჩქარა. მერმე, თურმე, მთლად ახალგაზრდაა მეფე! ნომრევანის ხნისა ყოფილა, ნომრევანსავით გულადი და შემმართებელი. ხმალიც თურმე ისევე მარჯვედ უჭირავს, როგორც სკიპტრა: თვითონ მიუძღვისო ომში თავის ლაშქარს. რას ეგვანება უარი რომ უთხრას ქალმა?! მაშინ უნდა გააწბილოს მამაც დიდებული, მეფეც ახალგაზრდა, რომელსაც ნიშანი უკვე გამოუგზავნია; თითონაც მიწამდის უნდა დახაროს თავი, ყველა გააკვირვოს თავის მოუფიქრებელი ქცევით. ეს ყველაფერი უნდა მოიმოქმედოს მხოლოდ თვის სურვილის აღსასრულებლად, თვის ჟინის მოსაკვლელად. როგორ შეიძლება?! რას იტყვიან?!

- მაგრამ რომ ძალიან მიყვარს ნომრევანი, რომ აღარ შემიძლიან უიმისოდ ყოფნა! იმასაც ხომ ძალიან ვუყვარვარ, თაყვანსა მცემს ბეჩავი. თავს მოიკლავს უჩემოდ: ვიცი მისი გულის ამბავი. რა ტკბილი იყო მისი კოცნა! ცეცხლის კვალივით არის ამწვარი მისი ნაკოცნი! - სთქვა ქალმა და ხელი მოისვა ლოყაზე, თითქო მართლა ხელშესახები ყოფილიყო აღტაცებულის კოცნის კვალი წაუშლელი.

კახეთიდან მოსულმა კეთილმა ამბავმა ვერავინ გაახარა გურიელის კარს. ისე დააღონა მისი სასახლე, თითქო სურვილის აღსრულებისა და გამარჯვების ამბავი კი არ მოჰსვლოდათ, არამედ გაცრუებულის იმედის მომტანი ყოფილიყოს ლევან მეფის დესპანი.

ბატონიშვილი თინათინი შეაკრთო და მძიმე საგონებელში ჩააგდო ამ ამბავმა. იგი ხმას არ იღებდა, განმარტოებას სცდილობდა. ოცნება უსრულდებოდა ქალს, დედოფალი ხდებოდა, მხნე და ჭკვიან ახალგაზრდა მეფის მეუღლე, არკი უხაროდა: გული შეეკუმშა და ასტკივდა, როცა ცხოვრებამ პირდაპირ მოითხოვა ქალისაგან ნოშრევანის უარყოფა, სანეტარო გულისთქმის დატოვება, ამთავითვე მხოლოდ უგულო დიდებისა და განცხრომის კვალზე შედგომა და დამორჩილება. გაუცხოველდა ეხლა ქალს თავისი პირველი სიყვარული და ბედს უწყრებოდა განაზებული, რომ არ შესძღვნა მას ხვედრი, ყველა მისწრაფებათა დამაკმაყოფილებელი. მის იღბალს უთუოდ უნდა შეერთებინა ლევანი და ნოშრევანი, ერთ სარაკო ადამიანად ექმნა იგინი და მიემღვნა ქალწულისათვის. აკი აქამდის ყველა მის სურვილს უნაკლულოდ ასრულებდა მორჩილი ბედი, აწ რაღა დაემართა?! ან ნოშრევანი უნდა ყოფილიყო მეფე თუ მემკვიდრე სამეფოსი, ან თვით ლევან მეფე უნდა ყოფილიყო ნოშრევან გულწარმტაცი, საყვარელი, სასიყვარულო, რასა ჰგავს ეხლა? არც ერთი მისი მოტრფიალე არ არის სავსებით სრული!

- ჩემს ნოშრევანს აკლია ლევან მეფობა და დიდება მისი, ხოლო ჩემს მთხოვნელ ლევან მეფეს არ დაჰყოლია საამო მიმზიდველობა ნოშრევანისა. იქნება ღირსი არ ვიყავ სრულის ბედისა?! იქნება ვიზედმე ნაკლები ვარ ქალობით თუ დიდებით?!

დაღონდა ბედის მომდურავი, გარნა მასთან ბრძოლის ვერ შემძლე თინათინი, მოდუნდა, სიცოცხლის ეშხი დაჰკარგა, მოქმედების ხალისი ჩაუჭკნა, თვითმოქმედების ძალა ამოუშრა; აჩრდილად რადმე გარდაიქმნა ქალი უსიცოცხლოდ.

დიდ ქალბატონსაც არ უამა ეს სასიამოვნო ამბავი. სასიძოს არ იწუნებდა იგი; ამ მხრივ მისი ოცნება სავსებით იყო დაკმაყოფილებული, რადგან უკეთესს იღბალს ქალისათვის თვით მოსიყვარულე დედის გულიც ვერ ინატრებდა. ვერც ქმარს უწუნებდა მოსაზრებას თუ შორს გამჭვრეტელობას. ისა სწყინდა მას, რომ ამისთანა სამძიმო საოჯახო საქმეში გადამწყვეტი ნაბიჯი უკანასკნელი მხოლოდ თვისით დაეჭირა ვაჟკაცს, მის დაუკითხავად.

- როგორ შეიძლება?! ქალს ათხოვებენ, დედამ კი არ იცის! მკვდარი ვარ თუ?! რითი დავიმსახურე უნდობლობა? იქნება რომელიმე საიდუმლო გავეცი, ან ხელი შევუშალე კარგი ჰაზრის განხორციელებას, ან უთავბოლო რამ რჩევა მივეცი როდისმე. ძალიან-გაზვიადდა მამია, აღარავინ ჰგონია თავისი სწორი, აღარავის რჩევას არა სთვლის საჭიროდ, თვით მეუღლის რჩევასაც კი, - ამბობდა ქალბატონი და ზედ აღარ უყურებდა ქმარს.

- რა გულზე მოდიხარ, შე ქალო ან რა დროს წყრომა არის? არ თუ მოგწონს ჩემი არჩეული სასიძო, ან იქნება უკეთესი გყავდა შეთვალაიერებული.

- თუ მყოლოდა ვინმე არჩეული, შენც კი გეცოდინებოდა: ოჯახის საქმეში ცოლ-ქმარი, ვგონებ, ერთმანეთის კითხულნი უნდა იყვნენ, ყმაწვილო!

ნოშრევანის მდგომარეობა ხომ მთლად აუტანელი შეიქმნა. მას ის კი არ უკვირდა, რომ ბატონს ეფიქრნა თავის ოჯახზე და მარჯვედ მოეგვარებინა საქმე: ეს ბუნებრივი იყო და სასახელო; არც ის უკვირდა, რომ ბატონმა არ გაუზიარა მას თვისი დაწყობილება, არ მიიხმო იგი სავეზიროდ: მართალია, იგი თანაზრდილი იყო თინათინისა და თითქმის წევრი მამიას ოჯახისა, მაგრამ მაინც უცხო იყო, სხვა, და რად გაუზიარებდნენ სახლის საიდუმლოს ნოშრევანს ის უკლავდა გულს, რომ ქალმა მაშინვე უარი არა სთქვა გადაწყვეტილი და რყევა დააწყო; თითქო არ იცოდა, რა პასუხი უნდა მიეცა მამისათვის ერთადერთი და მტკიცე.

- სჩანს ქალის გული არ არის სავსებით სავსე, რაკი არ იწყინა იგი წინადადება, უარი არა ჰყო გადაჭრით! ყოვლად შეუძლებელი იყო სხვანაირად მოქცევა: აბა ჩემთვის შემოედლიათ თუნდ კეისრის ქალი მზეთუნახავი და საბრძანებელიც კეისრისა, თუ ერთ წამს დავფიქრდებოდი და უარს არ ვიტყოდი საბოლოოვს. ის კი ყოყმანობს! სჩანს. წრფელი არ ყოფილა მისი სიყვარული, არც ძლიერი.

- ან კი რა გასამტყუნარია! ვინ მე, ვილაც უთვისტომო თავადიშვილი, ვინ დიდი გურიელის ქალი, მზეთუნახავი! მაგრამ ის გულის გადასხნა უბრყვილო, ის აღთქმა, ის კოცნა? ეჰ, მხოლოდ ყმაწვილური გატაცება ყოფილა იგი უხანო, ჟინი რამ წამიერი.

და გაცრუებულმა იმედმა წელი მოსწყვიტა ჭაბუკს, მოადუნა, დაშრიტა მისი მძლავრი ძალა.

- იქნება დანამდვილებითაც იცოდა ქალმა თავისი მამის გადაწყვეტილება და თანახმა იყო მისი, ჩემთან კი მხოლოდ თამაშობდა თავს ირთობდა. შეექცეოდა; არ დაგიდევდა გულცივი, რომ იგი მისი გართობა მომაკვდინებელი იყო ჩემის გულისა, ჩემის სიყრმისა...

- არა! განა შეიძლება მაგისთანა სიბოროტემ დაისადგუროს მისთანა უმანკო ქმნილებაში?! ყოვლად შეუძლებელია! შეგირცხვა, ნოშრევან, ვაჟკაცობა, რომ ერთ წამს გაიფიქრე ეგეთი აუგი შენს სატროფოზე: ვერ გქონია წმინდა გული, ვერ ყოფილხარ ღირსი იმ უმანკოსი. ეგრე რომ ყოფილიყო, აღარც დააყოვნებდა ქალი და სიხარულით განაცხადებდა თავის თანხმობას. აგერ მეორე დღეა, რაც დესპანი აქ არის, ქალს კი ვერ დააჰხწიეს პასუხი: ალბად არის ძალა, რომელიც აფერხებს მის თქმას და გადაწყვეტილებას.

ეგონა ნოშრევანს, რომ ქალი აგერ მიიხმობს მას იდუმალ, განუზიარებს თავის ვულისთქმას და მისცემს ჰაზრს მოქმედებისას! მაგრამ გადიოდა დრო და ქალის მხრივ კი არაფერი ამბავი არა სჩანდა. არ იცოდა ჭაბუკმა, რომელ გზას დასდგომოდა ან რა მოეგვარებინა: ქალის უნებურ საქმეს ხომ ვერ დაიჭერდა. მისი სურვილის წინააღმდეგ ხომ ვერ წავიდოდა ხელქმნილი?!

არც თითონ ბატონი გურიელი იყო უკეთეს მდგომარეობაში. ცოლის წყრომა კიდევ ესმოდა: უნდობლობა განუცხადა მას და გაახელა. მაინც ადვილი მოსაგვარებელი იყო ეს: ეტყოდა. რომ სახელმწიფო საიდუმლო იყო აქ ჩარეული, მოუალერესებდა, გულს მოუგებდა დედაკაცს. გურიელს ის აწუხებდა, რომ ქალი უსიამოვნოდ შეეგება ამ სასიამოვნო ამბავს, ცივად, თითქმის უარით. ვერ გაიგო, რით იყო გამოწვეული მისი გულგრილობა. ნუთუ მეტს ბედს ელოდდა მისი ქალი?! სად უნდა ეპოვნა უკეთესი საქმრო?! სხვა მიზეზს კი ვერ ჰხედამდა მამია. არც ეძებდა. ჰაზრადაც არ მოსდიოდა, რომ მისი ქალი გულს შეაწყობდა რომელსამე მის ყმას თუ ქვეშევრდომს და თავს დაიმდაბლებდა.

ნოსრევანას დაღვრემილმა სახემ და სიჩუმემ ხომ მთლად გააცოფა ბატონი. ნეტა თუ რამ ჩაუთხრა გული ამ ხალისიან ყმაწვალს, რამ ჩააჩუმა? ლამის აგრძნობინოს შორით მოსულ სტუმრებს სასახლის უგემურობა. იმას რაღა საქმე აქვს მათ საოჯახო საკითხთან, ან რა კავშირი?!

დრო კი აღარ იყო არც რისხვისა, არც გულისწყრომისა, არც თუ მხილებისა. ყოველივე მოთმინებით უნდა გადაეტანა ბატონს, არაფერი ეგრძნობინებინა სტუმრებისათვის: მხიარულად უნდა ეჩვენებინა თავიც, სასახლეც. ბოლმა კი ყელში აწვებოდა, მზად იყო გადმოეხეთქნა ზავთს და წაელექა ყოველივე. გულში იტრიალებდა რისხვას გულმოსული ბატონი. ყველგან სარისტას აძლევდა, ყველას და ყველაფერს სიმხიარულის ელვარებით ჰღებავდა. მარტოდმარტო ახერხებდა ამას, უმეშველოდ, უმწეოდ. ომში არ დასჭირებია მამიას იმოდენა გამჭირახობა, მოთმინება, მოსაზრება და მხნეობა. როგორც სჭირდებოდა ეხლა მას თავის ციხე-დარბაზში.

ლევან მეფის წიგნი მოართვა გურიელს თავად ქაიხოსრო მაყაშვილმა. შუახანს გადაცილებული კაცი იყო, ხშირ ჭადარა შერთული, მსუბუქი ტანისა, ხმელ-ხმელი. წვერი მოპარსული ჰქონდა, უღვაშები ძირს დაშვებული. შუბლზე და საფეთქლებზე თმა გამოჰფენოდა კალმუხის წოწოლა ქუდიდან. მუქი ტანისამოსი ეცვა უბრალო. არცერთი ვერცხლის ფოლაქი არ ეკერა მის იარაღს თუ ქამარ-თასმას. წყნარი ქცევა ჰქონდა - ზრდილობიანი. პირველი შეხედვით არავითარ განსაკუთრებით შთაბეჭდილებას არ ახდენდა იგი ადამიანზე, მხოლოდ მისი ჰკვიანი თვალები უნებლიეთ იპყრობდნენ ყურადღებას: წყნარი რამ სხივი გამოკრთოდა მის თვალთაგან, მომწვანო; იგი სხივი აციაგებდა საგანს, რომელს მიეპყრობოდა, გარს ეხვევოდა მას და თავისკენ იზიდავდა ძლიერად. ეს იყო განთქმული ვეზირი ლევან მეფისა, კაცი აუღელვებელ-აუჩქარებელი, ღრმად მომფიქრებელი და ფრთხილი, ლევანის კარს დიდი პატივი ჰქონდა ამ კაცს დამსახურებული და სიყვარული.

სხვა მისი ოთხი თანამგზავრი ყმაწვილკაცები იყვნენ ახოვანნი, ვეფხვივით მოქნილნი, ლომივით მწყაზარნი და ამაყნი. სკლატ-ხავერდში ისხდნენ სხვადასხვა ფერში, ოქრო-ვერცხლით თუ თვალ-მარგალიტით ჰქონდათ მოჭედული საჭურველ-სამკაული, პირს ღიმი გადაჰფენოდათ, სრული უდარდელობა თუ უზრუნველობა გამოსჩანდა მათ თავისუფალ მიხვრა-მოხვრაში და სიტყვა-პასუხში. ამათ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინეს ყველაზე, მეტადრე კეკლუცთა კრებულზე. ვინ მათგანი

არ მიაპყრობდა ნდომის თვალს ამ ალვის ხესავით ლაღად ასულს და მშვენიერ ყვავილებად გადაფურჩქვნილ ჭაბუკებს?!

გურიელმა მიუჩემა მათ საუკეთესო ბინა და საგანგებო მსახურნი თუ შემაქცევარნი; მეფურად განუსვენა მათ. ქალის ნახვა და დარბაზობა მესამე დღისათვის დაინიშნა. უფრო ადრე შეიძლებოდა დარბაზობა, მაგრამ უნდოდა ხანი მოეგო, რომ განეფანტა ის უსიამოვნო ბურუსი, რომელიც ჩამოწვა სტუმართ მოსვლისთანავე მის ოჯახში და სევდის რამ იერი დასდო მას.

მესამე დღეს გამართა გურიელმა მეჯლიში და საჯაროდ გამოაცხადა თავისი ქალის დანიშვნა კახეთის მეფე ლევანზე. ბევრი ხალხი არ იყო სასახლეში, გარნა საუკეთესო წარმომადგენელნი იყვნენ მისი საბრძანებლისა, ქალი თუ კაცი. ეს კოხტად და ფაქიზად გამოწყობილნი რჩეულნი, სიცოცხლით და მოძრაობთ სავსენი. დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ახდენდნენ ადამიანზე. ძალიანაც მოეწონათ იგინი კახელებს.

გამოიყვანეს თინათინი. წარსდგა წინ ქაიხოსრო, წარსდგნენ ცოტა ჩამოდგომით სხვა კახელებიც. მაყაშვილმა ერთს წამს მუშტრის თვალი გადაავლო ქალს, აწონ-დაწონა მისი ნაგებობა, ნაკვთი თუ ელფერი და სიამე გადაეფინა სახეზე. სხარტი ქალი იყო წვრილად ასული; მისი წელი მუჭაში დაიჭირებოდა: ცოტა სუსტი მოჩანდა მინაზებული, მაგრამ ეს იმითიც აიხსნებოდა, რომ ნორჩი იყო, ჯერ ისევ ჩვილი. ქაიხოსრომ თაყვანისცა ქალს, როგორც დედოფალს უკვე სამეფო ტახტზე მჯდომს და ხოტბა შესძღვნა მას: იმ თინათინს დაადარა ეს თინათინი, უკვდავ მშვენების და სათნოების განხორციელებას, გამოიღო უბიდან კოლოფი, ამოიღო ბეჭედი და ცალ მუხლზე დაყრდნობილმა ააცვა ქალს თითზე.

- სადედოფლო ბეჭედი გახლავსთ ეს: დიდებული ხელმწიფე კახეთისა ლეონ მოგიძღვნით ამ წინდს, ნიშანს სიყვარულისას - მოახსენა ქაიხოსრომ.

სხვა მოსულებმაც თაყვანისცეს დედოფალს და უკუდგნენ, ყველამ მიულოცა ბატონიშვილს. ქალმა უთქმელად მიიღო ბელგა, მის სახეზე არავითარი მკაფიო და განსაზღვრული გრძნობა არ აღიბეჭდა, არც სიხარული, არც სიმძიმე.

იქ იყო ნოშრევანიც. უნდოდა მოჰმორებოდა იქაურობას, გადაკარგულიყო სადმე, მაგრამ იდუმალი რამ ძალა იკავებდა, კიდე რაღაცა იმედი ჰქონდა: ვერ წარმოედგინა, რომ ქალი ესე უბრძოლველად უარჰყოფდა მას. გასწირავდა საბოლოოდ.

- იქნება სწორეთ ამ დარბაზობის დროს განაცხადოს თავისი გულისთქმა, ან მიბრძანოს რამე ისეთი, რომ მიიმართებოდეს ჩვენი საერთო სურვილისაკენ, - ფიქრობდა ვაჟი.

და გაჰკვირდა, მთლად გაოცდა, როცა ქალმა წარბმეუხრელად მიიღო ნიშანი და დედოფლური თაყვანისცემა. ეხლა კი მთლად მოესპო იმედი, დაუბნელდა თვალთ და გავიდა დარბაზიდან უიმედობის ზღვაში განუვალ-განუკვალავში.

თავის ოთახში იჯდა სევდამორეული ნომრევანი, როცა მხევალმა გადასცა უსტარი თინათინისა. ქალი უბრძანებდა, არსად წასულიყო, დასწრობოდა მეჯლიშს, არ დაეტოვებინა იგი ამ მისთვის ძნელს ჟამს. განცვიფრდა ვაჟი. უნდა შეეგნო ქალის ჰაზრი საიდუმლო, განეჭვრიტნა იგი გონების თვალთ, მაგრამ ვერ შესძლო. აღარც ეცალა საფიქრებლად: კვლავ ეპკურა იმედის ნამი უსასოქმნილს მის გულს ჩაშავებულს და გამოცოცხლდა იგი, კვლავ გაღაღანდა, სურნელოვან ყვავილად გარდაიშალა.

დაესწრო ნომრევანი მეჯლიშს. მოიმხიარულა. გულს დარდი ეგონა: ეგონა, ქალმა მოიფიქრა საკეთილო და რამე მტკიცე გარდაწყვეტილებას ამცნობდა მას, გარკვეულ გზაზე დააყენებდა. პირველში კიდევ განუცხოველდა ვაჟს ეს იმედი: შეატყო, მისმა სიახლოვემ გაამხნევა და გაამხიარულა ქალი. მაგრამ ბოლოს ისევ ასცდა მას ქალის თვალთა ისარი: აღარ მიჰხედა ქალმა მას, მთლად აარიდა თვალი დარცხვენილმა. ამან ისევ ჩაუქრო მას მხიარულობა, გაუგებარ მდგომარეობაში ჩააყენა იგი.

გაუგებარი კი არა იყო რა აქ: უკანასკნელ ნაბიჯის გადადგმის დროს ქალის გულმა ერთი კიდევ გაიბრძოლა ძალუმად; ამცნო, აგრძნობინა ქალს, რომ იგი თავის ტკბილ ბედს თავისსავე ხელით აშთობს და უკუაგდებს. ეს იმ ჟამს მოხდა, როდესაც სადედოფლო ბეჭედს უკეთებდნენ ხელზე. ქალმა მიიხედა ნომრევანისკენ, შენიშნა სასოწარკვეთილება მის სახეზე და ამ წუთს ისე ცხადად წარმოუდგა თვისი პირველი სიყვარული მრთელის თვისის სინაზით, ისე დაენანა იგი მისგანვე უარყოფილი საუნჯე, რომ გადადგა ეს გაბედული, გარნა უკვე მიზანშეუწონელი და უდროვო ნაბიჯი და მისწერა ჭაბუკს წერილი. იგი წიგნი უკანასკნელი მოძრაობადა იყო ქალის გრძნობისა ნომრევანისადმი მიმართული, უკანასკნელი გაშუქება ჩასაქრობად მიწურულ გრძნობათა ნაპერწკალისა. ქალმა აკი ბოლოს იგრძნო კიდევ მთელი ამოება თვისის მოქმედებისა, მაგრამ გვიანდა იყო.

იმედგაღვიძებული ნომრევანი რომ ამოუდგა სასახლეში კახელ სტუმრებს გვერდში, ისე დაამშვენა ისეც ეშხიანი მათი ჯგუფი, როგორც კოკობმა რამ ყვავილმა საუცხოვომ საგანგებოდ შეთხზილი თაიგული. იშვებდა და იხარებდა ნომრევანი ბედნიერი, ამაყად აელო თავი და ლაღად მიმოიძროდა. დედოფლის წერილი ედვა უბეში სანუგეშო და თავი ხელმწიფე ეგონა რჩეული, რა იცოდა, რომ ხავსს ეჭიდებოდა დაღუპვად განმზადებული, უკვე ძლეულის გრძნობისაგან მისკენ უღონოდ გადაგდებულ ხავსს! ქალის ზვიად სულში უკვე ჩამქვარ-ჩამკვდარიყო გრძნობა იგი ნაზი; უკვე უარ-ეყო მას ღმერთი ტრფობისა და შესდგომოდა ღმერთს ელვარეს დიდებისა, შესწირვოდა მას, თაყვანსა სცემდა.

- სრულებითაც არ ირჩევა ნომრევანი ამ ახალგაზრდებისაგან, არც ვაჟკაცური მშვენებით, არც ნარნარი ქცევით, არც სიმღერისა თუ ლაღობის უნარით! გარნა ვინ არიან ესენი? მხოლოდ მხლებელნი ლევან მეფის დესპანისა! ნომრევანიც მხოლოდ მხლებელია, ქვეშევრდომი.

რწმუნდებოდა ქალი, რომ მისი მამისაგან ბრძნულად არჩეული საქმრო სწორედ შესაფერი იყო მისი, ვინც თვით ღვთისაგან დაწესებულა დიდებულ დედოფლად მორჭმით მჯდომარე.

- მაშინ შენც დამშვიდდები. გულო ბეჩავო! მაშინ შენც მიჰხვდები, რომ ჭეშმარიტს სიტკბოებას, შენს შესაფერ სიამოვნებას მხოლოდ ზეამაღლებულ ტახტზე ჰპოვებ, ბრწყინვალე აღმატებით გარემოცული! - ანუგეშებდა ქალი გულს.

მაგრამ გულს ისრად ესობოდა ცივი ნუგეში და იკუმშებოდა დაღაზვრული. ცხადად ჰხედავდა იგი, რომ ნოშრევანის გარეშე არ არსებობდა მისთვის არც სიხარული, არც ნეტარება. ვაი, რომ ვერ გამოეთქვა საწყალს ის თვისი განცდა, ვერც ემცნო დიდებით თვალაბმულ ქალწულისათვის.

12

ყველა ეს ამბავი: ლევან მეფის დესპანის მიღება, ქალის დასახლება კახეთის დედოფლად, მეჯლიში და მხიარულება ამ ამბის გამო, ყოველივე ეს მოხდა ჯერ ისევ გაზაფხულზე გურიელის სრა-სასახლეში, ოზურგეთს. ამის შემდეგ გამობრძანდა ბატონი გურიელი თვის მეორე სასახლეში, ზღვის პირას. მაგრამ ალაამბარში მხიარულების ანგელოზი არ დასტრიალებდა გურიელის ოჯახს, გულჩათხრობილი იყო მთელი სახლი. ბატონიშვილი თინათინის მდგომარეობა ჯერ კიდევ გამოურკვეველი იყო და ეს იყო მიზეზი, რომ სასახლიდან განდევნილი იყო მხიარულება და ქალის წაყვანას, ამ საამო და სალხინო საქმეს ისე მოელოდნენ, როგორც სამძიმოს.

დიდი ქალბატონი აღარავის ემდურებოდა ეხლა, რადგან უკვე ჭკვაში დასჯდომოდა დიდებული სასიძო; იგი გულში კიდევ აქებდა თავის ქმრის მოაზრებულ ნაბიჯს და საქმის მოხერხებულად მოწყობას, ის მთლად შეჰრიგებოდა იმ გარემოებას რომ ეს კარგი საქმე. უიმისოდ დაიჭირეს. მაინც ხომ ყოველთვის მოწიწებით იხრიდა თავს თავის ქმრის ჭკვისა და გამგეობის წინაშე. მაგრამ თინათინი მაინც ვერ გაემხიარულებინათ: არ ისმოდა სასახლეში მისი წკრიალა ხმა. თუ სიმღერა, აღარ დაცქრიალებდა დარბაზებში, აივანზე, წალკოტში; აღარც თარს ახლო ხელი, კეკლუცად მოოჭვილ თარს კეთილხმოვანს; აღარც ტოლ-სწორი გაიკარა ახლოს; გული არ მისწევდა დაეთვალიერებინა თავისი მზითევი, მკერავი ქალები რომ ამზადებდნენ დიდის მხიარულობით და სიცილ-თქართქართ. სასიამოვნოდ კი დარჩებოდა ბატონიშვილს, რომ შეეხედნა ფართე ოდაში, რომელიც ეხლა სამკერვალოდ იყო გარდაქცეული: ნაირნაირი ფარჩა, ათასნაირი ბაბთები, ზონრები, ფუნჯები; ტაბაკებით მძივი, კილიტა, კნეთელი, თვალმარგალიტი, ველის ყვავილებივით გაფურჩქვნილი მკერვალი ქალები და მათი ლაღობა, ოხუნჯობა, ხუმრობა, ღიმილ-სიცილი. სწორედ სასიამოვნო რამ იყო, მიმზიდველ-გამახალისებელი: მაგრამ გული დაჰხუროდა თითონ დანიშნულს და ვეღარ ახარებდა მას ეს ყველაფერი, ვერც ასიამოვნებდა. გარეშენი კი ქალის უზომო სიამაყეს აწერდნენ ამისთანა მის მიუკარებელ ქცევას და სრულებითაც არ მოსწონდათ, რომ ესე მალე ხელმწიფურად გაზვიადებულიყო იგი.

- ძალიან ამაყად უჭირავს თავი, სწორედ მეფურად.

- აღარავის კადრულობს, აღარც არავის ყურადღებას აქცევს!

- თუ დიდი საუნჯე აქვს ი კათხა მეფეს, მაშ ის რაღა იყო, რომ ნიშანში მხოლოდ ერთი ბეჭედი მოართვეს.

- შე თვალდამდგარო! ის ერთი ბეჭედი თურმე ერთ ქალაქადა ღირს.

- აკი მოახსენა ლევან მეფეს ელჩმა, სადედოფლო სამკაულს მაშინ მოგართმევთ, წასაყვანად რომ გაიხლებითო. ეს მხოლოდ ბელგა გახლავსთ, დასტურის აღმნიშვნელიო.

- ახ, როგორ წყნარი და პატიოსანი კაცი სჩანდა ი მაყაშვილი!

- მე მასთან მოსულნი უფრო მომწონდნენ, მისი მხლებლები.

- სუყველანი?

- არა, მე იმას ავირჩევდი, წითლებში რომ იჯდა. რა ხმა ჰქონდა! ყურთა სმენა მომტაცა დალოცვილმა.

- მე კი მწვანით მოსილი უფრო მომდიოდა თვალში. ნახე, რა ბეჭედი ჰქონდა შავ ბიჭს! სწორედ, ამირანი იყო, შავი ღრუბლის მზგავსი.

- არა, გოგოჯან! ყვითლით მოსილი ყველას სჯობდა. ახ, როგორ მშვენივრად უღიმოდა ლურჯი თვალები!

- იასამნის ფერს რაღა უჭირდა? ნახე, როგორ მსწრაფლ დაიმორჩილა ბატონის მერანი. რომ შემოახტა და ლაგამს მოსწია, მთლად გასწურა ბედაური, აათრთოლა. ლომს უგვანდა მაჯა, ვენაცვალე!

- ნოშრევანს რაღა უჭირდა, ბეჩავ! არც ერთს არ ჩამოუვარდებოდა. სიმღერაში და სიმხიარულეში კიდევ დასჭარბა.

- აჯობა კი არა! რა ბრძანებაა!!

- მართლა და ძალიან მხიარულად იყო ნოშრევანი, სწორედ თავი მოიგიჟიანა.

- ეხლა კი დაღვრემილია. თავ-პირი ჩამოსტირის, კრიჭა შეჰკვრია, ერთხელაც არ გამოგვხედავს, არც გამოგვეხმაურება.

- ალბად სწყინს, რომ ბატონიშვილი უთხოვდება: ვისი რაინდიღა იქმნება ეხლა და ვისი მცველი?

ამბობდნენ მკერავი ქალები, ლაყბობდნენ, ქათქათებდნენ. ის კი არ იცოდნენ ენამოქარგულებმა, რა ცეცხლი სწვავდა საწყალ ნოშრევანს, რა ბარდებში გაბმულიყო ძნელ სავალში და როგორ უწყლავდა, ულახვრავდა მას გულს ეკალთა დასი. მაინც ეხლაც ისევ ვაჟკაცურად ეჭირა ჭაბუკს თავი: ყველაფერში ისევ ისეთს ერთგულობას იჩენდა დიდის ბატონის კარს, როგორც უწინ, ყველას წინანდებურად პატივსა სცემდა უკლებლივ, გარნა ამას ასრულებდა შეუგნებლად, უგრძნობელად, ჩვეულების ძალით: მისი გონება თუ ნებისყოფა მისჩერებოდა ერთ გამოურკვეველ რამ მოლოდინს საბედისწეროს, რომელსაც შეეპყრა და გაექვავებინა მისი არსება, იგი ელოდდა ქალის სიტყვას, თინათინის თქმას. რა იცოდა ბეჩავმა, რომ ბატონიშვილს

მასთან არაფერი აღარა ჰქონდა სათქმელი, სრულებით აღარაფერი! აი წელანაც, სანამ ბატონის მხლებლებს ჩაუდგა სათავეში, ჩვეულებისამებრ აირბინა აივანზე და ბატონიშვილს მისცა სალამი, რიდეს ფოჩი დაუკოცნა და თან თვალი მიაპყრო მოლოდინად გარდაქმნილმა. ქალი შეკრთა მის მიახლოებაზე, გარნა სიტყვა კი ვერ დასძრა, ვერაფერი უთხრა ვერც სანუგეშო, ვერც დასაწველი, ან რაღა ჰქონდა სათქმელი, როდესაც აპყლოდა ცხოვრების ძლიერ დენას, რომელიც მიაქანებდა მას უფულო დიდებისაკენ, იქით, სადაც უნდა ეპოვნა ბედისაგან მისთვის განმზადებული ბრწყინვალე შარავანდედი დიდებისა?!

აივნიდამ რომ ჩამოირბინა ნოშრევანმა, მას მუხლებზე მოეხვია შემრწუნებული მეჯინიბე გურიელისა და შესთხოვა დახმარება, რადგან უსათუოდ დაატყდებოდა ბატონის რისხვა, მაგრამ ნოშრევანმა მხოლოდ სიტყვებს მოჰკრა ყური, ვერ კი მიხვდა მათში ამონაკვნეს ძრწოლას: იგი სავსებით სავსე იყო თავისი საკუთარი სევდით და მის გარეშე სხვა რამ ვეღარ შეეგნო, ვერც გაეზომა.

13

ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ კიდევ მიჰმართა ქალმა ნოშრევანს, როგორც თავის ერთგულს და ერთადერთ მისანდობელ ადამიანს, უფრო მისანდობელს, ვიდრე თვით მამა იყო მისი ან ძმა. ჭაბუკმაც ისე მარჯვედ და მოსწრებულად შეუსრულა მას სურვილი, რომ სწორედ ასიამოვნა ქალწული.

თინათინისთვის მზითევს ამზადებდნენ საუკეთესოს: ცოტას, გარნა რჩეულს, სწორედ მეფურს და სადედოფლოს. სხვათა შორის საჭირო იყო მხევალიც, მოახლეები და მოსამსახურეები კი არა, - ესენი საკმაოდ იყვნენ, რადგან მათ ყმათაგან ირჩევდნენ ხოლმე, არამედ მხევალი ნაყიდი, ყურმოჭრილი, სწორედ საუცხოვო კი უნდა ყოფილიყო იგი მხევალი. უცხო ქვეყნისა, ძვირფასი, ძვირად ნაყიდი. ბატონს გურიელს დავალებული ჰქონდა სანაპიროების მცველთათვის არც ერთი ხომალდი არ გაეშვათ გაუსინჯავად და თუ ჰპოვებდნენ ამისთანა საგანგებო ტყვეს გასასყიდს, უთუოდ ეცნობებინათ მისთვის. მოახსენეს გურიელს: ქობულეთის ნავსადგურში ხომალდი მოვიდა ალექსანდრიიდან და სწორედ იმისთანა ქალი მოიყვანა ტყვედ, რომელიც გამოდგება სამზითვოდაო. იმ ერთის მეტიც აღარ იქნება საჭირო, ათს ქალსაც უდრისო.

გურიელმა გაგზავნა თავის მოლარეთ-უხუცესი, რომ გაესინჯა ტყვე და ეყიდნა კიდევ, თუ მოეწონებოდა. რომ გადასხნეს ჩადრი და მუშტრის წინ დააყენეს შიშველი ქალი, მოლარეთ-უხუცესი განცვიფრდა უნაკლულო სანახაობით და უნებლიეთ ხელი შეახო. მითომ უფრო დაკვირვებით გასასინჯად. ქალმა ზიზღით შეხედა კაცს და შეაჟრჟოლა მკერდიდან სურათ წვივებამდის, თითქო რამ ქვემძრომი შეეხოვო ლორწოიანი. სწორეთ ფოლადისაგან იყო ჩამოსხმული მთელი მისი ნორჩი ტანი, ნიჭით ცხებულ მექანდაკისაგან ჩამოყალიბებული. ექვსი კოლხიდური ტყვე მოითხოვა ამ ქალში სოვდაგარმა, ფული არ ინება. მოლარეთ-უხუცესს მოეწონა ეს წინადადება: ფულის გაღება მას ყოველთვის ეძნელებოდა, გასასყიდი ტყვეები კი კიდევ ჰყვანდათ: ომიდან მორეკეს იგინი და კიდევ დარჩენილიყო ხუთი. საჭირო იყო მხოლოდ მეექვსე ეგულვათ სადმე.

გურიელს რომ მოართვეს ქალი, მთლად კმაყოფილი დარჩა და ნასიამოვნები. მოღარეთ-უხუცესმა რომ მოახსენა მეექვსე ტყვეც უნდა ვიშოვოთო, ბატონმა არ გასცა მას პასუხი. მხოლოდ ისეთის გაკვირვებით შეხედა, რომ ვაჟკაცს ენა ჩაუვარდა მუცელში. ქალებსაც ძალიან მოეწონათ ტყვე. იგი კი კრთებოდა, თრთოდა, კუპრის მორევივით თვალებს აფეთებდა, ცეცხლს აკვესებდა.

- რათა აქვს ხელები შეკრული? - იკითხა ბატონიშვილმა თინათინმა.

- გამწარებულია, ბატონო, საშიში: სოვდაგრისათვის ყელში წაუჭერია დასახრჩობად, ზღვაშიც გადამხდარიყო ხომალდიდან.

ქალმა ბრძანა ხელები გაეხსნათ ტყვესათვის. მერმე მივიდა და რაღაც უნებლიეთი მოძრაობით ხელი გადუსვა ლამაზ თმაზე, რომელიც აპბურძგნოდა ბეჩავს. თვალცრემლმოსულმა ტყვემ მკლავი დაუკოცნა ბატონიშვილს. გურიელი დინჯად შეჰყურებდა ამ ამბავს, თან ყალიონს შეექცეოდა.

- ექიმბაშო! - შესძახა ბატონმა.

- აქ გახლავარ, მოწყალეო ხელმწიფევ!

- გასინჯე ტყვე! ავადმყოფობა ხომ არა აქვს რა, ან ნაკლი. ექიმმა გასინჯა ქალი, მაჯა უნახა, დაათვალიერა.

- თვით ჯანსალობაა განხორციელებული და სიმშვენიერე!

- რომ მშვენიერია, ამას ჩვენც კი ვხედავთ, შე კაცო, შენ ჯანმრთელობა მითხარ!

- შემინდეთ, ბატონო, ვერ მოვითმინე არ შემექო:

- კეთილი!

- შვილო თინათინ! ეს ნასყიდი ტყვე შენთვის მომირთმევია, შენი საკუთარი მხევალია, ყურმოჭრილი. ვერა მგონია თვით დიდებულმა კახეთის მეფემ, ჩემმა სიძემ, წუნი რამ დასდოს მაგას, უთხრა გურიელმა ქალს და მიუბრუნდა ექიმს;

- ექიმბაშო, აასრულე წესი და შეათაღე მაგ ქალს ყური! ხომ არ გაურჯულდება იარა?

- სამ დღეზე მოურჩება, ბატონო, სამ დღეზე! - მიუგო ექიმმა და გახსნა აბგა, სადაც საექიმო იარაღი თუ წამალი ჰქონდა შენახული.

ტყვე მიხვდა, რასაც უპირებდნენ და შეძრწუნდა. იგი მოეხვია ბატონიშვილს მუხლებზე და ვედრებით მიაპყრო მას თვალები.

- არა, არ შეიძლება! - შესძახა თინათინმა ექიმის მიახლოებაზე, - რახან ჩემია, ჩემს ნებაზე უნდა იყოს, როგორც მე მესიამოვნება. როგორ შეიძლება ამის დასახიჩრება!!

- არა, ქალო, ეგეთი კანონია და წესის შეშლა არ შეიძლება. ეგ მხევალია ნასყიდი და ყური უნდა ჰქონდეს მოჭრილი ამის ნიშნად! - ბრძანა ბატონმა და შუბლი შეიკრა.

- სჯობია მომკლა! - სთქვა ქალმა და ხელი გადააფარა ტყვეს თავზე.

- როგორ შეიძლება, ჩემო ბატონიშვილო და დედოფალო, მაგის დასახიჩრება! მაგრამ წესს მაინც ნუ მოვშლით: მე მხოლოდ წრეს შემოვავლებ ყურს უკან, ცოტა სისხლს გადმოვადენ და შესრულებული იქნება ჩვეულება, - მოახსენა ექიმმა ქალს.

- კი, ჩემო ხელმწიფევ, ესრე ემჯობინება! - მიჰმართა მან გურიელს და თვალი თვალში გაუყარა.

ქალმა შენიშნა ეს შეხედვა და ვერ ენდო ექიმს, მაინც არ მიუშვა იგი ტყვესთან. გურიელი სდუმდა, შუბლი თანდათან ეჭმუხნებოდა, შავი ღრუბლები ხშირდებოდა მის სახეზე და მოახლოვებულიყო წუთი მეხისტებისა, როცა გამოჩნდა აივანზე ნოშრევანი.

სასოწარკვეთილმა თინათინმა მიჰმართა მას ვედრებით:

- აი ამ საბრალო ტყვეს ყური უნდა მოსჭრან და მე არ მინდა, მამა თანახმა ბრძანდება შემოსერონ ყური ნიშნად წესის აღსრულებისა.

- წყალობა მოუღია მაგაზე ბატონს და რაღა გაწუხებს, ჩემო ხელმწიფევ!

- ვერ ვენდობი ექიმს: იგი სწორედ მოათლის ყურს. შენ შემოსერე!

- ბატონი ბრძანდები! - მიუგო ჭაბუკმა, ამოიძრო ხანჯალი და შემოსერა ყური თვალის დახამხამებაზე, წითელი ძაფივით შემოარტყა სისხლის წრე.

- მე მეგონა ხანჯალი მხოლოდ მტრის გასაგმირად გერთყა წელზე და თურმე ქალის სისხლსაც არ ერიდება შენი მახვილი. უთხრა გესლიანად გურიელმა.

- ჩემ ხანჯალს რომ ეხალისება მტრის სისხლში ცურვა. ეს ჩემს დიდ ბატონს თითონ მოეხსენება, და მას რომ ეგრევე ემარჯვება უმანკო ქალის დაცვა სიკვდილისაგან, ესეც ეხლა ნახა მისმა ბედნიერმა თვალმა!

- მხოლოდ მხევლის გადარჩენა ყურის მოთლისაგან ნოშრევან ჩემო! - მიჰმართა ექიმმა.

- მშვენიერი ქალისთვის, ჩემო ექიმბაშო, დასახიჩრება იგივე სიკვდილია, - მიუგო ნოშრევანმა და გაჩერდა მოწიწებით ბატონის შორი-ახლო.

თინათინს ძალიან მოეწონა ამ წამს ვაჟკაცი და მისი ქცევა თუ თქმა. ქალის გულმა შენიშნა ეს, აიმაღლა ხმა, შეემუდარა ქალს ღირსეულად შეეფასებინა ამ ღირსი ჭაბუკის სიყვარული, ესმინა ხმა სპეტაკის გრძნობისა. ქალმა ერთხანს თითქო უსმინა გულს, მაგრამ, მხოლოდ ერთს წამს, ერთს წუთს!

- ნოშრევან! - მიმართა გურიელმა ჭაბუკს, -დრო არ არის წასვლისა?

- ყველაფერი მზად გახლავსთ, ჩემო ხელმწიფევ! - მოახსენა ჭაბუკმა და გატრიალდა ბრძანების გადასაცემად.

ბატონი შებრუნდა შინ და მცირე ხნის შემდეგ ისევ გამობრძანდა გამოწყობილი, მოართვეს ცხენი. ბატონმა მზირი თვალი შემოავლო ცხენს, მაგრამ მის დაბზინებულ ტანზე ვერ იპოვა ვერც ერთი ლაქა. თუ ჭუჭყი. ამოიღო აბრეშუმის თეთრი ხელსახოცი და ყურში გამოუსვა ცხენს. ჭუჭყი რამ ამოჰყვა ხელმანდილს. ბატონმა ზიზღით გააგდო ხელიდან ქსოვილი და შებრძანდა რაშზე. მეჯინიბე ადგილობრივ გაიწურა შიშით.

- სახლთ-უხუცესო! ჩაჰგვარე ის ხუთი ტყვე სოვდაგარს! ე მეჯინიბეც გაიყოლე თან! - ბრძანა ბატონმა და გაემართა.

სახლთ-უხუცესმა მშვენივრად გაიგო ბატონის სიტყვა და ბორკილებით შებოჭილ ხუთ ტყვეს მეჯინიბე წაუმატა ნასყიდ მხეველის საფასში.

მიმქრალი შარავანდედი

(ისტორიული რომანი)

1

მდინარე ხინოსა და შავ ზღვის შუა ფართე ბორცვია ამართული. ბორცვს ერთის მხრივ შემორტყმული აქვს გრეხილი ხევი მდინარისა, ხოლო მეორე მხრივ ამ მაღლობის კალთები ჩაფენილია ზღვაში. ბორცვის ოდნავ დაქანებულ კვარცხლბეკზე წყალს უხვად შემოუყრია ათასნაირი ღვრინჭილა თუ ნიჟარა, ფერად-ფერადი ქვიშა თუ კენჭი და თვის ტალღების მწყობრ მოძრაობით აშრიალებს ამ ქვიშრობს, ნაზად ათამაშებს მას: წყნარ გუნებაზეა დღეს მძლავრი ზღვა, იგი შესტრფის ამწვანებულ გორაკს. ეალერსება ლამაზს, კალთებს უკოცნის მშვენიერს.

ბორცვის გავაკებულ თხემზე გადმომდგარიყო ალამბარი, თვალთწარმტაცი სასახლე ბატონ გურიელისა. სივრცით იგი ვერ შეედრებოდა გურიელისავე დიდშენ ციხე-დარბაზს ოზურგეთში, გარნა მისი სიკვკლუცე და კეთილ-ნაგებობა უფრო ძლიერ იზიდავდა თვალს, ჰხიბლავდა ადამიანს. სასახლე წინ თავდებოდა ქონგურებიანი კოშკებით, რომელნიც სდარაჯობდნენ მას აქეთ-იქით, ხოლო კოშკებ შუა გამართული იყო ფართე აივანი, ჩუქურთმით ნაკეთი, საუცხოვოდ შეღებილი. სასახლიდან ზღვისკენ ჩასდევდა გზა, რომელსაც აქეთ-იქით მოსჯროდნენ ღერო-სხვილი გაბარჯღული რამ ხეები: ამ მხარეს ძლიერი ქარიშხალი სცემდა ზღვიდან და უფრო ნაზი ხე ვერა ხეირობდა აქ; მეორე მხრიდან გორაკს ჩაჰფენოდა ხეხილის ბაღნარი, რომელსაც გარს ერტყა მწყობრად დარაზმული ალვის ხე.

ალამბარის აივანი დაჰყურებდა მდინარე ხინოს შესართავს. აქედან ცხადად სჩანდა, როგორ ჰსდულდა და ქოჩქოჩებდა ზედ ზღვის წინ მდინარის ანკარა წყალი, შხეფს ისროდა აღქაფებული, ცდილობდა უბრძოლველად არ დაჰნებებოდა შეუმართებელს, უნდოდა კიდევ რამდენსამე წუთს განეგრძო თვისი საკუთარი სვლა და არსებობა. ზღვა კი დინჯად იდგა მის წინ, გულცივად ელოდა მას ჩასანთქმელად: თვალი და გული შეჩვეული ჰქონდა უზარმაზარს მდინარეთა ამისთანა უღონო ბრძოლისათვის; ბევრი, ძლიერ ბევრი მდინარის არსებობა ისპობოდა საუკუნოდ მის უძირო და თვალუწვდენელ სივრცეში.

სასახლეზე სამთავროს ალამი ფრიალებდა, რადგან ბატონი გურიელი ამჟამად იქა ბრძანდებოდა; უიმისოდ დროშა ჩამოშვებული იყო.

2

შუადღე მოტანებული იყო, საკმაოდ ცხელოდა, თუმცა ზღვიდან მაგრილებელი სიო იძროდა. წინგარდზე შეფენილი ვარდის ფოთოლ-ყვავილი ოდნავ ირხეოდა; მცენარეთაგან მონაბერ სუნნელებას აევსო ფართე აივანი, სასახლის დარბაზები, მთლად იქაურობა.

ბატონი მამია გურიელი აივანზე ბრძანდებოდა. სავარძელში იჯდა მოაჯირს ცალის მკლავით დაყრდნობილი და ყალიონს შეექცევოდა. ღილებჩახსნილ ახალუხიდან ყვითელი ფარჩის პერანგი მოსჩანდა ოქროს ღილით შებმული. მოქარგული მსუბუქი ფაფანაკი ზურგზე გადაეგდო, ხოლო ყულფად შეკრული ზონარი ყელზედა ჰქონდა მოდებული. თავისუფლად გაშვებული ხუჭუჭა თმა მცირედ აშლოდა. წვერი წმინდად ჰქონდა მოპარსული, ხოლო უღვაშების ბოლოები ზევით შეხრილი და ოდნავ ჩახუჭუჭებული, თმა-უღვაშს ხშირი ჭაღარა შეჰფრქვევოდა.

ფიქრს რასმე ღრმას მისცემოდა ბატონი. ამას კარგადა ჰგრძნობდა მისი ერთგული მხლებელი კოწია, წითლით მოსილი, კოხტად შეიარაღებული ახალგაზრდა. ეს იყო მიზეზი, რომ იგი უძრავად იდგა კუთხეში, თორემ სიცოცხლით სავსე მარად მოძრავ ბიჭს რა გააქვავებდა უსულო რამ ქანდაკებასავით.

- ლევან თანახმაა დამიმოყვრდეს. მოსწონს მას ჩემი ჰაზრი. წინდაწინვე დარწმუნებული ვიყავ ამაში. ქართლის მეფეს დავითს რომ ვებრძოდი, მაშინაც გავუკარ ლევან მეფეს სიტყვა და მოეწონა, მიმიხვდა. მაინც, ეტყობა, მარჯვედ გადაუცია ჩემი სიტყვა იასესაც: ენაწყლიანი კაცია, სწორედ სადესპანო. თუ ლევანს მაინც კიდევ ცხადად არა აქვს წარმოდგენილი ყველა ის, რაც მე ვუთხარ მაშინ და შევუთვალე ეხლა, მე თითონ დავუსახამ ყველაფერს გარკვევით, როცა ჩემი სიძე შეიქმნება იგი, რადგან თუ ამ განზრახვას არ გაჰყვება და არ აღასრულებს, მისი მეფობა მხოლოდ სახელია უმნიშვნელო: იგი აწ მხოლოდ მთავარია, კახეთის მებატონე უბრალო, და ან ყოველთვის მორჩილი უნდა იყოს საქართველოს მეფისა, ან აჯანყების გზას ედგეს და მოღალატედ ითვლებოდეს საქართველოს წინაშე.

- მეც იმავე გარემოებაში ვარ ეხლა, რა არის გურიელი? მხოლოდ უფროსი თავადი გურიაში და სხვა არაფერი! მეფე ყოველთვის თავის ხელქვეითად უნდა სთვლიდეს მას და სცდილობდეს მორჩილებაში იყოლიოს. განა ბაგრატი

დამზოგავდა მე, ან დამიმეგობრდებოდა, რომ ათაბაგს არ შეევიწროებინა იგი? ან შემდეგ განა შეითვისებს და შეურიგდება ჩემს გაძლიერებას? თავის დღეში! დროს ჩაიგდებს ხელში და ეცდება ისევ ჩამომართოს შეძენილი ქვეყნებიც და დიდებაც. არა, ან უნდა დავიჭიროო ხელმწიფობა, ან ვითვლებოდე ხელქვეითად მეფისა, მის მორჩილად, მის მონად, თუნდაც საპატიო მონად.

- მამია გურიელი და სხვის მონა-მორჩილი?! შეუძლებელია! სწორედ საჭიროა ჩემთვის ერთგული მომხრეები. კახეთის მეფე ლევანი ნამდვილ სასარგებლო და სანდო მომხრედ მეყოლება. მეც ერთობ საჭირო ვიქნები მისთვის. მაგრამ ჩემმა ქალმა გულგრილად მიიღო ჩემი განზრახვა და ეს მაფიქრებს. გულგრილად კი არა, მთლად უარზედაც შედგა. საკვირველი კია! ალბად მოსაჩვენებლად სჩადის ამას, წესის დასაყენებლად, თორემ რა ჰმართებს სიხარულის მეტი: დედოფალი შეიქმნება კახეთისა, მეუღლე ნაქებისა და ჭკვიანის ვაჟკაცისა. მაინც კარგი ჭაბუკია ლევანი, ძალიან მომეწონა იგი მაშინ.

ამ ფიქრებში იყო გართული ბატონი, როდესაც გაიღო კარი და მოახლებმა გამოიტანეს აივანზე სკამი და ქარგა. ქარგა ლითონისა იყო, დასევადებული, ბრინჯაოს ლომებზე იდგა კოხტად; შიმშები ჭახრაკებით მოძრაობდნენ. ქარგაში ჩაბმული იყო წითელი ფარჩა და ზედ ოქრომკერდით ჯვარი იყო ამოყვანილი.

გამობრძანდა ბატონიშვილი თინათინი. ფერმკრთალი ქალი იყო, თეთრი, ჭრელთვალა. თავსაფარი უკან გადასწეოდა და ქოჩორი გადმოჰშლოდა. ხშირი თმა არკი უხუჭუჭდებოდა, წყობრად ელაგა. ნელი მოძრაობა ჰქონდა ქალს, მინაზებული. მხევალმა გაუსწორა სკამი. დაბრძანდა ქალი და მიჰყო ხელი ქარგვას. აუჩქარებლივ მუშაობდა. მის გამჭვირვალ თითებში ნაზად იძროდა ყაისნალი. ბატონიშვილი რომ გამობრძანდა, კოწიამ მდაბლად დაუკრა თავი და ისევ უძრავად გაჩერდა.

- რას ჰკერამ, ქალო, ეგრე ერთგულად?

- დაფარნა გახლავსთ, ბატონო: ჯუმათის მონასტერს აღვუთქვი.

- შეგიწიროს ღმერთმა და წყალობა დაგადევნოს შორს გზაზე მიმავალს! მაგრამ რა არის, რომ სულ ხატისა და ჯვარისათვის ზრუნავ; განა მონაზონი ხარ, შე ქალო! ხანდისხან ხალისიც უნდა, თამაში, მხიარულობა. ბევრი ხანი აღარ დაგრჩენია უდარდელი ქალობისა: მალე გაგისტუმრებ ქმრისას და მაშინაც გეყოფა მძიმედ ქცევა; დარბაისელი ხალხია იქ და ღვთისნიერი.

- გმადლობთ, ბატონო მამავ! მე კმაყოფილი გახლავარ აწინდელი ჩემი ყოფისაც, - მიუგო ქალმა და უფრო მდაბლად დახარა თავი ქარგაზე.

ჩაფიქრებულ ქალს სრულებითაც არ ეტყობოდა, რომ ახლად დანიშნული იყო იგი, რომ მისთვის ბედს მიეპყრო ერთი დღის დედოფლობა კი არა, წამიერი, არამედ დედოფლობა დიდებული, ნამდვილი, რჩეულთათვისაც სანატრელი.

ფიქრმა მოიცვა ქალი, ჭმუნვა აღებეჭდა სახეზე. მამამ შენიშნა ეს და გუნება გაუფუჭდა. გული მოუვიდა.

- რა გაქვს, ქალო, დასაღონებელი ან სადარდებელი?! წესია, უნდა გათხოვდეს ქალი, შეელიოს მამის სახლს და ახალი ბინა მოაწყოს შესაფერი. შენ რომ ბედმა გაგილიმა, ჩემო თინავ, ადვილად არ ჰხვდება იგი ბედი სხვას: დედოფლობა მოგელის კახეთისა, მთელი საქართველოსი.

- ვიცი, ბატონო, რომ დედოფლობა მომელის, მაგრამ არ მიმიწევს გული იქითკენ, ვერ დამიმორჩილებია ჩემი თავი, ვერ დამიყოლებია; მიკვნესის გული, თითქო რაიმე უბედურობა მომელისო იქ - შეჰბედა ქალმა მამას და თითონვე გაუკვირდა, რომ ესე კადნიერად შეელაპარაკა.

გაკვირვებულმა მამიამ გადაავლო ქალს თვალი. სხვა რამ მიზეზი მოესმა მის ხმაში, სხვა რამ დაფარული ჰაზრი იგრძნო მის თქმაში, მაგრამ აღელვებული იყო და ვერ ჩააკვირდა საკმაოდ, ვერ გაირკვია იგი ჰაზრად. მთელი თავისი ყურადღება მიაპყრო იმას, რომ ქალი ეურჩებოდა მას, თითქო განზრახ ჰმლიდა მისგან ესე მარჯვედ მოფიქრებულ და მოგვარებულ საქმეს დიდს, დიდმნიშვნელოვანს.

სახლშივე უბედავენ უარს და სწორედ ის უბედავს, რომლის ბედისთვის ზრუნავს იგი ესე თავგამოდებით. როგორ შეიძლება ეს?!

მამია ნაჩვევი არ იყო წინააღმდეგობას და სისხლი აემღვრა, მთლად აინთო. მაინც მოახერხა იმ წუთს თავის შეკავება; მაგრამ ეშინოდა თავისი თავისა, იმედი არა ჰქონდა, რომ გაუმაგრდებოდა წყენით აზვირთებულ გრძნობებს და უბრძანა მკაცრად:

- ბიჭო, კოწია! უთხარ მეჯინიბეს ცხენი მომართვას!

კოწია მსწრაფლ გადახტა აივნიდან. მერე ერთს წამს შეეყოყმანდა: უნდოდა ეკითხნა ბატონისათვის, რომელი ცხენი მიერთმიათ, მაგრამ მაშინვე გადიფიქრა, გაქრა თვალთაგან და გადასცა ბრძანება.

- სად მიბრძანდება ბატონი, ან რომელი ცხენი ბრძანა? - ჰკითხა მეჯინიბემ.

- ვერ გავუბედე კითხვა: თითქო რამე წყენა ეტყობა სახეზე, - მიუგო კოწიამ.

მეჯინიბე დაფიქრდა, ერთს წამს სასოწარკვეთილება რამ აღებეჭდა სახეზე, მაგრამ დაყოვნებისა და ფიქრის დრო აღარ იყო; უბრძანა ხელქვეითებს „ქარიშხალი“ გამოეყვანათ თავლიდან. საშინელი ფიცხი ცხენი იყო ეს „ქარიშხალი“ ელვასავით სწრაფი, ქარივით მსუბუქად დაჰყავდა მხედარი. ორმა ვაჟკაცმა ძლივს გამოიყვანა ფეხ-მაღალი, სურათი რაში. შეკაზმულობაც თავისებური ჰქონდა ამ მერანს: მსუბუქი, კოხტა, მინანქრებით მორთული; ფირუზ ასხმული რახტი და სამკერდული ამშვენებდა მწყაზარს. როდესაც ცხენი მიაართვეს აივანთან, ბატონი მზად იყო. მხოლოდ ხმალ-ხანჯალი შემოერთყა, ეტყობოდა შორს არ მიბრძანდებოდა.

- ბიჭო, მდევრად ხომ არ გავდივარ, რომ „ქარიშხალი“ გამოგიყვანია! - ბრძანა ბატონმა და უსიამოვნობის ჩრდილმა გადაურბინა სახეზე.

- ქარივით რომ დაფრინავს, თავს მოგაწონებს, შენი ჭირიმე, - მიუგო მეჯინებემ და კრძალვით შეხედა ბატონს, მაგრამ მას უკვე თვალი აერიდებინა მისთვის.

ჩაბრძანდა კიბეზე. მეჯინებემ ერთის ხელით ლაგამი დაუჭირა ცხენს, მეორე ხელით დასწია ავჯანდა. მამიამ შედგა ფეხი. ცხენი უეცრად მიდრკა იქით და მხედარს ფეხი დაუსხლტა უზანგოდან, მაგრამ იქვე, უზანგოსთანვე, დაჰხვდა კოწიასაგან მკვირცხლად მიშველებული სიჰსავით უძრავი თათი და ბატონი ისე შეხტა ცხენზე, თითქო არავითარი მარცხი არ მოსვლიათ. მეჯინებემ ელდის სისწრაფით იგრძნო უბედურება. ბატონმა ოდნავ ასწია ნაჭედი მათრახი, მაგრამ ისევ დაუშვა და მხოლოდ მრისხანედ გადაჰხვდა გაწბილებულს. სიკვდილის ფერი დაედვა მონას. გამოჩნდნენ შეიარაღებულნი მხედარნი. მათ წინ მიუძლოდა ვინმე ჭაბუკი. ყვითლით მოსილი, მთლად ბრწყინვალე იარაღში ჩამჯდარი. რომ დაუსწორდა იგი აივანს და შენიშნა ბატონიშვილი, გადმოხტა ცხენიდან, მიაგდო ლაგამი თავის შინაყმას, აირბინა აივანზე, დაეყრდნო ქალის წინ ცალ მუხლს და დაუკოცნა თავსაფრის ფოჩი. ქალს ვარდისფერმა სიხარულმა აჰკრა ლოყებზე და გაუბრწყინა თვალები. ჭაბუკი უკუზდგა მოწიწებით. მერმე შემოტრიალდა და ელვის უმაღლეს მოახტა მერანს. ერთ ასმით მისწვდა ბატონის ამაღას და ჩაუდგა სათავეში.

შემძრწუნებულმა მეჯინებემ ჩაიკეცა ადგილობრივ და შემოიკრა თავში:

- ვაიმე, უბედურს, ვაი!

ბატონიშვილს შეეცოდა უცაბედად დამნაშავე, უნდოდა ენუგეშებინა რითიმე, მაგრამ საიმედო ვერა უთხრა რა: იცოდნენ ბატონი არასგზით არ შეარჩენდა მონას ამისთანა უხერხულობას. კოწიაც დაღონებული იდგა შემცოდველის გვერდით. იმან მარჯვედ, თითქმის შეუმჩნევლად გაუწია ბატონს სამსახური და გრძნობდა, ჯილდო არ ასცდებოდა მას, მაგრამ ენანებოდა ბეჩავი მეჯინიბე და მისთვის დაღონებულიყო.

- ეჰ, თუ მათრახი გადაეკრა შენთვის, გაბრიელ ჩემო. იმითი გათავდებოდა ბატონის რისხვა, ეხლა კი სწორედ საფიქროა, - უთხრა კოწიამ და ურჩია დიდ ქალბატონს შეჰკედრებოდა.

მხედარნი რომ მიეფარნენ თვალთაგან, ბატონიშვილი ისევ დაღონდა, ფიქრმა დაჰრია ხელი. ჩაუჯდა ქარგასვე და განაგრძო ხელსაქმე. თან ჰკერავდა ქალი, თან ნელის ხმით ღიღინებდა. მის ღიღინს ოდნავ ასდევდა მოქნილი, გამჭვირვალე ხმა მოახლისა, რომელიც მუხლ ქვეშ მისჯდომოდა ბატონიშვილს და შეჰყურებდა თვალაუშორებლივ. კოწიაც ეხლა თავისუფალი იყო, შეეძლო სადაც უნდოდა წასულიყო, რაც უნდა გაეკეთებინა, მაგრამ ამ ღიღინით და მოახლის შავი თვალებით მოხიბლული მიჰყრდნობოდა ძირიდან აივნის მოაჯირს და ჩუმის, გამოუთქმელის ვედრებით შეჰყურებდა ქალებს.

ბატონიშვილი ნაღვლიან რამ სიმღერას ღიღინებდა. მისი ხმა ცრემლით იყო ნაპკურები, თვალთა ნამით გაჟღენთილი; მისთვის იყო ისეთი ლბილი და გულსაკლავი.

- ნეტა რა აქვს დასაღონებელი ამ ყოველმხრივ ბედნიერ ბატონიშვილს, რომ ესე საბრალოდ უტირის გული?! - ჰკვირობდა კოწია.

არა სჯეროდა მის გონებას რომ ეს სიმღერა ქალის გულის პასუხის გამომთქმელი იყო, თუმცა ხმის მიმოხვრა თუ ბგერა ამცნებდა მას, რომ ეს ხმები არ იყვნენ მხოლოდ ზეპირ თქმულნი, რომ იგინი წამომდინარებდნენ სიღრმიდან გულისა და თან მოჰქონდათ კაემანი საიდუმლო.

არ იცოდა გულუბრყვილოდ, რომ კაემანი სდევს ადამიანს მთელ მის სიცოცხლეში, როგორც რამ აჩრდილი განუყრელი, რომ სევდა არასოდეს არა ჰშორდება მას, ხოლო ხან ცრიატდება იგი, მკრთალდება და ძლივსღა მოსჩანს, ხან ხშირდება, მძიმდება და ჰშხამავს გულს, როგორც ღამე უმნათობო ჩაბნელებული.

არ იცოდა კოწიამ, რომ ბატონიშვილის გულსაც გარს მოსდებოდა კაემანი და ეხლა, შუქური სიხარულის წამიერ განცდის შემდეგ, შეჰმძიმებოდა იგი დარდი, სიამის ფიალა ამოეშრიტა იმ დარდს და გრძნობას უწურავდა საბრალოს. ამისათვის იყო, რომ დაღონდა ბატონიშვილი და ჩაითუთქა, როგორც ყვავილი მდულარით შენამული.

ეს დიდი ბედნიერების კარს მდგომი ქალი ამ ბოლოს დროს მაინც როგორღაც მოშვებული მოსჩანდა, უხალისო; მხიარული ღიმილი ასცლოდა მის სახეს, ნათელი სიცილი აჰრიდებოდა მის ბაგეს; მის თვალეში გამოჰკრთოდა გაურკვეველი რამ ბრძოლა, გარნა უკვე ძლეული ბრძოლა, ღონემიხდილი, უშედეგო, სასოწარკვეთილი.

ქალი დაჩუმდა, უფრო დაბლა დახარა თავი: ლოდივით მძიმე საფიქრებელმა თვით საკერავამდინ დასწია მისი სპეტაკი შუბლი. ყაისნალი გასჩერებოდა ხელში უმოქმედოდ, უძრავად. განცვიფრებული მოახლე ხმაგაკმენდილი შეჰყურებდა ქალბატონს, სცდილობდა სუნთქვაც კი შეეკავებინა, რომ არაფრით არ დაერღვია დუმილი, არ შეეკრთო ქალწულის მუქი ფიქრები.

გამობრძანდა დიდი ქალბატონიც: ძილი უყვარდა განაზებულს და შუადღე დილად მიაჩნდა. ქალი ფეხზე წამოდგომით მიესალმა დედას. ქალბატონმა დაკვირვებით გასინჯა ქალის ხელსაქმე, გაუსწორა რამდენიმე ძაფის მიმართულება და მოუწონა ნამუშევარი:

- მშვენიერი დაფარნა გამოვა, შვილო! ზედ შენი სახელიც ამოქარგე, რომ საუკუნოდ დარჩეს. ჩემი ნაქარგი გარდამოხსნა დღესაც ამშვენებს გელათსა. მეც შენსავით დანიშნული ვიყავი, როცა შეგვერე იგი გარდამოხსნა. მაგრამ რატომ არ გახვალ, შვილო, და არ დაჰხედავ, რა მშვენიერი მზითი იკერება შენთვის? წითელ-ყვითელ ფარჩას სულ შარიშური გააქვს მკერავთა ხელში, შენ კი არც ერთხელ არ შეგიხედნია ოდაში.

- გული არ მიმწევს, ბატონო დედავ, არა მესიამოვნება რა.

- საკვირველია! მაინც იმ დღიდან, რაც კახეთის სადედოფლოდ გამზადდებთ, ვეღარ მიცვნიხარ. მართალია, ძნელია მშობელთა სახლის დატოვება და უცხო მხარეს წასვლა, მაგრამ სათათრეთში ხომ არა გგზავნი, შვილო, ისევ საქართველოში მიდიხარ დედოფლად, საუკეთესო მხარეს საქართველოსი. ნუ თუ არ მიგიხარია?! ვაჟკაცადაც კარგს აქებენ ლევან მეფეს, ჭკვიანი კაცის ხმა აქვს დავარდნილი და მადლობით უნდა მიიღო კარზე მომდგარი ბედი. არა, შვილო, გამხიარულდი! ვინძლო შენს გონიერებასთან მხიარული გულიც შეიტანო შენს ახალ ოჯახში, რომ ღმერთმა აკურთხოს იგი მხარე შენგამო, რომ ხალხმაც დაგლოცოს სიკეთისა და სიხარულის მიმტანი. იცოდე, მამაშენი დიდი მოხარულია ამ კავშირისა და ბევრს იმედებს ამყარებს მასზე, როგორც თვის სამფლობელოს აღსაყვავებლად, ისე ლევანის სამეფოს ასაღორძინებლად.

იცოდა ჭკვიანმა ადამიანმა თავისი მეუღლის ჰაზრები, თანაუგრძნობდა მის მისწრაფებებს, მაგრამ თანაც ეშინოდა, მარცხი არსად მოსვლოდა მის ფიცხელ, გულზვიადს მეუღლეს, წაღმა დატრიალებული ბედის ჩარხი უკუღმა არ მოსტრიალებოდა აუარებელ მტერთა გასახაროდ.

თინათინი ისმენდა დედის სიტყვებს, ჭკვამიც მოსდიოდა მისი მსჯელობა, მამასავით დიდების მოყვარულს, მაგრამ მის გულს არ მიუხაროდა კახეთისკენ: ალაგობრივ იყო იგი დაბმული გრძნობათა ძეწკვით და ვერ ეთანხმებოდა ვერც თვით ქალის ზვიად ფიქრებს, ვერც მისი მამის დიდებულ ჰაზრებს თუ მისწრაფებას. ქალწულის გულს ენახა საიდუმლო რამ ტადარი სიყვარულის ციაგით განათებული და ჰსურდა მიეტანა თავი თვისი მსხვერპლად მუნ დავანებულ ღმერთისათვის. ეს სურათი არა სცილდებოდა თინათინის გულს, იზიდავდა მის არსებას თვისკენ, მაგრამ გრძნობდა იგი, რომ ამაო იყო მისი ასეთი ლტოლვილება: ძლიერი პატივმოყვარეობა ბოლოს დასძლევდა მას, დაანგრევდა მისგან ხილულ ტადარს განსასვენებელს, დაამსხვრევდა მასში განბრწყინვალეულ მის სალოცავს კერპს და მასთან მის გულსაც, თინათინის საბრალო გულს. მამიას ქალი იყო და დიდებისადმი ძლიერი მისწრაფება საშოდან დედისა დაჰყოლოდა მის სულს.

ის უებრო ჭაბუკი, რომელზედაც გული შეჰვარდნოდა ბატონიშვილს თინათინს, რომლისადმიც ისწრაფოდა მისი ქალწულობა, ხოლო რომელს ძლიერად ეწინააღმდეგებოდა შთამომავლობით დაყოლილი და მეფურის აღზრდით გამტკიცებული მისი პატივმოყვარეობა, იყო ყვითლით მოსილი შავარდენივით ვაჟკაცი, რომელი წელან მიესალმა ქალს. გურულივე თავადიშვილი იყო ნომრევან, ბატონ მამიას შინაყმა, მის გვერდზე მეომარი ვაჟკაცი. ეს იყო მიზეზი, რომ ჭაბუკის დანახვაზე ქალის გულმა უეცრად გაიღიმა, ხოლო როცა დაუკოცნა რიდეს ფოჩი, ისეთმა ჟრუანტელმა დაუარა, თითქოს ჭაბუკმა თვალებში აკოცაო. თანაც შეკრთა ქალი, შეშინდა და უკუდგა; სცადა ცივი რამ გამომეტყველება მიეცა თავის სახისათვის, უგრძნობელი. ნომრევანმა ელვის უმაღლ იგრძნო ქალის გულწრფელი სიამოვნებაც, მისი განზრახ უკუდგომაც და გრძნობათა სხივის ჩაქრობაც. იმისთვის იყო, რომ სიხარულის ღიმილი უცებ გამოკრთა მის სახეზე, გარნა მსწრაფლვე ჩაქრა და დაუთმო ალაგი სევდის ნასახს მის ვაჟკაცურ თვალებში.

ქალ-ვაჟის ერთმანეთისადმი თანაგრძნობა ადრევე დაიწყო, პატარობიდანვე. პირველ ხანში გამოურკვეველი ხასიათი ჰქონდა მათ მეგობრობას და ჩაუსახავი მიზანი: იამებოდნენ ერთმანეთის ნახვა, უხაროდნენ ერთმანეთის სიახლოვე. ვაჟის გრძნობა კი უფრო ძლიერი იყო და არაჩვეულებრივი: ნოშრევანი განუსაზღვრელი პატივცემით იყო გამსჭვალული ბატონის ასულისადმი, არაქვეყნიურ არსებად მიაჩნდა ის, ზღაპრულ რამ მზეთუნახავად და მოწიწებით ეპყრობოდა მას, თაყვანსა სცემდა მის აჩრდილს. ქალსაც უხაროდა მშვენიერი შეხედულობის, მარად მხიარული, მარად მომღერალი ვაჟის ნახვა; შეეჩვია ის მასთან ყოფნას და თუ რაიმე შემთხვევით დიდი ხნის განმავლობაში არ ეახლებოდა იგი ბატონიშვილს, ქალი მოიწყენდა, თითქო რამ აკლდა თვალში, გული უსიამოვნოდ ეხურებოდა. როცა შედგებოდა თინათინ და მოიწიფა, ნოშრევანს დაუძვირდა მისი ნახვა, მაგრამ თუ ქალი გაისეირნებდა საითმე, ან სტუმრად წაბრძანდებოდა, კოხტად გამოწყობილ-შეიარაღებული ახალგაზრდა თან ახლდა მას, რადგან მისთანა ზრდილობიანი, ჰაზრიანი და მოხერხებული მხლებელი მეორე არ მოიძებნებოდა გურიელის კარს. თანაც ჰხედავდა დიდი ბატონი, როგორ გატაცებით თაყვანსა სცემდა ქალს ყრმა და დარწმუნებული იყო, იმაზე ერთგულს ვერავის აახლებდა იგი თავის ასულს.

როდესაც გურიელი ბაგრატ იმერთა მეფესთან ერთად ისე გამარჯვებული იბრძოდა ძლიერ მტრის წინააღმდეგ, ნოშრევან განუყრელად თან ახლდა და განაცვიფრა ომში გამოცდილი ვაჟკაცი თავის უშიშრობით, შემბედაობით და მკლავის ძალით. მას შემდეგ გურიელი მთლად მიენდო ამ ჭაბუკს; თავი მოსწონდა, რომ ამისთანა მეზრდოლი და ერთგული ყმა ჰყავდა გვერდით. ბრწყინვალე ბედი მოელოდა ნოშრევანს გურიელის კარს!

ამ ომის შემდეგ იყო, რომ უეცრად გამოირკვა ქალ-ვაჟის კავშირის ხასიათი, თვისი საკუთარი სახე დაედო მას. ბატონი გურიელი გამარჯვებული დაბრუნდა ბრძოლიდან და გახარებული: ლაშქრობამ მის საბრძანებელს შესძინა დიდმნიშვნელოვანი მხარეები - აჭარა და ჭანეთი. ამ სასიხარულო ამბის აღსანიშნავად მამიამ მეფური მეჯლისი გამართა თავის კარს. ზეიმის მესამე დღეს ახალგაზრდობამ მოისურვა ცხენდაცხენ სეირნი მიდამოებში. ქალნიც და კაცნიც დახელოვნებული იყვნენ ცხენოსნობაში, თავიც მოსწონდათ თავიანთ ცხენებით, თუ მათ შეკაზმულობით. ლამაზი გუნდი შესდგა ცხენოსანთა. ეს აღყვავებული ახალგაზრდობა მხიარული ჯირითით რომ შეეფინა ხევ გაღმა ამართულ ფერდობს, სწორედ საამური სანახავი იყო. გახალისებული ახალგაზრდობა დააქროლებდა ფეხმარდ ბედაურებს და ერთმანეთს უსიტყვოდ ეჯიბრებოდა მოხდენილად ჯდომამში თუ მკვირცხლ მხედრობაში: ბატონიშვილი თინათინი ბრძანდებოდა მათთან და რაღა დღისთვის დაჰზოგავდნენ თავის უნარს?!

ტყეს რასმე გასცდნენ, მინდორს გავიდნენ ოდნავ დაქანებულს. ზოგიერთმა ვეღარ შეიკავა თავი, გაქუსლა ცხენი. მათ მიჰყვა თან გახალისებული სხვა ქალ-ვაჟი. ბატონიშვილის ამაღა თავს იჭერდა ჯერ, მაგრამ მაინც ბევრი აღარავინ დარჩენილიყო მის გარემო. გული აუჩქროლდა თინათინსაც და ოდნავ სადავე მისცა თავის მერანს. ცხენმა მერცხალივით დაიწყო ნავარდი და რომ შეხურდა, თავი წაართვა ქალს, გაიტაცა. გაისმა ქალის კივილი. საშინელი კვნესა აღმოხდა შეძრწუნებულ ამაღას. ყველანი დაიბნენ, ვეღარაფერი მოახერხეს. ზოგი მაშინვე გამოევიდა გაგიჟებულ ცხენს და ამან უფრო გაახელა იგი. ომში გაწვრთნილმა

ნოშრევანმა მსწრაფლ შენიშნა ხიფათი, დაჰკრა თვალი ცხენის სრბოლას და მოიაზრა: განზე გაახტუნა ბედაური, წრე გააკეთა, ანაზდად თავს დაუარა, უყელა, დაუსწორდა, დასწვდა ლაგამში ბატონიშვილის ცხენს და მძღვრად ასწია მალლა. ცხენი შესდგა ყალბზე და შემოტრიალდა უკანა ფეხებზე. ვაჟმა მსწრაფლ მოხვია თითქმის გულწასულს ქალს მკლავი და გადიტაცა თავისთან. ყველამ თავისუფლად ამოისუნთქა: გადარჩნენ საშინელს გაწბილებას და ბატონის უღმობელ რისხვას. ქალი რომ მოსულიერდა, ისეთის მადლობისა და მოყვარულის თვალით შეხედა თავის მხსნელს, რომ ჭაბუკს სიხარულით ენა დაება.

აი მაშინ იყო, რომ ნოშრევანის ქალისადმი მეგობრობა უსამზღვრო თაყვანისცემად გარდაიქმნა, უცვალეზელ და უიმედო სიყვარულად. ქალის გულიც ძლიერ ააძგერა ვაჟისადმი თანაგრძნობამ. ამის შემდეგ ვეღარ მოიშორა ქალმა ვაჟკაცის სიახლოვის გრძნობა; ის რვალის მკლავი, რომელიც ძლიერად შემოეჭდო ქალს და მსუბუქად გადიტაცა ცხენიდან, სამუდამოდ დააჩნდა ქალწულის წელს. ეს სასიამოვნო შთაბეჭდილება ტანისა შეუერთდა მის გულის სიხარულს, რომელიც განიცადა სიკვდილს ან სახიჩრობას გადარჩენილმა ქალმა. ეს ორი სანეტარო გრძნობა განუყრელად შეერთდა მის სულში, ამოუშლელად.

როგორი ტკბილი მოსვენება იგრძნო ქალწულმა ჭაბუკის გმირულ მკერდზე მის მფარველი მკლავით გარშემოჭდობილმა! ერთი წამი იყო იგი ჩახვევნი, გარნა დაუვიწყარი. ახ, სამოთხე იქნება მის მძღვრ მკლავზე მიყრდნობა სამუდამოდ, ნეტარება ტკბილი, უზრუნველ-უდარდელი!

და ისეთის უტყუარის სიცხადით განიცდიდა ქალი ვაჟკაცის მკლავს თავის წელზე, რომ ბევრჯერ ტანთ-გაცრცვნილს დაკვირვებით გაუსინჯავს თავისი თავი, რომ დარწმუნებულიყო იმ უტეხი სალტის ნაკვალის მართლა ხომ არ ეტყობოდა ზედ. ბევრჯერ მეტად გაუცხოველდებოდა ეს გრძნობა, შეუკავებლად მოესურვებოდა ჭაბუკის ნახვა, მის ახლოს ყოფნა, მის უნაკლო აგებულობის მხერა, მისი მშვენიერი ხმის სმენა. კიდევ ეწეოდა ხოლმე ქალწული თავის სურვილს, ბატონიშვილი იყო და თავის ყმის ბრძანება რად გაუჭირდებოდა?!

6

ღამე გატეხილიყო, სასახლეში კი ჯერ არ ეძინათ. ისევ გაჩაღებული ჰქონდათ ციხე-დარბაზი: გურიელი ჯერ ისევ ოზურგეთის სასახლეში ბრძანდებოდა, ჯერ არ გადაბრძანებულიყო ალამზარს. რაღაც საიდუმლო მზადებაში იყო გართული. დღეს ბაგრატი მეფის დესპანი ახლდა მას და გვიანობამდინ არ გაისტუმრა. ეტყობოდა სამძიმო საქმეს შესდგომოდა ბატონი, ჩასაფიქრებელს, საომარი რამ დაწყება კი არ უნდა ყოფილიყო, თორემ ნოშრევანს უხმობდა სავეზიროდ, უთუოდ გააგებინებდა.

- იქნებ ბატონიშვილ თინათინს შეეხება იგი საქმე! - ეჭვობდა ნოშრევანი.

და გულს სევდა ედებოდა, გუნება ეხურებოდა, ცოტაოდენი საბუთიცა ჰქონდა ესე ეფიქრა: იასე რომ გაატანა თან ბაგრატის კაცს. ამანაც ჩაუსახა მას ესეთი ეჭვი: ეს იასე ლივანელი ძალიან გამოცდილი კაცი იყო სწორედ ამისთანა საოჯახო საქმეებში. ქალის გათხოვებაზე მაშინ ჯერ არაფერი ხმა არ იყო, მაგრამ გული მაინც რაღაცა ცუდად უცემდა შეყვარებულ ახალგაზრდას. კარები დაურაკუნეს. ნოშრევანმა

გაალო და განცვიფრდა: თინათინის მხევალი იყო! ჭაბუკი დაებარებინა ქალწულს თავისთან, დაუყოვნებლივ მოდიო, გაჰკვირდა: არ იცოდა, რად უბრძანებდა ქალი ამ დროს ან რის დავალება განეზრახა მას. სწორედ რამე სავაჟკაცო საქმეს უბრძანებდა ქალი მას და საიდუმლოს, თორემ უჟამოდ არ იხმობდა იგი მას. ჩაიცვა. გაემართა. ქალის სადგომს რომ მიუახლოვდა, იგივე მხევალი დაჰხვდა წინ, გაუძღვა, თვით ბატონიშვილის ოთახში შეიყვანა. თინათინმა მიიწვია მის წინ მოწიწებით მდგომარე ვაჟკაცი:

- დაბრძანდი! საქმე რამ მინდა დაგავალო.

- მიბრძანე, ბატონიშვილო!

ქალმა გადასცა ჭაბუკს ფარჩაში გახვეული წიგნი საკუთარი ბეჭდით დაბეჭდილი.

- ჩემი უსტარია! ვიცი, მარჯვედ ამისრულებ საწადელს.

- გმადლობთ, ბატონიშვილო, ნდობისათვის. ნეტა ისეთს რასმე მიბრძანებდეთ, ჩემი სიცოცხლის ფასად მოიპოვებოდეს!

- არა, ნოშრევან ჩემო, არც ეგეთი სასტიკია ჩემი გული რომ ვინმე გასწიროს და მეტადრე შენ, ჩემი გადამრჩენი სიკვდილისაგან.

„ნოშრევან ჩემო!“ ისე ტკბილად მოესმა ჭაბუკს ეს სიტყვა, როგორც სანეტარო ბგერა გარდარეულის ბედნიერებისა.

- მიბრძანე, ბატონიშვილო! - სთქვა ხმა ათროთლებულმა და ზე წამოდგა.

- ეგ წერილი ბატონიშვილ თამართან არის, დადიანის ქალთან, უნდა პირდაპირ მიართვა მას ხელში. მხოლოდ შენ იცი, რომ ამ წერილს ვგზავნი მამა ნამდურავია დადიანთან და არ მომცემს ნებას. არც დედა მომიწონებს ამ საქციელს. მე კი არ შემძლიან არ გავგზავნო ეს წიგნი: ვერ მოვითმენ. მომისმინე!

- მიბრძანე, ხელმწიფე ჩემო!

-თამარისათვის მოურთმევიათ საოცნებო რამ ჯილა. სინდური ხელოვნება არისო საარაკო. ხუთი მონა უჩუქებია დადიანს ზღვის მომტან სოვდაგრისათვის. მე ამ წიგნში ვწერ, იგი ჯილა გამომიგზავნოს სანახავად. შენის ხელით გამომიგზავნოს და შენისავე ხელით ვაახლებ. ვნახოთ, გაიმეტებს თუ ვერა, პატივს დამდებს თუარა. თუ არ გამოგზავნოს, სთხოვე გიჩვენოს, შენითა სთხოვე; მე არ ვსწერ ამას. კარგად დაათვალიერე, გაზომე, ყველა წვრილმანი დაიხსომე!

ქალი ცდილობდა ყოველივე ეს მტკიცედ ეთქვა, ბრძანების კილოთი, მაგრამ ხმა არ ემორჩილებოდა, თრთოდა; უცნაურად მისდი მოსდიოდა ქალს ფერი, ძლიერ ღელავდა.

- ეხლავე წადი, ნოშრევან ჩემო, და ან თვით ჯილა მომიტანე, ან მისი ამბავი!

- ბატონი ბრძანდები! - მიუგო ნოშრევანმა და მდაბლად თავი დაუკრა, რომ უკუმდგარიყო.

- მოიცა! - ბრძანა ქალმა! წამოდგა, მიუახლოვდა ჭაბუკს, შეახო ათრთოლებული ხელი მის ხანჯლის ტარს და უთხრა:

- ამისრულე საწადელი! მაინც ჩემი გული შენ გენდობა.

დაიხარა ქალი და მიაყრდნო გრძნობათაგან დამძიმებული თავი თვისი მის მკერდს. შესძრა უძლეველმა ძალამ ჭაბუკი, დაავიწყდა ყოველივე, მთელი ქვეყნიერება; გრძნობათა ტალღამ გადალახა ყოველივე მისი მოსაზრება თუ მოკრთალება და ჩაიკრა გულში მთრთოლარე ქალწული, დაუკოცნა თმა, თვალები, სახე. მოეგნენ თავს გრძნობით დამთვრალნი, განშორდნენ ერთმანეთს. მხევალმა ფეხაკრეფით გააცილა ჭაბუკი.

ამ დღიდან აღარ გამოფხიზლებულა ნექტარისებური ტკბილი გრძნობით დამთვრალი ნოშრევანი. ველარც გამოფხიზლდებოდა: უაღრესი ბედნიერება იხილა მან პირისპირ, გამოუთქმელი საქმე განიცადა მან იშვიათი და როგორღა შეიძლებოდა მისი დავიწყება ან განქარვება?!

როგორ გაჩნდა ნოშრევან დადიანის კარს, როგორ მოახერხა ბატონიშვილი თამარის თუ სხვების მოხიზვლა და მოჯადოება, როგორ მოართვა თავის თინათინს იგი იშვიათი ნივთი და დადიანის ასაულის წერილი, ყველა ეს ველარც შეეგნო ბედნიერს, ველარც გაეთვალისწინებინა: ჭაბუკი აღტაცებული იყო მაშინ და რას უკარნახებდა მას მეშვიდე ცამდინ მიწეული მისი გონება ან როგორ და რა გზით ამოქმედებდა მას მისი ნებისყოფა, ეს არც ესმოდა მას ცხადად, არც ეცალა შეეგნო. სად ეცალა დასაფიქრებლად ბედნიერებისაგან დამთვრალ ჭაბუკს, ან როგორ შესძლებდა დაფიქრებას ხელქმნილი?! ალლო რამ გამოურკვეველი, გარნა მიზანშეწონილი, ამოქმედებდა მას, შთაგონება რამ საიდუმლო, თვით უცვალეზელ სიბრძნისგან მონაბერი წინაუძლოდა მას და უნაკლულოდ ასრულებინებდა ბრძანებას ხელთმქმნელისა.

7

ქალი გამოერკვა ვნებათა ღელვას, ჩაუფიქრდა თავის მოქმედებას, იწყო შეფასება თავის მდგომარეობისა. შენიშნა, რომ ორად გამდგარიყო მისი განუყოფელი პიროვნება:

მოხიზლული გული ჩასჩურჩულებდა, რომ მხოლოდ ნოშრევან იყო მისთვის ბედისაგან დაწერილი, ამას უკარნახებდა გული, გარნა ისე კი არა, როგორც გარკვეულ რამე სიტყვას, არამედ როგორც სიტკბობას სანეტაროს და უძლეველს. ისე იყო მისი გული ეხლა გახარებული, ისე უცინოდა მას გრძნობათა იგი შესაკრებული, ისე იყო ამ წუთს იგი სავსე ნოშრევანით, რომ იგი სხვა ვინმე ვაჟკაცს ველარ დაიტევდა, ველარ შეითვისებდა, ველარც შეიტკბობდა. ნოშრევანის გარეშე ქალწულის სული ველარავის შეუერთდებოდა განუყრელად, მისი ტანი ვინმე სხვის ხვევნას ველარ აიტანდა, ველარც დაჰხვდებოდა სიამით:

- რა ძლიერია, რა ტკბილია, რა კარგი! რად მოვწყდი ისე მალე მკერდიდან, ნეტავ რად?! ერთი წუთიც, გენაცვა, ერთი წამი! მაგრამ მის მკერდზედ საუკუნოც ხომ მხოლოდ წუთი იქმნება უხანო... არ შემძლიან უმისოდ! ამიკვნესდება გული, მომიკვდება გული საწყალი. ერთ დღესაც ნუ მაცოცხლოს ღმერთმა უმისოდ. ერთ საათს! - სთქვა ქალმა.

გარინდდა ერთს ხანს, მიაპყრო მიზნედილი თვალები სივრცეს, უღიმოდა რაღაც ჭრელ ჩვენებას, ფერად ოცნებას; ჩაიხსნა გულისპირი, შეიხსნა საკინძი და სინჯვა დაუწყო ძუძუს, რომელიც წედან ისე ტკბილად გაიწურა ნოშრევანის მუჭაში. როდესაც მან მძლავრად მოჰხვია მკლავი თავის თინათინს და ჰაერში აიტაცა აღტაცებულმა. შევარდისფერებული იყო ეშხთა საგუბარი. რა სიამით გამოიყურებოდა ბედნიერი, რა ტკბილი ღიმილით იმზირებოდა ვნებით მიზნედილი! მეორე კი დაღონებულიყო ფერმიხდილი, თავი დაეხარნა გულნაკლულს, გაბუტულიყო.

- რას დაღონებულხარ, შე კარგო? შენც მოგიალერსებს ჩვენი ნოშრევან, გაკოცებს, გაგახარებს. იცი? თვით უღვეველი ალერსია ნოშრევან, სიამე სრულქმნილი. ნათელი უბინდო, დაუღამებელი!

უღიმოდა ქალწულს მთელი არსება, უცინოდა. უკასკასებდა. უნდოდა დაეძახნა ხმამალა. უნდოდა ემცნო ყველასათვის. რა უზომოდ ბედნიერი იყო იგი, უნდოდა ეხარებინა ცისა და ქვეყანისათვის, რა კეთილი იყო იგი ეხლა, რა კარგი. მზა იყო მოეფრქვია სხივი სიკეთისა თვის გარემო, დაეკოცნა ყოველივე. აკი მაშინვე ყელზე შემოეჭდო ქალი მასთან შესულ გამდელს და გარდუკოცნა მოხუცი სახე.

მაგრამ განვლო ხანმა და განიღვიძა გულისაგან ძლეულმა გონებამ, შეიკრიბა ძალა ძლიერი. გააღვიძა ქალის თვითმოყვარეობა და გესლიანის ღიმილით გადაჰხედა ქალწულის ფაქიზ გულისთქმას. მოაგონა გონებამ თინათინს, რომ იგი იყო ქალი მამია გურიელისა, შვილი იმ გოროზი ადამიანისა, რომლის მოუსვენარ თავში ცეცხლივით ტრიალებდა სურვილი განდიდებისა. თინათინის სულიც ხომ აღსავსე იყო დიდებისადმი მისწრაფებით. აღტყინებული ოცნება მოელვარე სახით უხატავდა მას მომავალ ცხოვრებას, თვალთწარმტაც ფერადებით შეუხამებდა მას. ამ ოცნებობას ბალღობიდანვე შესჩვეოდა ქალი, შესთვისებოდა. მისი აწინდელი გულისთქმა კი სრულებით არ შეჰფეროდა ცხოვრების ამგვარ წარმოდგენას: ნოშრევან ვერასდროს ვერ შეუქმნიდა თავის სატრფოს ღირსეულ მომავალს.

- ტკბილია ნოშრევან, შეუდარებელი, კარგი, გარნა მხოლოდ თავადია უბრალო, ჩვენივე კარის თავადი, მამაჩემის შინა ყმა და ნების ამსრულებელი. უბრალო თავადადვე დარჩება იგი მარად და ყველგან: თუნდ აქ, გურიაში, თუნდ იმერეთის მეფის კარს, თუნდ ათაბაგთან. მეც მხოლოდ თავადის ცოლი შევიქმნები, სხვა ათასი თავადის ცოლების სწორი. ბატონიშვილი ვარ და უნდა კი ვემორჩილებოდე ყველა მეფის თუ მთავრის მეუღლეს, ბოლოში უნდა ვიჯდე პატივმოკლებული. იქნება ისეც მოხდეს, რომ დადიანის ქალს თამარს თავს ვუკრავდე და ადგილს ვუთმობდე. რატომ?! გათხოვდება იგი იმერეთის მემკვიდრეზედ, ან კახეთის მეფე ლევანზე და შეიქმნება დედოფალი დიდებული. შეიძლება თვით ჩემმა ძმამაც შეირთოს იგი და დედოფალი შეიქმნას ჩემი, თუ

ნოშრევანის მეუღლე შევიქმნები. - სთქვა ქალმა და წარმოიდგინა რა დამცირების სურათი, შეაჟრჟოლა.

- შეიძლება სიღარიბეც კი მხვდეს წილად ნოშრევანის ხელში, - განაგრძო ქალმა ფიქრი, - რა შეძლების პატრონია ნოშრევან? ცოტა ყმა, პატარა მამული! მართალია, ვაჟკაცია მხნე, შეუძლიან ხმლით მოიპოვოს დიდებაც და ქონებაც, მაგრამ ბევრი-ბევრი სარდალი შეიქმნას რომელიმე მეფის კარს. მე რომ თითონ ვიყო მემკვიდრე, თითონ მე რომ მომელოდეს ოდესმე დედოფლობა, მაშინ სხვა იქმნებოდა, მაშინ სრულებით საჭირო აღარ იქმნებოდა ამისთანა ფიქრები.

თანდათან მრავლდებოდნენ ქალწულის მუქი ფიქრები, ძლიერდებოდნენ, ირევოდნენ ერთმანეთში, იხვევოდნენ, შავ ფრთათა ცემით ჰშხამავდნენ ნათელ გრძნობებს და ბნელ ჯანლად ედებოდნენ საწყალ ნოშრევანის სახეს, ჩრდილავდნენ მას ქალწულის თვალთაგან. ეხლა თინათინ მკაფიოდ ვეღარა ჰხედავდა ნოშრევანს, ვეღარცა გრძნობდა მის სუნნელოვან სიახლეს; განუჭვრეტელ სივრცეში იშლებოდა და იფანტებოდა მისთვის ჭაბუკის არსება.

გული კი მძიმდებოდა განხმელ ფიქრებით, იჩაგრებოდა, ვიწროვდებოდა, იკუმშებოდა, ღონდებოდა, კვნესოდა. მხოლოდ ქალწული ძუძუ თანაუგრძნობდა გულს ჩაბნელებულს, იგიც უარყოფდა მშრალ ფიქრებს ეკლიანს, ჰსურდა გაეგებინა ქალისათვის, რა სასტიკად აჭკნობდა იგი ამგვარ ჰაზრებით ბედნიერების ყვავილს იშვიათს, მაგრამ რა ექმნა, როცა საუბარი არ იცოდა საწყალმა, არც ხმის ამოღება; მხოლოდ ვარდისფერი ღიმილი შეეძლო კოკობს და ცრემლი მარგალიტური! გულთმისანი კი იყო ლამაზი, მგრძნობელი მომავლისა.

- არც მამაჩემი მომცემს ნებას: არ იკადრებს ნოშრევანის სიძეობას ბედისაგან გალაღებული. უყვარს იგი, მაგრამ მოსწონს, როგორც ბატონს ყმა და არა როგორც თავისი დარისადარი. განრისხდება მამა. იქნება კიდეც აუტეხოს რამე საწყალს ნოშრევანს და უნებლიეთ შევიქმნები მისი უბედურების მიზეზი. მოსკობს მამა ჭაბუკს, თუ ვეურჩე! - ფიქრობდა ქალი.

და გონება მისი უარყოფდა ნოშრევანს. ჭაბუკის მკლავი კი რკინის სალტად შემოსჭდოდა ქალწულის წელს, ძუძუ კი ჯერ ტკბილად იკუმშებოდა მის ხელში, მხურვალე კოცნა კი ჯერ არ მოჰმორებოდა მის ბაგეს.

გვიან დაეძინა ფიქრთა დენით დაღლილ ქალს, გარნა ძილმა არ მიჰმადლა მას სიმშვიდე, არც დასვენება; მღვრიე რამ ოცნებები შესძვნა ისეც გატანჯულს. თავის ნოშრევანთან იყო ის სიზმარში, ხოლო ნოშრევანი მეფე იყო დიდებული ბრწყინვალე; თვისი სიჭაბუკეც, გვირგვინიც, დიდებაც. საუნჯეც უთვალავი ფიანდაზად გაეშალნა მისთვის. მიეალერსა მადლიერი ვაჟკაცს, მიეხმატკბილა. აჰკრა მოყვარულ ქმარს გრძნობის აღმა და ძლიერად მიიზიდა მეუღლე. ქალი მიჰყვა მას, მაგრამ იგი ვაჟკაცი ნოშრევანი აღარ იყო, სხვა ვინმე იყო უცხო, უცნობი. შეჰკვივლა ქალმა, გაიბრძოლა, რომ განრინებოდა შეურაცხყოფელს და თვალები ღია დარჩა გაწამებულს.

მეორე დღეს დადლილი ადგა ქალწული სარეცელიდან. გუშინდელი ფიქრები გაურკვეველ სევდად დასწოლოდნენ მას და შეემძიმებინათ მისთვის ყოფა. დადიოდა ფერმკრთალი, უაზროდ მიმოიძვროდა; აღარ უღიმოდა ბაგე, აღარც რა ესიამოვნებოდა. კიდეც ნანობდა ეხლა, რომ ისეთი იშვიათი საქმე დაავალა ნოშრევანს. რაღად უნდოდა რაღაცა ჯიღა?! ან რაღდა უნდოდა თუნდ ის აუარებელი სამკაული, რომელიც აქვს მას?! რაღდა უნდა თუნდ თავისი ქალწული თავი და თვით სიცოცხლე, თუ ნოშრევანს ვერ მოუტანს მსხვერპლად საოცნებოდ. თუ ვერ გაახარებს მას და ვერ გაიხარებს მისით?! არ უნდა თვით ბატონიშვილობა! რად უნდა, თუ წინააღმდეგება იგი მის ბედნიერებას?!

- უფალო ყოვლად ძლიერო! მომეც ძალა, უარვეყო ყოველივე: შარავანდედი დიდებისა, ნება დიდებულ მშობელთა, მისწრაფება ჩემის ზვიადის ბუნებისა და თავი შევსწირო სიყვარულს, ავუსრულო წადილი მხოლოდ გულს!

ამოდ ლოცულობდა ქალწული: თითონვე ირყეოდა თავის მისწრაფებაში, მსხვერპლად ჰხადოდა ტრფობისკენ მიხრას, თითონვე ჰგრძნობდა, რომ ბოლომდინ არ გაჰყვებოდა თავის გულს, საძირკვლიდგანვე შერყეული იყო მისი ნებისყოფა, მის მედიდურობის სიმძიმეს დაებზარა და დაერღვია იგი საძირკველი და როგორღა ამოშენდებოდა მასზედ გოდოლი ბედნიერებისა?!

ქალის ანგარიშით ნოშრევან ხუთ-ექვს დღეზედ უნდა დაბრუნებულიყო: კარგა გზა იყო ნაქალაქევამდინ, სადაც მაშინ დროებით იმყოფებოდა დადიანის სახლობა. მისვლის უმალვე ვერ გამობრუნდებოდა ბატონიშვილისაგან გაგზავნილი თავადი, არ გამოუშვებდნენ, ერთ-ორ დღეს მაინც განუსვენებდნენ; მაგრამ ეს მოლოდინი ისეთი სასიხარულო აღარ იყო ქალისათვის: ეკრძალებოდა ნოშრევანისა, სცხვენოდა. რომ რყევაში იყო ეხლა მის შესახებ: ხან ნანობდა კიდეც, რომ დაუახლოვდა ვაჟკაცს; მაგრამ მეორე ხანს გული გაიბრძოლებდა, ისევ დასთრგუნავდა უკაცურ ჰაზრს, კვლავ იპყრობდა ქალის არსებას და სასიხარულოდ მიჰხრიდა ჭაბუკისაკენ.

მეხუთე დღეს მოვიდა ნოშრევან და მიაართვა ქალს ძვირფასი სამკაული. გამარჯვებული მოვიდა იგი და მხიარული. ისე იყო ეშხით აღსავსე, ბედნიერებით აპირთავებული, რომ მისმა სიახლე ისევ გაიტაცა ქალი, დაავიწყდა მას ყოველივე სხვა მოსაზრება, გაუფანტა გულიდან აჩრდილი ბოროტისა. როგორც განფანტოს წყვილი ამომავალმა მზის სხივმა.

- ეჰ, რასა ვზრუნავ და ვდარდობ?! ნოშრევან თითონ მოახერხებს ყველაფერს და მოაწყობს მომავალს; ვუყვარვარ და თვით გამიკაფამს გზას ცხოვრებისას, - გაიფიქრა მადლიერმა.

და გამხიარულდა. მაგრამ შეყვარებული ყმაწვილის თვალმა, თუ ალღომ, მაინც შენიშნა ქალწულის თვალეშში სულიერი ბრძოლის კვალი და შეჰკრთა. გაუბედა, შეუძლოდ ხომ არ ბრძანდებო. ქალი ერთს წამს დაიბნა, თვალი ველარ გაუსწორა ვაჟკაცს და უხერხულად მოიხადა მადლობა ყურადღებისათვის. ამ მცირე შემთხვევამ ჩრდილი მიაყენა ჭაბუკის მოცინარე გრძნობას, პირველი ჩრდილი

გაკაშკაშებულ გულზე. შემდეგ გამრავლდნენ იგი აჩრდილნი, გამუქდნენ, შეერთდნენ და დაჰფარეს სინათლის მოტრფიალე სული ვაჟკაცისა განუქვრეტელი წყვილიადით.

ჯიღა მართლა მოხდენილი აღმოჩნდა: ოქროს ზროების ბუნჯგალი იყო ბრწვინვალე, ნაზ ზროთა წინ დახრილ თავებზე ლალი ისხდა; სამ წყობად იყო ზროები. თანისთანობით გადაშვებული; ძირს იგი ღეროები ერთდებოდნენ დაჩუქურთმული ოქროსავე მომხო ღეროში, რომელიც წინ დამშვენებული იყო ფაქიზად ნათელი დიდი ლალითვე. მწყობრად იყო თვალეები შეხამებული, როგორც რამ ხმები ტკბილ ღიღინში და ყოველ განძრევაზედ ირხეოდნენ ნარნარად, კრთოდნენ, ციმციმებდნენ. დადიანის ქალს სამეგობრო უსტარიც მოეწერნა თინათინისთვის.

გურიელი ჩააფიქრა მის ნებადაურთველად მომხდარმა ამბავმა, მაგრამ მალე იგრძნო, რომ ამასაც სასიკეთოდ გამოიყენებდა იგი და თვალი აარიდა ქალის თვითნებობას.

- სწორედ არ მოგცემდი ნებას დადიანის კარს კაცის გაგზავნისას, თუ გამეგო: მტრად ვართ გადაკიდებულნი და შეიძლებოდა რამე შეურაცხება მიეყენებინათ დესპანისათვის, - ბრძანა მან.

- რა ბრძანებაა?! დადიანის სასახლეში მაგას თავის დღეში არ იკადრებდნენ: ზრდილობა ნებას არ მისცემდა მათ, - სთქვა მამიას მეუღლემ.

- ან რა დროს მტრობის გახსენება იყო: სახელმწიფო საქმისათვის ხომ არ გავგზავნე კაცი, კერძო დავალება მივანდე ბატონიშვილთან, - მიუგო თინათინმა.

- მაგას კი არ დაგიდევდა დადიანი! მაგრამ ეხლა ძალა ჩემსკენ არის და კიდევაც იამებოდა ჩემი კაცის ხლება, - სთქვა ბატონმა და ცნობისმოყვარეობით დააკვირდა ნოშრევანს:

- ქალის ბრძანებას ემორჩილები ჩემს კარს და არ კი მატყობინებ!

- მზეთუნახავის ბრძანება გაუტეხელია, ბატონო, და არც გაიცემა მისი სიტყვა!

- კარგი, მაგრამ არ გეშინოდა, დაედევნებინა დადიანს შენთვის ბიჭები და წაერთმიათ სამკაული? იტყოდნენ, უხეირო კაცი გამოგზავნა გურიელმაო.

- ეგ კი ვიფიქრე, ბატონო! ჯერ შარაგზით მოვდიოდი ვითომ გულდინჯად და რომ მივეფარე თვალთაგან, დავუხვრე ქალებისა და ჭყვანტებისაკენ, სულ საცალფეხო ბილიკებზე ვიარე; რიონში ცურვით გამოველ, იმისთვის შემიგვიანდა.

უამა გურიელს მოხერხებული ქცევა, გაიღიმა, სიამოვნებით შეხედა მარჯვე რაინდს.

დაიბარეს ოსტატი და დაავალეს სწორედ იმისთანა ჯილა გაეკეთებინა, როგორც მოართვა ქალს ნოშრევანმა. მხოლოდ ლალის მაგიერად ზურმუხტი უნდა ეხმარა, რადგან ეს პატიოსანი ქვა უფრო მოსწონდა ქალს.

- ვინძლო სწორედ ესეთი ხელოვნება გააკეთო! მაშინაც შესაფერი უნდა იყოს ნივთი ბატონიშვილისათვის, როდესაც კახეთის დედოფალი შეიქმნება იგი და უთვალავი საუნჯე ექმნება ხელში, უბრძანა გურიელმა.

მამის სიტყვამ უკბინა ქალს და შეაკრთო. ნოშრევანს ფერი ეცვალა და თვალი რეტად მოავლო იქ მყოფთ. დიდმა ქალბატონმა ცნობის მოყვარეობით შეჰხედა ქმარს და თვალი თვალში გაუყარა. ხმები თინათინის კახეთში გათხოვებაზე წინადაც იყო გავრცელებული, მას შემდეგ, რაც მამია დაბრუნდა ქართლის ომიდან; თავის საბოლოო ცდა კი ამ საქმეზე საიდუმლოდ დაიჭირა გურიელმა, არავის არ გაანდო იგი, გარდა მეფე ბაგრატისა, რომელსაც სთხოვა შუამავლობა: ამაყი კაცი იყო, ზვიადი და თუ გადაწყვეტილი უარი მოსვლოდა კახეთიდან, შეურაცხყოფად მიიღებდა მას, ვერ აიტანდა საჯაროდ. ეხლა კი შეეძლო უკვე ფარდა აეხადა ამ ამბისათვის: ცნობა ჰქონდა, რომ ლევან მეფის კაცი მოახლოვებოდა მის სამფლობელოს, დღე-დღეზე მოვიდოდა და სრულ თანხმობის ამბავს მოუტანდა.

მოვიდა დესპანი კახეთის მეფისა, ლევანს საბოლოოდ მიელო მამის წინადადება, მოსწონდა მისი ჰაზრი სახელმწიფოს შესახებ და ყველაფერზე თანხმობა განეცხადებინა.

- „დარწმუნებული ვარ, ეს კავშირი განამტკიცებს ჩვენს ხელმწიფობას და წარმატების გზაზე დააყენებს ჩვენს სახელმწიფოებს“, - სწერდა ლევანი სხვათა შორის.

უამა გურიელს, რომ სასიძო ხელმწიფედ იხსენიებდა მას, ხოლო მის სამფლობელოს სახელმწიფოდ. ლევანი სავსებით მიუხვდა გულის ნადებს: ამ გულის ნადებზედ იყო შეთხზული და ამოშენებული კახთ ბატონის უსტარი სასიძამროსთან. ლევან მეფეს ნიშანიც უკვე გამოეგზავნა ქალისთვის, სადედოფლო ბეჭედი, მარტივი რამ ნივთი ჩნდა, ერთადერთი თვალი ეჯდა ბრილიანტისა, მაგრამ იგი თვალი ფასდაუდებელი ჯავარისა, ელვარებისა და მოყვანილებისა იყო, იშვიათის ბრწყინვალეებისა. ერთ სამეფო გვირგვინადა ჰღირდა ეს სადედოფლო სამკაული.

ეხლა კი მივიდა თინათინ იმ სამზღვართან, სადაც თავდება გზა უზრუნველის და გულუბრყვილო ქალწულობისა, სავალი უმანკო ნორჩობისა, მოყვარულ მშობელთა მზრუნველის ხელით გაყვანილი და ვარდ-ზამბახით მოფენილ - დამშვენებული. ეხლა კი იწყობოდა ნამდვილი გზები საკუთარის ცხოვრებისა. ორი გზა მიემართებოდა აქედან ტრიალ მინდორზე, მარჯვნივ და მარცხნივ და თანდათან ჰშორდებოდნენ იგი გზები ერთმანეთს, იკარგებოდნენ თვალუწვდენელ სივრცეში. გზათა დასაწყისში ამართული იყო მარმარილოს სვეტი და ზედ ამოჭრილი წარწერა რამ საიდუმლო.

ქალი შესდგა სვეტთან, ჩააკვირდა წარწერას, მაგრამ ვერ ამოიკითხა: ბუნდი იყო იგი წარწერა მის თვალთათვის, მქრალი, გაურკვეველი. აღედრა

ცნობისმოყვარეობა უსამზღვრო, დაჟინებით ჩააჩერდა დაწერილს, ჰსურდა თვალის ისრით განეპო ბნელი და განეჭვრიტა წარწერაში აღნიშნული იდუმალი სვლა მომავლის თვისის ცხოვრებისა, მაგრამ ამაოდ! დაიქანცა ქალი, სასოწარკვეთილებას მიეწურა გაწამებული. მაშინ განათდა სვეტი მარცხნივ წითელი რამ სინათლით და სისხლის ფერმა ნათელმა ცხად ჰქმნა ასოები. ეწერა:

„გზა დიდებისა არს ესე, სავალი რჩეულთა! წახვალ მარცხნივ და შეიმოსამ ძალს ქვეყნიურს, განირთხმიან შენთ ფერხთ ქვეშ ათასნი და ბევრეულნი, მოგეზღვნის საუნჯე უთვალავი, შარავანდედი ძლიერებისა გარემოცვავს თავსა შენსა და იბრწყინვალეbs სახელი შენი ჟამთა დენაში!“

გააყოლა ქალმა თვალი გზას. რა კარგი იყო, მხიბლავი, ბრწყინვალე! მვირფასი ქვებით მოოჭვილი, ოქროს სვეტებით გარს მოჯრილი, სუნნელებით ნაპკურები, სუნნადსუნნელით! ელოდდნენ მას გზაზე ეტლნი და ჰუნენი, ქალწულნი და ყრმანი მსახურებად განმზადებულნი, რაინდნი შესაზარნი მცველად მოსულნი, ხოლო საშუალ მათსა ვაჟკაცი გვირგვინოსანი, მის თანამგზავრი ცხოვრებაში. მშვენიერი იყო იგი მეფე-ვაჟკაცი, გარნა, ახ! გული არ უცემდა: ცივი იყო თინათინისთვის მისი გული; უძრავი, გაყინული. და მოესმა ქალს ხმა მკვეთრი:

„იხილე გზა ცხოვრებისა შენისა და თანამგზავრი შენი: იარე!“.

მკრთალი რამ ნათელი შეეფინა სვეტს მარჯვნივ და ქალმა ოდნავ გაშუქებულ ნაწერში ძლივს გაარჩია სატყვები:

„სიყვარული მარტოოდენ, მხოლოდ სიყვარული!“.

გაჰხედა ქალმა გზას მარჯვნივ და ეკლიანი იყო იგი, ვიწრო, ბინდით მოცული, ძნელად სავალი. და შორს, ძლიერ შორს მოჩანდა სევდიანი სახე შავით მოსილის ნოშრევანისა. მიუპყრო ქალმა ყური და მოესმა ძგერა გულისა, კვნესა მწარე ნოშრევანისა გულისა.

დაისახა აწ ქალწულის წინ ცხოვრება ერთის მხრივ ნოშრევანის სახით და ეს სახე უხაროდა გულს, მის ხილვაზე ვარდისფერად ნათდებოდა იგი, გარნა დამცინავი გონება პირს უკუიქცევდა გესლით სავსე ღიმილით იღიმებოდა. მეორე მხრივ დაესახა ქალწულს ცხოვრება მეფე ლევანის სახით, რომელი იყო მფლობელი მთელის კახეთისა, რომელი ხელს იწვდიდა მთელი საქართველოს გვირგვინისაკენ, ბაგრატიონთა გვირგვინისაკენ, ზეცით მონაღებისა. და ამ დიდებული სახის ხილვით თავს ამაყად სწევდა მაღლა ცივი გონება, ყელს იღერებდა, მიმოიხედდა თავმომწონედ, მედიდურად, ხოლო გული იჩრდილებოდა, იძირებოდა კაემნით შემძიმებული.

ირყევოდა ქალწულის ნებისყოფა ამ ძალთა შორის, უღონოდ გადადგადმოდიოდა. მით უფრო მწარდებოდა ქალის ყოფა, რომ იგი გრძნობდა თვის არსების სიღრმეში, რომ თანასწორნი არ იყვნენ ეს ძალანი: განყენებული მსჯელობა სძლევდა გულისკვეთებას. იცოდა ქალმა, რომ მკვეთრი ხმა გოროზის სატანაილისა თანდათან იმატებდა, მისი კარნახი თანდათან გაძლიერდებოდა და ბოლოს მთლადაც დაჰვარავდა საწყალი გულის კვნესას. მაშინ წაესწრაფებოდა ქალი

გვირგვინოსან თანამგზავრისაკენ და დაჰშორდებოდა ობლად მდგომ ნომრევანს. მთლად განშორდებოდა. მეტადრე დღისით გრძნობდა ხოლმე ქალი ამას, როდესაც ცხოვრების სინამდვილე უფრო ცხადად მოსჩანდა, ხოლო მსუბუქ ოცნებას ეკვეცებოდა ფრთა ჭრელი.

ან კი რა უნდა ექმნა ქალს და როგორ აჰყოლოდა თავის გულს? განა შესაძლო იყო დაეთმო დიდება, სიმდიდრე, ფუფუნება, უფლება და პატივი განგებისაგან მისთვის მინიჭებული! განა შესაძლო იყო დამცირებულიყო, დამდაბლებულიყო, დასწორებოდა იმათ, ვინც ეხლა ესე დაბლა იხრიდა თავს მის წინაშე და შეჰნატროდა მის ყოფას?! ხომ ყველა დამცინავის ღიმილით დაუწყებდა მას მზერას, ყველა აგრძნობინებდა მას, რომ ის არაფრით მეტი აღარ იყო მათზე.

მამის ნებით რომ იჭერდეს თავის საქმეს, კიდეც არაფერი; მამა შესძლებდა დაეფარნა ქალი დამცირებისაგან. მაგრამ მის უნებლიეთ ხდება საქმე, მისგან იდუმალ და იგიც წინ აღუდგება ქალს, შეიძულებს, ყურადღებას აღარ მიაქცევს; იქნება განზრახ დაამდაბლოს კიდეც იგი, რომ აგრძნობინოს უაზრობა თვისის ქცევისა; იქნება მთლად განრისხოს და განდევნოს იგი; იქნება კიდეც მოაშთობინოს საწყალი ნომრევან ოჯახის დამცირებისათვის. ვინ იცის? ყოველივე მოსალოდნელია მისგან და შესაძლებელი.

მართალია, უყვარს თინათინი ნომრევანს. გაგიჟებით უყვარს, მაგრამ ლევან მეფესაც მოსწონებია ქალი, მხოლოდ სურათის ნახვითაც კი შეჰყვარებია, თორემ რად დასთანხმდებოდა ესე ჩქარა. მერმე, თურმე, მთლად ახალგაზრდაა მეფე! ნომრევანის ხნისა ყოფილა, ნომრევანსავით გულადი და შემმართებელი. ხმალიც თურმე ისევე მარჯვედ უჭირავს, როგორც სკიპტრა: თვითონ მიუძღვისო ომში თავის ლაშქარს. რას ეგვანება უარი რომ უთხრას ქალმა?! მაშინ უნდა გააწბილოს მამაც დიდებული, მეფეც ახალგაზრდა, რომელსაც ნიშანი უკვე გამოუგზავნია; თითონაც მიწამდის უნდა დახაროს თავი, ყველა გააკვირვოს თავის მოუფიქრებელი ქცევით. ეს ყველაფერი უნდა მოიმოქმედოს მხოლოდ თვის სურვილის აღსასრულებლად, თვის ჟინის მოსაკვლელად. როგორ შეიძლება?! რას იტყვიან?!

- მაგრამ რომ ძალიან მიყვარს ნომრევანი, რომ აღარ შემიძლიან უიმისოდ ყოფნა! იმასაც ხომ ძალიან ვუყვარვარ, თაყვანსა მცემს ბეჩავი. თავს მოიკლავს უჩემოდ: ვიცი მისი გულის ამბავი. რა ტკბილი იყო მისი კოცნა! ცეცხლის კვალივით არის ამწვარი მისი ნაკოცნი! - სთქვა ქალმა და ხელი მოისვა ლოყაზე, თითქო მართლა ხელშესახები ყოფილიყო აღტაცებულის კოცნის კვალი წაუშლელი.

კახეთიდან მოსულმა კეთილმა ამბავმა ვერავინ გაახარა გურიელის კარს. ისე დააღონა მისი სასახლე, თითქო სურვილის აღსრულებისა და გამარჯვების ამბავი კი არ მოჰსვლოდათ, არამედ გაცრუებულის იმედის მომტანი ყოფილიყოს ლევან მეფის დესპანი.

ბატონიშვილი თინათინი შეაკრთო და მძიმე საგონებელში ჩააგდო ამ ამბავმა. იგი ხმას არ იღებდა, განმარტოებას სცდილობდა. ოცნება უსრულდებოდა ქალს, დედოფალი ხდებოდა, მხნე და ჭკვიან ახალგაზრდა მეფის მეუღლე, არკი უხაროდა:

გული შეეკუმშა და ასტკივდა, როცა ცხოვრებამ პირდაპირ მოითხოვა ქალისაგან ნოშრევანის უარყოფა, სანეტარო გულისთქმის დატოვება, ამთავითვე მხოლოდ უგულო დიდებისა და განცხრომის კვალზე შედგომა და დამორჩილება. გაუცხოველდა ეხლა ქალს თავისი პირველი სიყვარული და ბედს უწყრებოდა განაზებული, რომ არ შესძღვნა მას ხვედრი, ყველა მისწრაფებათა დამაკმაყოფილებელი. მის იღბალს უთუოდ უნდა შეერთებინა ლევანი და ნოშრევანი, ერთ სარაკო ადამიანად ექმნა იგინი და მიემღვნა ქალწულისათვის. აკი აქამდის ყველა მის სურვილს უნაკლულად ასრულებდა მორჩილი ბედი, აწ რალა დაემართა?! ან ნოშრევანი უნდა ყოფილიყო მეფე თუ მემკვიდრე სამეფოსი, ან თვით ლევან მეფე უნდა ყოფილიყო ნოშრევან გულწარმტაცი, საყვარელი, სასიყვარულო, რასა ჰგავს ეხლა? არც ერთი მისი მოტრფიალე არ არის სავსებით სრული!

- ჩემს ნოშრევანს აკლია ლევან მეფობა და დიდება მისი, ხოლო ჩემს მთხოვნელ ლევან მეფეს არ დაჰყოლია საამო მიმზიდველობა ნოშრევანისა. იქნება ღირსი არ ვიყავ სრულის ბედისა?! იქნება ვიზედმე ნაკლები ვარ ქალობით თუ დიდებით?!

დაღონდა ბედის მომდურავი, გარნა მასთან ბრძოლის ვერ შემძლე თინათინი, მოდუნდა, სიცოცხლის ეშხი დაჰკარგა, მოქმედების ხალისი ჩაუჭკნა, თვითმოქმედების ძალა ამოუშრა; აჩრდილად რადმე გარდაიქმნა ქალი უსიცოცხლოდ.

დიდ ქალბატონსაც არ უამა ეს სასიამოვნო ამბავი. სასიძოს არ იწუნებდა იგი; ამ მხრივ მისი ოცნება სავსებით იყო დაკმაყოფილებული, რადგან უკეთესს იღბალს ქალისათვის თვით მოსიყვარულე დედის გულიც ვერ ინატრებდა. ვერც ქმარს უწუნებდა მოსაზრებას თუ შორს გამჭვრეტელობას. ისა სწყინდა მას, რომ ამისთანა სამძიმო საოჯახო საქმეში გადამწყვეტი ნაბიჯი უკანასკნელი მხოლოდ თვისით დაეჭირა ვაჟკაცს, მის დაუკითხავად.

- როგორ შეიძლება?! ქალს ათხოვებენ, დედამ კი არ იცის! მკვდარი ვარ თუ?! რითი დავიმსახურე უნდობლობა? იქნება რომელიმე საიდუმლო გავეცი, ან ხელი შევეშალე კარგი ჰაზრის განხორციელებას, ან უთავბოლო რამ რჩევა მივეცი როდისმე. ძალიან-გაზვიადდა მამია, აღარავინ ჰგონია თავისი სწორი, აღარავის რჩევას არა სთვლის საჭიროდ, თვით მეუღლის რჩევასაც კი, - ამბობდა ქალბატონი და ზედ აღარ უყურებდა ქმარს.

- რა გულზე მოდიხარ, შე ქალო ან რა დროს წყრომა არის? არ თუ მოგწონს ჩემი არჩეული სასიძო, ან იქნება უკეთესი გყავდა შეთვალთვალეული.

- თუ მყოლოდა ვინმე არჩეული, შენც კი გეცოდინებოდა: ოჯახის საქმეში ცოლ-ქმარი, ვგონებ, ერთმანეთის კითხულნი უნდა იყვნენ, ყმაწვილო!

ნოშრევანის მდგომარეობა ხომ მთლად აუტანელი შეიქმნა. მას ის კი არ უკვირდა, რომ ბატონს ეფიქრნა თავის ოჯახზე და მარჯვედ მოეგვარებინა საქმე: ეს ბუნებრივი იყო და სასახელო; არც ის უკვირდა, რომ ბატონმა არ გაუზიარა მას თავისი დაწყობილება, არ მიიხმო იგი სავეზიროდ: მართალია, იგი თანაზრდილი იყო

თინათინისა და თითქმის წევრი მამიას ოჯახისა, მაგრამ მაინც უცხო იყო, სხვა, და რად გაუზიარებდნენ სახლის საიდუმლოს ნომრევანს ის უკლავდა გულს, რომ ქალმა მაშინვე უარი არა სთქვა გადაწყვეტილი და რყევა დააწყო; თითქო არ იცოდა, რა პასუხი უნდა მიეცა მამისათვის ერთადერთი და მტკიცე.

- სჩანს ქალის გული არ არის სავსებით სავსე, რაკი არ იწყინა იგი წინადადება, უარი არა ჰყო გადაჭრით! ყოვლად შეუძლებელი იყო სხვანაირად მოქცევა: აბა ჩემთვის შემოეძლიათ თუნდ კეისრის ქალი მზეთუნახავი და საბრძანებელიც კეისრისა, თუ ერთ წამს დავფიქრდებოდი და უარს არ ვიტყოდი საბოლოოს. ის კი ყოყმანობს! სჩანს. წრფელი არ ყოფილა მისი სიყვარული, არც ძლიერი.

- ან კი რა გასამტყუნარია! ვინ მე, ვიღაც უთვისტომო თავადიშვილი, ვინ დიდი გურიელის ქალი, მზეთუნახავი! მაგრამ ის გულის გადასხნა უბრყვილო, ის აღთქმა, ის კოცნა? ეჰ, მხოლოდ ყმაწვილური გატაცება ყოფილა იგი უხანო, ჟინი რამ წამიერი.

და გაცრუებულმა იმედმა წელი მოსწყვიტა ჭაბუკს, მოადუნა, დაშრიტა მისი მძლავრი ძალა.

- იქნება დანამდვილებითაც იცოდა ქალმა თავისი მამის გადაწყვეტილება და თანახმა იყო მისი, ჩემთან კი მხოლოდ თამაშობდა თავს ირთობდა. შეექცეოდა; არ დაგიდევდა გულცივი, რომ იგი მისი გართობა მომაკვდინებელი იყო ჩემის გულისა, ჩემის სიყრმისა...

- არა! განა შეიძლება მაგისთანა სიბოროტემ დაისადგუროს მისთანა უმანკო ქმნილებაში?! ყოვლად შეუძლებელია! შეგირცხვა, ნომრევან, ვაჟკაცობა, რომ ერთ წამს გაიფიქრე ეგეთი აუგი შენს სატრფოზე: ვერ გქონია წმინდა გული, ვერ ყოფილხარ ღირსი იმ უმანკოსი. ეგრე რომ ყოფილიყო, აღარც დააყოვნებდა ქალი და სიხარულით განაცხადებდა თავის თანხმობას. აგერ მეორე დღეა, რაც დესპანი აქ არის, ქალს კი ვერ დააჰხწიეს პასუხი: ალბად არის ძალა, რომელიც აფერხებს მის თქმას და გადაწყვეტილებას.

ეგონა ნომრევანს, რომ ქალი აგერ მიიხმობს მას იდუმალ, განუზიარებს თავის ვულისთქმას და მისცემს ჰაზრს მოქმედებისას! მაგრამ გადიოდა დრო და ქალის მხრივ კი არაფერი ამბავი არა სჩანდა. არ იცოდა ჭაბუკმა, რომელ გზას დასდგომოდა ან რა მოეგვარებინა: ქალის უნებურ საქმეს ხომ ვერ დაიჭერდა. მისი სურვილის წინააღმდეგ ხომ ვერ წავიდოდა ხელქმნილი?!

არც თითონ ბატონი გურიელი იყო უკეთეს მდგომარეობაში. ცოლის წყრომა კიდევ ესმოდა: უნდობლობა განუცხადა მას და გაახელა. მაინც ადვილი მოსაგვარებელი იყო ეს: ეტყოდა. რომ სახელმწიფო საიდუმლო იყო აქ ჩარეული, მოუალერესებდა, გულს მოუგებდა დედაკაცს. გურიელს ის აწუხებდა, რომ ქალი უსიამოვნოდ შეეგება ამ სასიამოვნო ამბავს, ცივად, თითქმის უარით. ვერ გაიგო, რით იყო გამოწვეული მისი გულგრილობა. ნუთუ მეტს ბედს ელოდდა მისი ქალი?! სად უნდა ეპოვნა უკეთესი საქმრო?! სხვა მიზეზს კი ვერ ჰხედამდა მამია. არც ეძებდა.

ჰაზრადაც არ მოსდიოდა, რომ მისი ქალი გულს შეაწყობდა რომელსამე მის ყმას თუ ქვეშევრდომს და თავს დაიმდაბლებდა.

ნოშრევანას დაღვრემილმა სახემ და სიჩუმემ ხომ მთლად გააცოფა ბატონი. ნეტა თუ რამ ჩაუთხრა გული ამ ხალისიან ყმაწვალს, რამ ჩააჩუმა? ლამის აგრძნობინოს შორით მოსულ სტუმრებს სასახლის უგემურობა. იმას რაღა საქმე აქვს მათ საოჯახო საკითხთან, ან რა კავშირი?!

დრო კი აღარ იყო არც რისხვისა, არც გულისწყრომისა, არც თუ მხილებისა. ყოველივე მოთმინებით უნდა გადაეტანა ბატონს, არაფერი ეგრძნობინებინა სტუმრებისათვის: მხიარულად უნდა ეჩვენებინა თავიც, სასახლეც. ბოლმა კი ყელში აწვებოდა, მზად იყო გადმოეხეთქნა ზავთს და წაეღეკა ყოველივე. გულში იტრიალებდა რისხვას გულმოსული ბატონი. ყველგან სარისტას აძლევდა, ყველას და ყველაფერს სიმხიარულის ელვარებით ჰღებავდა. მარტოდმარტო ახერხებდა ამას, უმეშველოდ, უმწეოდ. ომში არ დასჭირებია მამიას იმოდენა გამჭირახობა, მოთმინება, მოსაზრება და მხნეობა. როგორც სჭირდებოდა ეხლა მას თავის ციხე-დარბაზში.

11

ლევან მეფის წიგნი მოართვა გურიელს თავად ქაიხოსრო მაყაშვილმა. შუახანს გადაცილებული კაცი იყო, ხშირ ჭაღარა შერთული, მსუბუქი ტანისა, ხმელ-ხმელი. წვერი მოპარსული ჰქონდა, უღვაშები ძირს დაშვებული. შუბლზე და საფეთქლებზე თმა გამოჰფენოდა კალმუხის წოწოლა ქუდიდან. მუქი ტანისამოსი ეცვა უბრალო. არცერთი ვერცხლის ფოლაქი არ ეკერა მის იარაღს თუ ქამარ-თასმას. წყნარი ქცევა ჰქონდა - ზრდილობიანი. პირველი შეხედვით არავითარ განსაკუთრებით შთაბეჭდილებას არ ახდენდა იგი ადამიანზე, მხოლოდ მისი ჭკვიანი თვალები უნებლიეთ იპყრობდნენ ყურადღებას: წყნარი რამ სხივი გამოკრთოდა მის თვალთაგან, მომწვანო; იგი სხივი აციაგებდა საგანს, რომელს მიეპყრობოდა, გარს ეხვევოდა მას და თავისკენ იზიდავდა ძლიერად. ეს იყო განთქმული ვეზირი ლევან მეფისა, კაცი აულელვებელ-აუჩქარებელი, ღრმად მომფიქრებელი და ფრთხილი, ლევანის კარს დიდი პატივი ჰქონდა ამ კაცს დამსახურებული და სიყვარული.

სხვა მისი ოთხი თანამგზავრი ყმაწვილკაცები იყვნენ ახოვანნი, ვეფხვივით მოქნილნი, ლომივით მწყაზარნი და ამაცნი. სკლატ-ხავერდში ისხდნენ სხვადასხვა ფერში, ოქრო-ვერცხლით თუ თვალ-მარგალიტით ჰქონდათ მოჭედილი საჭურველ-სამკაული, პირს ღიმი გადაჰფენოდათ, სრული უდარდელობა თუ უზრუნველობა გამოსჩანდა მათ თავისუფალ მიხვრა-მოხვრაში და სიტყვა-პასუხში. ამათ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინეს ყველაზე, მეტადრე კეკლუცთა კრებულზე. ვინ მათგანი არ მიაპყრობდა ნდომის თვალს ამ ალვის ხესავით ლაღად ასულს და მშვენიერ ყვავილებად გადაფურჩქვნილ ჭაბუკებს?!

გურიელმა მიუჩემა მათ საუკეთესო ბინა და საგანგებო მსახურნი თუ შემაქცევარნი; მეფურად განუსვენა მათ. ქალის ნახვა და დარბაზობა მესამე დღისათვის დაინიშნა. უფრო ადრე შეიძლებოდა დარბაზობა, მაგრამ უნდოდა ხანი

მოეგო, რომ განეფანტა ის უსიამოვნო ბურუსი, რომელიც ჩამოწვა სტუმართ მოსვლისთანავე მის ოჯახში და სევდის რამ იერი დასდო მას.

მესამე დღეს გამართა გურიელმა მეჯლიში და საჯაროდ გამოაცხადა თავისი ქალის დანიშვნა კახეთის მეფე ლევანზე. ბევრი ხალხი არ იყო სასახლეში, გარნა საუკეთესო წარმომადგენელი იყვნენ მისი საბრძანებლისა, ქალი თუ კაცი. ეს კოხტად და ფაქიზად გამოწყობილნი რჩეულნი, სიცოცხლით და მოძრაობთ სავსენი. დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ახდენდნენ ადამიანზე. ძალიანაც მოეწონათ იგინი კახელებს.

გამოიყვანეს თინათინი. წარსდგა წინ ქაიხოსრო, წარსდგნენ ცოტა ჩამოდგომით სხვა კახელებიც. მაყაშვილმა ერთს წამს მუშტრის თვალი გადაავლო ქალს, აწონ-დაწონა მისი ნაგებობა, ნაკვთი თუ ელფერი და სიამე გადაეფინა სახეზე. სხარტი ქალი იყო წვრილად ასული; მისი წელი მუჭაში დაიჭირებოდა: ცოტა სუსტი მოჩანდა მინაზებული, მაგრამ ეს იმითიც აიხსნებოდა, რომ ნორჩი იყო, ჯერ ისევ ჩვილი. ქაიხოსრომ თაყვანისცა ქალს, როგორც დედოფალს უკვე სამეფო ტახტში მჯდომს და ხოტბა შესძღვნა მას: იმ თინათინს დაადარა ეს თინათინი, უკვდავ მშვენების და სათნოების განხორციელებას, გამოიღო უბიდან კოლოფი, ამოიღო ბეჭედი და ცალ მუხლზე დაყრდნობილმა ააცვა ქალს თითზე.

- სადედოფლო ბეჭედი გახლავსთ ეს: დიდებული ხელმწიფე კახეთისა ლეონ მოგიძღვნით ამ წინდს, ნიშანს სიყვარულისას - მოახსენა ქაიხოსრომ.

სხვა მოსულებმაც თაყვანისცეს დედოფალს და უკუდგნენ, ყველამ მიულოცა ბატონიშვილს. ქალმა უთქმელად მიიღო ბელგა, მის სახეზე არავითარი მკაფიო და განსაზღვრული გრძნობა არ აღიბეჭდა, არც სიხარული, არც სიმძიმე.

იქ იყო ნოშრევანიც. უნდოდა მოჰშორებოდა იქაურობას, გადაკარგულიყო სადმე, მაგრამ იდუმალი რამ ძალა იკავებდა, კიდე რაღაცა იმედი ჰქონდა: ვერ წარმოედგინა, რომ ქალი ესე უბრძოლველად უარჰყოფდა მას. გასწირავდა საბოლოოვდ.

- იქნება სწორეთ ამ დარბაზობის დროს განაცხადოს თავისი გულისთქმა, ან მიბრძანოს რამე ისეთი, რომ მიიმართებოდეს ჩვენი საერთო სურვილისაკენ, - ფიქრობდა ვაჟი.

და გაჰკვირდა, მთლად გაოცდა, როცა ქალმა წარბშეუხრელად მიიღო ნიშანი და დედოფლური თაყვანისცემა. ეხლა კი მთლად მოესპო იმედი, დაუბნელდა თვალთ და გავიდა დარბაზიდან უიმედობის ზღვაში განუვალ-განუკვალავში.

თავის ოთახში იჯდა სევდამორეული ნოშრევანი, როცა მხევალმა გადასცა უსტარი თინათინისა. ქალი უბრძანებდა, არსად წასულიყო, დასწრობოდა მეჯლიშს, არ დაეტოვებინა იგი ამ მისთვის ძნელს ჟამს. განცვიფრდა ვაჟი. უნდა შეეგნო ქალის ჰაზრი საიდუმლო, განეჭვრიტნა იგი გონების თვალთ, მაგრამ ვერ შესძლო. აღარც ეცალა საფიქრებლად: კვლავ ეპკურა იმედის ნამი უსასოქმნილს მის გულს ჩაშავებულს და გამოცოცხლდა იგი, კვლავ გადაღანდა, სურნელოვან ყვავილად გარდაიშალა.

დაესწრო ნოშრევანი მეჯლიშს. მოიმხიარულა. გულს დარდი ეგონა: ეგონა, ქალმა მოიფიქრა საკეთილო და რამე მტკიცე გარდაწყვეტილებას ამცნობდა მას, გარკვეულ გზაზე დააყენებდა. პირველში კიდევ განუცხოველდა ვაჟს ეს იმედი: შეატყო, მისმა სიახლოვემ გაამხნევა და გაამხიარულა ქალი. მაგრამ ბოლოს ისევ ასცდა მას ქალის თვალთა ისარი: აღარ მიჰხედა ქალმა მას, მთლად აარიდა თვალი დარცხვენილმა. ამან ისევ ჩაუქრო მას მხიარულობა, გაუგებარ მდგომარეობაში ჩააყენა იგი.

გაუგებარი კი არა იყო რა აქ: უკანასკნელ ნაბიჯის გადადგმის დროს ქალის გულმა ერთი კიდევ გაიბრძოლა ძალუმაღ; ამცნო, აგრძნობინა ქალს, რომ იგი თავის ტკბილ ბედს თავისსავე ხელით აშთობს და უკუაგდებს. ეს იმ ჟამს მოხდა, როდესაც სადედოფლო ბეჭედს უკეთებდნენ ხელზე. ქალმა მიიხედა ნოშრევანისკენ, შენიშნა სასოწარკვეთილება მის სახეზე და ამ წუთს ისე ცხადად წარმოუდგა თვისი პირველი სიყვარული მრთელის თვისის სინაზით, ისე დაენანა იგი მისგანვე უარყოფილი საუნჯე, რომ გადადგა ეს გაბედული, გარნა უკვე მიზანშეუწონელი და უდროვო ნაბიჯი და მისწერა ჭაბუკს წერილი. იგი წიგნი უკანასკნელი მოძრაობადა იყო ქალის გრძნობისა ნოშრევანისადმი მიმართული, უკანასკნელი გამუქება ჩასაქრობად მიწურულ გრძნობათა ნაპერწკალისა. ქალმა აკი ბოლოს იგრძნო კიდევ მთელი ამოება თვისის მოქმედებისა, მაგრამ გვიანდა იყო.

იმედგაღვიძებული ნოშრევანი რომ ამოუდგა სასახლეში კახელ სტუმრებს გვერდში, ისე დაამშვენა ისეც ემხიანი მათი ჯგუფი, როგორც კოკობმა რამ ყვავილმა საუცხოვომ საგანგებოდ შეთხზილი თაიგული. იშვებდა და იხარებდა ნოშრევანი ბედნიერი, ამაყად აელო თავი და ლაღად მიმოიძროდა. დედოფლის წერილი ედვა უბეში სანუგეშო და თავი ხელმწიფე ეგონა რჩეული, რა იცოდა, რომ ხავსს ეჭიდებოდა დაღუპვად განმზადებული, უკვე ძლეულის გრძნობისაგან მისკენ უღონოდ გადაგდებულ ხავსს! ქალის ზვიად სულში უკვე ჩამჭკნარ-ჩამკვდარიყო გრძნობა იგი ნაზი; უკვე უარ-ეყო მას ღმერთი ტრფობისა და შესდგომოდა ღმერთს ელვარეს დიდებისა, შესწირვოდა მას, თაყვანსა სცემდა.

- სრულებითაც არ ირჩევა ნოშრევანი ამ ახალგაზრდებისაგან, არც ვაჟკაცური მშვენებით, არც ნარნარი ქცევით, არც სიმღერისა თუ ლაღობის უნარით! გარნა ვინ არიან ესენი? მხოლოდ მხლებელნი ლევან მეფის დესპანისა! ნოშრევანიც მხოლოდ მხლებელია, ქვეშევრდომი.

რწმუნდებოდა ქალი, რომ მისი მამისაგან ბრძნულად არჩეული საქმრო სწორედ შესაფერი იყო მისი, ვინც თვით ღვთისაგან დაწესებულა დიდებულ დედოფლად მორჭმით მჯდომარე.

- მაშინ შენც დამშვიდდები. გულო ბეჩავო! მაშინ შენც მიჰხვდები, რომ ჭემმარიტს სიტკბოებას, შენს შესაფერ სიამოვნებას მხოლოდ ზეამაღლებულ ტახტზე ჰპოვებ, ბრწყინვალე აღმატებით გარემოცული! - ანუგეშებდა ქალი გულს.

მაგრამ გულს ისრად ესობოდა ცივი ნუგეში და იკუმშებოდა დაღაზვრული. ცხადად ჰხედავდა იგი, რომ ნოშრევანის გარეშე არ არსებობდა მისთვის არც

სიხარული, არც ნეტარება. ვაი, რომ ვერ გამოეთქვა საწყალს ის თვისი განცდა, ვერც ემცნო დიდებით თვალაბმულ ქალწულისათვის.

12

ყველა ეს ამბავი: ლევან მეფის დესპანის მიღება, ქალის დასახელება კახეთის დედოფლად, მეჯლიში და მხიარულება ამ ამბის გამო, ყოველივე ეს მოხდა ჯერ ისევ გაზაფხულზე გურიელის სრა-სასახლეში, ოზურგეთს. ამის შემდეგ გამობრძანდა ბატონი გურიელი თვის მეორე სასახლეში, ზღვის პირას. მაგრამ ალამბარში მხიარულების ანგელოზი არ დასტრიალებდა გურიელის ოჯახს, გულჩათხრობილი იყო მთელი სახლი. ბატონიშვილი თინათინის მდგომარეობა ჯერ კიდევ გამოურკვეველი იყო და ეს იყო მიზეზი, რომ სასახლიდან განდევნილი იყო მხიარულება და ქალის წაყვანას, ამ საამო და სალხინო საქმეს ისე მოელოდნენ, როგორც სამძიმოს.

დიდი ქალბატონი აღარავის ემდურებოდა ეხლა, რადგან უკვე ჭკვაში დასჯდომოდა დიდებული სასიძო; იგი გულში კიდევ აქებდა თავის ქმრის მოაზრებულ ნაბიჯს და საქმის მოხერხებულად მოწყობას, ის მთლად შეჭრიგებოდა იმ გარემოებას რომ ეს კარგი საქმე. უიმისოდ დაიჭირეს. მაინც ხომ ყოველთვის მოწიწებით იხრიდა თავს თავის ქმრის ჭკვისა და გამგეობის წინაშე. მაგრამ თინათინი მაინც ვერ გაემხიარულებინათ: არ ისმოდა სასახლეში მისი წკრიალა ხმა. თუ სიმღერა, აღარ დაცქრიალებდა დარბაზებში, აივანზე, წალკოტში; აღარც თარს ახლო ხელი, კეკლუცად მოოჭვილ თარს კეთილხმოვანს; აღარც ტოლ-სწორი გაიკარა ახლოს; გული არ მისწევდა დაეთვალაიერებინა თავისი მზითევი, მკერავი ქალები რომ ამზადებდნენ დიდის მხიარულობით და სიცილ-თქართქართ. სასიამოვნოდ კი დარჩებოდა ბატონიშვილს, რომ შეეხედნა ფართე ოდაში, რომელიც ეხლა სამკერვალოდ იყო გარდაქცეული: ნაირნაირი ფარჩა, ათასნაირი ბაბთები, ზონრები, ფუნჯები; ტაბაკებით მძივი, კილიტა, კნეთელი, თვალმარგალიტი, ველის ყვავილებივით გაფურჩქვნილი მკერვალი ქალები და მათი ლაღობა, ოხუნჯობა, ხუმრობა, ღიმილ-სიცილი. სწორედ სასიამოვნო რამ იყო, მიმზიდველ-გამახალისებელი: მაგრამ გული დაჰხუროდა თითონ დანიშნულს და ვეღარ ახარებდა მას ეს ყველაფერი, ვერც ასიამოვნებდა. გარეშენი კი ქალის უზომო სიამაყეს აწერდნენ ამისთანა მის მიუკარებელ ქცევას და სრულებითაც არ მოსწონდათ, რომ ესე მალე ხელმწიფურად გაზვიადებულიყო იგი.

- ძალიან ამაყად უჭირავს თავი, სწორედ მეფურად.

- აღარავის კადრულობს, აღარც არავის ყურადღებას აქცევს!

- თუ დიდი საუნჯე აქვს ი კათხა მეფეს, მაშ ის რაღა იყო, რომ ნიშანში მხოლოდ ერთი ბეჭედი მოართვეს.

- შე თვალდამდგარო! ის ერთი ბეჭედი თურმე ერთ ქალაქადა ღირს.

- აკი მოახსენა ლევან მეფეს ელჩმა, სადედოფლო სამკაულს მაშინ მოგართმევთ, წასაყვანად რომ გიახლებითო. ეს მხოლოდ ბელგა გახლავსთ, დასტურის აღმნიშვნელიო.

- ახ, როგორ წყნარი და პატიოსანი კაცი სჩანდა ი მაყაშვილი!

- მე მასთან მოსულნი უფრო მომწონდნენ, მისი მხლებლები.

- სუყველანი?

- არა, მე იმას ავირჩევდი, წითლებში რომ იჯდა. რა ხმა ჰქონდა! ყურთა სმენა მომტაცა დალოცვილმა.

- მე კი მწვანით მოსილი უფრო მომდიოდა თვალში. ნახე, რა ბეჭები ჰქონდა შავ ბიჭს! სწორედ, ამირანი იყო, შავი ღრუბლის მზგავსი.

- არა, გოგოჯან! ყვითლით მოსილი ყველას სჯობდა. ახ, როგორ მშვენივრად უღიმოდა ლურჯი თვალები!

- იასამნის ფერს რაღა უჭირდა? ნახე, როგორ მსწრაფლ დაიმორჩილა ბატონის მერანი. რომ შემოახტა და ლაგამს მოსწია, მთლად გასწურა ბედაური, აათრთოლა. ლომს უგვანდა მაჯა, ვენაცვალე!

- ნომრევანს რაღა უჭირდა, ბეჩავ! არც ერთს არ ჩამოუვარდებოდა. სიმღერაში და სიმხიარულეში კიდევ დასჭარბა.

- აჯობა კი არა! რა ბრძანებაა!!

- მართლა და ძალიან მხიარულად იყო ნომრევანი, სწორედ თავი მოიგიჟიანა.

- ეხლა კი დაღვრემილია. თავ-პირი ჩამოსტირის, კრიჭა შეჰკვრია, ერთხელაც არ გამოგვხედავს, არც გამოგვხემაურება.

- ალბად სწყინს, რომ ბატონიშვილი უთხოვდება: ვისი რაინდიღა იქმნება ეხლა და ვისი მცველი?

ამბობდნენ მკერავი ქალები, ლაყბობდნენ, ქათქათებდნენ. ის კი არ იცოდნენ ენამოქარგულებმა, რა ცეცხლი სწვავდა საწყალ ნომრევანს, რა ბარდებში გაბმულიყო მნელ სავალში და როგორ უწყლავდა, ულახვრავდა მას გულს ეკალთა დასი. მაინც ეხლაც ისევ ვაჟკაცურად ეჭირა ჭაბუკს თავი: ყველაფერში ისევ ისეთს ერთგულობას იჩენდა დიდის ბატონის კარს, როგორც უწინ, ყველას წინანდებურად პატივსა სცემდა უკლებლივ, გარნა ამას ასრულებდა შეუგნებლად, უგრძნობელად, ჩვეულების ძალით: მისი გონება თუ ნებისყოფა მისჩერებოდა ერთ გამოურკვეველ რამ მოლოდინს საბედისწეროს, რომელსაც შეეპყრა და გაექვავებინა მისი არსება, იგი ელოდდა ქალის სიტყვას, თინათინის თქმას. რა იცოდა ბეჩავმა, რომ ბატონიშვილს მასთან არაფერი აღარა ჰქონდა სათქმელი, სრულებით აღარაფერი! აი წელანაც, სანამ ბატონის მხლებლებს ჩაუდგა სათავეში, ჩვეულებისამებრ აირბინა აივანზე და ბატონიშვილს მისცა სალამი, რიდეს ფოჩი დაუკოცნა და თან თვალი მიაპყრო მოლოდინად გარდაქმნილმა. ქალი შეკრთა მის მიახლოებაზე, გარნა სიტყვა კი ვერ დასძრა, ვერაფერი უთხრა ვერც სანუგეშო, ვერც დასაწველი, ან რაღა ჰქონდა სათქმელი, როდესაც აპყოლოდა ცხოვრების ძლიერ დენას, რომელიც მიაქანებდა მას

უფულო დიდებისაკენ, იქით, სადაც უნდა ეპოვნა ბედისაგან მისთვის განმზადებული ბრწყინვალე შარავანდედი დიდებისა?!

აივნიდამ რომ ჩამოირბინა ნოშრევანმა, მას მუხლებზე მოეხვია შეპრწუნებული მეჯინიბე გურიელისა და შესთხოვა დახმარება, რადგან უსათუოდ დაატყდებოდა ბატონის რისხვა, მაგრამ ნოშრევანმა მხოლოდ სიტყვებს მოჰკრა ყური, ვერ კი მიხვდა მათში ამონაკვნეს ძრწოლას: იგი სავსებით სავსე იყო თავისი საკუთარი სევდით და მის გარეშე სხვა რამ ვეღარ შეეგნო, ვერც გაეზომა.

13

ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ კიდევ მიჰმართა ქალმა ნოშრევანს, როგორც თავის ერთგულს და ერთადერთ მისანდობელ ადამიანს, უფრო მისანდობელს, ვიდრე თვით მამა იყო მისი ან ძმა. ჭაბუკმაც ისე მარჯვედ და მოსწრებულად შეუსრულა მას სურვილი, რომ სწორედ ასიამოვნა ქალწული.

თინათინისთვის მზითევს ამზადებდნენ საუკეთესოს: ცოტას, გარნა რჩეულს, სწორედ მეფურს და სადედოფლოს. სხვათა შორის საჭირო იყო მხეველიც, მოახლეები და მოსამსახურეები კი არა, - ესენი საკმაოდ იყვნენ, რადგან მათ ყმათაგან ირჩევდნენ ხოლმე, არამედ მხევალი ნაყიდი, ყურმოჭრილი, სწორედ საუცხოვო კი უნდა ყოფილიყო იგი მხევალი. უცხო ქვეყნისა, ძვირფასი, ძვირად ნაყიდი. ბატონს გურიელს დავალებული ჰქონდა სანაპიროების მცველთათვის არც ერთი ხომალდი არ გაეშვათ გაუსინჯავად და თუ ჰპოვებდნენ ამისთანა საგანგებო ტყვეს გასასყიდს, უთუოდ ეცნობებინათ მისთვის. მოახსენეს გურიელს: ქობულეთის ნავსადგურში ხომალდი მოვიდა ალექსანდრიიდან და სწორედ იმისთანა ქალი მოიყვანა ტყვედ, რომელიც გამოდგება სამზითვოდაო. იმ ერთის მეტიც აღარ იქნება საჭირო, ათს ქალსაც უდრისო.

გურიელმა გაგზავნა თავის მოლარეთ-უხუცესი, რომ გაესინჯა ტყვე და ეყიდნა კიდევ, თუ მოეწონებოდა. რომ გადასხნეს ჩადრი და მუშტრის წინ დააყენეს შიშველი ქალი, მოლარეთ-უხუცესი განცვიფრდა უნაკლულო სანახაობით და უნებლიეთ ხელი შეახო. მითომ უფრო დაკვირვებით გასასინჯად. ქალმა ზიზღით შეხედა კაცს და შეაჟრჟოლა მკერდიდან სურათ წვივებამდის, თითქო რამ ქვემძრომი შეეხოვო ლორწოიანი. სწორეთ ფოლადისაგან იყო ჩამოსხმული მთელი მისი ნორჩი ტანი, ნიჭით ცხებულ მექანდაკისაგან ჩამოყალიბებული. ექვსი კოლხიდური ტყვე მოითხოვა ამ ქალში სოვდაგარმა, ფული არ ინება. მოლარეთ-უხუცესს მოეწონა ეს წინადადება: ფულის გაღება მას ყოველთვის ეძნელებოდა, გასასყიდი ტყვეები კი კიდევ ჰყვანდათ: ომიდან მორეკეს იგინი და კიდევ დარჩენილიყო ხუთი. საჭირო იყო მხოლოდ მეექვსე ეგულვათ სადმე.

გურიელს რომ მოართვეს ქალი, მთლად კმაყოფილი დარჩა და ნასიამოვნები. მოლარეთ-უხუცესმა რომ მოახსენა მეექვსე ტყვეც უნდა ვიშოვოთო, ბატონმა არ გასცა მას პასუხი. მხოლოდ ისეთის გაკვირვებით შეხედა, რომ ვაჟკაცს ენა ჩაუვარდა მუცელში. ქალებსაც ძალიან მოეწონათ ტყვე. იგი კი კრთებოდა, თრთოდა, კუპრის მორევივით თვალებს აფეთებდა, ცეცხლს აკვესებდა.

- რათა აქვს ხელები შეკრული? - იკითხა ბატონიშვილმა თინათინმა.

- გამწარებულია, ბატონო, საშიში: სოვდაგრისათვის ყელში წაუჭერია დასახრჩობად, ზღვაშიც გადამხდარიყო ხომალდიდან.

ქალმა ბრძანა ხელები გაეხსნათ ტყვესათვის. მერმე მივიდა და რაღაც უნებლიეთი მოძრაობით ხელი გადუსვა ლამაზ თმაზე, რომელიც აჰბურბუნოდა ბეჩავს. თვალცრემლმოსულმა ტყვემ მკლავი დაუკოცნა ბატონიშვილს. გურიელი დინჯად შეჰყურებდა ამ ამბავს, თან ყალიონს შეეცვოდა.

- ექიმბაშო! - შესძახა ბატონმა.

- აქ გახლავარ, მოწყალეო ხელმწიფევ!

- გასინჯე ტყვე! ავადმყოფობა ხომ არა აქვს რა, ან ნაკლი. ექიმმა გასინჯა ქალი, მაჯა უნახა, დაათვალიერა.

- თვით ჯანსაღობაა განხორციელებული და სიმშენიერე!

- რომ მშენიერია, ამას ჩვენც კი ვხედავთ, შე კაცო, შენ ჯანმრთელობა მითხარ!

- შემინდეთ, ბატონო, ვერ მოვითმინე არ შემექო:

- კეთილი!

- შვილო თინათინ! ეს ნასყიდი ტყვე შენთვის მომირთმევია, შენი საკუთარი მხევალია, ყურმოჭრილი. ვერა მგონია თვით დიდებულმა კახეთის მეფემ, ჩემმა სიძემ, წუნ რამ დასდოს მაგას, უთხრა გურიელმა ქალს და მიუბრუნდა ექიმს;

- ექიმბაშო, აასრულე წესი და შეათალე მაგ ქალს ყური! ხომ არ გაურჯულდება იარა?

- სამ დღეზე მოურჩება, ბატონო, სამ დღეზე! - მიუგო ექიმმა და გახსნა აბა, სადაც საექიმო იარაღი თუ წამალი ჰქონდა შენახული.

ტყვე მიხვდა, რასაც უპირებდნენ და შეძრწუნდა. იგი მოეხვია ბატონიშვილს მუხლებზე და ვედრებით მიაპყრო მას თვალები.

- არა, არ შეიძლება! - შესძახა თინათინმა ექიმის მიახლოვებაზე, - რახან ჩემია, ჩემს ნებაზე უნდა იყოს, როგორც მე მესიამოვნება. როგორ შეიძლება ამის დასახიჩრება!!

- არა, ქალო, ეგეთი კანონია და წესის შემლა არ შეიძლება. ეგ მხევალია ნასყიდი და ყური უნდა ჰქონდეს მოჭრილი ამის ნიშნად! - ბრძანა ბატონმა და შუბლი შეიკრა.

- სჯობია მომკლა! - სთქვა ქალმა და ხელი გადააფარა ტყვეს თავზე.

- როგორ შეიძლება, ჩემო ბატონიშვილო და დედოფალო, მაგის დასახიჩრება! მაგრამ წესს მაინც ნუ მოვშლით: მე მხოლოდ წრეს შემოვავლებ ყურს უკან, ცოტა სისხლს გადმოვადენ და შესრულებული იქნება ჩვეულება, -მოახსენა ექიმმა ქალს.

- კი, ჩემო ხელმწიფევ, ესრე ემჯობინება! - მიჰმართა მან გურიელს და თვალი თვალში გაუყარა.

ქალმა შენიშნა ეს შეხედვა და ვერ ენდო ექიმს, მაინც არ მიუშვა იგი ტყვესთან. გურიელი სდუმდა, შუბლი თანდათან ექმუხნებოდა, შავი ღრუბლები ხშირდებოდა მის სახეზე და მოახლოვებულიყო წუთი მეხისტეხისა, როცა გამოჩნდა აივანზე ნოშრევანი.

სასოწარკვეთილმა თინათინმა მიჰმართა მას ვედრებით:

- აი ამ საბრალო ტყვეს ყური უნდა მოსჭრან და მე არ მინდა, მამა თანახმა ბრძანდება შემოსერონ ყური ნიშნად წესის აღსრულებისა.

- წყალობა მოუღია მაგაზე ბატონს და რაღა გაწუხებს, ჩემო ხელმწიფევ!

- ვერ ვენდობი ექიმს: იგი სწორედ მოათლის ყურს. შენ შემოსერე!

- ბატონი ბრძანდები! - მიუგო ჭაბუკმა, ამოიძრო ხანჯალი და შემოსერა ყური თვალის დახამხამებაზე, წითელი ძაფივით შემოარტყა სისხლის წრე.

- მე მეგონა ხანჯალი მხოლოდ მტრის გასაგმირად გერთყა წელზე და თურმე ქალის სისხლსაც არ ერიდება შენი მახვილი. უთხრა გესლიანად გურიელმა.

- ჩემ ხანჯალს რომ ეხალისება მტრის სისხლში ცურვა. ეს ჩემს დიდ ბატონს თითონ მოეხსენება, და მას რომ ეგრევე ემარჯვება უმანკო ქალის დაცვა სიკვდილისაგან, ესეც ეხლა ნახა მისმა ბედნიერმა თვალმა!

- მხოლოდ მხევლის გადარჩენა ყურის მოთლისაგან ნოშრევან ჩემო! - მიჰმართა ექიმმა.

- მშვენიერი ქალისთვის, ჩემო ექიმბაშო, დასახიჩრება იგივე სიკვდილია, - მიუგო ნოშრევანმა და გაჩერდა მოწიწებით ბატონის შორი-ახლო.

თინათინს ძალიან მოეწონა ამ წამს ვაჟკაცი და მისი ქცევა თუ თქმა. ქალის გულმა შენიშნა ეს, აიმაღლა ხმა, შეემუდარა ქალს ღირსეულად შეეფასებინა ამ ღირსი ჭაბუკის სიყვარული, ესმინა ხმა სპეტაკის გრძნობისა. ქალმა ერთხანს თითქო უსმინა გულს, მაგრამ, მხოლოდ ერთს წამს, ერთს წუთს!

- ნოშრევან! - მიმართა გურიელმა ჭაბუკს, -დრო არ არის წასვლისა?

- ყველაფერი მზად გახლავსთ, ჩემო ხელმწიფევ! - მოახსენა ჭაბუკმა და გატრიალდა ბრძანების გადასაცემად.

ბატონი შებრუნდა შინ და მცირე ხნის შემდეგ ისევ გამობრძანდა გამოწყობილი, მოართვეს ცხენი. ბატონმა მზირი თვალი შემოავლო ცხენს, მაგრამ მის დაბზინებულ ტანზე ვერ იპოვა ვერც ერთი ლაქა. თუ ჭუჭყი. ამოიღო აბრეშუმის თეთრი ხელსახოცი და ყურში გამოუსვა ცხენს. ჭუჭყი რამ ამოჰყვა ხელმანდილს. ბატონმა ზიზღით გააგდო ხელიდან ქსოვილი და შებრძანდა რაშზე. მეჯინიბე ადგილობრივ გაიწურა შიშით.

- სახლთ-უხუცესო! ჩაჰგვარე ის ხუთი ტყვე სოვდაგარს! ე მეჯინიბეც გაიყოლე თან! - ბრძანა ბატონმა და გაემართა.

სახლთ-უხუცესმა მშვენივრად გაიგო ბატონის სიტყვა და ბორკილებით შებოჭილ ხუთ ტყვეს მეჯინიბე წაუმატა ნასყიდ მხეველის საფასში.

14

ამ შემთხვევამ მცირედ ჟამს ააფერადა ის ერთგვარი, გამოურკვეველი უკმაყოფილების ბურუსით მოცული ცხოვრება, რომელიც გამეფებულიყო კეკლუცსა და მხიარულად გადმომდგარ ალამბარში. ესეთი სევდის ჯანლი ჩამოწვა გურიელის ოჯახში კახეთიდან. მოსულ სამხიარულო ამბის შემდეგ, იმის აქეთ, რაც დიდებულმა გურიელმა დანიშნა თავისი ქალი კახეთის მეფე ლევანზე, ყველაზე მეტად სანუკვარ სასიძოზე მთელ მაშინდელ საქართველოში. ეს საშინელი ამბავი ბინდივით ჩამოწვა ამ სამხიარულოდ შექმნილ თვალთწარმტაც სასახლეში და განკვირვებაში მოჰყვანდა გარემონი. როგორ არ უნდა გაჰკვირვებოდათ, როცა ამისთანა სასიამოვნო ამბავზე უბრალო ოჯახებშიც კი სიმხიარულე დაიბანაკებს ხოლმე და კმაყოფილება?! აქ კი განდევნილიყო ნათელი ღიმილი, კაშკაშა სიცილი, სამოთხის სიამის მაგებელი; მოსპობილიყო საამო შექცევა, ტკბილი ღიღინი, ფერადი თქმა მსუბუქფრთიანი; გამოუთქმელ რამ დარდს გუნება მოეშხამა სასახლის მცხოვრებთათვის და სიცოცხლე ჩამქრალ აჩრდილებად გარდაექმნა სისხლხორციით სავსე, მარადმოდრავი, მარად მომღერალ-მოცეკვავე ხალხი ხალისიანი.

დრო კი მიდიოდა შეურყეველ-შეუფერხებლად და მიაქანებდა მარადისობის განუჭვრეტელ არარაობისაკენ ცხოვრების სიხარულს თუ სიმძიმის, ოხვრას თუ სიცილს, სულთქმას თუ ხარხარს. აგერ მიიწურა ზაფხული და მოვიდა ბატონიშვილი თინათინის წაყვანის დრო მის ახალ ოჯახში, ახალ საბრძანებელში, ახალ თანამგზავრთან ცხოვრებისა, ახალ მეგობრებში თუ მეკობრეებში, თაყვანისმცემლებში თუ უარმყოფლებში. მზითევიც მზად იყო, ყოველი თავდარიგი დაჭერილი. საქორწილო ხალხიც მოიწვიეს: მისწერეს იმერთა მეფეს, ქართლის მეფეს, აფხაზთა მფლობელს; დადიანსაც კი აცნობეს და მიიწვიეს მისი ქალი თამარი, როგორც თინათინის დად-შეფიცული, რითაც ასიამოვნა და გააკვირვა მამიამ თავის აქამომდე მტერი დადიანი.

რაც ხანი გადიოდა, იმდენად აუტანელი ხდებოდა ნოშრევანის მდგომარეობა: ქალისგან უარი არ მიეღო გადაჭრილი, მთლად გადაწყვეტილი; კიდევ ეტყობოდა

ქალს, რომ გულიდან არ ამოედო ჭაბუკი, არ ამოერეცხა მისი სახე და საამო ხსენება: ეტყობოდა ქალს, რომ რაღაც მძიმე ფიქრსა ფიქრობდა იგი. და ეგონა ბეჩავ ჭაბუკს, რომ გეგმას რასმე უდგენს მას მოქმედებისას, სურვილთა მისაღწევად ხელსაყრელს.

- აგერ მიუწოდებს მზეთუნახავი თვის ბუმბერაზს, ამცნებს სახეს მოქმედებისას, მოითხოვს საქმეს საგმიროს და აღუთქვამს ჯილდოდ თვის თავს შეუდარებელს, თვის სიყვარულს ცხოველმყოფელს! მაშინ ნახავს თინათინ, რა უნარის ვაჟკაცია მისი გმირი, მისგან რჩეული; როგორის სიხარულით შეეწირება მსხვერპლად მის სურვილებს, ნოშრევანისთვის უუწმიდეს მის გულის თქმასა!

ელოდდა ვაჟკაცი ქალის სიტყვას, ელოდდა გულ გადაღლილ-გადაღეული, უსასო ქმნილი, უიმედობის კარამდის მიწურული, მარად მღელვარე, ტანჯული მწარედ.

ლოდინი? სატრფოს სიტყვის მოლოდინი? - ჯოჯობეთურ წამების სახეა სააქაოს მოვლინებული!

მოლოდინიც აღარ შეიძლებოდა ეხლა, აღარც ცდა: მთლად მიიწურა დრო და ან უნდა მოენახა გზა რამე ხსნისა, ან მთლად მიენებებინა თავი ამ საქმისათვის, თუკი შესძლებდა. ამ მდგომარეობაში მყოფმა ჭაბუკმა რამდენჯერმე გაბედა და ჩახედა თვალეში ქალს, მაგრამ ვერაფერი ვერ ამოიკითხა მათში, ვერ შენიშნა შიგ ვერც ნექტარი სიცოცხლის მომნიჭებელი, ვერც გესლი უარყოფისა მომაკვდინებელი. გაჰშრობოდნენ ქალწულს თვალნი, ჩაჰქრობოდნენ, ძალა დაჰკარგოდათ მეტყველებისა, გრძნობათა ჩამომკვესებელი ძალა ცხოველი. ჩავარდა ჭაბუკი ძნელ საგონებელს.

- ეტყობა, ქალი ვერ ჰბედავს რაიმე ნაბიჯს გადამწყვეტს, მე კი ვიცდი და ველი მისგან ბრძანებას. მოვლენ, წაიყვანენ, გაიტაცებენ ჩემს სიცოცხლეს, უიმისოდ ხომ ვერ შევსძლებ ცხოვრებას, რადგან იგია ჩემი სულისდგმა. აღარ შემიძლიან მეტი გავიტაცებ!

- მაგრამ რომ არ მოისურვოს? რომ ეწყინოს? ვეტყვი და თუ უარს მეტყვის. მაშინ ცხადი იქნება ჩემი გზა, ნათელი: მოვსპობ ჩემს თავს! ეჰ, შე საწყალო. ჩემო თავო! შეეტრფე ბატონიშვილს და რის იმედით? არც ისეთი არწივი იყავ, მზისთვის გემზირა პირდაპირ და თვალი არ მოექრა მას შენთვის, არ დაებრძავებინე.

მაინც ქალის გატაცების ჰაზრი აღარ მოეშვა მას, გაიზარდა იგი, გაძლიერდა და დაიმონავა ვაჟის გონებაც და ნებისყოფაც. სხვა გზა არ იყო! მაშ ხომ არ დაჰმორჩალებოდა ბედს და მაყრად არ გაჰყვებოდა თავის სატრფოს?!

მოვიდა კაცი, კახნი უკვე მოახლოვდნენო გურიის სამზღვრებს. ბრძანა ბატონმა, რჩეულნი გაეგზავნათ მათ შესახვედრად. ნოშრევანიც უნდა ყოფილიყო მათ შორის, რადგან მასზე უკეთეს და მახლობელ კაცს ვერ ნახამდნენ იგინი. სადამო ხანი იყო, როცა მიაჭენა ნოშრევანმა ბედაური სასახლის აივანთან, გადმოხტა და ავიდა სასახლეში. შეიარაღებული მისი მხლებლები ეზოს გარეთ შედგნენ ცხენდაცხენ. ნოშრევან საომრად იყო გამოწყობილი. ჯაჭვი ეცვა. დარბაზში რომ შევიდა, მუზარადი მოიხადა და მიესალმა დიდ ბატონს.

- ეხლავე მიდიხარ? აკი დილაზე უნდა წასულიყავ?

- სხვები დილით წამოვლენ, ბატონო! მინდა ჩემის კაცებით სამზღვარს იქით შევხვდე სტუმრებს და წამოვუძღვე. სხვები სამზღვარზე დაგვიხვდებიან.

- კარგი ჰაზრია, მომწონს! მაგრამ საომრად რაღად შემზადებულხარ? განა მტრის დასახვედრად გგზავნი, ვაჟო!

- სხვის საბრძანებელში ვიქნებით, ბატონო და საფიქროა; რჩეული ბიჭები იქნებიან შეზარხოშებულნი და ვინ იცის კაცს რა მოელის, ან რა წაეკიდება.

- ომში გამოცდილი ვაჟკაცის მოფიქრებაა! ფრთხილად კი იყავ, სისხლის ღვრა არსად მოგიხდეს.

- რა უშავს, ბატონო! სამზღვართ იქით არაუშავს-რა, მაგრამ რახან თქვენს საბრძანებელს გადმოვლენ, ბუხს ვედარავინ აუფრენს ვერავის.

- სხვა ხომ არა გინდა რა, ნოშრევან ჩემო?

- დედოფალი თინათინი უნდა ვნახო: მის ყმათა შესახვედრად მივდივარ და იქნება მიბრძანოს რამე.

- ნახე!

თინათინი აღელვებული შეხვდა ვაჟკაცს. გაჰკვირდა, რა ნახა საომრად განმზადებული.

- მტერი ხომ არსაიდან შემოგვესია, ნოშრევან?

- დიახ, ჩემო დედოფალო! სასიკვდილოდ იწვევენ ჩემზე, შენს თავს მტაცებენ!

- ჩემს თავს?! ვინ?

- კახნი! მაგრამ მანამ ცოცხალი ვარ, ვერავის დავანებებ შენს თავს. ყველაფერი მზად არის. წავიდეთ! წამომყე, სიცოცხლე! - უთხრა ნოშრევანმა და დაიხურა მუზარადი.

ქალს ფერი ეცვალა. ათასმა მძლავრმა გრძნობამ შეიპყრო იგი და აათრთოლა ვერხვის ფოთოლივით.

- ნუ, ჩემო ნოშრევან! ნუ გამაბედინებ საქმეს საშინელს! ნუ, აგრემც გენაცვალოს ჩემი თავი! - შეევედრა ქალი და მოეხვია ვაჟს.

- უარმყოფ, ქალო?! - ამოიკვნესა ვაჟკაცმა.

და მის გულში იფეთქა შურმა ჯოჯოხეთურმა. გაიპრიალა ხანჯალმა, რომ გაეგმირა სატრფოც სხვის კერძი, თავის თავიც უბედური. მაგრამ შესდგა. მიაქცია

მახვილი ქარქაშშივე, მოიშორა თითქმის გულშეღონებული ქალის მკლავები და გამოტრიალდა.

15

ხშირი ნისლი ჩამოწოლილიყო ალაზნის ველზე განუჭვრეტელი და დაეფარნა მდინარეც, მის ნაპირებზე ატეხილი ჭალებიც, ჭალებს აქეთ-იქით გადაჭიმული მინდვრებიც, ზვრებიც და თვით დაბა-ქალაქებიც, რომელნიც გაღმა-გამოღმა იყო გაშენებულნი მთების კალთებზე. ხოლო ველის მოდარაჯე ბუმბერაზი მთების ტყიან ფერდობებზე და მარტოოდენ ბალახით დაფენილ თხემებზე არსად სჩანდა არც ნისლის ნასახი, არც ღრუბელთა ქულა დავიწყებული. მთების უმაღლესი მწვერვალებიც კი მთლად თავისუფალნი იყვნენ ღრუბელ-ნისლისაგან. დილის გამჭვირვალ ჰაერში ისე მკაფიოდ ისახებოდნენ გაღმა-გამოღმა ეს ბუმბერაზნი, ისეთი ნაზი და ხას-ხასი ფერებით იღებებოდნენ, რომ თვალის მოწყვეტა ენანებოდა მათის მშვენებით მოხიბლულ ადამიანს. გომბორის მწვერვალი ჯერ ისევ მთლად თავისუფალი იყო თოვლისაგან. კავკასიონის უმაღლესი მწვერვალი კი თეთრად იყვნენ გადაპენტილნი და ამომავალი მზის სხივები კრთოდნენ მათზე, ლაპლაპებდნენ.

ველად ჩამოწოლილი ნისლი იღვიძებდა, იძროდა. დილის სიოზე, ზვირთდებოდა, გარნა ვერ შემძლებელი ზე აღსვლისა განერთხმოდა იქვე, ადგილობრივ: ფრთები შეჰმძიმებოდა მზის მოშორებულს და იმისთვის გაჰკროდა შავს დედამიწას ცის სივრცეში მონავარდე! ჩამოაშუქებს სიცოცხლის მომცემელი, შეუშრობს მას ფრთებს, შეამსუბუქებს ტვირთისაგან, მისცემს ძალას აღმაფრენისას და წავა ნისლი მაღლა-მაღლა, დაუახლოვდება თვის მეუფეს, ჩასდნება მის ბრწყინვალე სხივებში და ჰაეროვანი შეიქმნება იგი - უჩინარი.

მთათა მწვერვალი კახეთის დარაჯად დაეყენებინა იქ გამჩენელს, დინჯად ჩამწკრივებულიყვნენ იგინი მის სამზღვრებზე, სიყვარულით დაჰყურებდნენ შემკულ მხარეს, მაცოცხლებელ ნაკადთ უგზავნიდნენ მას და აბარებდნენ მათ მისდამი სალამს, სიყვარულს, ნუგემს ურყეველს.

- ნუ ჰნადვლობ, სატრფიალო, ნურც შეძრწუნდები ჭირთა შინა: სანამ ვდარაჯობთ აქ ჩვენ, ნაკურთხია ღვთისაგან არსება შენი! საუკუნოდ არის ნაკურთხი იგი არსება. არ შეგაკროს ბედთა ცვლილებამ, არ დაგაღონოს. არ ჩაგიქროს ნათელი სიხარულისა! - ეტყოდნენ ნაკადნი გუშაგთაგან დანაბარებს, მოდარაჯე მთათაგან ჩამოგზავნილნი ნაკადნი.

იმისთვის იყო, რომ მედგარ ქარტეხილთ, მასზე შავბნელად მონაბერთ, ესე გულდინჯად უხვდებოდა ეს სამოთხის კუთხე და არა ჰკარგავდა არც სასოებას, არც სიხარულს.

მიამბეს, თინათინის და ნოშრევანის აჩრდილთ მომითხრეს: იგი ნაკადნი სხვა იმედებსაც უმღერიათ იმ სანეტარო მხარეს, შეურყეველ მწვერვალთაგან დანაბარებ იმედს ფრთანათელს.

მიტხრეს: მთელ კავკასიონიდან ჩამომდინარე ყველა ნაკადნიც იმავე იმედს ჩაჰმდერიანო მთელ სამშობლოს საყვარელს, მის მოდარაჯე კავკასიონისაგან დანაბარებ იმედს ფრთანათელს.

ნეტა თუ მართალია ეს? ნეტა თუ ვისმე ძალუმს ყური მიუპყრას ჩქრიალათა ნათქვამს და გვამცნოს სიტყვა მათი საგულისხმო?

ნისლით იყო მოცული გრემიც, სატახტო ქალაქი კახეთისა ხშირ ბურუსს დაეფარა ყველა ხევი მთის ძირში, ყოველივე ნაპრალი თუ ტაფობი და იგი შეკვეთილიც, რომელშიაც იყო გაშენებული გრემი. მხოლოდ მახლობელი მაღალი ბორცვები ამოჩენილიყვნენ ჯანდის ტალღებიდან და ხუჭუჭი ტყით დაფარული მათი თხემები ამწვანებულ კუნძულებად მოსჩანდნენ ბურუსის ზღვაზე. გულჩათხრობილი იყო გრემი, მიყუჩებული: მეფე ლევანი არა ბრძანდებოდა სასახლეში, იგი თავის ამალით სანადიროდ გაბრძანებულიყო მთებში, მოევლო სანაპირონი და კიდევ გასცდენოდა თვის სამეფოს სამზღვრებს: დაღესტნის შამხალს უსუფ-ხანს გაეწვია მეფე თავის სამფლობელოში.

ეს შამხალი ერთი უძლიერეს ბატონთაგანი იყო ლეკეთისა. მისი სამთავრო კახეთის სამზღვრებზე მდებარეობდა. შამხალი დიდ პატივსა სცემდა ლევან მეფეს, გულწრფელად უყვარდა ეს ჭკვიანი, მხნე და შემმართებელი კაცი. სასარგებლო იყო მეფის მეგობრობა მისთვის: დაღესტანი და საჩეჩო დაყოფილი იყო მაშინ მრავალ პატარ-პატარა სახანოებად და მათ შორის მძვინვარებდა შუღლი თუ მტრობა. შამხალსაცა ჰყვანდა თავისი მტრები და მისთვის ფრიად საჭირო იყო ისეთი ძლიერი მეგობრის ყოლა, როგორიც იყო ლევან მეფე.

თითონ მეფისთვისაც ხელსაყრელი იყო ეს მეგობრობა: დაღესტნელებს ყოველთვის თვალი ეჭირათ დოვლათით სავსე კახეთზე და სცდილობდნენ ჩაჰპარვოდნენ მას, გაეტაცნათ სიმდიდრე მისი. საშიში და სახიფათო საქმე იყო ეს მათთვის, რადგან კახეთის ჯარი კვალდაკვალ ჰყვებოდა მოთარეშეთა ბრბოებს, სჯიდა თავხედებს, არბევდა მათ სოფლებს. მაგრამ ლეკი მაინც არ იშლიდა; მამულის სიმწირე იძულებულ ჰყოფდა მათ ესე მოქცეულიყვნენ. სასახელო ვაჟკაცობადაც ითვლებოდა მაშინ ესეთი ბრძოლა და იზიდავდა ხალისით სავსე ახალგაზრდობას. ეხლა კი შეზღუდული შეიქმნა ესეთი თარეში, რადგან მეგობარი შამხალი არც თავის ხალხს უშვებდა სამტროდ, არც გზას აძლევდა თავის საბრძანებელზე სხვა მეგობრეთა რაზმებს.

სხვა მიზეზიცა ჰქონდა შამხალის მეგობრობას ლევან მეფესთან: მის ქალს, მთელ დაღესტანში სიმშვენიერით გათქმულს. ლეილ-ყიზის, უიმედოდ შეჰყვარებოდა ახალგაზრდა მეფე ლევანი და ვეღარ ჰმალავდა თვის გრძნობას გატაცებული. ლევან მეფეც არ იყო მასზე გულგრილად. ეს თეთრ-ყირმიზი, მკვიდრად ნაგები ჟინჯღილივით ქალწული ვნებათა უმწვერვალეს ღელვას ჰბადებდა სიცოცხლით სავსე ჭაბუკში, მისი ცეცხლის მფრქვეველი გამბედავი თვალეზი დამწველ გრძნობათა ალში ჰხვევდა ვაჟკაცს; მისი შეუპოვარი ქცევა და ვაჟკაცურად ხმარება საჭურველისა თუ ჰუნესი ჰხიბლავდა ვაჟკაცობით განთქმულს და ხმლის მოტრფიალე ლევანს მისი მედგარი სიყვარული ხორცთა უძირო კმაყოფილებას აგრძნობინებდა მას აუწერელ-გამოუთქმელს, მის ახლოს ნებისყოფა უდუნდებოდა

ძლიერს, შამაკავებელნი ძალანი სულისა სწყდებოდნენ და ძლივსღა იმაგრებდა ჭაბუკი თავს, ძლივსღა ებრძოდა თავის მისწრაფებას.

- ძნელია ალტყინებულ გრძნობასთან ბრძოლა! ან რად არის საჭირო მასთან ბრძოლა; მისი შეზღუდვა? განა ნეტარების თუნდ ერთი წუთი არ აღემატება ღირებულებით თუნდაც ქვეყნის საუნჯეს უთვალავს, ან დიდებას სხვით მოსილს?! არ შეგფერისო ეგ ქალი, შენს სამეფოს არ შეკმევენის იგი დედოფლად. გული სხვას ამბობს! საკვირველია: ყველა ჩემს ქვეშევრდომს ნება აქვს აჰყვეს თავის გულის წადილს, მე კი არა მაქვს ამის უფლება! - ამბობდა მეფე.

16

მეფის მახლობელთ თუ ნაზირ-ვეზირთ იცოდნენ მისი მისწრაფება და თანაუგრძნობდნენ მას, ჰხედავდნენ, რომ ალტყინებულ ვნებათა უღვეველი სალარო შეიქმნებოდა მისთვის ლეილას მოქნილი ტანი ძლიერი, მისი ოდნავ აფუებული კოკობი ტუჩ-ბაგე, და თანაუგრძნობდნენ ჭაბუკს. მაგრამ შეუძლებელად მიაჩნდათ კახეთის დედოფლად ლეკის ქალი, შეუფერებლად. გულწრფელად უყვარდათ მათ თავიანთ ახალგაზრდა მეფე, საოცნებო იმედებს ამყარებდნენ იგინი მასზე და როგორ დასთანხმდებოდნენ ესე დაბლა დაეხარნა გვირგვინოსანი თავი თვისი, დაემდაბლებინა სადედოფლო ტახტი მთელის კახეთისა?!

- ლეკის ქალის შერთვა, როცა შეუძლიან არჩევით გამოიყვანოს მზეთუნახავი საქართველოს მეფეთა და მთავართა ოჯახებიდან?! რახან უსჯულოს მოყვანაა, სჯობია ყეინის ქალი მოიყვანოს ან ხონთქრისა. არ შეკმევენის მეფეს გულისთქმის აყოლა: იგი მოწოდებულია იზრუნოს სამეფოზე და მის განდიდებაზე. ოცნებობს ლევან, შეიქმნეს მეფედ-მეფედ, მეუფედ მთელის საქართველოსი, ჰსურს კი მოიყვანოს დედოფლად ვიღაც ლეილ-ყიზი და შეამღვრიოს სისხლი ბაგრატიონთა, დაამდაბლოს ტახტი დიდებული!

ჰხედავდა ამას თვით მეფე ლევანიც, კარგად ესმოდა ეს ყველაფერი, გარნა კაცი იყო ხორცშესხმული და ველარ შესწევდა ნებისყოფა მღელვარე გრძნობათაგან ძალდატანებულს: ძალა დაჰლევიდა საბრძოლველი და ირყეოდა ვაჟკაცი ბუმბერაზი სურვილისა და მოვალეობის შორის, ირხეოდა უღონოქმნილი.

ლევანს ამ დროს მოუვიდა ბაგრატის წერილი. იმერთა მეფე აცნობებდა მას, როგორ გაიმარჯვა მან ხონთქარზე და ათაბეგზე, რა შემწეობა აღმოუჩინა მას ამ ბრძოლაში მამია გურიელმა, რომლის სამფლობელო ეხლა განდიდებულია აჭარისა და ჭანეთის შაერთებით. ბოლოს ურჩევდა გურიელის მზეთუნახავი შეერთო ცოლად და განემტკიცებინა თვისი ძალა კავშირით განთქმულ სასიამოროსთან, რომელიც თავის მხრივ დიდი მეგობარი იყო ბაგრატისა. წერილში გაკვრით შეეხებოდა ბაგრატი ლევანის სამფლობელოს და ბუნდოვანად აგრძნობინებდა, რომ ლევანის მეფურ ნიჭს შეკვეროდა უფრო ფართო ასპარეზი, რომელიც დაუახლოვებდა მათ სამზღვრებს.

დესპანებმა მეფე შინ რომ ვერა ნახეს, მოისურვეს მასთან ხლება: საშური საქმე ჰქონდათ დაბარებული, საჭირო; თანაც უნდოდათ დაეთვალაიერებინათ. ენახათ მთები, მეფის ნადირობა. შამხალის სამფლობელოში ჰპოვეს ლევანი. ძალიან მხიარულად იყო მარჯვე ნადირობით ნასიამოვნები. ტბასთან დაეკრათ ბანაკი. მეფის

კარავი ცოტა განზე იდგა, მაღლობზე. ზედ ტბის პირად. ამ ტბას უძიროს ეძახდნენ: ერთობ ღრმა იყო, თუმცა ვიწროდ შემოფარგლული. კიდეები სალი კლდისა ჰქონდა, თითქო განზრახ ჩამოკაფული. ნაპირებიდან ტბაში გადახრილიყო რამდენიმე ქოჩორა ხე და თავის აჩრდილებს ეალერსებოდნენ ანკარა წყალში. კალმახი გვარობდა ტბაში. დაღისტანის მთებში არის შიგადაშიგ ამისთანა ტბები. ზოგნი მათგანნი ხანდისხან გადმოჰხეთქავენ ნაპირებს და საშინელის სისწრაფით და ძალით მიექანებიან ძირს.

მეფე მხართემოზე წამოწოლილიყო, თავი მარცხენა ხელზე დაეყრდნო, მარჯვენა ხელით ხანჯლის ტარს დაჰბჯენოდა და უსმენდა მის წინ ფეხმორთხმულ მოხუცებულს, რომელიც მოუთხრობდა მას ამ მიუვალ მთებში მონადირეთა ათასგვარ საკვირველ და საოცარ შემთხვევას. მოხუცს ნადირობაში ჩაელამებინა თვისი სიცოცხლე და ბევრი რამ იცოდა საგულისხმო. მეფის მახლობლად იჯდა შამხალი უსუფ-ხანი და ათიოდე სხვა კაცი. გრილოდა. მთის წმინდა ჰაერს მადა გაედვიძებინა და ხალხი მოუთმენლად მოელოდა სუფრას. მზად იყო სადილი, მაგრამ მეფეს ჯერ არ ებრძანებინა სუფრის გაშლა, რადგან ლეილ-ყიზის მოელოდა იგი: შამხალის ქალს გაეგო, მეფე მახლობლად ბრძანდებოდა და მოსვლა შემოეთვალნა.

გამოჩნდა კახეთის მხრიდან რამდენიმე მგზავრი. დაუპირდაპირდნენ მეფის კარავს. ერთი დაწინაურდა და მოახსენა მეფეს ამბავი: ბაგრატ მეფისა და გურიელის ელჩები ყოფილიყვნენ საჭირო და საჩქარო საქმისათვის წარმოგზავნილნი. მივიდნენ ელჩები, თაყვანი სცეს მეფეს, მიართვეს წერილი. მეფემ გახსნა წიგნი და ჩააკვირდა. ჯანლი რამ გადაეფინა სახეზე, მერმე კი გადაეწმინდა სახე და დაუმშვენდა ულვამ ქვეშ ღიმილი.

- იმერეთის მეფე ბაგრატს, ჩემს ძმას, უფროსს, უნებებია ისეთი ბრძანება, რომელიც შეეხება ჩემს მეგობარს გურიელსაც. საქმე მძიმეა, გულდასმით უნდა მას მოფიქრება. სასახლეში განვბჭობთ დანაბარებს. მანამდის კი ჩვენი საყვარელი სტუმრები, ვგონებ, არ მოიწყენენ ჩვენთან, - ბრძანა მეფე ლევანმა.

სტუმრებმა მდაბლად თავი დაუკრეს ამ ბრძანებაზე.

მაღე ცხენების ფეხის ხმა მოისმა ზევიდან. ციცაბო მთას ბილიკი რამ ჩამოსდევდა ხრახნილად დაკიდებული და ამ ბილიკზე ქალი ვინმე მოაქანებდა ბედაურს. თმა გაჰშლიყო მხედარს, მანდილი ჩამოჰშვებოდა და მისი ფოჩი ფრიალებდა ჰაერში. კლდეებს ნაჩვევი ცხენი კანჯარივით მოჰხტოდა ფეხმოუკიდებელ ფრიალოზე. იარაღში ჩამსხდარი მხედრები მოსდევდნენ უკან. ქალი დაუპირდაპირდა მეფის კარავს, მძლავრად მოსწია ლაგამი და სწრაფად შეჩერებულმა მერანმა ჩხრიალი მოადინა მეფის კარავთან სიპზე აცურებული ნალებით. გადმოფრინდა ქალი ცხენიდან და ხელეზწაწვდილი წაესწრაფა ჰაბუკ მეფისაკენ, რომელიც თითონვე მიეგება მას. დაღლილ, გავარვარებულ ქალს უცინოდა ბაგე, თვალები, სახე; მთლადაც სიცილი იყო იგი, შეგუბებულ-შენივთებული სიცილი. ხორცქმნილი რამ კასკასი სამხიარულო. ლევანი კი გატაცებული გრძნობით ველარ დაჰხვდა მას. იგი ჰდელავდა არაჩვეულებრივ, ფერი მისდიოდ-მოსდიოდა, თითქო კრთებოდა. ქალმა იგრძნო რამ უსიამოვნო. მიმოავლო იქაურობას თვალი, შენიშნა მოსულნი, ჩააკვირდა მეფეს თვალებში და, რა ნახა მძიმე

ზრუნვას შეეპყრო მისი მეგობრის გონება, დაღონდა წამს, შეიკუმშა სხივ-
მოშორებული ყვავილივით, დახარა ლამაზი თავი.

საუცხოოდ მოწყობილი ნადიმი შეუდარებელ ბუნების წიაღზე ისე
მხიარული ველარ იყო, როგორც ელოდდნენ. მეფეს მალმალ ჩაეთხრობოდა გული,
სამძიმო რამ ჰაზრი დაახრევინებდა თავს და ესა სჩრდილავდა სიმხიარულეს,
ჰზლუდავდა მას.

შუა ნადიმზე იქნებოდნენ, როცა მეფის სუფრას მიუახლოვდა მოხუცი ვინმე
დედაკაცი. წელი ჯერ ისევ სწორედ ეჭირა. ასეთი ამაყი შეხედულება ჰქონდა
ძონძებში გახვეულს, გეგონებოდათ ეს მთები მისი საბრძანებელი არისო. იქაური
მკითხავი ყოფილიყო. დედაკაცმა თვალი მიაპყრო მეფე ლევანს და მის გვერდით
მჯდომ ლეილ-ყიზის, მიუახლოვდა ქალს, მოუალერსა. თმაზე ხელი გადუსვა და
გამოართვა მარჯვენა. შესწყდა სუფრაზე ხმაურობა. ყველა მისჩერებოდა მოხუცს,
რომელიც თავის გამხმარ თითს ადევნებდა ქალის ხელის გულზე მიბნეულ ხაზებს.
დედაკაცს განცვიფრება აღებეჭდა სახეზე.

- დიდი დიდება! სიყვარული! ჩაგიბნელდა სიხარული! ისევ დაგიბრუნდა
სიხარული, ბრწყინვალეობა, ბრწყინვალეობა! - წარმოსთქვა დედაბერმა და მოწიწებით
ემთხვია ქალის მანდილს.

ქალზე დიდი შთაბეჭდილება ვერ მოახდინეს მკითხავის სიტყვებმა, მეფეს კი
ფერი ეცვალა ამ თქმაზე და ჩაფიქრდა.

17

დიდი საფიქრებელი და გასაბჭობი კი არ აღმოჩნდა ბაგრატ მეფის
წინადადება. იმ საგნის შესახებ, რომელსაც ეხებოდა ბაგრატი. ყველა მბჭობთა ჰაზრი,
თვით მეფის ჰაზრიც, ცხადი იყო და გადაჭრილი. მხოლოდ ლევანის გული ვერ
ემორჩილებოდა ამ ჰაზრს ჭეშმარიტს, იგი მთელის თვისის არსებით
ეწინააღმდეგებოდა ამ ცხად დასკვნას ერთადერთს, გამოტანილს სწორ
მსვლელობისაგან: ცივი იყო იგი დასკვნა, მკვეთრი, გულის გამპობელი.

ბაგრატი ურჩევდა ლევანს შეერთო დიდი გურიელის მზეთუნახავი ქალი
თინათინი და მით განემტკიცებინა კავშირი ამ სამ საბრძანებლის შორის მათ
საკეთილდღეოდ. ვის რა ეთქმოდა ამ ჭკვიანურად მოფიქრებულ განზრახვის
წინააღმდეგ! ქალი მშვენიერი, ძლიერი მფლობელის ასული, ერთრჯული, თავისივე
ხალხის შვილი: ყოველ მხრივ სასახელო იყო ეს კავშირი და სასარგებლო. ვის
ეთქმოდა სიტყვა მის წინააღმდეგ! ვერ ჰპოვებდნენ საუკეთესო სადედოფლოს, თუნდ
სანთლით ეძებნათ.

რა იყო თინათინის შედარებით ვიღაც ლეკის ქალი ურჯულო და
უწვრთნელი? სრულებით არაფერი! მხოლოდ ერთ ლამაზ ქალთაგანი იყო ლეილ-
ყიზი. ამისთანა მშვენიერებს, რამდენიც უნდოდა, ჰპოვებდა მეფე თავის
საბრძანებელში და როცა ჰსურდა, მიითვისებდა კანონ გარეშეც. გარდა ამისა, რომელ
წარჩინებულს არ აემღვრევოდა გული, თუ მეფე დასვამდა ლეკის ქალს დედოფლად,
ან რომელი ბანოვანი შესძღვნიდა მას გულწრფელად თავყანს დედოფლურს?! არა,

ყველა დაჰგომობდა მეფის საცოლეს, დაუწუნებდა არჩევანს. ესეც არ იყოს, სიტყვა ჰქონდა მიცემული ლევან მეფეს გურიელისათვის. ქართლის მეფე დავითი და გურიელი რომ შეარიგა ლევანმა, მაშინ ჩამოართვა გურიელმა იგი სიტყვა; მაშინ განუცხადა მამიას თვისი თანხმობა სიძეობაზე. მაგრამ მაშინ ესე ახლო არ იცნობდა ჭაბუკი ლეილ-ყიზის, არც ესე მთლად ჰქონდა მისგან გული დატყვევებული.

ყველა ეს მაშინვე მოიფიქრა ლევანმა, წერილის წაკითხვისთანავე, და სწორედ ამან დააღონა მხიარული ვაჟკაცი სუფრაზე. ლეილას სიახლოვემაც ვეღარ აღაფრთოვანა მაშინ ჭაბუკი, ვერ დაუყუჩა კვნესა გულისა. მისი გული არ ემორჩილებოდა გონების დასკვნას, არ იღებდა მის ნაჰედ საბუთებს. გრძნობა დაუფიქრებლად ეალერსებოდა მოღიმარე ლეილას, სიცოცხლით სავსეს. ჭაბუკის ნებისყოფაც შეუკავებლად ისწრაფოდა ქალისკენ, მოუთმენლად. გრძნობდა გული, რომ გარეშე ამ ქალისა მისთვის არსებობდა მხოლოდ ყინული ბრწყყვიალა, გამჟვრვალე, თვალთა მაცდუნებელი, გარნა სისხლის შემგუბებელ-შემხუთველი. და სასოწარკვეთილი ევედრებოდა ყოვლად ძლიერს, დაჰხმარებოდა მას უიმედო ბრძოლაში.

სულიერ ძალთა ეს ბრძოლა იყო, რომ იხატებოდა მაშინ ჭაბუკის სახეზე; იმისთვის იყო ცვალებადი მაშინ მისი სახე; მისთვის იყო. ხან სიამე აღებეჭდებოდა სახეს, სიხარული გაბრწყინდებოდა თვალეში; ხან სევდის ღრუბელი დაჰბურავდა მის ოცნებას და სიმძიმელი დაჰხრიდა მის თავს გვირგვინოსანს. იყო ისეთი წამებიც, როდესაც მეფე მზად იყო, იქვე ებრძანებინა თვისი ნება, მაშინვე წარმოეთქვა თვისი მეფური სურვილი, საჯაროდ დაესახელებინა თვისი ლეილ-ყიზი დედოფლად და ერთის დაკვრით მოესპო გზა უკუთქმისა თუ უკუქცევისა; მაგრამ გონება, უგრძნობელი გონება მძლავრის მკლავით მოჰზიდავდა გულისაგან წახალისებულ ნებისყოფას და უკუ აგდებდა მას, არ აძლევდა ნებას მოძრაობისას. ეს მაშინაც იყო, მეფემ რომ ინება ლეილ-ყიზის სადღეგრძელოს წარმოთქმა. ზედ ენის წვერზე ეკრა გულიდან მოწყვეტილი მარგალიტი სიტყვა ის-ის იყო უნდა მოსწყვეტოდა ენას იგი ძვირფასი თქმა, როგორც რამ თვალი ნატვრისა სასწაულთმოქმედი. არა სთქვა! შეაყენა გონებამ, მოაგონა ცბიერმა, რომ იგი მეფე იყო გვირგვინოსანი და მისი სიტყვა მეფურად უნდა წარმოთქმულიყო შესაფერ გარემოებებში, დადუმდა, მერმისათვის გადადვა თქმა.

- ნეტავ ეთქვა! ხომ ნამდვილ ნატვრის თვალად გარდაიქცეოდა მისთვის იგი სიტყვა, სალაროდ ულეველის ბედნიერებისა, უჰკნობის სიხარულისა. აახ! არ იცოდა ცხებულმა, რა იშვიათი განძია სიყვარული ორ-მხრივი, არ იცოდა ცხებულმა, რომ ორმაგი სიყვარული უქრობელად ბრწყინავს მარადისობაში და თვალთ წარმტაცი შარავანდედი აგვირგვინებს ამგვარ რჩეულთა ყოფას. არ სთქვა მეფემ სიტყვა მარგალიტი, ზღვაში გადასტყორცნა თვისი ბედნიერება. რამდენი სულთქმა დასჭირდა შემდეგ, რამდენი ტანჯვა-განწირვა, სინამ ჰპოვებდა კვლავ იმ თვალს იშვიათს და ამოიღებდა მას უფსკრულიდან სანუგეშოდ გაწამებულის თვისის გულისა!

ლეილა კი ვერა ჰგრძნობდა თავის ლევანის სულის კვეთებას, არესმოდა მას იგი ბრძოლა ჰაზრთა და გრძნობათა შორის, რომელი სტანჯავდა ეხლა მეფეს. ვერც მიხვდებოდა ქალი ვაჟკაცის მდგომარეობას, თუნდაც სცოდნოდა შინაარსი ბაგრატის

წერილისა: ბუნების შვილი იყო იგი გულუბრყვილო, მის კალთაზე ლაღად აღზრდილი და ვერ შეიგნებდა ბუნების საწინააღმდეგო მოქმედებას, როცა იგი ბუნება სიხარულისაკენ იწვევდა კაცს; ვერ გაიგებდა, რომ შესაძლო იყო ნებითი უარყოფა ტრფობისა, თავის ხელით ჩაშლა ამ საოცნებო გრძნობისა, თავისითვე ჩაშაგება ნათელ ყოფისა. ლევანს უყვარდა ლეილ-ყიზი, მთელის თვისის ბუნებით ჰგრძნობდა ამას ქალი, და როგორ წარმოიდგენდა, რომ რაღაცა სხვა მიზეზებით მეფე ვაჟკაცი უარჰყოფდა თვის სიხარულს და სხვისაკენ მიიქცეოდა, ვინმე უცნობ და უნახავ ქალისაკენ. აი ლეილას რომ უყვარს ლევანი, იცის კიდევ, რომ მისი სიყვარული ოდნავადაც არ შეირყევა არავითარ გარემოებაში. უანგარო იყო ქალის სიყვარული, მარტივი, გულუბრყვილო, სიამეზე აღმოცენებული, თავისუფალ სიხარულის მომნიჭებელი. თვით ხონთქარმაც რომ შემოუთვალოს, ისე დაუფიქრებლად უარჰყოფს მას, როგორც აიმ მწყემსს, გორაზე რომ შეუფენია ფარა; უარჰყოფს მხოლოდ იმისთვის, რომ ლევანი უყვარს მას, რომ ლევანს ვერ გასცვლის იგი ვერავისზე.

დაღონდა ქალი მეფის გვერდზე და გული ჩაეთხრო, მაგრამ იმისთვის კი არა, რომ ეჭვი დაეხადა, არამედ იმისთვის, რომ ვაჟკაცის სახეზე ზრუნვა რამ შენიშნა და გული ეტკინა.

- სამეფო საქმეებით არის მისი რაინდი დატვირთული. არსად არ მოასვენებენ საწყალს! ეტყობა, რაღაც მძიმე საქმეზე მოუწერიათ ეხლაც. მარად ჟამს აფიქრებენ მის ლევანს, ესე ნორჩს. ესე ახალგაზრდას, - ნაღვლიანობდა ქალი.

და თანაუგრძნობდა ჩაფიქრებულს; სცდილობდა არ შეეწყვიტა მისი ფიქრთა დენა, არ აეფურტკნა მისთვის ჰაზრთა დასები.

დესპანთა შორის მხოლოდ ერთმა იცოდა ბაგრატის წერილის შინაარსი; ეს იყო გურიელის მესაიდუმლე იასე ლივანელი. მამიამ მხოლოდ მას განუზიარა თვისი ჰაზრი და დაავალა პირადადაც ცდილიყო, რომ უთუოდ მოწყობილიყო იგი საქმე, არ გაცრუებულიყო მისი მისწრაფება, ძირს არ დაშვებულიყო მისი სურვილი. როცა იასემ დაინახა მშვენიერი ლეილ-ყიზი ლევანის გვერდზე, მაშინვე იგრძნო ყოველივე და შეკრთა, მიჰხვდა, რომ მის ბატონის სურვილს ხიფათი მოეღის. ჩააფიქრა ამან გამოცდილი კაცი და მსწრაფლ აამოქმედა: მეორე დღესვე ეახლა მეფეს პირისპირ, საარაკო მზეთუნახავად დაუსახა მას თინათინი და თანაც ამცნო, რა დიდ იმედებს ამყარებდა გურიელი ამ კავშირზე. ძალიან ჩააფიქრა მეფე იასეს სიტყვამ, თითქმის მიდრიკა იგი ბაგრატის სურვილისაკენ.

ამის შემდეგ კიდევ რამდენიმე დღე დაჰყო მეფემ მთებში, მაგრამ ჩამოეცალა შექცევას გატაცებული სიმხიარულე, ჩამოჰშორდა მას ემხი თუ ხალისი.

მეფის ჩამოსვლისთანავე გამოცოცხლდა გრემი, სადღესასწაულო სახე მიიღო, მხიარული. ბრძანა ლევანმა მეჯლიშის გამართვა სტუმრების საპატიოდ და მარჯვე ნადირობის აღსანიშნავად. შეკრბნენ წარჩინებულნი. რჩეული ხალხით აღივსო სატახტო ქალაქი. ბრწყინვალე ნადიმი სამი დღე გასტანა მეფის კარს. შემდეგ დიდებულთ მიიწვიეს სტუმრები თავიანთ ოჯახებში. მოსულთ თავი მოაწონეს

კახელებმა სიუხვით, გულდია მასპინძლობით, უდარდელი მხიარულობით, მწყობრი სიმღერით, ეთეროვან ცეკვა-თამაშით, ნაირ-ნაირ სამხედრო ვარჯიშობით.

ახალგაზრდა მეფე სცდილობდა მხურვალე მონაწილეობა მიეღო გართობაში, გარნა მისი სიმხიარულე არ მომდინარეობდა სიხარულით სავსე გულიდან, როგორც რამ წყარო ანკარა, ამო ხმიანი: ზრუნვის ლანდს ჩაეჩრდილა მისი სიხარულის ნაკადი; ზეიმის დროს იგი ხანდისხან ჩაფიქრდებოდა. თვალეში სევდა რამ დაესახებოდა, მკლავებს ჩამოჰყრიდა და უნებლიეთ შეარყევდა საერთო სიამის უდარდელ დენას. ძალას ატანდა თავის თავს, რომ არავისთვის არ შეემჩნევიდნენ თავისი კაემანი, მაგრამ მაინც ამჩნევდნენ ამას და მძიმე შთაბეჭდილებას ახდენდა ყველაზე ეს უცნაური ამბავი. სცდილობდნენ განუფანტათ კაემანი მეფისა და არავინ არა ზოგავდა თავის უნარს მეჯლიშის ასაყვავებლად, ყველა მხიარულობდა, თავს იგიჟიანებდა, მაგრამ ამაოდ: ვერ განუფანტეს მეფეს ფიქრთა ბურუსი. სცადეს ბანოვანთაც ძალა თავისი უძლეველი: გარს შემოერთყნენ კეკლუცნი, უნდოდათ სიმშვენიერით, სილადით, სიტყვა-წყლიანობით, თვალთ ელვარებით თუ ნაქანდაკებ ტანთ ეშხიანი რხევით მიეზიდნათ ჭაბუკი მეფე. შეეტყუებინათ სამოთხისებურ რამ წალკოტში სანუგეშოდ. ზრდილი, ქალთ მოტრფიალე ჭაბუკი ჰყვებოდა, მხიარულობის ნავში ჯდებოდა სიამის ტალღებზე საცურავოდ, გარნა თვალეები, გამცემი თვალეები, ისევ ჰმოწმობდნენ, რომ მეფის გული ამოწვდილი იყო მის გვამიდან, ხოლო იგი, უგულოდ დარჩენილი, უხმარ-აჩრდილსდა წარმოადგენდა სიცოცხლით სავსე ლევანისა. დიდებულ ბანოვანთა სიახლემ, თვალთწარმტაც კეკლუცთა ალერსმა უფრო კიდევ დააჰკნო მისი სიამის ყვავილი, უფრო დააჰმუნვა მეფე, მთლად ჩასძირა იგი მძიმე რამ საგონებელის მორევში. არ იცოდნენ მშვენიერთ, რომ იგი მათი ალერსი უფრო ღრღნიდა მეფის გულს და აღონებდა, ვერ ედებოდა უებარ ძალამოდ მის სულის წყლულებს; არ იცოდნენ მათ, რომ გულს უსერდა მეფეს მათი სიახლე ძვირფასი, სიტყვა საამო, ღიმილი სუნნელოვანი, რხევა მინაზებული, მიმოსვლა ნარნარი.

- ჭაბუკი მეფის სატრფომ როდი იცის, კეკლუცნო, თქვენებური ქცევა ლბილად მოქნილი, საუკუნოებით დამუშავებული და მემკვიდრეობით თქვენდა გადმოცემული. მთის შვილია იგი, როგორც რამ ჯიხვი თვალთ საამო, იგი თვით ბუნების განხორციელებაა ლამაზი, თვით პირველ-ქმნილი მშვენიერებაა იგი გულუბრყვილო. ვაი, რომ ვერც იცნობთ მას!

- პატოსანი თვალნი ხართ თლილნი, ძვირფას ლითონში ხელოვნურად ჩამსხდარ-დამშვენიებულნი, ჩემი ლეილა კი ლალია ჩემგან ნაპოვნი, ჩემის საკუთარის უნარით მოხელილი. ბუნების წიაღიდან ამოტანილი, მხოლოდ ბუნებისაგან მოკაზმულ-შემზადებული ოსტატის ხელი როდი მიჰკარებია მას! იმისთვისა ნათობს იგი ნათელით პირველყოფილით. დაიწუნებთ მას, ამპარტავანხო, იუკადრისებთ, უკეთუ ჩემს სამეფო გვირგვინს დავამშვენებ იმ ლალით. რად იკადრებთ დედოფლად?! მაგრამ რა ვქნა, რომ ჩემი გული მასშია მოთავსებული, იმ ვარსკვლავში?! იმისთვის გასჰვირს იგი ლალი წითლად, რომ ჩემის გულის სისხლი მხიარულად თამაშობს მასში, კრთის, ღელავს. არ იცით ეს, ვერც გაიგებთ!

არც ის იცოდნენ ძვირფას ბანოვანთ, როგორ აღამაღლებს უებრო სიყვარული მიწის შვილს, განასპეტაკებს, განაშუქებს, მოციმციმე ვარსკვლავად დასვამს ლაჟვარდ

ცაზედ. ვერც შეიგნებდნენ ამას მაშინ ვერც ისინი, ვერც სხვანი; გონება ვერ მისწვდებოდა ამ საიდუმლოს, მხოლოდ გული იგრძნობდა მას, ტრფიალებით აღსავსე გული ხელქმნილისა. ვერ მიჰხვდებოდნენ და დაჰკმობდნენ, რომ ვერ უღალატა ლევანმა გულს, არ ჩაჰკლა წმიდა გრძნობა ცივ მოსაზრებათა ნაგუბარში და დედოფლად დასვა უღირსი. ეს აღონებდა მეფეს, ხალხის საკეთილდღეოდ თავდადებულ მეფეს, და აბა როგორ გამხიარულდებოდა იგი, ან როგორ აჰყვებოდა მოცეკვავე ტალღებს სიხარულისას. მაგრამ რად უნდა ყოფილიყო უკმაყოფილოდ სხვაზედ, როდესაც მისი საკუთარი გონებაც მიდრეკილიყო ამგვარ მსჯელობისაკენ.

- ეჰ, რას გვეყვდრით თქვენ, როდესაც თვით ჩემი ჰაზრი მტრად მოჰკიდებია ჩემს გულის თქმას. მეფე ხარ და შენი გულისცემაც უნდა შესწირო შენის სამეფოს კეთილდღეობას და ძლიერებას; მარტო გული კი რა, მთელი სიცოცხლე უნდა მიუტანო მას მსხვერპლად: შენს წინაპართაც ბევრჯერ დაუდვიათ თავი სამშობლოს სასიკეთოდ! ლეკის გოგო საქართველოს დედოფლად! ვის გაუგონია?! - ჩამძახის ცივი გონება.

- მისი ხმა შეუერთდება თქვენს ხმას მკაფიოს, კახეთის ხმას მთელ საქართველოს ხმას ძლიერს, უკეთუ ვუსმენ გულს საწყალს.

და აედევნა მეფის გატანჯულ სულს ხმა საიდუმლო: „ლეკის გოგო საქართველოს დედოფლად!“ ვერ იქნა, ვეღარ მოიშორა ლევანმა ეს ხმა. იგი ხმა თანა სდევდა მას ყველგან და ყოველთვის: მეჯლისში, დარბაზობას, ასპარეზზე. ლოცვად მდგარს. ღამე უფრო ძლიერდებოდა ეს ხმა, მაღლდებოდა, სახილველ სახეს იღებდა მკაცრს და თავს დასტრიალებდა განმარტოვებულს. როგორც შავბნელი რამ ჩვენება უკუნის ღამისა.

გათავდა ზეიმი. გადიარეს სიმხიარულის დღეებმა. დრო იყო პასუხი მიეცათ ელჩებისათვის, ბაგრატ მეფის წერილის პასუხი, მეფურ ღირსებისა და მოვალეობისაგან ნაკარნახევი პასუხი ერთადერთი. არავითარი საპატიო მიზეზი არ იყო უარისა და წინანდელი სიტყვის გატეხისა: თინათინზე უფრო შესაფერ მეუღლეს ან მამია გურიელზე უფრო დიდებულს და სასარგებლო მოყვარეს სხვას ვერ მონახავდა ლევან მეფე იმ ხანს. სახელმწიფოს სარგებლობა პირდაპირ მოითხოვდა ამ კავშირს. ეს ისე ცხადი იყო, რომ შორიდანაც მოსჩანდა ის სარგებლობა; ბაგრატსა და გურიელს იქიდანვე დაენახათ იგი და თავის წერილში იმერთა მეფე პირდაპირ უთითებდა ამაზე. ესე სჯიდა თვით ლევანის გონებაც. ხოლო მისი გული სცდილობდა შეეყენებინა შეუმართებელი იგი აუცილებლობა, აეცდინა, შეეფერხებინა მაინც და რაიმე ხავსისათვის ჩაეკიდნა ხელი, რომ არ გაჰყოლოდა ტალღის დენას უძლეველს.

ბედისწერა კი მიიმართებოდა წინ მკაცრად აღნიშნულ წარსადინელით და მძლავრად მიეზიდებოდა შებორკილებულ მსხვერპლთ დასახული მიზნისაკენ. იმედს კი მაინც არა ჰკარგავდა სასომიხდილი ლევანი: ეგონა, უეცარი რამ შემთხვევა, სასწაულებრივი რამ მიმოხვრა ცხოვრებისა იხსნიდა მას აუცილებელი მომავლისაგან, გაანთავისუფლებდა მას ამ მძიმე მოვალეობისაგან. ამაოდ! რაც ხანი მიდიოდა,

იმდენი უფრო იხვეოდა ბედის გორგალი, იზრდებოდა და იხვევდა თან ჭაბუკის მომავალს სამძიმოს.

ამ მდგომარეობაში იყო მეფე, როდესაც მოიხმო თავისი აღმზრდელი ქაიხოსრო მაცაშვილი და გადუმალა მას მეფე ბაგრატის უსტარიც, თავის დაწყულულებული გულიც. ჩაფიქრდა ვეზირი, გარნა მის საფიქრებელს სრულიადაც ის არ შეადგენდა, რაც აწუხებდა ჭაბუკ მეფეს. გამოცდილი მამულიშვილი მხოლოდ იმას ითვალისწინებდა, რამდენად იყო ეს კავშირი სახელმწიფოსათვის სასარგებლო, ან რამდენად დააახლოვებდა მეფეს იმ მიზანთან, რომელიც წაემძღვარებინა მას თვის მეფურ მოქმედებისათვის. მეფის იღუმალი ნატვრა იყო შემოეერთებინა კახეთისათვის სხვა კუთხეები საქართველოსი, როგორც უკვე შემოიერთა ფშავ-ხევსურეთი, და გამხდარიყო მეფედ მთელი საქართველოსი. სწამდა ლევანს, როგორც ყველა დაფიქრებულ ქართველსაც, რომ საქართველოს მეფე უნდა იყოს ერთი, ხოლო საქართველო გაუყოფელ-დაუნაწილებელი. ამავე ჰაზრს აღიარებდა ქაიხოსრო და თანაუგრძნობდა.

- შეუძლებელია, ბატონო მეფე, ამისთანა კავშირის უარყოფა: სადედოფლო არცერთის მხრივ არ არის დასაწუნი, არც სახელმწიფო მოსაზრების მხრივ. არც კერძო შეხედულობით. მხოლოდ ის არის საფიქრო, რომ ქალი არ გვინახავს.

- უნახავად უნდა დავნიშნო ქალი და ეს მაშინ, როცა მე უკვე მიყვარს სხვა და მასაც ვუყვარვარ!

- რომ ლეილ-ყიზის უყვარხარ, ეს არაფერი: ბევრს სხვასაც უყვარხარ, ბევრ ღირსეულ ქალს უძგერს შენთვის გული, და თუ ყველა ისინი დედოფლებად დასხი, მაშინ ამ მხრითაც დაედრები სოლომონ ბრძენს. შენ რომ მოგწონს იგი ქალი, ეს კი ძნელია, მაგრამ ისიც ძნელია, უარი უბრძანო გურიელს, უარჰყო მისი მზეთუნახავი ქალი თინათინ ლეილას გულისათვის. და გააცრუო ბაგრატ მეფის მოციქულობა. არც შესაბამია ეს შენის ბრწყინვალე ტახტისათვის, არც სასარგებლოა შენის სამფლობელოსათვის. გავბედავ და მოგახსენებ: მეფის ბედნიერება მის სამფლობელოს შარავანდედშია ჩაქსოვილი.

ლევან დააღონა ამ სიტყვებმა და სწორედ იმისთვის, რომ სიმართლე იყო მათში: ესე მსჯელობდა მისი გონებაც, ისიც სრულებით არა ჰკითხავდა მეფის გულს, თითქო სამეფო ტახტზედ მჯდომს გული გაქვავებული უნდა ჰქონოდა და გრძნობა გამშრალი.

- მძიმეა გვირგვინი სამეფო: მის სხივებში, დნება ადამიანის პირადი მისწრაფება და გრძნობა! - ბრძანა მეფემ და დახარა თავი შემძიმებული.

ვეზირმა თანაუგრძნო ხელმწიფეს, როგორც ადამიანს. მართლაც ყველა მის ქვემეგრდომს შეეძლო ეერჩია გულის სწორი იქა და მაშინ, სადაც და როდესაც ჰპოვებდა მას ბედნიერი; ძლიერ მეფეს კი არა ჰქონდა ამის უფლება, მის ნებისყოფას ზღუდამდა ის მძიმე მოვალეობა, რომელიც თავს ედვა მას ღვთის განგებით. და იმედის რამ ციაგი შეაშუქა ჰკვიანმა ვეზირმა ჭაბუკის ჩალამებულ გულში. კვალი რამ მოაჩვენა თავსდასავლელი.

- მაგრამ, ბატონო მეფე, მაინც არ შეიძლება ეგ საქმე გადაწყვეტილად ჩაითვალოს ჯერეთ: მართალია, ყოვლად ღირსი სადედოფლო ბრძანდება ასული გურიელისა გარნა არ ვიცით, მართლა მშვენიერია და უჭირველი როგორც ბრძანებს ბაგრატი, თუ არა. საქართველოს დედოფალი კი ყოველსავე სიღუბნისთვის თუ მავნე სენს განრინებული უნდა იყოს, რომ არ შეამღვრიოს შთამომავლობა და არ დააკნინოს გვარი. ამასაც მკაცრად მოითხოვს სახელმწიფოს სარგებლობა. ჩემის ჰაზრით ესე ემჯობინება: კაცნი გავგზავნოთ, დასტური შევუთვალოთ, ხოლო წარგზავნილს უბრძანე კარგად გასინჯოს სადედოფლო და მოგართვას ამბავი დაწვრილებით; მხოლოდ მაშინ დასვით იგი დედოფლად კახეთისა.

მეფეს მოეწონა ეს რჩევა. დაასკვნეს ესე მოქცეულიყვნენ. სამეფო საბჭომ რომ განიხილა ბაგრატი მეფის წერილი სწორედ ამ ჰაზრს დაადგა, რომელიც მოახსენა ვეზირმა მეფეს მაშინ იყო, რომ აირჩიეს კაცები და უთავეს მათ ვეზირი. მაყაშვილს ორი ბეჭედი ედვა უბეში, ერთი სადედოფლო ბეჭედი შეუდარებელი, მეორე ბეჭედი უნდა მიეცა მისთვის ბელგად და ისე დაბრუნებულიყო: რომელიმე მიზეზით შეაგვიანებდნენ საქმეს და მერმე მთლადაც მიივიწყებდნენ. მაგრამ ქაიხოსროს მართლა მოეწონა სადედოფლო და აკი მიუძღვნა კიდევ ღირსეულს ბეჭედი სამეფო. გულწრფელად იყო ვეზირი დარწმუნებული, რომ დიადი, საქმე გააკეთა, ღირსეული, ფრიად სასარგებლო, როგორც სამშობლო ქვეყნისათვის, ისე პირად თავის მეფისათვის.

- იმ ლეკის ქალისაგან დროებით არის გატაცებული ჭაბუკი მეფე, ეს მხოლოდ ჟინიანობაა მისი. გრძნობა გასძლიერებია, რადგან შეძლება არა აქვს მურაზს ეწიოს. არც შეიძლება! რაც უნდა იყოს, ნაიბის ქალია, პატივსადები კაცის შვილი. შეირთავს ცოლს, დაწყნარდება, დაშოშმინდება და მაშინ კიდევ გაიცინებს აწინდელ თვის განზრახვაზედ. მაინც ჩვენთვისაც, დიდკაცობისათვის, შეურაცხყოფა იქნება და დამდაბლება ლეილ-ყიზის დედოფლად დასმა, - ფიქრობდა მაყაშვილი.

ჰაზრმა უმტყუნა ჭკვიან ვეზირს, სცდა ბრძენი ძნელად გასაბჭობ საქმეში; გონებაზედ მტკიცედ დამყარებულმა ტყუილად გადაჰხედა გულს მედიდურად, როგორც ადვილად დასამორჩილებელ რამ მოპირდაპირეს, ერთის დაკვრით დასაძლევ მეტოქეს.

ეახლნენ გურიელს ლევან მეფის კაცნი თინათინის წასაყვანად. სულ ოცდაათი კაცი გამოეგზავნა, გარნა რჩეულნი, ვეშაპებივით ვაჟკაცნი. ერთს ლაშქარს უდრიდა ეს ცოტა. საომარ იარაღში ისხდნენ. ლევანის საბრძანებლის ყველა თემებიდან იყო შემდგარი ეს რაზმი, თან ახლდათ მეფის მოძღვარი აბრამ ხუციშვილი, კაცი ფრიად განსწავლული საღმთო მეცნიერებაში და მართალი.

მეტი ხალხი არც საჭირო იყო ქალის წასაყვანად, რადგან ახლა გურიელი გაატანდა ქალს თავის მხრივ მაყრებს თუ მხლებლებს. მართლა და საკმაოდ დიდი რაზმი დაიდრა გურიელის სასახლიდან: კახელები, გურული, წარჩინებულნი, მსახურნი, მონანი, მოახლენი, მხევალნი, მებარგულენი. ოცდაათ წვივმაგარ ჯარს

მოჰქონდა ქალის მზითევი თუ საგზაოდ საჭირო სანოვაგე. ქალი ტახტრევანში შესვეს. ოქროქსოვილით მოფარდაგულში.

მგზავრობა განუწყვეტელ ზეიმად გარდაიქმნა, სადღესასწაულო მსვლელობად, საარაკოდ. ბატონიშვილს დას-დასად მოსდევდა ქალ-ვაჟი გურიის სამზღვრამდის; რიგი რომ ემშვიდობებოდა, რიგი ახლად უერთდებოდა გზის მახლობელ სოფლებიდან. იყო განუწყვეტელი სიხარული, მილოცვა, ქეიფი, თავმოწონება, არშიყობა. ბუნებაცა სწყალობდა მგზავრებს: მშრალი დარი იდგა, თავი დაემშვენებინა გურიის კოპწია დედამიწას თუ ცას; ხალხის სიმხიარულეს ბუნებაც ნათელის გულით იზიარებდა მოწმედილ-მოლიმარე.

დიდი ნადიმი გაიმართა სამზღვარზე, ნამდვილი ქორწილი. ეს ღრეობა დიდებულის ამბით დათავდა: მოვიდნენ დადიანის კაცები, მიულოცეს თინათინს ბედნიერება, მოართვეს ბატონიშვილი თამარის წერილი და სახსოვარი. ძალიან გაეხარდა ეს ამბავი თავმოწონე ქალს. თვით გურიელებსაც მეტის-მეტად უამათ ესეთი ყურადღება დადიანისა: იმის მომასწავებელი იყო ეს, რომ სამეგრელოს მთავარი სამეგობროდ უწვდიდა ხელს გურიელს; მაშ მათ შორის მტრობა და ბრძოლა მოისპობოდა, ძმათა სისხლის ღვრა და რბევა გათავდებოდა. ამისთვის იყო, რომ გურულებმა ერთობ თავაზიანად. ერთობ მხიარულად მიიღეს იგინი და გულწრფელად პატივი სცეს მათ.

გადასცდნენ მოგზაურნი გურიის სამზღვრებს და წინ შეეგებათ ბაგრატ მეფისაგან დედოფლის წინაშე გამოგზავნილი კრებული დიდებულთა. მიულოცეს. მოართვეს ზღვენი. ქართლის სამზღვრებამდე მიაცილეს მათ ქალი. ეგონათ, ათაბაგის კაცებიც შეეგებებოდნენ მათ. მაგრამ გაუცრუვდათ იმედი: ძალიან ნაწყენი იყო ყვარყვარე თუმცა ზავი ჰქონდათ შეკრული და მტრული მოქმედება შეწყვეტილი, მაინც ვერ დაჰვიწყებოდა ზვიად ათაბაგს, რომ გურიელმა გადაარჩინა ბაგრატი მისი მძლავრი ხელისაგან და ჩაუშალა ის დიადი დაწყებილება, რომლის განსახორციელებლად იყვნენ მიმართული მისი სურვილნი თუ მისწრაფებანი. განუკურნებელ ჭრილობად ესვა ყვარყვარეს გულზე ეს მარცხი და მხოლოდ მარჯვე დროს ელოდა დაესაჯა მისი დამამცირებელნი.

ვარდის ფურცლით იყო მოფენილი თინათინის გზა: მარჯვედ მიდიოდა ყოველივე, არსად ირეოდა წესი, არავინა გრძნობდა გზის სიგრძეს, არც სიძნელეს. მხოლოდ ერთი უცნაური ამბავი ძლიერ აკვირვებდა მოგზაურთ და აღონებ-აფიქრებდა თვით დედოფალს:

სულ რამდენიმე ეჯი არ გამოევლოთ მექორწინებს ოზურგეთიდან, რომ გზის მოშორებით გორაკის რამ ფერდობზე შენიშნეს ათიოდე ცხენოსანი. ეგონათ, მომლოცველნი იქნებიანო რომელიმე სოფლიდან, მაგრამ იგი მგზავრნი მიეფარნენ ტყეს და უჩინარ იქმნენ. ამის შემდეგ, სადაც კი კარავს დაჰკრავდნენ მოგზაურნი და დაისვენებდნენ, იგი მხედრები უსათუოდ გამოჩნდებოდნენ მათ შორიახლო. ერთხელ მოკლე ბილიკებით გააპარეს კაცი მათი ამბის თუ ვინაობის გასაგებად, მაგრამ ველარ დაბრუნდა იგი: თავგაპობილი ნახეს ხევში. ერთ ღამეს კიდევ შეიჭრნენ იგინი ბანაკში, ერთმა მათგანმა ზედ მიაგდო ცხენი დედოფლის კარავს, გარს დაუარა მას და დაიძახა ქალის სახელი. არავის კი არა ავნეს-რა. ვერ მოასწრეს მხლებლებმა

ფეხზე წამოდგომა და იარაღის მომარჯვება, რომ განქრნენ თავდამსხმელნი, როგორც რამ სულნი მავნენი. შენიშნეს კი, რომ ყველანი საომრად იყვნენ გამოწყობილნი: ჩაჩქანი ეცვათ, ჩაბალახები ეხურათ. ძახილიც მოესმათ შემდეგ: ნოშრევანს უყვიოდნენ.

ამ ამბავმა საგონებელში ჩააგდო მგზავრები. ზოგს ეგონა მეკობრენი არიან და მარჯვე დროს ეძებენ თავს დაგვესხნენ, გაგვძარცვონო; ზოგი ფიქრობდა თვით გურიელისაგან ადევნებული მეთვალყურენი იქნებიანო. რომ შორიახლო ათვალერონო ქალის გზა, და ხიფათის დროს მიეშველნენო; იმასაც ფიქრობდნენ, ვაი თუ ათაბაგისაგან მოგზავნილნი მზვერავნი იყვნენო ეს და შეიძლება თვითონ ათაბაგიც დაგვეცესო თავს; ისეთიც იყვნენ, რომ მავნესულებადა სთვლიდნენ მათ და ძრწოდნენ გულში შიშჩავარდნილნი ეს საიდუმლო თანამგზავრნი თანაჰყვებოდნენ მათ ქართლის სამზღვრებამდის და მერე უჩინარ იქმნენ.

ქართლის სამზღვრებზედაც შეჰხვდა მექორწინეთ საპატიო რაზმი. ლუარსაბ მეფემ მოაგება დედოფალს კეთილშობილნი, მხლებლები. ყოველი საჭირო სანოვაგე. თითონ ქალისათვისაც მოეწერნა მილოცვის წერილი. გულკეთილ მეფე ლუარსაბს მიზეზიცა ჰქონდა დიდის პატივით დაჰხვედროდა კახეთის დედოფალს: ამ დროს იგი შევიწროვებული იყო მტრისაგან და თუ ძლიერი მეშველი არ ეყოლებოდა გვერდით, გაუჭირდებოდა ყოფა. ყეინი შაჰ-თამაზი ბოროტის თვალთ უყურებდა ლუარსაბს, რომელიც სცდილობდა გაენთავისუფლებინა და გაეწმინდა სპარსთაგან მთელი ქართლი. ყეინის შთაგონებით აჰსეოდნენ ლუარსაბს ასან-ბეგ შირვანელი და განჯის ბეგლარ-ბეგი ზიად-ოღლი, რომელნი შეერთებულის ძალით და სპარსთა ლაშქრის დახმარებით სცდილობდნენ დაემხოთ ლუარსაბის მეფობა. ეს მოსაზრება დაერთო ქართულ, სტუმართმოყვარეობას და ამიტომ გულდია დაჰხვდა მეფე მიმავალ მგზავრებს და დიდის პატივისცემით გაატარა თვის სამფლობელოზე.

ბატონს გურიელს ძლიერ უხაროდა თავის ქალის ესეთი პატივით მგზავრობა, მისი თავმოყვარეობა მთლად დაკმაყოფილებული იყო, მისი გული მადლობასა გრძნობდა საქართველოს მფლობელთადმი, რომელსაც ესეთი პატივი სცეს მას. ყველაფერი დაწვრილებით იცოდა მამიამ, რადგან ბრძანება მიეცა, რომ ყოველ აღნიშნულ ადგილიდან ქალის მხლებლებთაგან ერთი კაცი უნდა დაბრუნებულიყო უკან და მიეთხრა მისთვის ყოველივე შემთხვევა მგზავრობის შესახებ. როცა გურიელს მოახსენეს საიდუმლო რაზმის ადევნების ამბავი, იგი ძალიან გაჰკვირდა, კიდევ შეფიქრიანდა ამის გამო. მოსწია მგზავრებს შათირი და დააბარა მზირად ყოფილიყვნენ, ყურმახვილად.

კარგ გუნებაზე დამდგარიყო დედოფალი თინათინიც. დადებითი სვლა და განუწყვეტელი მზიარულება აკმაყოფილებდა მის თავმოყვარეობას; ახალ-ახალი სანახაობა მდიდარის და კეკლუცის ბუნებისა ართობდა მის თვალს, იპყრობდა მის ცნობისმოყვარეობას; ალერსი და ფუფუნება სრულებით არ აგრძნობინებდა მას გზის სიგრძეს თუ სიძნელეს. მისი მგზავრობა განუწყვეტელი დიდება იყო და სიამე. რაც უფრო უახლოვდებოდა თავის ახალს საბრძანებელს, მით უფრო ფერადდებოდა და ცხოველდებოდა დღესასწაული. ქალს აღარ ეცალა ჩაჰკვირვებოდა თავის გულს და

გაესინჯა იმ გრძნობათა ძალა, რომელნიც აწ მიფერფლილ იყვნენ მის არსებაში და რომელსაც უთუოდ თავი უნდა ეჩინათ პირველსავე შემთხვევაში.

დაუახლოვდა ქალი კახეთის სამზღვრებს და ჩაფიქრდა თავის ხვედრზე.

ბედი რომ დიდებული აედევნა მას და კმასაყოფელი, ეს ცხადი იყო, მაგრამ ქალი მხოლოდ საბრძანებელის ჩასაბარებლად კი არ მიდიოდა, იგი სასძლოდ მიჰყვანდათ და აგერ უნდა შეჰყროდა თავის საქმროს და გულის მეგობარს. გული კი არ ადასტურებდა ამ მეგობრობას, არც არავითარ სიხარულსა გრძნობდა იგი შეხვედრის მოლოდინში. გული კიდეც უფრთხოდა შეყრის წამს, რადგან ლევანი მთლად უცნობი იყო მისთვის და ვერ აპშლიდა მასში გრძნობათა სამხიარულო დენას. სდუმდა გული უსიხარულო, უნდობლად იყურებოდა, კრთებოდა, ილალებოდა. აღფრთოვანებული გონება ათასგვარ თვალთწარმტაც საგანგებო სურათს უსახავდა ქალს, გული კი სდუმდა დაჩაგრული, აღარ ენდობოდა გონებას, რომელმაც ძალით გამოსტაცა მას სიამე უშრეტი, ჩაუქრო სანთელი სიხარულისა და ნაცვლად ამისა დაადგა თავს გვირგვინი ბრწყინვალე, გარნა ცივი, გრძნობათა შემყინველი, ტკბილ გრძნობათა ამომშრეტელ-ამომხმობელი. ქალი სცდილობდა წარმოედგინა სახე თვისი საქმროსი და გონება აწვდიდა ამ სახეს: უხატავდა ვაჟკაცს მშვენიერს, პორფილით მოხილს, სკიპტრის მჭერს, თავ-გვირგვინოსანს; ვერ კი შესძლო გონებამ გაეცოცხლებინა იგი სახე, სული ცხოველი ჩაედგა მისთვის, სისხლი თბილი აეჩქეფებინა მის ძარღვებში, სიცოცხლის ძალით მიმზიდველით აევსო მისი თვალეზი, ქალწულისათვის ძვირფას სიცოცხლის ძალით. თინათინს ლევან მეფე ესახებოდა ბრწყინვალე რამ კერპად უსულოდ, დიდების შარავანდედით მოხილ ჭანდაკბად უგულოდ; ვერ იქმნა და ვერ ჩაუდგა მას სული ცხოველი, ვერც აუძგერა მას გული გაქვავებული.

და იგრძნო ქალმა ერთს წამს, მთელის თვისის არსებით განიცადა მან, რომ დიდება დიდი, ძალა უძლეველი. საჭურჭლე ულეველი, ყოველივე კეთილი ქვეყნიური ვერ შეიქმნებოდნენ სიცოცხლედ, ვერც ძალედვით ქმნილიყვნენ ნექტარის მადინებელ წყაროდ ცხოვრებისა. ამაყი და თვითნება გონება ქალისა მაინც არა სცხრებოდა თვის მისწრაფებაში, იგი დაჟინებით არწმუნებდა ქალს, რომ განაცხოველებდა ამ ქანდაკებას უსულოს. დაჰკრავდა კვერთხს სასწაულთმოქმედს და აუძგერებდა გულს, სამისოდ აუღელვებდა გრძნობათა მათ შესაკრებელს.

- მიყვარხარ, დედოფალო ჩემო სანატრელო! - წარმოსთქვამს მაშინ ქანდაკება იგი და მხურვალედ დაუკოცნის კაბის კალთას.

და წარმოუდგა დედოფალს ნოშრევანი ცოცხლად. ხელშესახები სინამდვილით! მის წინ მუხლმოდრეკილი ჭაბუკი ევედრებოდა მას, უარეყო დიდება წარმავალი და განეხორციელებინა სიყვარული, რომელი მხოლოდ არს სიხარული უცვლელი, რომელი მხოლოდ ასხივოსნებს ქვეყანას ბნელს, რომელი მხოლოდ ათბობს ცხოვრებას ცივს, რომლისადმი ისწრაფის უკვე ერთ არსებად შეკონილი გული მათი.

- აახ! - დაიკვნესა ქალმა.

და ცრემლთა ნაკადი გადმოსქდა თვალთაგან: ნოშრევანს სტიროდა ქალწული, მისით მკვდარს ნოშრევანს, თავისსავე ხელით განგმირულ სიყვარულს. მხლებელთ კი ეგონათ, შემთხვევითი ცრემლებიაო უმნიშვნელო, წუთიერ მღელვარებათაგან ნაწური რამ ნამი უბრალო.

მაგრამ ქალი მხოლოდ ერთს წამს შედრკა და უღონო იქმნა, მხოლოდ ერთს! მალე მოეგო იგი თავს, მსწრაფლ განმტკიცდა შერყეული მისი ნებისყოფა და აღიმალა ხმა მისმა გონებამ:

- დედოფალი ბრძანდები ქვეყნისა, ქალი მძლავრის გურიელისა, დიდებისა და პატივისათვის ღვთისაგან მოვლინებული და არ გშვენის რყევა! მიიღე თაყვანისცემა, რომელი განუმზადებია შენთვის განგებას უცვალებელს!

ქალმა შეიშრო ცრემლი სისუსტისა, მოიღერა ყელი და შებრძანდა ფარჩით მობურული ჩარდახში ამაყი. გაიარეს რამდენიმე მანძილი და გამოჩნდა ხუთიოდ მხედარი, ერთი წინ მოუძლოდა. კახელებმა იცნეს ცხენოსანნი:

- მეფე ბრძანდება, თვითონ მეფე ლევანი!

შედგა დედოფლის ამალა. ყველანი დაექვეითნენ. ლევანმა მიაგდო ცხენი ტახტრევანდს, გადმოხტა და ასწია ფარდა: ესწრაფებოდა დანიშნულის ნახვა, ქალწული აღელვებული დახვდა, ფერმკრთალი; გადმონათებინა დიდრონი თვალეზი მოელვარე: თმის გასწორება კარგად ვერ მოესწრო, ვერც თავსაფრის მობურვა და აშლილი თმა ლოყაზე ჩამოჰშლოდა. კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ჭაბუკზე მისმა ფაქიზმა აგებულებამ და შემკრთალმა, თითქმის შეშინებულმა სახემ რაღაცა სიბრალულივით გრძნობა აღუძრა ვაჟკაცს. ზრდილობიანად აკოცა მეფემ ხელზე, მოიკითხა, გულმტკივნეულად შეიბრალა იმ გარჯის გამო, რომელს უთუოდ გამოსცდიდა იგი მგზავრობის დროს.

მეფის განზრახვა კი ესეთი არ იყო. მას გადაწყვეტილი ჰქონდა შეხვედრისთანავე შესჭროდა დედოფალს ტახტრევანდში და დაეკოცნა იგი. თუ ლეილ-ყიზი ყოფილიყო, სწორედ ესე იზავდა, სხვანაირად ვერ მოიქცეოდა: ვერ გაუძლებდა მის ალერსით სავსე მოცინარე თვალეზს, ეშხით აღვიებულ თეთრ-ყირმიზ ლოყებს, მთელს მის არსებას ფიცხელს, ადგუნებულს. ვერც ხომ ლეილა შეიმაგრებდა თავს. ცოდვაც იქნებოდა თავი შეეკავებინათ ტრფიალთ ეხლა კი ლეილა არ იყო მის წინ, ვნებათა ღელვის ამშლელი ლეილა. სხვა იყო, სხვა ქალი. სულაც უცხოდ მოეჩვენებოდა ლევანს დანიშნული, თუ ღმობიერი რამ გრძნობა არ აეშალა მასში ქალწულს მინაზებულს. მეფემ აკოცა დედოფალს ხელზე და უკუდგა მცირედ. თაყვანისცეს დედოფალს მეფესთან მოსულ დიდებულთ. სცხადად დაეტყოთ, რომ იამათ ქალის ნახვა. ისინი ისეც ხომ კმაოფილნი იყვნენ, რომ მეფემ უსმინა თვის მრჩევლებს, ისურვა სახელმწიფოს სიკეთე და დიდებული ქალი დასვა დედოფალდ. ქალწულმაც თავისი იერით, თვისი სინაზით, ფაქიზი ქცევით, ჰაზრიანი თქმით. ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა მათზე, გული გაუღო მათ სამხიარულოდ.

თინათინს უამა მეფის რაინდული ქცევა და შეხვედრა ზრდილობიანი. ქმარი იყო იგი, მაგრამ მაინც უცნობნი იყვნენ ჯერ და უფრო ხასი ქცევა შეამღვრევდა მათ

შეყრას. მართლა და შეუფერებელი იქმნებოდა მეტი სიახლოვე მათ შორის, რადგან იმათ შეუღლებას არ უძლოდა განმასპეტაკებელი სიყვარული, რომელი განსწმენდს, აღამაღლებს ქალ-ყრმათა ერთობას, ჰაეროვან სახეს აძლევს და განდევნის მუნიდგან ყოველსავე მწიკვლს თუ ცოდვას, ნასახს ბილწის ეშმაკისა.

ეშმა ჰბადავს შემოქმედს და თვისგან მოვლენილ ბიწიერ მოქმედებას აძლევს სპეტაკ აღმაფრენის სახეს. თუ გულს არა ჰკითხე, მარტო თვალის დაკვრით ვერ გაარჩევ ამ ორ მოქმედებას, გარეგნობით ერთგვარს, ხოლო შინაარსით სულ სხვადასხვას. გულმა კი უტყუარად იცის მათი გარჩევა, იგი მაშინვე გრძნობს ციურ ძალთაგან ნაგებ სიყვარულს, ცოდვათაგან განწმენდილს.

ის კი ეუცხოვა ქალს, რომ მეფე ესე უბრალოდ მოეგება მას, სულ ოთხი კაცის ხლებით. ისიც გაუკვირდა, რომ ლევანს მარტივად ეცვა, არა ჰქონდა ასხმული ოქრო-ვერცხლი თუ თვალ-მარგალიტი. ქალს წარმოდგენილი ჰქონდა, რომ საქმრო შეჰხვდებოდა მას დიდებით გარემოცული. თითონ ლევან კი თვალში მოუვიდა. მართალია. ისეთის გმირულის შეხედულებისა არ იყო იგი, როგორც ბეჩავი ნოშრევან, არც ისეთი სხარტი და მოქნილი ტანი ჰქონდა. მაგრამ მაინც კარგი ვაჟკაცი სჩანდა, თითქმის მშვენიერი.

სინამ კახნი თაყვანსა სცემდნენ დედოფალს, ლევანმა მიმოავლო თვალი მის თანამგზავრთ და შესდგა განცვიფრებული: თვალი დაჰკრა მშვენიერ მხევალს თინათინისას. ისე დააშტერდა მოხიბლული, როგორც შავარდენი კაკაბს, გარნა ერთს წუთს, მხოლოდ ერთს წამს.

ბრძანა მეფემ განეგრძოთ გზა. მარჯვედ მოახტა ბედაურს და გვერდით ამოუდგა ტახტრევანდს. ქალწულს მოეწონა ჭაბუკი მეფის ქცევა და გაუღიმა.

მოშორებით და მოკრძალებით მისდევდა მეფე-დედოფალს მათი ამაღლა. მგზავრები წყნარად მიდიოდნენ, რადგან შორს აღარ აყო დასასვენებლად განმზადებული ადგილი. ავიდნენ გორაკზე და ჩაეკიდნენ ტყიან თავქვეს. წინ გადაეშალათ ივრის ხეობა, რომელს ორივე მხრიდან მოსჯროდნენ ტყით შემოსილი მთები. დედოფალმა ბრძანა მთლად აეკეცნათ ტახტრევანდის ფარდები, რომ თავისუფლად შესძლებოდა საუცხოვო ადგილების თვალიერება. ლევანი გვერდზედ მისდევდა ქალს და განუმარტებდა: უჩვენებდა სოფლებს, უსახელებდა ციხეებს, უსხნიდა იქაური ხალხის ზნე-ჩვეულებას, ნიადაგის თვისებას, ნაყოფიერებას. ქალი ნასიამოვნები იყო ამ მშვენიერი ადგილების ხილვით, ისიც უხაროდა, რომ საგანი ჰქონდათ სასაუბრო, თორემ უხერხულად იგრძნობდნენ თავს ორივენი: უცნობნი იყვნენ ერთმანეთისა. უცხონი; საიდუმლო რამ გრძნობა არ აკავშირებდა მათ და ვერ გამოიღებდნენ გულიდან საუბრის საგანს: გული ცალიერი ჰქონდათ მათ ერთმანეთისთვის; უსიტყვო საუბარი ხომ სულაც არ შეეძლოთ მათ, რადგან ბაგეს დაჰხშობს ხოლმე მხოლოდ მძლავრი გრძნობა, რომლის გამოსათქმელად ადამიანის ენას ჯერ სიტყვა არ გამოუნასკვია, რომელი ჯერ ვერ მოთავსებულა ლექსთა თაიგულში. მხოლოდ ესეთი გრძნობა დასდებს საცოს ადამიანის პირს და კარსა მნელსა მის ბაგეს, გარნა გაათბობს გულს, ააძგერებს მას და მიუთხრობს უსიტყვოდ

დაუსრულებელ გალობას გამოუთქმელი ნეტარებისას. ამ ახალგაზრდათა შორის კი არ იყო არც აჩრდილი ამგვარის გრძნობისა. ამიტომაც მათი თვალი, გონება და გრძნობა მიმართული იყო მხოლოდ გარემო მდებარე არსზე, ბუნებამ იცოდა. ეს და მისთვის გარდაუშლიდა მათ ღმობიერი დიდებულ სურათებს: ჰსურდა შეემსო მათი გულის სიმწარე, დაეფერადებინა მათ გრძნობათა გაცრეცილი უფერობა. ამასა ჰგრძნობდნენ ორივენი და გადაჭარბებულის ყურადღებით მიეპყროთ თვალნი მათ წინ გაფენილ ბაღდადივით ქვეყნისათვის.

თუ ლევანს ლეილ-ყიზი ჰყოლიყო გვერდით, ან ლევან მეფე თინათინისათვის ნოშრევანი ყოფილიყო, მაშინ მნიშვნელობა არ ექმნებოდა მათთვის ივრის ხევის სიმშვენნიერეს; არც საჭირო იქნებოდა მათთვის ნამდვილი სიტურფე და სიმდიდრე ქვეყნისა: მაშინ არაბეთის უდაბნოც მანანას უთოვლებდა მათ ზეცით, ხოლო ფერხთ ქვეშ ყრილი ქვა-ღორღიც ფერად ყვავილთა ფიანდაზად გარდაეშლებოდათ შეყვარებულთ. ბუნებამ იცის სიტურფე სიყვარულისა და უაღერსებს ტრფიალთ. არ იშურებს მათთვის საუნჯეს არსად და არც როდის.

თავქვეებში ტყე თანდათან მჭიდროდ გარემო ადგა გზას და შეზღუდა იგი, წაართვა სარბიელი თვალთ. შეამოკლა ხედვის ისართა საფრენი, ნაწილ-ნაწილდა მოჰსჩანდა ხვეული გზა და მის ჩაყოლებით ტოტებით გადაჭდობილი უზარმაზარი ხეები. ზოგან ხეებს თალარივით დაეჩრდილათ სავალი და მათ ფოთლებ შორის აქა-იქდა მოსჩანდა კამკამი ცა. ერთ მისახვევში მოულოდნელად გაიხსნა მარჯვნივ ტყე და მგზავრების წინ გადიშალა ყვავილოვანი რამ ველი, რომელი შესდევდა შეღმართს. ამ შეღმართის თავზე ამყად გადმომდგარიყო ივრის ციხე თავმომწონე. ველზედ კარვები იდგა, სადღესასწაულოდ მორთულ-მოკაზმული ხალხი ირეოდა. ციხის მკერდზედ მოსჩანდა ფარჩის კარავი, რომელზედაც ფრიალებდა დროშა სამეფო: პირაქეთელნი შეყრილიყვნენ აქ მეფე-დედოფლის დასახვედრად.

შიგნით კახელებს არ უნდოდათ მეფის ქორწინება მთლად გარე კახელთათვის დაეთმოთ, ივრის ხეობა აქ ეტოლებოდა ალაზნის დიდებულ ველს და თუ ქორწილი იქ უნდა გადაეხადნათ, აქ ნიშნობის გაჩაღებას აპირებდნენ. ჰსურდათ დაელოცნათ ახლად შეყრილი მეფე-დედოფალი. ამისთვის იყო აქ დიდი მზადება.

უკეთეს ადგილს ვეღარც იპოვნდნენ აქ: გორგასლანის მომსწრე ციხე-გოდოლი, ეს შეურყვეველ-გაუტყებელი კარი მთელის ხეობისა, ღირსი იყო ამ პატივისა. საჭიროც იყო დაელოცნა მეფე-დედოფალი ციხის დედას, ამ ურყვეველი ბურჯის ანგელოსს, რომ კეთილად წარმართოდათ მათ გზა ცხოვრებისა. იგი ციხის დედა კიდევ უამბობდა ახალგაზრდა მეფე-დედოფალს ძველის-ძველ ამბებს საგმიროს, მოაჩვენებდა იმ ბუმბერაზთა სახეებს, რომელთ ოდესმე ასახელეს იგი ციხე, რომელთ დასდეს თავი სამშობლოსათვის და ზვარაკად შეეწირნენ მის წმიდა კერას.

ნიშნობის წესი ციხის ეკლესიაში გარდიხდა მოძღვარმა და შეუცვალა ბეჭედი მეფე-პატარძალს. ისეთი ვახშამი გაიმართა ამ ტყით შემორტყმულ კორდზედ, რომ დიდებულ ქორწილს დასჭარბებდა თვის მრავალფერობით. როცა ვახშმათ უკან ლევანმა თავის დანიშნული გადაახედა კოშკის ქონგურებიდან ივრისაკენ, ქალს ოცნებად დაესახა ეს საარაკო მიდამო: ძირს უფსკრულ ხევში მთვარის შუქზე სარკესავით ლაპლაპებდა ანკარა მდინარე: მისი სწრაფი დენის ხმაურობა გუგუნად

ეფინებოდა კიდევს და უცნაური ხმებით ავსებდა მთელს ღელეს; ციხის ქვევით, იქვე, ისე ახლო მოსჯროდნენ მთები მდინარეს, თითქო გზა შეუკრამთო მისთვის, უჩვევი თვალი სრულებითაც ვეღარ ამჩნევდა წყალისაგან გაჭრილ-გაპობილ წარსადინელს.

- იგი, ჩემო სატრფო, თქმულება არის ხალხში, რომ სანამ ეს ციხე შეურყევლად იდგება, კახეთს ვერც ერთი მტერი ვერ დაიჭერს; თუ ციხე ჩამოინგრა, ეს უტყუარი ნიშანი იქნებაო კახეთის გატეხისა.

- რა შეარყევს ან რა ჩაანგრევს ამ ციხეს?! კლდეზედ უმაგრესად სჩანს ნაგები.

- ძალიან მაგარია, საყვარელო, მაგრამ აი ამ მხარეს ერთობ ზედ წასდგომია უძირო ფლატეს; თუ დაირღვევა ოდესმე, ამ მხრიდან ჩაენგრევა კედელი, - უთხრა მეფემ და წარსდგა ნაბიჯი, ჩაახედა ქალი უფსკრულში. თვალი მოსტაცა ქალს უძირომ, შეაკრთო, შეაშინა და ათრთოლებული ქალი უნებლიეთ მიეკრა ჭაბუკს, ვაჟკაცმა მძლავრად მოჰხვია მას მკლავი და მოსტაცა კოცნა პირველი.

ტკბილი იყო იგი კოცნა, გამათბობელი, ვნებათა ამშლელი, გარნა, ახ, ვერ ჰპოვა ვაჟმა მასში ნებისყოფის ჩამშლელი და თავის წამრთმევი აღტყინება, ვერც სიტკბოება ჯერეთ განუცდელი, მისთვის თითქო ნაცნობი გამოდგა ბაგეთა იგი შეხება, არაერთხელ განმეორებული, და გული გაუკაწრა ამ განცდამ. ცხადად წარმოუდგა მას ლეილ-ყიზის ეშხიანი სახე, მხიარული თვალები, ვნებით აღსავსე ვარდისფერი ტუჩ-ბაგე და მიჰხვდა, რომ ლეილას პირველი კოცნა არ ეგვანებოდა ამ კოცნას, რომ იგი კოცნა თვით ნეტარების შეხება იქნებოდა გარდუვალ-დაუვიწყარი. შეებრაღა ქალიც, თვისი თავიც და განზრახ უფრო მხურვალედ მოუაღერსა ქალწულს, რომ არ ეგრძნობინებინა იგი თვისი განცდა დათრთვილული.

თინათინ სრულებით ვერ მიჰხვდა ვაჟის გულის კვეთებას, ერთს წამსაც ვერ იგრძნო იგი მოძრაობა მისის სულისა და ნასიამოვნები მიეყრდნო მის მკერდს. უხაროდა ქალს, რომ ვაჟი ესეთის გულწრფელი სიყვარულით შეჰხვდა მას და აღთქმას აძლევდა თავისთავს, რომ გრძნობებს გაუზიარებდა ქმარს სავსებით, დაივიწყებდა ყველაფერს ყოფილს. აღზრდიდა თვის გულში ლევანისადმი სიყვარულს, ტრფობად გარდაჰქმნიდა მას და გულსავსედ მოუპყრობდა ვაჟკაცს თვის არსებას, განუყრელად შეუერთდებოდა მას და შეიქმნებოდა მასთან ერთ ხორც და ერთ სულ. ეგონა გამოუცდელს, რომ დაიმორჩილებდა იგი გრძნობასაც, როგორც რამ მხევალს ყურმოჭრილს.

ისეთი კარგი შთაბეჭდილებით გაემგზავრა დედოფალი ივრის ხეობიდან, რომ დარწმუნებული იყო, იმისთანა მშვენიერ ბუნებას, იმისთანა მოყვარულ და ხალისიან ხალხს, ქალსა თუ ვაჟს, ვერღა ჰპოვებდა ვერსად, ვეღარც იმგვარ ლხინს თუ სიმღერა-თამაშს ჰნახამდა იგი ვერასოდეს. მაგრამ როდესაც ავიდნენ მგზავრები გომბორის წვერზე, საიდანაც გადაეშალათ თვალწინ უსამზღვრო ტატნობი კავკასიონის უმაღლეს მწვერვალებიდან ვიდრე თრიალეთის კალთებამდის, მაშინ კი გამოუთქმელ აღტაცებაში მოვიდა ქალი და სრული კმაყოფილება იგრძნო მისმა სულმა. მის ფერხთ ქვეშ გაშლილი ეს დიდებული ბუნება მისთვის დაელოცნა

შემოქმედს, მისთვის და მის შთამომავლობისათვის საუკუნოდ, როგორც რამ აღთქმის ქვეყანა შეუდარებელი. დანაშთენნი ნაწილნიც საქართველოსი მას გაემლესიან ფიანდაზად, მის გვირგვინოსან მეუღლეს და მას, ზღვიდან ზღვამდის, კავკასიონის თოვლიან ზურგიდან თვით არარატის ძირამდინ: მეფე ლევანი დიდებისად არის მოწოდებული თვით განგებისაგან.

წარმოუდგა ქალის გატაცებულ ოცნებას ბაგრატიონთა სამეფო კვლავ შეერთებული, გაძლიერებული; ბაგრატიონთა სამეფო ტახტი ბრწყინვალედ ზემადღებული, ხოლო მას ზედან მორჭმით მჯდომარე მეფე ლევანი, მთელ დუნიაზედ განთქმული ლევან დიდი ზეცით მოღებულ გვირგვინით გვირგვინოსანი. შემოქმედს მზისათვის აურთმევიან სხივი ცხოველი ამ გვირგვინის შესათხზელად, სხივი დამათბობელი ერთგულთა, დამწველი ორგულთა და წინააღმდეგთა ხოლო ლევან დიდებულის გვერდით მზე თინათინ, იმ თინათინ შუქმფენელის დარიყადარი, თამარისეულ ჯილით თავ შემკულ-დამშვენებული.

- და გარდაეცემის სახელი ლევან დიდისა და მის ბედნიერის მეუღლის თინათინისა შვილთაგან შვილს, გვართაგან გვარს, მისხთაგან მისხს; შეიქმნება უკვდავი სახელი მათი, ბრწყინვალე შარავანდედით გარემოცული სახსენებელი მათი; საარაკოდ გაჰხდის ხალხი მათ საგმირო საქმეებს, უკვდავ ჰყოფს მათ სახსენებელს ერი მადლიერი!

დაჰმზერდა თვალთაგაბრწყინებული, მკერდ აღვლევებულ-აქანებული, მთლად აღტაცებული თინათინ თვალთწარმტაც სახეს დიდებულის ბუნებისა, აღტყინებულ ოცნებით მოქარგულ სურათს თვისის დიდებისას და ღვთაებურ რამ კმაყოფილებასა ჰგრძნობდა გამოუთქმელს სატანასებური მისი პატივმოყვარება.

ძლიერ პატარადა მოსჩანდა ამ წამს საბრალო ნოშრევან უკვდავების სხივით გაბრწყინვალეებულ ლევან-დიდთან, მთლად უჩინარი. საბრალო იყო გურიის რომელსადაც კუთხეში მივარდნილი პაწაწინა მისი მამული თვალუწვდენელ სამფლობელოსთან შედარებით, რომელიც შეექმნა მის გვირგვინოსან მეუღლეს თვისი ბასრი ხმლით. თითონ დიდი გურიელიც ხომ მხოლოდ ერთ ერისთავთაგანიდა იყო ლევან დიდის სამფლობელოში, მახლობელ და საყვარელ ერისთავთაგანი, ხოლო მისი საბრძანებელი, ეშხით მოქარგული გურია, ერთ მარგალიტთაგანი ბაგრატიდთა გვირგვინისა, რომელს აწ დაემშვენებინა ბუმბერაზი ლევან დიდებული.

და აღტაცებული ქალი მიეკრა მას გვერდით მდგომ ლევან მეფეს, რომელმაც სიამით გადახედა თვის ნორჩ დანიშნულს, ოცნებათა სხივით დამშვენებულ თვის დედოფალს.

ნეტავ იმ საოცნებო ხილვაში მომავალის დიდებისა მთლადაც ჩაშლილიყო და განქარვებულიყო ნოშრევან უარყოფილი, ამოფხვრილიყო ქალის ხსოვნიდან მისი სახსენებელი! იქნება მაშინ შესაძლო შექმნილიყო მიენიჭებინა ქალს ბედნიერება მეუღლისათვის და თვითაც ჰზიარებოდა იმ ბედნიერების სიტკბობას. გარნა არა ჰქრებოდა მეხსიერებიდან ნოშრევან, აჩრდილივით თანა სდევდა ქალს მისი სახე და ხან შენივთდებოდა იგი სახე, ხორცს შეისხამდა და თვალწინ დაუდგებოდა

ცხადქმნილი, ხან მიმქრალდებოდა, განილეოდა, უჩინარ ხდებოდა: მთლად კი არა ჰქრებოდა იგი აჩრდილი, არ ინთქებოდა უფსკრულში არყოფისა.

დაემვნენ თავქვე, ჩაჰყვნენ გიჟ თურდოს. აყრილ ტყეს ბრწყინვალე დღე დაებურ-დაეჩრდილა ლაღად ატყორცნილ წიფელთა ჯარს, მზის სხივებს აღარ უშვებდნენ იგინი ძირს. მგზავრებმა ცოტახანი შეიფერხეს ხევის მარჯვნივ ციცაბოზედ გაშენებულ სადგომ-სახიზნავში, პირჯვარი გადიწერეს იქაურ ეკლესიაში და ისევ განაგრძეს გზა. ჩამოათავეს უმთავრესი თავქვე და გამოჩნდნენ მცირე რამ კვერნაკზე. ამ ბორცვს ერთის მხრივ ჩასდევდა კაკლის ჭალით შემოსილი თავქვე, რომლის ძირში გადმოჩქრიალებდა ძვირფასი წყარო; ხოლო მის თხემზე ველი რამ იყო ტყის ხეხილით გარს შემორტყმული. ამ ველის ზემოდანაც წყარო გადმოდიოდა და ნაკადად გადაჩხრიალებდა კაკლიანისკენ. ეს პაწაწინა მინდორი მთლად მოქარგული იყო ხასხასი მდელოთი და ფერადფერადი ყვავილებით შემოდგომისა. აქ დაჰკრეს მგზავრებმა კარვები და დაასკვნეს დასვენება.

წყნარ გუნებაზედ იყო თინათინ. გული სიამით აჰღვსოდა და თვალეზი უალერსებდა მყუდრო კუთხეს, რომელი დანდობილად მიჰყრდნობოდა ბუმბერაზი მთის კვარცხლბეკს. ქალმა დაათვალიერა წყარო, გადაჰხედა კაკლებს, შემოუარა ტყის პირს. პანტა, მაჟალო, ზღმარტლი თუ სხვა ნაყოფი ხვინჭასავით ეყარა ტყის ხეხილს. თხილი უკვე გაშლილიყო ძირს. ბალამწარას შიგადაშიგ ზედ შეჰხმობოდა ნაყოფი. ყინჩ ყვითლად მოწეულ ალუდაის მტევნებს დაემძიმებინა ტოტები და ძირს დაეწვინა. ულევნი საზრდო მიეცა ყოვლად მოწყალეს აუარებელი სულდგმულისათვის, რომელნი თავს დასტრიალებდნენ ბუნებისაგან გაშლილ უხვ ტაბლას.

ქალმა შეუხვია ველის ერთს ყურეში და გაოცდა: თვალწინ წარმოუდგა მცირე რამ კორდი და ზედ განმარტოებულად მდგომი ოქრო-შინდა. დახრილი მზის სხივები კრთებოდნენ მის ქარვასებურ ნაყოფზე და აფერადებდნენ მას, დაბლა დაეშვა ხეს დატვირთული ტოტები, ხოლო მისი ჩრდილი წინ წამდგარიყო ღბილ მდელოზე. განცვიფრდა: ეს სწორედ ის ხეხილი იყო, რომელი ნახა მან სიზმრად გურიაშივე, ადგილიც სწორედ ის იყო. თინათინ კიდევ ყოფილიყო ამ ადგილს. როგორ არა, ნამდვილ ყოფილიყო! აკი უბრძანეს კიდევ მაშინ, აღემენებინა აქ ტაძარი ყოვლად წმიდისა. ნუთუ სიზმარი იყო?! არა, ნამდვილ ნანახი აქვს თინათინს ეს ადგილი, ცხადლივ ნანახი! გარს შემოურა ქალმა ხეხილს, ხელი ახლო, ნაყოფი იგემა. დაბრძანდა შინდის ჩრდილოში. აქედან არა სჩანდა ველზედ დაბანაკებული ხალხი, ხეები წასდგომოდნენ წინ და ჰვარავდნენ. ბუნება მთლად მიყუჩებული იყო. ტყისა და ყვავილთ სუნნელებას გაეჟღინთა გამჰვირვალე ჰაერი. დედოფალი და მის ფერხთით მჯდომი მისი მხევალი გუქა ფერიებსა ჰგვანდნენ ამ მივარდნილ ყურეში საალერსოდ გამოსულთ.

მაინც ფერიათაგან აჩემებული ადგილი იყო ეს ველი, ტყის ქალთა სავანე რჩეული. ამ წყაროზე იბანდნენ იგი ტყის შვილნი ჰაეროვან ხელ-პირს, აქვე ივარცხნიდნენ ოქროსფერ თმას, მგზავრებს რომ მთვარის სხივთა ხელეურად ეჩვენებოდათ ხოლმე. აქვე მღეროდნენ იგინი თვის უცნაურ საგალობელს მიმზიდველს, აქვე უალერსებდნენ შეტყუებულ მგზავრს, ჰკოცნიდნენ მას, ეკონებოდნენ, უშრეტი ვნებით აღზნებულნი დაჰქათქათებდნენ გრძნობათა დენით

მოქანცუბულ-მიზნედილს. ვაი, რომ მომაკვდავი ვაჟკაცი ვერ უძლებდა მათ აღერსს ძლიერს და ღონემიხდილი მიიწურებოდა სიკვდილად! როგორ დასტიროდნენ მაშინ ბედშავს ეშხით გაუმაძღარნი! როგორ არა: ბევრჯერ გაუგონიათ შეგვიანებულ მგზავრებს მათი კასკასიც მხიარული, მათი მოთქმაც მწუხარე, რომელნი უერთდებოდნენ გიჟმაჟ თურდოს გამახილს და ჩხრიალ-ზრიალს.

- რა მშვენიერებაა! რა სიწყნარეა! როგორი ამკობს კორდს ეს შვინდის ხე! - სთქვა ქალმა და მიმოავლო თვალი არეს.

- ძალიან მოგწონს, ჩემო საყვარელო? - ჰკითხა ლევანმა, რომელიც გამოჩნდა ხეებს იქიდან.

- ძალიან! ერთხელ სწორედ ესეთი ადგილი ვნახე სიზმრად, მხოლოდ პატარა რამ ნიშიც იდგა იქ.

- იცი, გენაცვალე, ეს ველი თავის გარემო ტყით სამუდამოდ ესე დარჩება ხელუხლებელი: გავცემ ბრძანებას; ვუბრძანებ ნიშიც ააგონ აქ ყოვლად წმიდის სახელობაზედ. მოვალთ ხოლმე აქ, მოვიგონებთ ამ ნეტარ ჟამს და შენ სიტყვებს.

24

მთელი სამი კვირა გასტანა ქორწილმა. საარაკო რამ კუთხედ გარდაიქმნა გრემი და მისი მიდამოები. აღყვავებულიყო მთელი ქალაქი. ფერად-ფერადი კარვები მოსჩანდა გარემო მდებარე მაღლობებზეც; ხალხს ვეღარ იტევდა ქალაქი და ბევრი კარვებში დაებინავებინათ. სასახლის წინ გამართულ უზარმაზარ სეფაში ცხენი გაჭენდებოდა. გრემის შუკა თუ უბანი სავსებით სავსე იყო ყვავილივით დართული ხალხით, ქალით თუ ვაჟით. გათქმული ღვინოები ნექტარის მაგვარი, რჩეული სანოვაგე, ნანადირევი ოთხფეხი თუ ფრინველი, თევზეული მრავალგვარი, რჩეული ხილეულობა ფასდაუდებელი ბალებიდან ალაზნის ველისა. ხორაგს თუ სასმელს გზას ვერ აუქცევდა ადამიანი. გახალისებულიყო ისეც მხიარული, მომღერალ-მოცეკვავე კახელი და მის შვება-სიამეს შურით დაჰყურებდა თვით ღმერთი მხიარულებისა. თავი მოაწონეს მასპინძლებმა დიდებულ სტუმრებს, რომლებიც სწვევოდნენ მეფეს საქართველოს ყველა კუთხიდან თუ სხვა მოსამზღვრე სამთავროებიდან. ზეიმი და განცხრომა შიგადაშიგ ასპარეზობით და ნადირობით სხვაფერდებოდა. ქვეყანა მოსვენებული იყო, კახეთის ცა მოწმენდილი; სამტროდ არავინ ემზირებოდა კახთ, არც თითონ კახს ამოელო ამჟამად ხმალი ქარქაშიდან და გულსამსე იყო მხიარულება, უხვი, წრფელი, მოცინარე.

გახსნა გახარებულმა მეფემ საჭურჭლე თვისი და გასცა წყალობა ულევნი. უხვია გული მეფისა გალადებული. უხვად გასცემდის ლევანი საბომძვარს, არავინ დარჩა გულნაკლული, არც დიდი, არც მცირე. ამ განცხრომაში რომ იყო ხალხი, წარსდგა მეფის წინაშე თინათინის მონა კოწია და თავყანი სცა მეფეს მიწამდინ.

- შენ რაღასა მთხოვ, დედოფლის მონავ ერთგულო?

- მიყვარს, დიდებულო მეფევ, დედოფლის მოახლე მარიკა და მოილე ჩემზედაც მოწყალება, წყალობა ულეველი, ბრძანე, რომ ვიფსკვნა გვირგვინი მასთან.

- მერმე უყვარხარ, ბიჭო, მარიკასაც? - გაიღიმა მეფემ.

- მზე ჩემზედ ამოსდის, შენი მუხლის ჭირიმე!

ლევანმა თვალებით გაუღიმა თავის მეუღლეს და უბრძანა ხუცესს ჯვარი დაეწერა მათთვის, ხოლო მოღარეთ-უხუცესს, რომ გაემზითვა პატარძალი.

ამ მოულოდნელმა შემთხვევამ უფრო გაამხიარულა ხალხი, გააცინა, ააჟიჟინა, საუკეთესო თავადიშვილებმა იქვე ითავეს მათი მეჯვარეობა თუ მაცრობა.

კმაყოფილ იყვნენ და მხიარულ. მხოლოდ ერთი უკვირდათ დიდებულთ: შამხალი უსუფ-ხანი არსადა სჩანდა სტუმართ კრებულში, იგი არც თითონ ჰხლებოდა მეფეს, არც მომლოცველი ეახლებინა და მოსაკითხი. საკვირველი კი იყო ეს მისგან: ჯერ ერთი, რომ მომხრე იყო იგი ლევან მეფისა და მოზავე, გარდა ამისა მოსამზღვრე იყო და პირადი მეგობარი. ლევანი და შამხალი ხშირად დადიოდნენ ერთმანეთში, ერთად ნადირობდნენ და ნადიმობდნენ. დღეს კი, ლევანისათვის ბედნიერს და სასახელო დღეს, მის თავგამოჩენის დროს, იგი არ ახლდა მას, არც ხსენება იყო მისი. ზოგს რომ უკვირდა ეს ამბავი, ბევრს სწყინდა, გული უჯავრდებოდა, სისხლი ემღვრებოდა.

- როგორ გაჰბედა ვიღაც შამხალმა და არ ეახლა მეფეს ამ დიდებულ დღეს, როცა მის ბედნიერ ტახტს გარს შემოჯრია ჯილოსან გვირგვინოსანთა რაზმი ბრწყინვალე?! ეს ხომ თავხედობაა შამხალისა და დამცირება მთელის კახეთისა!

- სწორედ განზრახ ჩაიდინა ურჯულომ ესეთი საქმე, ალბათ ჰსურდა ეჩვენებინა, რომ იგი სრულებით არ არის მეფისაგან დამოკიდებული. ეს პირდაპირ გამოწვევა არის ჩვენი.

- ეტყობა, სწყინს მეფეს ეს თავხედობა შამხალისა და იმისთვის ბრძანდება თითქო ჩაფიქრებული. ჰხედამ, შიგადაშიგ ნაოჭი რამ აჩნდება შუბლზე და ჭმუნვა გამოჰკრთის მის თვალებში.

- კარგი! თუ ესეა, მე მიდვია თავს მეფის მთლად გამხიარულება, - სთქვა კაკ-ენისელის სარდალმა შალვა ვახვახიშვილმა: - ხელშეკრულს მოვიყვან იმ ურჯულოს მეფის წინაშე. მაინც ხომ წესია ამისთანა სამხიარულო დღეები საგმირო საქმით დათავდეს. ბარემ მეფის მოსაკითხსაც წამოვიღებ შამხალის სასახლიდან.

მოუწონეს სარდალს სიტყვა. იცოდნენ, რომ ქადილს ძალა და მოხერხებაც შესწევდა. იგი განთქმული იყო ამგვარ მოულოდნელ თარეშების მოწყობაში და თანაც შემმართველ-შეუპოვარი, თავხედობამდის გამბედავი.

კიდევ განახორციელებდა სარდალი თავის ქადილს, სულ რამდენიმე დღეში შეასრულებდა, თუ ყური არ მოეკრა ამ ლაპარაკისათვის ქაიხოსრო მაცაშვილს და არ ჩაეშალა სავაჟკაცო საქმე. ვეზირმა ეჭვით იცოდა ის მიზეზი, რისთვისაც არა ჰხლებოდა მეფეს შამხალი, ალლოთი მიმხვდარიყო, რომ მეფის სიამის მკრთალობაც იმ მიზეზთან იყო დაკავშირებული და ამისთვის დაამშვიდა ხალხი.

- დიდ ბედნიერებას მარად სდევს აჩრდილი კაემნისა. ჭაბუკების გულიც ველარ იტევს ბედნიერებას და ალბათ მისთვის მძიმდება ჟამითიჟამად. შეექვსის მეფე ახალს წყალობას დამზადებელისას და მალე სრულ შვებას იგრძნობს იგი, მთლად განათდება უჩრდილო სიხარულით მისი სახე, - სთქვა ქაიხოსრომ და მიუბრუნდა შალვას.

- რამდენჯერ აგსრულებია, კაცო, გულის წადილი და სწორედ მაშინ გიგრძენია სიხარულში აჩრდილი რამ კაემნისა თუ ტვირთი.

- მართალს ამბობ, მე და ჩემმა ღმერთმა! დიდად რომ გამიმარჯვნია, სიხარულსა და აღტაცებასთან სიმძიმეც რამ მიგვრძნია ჩამაფიქრებელი, - მიუგო სარდალმა.

ვეზირმა სთქვა, სხვაც დააჯერა, მაგრამ თითონ კი არ სწამდა თავისი სიტყვა. მეფის კაემანი სრულებითაც არა ჰგვანდა გადაჭარბებულ ბედის ნაჟურს, როდესაც ადამიანი განუცვიფრებია იღბალს, ჯერ ვერ შესთვისებია მას იგი, ვერ შესჩვევია და უხერხულობას რასმე გრძნობს; თან თითქო ეშინიან კიდევ, იგი ბედნიერება არ განქარდეს უეცრად, სიზმარივით. მაყაშვილი მიმხვდარი იყო, რომ მეფის ბედნიერება, გარედან ასე თვალთწარმტაცად აღყვავებულ-დაფერადებული, შიგნიდან ნაკლიანი იყო, გულდაუსრულებელი და სწორედ ამის მეტყველი უნდა ყოფილიყო მისი სახე. ეს იქიდანაც დაასკვნა ვეზირმა, რომ მეფე პირდაპირ აღარ უყურებდა მას, გულუბრყვილოდ აღარ შეჰხედამდა, თვალს არიდებდა. მას გულსა ჰკბენდა ეს გარემოება. ნანობდა კიდევ იგი, რომ მაშინ პირდაპირ მისცა მეფეს რჩევა, ბეჯითად უთხრა სათქმელი. მართალია, იგი რჩევა გულწრფელი იყო და ბრძნული, მაგრამ, ვინ იცის? განაზებულია მეფის ბუნება, გააზიზებული, ჟინიანი და იქნება ეხლა ნანობს კიდევ იგი, რომ უარჰყო მაშინ თავისი სიყვარული და გაჰყვა ნაზირ-ვეზირთა რჩევას სახელმწიფოს დიდებისადმი მიმართულს. ამისათვის ფრთხილობდა ეხლა გამოცდილი ვეზირი. თუ მეფის გული მართლა ამ გრძნობით იყო შემღვრეული, თუ მას უკვე ჰღრღნიდა გვიანი სინანული, რასაკვირველია, ეწყინებოდა ლეილ-ყიზის მამის აკლება და დამცირება. ეხლა ყველას ის ემჯობინებოდა, რომ არ ეხსენებინათ შამხალი მეფის წინაშე, მისი არსებობა მთლადაც დავიწყებისთვის მიეცათ. ამისთვის მოიხმარა ვეზირმა თავისი გონების ძალა, რომ განექარვებინა სარდლის გულისწყრომა, დაემშვიდებინა იგი და ნება არ მიეცა თარეშისა.

მართალი იყო ქაიხოსრო: მეფის კაემანი სრულებითაც არ წარმომდინარეობდა იქიდან, რომ შამხალი არა ჰხლებოდა მას, თავი არ დაეკრა მისთვის, თუმცა კაემანს კავშირი კი ჰქონდა შამხლის ოჯახთან, იცოდა მაყაშვილმა გარემოება და იმიტომ მიიტანა გუმანი, თორემ ისე შეუძლებელი იყო მიხვედრილიყო. ვერ შეიძლებოდა ადამიანს ეფიქრა, რომ რაიმე ჭმუნვა დაისადგურებდა ჭაბუკი მეფის გულში, რომელი ყოვლისავე კეთილით აღევსო განგებას: სიხარულით, დიდებით, საუნჯით, თავდადებული მეგობრებით თუ ქვეშევრდომებით და სწორედ იმ ბედნიერ ჟამს, როცა, ქებანი გაეჭრა ყოველ მხრივ შემკულ ქალწულზე, ყოვლად შეუძლებელი იყო! განუზომელია გული კაცისა: ძნელია მიხვდეს გონება, სად ჰპოვებს გული ნაკადს

ნეტარებისა, ან სად მიუპყრობს მას განგება უცვლელი სიხარულის ფიალას. გონება ადვილად ვერ მიიკვლევს შეუცთომელს კვალს ბედნიერებისადმი, რადგან უჩრდილო ბედნიერება ჰაზრთა სამფლობელოს გარეშე სდგას. გულის გზა და ჰაზრთა ბილიკები ხშირად ასცდებიან ერთმანეთს, ბევრჯერ სულ სხვადასხვა მხრით მიიმართებიან. მაყაშვილი მიჰხვდა ეხლა, რომ მამულის სიკეთისაგან ნაკარნახევი და მისგან თუ სხვა ბჭეთაგან ნარჩევი გზა შეიძლებოდა ასცდენოდა მეფის პირად ბედნიერების შარას და ტანჯვა გამოეწვია მის სულში. სახუმრო საქმე არ იყო ეს. ამან შეაფიქრა ვეზირი, სიფრთხილის კვალში ჩააყენა იგი.

ლევანი იმთავითვე გრძნობდა, რომ საბჭოსაგან და საკუთარის გონებისაგან მისთვის არჩეულ გზაზედ ცხოვრებისა არა ჰხარობდა გულის ვარდი მისი სუნნელოვანი, რომ იგი გზა მხოლოდ ცივი ანგარიშის თვალთ იყო უნაკლულად მოკირწყლულ-გამზადებული, გრძნობას კი არას ეტყოდა სანუგემოს ბედნიერების მოტრფიალე გულს. მთლადაც დარწმუნდა ამაში ჯვარის წერის პირველსავე დღეს.

შუალამე გადასული იყო, როდესაც მიართვეს მეფე-დედოფალს „თასი სიტკბოებისა“. ეს თასი ოქროსი იყო თვლებით მოოჭვილი. თასს შიგნიდან ეწერა: „ძნელ არის სიყვარული, ვითარცა სიკვდილი, და უტეხ არს შური სიყვარულისა, ვითარცა ჯოჯოხეთი“. თასის მიპყრობა მოასწავებდა, რომ უკვე დრო იყო მეფე-დედოფლის მეჯლიშიდან გაბრძანებისა. ამ თასს მხოლოდ მაშინ გამოიტანდნენ საჭურჭლიდან, როდესაც მეფე იქორწინებდა და მხოლოდ მაშინ ამსებდნენ ღვინით, როდესაც დადგებოდა ჟამი მეფე-დედოფლის გაბრძანებისა, ამსო თამადამ თასი, მიართვა მეფეს ცალ მუხლზე დაყრდნობილმა და მოახსენა:

- მიიღეთ თასი სიტკბოებისა და სასმელი სიხარულისა!

ლევანმა ჩამოართვა თასი, მოსვა და მიუპყრა დედოფალს. ქალმა ცნობისმოყვარეობით შეხედა ქმარს და შეახო ბაგე ღვინოს. როდესაც სხვა ქორწილებში სიტკბოების თასს მიაწვდიდნენ მეფე-პატარძალს, ისინი მსწრაფლ წითლდებოდნენ წითელ ღვინოსავით და თავსდახრიდნენ მორცხვად. ეს ყველაზე ძნელი წუთი იყო მათთვის. მთელ სუფრაზე ასტყდებოდა ყიჟინა და ოხუნჯობა. იმის შემდეგ მეჯვარე და მდადე გაუძღვებოდნენ მეფე-პატარძალს საწოლისაკენ, ხოლო ზურნა აუმაღლებდა ამ შემთხვევისათვის უკვე შერჩეულ ჰანგს. არც ეხლა დაარღვიეს ეს წესი: როცა დაიძრა მეფე-დედოფალი, საკრავებმა დააგუგუნეს იგი ჰანგი რჩეული. წამოიშალნენ თანამეინახენი და მოწიწებით მოსცეს გზა მიმავალთ. სრული სიჩუმე დაარღვია თამადას მკაფიო ხმამ:

- შეაბეროს!

- შეაბეროს! შეაბეროს! - აგუგუნდა ხალხი და ეს გუგუნე მაშინაც კი ესმოდათ მიმავალთ, როდესაც განვლეს მთელი წყობა დარბაზებისა და მიუახლოვდნენ იმ ოთახს, სადაც განმზადებული იყო მათი სარეცელი. გაიღო მათ წინ კარები და დაიხშო მათ უკან. თვალწინ წარმოუდგათ საარაკო რამ სადგომი: სარეცელიც, მთელი სავანეც საოცნებო რამ ყვავილს წარმოადგენდა საიშვიათო ქსოვილთა და ფასდაუდებულ ავეჯთა თუ ნივთთაგან შეთხზილს. ცის კუნჭული იყო მოწყვეტილი

და კაცთა ფუფუნებად აქ გადმოტანილი, ქვეყნიურ სიტკბობათა მისაღებად განხორციელებულ ღმერთთა სადგური.

ზრდილი ჭაბუკი მიეხმატკბილა ოდნავ შემკრთალ ქალწულს და თითონვე გააკვირვა თავის ხმამ თუ ქცევამ: იგი ჰგონებდა, რომ მეხის სახედ იელვებდა მისი გრძნობა და მედგარის ძალით გაადნობდა ტრფობის ალში თავისსა და ქალწულის არსებას, რომ ერთ ლითონად შეედუღებინა იგი ორება; მისი გული კი ისე სუსტადა სცემდა ეხლა, რომ შესძლო თავის შეკავება და ზრდილობით არდაგში გახვევა. ასე ხომ სხვა ქალებსაც ეპყრობოდა ის, ვნებათა დასატკბობად ნამსხვერპლ ქალწულებს. სისხლ-ხორციით სავსე ჭაბუკი იყო, ყველასათვის სანუკვი მეფე და აქამდინაც არა ერთს ევას მიეპყრო მისთვის ნაყოფი აღკრძალულის ხეხილისა. ჩახსნა ჭაბუკმა ოქრომკერდით ჩახლართული გულის პირი და დაეწაფა ქალწულ მკერდს. მარგალიტად ამომჯდარმა ძუძუმ მიიღო კოცნა მისი, მაგრამ არ ჩაუშვა გულამდინ სიტკბობა. იგი ნაზი მტკიცე დარაჯად დასდგომოდა ქალწულის გულს, უძლეველ მცველად: ახსოვდა კოკობს, რომ სხვისა იყო იგი გული, საწყალი ნომრევეანისა, და ვერვის დაუთმობდა მას, ვერც ძლიერ მეფეს. და ნაცვლად უცვალებელი სიყვარულისა, ნაცვლად მწიკვლთაგან განწმენდილი საიდუმლო კავშირისა, ქალ-ვაჟთ შერჩათ ხელში მხოლოდ სიძვა ხორციელი, ხრწნადი, წარმავალი.

არ იკურთხა მალლით იგი კავშირი უგულო. ზეცით წარმოგზავნილმა ანგელოსმა ღვთაებური ნეკტარით ხელში ვერ მიუპყრა სავსე ფიალა ამ მეფე-დედოფალს. ის დააღონა მათმა ხილვამ და გულნატკენი გავიდა მათ სავანედან. სულაც გასცდა სამეფო სასახლეს, შებრუნდა მსახურთა სადგომებში და ჰპოვა იქ ზეციური მადლის ღირსი ცოლ-ქმარი: შეასვა ნეკტარი ნაკურთხი მარიკას და კოწიას. ამისთვის იყო, რომ ისეც დამტკბარმა კოწიამ ისეთი სიხარული იგრძნო, თავისი თავი მეფე ეგონა, უშრეტ ნეტარების მექონი მეფე! ვინ მოიფიქრებდა მაშინ, რომ მადლმა ღვთისამ შეაერთა საიდუმლო კავშირით ეს ორი საწყალი ადამიანი, ხოლო უარპყო გვირგვინოსან მეუღლეთა ერთობა, რომელი დიდებით აკურთხა ეკლესიამ, რომელს ზეიმით დღესასწაულებდა ერი მრავალი? ხალხს ვერ ძაღედვა დაენახა ეს, რადგან ზეცის კურთხევა საიდუმლოა, მომაკვდავ თვალთაგან უხილავი, გარნა ძლიერი, დაუშლელი, გარდუვალი, სამარადისო. იგი კურთხევა ვერ დაემკვიდრება უღირს ადგილს, სადაც მდაბალ ლტოლვილებას თუ ცივ ანგარიშს შეუძღვრევიან სპეტაკი გრძნობა.

დილის მზის სხივმა რომ შეაშუქა ახალ ცოლ-ქმრის სავანეში და გაანათა მათი სარეცელი, ვაჟკაცს მხოლოდ განაწამები ქალი დაჰხვდა ბალიშზე, მის გრძნობათათვის უკვე უცხო და გარეშე. ძლივს შეიგნო, რომ ამ ქალთან უკვე განუყრელად იყო იგი შეკავშირებული.

- „აწ უკვე რომელნი იგი ღმერთმან შეაუღლა, კაცნი ნუ განაშორებენ!“ - მოაგონდა ჭაბუკს.

და შეებრალა თავისი თავიც, თვით ქალიც, რომელსაც ვერ მიანიჭებდა ბედნიერებას, ვერ წაუმიღვარებდა ცხოვრების გზაზე სიხარულის ლამპარს უქრობელს.

- ვაკ, რომ ლეილ-ყიზი არ არის ეხლა ამის ადგილას! - გაურბინა თავში.

მაგრამ მაშინვე მოაშთო ცოდვილი ჰაზრი: მეფე იყო მორწმუნე და ნაკურთხი გვირგვინის თუნდ ჰაზრში ღალატი ცოდვად მიაჩნდა, სიბოროტედ.

ალბათ მძინარე დედოფალმა იგრძნო მეუღლის მძიმე ფიქრები, რომ შუბლი შეიჭმუხნა, ოდნავ ამოიოხრა და თან შეუგნებლად გაისწორა საკინძე, რომელიც ჩამოსხნილიყო და ნორჩი მკერდი გაეშვიშებინა. ვაჟკაცმა ყური მოჰკრა ამ სულთქმას და შეებრალა თავისი მსხვერპლი, შეეცოდა იგი გულჩვილს. ამ გრძნობამ დაჰხარა იგი ქალისადმი; მოხვია მან ხელი მეუღლეს და აკოცა სპეტაკ შუბლზე თითქმის ცრემლმორეულმა.

აი ამ კაემნის ბურუსი წამოჰყვა ლევანს სამეფო საწოლიდან და აღარ მოჰშორდა მის შუბლს. დიდებულთ კი ეგონათ, მეფის გაუმაძღარი თავმოყვარეობა არისო შელახული ვიღაც შამხალის თავხედობით და ჰსურდათ დაემდაბლებინათ იგი შამხალი მეფის წინაშე, დაესაჯათ. ვერ წარმოედგინათ, რომ მეფეც კაცი იყო, პირადი ცხოვრების მექონი და შესაძლო იყო ამ პირად გრძნობათაგან წარმომდგარიყო მისი კაემანი.

26

იმ წუთს, როდესაც განხორციელებულ სიყვარულად უნდა დაჰსახოდა ლევანს თავისი მეუღლე და საუკეთესო განგრძობად თავის პიროვნებისა, იმან მხოლოდ სიბრალული იგრძნო მისდამი, როგორც უცხო პიროვნებისადმი აწ რომ განისვენებდა მის სარეცელზე. კაცთაგან განზრახ მოწყობილმა გარემოებებმა შეაკვშირეს იგინი, გარნა ვერ შეაერთეს განუყრელად; მისი გული არ ეთანხმებოდა არც გარემოებას, არც სახელმწიფოს საჭიროებას, არც სხვა რაიმე მოსაზრებას.

ქალი გამოაღვიძა ქმრის კოცნამ, გარნა სიამემ არ გაუშუქა თვალები, არც ღიმილი დაესხა ტკბილის სიხარულისა. გაისწორა გადახდილი საბანი, ხელი მიიფარა თვალებზე. სირცხვილით შეწითლებულმა ბალიშ ქვეშ მიმალა თავი. ევა იყო შემცოდე ლეღვის ფოთლით იფარავდა სიშიშვლეს, ვარდის ბუჩქებში ემალებოდა ყოველგან მყოფ მეუფეს, რომელ არს თვით სიყვარული. სცოდა თინათინმა: მიუძღვნა ლევანს ნაყოფი განგებისაგან სხვისთვის დანიშნული, დაარღვია მცნება, ამჯობინა სიყვარულს გარდუვალს დიდება წამიერი, შესწირა მსხვერპლი უსამზღრო ამპარტავნებას, უარჰყო ზეცა, როგორც სატანამ პირველყოფილმა. იმისათვის, ჩამოეცალა მას ნათელი უმანკოებისა, შიშველ იქნა სირცხვილელ.

სატრფოსთან შეერთხორცება მოქმედებდა ნაკურთხი, იგი განხორციელებდა სიყვარულისა, რომელიც ერთად-ერთი უკვდავი ნიჭია სახიერისაგან წყევამოსილ ქვეყანაზე დატოვებული კაცთ სანუგეშოდ, ერთად-ერთი ძალა ადამიანის ცასთან დამაკავშირებელი: მხოლოდ სიყვარულით ძალუმს ადამიანს განიცადოს ამ წუთიერი ცხოვრებაში საუკუნო ნეტარება დაუსრულებელის ცხოვრებისა. წრფელი სიყვარული თვით ნათელია, სხივით შემმოსელი მოტრფიალეთა და მას არ ესაჭიროება არც ფოთოლთაგან შეთხზილი არდაგი, არც ტყავის რამ საფარველ-სათბუნებელი.

სიძვა კი მხოლოდ მიზაძვაა ტრფიალებსა, ეშმაკისაგან მოჩვენებული სახე სიყვარულისა ცოდვიან-სირცხვილუული. ქალმა იმისთვის იგრძნო სირცხვილი ქმართან, რომ ის უცხო იყო მისთვის, რომ ქორწინებას ვერ ექმნა იგინი ერთსულ. ეკლესია მხოლოდ აკურთხებს სიყვარულით ერთქმნილთა კავშირს, გარნა მას არ ძალუმს შეჰქმნას აჩრდილისაგან სიყვარულისა თვით სიყვარული. და დარჩა მეფე-დედოფლის კავშირი უკურთხებელი, ემსგავსებოდა კავშირი იგი სიძვას, იყოცა იგი სიძვა ბიწიერი.

ხალხს კი ნეტარნი ეგონნენ ახლად შეუღლებულნი, ხალხი კი აღტაცებული იყო თვისი რჩეული მეფის ბედნიერებით, ხალხი კი მხიარულობდა გულუბრყვილოდ, გატაცებით, თავდავიწყებით. დიდებულ კავკასიონიდან რომ გადმოდგა მზე ბრწყინვალე და დაესვა თვისი ცხოველმყოფელი სხივი მეფის სასახლეს, ციხე-დარბაზის წინ მდგომ სახლის ბანიდან საარი დაჰკრა რჩეულმა დასტამ. ზეცისაკენ აღმართა საყვირს პირი და აღმადლებინა ხმა თვისი გამჭექარი ღმერთისადმი ბრწყინვალისა, ხოლო გამჭვირვალს ეთერს თრთოლვით აჰქონდა იგი ტკბილი ხმა ზეცად, რომ მიეფინა იგი დილის სამადლობელ გალობად მეუფისადმი მაღლისა.

- „აახ! რად უარჰყავთ დიდებაი უფლისა ებნითა და წინ-წილითა, რად განდევენთ მსახურებიდან ღვთისა მრავალძალი ტკბილხმოვანი? ლოცვა მსუბუქი, გულისთქმა მხურვალე უფრო ადვილად ააქვს ზეცად საკრავთა მწყობრ ხმებს, ვიდრე ფიქრს ფრთანაჰედს. მძიმედ მიმომსვლელს. ცოდვაა ქართველი! იგი ვერ აღმართავს ბრწყინვალე ღვთაებისადმი თვის გულის ნადებს, თუ არ ჩაჰქარგამს მას ზემადლებულ ხმაში მსუბუქ ფრთოვანში. განა ბნელის შვილია ქართველი, ცივის წყვიადის მსახური გულჩათხრობილი, ქვე-ქვე მხედველი! განა მრისხანე ღვთაების წინაშე სდგას იგი შეძრწუნებული!

მთლად გულსავსე ვერ იყო ლევანი ამ წუთს, თორემ ყისმათს მაინც კი ვერ დაემდურებოდა იგი: ბედს თვისი უხვი კალთა ზედ დაებერტყა მისთვის. სამოთხის კუთხის მფლობელი, ახალგაზრდა, ჰკვიანი; ქვეშევრდომთ საყვარელი, აწ ნორჩ მეუღლესთან განცალკევებული; მისი სიხარულით მხიარულნი მისი ერთგულნი აგერ ამამავალ მნათობს შეჰლაღადებდნენ სამადლობელ გალობას. სხვა რაღა უნდა ენატრა ადამიანს? ქვეყანაზედ მეტი ბედნიერება განაღა იქმნებოდა?! და თუ გული მაინც მთლად მაღლიერი არ იყო, თუ იგი ყრუ რამ ტკივილსა გრძნობდა, ეს ალბად მისთვის, რომ კრულია გული კაცისა, ხარბი და გაუძლომელი; მას არავითარი სიკეთე არ აღავსებს პირთამდინ. გავა დრო, მეფე დააფასებს აუარებელ წყალობას, შეიყვარებს მთელის თვისის ძალით ამ ნორჩ ქმნილებას, აწ თვის კანონიერ მეუღლეს განუყრელს, და მაშინ შეიგნებს მისი გული, რომ კმაყოფილი უნდა იყოს იგი და მხიარული.

ამგვარ ფიქრებს ეთამაშებოდა მეფე და თან ნებს დაჰმართებდა ქალს ქოჩორზე, კულულებს ურხევ-უწყობდა. ნელნელა გრძნობაში მოდიოდა ქალი და ვაჟკაცისაკენ მიჰმართამდა თვის სახეს; მთლადაც მიანათა მას სურვილით სამსე თვალეხი და ჩაეკონა. ჩადნა აღზნებულ ალერსში აჩრდილი მათის განცალკევებისა, მთლადაც განქარდა იგი აჩრდილი, როგორც რამ ნისლი მსუბუქი მხურვალე სხივთა წინაშე.

მოშუადღევებული იყო, როდესაც მეფე-დედოფალი გამობრძანდნენ კრებულში. მიქანცულ-მინაზებული ქალი უფრო დამშვენებულიყო. ცოლ-ქმარს თვალეზში შერჩენოდათ სიამის ნასახ-ნაკვალი უკვე შემტკბარიყვნენ. გამოსჭვივოდა ეს მთელ მათ არსებაშიც. ამან უფრო გაახალისა მექორწინენი. გამხიარულდა ხალხი. სუნნელოვან ყვავილად გარდაიფურჩქნა ისეც გატაცებული ქეიფ-ზეიმი.

- ერთობა სულთა?! ვისლა ეცალა სულზედ ფიქრისთვის ამ ხორცთა დღესასწაულში? ვისლა ძალ-ედვა განეზომა უფსკრული გულისა, ან აღერიცხა უხილავი მოძრაობა უნივთო სულისა ამ ნივთიერ სიტკბოებათა ცეკვა-ბრუნვაში?!

27

მეფე რომ უხვად აფრქვევდა წყალობას თვის გარემო, როგორც მზე თვის სხივებს, წარსდგნენ მის წინაშე თუშნიც და მოახსენეს:

- დიდია წყალობა შენი ჩვენზედ, როგორც ჩვენი სიყვარული თქვენდამი. მაგრამ ეხლა, ამ სიხარულის დღეს, ერთს წყალობას კიდევ გთხოვთ.

- რა წყალობას, კაცო?

- იმას, ბატონო, რომ ნება უნდა მოგვცე დიდოეთი დავუმორჩილოთ თქვენს ტახტს. წათამამდნენ, ეს ორჯერ დასცემიან ჩვენს ცხვარს; ბოლოს რომ დაგვეცნენ, ექვსი ტყვე მოგვტაცეს.

- რატომ მაშინვე არ მოგიხსენებიათ ჩემთვის?

- რად შეგაწუხებდით, შენი ჭირიმიე?! ჩვენ თითონ გარდვუხადეთ სამაგიერო: მთელი სოფელი დავწვით და იმდენი ტყვე წამოვსხით, რომ გაცვლისას თითო ჩვენ ტყვეში სამსამი და ოთხოთხი მივეციო.

- ეგ როგორი წესია, ერთ კაცში სამისა და ოთხის მიცემა?!

- თუშის სისხლი და ურჯულოს სისხლი ერთგვარად არ დაფასდება, შენი ჭირიმიე.

მეფემ გაუღიმა თუშთ და აღუთქვა ამ საქმის მოფიქრება და გაბჭობა. ამ დროს იქვე იდგა ლევან ანდრონიკაშვილი, ქიზიყის მოურავი და სარდალი. ამ ხმლის კაცს სრულებითაც ჭკვაში არ მოსდიოდა, მეფის ქორწილი რომ ასე წყნარად მიმდინარეობდა და არავითარი საგმირო საქმით არ გვირგვინდებოდა. კახთ მოინდომეს საშამხლოს დარბევა, მაგრამ ნება არ მისცა ვეზირმა, მეფეს ეწყინებო. რევაზმა შეატყო ეხლა, რომ თუშთა თხოვნა მოეწონა მეფეს, და დაასკვნა თავისით მოეყვანა ეს საქმე სისრულეში.

- დედოფალს პირის სანახავად მივართმევ დამორჩილებულ დიდოეთს! - სთქვა მან გულში და დაეთხოვა მეფეს: სანადიროდ წასვლა მოიმიზეზა. გაემართა თავისი ლაშქრით. მსწრაფლ გაჩნდა თუშეთში, შეაგროვა მებრძოლნი. გაზაფხულის ნიაღვარივით შეესია დიდოეთს და მანამ იქაურმა ნაიბმა მოიაზრა რამე, უკვე ტყვედა

ჰყვანდა იგი ხელში ლევანს. ჯერ ქორწილის ხალხი მთლადაც არ იყო გაკრეფილი გრემიდან, ჯერ დედოფლის მაცრები არ წასულიყვნენ სასახლიდან, როცა მხარშეკრული ნაიბი დატყვევებული დიდოელნი და დიდი დავლა მოუძღვნა ანდრონიკაშვილმა გაკვირვებულ მეფეს.

- ლევან! ეს კარგი, მაგრამ ჩემი ბრძანება?

- შენი ბრძანება, დიდებულო ხელმწიფევ, შენს და დედოფლის თვალებში ამოვიკითხე, როცა თუშნი მოგახსენებდნენ თავიანთ გასაჭირს.

- კარგი ყმა ბატონის სურვილს მის სახეზე უნდა კითხულობდეს! - წარსთქვა ალავერდელმა.

- გამარჯვებულნი გამართლებულნი არიან! - დასძინა სახლთხუცესმა.

მეფემ აყვედრა სარდალს ურჩობა, გარნა მოუწონა მხნეობა და მოხერხება. იკითხა დიდი ზარალი ხომ არ მოუვიდაო ლაშქარს. თავის საკუთარს დოსტაქარს უბრძანა გაესინჯა სარდლის ჭრილობა: წაქნეული შუბის წვერი ასხლეტოდა ფარს და მარცხენა მხარში დაეკოდნა ვაჟკაცი.

თინათინს ძლიერ გაეხარდა ეს საგმირო ამბავი: მისი დედოფლობა სამეფოს წარმატებით იწყებოდა და ეს ხომ ერთი ნაბიჯი იყო, პირველი მარჯვე ნაბიჯი იმ ბრწყინვალე მიზნისადმი, რომელი დაისახა ქალმა, რომელს შესწირა მან თვისი გულის ყვავილი. დაუტკბა დედოფალი თავისნება სარდალს, მოუალერსა მას მადლიერის თვალით.

შორს გამჭვრეტელმა მეფემ ძალიან იაფად დაუსვა დამარცხებულთ წაგებული ბრძოლა: გაანთავისუფლა ნაიბი, თავისივე ხელით დაუბრუნა ხმალი, საპატოო ადგილი შესთავაზა თვის ახლო. გაანთავისუფლა ტყვეებიც. დავლა კი აღარ დაუბრუნა: წესით, დავლის ნაწილი გამარჯვებულისა იყო, ხოლო სხვა ნაწილი მეფის ხაზინას და სამეფო ქონებას უნდა შესძენოდა. ესეთი კანონი იყო და მეფემ არ ინება კანონის დარღვევა. ბოლოს იქამდის მოწყალე შეიქმნა გული მეფისა, რომ ისევ დაუბრუნა ძლეულს თვისი საბატონო. მხოლოდ დიდოეთის ერთი კუთხე, რომელზედაც დაუსრულებელი დავა ჰქონდათ თუშებსა და დიდოელთ, შეუერთა თუშებს და ბრძანა აეგოთ იქ კოშკი დარაჯად ამ მიკერძებულის ადგილისა. მეფემ მძევლად ჩამოართვა ნაიბს მისი უფროსი ვაჟი ჯემალ-მაჰმადი, რომელიც ამიერიდან ლევანის კარს იმყოფებოდა.

კოშკი „თუშთა“ ციცაბოზეა აგებული, დელის თავში, რომელზედაც გადადის გზა. ბოლომდის თუშების რაზმი იდგა ამ ციხეში.

მიიღო ცხოვრებამ ჩვეულებრივი ხასიათი, ჩადგა იგი თავის კალაპოტში და მიიგრანებოდა განგებისაგან დასახულ უცვალებელ გზით. მეფე გართული იყო სამეფოს ყოველდღიური მართვა-გამგეობაში.

დროთა მსვლელობაში თანდათან იცვალა მეფის ხასიათი: დაჰკარგა გულუბრყვილობა, მის თვალებში აღარ ციაგობდა გამჭვირვალე ნათელი, რომელი

ყველასათვის ცხადად ჰყოფდა მის პიროვნებას; ვედარ ეძლეოდა თავდავიწყებულს მხიარულებას; რაღაცა აფიქრებდა მას მარად; ზრუნვა რამ ძნელი სდევდა მას განუყრელად.

- გამოიცვალა ჩვენი მეფე, გულჩათხრობილი შეიქნა.

- დაცოლშვილიანდა, დავაჟკაცდა, სულ ხომ ერთს ხასიათზე არ იქნებოდა ადამიანი.

- თითქოს რამე აწუხებს ვაჟკაცს, თითქოს რაღაცა პირად კაემანს შეუპყრიაო. ხანდისხან ლხინის დროსაც კი უეცრად ჩაფიქრდება და სისასტიკის ნაპერწკალი გამოკრთება მის თვალებში.

- რა აქვს პირადი საზრუნველი ყოველმხრივ იღბლიანს?! სახელმწიფო საქმით არის გატაცებული: ხალხის დიდება და კეთილდღეობა აქვს დასახული და იგი ზრუნვა არ ჰმორდება მის შუბლს.

- ხომ აგრე ამბობ და დედოფლის სახეზედაც არაერთხელ შეუნიშნავთ უკმაყოფილება. დიდად თავაზიანი და ზრდილი ბრძანდება დედოფალი, მაგრამ ხანდისხან თითქმის უმიზეზოდ მრისხანებს ზოგჯერ კიდევ მოეშვება, არავითარ ყურადღებას არ აქცევს არავის, თითქოს მას არაფერი შეეხებაო, არც არაფერზე მისწევსო გული, - ლაპარაკობდენ მანდილოსნები.

- არა მგონია ეგრე იყოს! დაახლოვებული ვარ ბატონებთან და დაჭეშმარიტებით შემიძლიან ვთქა, რომ დედოფალი დიდ ყურადღებას აქცევს სახელმწიფოს მართვა-გამგეობას თუ მის ბედ-იღბალს. ყველაფერი დაწვრილებით იცის, რაც კი ჰხდება მის გარშემო. არკი გეგონოთ, ახალგაზრდაა და მხოლოდ კეკლუცობაზე თუ გამოჩინებაზე აქვსო ყურადღება მიქცეული.

- დედოფალი ქალია დიდის გურიელისა, რომელსაც ვერავინ შეედრება ეხლა სახელმწიფოს მართვაში და საკვირველი არ არის მაგასაც დაჰყოლოდეს სამეფოს განგების ნიჭი.

- შესაძლებელია! მაგრამ, ამბობენ, ხანდისხან უცნაურად დაღონდება და კაემნის რიდეს მოიხვევსო ნათელ სახეზე.

- ნეტა თუ რა აქვს მაგ დალოცვილს დასაღონებელი?! ხელმწიფე ქმარი, ოქროს ქოჩრიანი ვაჟი, მთელი სამეფო მის ფიანდაზად გაშლილი.

- ღრმა არის მიუწდომელი გული მეფეთა: განგების განმახორციელებელნი არიან იგი ამ ქვეყნად, ხოლო საიდუმლოა ნება უფლისა და განუჭვრეტელი! - ჩამოართვა სიტყვა მოძღვარმა თეოფილემ.

დასაღონებელი არა ჰქონდარა მეფეს, მაგრამ გულსავსე კი არ იყო იგი. ბედის მთლად უკმაყოფილი; მისთვის ყოველმხრივ საოცნებოდ მოწყობილ ცხოვრებაში მისი

გული მაინც ოზლად გრძნობდ თავს: სიხარულის მომცემი ტრფობა თავის ნებით უარყო და იმისთვის დაჰხშოდა უჩრდილო სინათლის კარი. ალბად ჰგონებდა ნამდვილს სიხარულს ჰპოვებდა იგი სიყვარულის გარეშე, ჰგონებდა ქვეყნიურ სხვა კეთილთაგან მის გამოწურვას. ჰსცდებოდა! კეთილთა სიუხვეს შეუძლიან ხელი შეუწყოს ტრფიალების გადაფურჩქნას, გარნა იგი ვერ დაენაცვლება თვით ტრფიალებას, ვერ გამოსცეს მისებურ სიხარულს.

აკი გითხარით, ტრფიალება სხვა ნიჭია მეთქი, თავისებური იშვიათი, განუმეორებელი. ნუ კი გაჰრევთ ერთმანეთში სიყვარულსა და სხვა გრძნობებს, თუნდ ნათელ გრძნობებს!

დიდებული ცოლ-ქმარი მოღალატენი იყვნენ ამ ზეგარდმო გრძნობისა, თავის ნებით უარყოფელნი და ეხლა მათ გრძნობათა წარსადინელი სულ სხვადასხვა მხრისკენ იყო მიმართული. ორივეს ერთმანეთის გარეშე ეხილნათ ტრფობა. ერთმანეთის გარეშე განეცადათ მისი სიტკბოება და ვეღარ შეიძლებოდა მათგან მისი დავიწყება. ვერც ქალმა და ვერც კაცმა ვერ ამოფხვრეს გულიდან დაკარგული სამოთხის ხატები, იგი თვალწინ ედგათ მაშინაც, როდესაც ალერსის ნაყოფმა, ახალმა არსებამ, ორივენი ხორციელად შეაკავშირა განუყრელად. ხომ ორივეს ბუნება პაწაწა სანდროში ერთად იყო განხორციელებული, მაგრამ თინათინი მხოლოდ მაშინ იქნებოდა შვილით ბედნიერი თუ მასში მასთან ერთად განხორციელებულიყო ნოშრევანი, ხოლო ლევანი სრულ სიხარულს მარტო მაშინ იგრძნობდა, როცა თავის ვაჟში დაინახავდა ლეილ-ყიზის თვალთა კრთომას და მომხიბლელ ღიმილს. აი ამ დაკარგული ნეტარების აჩრდილი იყო, მუდამ რომ თავს დასტრიალებდა მათ სარეცელსაც, მათ მემკვიდრის მორთულ აკვანსაც! ესევე ჩრდილი გამოჰკრთოდა მარად მათს თვალეებში.

სამეფო საქმეები კი მწყობრად მიმდინარეობდნენ და მიჰყვანდათ ლევან მეფე წინად-განზრახულ და ნაოცნებ დიდებისაკენ.

ამ დროს გადიხადა ლევანმა ბრწყინვალე ომი შირვანისა. ლევანს ფიქრდაც არა ჰქონდა შაჰი-შირვანისკენ მიემართა თვისი მახვილი. მას ჰსურდა ქართლის მხარეს გაეფართოვებინა თვისი სამეფო. შეიძლებოდა ისე მოეხერხებინა ეს, რომ არამც თუ არ ეწყენინებინა ქართლის მეფე ლუარსაბისათვის, კიდევ ეამებინა მისთვის.

ტფილისი ისევ სპარსთ ეჭირათ. ნარიყალაშიც, მეტეხშიც შაჰ-თამაზის ლაშქარი იდგა. ციხეები ძალიანა ჰქონდათ გამაგრებული; იარაღით და სურსათით სავსე. შაჰის მოადგილეს იბრაგიმს თვის ბინად შაჰინ-ტახტი აერჩია ნარიყალაში. სპარსთა ლაშქარი დღე-ღამე იარაღში იჯდა, რადგან ქალაქს ვერ ენდობოდნენ; მეფე ლუარსაბს დიდმის ვიწროები შეეკრა და განუწყვეტელი ურთიერთობა ჰქონდა მოქალაქეებთან; დღე-დღეზე ელოდნენ მეფის შესვლას ტფილისში. მტკვრის მარცხენა მხარე კი ჯერ ისევ მტრის ხელში იყო, საგურამო და ერწო-თიანეთი სათარეშოდ გაეხადნათ სპარსთ. საბარათიანოც ბედენის კალთებამდის სპარსთ ეჭირათ; ძალიან უფრთხილდებოდნენ ამ მხარეს, რადგან ეს იყო მათი გზა სპარსეთისკენ. ამ გზის იმედი და ბურჯი სამშვილდე იყო, სადაც დიდი რაზმი ჩაეყენებინა მტერს. ლევან მეფეს უკვე ეჭირა ფშავ-ხევსურეთი და ეხლა

მოხერხებული დრო იყო განედევნა სპარსნი ერწო-თიანეთიდან და საგურამოდან შეერთებინა ეს მხარეც თავის სახელმწიფოსათვის.

ლევან მეფემ აცნობა ლუარსაბს, რომ ის აპირებდა განედევნა სპარსნი მტკვრის მარჯვნივ ადგილებიდან და აქედან შეევიწროებინა ისინი. ლუარსაბს მოსწონებოდა ეს ჰაზრი, შემოეთვალნა, მოეხერხებინა და თავის ლაშქრით გამაგრებულიყო მცხეთის დასწვრივ, რომ მეზრდოლ რაზმებს გაღმა-გამოდმიდან ხელი მიეცათ ერთმანეთისათვის და მოესპოთ სპარსთათვის სანოვავის შეტანა აქეთ მხრიდან. ლუარსაბი სწერდა ლევანს, რომ მარჯვე დრო იყო გაენთავისუფლებინათ ტფილისიც, მთლად საქართველოც უსჯულოთაგან. მართლა და მოხერხებული დრო იყო: ტფილისის ემირი სპარსეთიდან ვერაფერ შველას ვერ მიიღებდა, რადგან შაჰ-თამაზი მაშინ მესოპოტამიაში იბრძოდა, სადაც ტახტის მოცილე გამოსჩენოდა მას და მთელი სამხრეთი სპარსეთი აეჯანყებინა.

ლევან მეფეს ბრძანება უკვე ჰქონდა გაცემული ლაშქრის შეკრების შესახებ, როდესაც მოვიდა ქიზიყის მოურავის ანდრონიკაშვილის წერილი. იწერებოდა: „შირვანელნი შემოგვესივნენ, აიკლეს გაღმა სოფლები. დავედევნე, მივწვდი, დავლა დავაყრევი, ტყვეები წამოვასხი, მითხრეს, შაქი-შირვანის მპყრობელი ასან-ბეგი მთელის თავის ლაშქრით იძვრისო კახეთისკენ“.

ცნობის მიღებისთანავე ლევანმა დაგზავნა შათირები თავის საბრძანებლის ყველა კუთხეებში ჯარის ასაჩქარებლად. მსწრაფლ შეგროვდა ლაშქარი და გაჩნდა ქიზიყში, სახუმრო ომი არ იყო: ასან-ბეგი თითონაც მდიდარი იყო კაცით და ადარბადაგანიდანაც მოუყვანა მაშველი ჯარი. მაგრამ ვერაფერი სარდალი გამოდგა ასან-ბეგი, უბრალო ხერხით იძლია: მეფემ წინ წასწია მხოლოდ ქიზიყის დროშა, უმთავრესი თვისი ლაშქარი კი უკან დააყენა ფარულად. ასან-ბეგმა რომ გადმოლახა ქიზიყის სამზღვრები და შეხვდა ჯარს, ემცრო იგი, ეგონა მეფეს ვერ მოუსწვრიაო მოშველება და მსწრაფლ წამოვიდა წინ, რომ ნაწილ-ნაწილ გაენადგურებინა ლევანის ლაშქარი. ანდრონიკაშვილი განზრახ ილტვოდა მის წინაშე. მტერი სდევდა მას, წააწყდა ჩასაფრებულ ლაშქარს და დაიღუპა: იმდენი ტყვე დარჩათ კახელებს, რომ ვაჟკაცი ათ მარჩილად იყიდებოდა. თითონ ასან-ბეგი სასიკვდილოდ დაჭრილი გაიტაცეს ლტოლვილ შირვანელთ გარდაიცვალა ასან-ბეგი და დაჯდა ბატონად შვილი მისი დერვიშ-მაჰმადი.

ამ ომმა ბევრი შესძინა მეფეს: ჯერ ორი ათასი ქართული თუმანი გარდიხადა შირვან-შაჰმა და აღუთქვა ლევანს ყოველ-წლიური ხარჯი ათას-ათასი თუმანი; გარდა ამისა, პირობის ძალით დერვიშ-მაჰმადს უნდა მიეშველებინა მეფის პირველსავე მოთხოვნილებაზე ხუთასი მხედარი იარაღით თუ სურსათით მოწყობილი; თავისი თავი აღიარა ლევანის მორჩილად. ლევანმა მძევლები ჩამოართვა მას. საქმის ერთი დაბოლოვება მაინც ხელსაყრელი იყო შირვანის მფლობელისათვის: ომში მთლად გაუწყდა მას ლაშქარი და ლევანს შეეძლო, სრულიადაც მოესპო შირვანის ცალკე არსებობა, შეერთებინა იგი თავის სამფლობელოსათვის.

ომგარდახდილი ლაშქარი ალაზნის გამოღმა დაბინავდა, ქიზიყის ბოლოს. აქ აწყდება გომბორის კალთები, ალაზანი უხვევს მთის ბოლოებს, რომ შეიერთოს იორი და მასთან ჩახვეული ჩაეშვას მტკვარში. მისახვევებში ნელ-ნელა მიდის მდინარე, ადგილ-ადგილ ტბორდება, მორევად ეხვევა, ღრმავდება, ფართოვდება: შორიდანა ჰხედავს იგი თავისი ჩანმთქმულ მტკვარს, ლურჯად რომ მიეფინება დაუნდობელი და ფეხს აწყობს, ნელად მიემართება წინ, რომ განიგრძოს სიცოცხლის ჟამი. რამდენსამე ადგილს კიდევ სცდილობს პირდაპირ აღმოსავლეთისკენ გაარღვიოს ხევი და გზა აუქციოს მტკვარს. ამაოდ! მკვიდრად სდგანან ნაპარები და მიაქცევენ ურჩს იქით, სადა არა უნდის მიმართვა: განგებისაგან არიან დამყარებულნი და განახორციელებენ ნებას ყოვლად ძლიერისას. იმ ადგილას ჭალა ყველგან ზედ არ იყო მიჯრილი ალაზანზე, ადგილ-ადგილ მდინარის პირს ველები ჩასდევდნენ, რომელნიც ირწყვებოდნენ მთიდან ნაჟურ წყაროებით. აქ დაჰკრეს კარვები: შეისვენეს, ანგარიში მისცეს თავის-თავს, ზარალი თუ მოგება გაითვალისწინეს.

დიდი ზარალი ვერ მიეცა ქართველთათვის ამ უეცარ გამარჯვებას. ბევრ გმირს ეჩინა თავი ამ ნიაღვარივით გავლილ თავდასხმაში. ბევრი ვაჟკაცი დააჯილდოვა მეფემ. წარგზავნა მსწრაფლ მსრბოლნი სასახლეში ამბის საცნობელად. გარეშეთაგანს თავი ესახელებინა ჯემილ-მაჰმადსაც, დიდოეთის ნაიბის მემკვიდრეს, სულ ოთხასი კაცი გამოეგზავნა ნაიბს, მაგრამ რჩეულნი და კარგად შეიარაღებულნი. ჯემილ-მაჰმადს მხარილლივ გაეკვეთა ასან-ბეგის მეორე ვაჟი უსეინი, კარავი აეკლო და ტყვედ დარჩენოდა მისი მშვენიერი მხევალიც. ბევრ სხვასაც ემოვნა განძეულობა და მხევალნი შირვანის დარბევის დროს. მეფეს რომ მოახსენეს ჯემილის მხევლის ქება, ბრძანა:

- მაინც შეუძლებელია სჯობდეს დედოფლის მხევალს გულქანს.

- მართალსა ბრძანებ! რაზედ ყურს მოსჭრიდა მას ბატონი გურიელი და დაასახიჩრებდა იმ მშვენებას. თურმე დედოფალმა გადაარჩინა იგი.

- ყურზე მაინც ეტყობა სრე, რომელიც ტყვეობის ნიშნად ხანჯლით შემოუვლია მის კარს ზრდილს ნოშრევანს.

- მაჰმად! ყური ხომ არ მოათალე შენს მხევალს? აბა მიჩვენე!

- არა, ბატონო! მაგრამ მეც ეხლავ შემოვსერამ ყურს, რომ ჩემს ლეილ-ყიზისაც ისეთივე მხევალი ჰყვანდეს, როგორც დედოფალ თინათინს, - სთქვა ჯემილ-მაჰმადმა და ბრძანა ქალის შემოყვანა.

- მაჰმად, მეტიმეტი ხასობაა შენის მხრივ, რომ გსურს შენი ცოლი დიდ დედოფალს დაადარო, - სთქვა გულმოსულმა ვამეყმა და სახე აენტო.

- არა! მე მსურს ჩემი ცოლი ჰხადავდეს დიდ დედოფალს, რომ მის აჩრდილს მაინც ემსგავსოს.

ეს ვამეყი თანაზრდილი იყო მეფე ლევანისა, მისი თაყვანისმცემელი და მესაიდუმლოვე. მეფე გვერდიდან არ იშორებდა მას. ომში თუ ნადირობაში თან დასდევდა მეფეს, მის კარვის კარს ეძინა. თავის ნებით ეტვირთნა მისი დარაჯობა და

მისი უკიდურეს სურვილებს აღსრულება. ამბობდნენ, მეფის ძმა არის ხარჭასაგან ნაშობი.საშინელი ანჯახი იყო, ჭირვეული, მოსისხლე. ყველა უფრთხილდებოდა მას. ჯემილ-მაჰმადიც იმისთვის აერიდა მასთან შეკამათებას, თორემ კი ეწყინა მისი სიტყვები. მეფემ სრულებით არ მიაქცია ამ ამბავს ყურადღება: მთელი მისი ჰაზრი მიიპყრო სახელმა „ლეილ-ყიზი“ თვალწინ სისხლის ასობით აღებუქდა მას იგი სახელი.

- რაო, ბიჭო, ლეილ-ყიზიო?

- დიად, შენი ჭირიმე! ყოდორის შამხლის ქალი ლეილა: კაცები გავუზავნე, მაგრამ ჯერ სწორე პასუხი არ მომიტანეს: მგლოვიარე არისო.

- ვისა ჰგლოვობსო? - კიდევ შეეკითხა აღელვებული მეფე.

- რა მოგახსენო, ბატონო! მგლოვიარესავით არისო: ყაწიმებით მორთულ გულისპირზე შავი ქსოვილი გადაუკრამსო, სამკაული მოუხსნიაო, განცალკევებულაო.

- რა უშავს! შენისთანა ჭაბუკი მალე დაავიწყებს მას სიმძიმის, - ჩამოართვა სიტყვა სხვამ.

- რომ არ წამოგყვეს ქალი? - შეეკითხა ვამეყი.

- წამომყვება! თუ არა და ძალით წამოვიყვან, - სთქვა ჯემილ-მაჰმადმა და ხანჯლის ტარზედ დაიდვა ხელი.

მეფემ შეხედა ჭაბუკს და მის თვალეში გაიელვა ბოროტმა ცეცხლმა, თუმცა ერთს წუთს, მხოლოდ ერთ წამს. ლევანმა მსწრაფლ ჩააქრო იგი ცეცხლი და სხვა საგანზედ გადიტანა საუბარი. ვამეყმა მაინც შენიშნა ეს და თვალი თვალში გაუყარა მეფეს.

შემოიყვანეს ჯემილის მხევალი. ჩადრში იყო გახვეული. ჩაჰკრეს ჩადრს ხელი და იატაკზე გაიშალა იგი: ესე სინჯავდნენ გასასყიდათ გამოყვანილ მხეველებს. აახ! გაისმა აქათ-იქიდან. ქალმა ხელები მიიფარა სახეზე. უნაკლო მშვენება იყო, ვერ ედარებოდა, ნაქვითით სრულს გულქანს, მაგრამ ვერც დასჩრდილამდა იგი იმას. მაინც შეუძლებელია მშვენიერმა მთლად ჩაჩრდილოს სხვა მშვენიერი: მოფიქრებული ბუნება ერთს რომელსამე კეკლუცში მთლად როდი განახორციელებს უცვალეხელ სიტურფეს, არამედ საცნაურჰყოფს მხოლოდ რომელსამე მის დარგს. უცვალეხელი მშვენება გაფანტულია ქვეყნად და ნაწილ-ნაწილ განახორციელებენ მას ტურფანი. რადა? რა ვიცი! იქნება მისთვის, რომ გარშემოწერილ ნივთიერებას ცვალეხადს და უხანოს ვერ ძალუმს დაიტოს მშვენება დაუტევარი, უსამზღრო, უკვდავი.

ანიშნა მეფემ გაეყვანათ ქალი. გამოცდილ თვალის მექონმა მეფემ იცოდა ამისთანა შემთხვევაში ერთი-ორი სიტყვით მკაფიოდ დახასიათება ქალისა, მაგრამ ეხლა ისე შეხედა ტურფას, თითქოს ხეს უყურებსო. მაინც ვერავის და ველარაფერს ჰხედავდა ეხლა მეფე: მას სხვა სურათი დაჰსახოდა და გაეტაცნა მისი სული შორს, ლაჟვარდ მხარეს, საოცნებო სახის სამზერლად.

საარაკო ზეიმი გაიმართა. ყველაფერი ხელს უწყობდა ქეიფს: ულავი სანოვანე, ნახირებად და გორებად მდგარი ნადავლი, სხვადასხვა გვარი თევზი, კახურის ციმციმი ძვირფას სასმისებში, ტყვედ ჩაცვივნილი მშვენიერი, კარგ გუნებაზედ მდგარნი გამარჯვებულნი, გამჭვირვალე ჰაერი მოკაზმულ ბუნების კალთაზედ. დაუვიწყარი ღვინო იხილეს მაშინ ალაზნის ნაპირებმა. მეფეც მხიარულობდა: უალერსებდა, აქებდა, აქეზებდა; ძალიან დაუტკბა ჯემილ-მაჰმადს: შეაქო მისი სიმამაცე და გამჭირახობა, უბოძა სახსოვარი, აღუთქვა სიკეთე. მეფის წილ დავლაში ქალის სარტყელი მოჰყოლოდა მოოჭვილი, დედოფლის საფერი.

- აჰა, ეს სარტყელი ლეილ-ყიზის გაუგზავნე: დაჰშვენდება, უამება, კეთილის თვალთ შემოგხედამს, - უბრძანა ჯემილს მეფემ და მიუბრუნდა მოლარეთ-უხუცესს.

- მსურს ჩემი მეგობარ შამხალს განვუზიარო ჩემი მხიარულობა. აარჩიე დავლიდან მისი შესაფერი ზღვენი, გაუგზავნე და ამცნე კიდევ ჩვენი გამარჯვების ამბავი.

ჯემილ-მაჰმადს ძალიან უამა მეფის წყალობა მისგან არჩეული ქალისადმი და მადლობის ნიშნად მუხლზე აკოცა მას. მეფემ დახედა მის წინ დახრილ ჭაბუკს და ერთს წამს ტუჩნი გაუპო გესლიანმა ღიმილმა, ხოლო მის თვალთ დააკვესეს იგივე ცეცხლი დამწველი. ეხლა კი სხვებმაც შენიშნეს ეს ბოროტი ნაპერწკალი და შეკრთნენ, ხოლო ვამეყმა ულვაშზე გადისვა ხელი და შორს გაიხედა, სივრცეს გაუმტერა თვალი.

30

- მაინც ვერაფერი გამიგია! გამარჯვება მოგცა ღმერთმა, თავზარდაცემული შირვან-შაჰი ილტვოდა შენ წინაშე და დაილუპა, მისი სატახტო ქალაქის კარი განხმულ იყო შენთვის, შენ კი სულგრძელობა იხმარე და მის შვილს დარვიშ-მაჰმადს უბოძე შაქი-შირვანის ბატონობა. მამაჩემი ეგრე არ მოიქცევოდა. ვისაც თავი ბაგრატიონთა გვირგვინის ღირსად მიაჩნია და ჰსურს შეაერთოს მთელი საქართველო, იგი სხვანაირად უნდა მოქმედებდეს.

- მაშ როგორ უნდა მოვქცეულიყავი?

- დატყვევებული უნდა მოგეყვანა დერვიშ-მაჰმად, შირვანი განუყოფელად უნდა შემოგეერთებინა ჩვენ სახელმწიფოსთვის, ჩვენი მეციხოვნენი უნდა ჩაგეყენებინა მათ ციხეებში, ჯარი უნდა შეგეკრიბა და თან წამოგეყვანა, რომ მეომრები მოგეკლო ქვეყნისათვის და ტფილისის აღების დროსაც მეტი ლაშქარი გყოლიყო, სინამ მეფე ლუარსაბს. მაშინ უფრო ადვილად დასდგამდი ტფილისში შენს სამეფო ტახტს. გრემი სატახტო ქალაქად შეჰშვენის მხოლოდ მეფის ქვეშევრდომს მთავარს ვისმე.

- მე კი მგონია, რომ სწორედ ისე უნდა მოვქცეულიყავი, როგორც მოვიქეცე: შირვან-შაჰს ზურგთ უკან ყვინი უდგა: იგი ომშია ეხლა გართული, მაგრამ გაიმარჯვებს და მოიცლის მოსაშველებლად არ დასთმობს იგი შირვანის მოსპობას,

ეხლა კი შაქი-შირვანი მაინც ჩემია, აჩრდილი აქვს მას შერჩენილი წინანდელის სახისა. დერვიშ-მაჰმად დაშინებულია და მისი ამანათებიც ხელში მყვანან.

- რომლებიც დღეს თუ ხვალ გაიქცევიან ან შენ თითონ გაანთავისუფლებ, ლმობიერო, - მიუგო დედოფალმა.

და პირი შეაქცია ქმარს, რომელიც ახალუხ გახსნილი ბოლთასა სცემდა ოთახში. შედგა კაცი და დაკვირვებით დაუწყო მზერა თავის ცოლს. შვილოსნობის შემდეგ იგი გახდა, სახე გაუშრა, აგერ ცხვირი კეხივით მოუჩანდა; თმა შეუთხელდა; წყალმა უხამა; მისი ტანი ისეც ვერ იყო ძლიერ ვნებათა აღმგზნები და ეხლა უფრო ცივად მოსჩანდა. რომ შეადარა შირვანელ მშვენიერთ, რომლებიც მიართვეს მას მხეველბად, ვერ იგრძნო კმაყოფილება, როგორც მეუღლემ. მაგრამ მისი ცოლი იყო იგი, მეუღლე კანონიერი, ქალი ჯერეთ ნორჩი, ტანთ აგერ ნახევრად გაცრცვილი, აწ მასთან განცალკევებული, და მოუნდა ვაჟკაცს მისი ალერსი.

- კარგი, გენაცვა, რა დროს სახელმწიფო საქმეებზედ ლაპარაკია, - უთხრა ქმარმა.

და გადმოხარა თავისკენ, რომ დაეკოცნა ტუჩებში, მაგრამ ქალმა პირი აარიდა და ლოყაზედ მოჰხვდა კოცნა. ცივი ეჩვენა იგი განუზიარებელი კოცნა. მთელი ღამე გრილად გაატარა ცოლთან სარეცელში: . იგი სიყვარულას დასკვნას ესწრაფებოდა, ტკბილ დასკვნას მგზნებარეს, ქალი არ ეკონებოდა, გარეწრობდა, ალერსს უძვირებდა, თვისსაც მისწრაფებას არ შეუდუღებდა, და სიო გრილი არ სცილდებოდა მათ სარეცელს, ტრფობის მწვავე სხივი ვერ დაჰნათოდა მათ, რომ შეედნო იგი ერთმანეთისთვის. ვერ ჩასწდომოდა ცოლ-ქმარი დავიწყების უფსკრულს, რომლის ძირში მხოლოდ შეიძლება დაუვიწყარი სიტკბოების გემება: მარტო იქ, დავიწყების ფსკერზე, სდგას ღვთაებური ნექტარით სავსე ფიალა.

მეორე დღეს ლევანი მოქანცულობას გრძნობდა ხორციელს, სული კი არა ჰქონდა დაკმაყოფილებული, გული კი ისევ სიყვარულისაკენ მიისწრაფოდა, ისევ იტანჯებოდა გამოუსახავი თუ განუხორციელებელი ტრფობით, ისევ ეძებდა ტოლს თანამგრძნობს, რომ აღევსო იგი სავსებისაგან თვისისა. თინათინის გული არ იყო ესეთი იგი მხოლოდ დედოფლის გული იყო ცივი, ამაყი, მედიდურად კარდახშილი და არა გული მდედრი, ლმობიერ-სუნნელოვანი, ყვავილად გარდაშლილ-გარდაფურჩქენილი, ეშხის ღვერფლში შემხვევ-შემწველი.

იყო დედოფლის გულშიც ნაზ გრძნობათა საუნჯე ფასდაუდებელი, როგორ არა! გარნა იმ სალაროს გასაღები სხვის ხელში იყო, ქალისგან განწირულ ნომრევანის ხელში. დედოფალი თითონაც კარგადა ჰხედავდა, რომ ქმარს მხოლოდ გარეგნობით ეზიარებოდა და რამდენჯერმე სცადა მისტკბობოდა წრფელად, მიალერსებოდა, მაგრამ იგი შეტკბობა მაინც მხოლოდ სახე იყო საიდუმლო ერთობისა. მისი აჩრდილი მხოლოდ თაღლითი, მიბაძვა იშვიათის მარგალიტისა. ჰხედავდა ამას ქალი და ეზრდებოდა გულში უკმაყოფილება თავისთავისადმიც, ქმრისადმიც. ადგა ლევან, ჩაიცვა. წამოიწია დედოფალმა თავი ბალიშიდან, აიღო ლითონის რამ გულა და გადისროლა ვერცხლის ბადიაში, რომელიც იქვე იდგა ლითონის მაგიდაზედ, გაისმა

მაღალი წკრიალი. აიხადა მძიმე ფარდა და დედოფლის წინ წარსდგა მისი საყვარელი გუქა.

კეთილ ცხოვრებას და სათუთ მოვლას გაეზადრა მშვენიერთა ხელმწიფე ლბილი კაბა მკაფიოდ ჰხატავდა მისი ტანის უნაკლულო ნაქეთებს მტკიცედ ნაქანდაკებ მკლავს, ხორციტ შემსებულს. დაემშვენებინა ოქროს სამკლავე ლალის აბზინდით შეკრული, ერთადერთი სამკაული მხეველისა. გუქამ მოიდრიკა მუხლი დედოფლის სარეცელთან და ემთხვია მის გადმოწვდილ ხელს. მერმე მოდრკა მეფის წინ და მუხლთ ეამბორა მას. ლევანმა დახედა მხეველს და მოუთმენლად მოუნდა შეჰხებოდა მხეველის ლამაზ თავს ყურჭის თმით დატვირთულს, მაგრამ, ვერ გაბედა ცოლის შიშით. მხევალი გაჩერდა დედოფლის სარკმელთან ქანდაკებასავით უსიტყვოდ.

- სანდრო შემოიყვანოს ძიძამ. თუ ჰღვიძამს ბაღლს!

გუქამ მდაბლად დაუკრა თავი და მიეფარა. ლევანმა გააყოლა მას თვალი და უნებლიეთ ამოიოხრა.

ესე გულგრილად შეჰხვდებოდნენ ხოლმე ერთმანეთს ეს დიდებული ცოლქმარი და ყოველივე მათი ცდა, რომ მთლად დაახლოვებოდნენ ერთმანეთს, ამაო იყო თუ უშედეგო. შეუძლებელიც იყო, მათი გული მათვე არ ეკუთვნოდა და ვერც მიუძღვნიდნენ ერთმანეთს. ესე იყო მათ კერძო ცხოვრებაში, თორემ ქვეშევრდომთა წინაშე მეფენი იყვნენ მეფურად ზრდილნი და არ იმჩნევდნენ არავითარ უკმაყოფილებას. დარბაზში ნამდვილ ერთნიც იყვნენ იგინი, ერთისა და იმავე ჰაზრით გამსჭვალულნი: ორნივენი ოცნებობდნენ ბაგრატიდთა გვირგვინზე, რომელიც იყო ნიშანი მთელის საქართველოს ერთობისა, მისი ძლიერებისა და უაღრეს წარმატებისა.

მოართვეს ბაღლი ძიძამ და გამდელმა. დედამ ჩამოართვა იგი, ჩაიკრა გულში, დაჰკოცნა, მოუალერსა.

- მამას დაემსგავსება ბატონიშვილი, იმისავით ჰკვიანი იქნებადა სვიანი. აი, დახედეთ, თვალის კილოში და პირის ნაპოვში მთლად მამაა, - მოახსენა გამდელმა.

- შუბლისა და საფეთქლების მოყვანილობა კი დედისა აქვს, თითქო განზრახ არისო მწყაზრად ნაშენი, - დასძინა ძიძამ.

ლევანმა ტუჩებზედ თითი მოუცაცუნა ბაღლს, რომ გაეღიმებინა იგი. დედა ჩააკვირდა შვილს, ერთი კიდევ ჩაჰკოცნა და უბრძანა გაეყვანათ. გაბრძანდა მეფეც. შემოვიდნენ მხეველნი, მოართვეს ტანისამოსი. ხელ-პირი დააბანინეს, ჩააცვეს, მოჰკაზმეს, სამკაული აასხეს. ყველაფერს ამას წყნარად აკეთებდნენ, გამოცდილი ხელით და ისე მარჯვედ, რომ დედოფალს არა სჭირდებოდა რაიმე ყურადღების მიქცევა მათთვის ან თავის თავისათვის, რამის გასწორება ან სწავლება. მხოლოდ იმასა ჰკითხავდნენ, რომელ კაბას ინებებდა იმ დღეს ან რომელ სამკაულს. დედოფალმა არ უბრძანა საუბარი, არც არაფერს შეეკითხა, თუმცა მხლებელნი და

მოახლენი თვალებში შეჰყურებდნენ მას და ნებას ელოდდნენ ახალი ამბები მოეხსენებინათ. ქალი საკუთარს ფიქრებში იყო გართული. განსაკუთრებით სახეები ეხატებოდნენ მის გონების თვალწინ და, ეტყობოდა, სამხიარულონი არ იყვნენ იგი ფიქრები: სახე არ უღიმოდა ქალს, არც ციცი სიხარულისა უციმციმებდა თვალებში.

დედოფლის ფიქრი მიმართა გამდლის შენიშვნამ, ბალდი მამასა ჰგავსო. რომ ჩააკვირდა პატარას, მართლა იპოვა მსგავსება არამც თუ თვალის ან ბაგის მოყვანილობაში, მთელ სახის ყდაშიაც და გამომეტყველებაში; თუმცა არც ძიძის შენიშვნა იყო ტყუილი: შუბლისა თუ თავის მოყვანილება გურიელებისა ჰქონდა პატარას. ბალღში განუყრელად შეერთებულიყო მამისა და დედის ხორციელი ბუნება. ალბათ სულიერი მათი არსებაც შეერთებული იქმნებოდა მასში, განუპოვლად შეკავშირებული. ამიერიდგან მათ ორის პიროვნება, ცოლ-ქმრის სახეები განკერძოებულნი, ერთ სახედა ქმნილიყვნენ მათ შვილში; მათი განყოფა ვერ ძალუმსთ უკვე ვერც კაცს, ვერც ღმერთს. უკუნისამდე ერთად უნდა იარონ მათ, შთამომავლობაში უნდა განმეორდნენ, განუყრელად მრავალ ჟამს, მარად. სიკვდილიც უღონოა მოსპოს მათი ერთობა, რადგან თუნდ ხორციელად მოსპოს მან მათი ნაშენი ამ ქვეყნად, სულიერად მოსპობა მისი ამქვეყნად ვერ ძალუმს მას.

თინათინი და ლევანი კი მხოლოდ გარეგნულად არიან შეკავშირებულნი. ხალხის თვალში და ეკლესიის კანონით რომ ერთხორც არიან იგინი, თვით ქალის გრძნობით იგი მათი ერთქმნა არ არის სრული და სავსე. მათ კავშირს მდილი შესჩენია იმთავითვე და ჰღრღნის, ჰხვრელავს, ჰფქვავს მას, არც მოკვდება იგი მდილი გამხრწნელი! მათი ბედნიერება იბრწყინვალეებს მხოლოდ გარეგნულად და ვერ გაანათებს მათ არსებას, ვერც გაათბობს. ეს ცხადია ქალისათვის, მთლად ნათელი: იმან უკვე განიცადა, თუმცა ზურგით კერძო, სიამე გარდუვალის სიყვარულისა და შეიგნო ეხლა, რომ მხოლოდ იმ ერთგვარ სიყვარულზე არის ამოგებული ის საიდუმლო, რომელიც ჰქმნის ორ არსებას ერთხორც და ერთსულ. მხოლოდ ესეთი ერთობა არის წყარო სიხარულისა: თვისი პიროვნების უარყოფა სხვისათვის მხოლოდ მაშინ არის ბუნებრივი და საამო, როდესაც ადამიანი კვლავ ჰპოვებს თვის პიროვნობას სხვის არსებაში, მისთვის უფრო ძვირფას და საოცნებო არსებაში. ამის გარეშე მხოლოდ შემთხვევითია კავშირი, ნაძალადევი, უგულო. სასტიკია იგი კავშირი, გულგამოცლილი. ვერც უძლებენ მეუღლენი მას და ან ჭკნდებიან ჩაბნელებულნი, ან მისდევენ ახალ-ახალ აჩრდილს ტრფობისას და შთაინთქმებიან უძღების მორევში გულცარიელნი.

ამისთანა გარემოებათა შექმნაში თითონ არის თინათინი დამნაშავე, მარტო თითონ! მზითევში რომ მოართო ქმარს დიდებული თავი თვისი, გული როდი მოაყოლა თან: გურიაშივე დარჩა მას გული, ნომრევანს გაატანა იგი. მაგრამ არა! თითონ კი არ გაატანა, ძალით მოსტაცა მას იგი საუნჯე ნომრევანმა. ამისთვის არის აწ ცივი მათი სარეცელი. ვერ ათბობს ქალი ქმრის გულს, ვერც გადუმლის მას ფერად-ფერად გრძნობას სანატრელს. როგორ მოახერხოს ყოველივე ეს, როცა გრძნობათა შესაკრებელი არ ახლავს თან?! მხოლოდ გულს სავსეს შეუძლიან გაათბოს გული და არა ჰაზრს ცივს ან სურვილს მძლავრს თუ სასტიკს.

და გადაფრინდა ქალის ჰაზრი გურიაში და აჰყვა ნომრევანს და დაჰქროდა მასთან განუსაზღვრელ სივრცეში ოცნებისა.

- ნეტავ სად არის ეხლა ნოშრევანი, რას აკეთებს, რას ფიქრობს? იქნება დაკმორჩილდა ბედს და იწყო ცხოვრება ჩვეულებრივი ვისთანმე შეუღლებულმა? არა! აკი მწერენ, ნოშრევანი მოკშორდა სასახლეს და მისი აღარა ვიცით-რაო. იქნება თავი მოიკლა სადმე? მაგრამ არც ისე უბრალო კაცია, რომ შეუმჩნევლად გაევილო მის სიკვდილს. იქნებ აღარც კი ვახსოვარ, მთლადაც დამივიწყა. სწორედ ესე იქნება, თორემ წიგნს მაინც მომწერდა, მოკითხვის წერილს ქვეშევრდომულს. მაგრამ ნოშრევანი და მონური წერილი?! ისიც ჩემთან, რომელმა უარყავ იგი?! არასოდეს! არა: მას ღრმად ექნება სულში ჩამარხული ჩემი სახე, იმ მტანჯველ ხატებასთან იქნება იგი გათვალისწინებული, რომ განმარტოებული დატკბეს ტანჯვით, მარად გაუნელებელი წამებით.

- გესმის, ნოშრევან ჩემო, რომ შენი უარყოფელი თინათინი გულჩამწვარი ჰფიქრობს შენზე ამ წამს? ჰგრძნობ ამას?

- მაგრამ რა უფლებითა ვფიქრობ უცხო ვაჟკაცზე ქალი ქმარ-შვილიანი? ღალატია ეს და მრუშობა! ან რადღა ვტანჯავ ქმარს გულცივობით? უნდა დავმორჩილდე ბედს, რომელმა მომანიჭა ის, რასაც ვთხოვდი მას. ვსთხოვე დიდება და მომცა ბრწყინვალეობა. სიბრძნე რომ მეთხოვნა მასაც მომანიჭებდა. გარნა დამავიწყდა, რომ ქალი ვიყავ და უნდა მეთხოვნა ბედისათვის მხოლოდ სიყვარული, ტრფობა უმწიკველო, დაუქცნობელი. მაშინ მომხედავდა სახიერი მოწყალის თვალით და შემაგნებინებდა ძალას სიყვარულისა, რომელი შეიქმნებოდა ჩემთვის, პირადად ჩემთვის, უშრეტ წყაროდ სიბრძნისა, დიდებისა, გამოუთქმელ სიხარულისა, სრულის ბედნიერებისა. აწ უნდა დავმორჩილდე ბედს! თუ მე ვერა ვარ სულით ბედნიერი, ქმარ-შვილი მაინც უნდა გავახარო და არავის ვაგრძნობინო გულის სიცალიერე.

დედოფალი გართული იყო ფიქრებში, მსახურნი კი განაგრძობდნენ თავიანთ საქმეს: დააბანინეს ხელ-პირი, ასხურეს ნამი სუნნელოვანი, მოურთეს სახე, შემოსეს, აასხეს სამკაული. რა დაასრულეს მორთვა და ახედ-დახედეს გამოცდილის თვალთ, კმაყოფილნი დარჩნენ თავის ხელოვნებისა. ამისთანა დროს ჩვეულებრივ ბევრს რასმე მოახსენებდნენ ხოლმე ქალბატონს, უამბობდნენ, ბევრჯერ კიდეც აცინებდნენ, მაგრამ ეს მაშინ, თუ თვით მოისურვებდა; დღეს კი არა უბრძანა რა და ისინიც გაკანკულნი იდგნენ მდუმარედ. სიჩუმემ გამოარკვია დედოფალი. მიმოავლო თვალი და რომ ნახა, შეესრულებინათ მხევალთ მოვალეობა, ანიშნა წასულიყვნენ.

მარტო დარჩა თინათინი და მუხლი მოიდრიკა ხატის წინ, განაპყრო ხელნი, იწყო ლოცვა მხურვალე. იგი ევედრებოდა ღმერთს, მიეცა მისთვის ძალა, მთლად დაევიწყნა წინანდელი სიყვარული შეუფერებელი, დაებრუნებინა მისთვის გული, რომელი სხვის ხელთ იყო დღესაც, რათა მიეძღვნა იგი გული თვის კანონიერ ქმრისათვის. მაშინ ორნივენი გულსავსედ შეუდგებოდნენ სამეფოს მიმართვას დიდებისადმი და სამადლობელ ვედრებას აღავლენდნენ მაღლიერნი დამბადებლისადმი.

დამშვიდებული ადგა დედოფალი: დარწმუნებული ბრძანდებოდა, რომ ღმერთი უსმენდა მას და მიანიჭებდა ძალას, სიამოვნებით და დიდებით წარემართა

პირადი ცხოვრებაც, ოჯახიც, სახელმწიფოც. ყოვლადმოწყალე აკი აუსრულებდა მას სურვილებს, აწ რადღად უგულებელს ჰყოფს მის ვედრებას?

ვერ გრძნობდა გალალეული, რომ მისი ლოცვა შემწიკვლული იყო ქვეყნიური ზრუნვით, რომ იგი ისევ განდიდებას და სიამეს ითხოვდა და არა გულს განწმენდილს, ნაზ გრძნობათათვის ღირსქმნილს. არა! ანგელოსთა მსუბუქ ფრთებისთვის მძიმე ტვირთი იყო დედოფლის ლოცვა მიწიერი, იგინი ვერ აიტანდნენ მას საყდრამდის მაღალის ღმერთისა; ვერც მიაერთმევდნენ მას ამ ლოცვას ნივთიერს, ვითარცა რამ გუნდრუკს სუნნელოვანს: მიწის სუნი სდევდა მას მძიმე. ამისათვის იყო, რომ მფარველი ანგელოსი დაღონებული დაჰყურებდა ლოცვად მდგარ დედოფალს და სიბრალულის ცრემლებით ევსებოდა ღმობიერი თვალები.

დედოფალმა არ იცოდა ეს და მხიარული სახით გამობრძანდა დარბაზში, სიამის შუქი მოჰფინა იქაურობას. შემდეგაც სცდილობდა დედოფალი მხიარულად ყოფილიყო და სიკეთე ეფრქვია თვის გარემო. მისი დატკობა გულს უხსნიდა მეფეს. ეს ლანდი ბედნიერებისა თვით ბედნიერება ეგონათ ცოლ-ქმარს და იშვებდნენ. მისდევდნენ ერთმანეთს ნადიმობა, ნადირობა, განცხრომა, ზეიმი, დარბაზობა. ბუნებით შემკული გრემი სიხარულის ბუდედ გარდაიქცა: სამეფო წალკოტები ზღაპრულ არედ, ფერიათა საარაკო სავანედ. რჩეულნი ვაჟნი, თვალთწარმტაცი ქალ-რძალი, ღიმილ-სიცილი, ცეკვა-ხალისი, საკრავთა თუ სიმღერათა ხმა შეწყობილი, სვლა ლამაზი, რხევა ვნებათ ამშლელი.

- ეჰ, ვინ სთქვა, ამ ქვეყნად არღა არისო ედემი საოცნებო და სიამე პირველყოფილი? როგორ არა! კიდევ არსებობს იგი, გარნა ჟამიერად, მხოლოდ წუთიერად.

შირვან-შაჰზედ გამარჯვებულმა ლევანმა რომ აცნობა თავის მეგობარ მფლობელთ თავისი გამარჯვება და უძღვნა ზღვენი მეფური, იმათაც აახლეს ელჩები და მოულოცეს წარმატება ქველობით განთქმულს, მაღლობა გარდაუხადეს. ეს მოსული ელჩები ახალახალ სიცოცხლესა სძენდნენ გამარჯვებულთა ზეიმს, განაახლებდნენ მეფის სუფრას: მათ პატივსაცემლადაც დაერთო მეჯლიში მეჯლიშს, მხიარულება მხიარულებას. ჯარასავით ტრიალებდა სახლთ-უხუცესი გურგენ ჯორჯამე, ფართოდ გაეშალნა მას ნიჭი თავდარიგისა და უნარი მოხერხებისა: ყოველ დღე ახალ-ახალი შესაქცევ-სანახაობა მოუწყენლადა ჰქმნიდა განცხრომას. ქართველს ქარქაშშივე ჩაეგო ხმალი სისხლით განზანილი, ამოეტანა სალაროდან სასმისი მრავალგვარი და დასწაფებოდა კახურს, რომ ბრძოლაში დაღვრილი სისხლი შეევესო დაქარბებით.

- განა არ იცი შენ, რომ ღვინო წითელი პირდაპირ სისხლად გარდაიქმნის გამირთა გვამში, სამშობლოსათვის თავგანწირულ ბუმბერაზთა არსებაში?!

მაგრამ ბევრი ხანი არ მოუწდა გურგენს თავის ნიჭის ვარჯიშობა მეფის პურადობის დასამტკიცებლად და მისი სიმდიდრის გადასაშლელად. ცხოვრების დენამ თითონ მოსპო მეფის კარს ზეიმ-განცხრომა და დაენაცვლა ოქრო-ვერცხლის ბრჭყვიალს კვლავ პრიალი ფოლადისა; კახური რომ წყაროდ დიოდა აქამდინ, აწ სისხლთა ნაკადად შეიცვალა წყარო იგი.

მოვიდა მეფე ლუარსაბის დესპანი და წიგნი მოართვა. ლუარსაბი სიხარულსა სწერდა, გამარჯვებას ულოცავდა; ჰმადლობდა ნადავლიდან მისთვის გადარჩეულ ფეშქაშებისათვის; სთხოვდა მალე მიჰმეღებოდა მას, რომ დაეჩქარებინათ ტფილისის აღება.

„სანამ შაჰ-თამაზი ომშია გართული, უნდა ავიღოთ ტფილისი თუ განვდევნეთ მტერი ტფილისის ციხეებიდან, ვეღარსად გამაგრდება იგი და იძულებული შეიქმნება დასცალოს საქართველო. სამშვილდეში ვერ შევლენ, რადგან კოჯრის ციხიდან მათ გზას სდარაჯობს როდამ ორბელიანი, ხოლო ნუგზარ ბარათაშვილმა უკვე აიღო ფარცხისის ციხე და გამაგრდა შიგ. სამშვილდის გზა ალგეთის ხეობით მათთვის აწ გაუვლელია და იგინი იძულებულნი შეიქმნებიან დაიწიონ გატეხილი ხიდისაკენ“, - სწერდა მეფე და ავალებდა მსწრაფლ დაძრულიყო მისკენ თავისი ლაშქრით.

ლევანმა წინადვე იცოდა, რომ საქმის დაგვიანება აღარ შეიძლებოდა. ამისთვის იყო, რომ შირვანის ომის შემდეგ ლაშქარს უბრძანა, მალე შეგკრებოთ საბრძოლველად. მალევე შეკრიბა ლაშქარი. დიდოელთ რაზმი არც კი დაბრუნდა შინ. მათ მხოლოდ ნადავლი გაგზავნეს დიდოეთს და ამცნეს თავიანთ ნაიბს საქმის ვითარება.

ხალისიანად იყო ჯარი: გამარჯვებით გალალეებული მკლავ მძლეობას მოელოდა სახელოვანს. ყველას გულში დარდადა ჰქონდა, რომ ტფილისი მტერს ეჭირა და მის წმიდა ადგილებს უსჯულოს თრგუნავდა. დიდი დამცირება იყო ეს ქართველთათვის. დრო იყო მტრის სისხლით მოებანათ ეს სირცხვილი. ალავერდის ველზედ იკრიბებოდა ხალხი. მთაზე უნდა გადაევიდნენ და ერწოში ჩაშვებულიყვნენ. იქ ფშავ-ხევსურეთის ჯარი დაჰხვდებოდათ და ერთად გადავიდოდნენ საგურამოს. იმ ამბავმა უფრო გაამხნევა და გაამხიარულა ხალხი, რომ შირვან-შაჰს, აწ ლევან მეფის მოხარკეს, მაშველი ჯარი გამოეგზავნა მეფისათვის, მისი საკუთარი სარგებლობაც კი მოითხოვდა ეხლა ამას, ქართველთა გამარჯვება მისივე გამარჯვება იყო ეხლა: შაჰ-თამაზი საშინლად განრისხებულიყო, როცა გაეგო. რომ მოკლული ასან-ხანის შვილი დერვიშ-მაჰმად დაჰმორჩილებიყო ლევანს და მისი მოხარკეობა ეტვირთნა. ყაენს მოღალატედ დაესახა დერვიში.

- დერვიშ-მაჰმადის ჰგონია, ვმარცხდები და აღარც საშიში ვარ მისთვის, აღარც სასარგებლო. თავის კბილით შევაჭმევ თვის ხორცს! - წარმოეთქვა გამძვინვარებულ ყეინს.

ეს იცოდა შირვან-შაჰმა და იძულებული იყო მიჰმეღებოდა მეფეებს ტფილისის აღებაში და სპარსეთის დამარცხებაში ამიტომაც გამოეგზავნა მაშველი ჯარი და წიგნიც მოეწერა სამეგობრო. ლევანმა პატივით მიიღო შირვანელნი, მოუწონა მათ რაზმთა შედგენილება და მხედართა მამაცური იერი.

- ლევან ჩემო, - ეუბნებოდა დედოფალი ქმარს, რომლისათვის კალთაში ჩაედვა თავი, - ღმერთი ჩვენსკენ არის! ისეთი სიზმარი ვნახე, სწორედ გაგიმარჯვდება. ფრთხილად კი იყავ: ხიფათი გადივლის შენზე.

- რა ნახე, ქალო? - ჩაეკითხა ქმარი და თან თმა გაუსწორა შუბლზე, თვალებში ჩაჰხედა.

- ხმალამოწვდილი მიისწრაფებოდი. შენ წინ ხნარცვი გამოჩნდა ჩაბნელებული; ვერ შეჰნიშნე და ცხენი მიაგდე ზედ. უცებ ერთი შენი მხედართაგანი ჩაითხია შიგ და იმან შეგაყენა.

- ბევრი ხიფათი სდევს ომს, საყვარელო! მაგრამ ღმერთია მფარველი, ფიქრი ნუ გექნება.

- მწამს, რომ ღმერთი ხელთ მოგცემს ტფილისს. შეიერთებ მთელ საქართველოსაც და დაგიმშვენებს თავს გვირგვინი ბაგრატიონთა! ტფილისში რომ შეხვიდე, სიონთა ღვთის მშობელს შესწირე ჩემ მაგივრად ეს ბეჭედი, მაინც ხომ შენი შემკულია იგი ხატი, - უთხრა ქალმა და წაიძრო თითიდან ბეჭედი.

- ჩემი შემკულია დალოცვილი. სიზმრად მეჩვენა, ტფილისზე რომ გამოვიარე. მივედი ნავთლულს, შევნიშნე ჭალაში სვეტი ნათლისა და იქ ვპოვე ხატი. ვემთხვიე. წამოვიღე, შევამკე და წავასვენე სავანეს.

- ყოვლად წმინდა მფარველია ივერიისა. იგი გაგიმარჯვებს და ხელთ მოგცემს თვის წილხდომილს მთელ საქართველოს.

ლევანმა ჩამოართვა ბეჭედი და აკოცა ქალს თვალებში. არკი უამა ცოლის თქმა: ამ განმარტოების ხანას იგი მხოლოდ ალერსს მოელოდდა მეუღლისაგან, მდებდრულ ალერსს ლბილს და დამაწყნარებელს; უნდოდა დაევიწყნა მეუღლის მკერდზე ზრუნვა ყოველივე, მაგრამ იგი ზრუნვა სახელმწიფო აწ იქაც შეიჭრა, იმ განმარტოვებულ სავანეში. ამან გააგრილა ვაჟკაცის გული, ნისლი რამ გადაბურა მის გრძნობას ნათელს.

მეამბოხესაგან შევიწროებული შაჰ-თამაზი მაინც თვალს არ აშორებდა საქართველოს. სცდილობდა ტფილისი ხელიდან არ გამოსცლოდა და არ დაეკარგა მთელი საქართველო. აქაური მფლობელნი ვერ მოინადირა მან ვერც ტკბილი სიტყვით, ვერც გულითადი მეგობრობით, ვერც გულუხვი ზღვნებით. ჩრდილოეთისაკენ იზიდავდა მათ ანდამატი ძლიერი. თვალნი მიეპყრათ მათ მყინვართა მეფის საბრძანებლისკენ და იქიდან ელოდნენ ხსნას ქვეყნისას. ეს არ მოსწონდა შაჰ-თამაზს; ჰხედავდა, რომ თუ იგი ბუმბერაზი ჩრდილოელი გადმოაბიჯებდა კავკასიონს, შეარყევდა სპარსეთსაც, მთელ მაჰმადიანობასაც. ამისთვის ისწრაფვიდა ყეინი მკვიდრად ჩამდგარიყო საქართველოში და თავის ხელით დაეკეტნა დარიალი. მაგრამ იცოდა, რომ ძნელი იყო ეს საქმე, შეუძლებელი და სიამოვნებით მიანდობდა ამ დიდ ჰაზრს რომელსამე მეფეს საქართველოშივე, განაძლიერებდა მას. მთელ საქართველოს შეაერთებდა მის სკიპტრის ქვეშ, ოღონდ კი ნამდვილ გამსჭვალულიყო იგი ყეინის ჰაზრით. მაგრამ ვერ იტვირთებდნენ ამას ვერც ბაგრატი იმერეთისა, ვერც გურიელი მამია, ვერც ათაბაგი ყვარყვარე, არც ლუარსაბ მეფე ქართლისა, ვერც კახთ ბატონი ლევანი: ვერ შეითვისებდნენ კეთილმორწმუნენი ჰაზრს უსჯულოსას.

- არიან საქართველოშიც ისეთნი, რომელთაც შეგნებული აქვთ ჩემი ფიქრი, მაგრამ მხოლოდ უბრალო თავადები არიან ისინი ან სარდლები, ამ დიდ ჰაზრს კი დიდებული უნდა ვინმე და ძლიერი. შირვანის მკვრობელს ან განჯის ხანს ზიად-ოღლის რომ შესწევდეთ საამისოდ გონება და მხნეობა, მაშინ სხვა იქნებოდა. მაგრამ ვინ მისცა იმათ ამისი ნიჭი?! აგერ ლევან მეფეს დაუღუპნია ასანბეგი და მოხარჯედ გაუხდია მისი შვილი! - სთქვა კბილთა ღრჭენით ყეინმა და მწარედ ამოიკვნესა ამის გახსენებაზე.

ფიქრით, მხოლოდ ფიქრით აღარა ეშველებოდა რა საქმეს, რომელიც აგერ ხელიდან ეშვებოდა მას. საჭირო იყო მსწრაფლ მიეღო ღონისძიება და გაემაგრებინა ტფილისი. პირდაპირ მოქმედება შეუძლებელი იყო ეხლანდელ მის გარემოებაში და მიჰმართა მან განჯის ხანს, რომ მას შეემაგრებინა ტფილისი და ომით გაერთო საქართველოს ბატონნი, სანამ თითონ ყეინი შესძლებდა მიშველებას. ეს აუცილებლად იყო საჭირო, რადგან კოჯრის ციხის და ფარცხისის დაჭერით ქართველებს გადაეჭრათ გზა, მოესპოთ კავშირი ტფილისისა და სამშვილდეს შორის, რომელიც ამ დროს უძლიერესი ბურჯი იყო სპარსთათვის. ყეინმა გონების თვალი მიაპყრო განჯის ბეგლარ-ბეგს შავერდი ზიად-ოღლის, რადგან ამის მეტი აღარავინ იყო მისი ერთგული საქართველოს სამზღვრებზე. ერევნის ხანი თან ახლდა ყეინს. მასთან ერთად ებრძოდა იგი მეამბოხეს. შაჰ-თამაზმა მოსწერა შავერდის, დაუყოვნებლივ შეჰსეოდა კახეთს მთელი თვისა ლაშქრით.

- „ასრულებ ჩემს ბრძანებას და შენ დაგიმორჩილებ კახეთსაც, შირვანსაც: ქართველთა ხელში დასაჭერად საჭიროა მაჰმადიანთა ძლიერი სამფლობელო შეიქმნას ზედ საქართველოს სამზღვრებზედ“ - სწერდა ყეინი.

კარგად იცოდა ზიად-ოღლიმ ყეინის ბრძანების სიძნელე, ისიც იცოდა, რომ სანდო არ იყო სიტყვა შაჰისა: ყეინს თანა ჰყვანდა თავისი მეგობარი ერევნის ხანი და თუ ვისიმე განდიდებდა მოისურვებდა, იგი განდიდება არ ასცდებოდა იმ ხანს; ისიც ახსოვდა შავერდის რომ სპარსეთის მფლობელებს საზოგადოდ ეშინოდათ შეეკრიბათ სხვის ხელში საგრძნობელი ძალა; ყველა ეს კარგად იცოდა მან, მაგრამ მეტი ღონე არა ჰქონდა, უნდა დაჰმორჩილებოდა ბრძანებას. მცირე რამ იმედს აძლევდა ის, რომ ლევანის ლაშქარი უკვე მოქანცული იყო შირვანის ომით და ეგონა ეხლა უფრო ადვილი იქმნებოდა მასთან ბრძოლა. გადალახა ზიად-ოღლიმ კახეთის სამზღვრები ლევანმა ლაშქარს ისევ აღმოსავლეთისაკენ აქნევინა პირი ახალი მტრის მოსაგერებლად. ჯერ რომ ათვალიერებდა, ჯემილ-მაჰმადის რაზმი ძალიან მოიწონა: შირვანის ომში რჩეული იარაღი თუ ცხენი ეშოვნათ დიდოელთ და საუკეთესოდ მოკაზმულიყვნენ ბიჭები. ლევანმა შეაქო ჯემილი, თავი მოაწონებინა.

- ვასწავლე ამ დიდოს ომი და იქნება ჩემსავე საზარალოდ გაუტანელნი არიან, მარჯვე დრო თუ ჩაიგდო ხელში, ჩვენზედვე მოიხმარებს ჩვენგან ალესილ ხმალს, - ეუბნებოდა იმ საღამოს ლევანი ვამეყს.

- ადვილი წარმოსადგენია! მეტადრე თუ დაუმოყვრდა თავის მოსამზღვრე შამხალს, რომელიც არც დღეს გახლავს შენ, როგორც მაშველი, - მოახსენა ვამეყმა.

და რა შენიშნა მეფის თვალებში იგივე ბოროტი ნაპერწკალი, განაგრძო:

- მაგრამ ღმერთი დიდია: არ დააცლის ვიღაც ლეკს საქართველოზედ აღიმაღლოს ხმალი.

ვერ გაუმარჯვდა შავერდი-ხანს, თუმცა დიდი ნავნები კი ჩაიდინა მან ქიზიყში. ივლტოდა დამარცხებული. იძულებულ იქმნა გაეღო თვისი ქალაქის კარი მღევამოსილი ლევანისათვის და შენდობა ეთხოვნა. სამხედრო დროშები, იარაღი და დიდძალი განძი დარჩა კახთ-ბატონს. განჯის ციხიდან წამოიღო მან სხვათა შორის რამდენიმე ზარბაზანი, ეს იმ დროს იშვიათი იარაღი. ზიად-ოღლი თავის მოხარკედ გახადა და დაამდაბლა.

დახოცილთა შორის აღმოჩნდა ჯემილ-მაჰმადი, დიდოელთ ნაიბის ვაჟი, ხოლო მისი რაზმი თითქმის მთლად ამოწყვეტილი: ბრძოლის დროს ძნელად სავალ ხევში მოემწყვდიათ მისი ცხენოსნები. ჯემილ-მაჰმადს ზურგში ჰქონდა ჭრილობა.

- ალბად გაჭირვებაში პირი იბრუნა და მაშინ მოუსწრაფეს დღე.

- არა მგონია! ჯემილი ისეთი ჭაბუკი არ იყო, პირი ებრუნა; იქნება თავს დაუარეს ბრძოლაში.

- საკვირველია, როგორ მოსხლტა ლაშქარს მისი რაზმი და მოჰყვა იმ ხევხუვში.

- ბინდბანდისას მე კიდევ მოვკარ თვალი ჯემილს, როდესაც ის სდევდა უკვე ძლეულს და გაქცეულს მტერს. შენს ახლო იყვნენ მაშინ დიდოელნი, ვამეყ!

- არ მახსოვს! ან ვის შეუძლიან ახსოვდეს, რა ხდებოდა იმ საშინელი ჟღერისა და არეულობის დროს.

- ადვილად გასაგებია ჯემილის მარცხი: ჩვენი კაცი არ იყო, გზა-კვალი არ იცოდა და ხევ-ღრანტეებს გაჰბმია ბინდბანდში. ხომ იცი, რომ დელე-მშრალა დღისითაც არა სჩანს კარგად ტრიალ მინდორზედ; უჩვევი კაცი ადვილად შეიძლება ჩაითრიოს შიგ, - სთქვა სარდალმა ანდრონიკაშვილმა.

- აღსრულდა ნება უფლისა! - სთქვა მეფის მოძღვარმა და პირჯვარი გადისახა.

საკვირელი იყო, რომ ამ ბრწყინვალე გამარჯვებამ ისეთი დიდი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა ვერავისზე, როგორც პირველმა. მართალია, ბევრი დავლა დარჩა ლევანს და მის ლაშქარს, მაგრამ ზიანიც დიდი იყო დაჭრილით თუ დახოცილით. გარდა ამისა ძალიან მალე მოუხდათ ქართველებს ეს მეორე ომი, როდესაც ვერ სწორედაც არ დაესვენათ სახლში, არ მიაღერსებოდნენ ოჯახს, არც დახოცილნი გამოეტირნათ რიგზე. თითონ მეფეც დაფიქრებული იყო, თავაშვებულ სიამეს არ ეძლეოდა, ამბობდნენ, დიდად იმოქმედაო მასზედ ჯემილ-მაჰმადის სიკვდილმა. გარდა ამისა ლაშქარმა იცოდა, რომ ეს ომი მოულოდნელი იყო, შემთხვევითი, რომ იგინი მიწვეულნი იყვნენ ამ ომისათვის კი არა, არამედ ტფილისის ასაღებად. ამ ბრძოლამ კი დაქსაქსა მათი ძალები, დააკნინა. ახლა აქედან პირდაპირ უნდა

გაელაშქრად ტფილისზე და გამოეტაცნათ იგი სპარსთა ხელიდან. სარდლებს აფიქრებდათ ის, როგორ შეხვდებოდა ეს დაღლილი ლაშქარი ახალს მტერს, შეუვალ ციხეში გამაგრებულს. ეშინოდათ თავი არ შეერცხვინათ კახთ ქართლელთა და იმერთა შორის; ცნობა მოვიდა, იმერეთის მეფეს ბაგრატს მოუშველებიაო ლუარსაბ მეფისათვის ჯარი. გარდა ამისა განჯაშივე იყო ლევან მეფე, როცა შიკრიკი მოვიდა სპარსეთიდან. ყეინი სწერდა განჯის ხანს, მალე საბოლოოდ დავსძლევ მტერს და მთელი ჩემი ლაშქრით მაინთ წამოვალო. ძალიან საფიქრო იყო ეს წერილი და საფრთხილო. ამ უკანასკნელ ამბავსაც აწერდნენ იმას, რომ მეფე ლევანი ძალიან რბილად მოექცა ძლეულ ზიად-ოღლის და ყველაფერში შედავათი მისცა მას. მხოლოდ მისი ჯაბახანა კი მთლად წარმოაცალიერა და დიდძალი იარაღი წამოიღო თან.

გამარჯვებულთა ქეიფი კი მაინც თავისი გზით მიდიოდა, განცხრომა და ზეიმი ერთი მეორეს ენაცვლებოდა. თუმცა მოლხენას შეუკავებელი ხასიათი არა ჰქონდა, გიჟმაჟი.

სასახლეში გურიელის კაცი დაჰხვდა მეფეს. სიმამრი სწერდა. ლუარსაბ მეფის თხოვნით მაშველი რაზმი გამოვგზავნე და ყურადღება მიაქციე მას, ბრძოლაში ასახელო. ბოლოს ეწერა:

„ტფილისს მალე აიღებთ: თურმე გზა მოგიჭრიათ სპარსთათვის და შეგივიწროვებიათ იგინი. გახსოვდეს! საქართველოს დედაქალაქი მხოლოდ შენია, ქართლის გვირგვინმაც შენვე უნდა დაგიმშვენოს თავი: ამ გზაზე მიჰყევხარ განგებას, რომელსაც უკვე ზედიზედ მოუნიჭებია შენთვის გამარჯვება“.

გურიელმა ჯერ არ იცოდა, რომ განჯის ხანიც დაუმორჩილდა მის სიძეს, თორემ უფრო ძლიერ შეაქებდა მას და წააქეზებდა. თავის ქალთანაც მოეწერა წიგნი. სწერდა:

- „ლუარსაბ მეფის საშველად ნოშრევან წამოსულა თავის რაზმით. სულ ორასიოდე კაცი ჰყავს. მაგრამ ისეა შეიარაღებული რაზმი, ისეთი შეუპოვარი ხალხისაგან შესდგება, ისე დახელოვნებულია ბრძოლაში, რომ სწორედ საგრძნობელ ძალას წარმოადგენს“.

ქალს წერილის ეს ადგილი ათასჯერ ჰქონდა გადაკითხული მაგრამ მაინც აღელდა, როდესაც ლევანმა ხმამაღლა წაიკითხა იგი. ათასგვარად ეცვალა ფერი.

- ის ნოშრევანი ხომ არ არის ეს, მაშინ რომ აგდევენბოდათ გზა-გზა და კაციც შემოჰკვდომოდა?

- ამბობდნენ მაშინ, ნოშრევანი იქნებო, სახელის ძახილი გავიგონეთო, მაგრამ ვინ იცის, ვინ ფირალი აგვედევნა: ვერც ერთხელ ვერ ვნახეთ იგი ახლო, -მიუგო ქალმა და სიტყვა ბანზე აუგდო.

- აგერ მამა იმასვე იწერება, რასაც მე გეუბნები ხოლმე: საქართველოს მხოლოდ ერთი მეფე უნდა ჰყვანდეს. ბაგრატიონთა გვირგვინი იმას უნდა უმშვენებდეს თავს, ვინც შესძლებს შეაერთოს საქართველო ზღვიდან ზღვამდის,

თამარისეული საქართველო! შენ კი განჯის ხანსაც ისევე სულგრძელად მოჰპყრობიხარ, როგორც შირვან-შაჰს.

- ეს სჯობია, ქალო! საქმეს რომ უფრო ახლო იცნობდე, შენც მომიწონებდი ჰაზრს და ქცევას, როგორც ერთხმად მომიწონა ჰაზრი ჩემმა საბჭომ, - მიუგო ლევანმა.

- შენი საბჭო შენი მონაა ყურმოჭრილი: შენი მრჩეველნი მხოლოდ იმასა სცდილობენ, შენს თვალეში ამოიკითხონ შენი სურვილი.

- ცოდვას ჩემს ნაზირ-ვეზირზე მაგის თქმა, უსამართლობაა! მიუგო ქმარმა და წყენა დაეტყო ხმაში.

- ან ტფილისიც, მთელი საქართველოც ჩვენი უნდა შეიქნეს, ან მეფის წოდებას თავი უნდა ვანებოთ და უბრალო ერისთავად გარდავიქმნეთ მის ხელში, ვინც საქართველოს გვირგვინს დაიდგამს თავს! - სთქვა დედოფალმა სასტიკად და პირი გაიბრუნა.

ცოლ-ქმრის განმარტოება მაინც ყოველთვის უკმაყოფილებით თავდებოდა და ერთმანეთის ყრუ უარყოფით: მათ კავშირს არ ედგა ბურჯად არც თბილი გრძნობა, არც ხორციელი ლტოლვილება ძლევამოსილი. ცოლ-ქმარმა ვერც ხელოვნურად შეჰქმნა ეს მისწრაფება, ჩვეულების ძალით: ქალი გრილი იყო კაცისადმი, მისი ქმრისად ყოფნა ვერ გადასცდა მოვალეობის ფარგალს უგულოს; ვაჟს კი ენატრებოდა ალერსი გულუბრყვილოდ მოყვარულის ქალისა, მიტკბობა ლბილი, სუნნელოვანი, როდესაც მდებრი ნაზ ყვავილსავით ჩააჭკნება გახურებულ მკერდს და წამს განახორციელებს მიუწვდომელ სიამეს. და ან გაიყრებოდნენ ნამდურავნი, ვერ ჩამოაკვესებდნენ ნაპერწკალს სიამისა; ან უგულოდ ეხვევოდნენ ერთმანეთს. უგემურად ჰზამავდა ერთობა მათი სიძვას, ემსგავსებოდა მას; თვითც სიძვა იყო კანონიერი და მით უფრო ძნელი თუ მძიმე.

მაინც ქალის ზრდილობა და ვაჟკაცის სიბრალული ქალისადმი თუ ხათრი ნებას არ აძლევდა ცოლ-ქმარს თავიანთ სხვადასხვაობა განხეთქილებამდის მიეტანათ და გამოეტანათ კარზედ, საჯაროდ, გარეშეთათვის გასაგებად. მაინც კი ჰხედავდა მათ შუა ჩაჭრილ უკმაყოფილებას მფარველი ანგელოსი, რომელიც ზეცას მიეჩემებინა მათ კავშირის დარაჯად; მისთვის იყო იგი დაღონებული. მაინც კი ჰხედავდა მათ შუა ჩაჭრილ უკმაყოფილებას დამკვირვებელი თვალი მახლობელთა: მისთვის იყო იგი მზირად და მახვილად. მახლობელთა თვალი ვერ ამჩნევდა მათ სახეზე საიდუმლო სხივს სიხარულისას, რომელი გამოსდევთ სავანიდან არსებითად დაკმაყოფილებულ მეუღლეთ და მორცხვად ციაგობს მათ თვალეში. ეს წყნარი სხივი ნაშთია იმ უშლელის ნათელისა, რომელი საიდუმლოდ გარდამოვალს სარეცელზედ სიყვარულისა.

ეს ერთმანეთისადმი სიგრილე სხვადასხვა გვარ მოქმედებისკენ იწვევდა ცოლ-ქმარს.

ღვთის მოსავი თინათინ დადგებოდა ლოცვად და შესთხოვდა შემოქმედს ეპატეებინა მისთვის ხორცთა ამება, თითქო იგი სიამე დალოცვილი არ ყოფილიყოს,

მადლიანი და სამადლობელი. ხოლო არშიყი ლევან თვალს აყოლებდა სხვა კეკლუცთ, სურვილით სავსე თვალს ვნებადაუმცხრალს.

35

მიექცია დედოფალს თვალნი ზეცისკენ, იქ ეძიებდა შვებას უარყოფილი სიყვარულისა; ზეციურის დედოფლის კალთით ჰსურდა მოეწმინდა ჭმუნვის ცრემლები. ავიწყდებოდა თინათინს, რომ უბიწო მარიამი შეიქმნა დედად ღვთისად მხოლოდ მისთვის, რადგან მორჩილებით გაჰყვა სიყვარულის ხმას იღუმალს:

- აჰა, მხევალი უფლისა! მეყავნ მე სიტყვისაებრ შენისა, სთქვა მან და განიხარა სულმან მისმან, და შესწირა გალობა სამადლობელი მომნიჭებელს სიყვარულისა. შეიწყნარა ცა იგი სიყვარულმა, რომელ არს თვით ღმერთი, საცნაურ იქმნა მასში, და აღამაღლა უფროს ყოველთა დედათა.

სიყვარულის უარყოფელი თინათინ კი შვებას მოელოდა ტრფობათა მფარველ ქალწულისაგან! არა! მარად ქალწული ვერ მიიღებდა ტრფობის უარყოფელს და დიდებაში მის გამცვლელს, ვერც შეიწყნარებდა იგი მის ლოცვას შემძიმებულს. გარნა შემბრალოა გული მარად ქალწულისა, წყლულს მაინც უშუშავდა ლოცვად მდგარს თინათინს, ჟამიერ სიმშვიდეს მიანიჭებდა, მხოლოდ წამიერს.

ხოლო ლევანს იქვე დაეხარა თვალი უძღვები: სიყვარულის უარყოფელს ვერ აკმაყოფილებდა ერთობა მეუღლესთან და მიწაზედ ეძებდა უარყოფილს სიამეს ზეციურს, კეკლუცთა შორის ეძებდა გრძნობათა სავსებას, ყვავილთ დაჰფრენდა თაფლის საგემოდ, გარნა ყვავილთა სიტკბო ვერ შესძღვნიდა მას კმაყოფილებას, უფრო უგზნობდა ალს წყურვილისას. ვერც მიანიჭებდა კმაყოფილებას! მრუშობის მწვავე ალი მხოლოდ გარეგანი სახეა უმანკო სიყვარულისა, სატანაილისაგან აღგზნებული კოცონი ვნებათა განმახურვებელი, სული შემწველი, გულის დამშრეტი.

ამ დროს იყო, ლევანმა რომ მეტის სურვილით მიაპყრო თვალნი დედოფლის მხევალს, უცხო ყვავილად გარდაშლილ გუქას, ცხელის ქვეყნის მათრობელ ყვავილად გარდაფურჩქენილს. მაგრამ მხევალი მუხლ ქვეშედან არა ჰშორდებოდა თავის ქალბატონს, რომელი ღმერთად მიაჩნდა, რომლისადმი მარად აღტაცებით და ვედრებით მიეპყრო მეღნის ტბა თვალნი ცეცხლივით მწველნი.

თანდათან ჰშორდებოდა ერთმანეთს ეს ქვეყნიურის კეთილით სავსე ცოლ-ქმარნი, გაუმთელებელ განცალკევებისკენ მისწრაფებოდნენ იგინი. უფსკრულს პირი ექნა მათ შორის და თანდათან ფართოვდებოდა იგი, გარდუვალი ხდებოდა. მით უფრო ძნელი იყო ეს მათი ჭირი, რომ სხვას ვერ გაუზიარებდნენ მას; მხოლოდ თითონ ჰხედავდნენ საფრთხეს, მარტო თითონ გრძნობდნენ სიავეს. უცხო ფიქრისათვის მოუწომელი იყო იგი უფსკრული, წარმოუდგენელი. ეს საბედნიეროდ მოწყობილი სარეცელი საარაკო უბედურების ადგილადაც გარდაიქმნებოდა მძლავრი ვაჟკაცის ხელში მედგარ ვნებათა ღელვის დროს, თუ ქალისადმი სიბრაღულის ნაკადიც ამომშრალიყო მის გულში. ჰხედავდა ლევანი, რომ იგი ნაკადიც ნაზის გრძნობისა თანდათან შრებოდა მასში, ლამის გამქრალიყო, და განურკვეველი რამ შიში იპყრობდა მის არსებას.

ცხოვრება კი მიდიოდა წინ შეუფერხებლივ. დროთა დენაში გარემოება ენაცვლებოდა გარემოებას, ამბავი ამბავს და მეფეთა სიცოცხლე და სურვილებიც უნდა აჰყოლოდნენ ხალხის ცხოვრების დენას. ქართველთა ერის ბედი მეფეებს ეხლა ტფილისისკენ იწვევდა: საქართველოს გული სპარსთ ეპყრათ და განთავისუფლება იყო საჭირო. ამას ყველა გრძნობდა საქართველოში, ყველას მიეპყრო თვალი მეტეხისა თუ ნარიყალასათვის და ლევანიც ჯერ ვერ ჩააგებდა ქარქაშში მტრის სისხლით გაბასრულ ხმალს, დროც კი არა ჰქონდა გაეწმინდა იგი ხმალი მტრისავე ქულაჯაზედ და დაეფერა ფხა ასხმული.

როცა ლაშქარი უკვე მზად იყო და გზაზედ იდგა, მოვიდა ყოდორელი შამხალისაგან ასი კაცი. შამხალი ჰმადლობდა მეფეს ზღვისათვის და სწერდა, ჩემს მწირ ქვეყანაში შენი საკადრისი ზღვენი ვერ ვიშოვეო, მაგრამ ჩვენი მთაცა ზრდის ვაჟკაცებს და ეს ასი კაცი მომირთმევიაო შენთვის. თანაც ხმალი მოერთმია მეფისათვის, რომელსაც მოუწონეს ფხა. ლევანს ძალიან იამა ეს ზღვენი. ჯერ ერთი, რომ სწორედ საჭირო ფეშქაში იყო და მოსწრებული: ასი მკლავ-მაგარი ბიჭი განძსა სჯობდა ამ წუთს. გარდა ამისა მაშველი ჯარის მორთმევა მორჩილების ნიშნად უნდა ჩათვლილიყო. სწორედ ესეც იყო: როცა შამხალმა გაიგო, რომ ლევანს დაუმორჩილდნენ შირვანისა და განჯის სახანოები, პატივცემასთან შიშიც იგრძნო მისდამი და დაასკვნა მიერთმია მეფისადმი რაზმი, ისე კი, რომ დამოკიდების სახე არა ჰქონიყო ჯარის გაგზავნას. მიხვდნენ შამხალის განზრახვას და შეაქეს მეფის შორ-გამქვერეტელობა, რომელმაც მაშინ მოსაკითხის წარგზავნით აცნობა მას თავისი გამარჯვება.

ლეილ-ყიზისაც გული მოჰკლბობოდა მეფის საბომძვარზედ და აწ თავის მხრითაც გამოეგზავნა სახსოვარი სწორედ იმ დროის შესაფერი, როგორ გარემოებაშიც იმყოფებოდა ლევანი: ავგაროზი რამ მოერთმია თილისმა, რომელიც ვერცხლის ბუდეში იჯდა და ზონრით იყო ყელზედ ჩამოსაკიდი. ქალს თავის გულიდან აეხსნა ის და ეახლებინა. თილისმას მტრის მარჯვენის შემკვერელი ძალა ჰქონებოდა. რახან ეს ავგაროზი ჰქონდა მეფეს, ბრძოლადან ყოველთვის უვნებელი გამოვიდოდა. ქალს ძალიან მოსწონებოდა სარტყელი და იმისთვის მოჰბრუნებოდა გული ლევანზე. ისიც გაჰხარებოდა ქალს, რომ ლევანი ისევ შეიყვარებდა მას, დაუბრუნდებოდა, გატეხილ გულს გაუმთელებდა და რახან პირველი ცოლობა არ აღირსა, მეორე ცოლად მაინც წაიყვანდა. ოღონდ ლევანის გვერდით კი ყოფილიყო და თუნდ მოახლედ გაჰყვებოდა მას, უკანასკნელ მხევლად. თინათინ დედოფალს კი ვერ შეურიგდება ვერასოდეს! ხანჯლით განუგმერს მას გულს, იმ ძუძუს, რომელიც ჰხარობს ეხლა ლევანის მკერდთან შეწებებით.

- აი ამ ხანჯლით განუგმირავ გულს, რომელიც ჩემის ლევანისათვის სძგერს. გველის ისარივით ჩაესმევა აღმასი. ისე გააქრობს, წვეთსაც არ დაადენს სისხლისას, სრულებითაც არ განუბასრამს სადედოფლო ტანთსაცმელს! - ოცნებობდა ქალწული.

და სიყვარულით დაჰყურებდა პაწაწინა ლახვარს. რომელიც უბიდან ამოელო და მზის შუქზედ აპრიალეზდა.

- ადვილად მოვახერხებ ამას, როცა ლევანის მეუღლე შევიქმნები, მეორე დედოფალი: დავუმეგობრდები თინათინს, შევეტყუები და გავაქრობ საიდუმლოდ.

ლევანი ჩემია, მხოლოდ ჩემი! არ მინდა მისი დედოფლობა, მომცეს მხოლოდ ლევანი, მარტო მე მომცეს! - წამოიძახა ქალმა ჟინიანად. და გაათამაშა ასპიტის კბილისავით მკვეთრი და გესლიანი იარაღი.

ლეილას გაეგონა, რომ ლევანს სჯული ნებას არ აძლევდა მეორე ცოლი მოეყვანა, მამამაც უთხრა ეს, მაგრამ ვერ შეიგნო ეს, არცა სჯეროდა.

- ძალ-ღონით სავსე ვაჟკაცი და ერთი ცოლი! ნახევარ საქართველოს მპყრობელი მეფე და ერთი მეუღლე?! მატყუებენ! უნდათ იმედი მომისპონ და დამავიწყონ იგი. მაგრამ რომ ვერ შეიძულა ამ საწყალმა გულმა ლევანი, ჩემი მოღალატე, სხვაზედ ჩემი გამცვლელი ლევანი! რომ ვერ დაივიწყა იგი ჩემმა საბრალო გონებამ! არა, სხვა ვაჟკაცი ხელს ვერ მიაკარებს ჩემს ძუძუს: ან ლევანის მარჯვენა ტკბილი, ან აი ეს აღმასი მახვილი, ჩემი ერთგული მეგობარი! სთქვა ქალმა, ფრთხილად შეახო ვარდის ბაგე ლახვრის გამახვულ წვერს და ჩააგო იგი თვალ-მარგალიტით მოოჭვილ ქარქაშში.

36

დედოფალს არ მოსწონდა, რომ მისი მეუღლე ლმობიერად და ლბილად ეპყრობოდა ძლეულ მტრებს, რომ იგი კიდევ პატივსა სცემდა მის ტახტის წინ განრთხმულ მოწინააღმდეგეთ. უადგილო და მავნე თავაზიანობადა სთვლიდა ქმრის ამგვარ სახიერ ქცევას ჰყვედრიდა ქმარს, გაკლიაო მკვეთრი ხასიათი, რომელიც საჭიროა საქართველოს შესაკრებად და შესაერთებლად. ხოლო ამ პატივმა, რომელიც მიეპყრო გამარჯვებულ მეფეს შამხალისთვის და რომლის სამადლობელად გამოეგზავნა მას მხედარი, მთლად გააოცა ქალი და გაამწარა.

- მხოლოდ ასი კაცის მოშველება?! სწორედ რომ კადნიერებაა და თავხედობა შამხალის მხრივ! მეფეს ერთის დაკვრით შეუძლიან მოსპოს მისი სამფლობელო და გაირეკოს ისიც, მთელი მისი ხალხიც, საითაც ჰსურს, ის კი ასიოდდე კაცსა ჰგზავნის ლაშქარში, საკვირველის თავაზიანობით ეპყრობა მას ლევანი, თითქო საიდუმლო რამ კავშირით არისო მასთან შეკრული.

- ან ეს რაღასა ჰნიშნავს, რომ შამხალის ქალისათვისაც უჩემოდ გაუგზავნია საჩუქარი? იმანაც რომ მოართვა, რაღაც შანა, თითქო ძვირფასი რამ სამკაული სამეფო! იქითაც ხომ არ მიილტვის ვაჟბატონის უძღვები გული, წუნკალა ლეკის გოგოსაკენ? ახლა იქით ხომ არ აპირებს განავარდებას? შესაძლოა, ყველაფერი მოსალოდნელია ამისაგან! - სთქვა ქალმა ტუჩაკვრით.

ლეილ-ყიზის შესახებ ცოტა რამ გაგონილი ჰქონდა დედოფალს და ეჭვი გაუღვია ამ ამბავმა გულში, ხოლო ამ ეჭვმა შელახა მისი ქალური თავმოყვარება, ჩაწყვიტა რამდენიმე სიმი ქმართან მაერთებელი.

ტრფობის სიმები ხომ ისეც არ იყო ამ ცოლ-ქმარ შორის გაბმული, ახლა ნელ-ნელა წყდებოდა იმ სხვა ნაზ გრძნობათა ძაფებიც, რომელნიც აერთებდნენ მათ. მაგრამ მათ შორის მაინც იყო ძლიერი მაკავშირებელი ძალა. ეს ჯაჭვი იყო პატივმოყვარეობისაგან ნაჭედ - ნაკარნახები დიდი მიზანი, რომელმაც იმთავითვე შეაკავშირა ეს ერთმანეთის უცნობი ქალ-ვაჟი და რომელიც მხოლოდ

ასულდგმულებდა მათ ეხლანდელ ერთობას. იგი საგანი მათის მისწრაფებისა თანდათან ახლოვდებოდა და დიდების სხივით ჰმოსავდა დიდებულ მეუღლეთ. ეს მიზანი ბაგრატიონთა გვირგვინი იყო, რომელიც გაანათებდა თვის შარავანდედით მთელ საქართველოს გაერთიანებულს. თინათინმაც, ლევანმაც უარჰყვეს სიყვარული, შეერთდნენ მხოლოდ ამ მიზნის განსახორციელებლად და თუმცა ვერ შეჰქმნეს ტკბილი ცოლ-ქმრობა, განზრახვამ კი თითქო არ უმტყუნა მათ: სწრაფის ნაბიჯით უახლოვდებოდნენ თავიანთ საოცნებო საგანს.

ლევანი მხოლოდ კახთ ბატონი კი აღარ იყო ეხლა, საქართველოს ერთის კუთხის მფლობელი, იგი მეფე იყო ფშავ-ხევსურეთისა, თუშეთისა, დიდოეთისა, კახეთისა, შაქ-შირვანისა, განჯა-ყარაბაღისა და უკვე ტფილისისკენ მისწრაფოდა ძლევამოსილი.

- მალე აიღებ ტფილისს: გამარჯვება მიგიძღვის წინ. შეჰყრი ერთად ჩვენსა და მამიჩემის ლაშქარს და შეერთებულის ძალით შეესევი ციხეებს. რახან ტფილისი შენი იქნება, მაშინ ერთის დაკვრით დაიჭერ მთელ ქართლს და ჩვენი საბრძანებელი მიეყრდნობა იმერეთისა და გურიის სამზღვრებს.

- ტფილისის მითვისებით მტრად გადიკიდებ ლუარსაბ მეფეს და ბრძოლა მოგვიხდება ერთმანეთში.

- ბრძოლისა არ გეშინიან, სისხლის ღვრა კი ყოველთვის უძღვის გვირგვინისადმი მისწრაფებას. ქართველთა სისხლი დაიღვრება, გარნა ქართველთავე შესაერთებლად, გასადიდებლად, გასაძლიერებლად, ასაღორძინებლად, საბედნიეროდ. დათმობა არ შეიძლება! თუ ტფილისი სხვას დარჩა, ამაო იქნება მთელი შენი შრომა და ბრძოლები, - უთხრა ქალმა.

და მიეაღერსა, გაუნაზდა, მოუმდებდრდა, რომ მოეხიბლა იგი და მტკიცედ დაეყენებინა თვისგან ნაკარნახებ გზაზე. მოეჭდა ვაჟკაცი მეუღლეს. მოწურა იგი ძლიერის მკლავით და გარდუკოცნა ყელყური, გარნა ვნებათა უფსკრულში მაინც ვერ ჩანთქა მახვილი ჰაზრი, ვერ მოაშთო იგი მუნ, ვერც მიაძინა. ამ მკვეთრმა ჰაზრმა სული ცხოველი აღმოჰხადა მის გრძნობას აღტყინებულს და ოდეს ნივთიერად შთაინთქმებოდა ქალის არსებაში, სულით მაინც განზედ ედგა ქალს და მის დაუნდობელ ბუნებას, რომელსაც თურმე შეეძლო თუნდ იმ წამსვე დაენთხია ნაკადულებად ძმათა სისხლი, ოღონდ კი განეხორციელებინა თვისი მისწრაფება. ისე წარმოუდგა ვაჟკაცს ქალის მოქნილი სხეული, როგორც ტანი ვეფხვისა კისკასი, მსწრაფლმოდრავი, გარნა მკაცრი, სისხლის მსმელი. ფოცხვერი ეჭირა ლევანს ხელში თინათინის სახით, მას კი ქალი უნდოდა მოსიყვარულე. ლბილი, სათნოიანი, წყნარი, ნაზ ტრფობათა მახორციელებელი. და არც ეხლა იყო ცოლ-ქმრის ერთობა გულწრფელი, თავისითვე კმაყოფილი, თავისსავე არსებაში მისწრაფებისაც და მიზნისაც მსახველ-მხატველი. მათი ერთობა მხოლოდ გარეგანი სახე იყო გარდუვალის სიხარულ-სიყვარულისა, ობოლი მარგალიტის მსგავსი თაღლითი.

ბუნებას კი არა ჰსურდა შეეგნო ეს, ის არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ქალ-ვაჟის პირად განწყობილებას ან გრძნობათა ელფერს, ის ჰხედავდა მოქმედებას და ჰსახავდა ნაყოფს მოძრაობისას: დედოფალს მუცლად ელო და აგერ ახალი არსება

მეორედ შეაერთებდა ცოლ-ქმრის ბუნებას განუყრელად, მისხითი მისხამდის, სამარადისოდ.

ბევრი დრო კი აღარა ჰქონდა ბატონ მეფეს თავის თავზედ თავის ბედზედ საფიქრებლად: რაზმი რაზმზედ მოდიოდა მოზღვავებული, მოხსენება მოხსენებას მოსდევდა განუწყვეტლად, ხოლო მათ საპასუხოდ დაჰფრინავდა მეფის ბრძანება კიდით კიდემდინ აკურთხი ლაშქარი ჯვარის მტვირთველმა, დაიძრა დროშები ჯარის წინამძღვრად. სხვადასხვა გზით მიემართებოდნენ რაზმები, სხვა და სხვანაირად შემოსილ-შეიარაღებულნი, გარნა ერთის ჰაზრით ამოძრავებულნი, ერთის გრძნობით აღტაცებულნი; ერთის მისწრაფებით გამსჭვალულნი: ტფილისი მტერს ეჭირა. საქართველოს დედაქალაქი სპარსთ ეპყრათ, ქართველთა სიწმინდენი უცხოეთელთაგან შელახულ-შეგინებულნი იყვნენ და მიდიოდნენ მამულიშვილნი მტერთა განსადევნად! მთელი საქართველო დამრულიყო ამ წმიდა ადგილის განსათავისუფლებლად. დაჰვიწყებოდათ მეფეებს თუ მმართველებს შური და მტრობა, ძმურად გარდაეჭდოთ ხელი ხელს-და მიისწრაფებოდნენ საქართველოს გულის სახსნელად.

მიღელავდა ჯარი აღტაცებული და წინ უძღოდა მას წმიდა გიორგი შუბმოწვდილი. მისი თეთრი რაში ჰაერში მითამაშებდა ლაშქრის წინ და უჩვენებდა გზას გამარჯვებისას. დედას ღვთისას საფარველი წმიდა გარდაებურნა ქრისტეს მოსავ ლაშქრისათვის და ისარნი განმახულნი ვერღა შეხებოდნენ მას; ვერ გასდრეკდა მტერი. ვერც შეაფერხებდა. ეწევიან ჯვაროსანნი სურვილს, ააფრიალებენ დროშას მძლეველს მწვერვალზედ მეტეხისა და თაყვანსა სცემენ სიონთა ღვთისმშობელს სახებრწყინვალეს!

ორი გზით გაემართა ლაშქარი: ერთმა წყობამ ერწოზედ გადაიარა, სიონთან, ნადოკრალს ზევით, გადასჭრა მთა და ჩაეშვა საგურამოს; მეორემ თემმის ხეობით იარა. ორივე ლაშქარი არაგვის პირს შეიყარნენ, მცხეთის დასწვრივ. მეფემ დაათვალიერა აქ ჯარი და სათანადო განკარგულება მისცა. შეერთებულმა ლაშქარმა ტფილისისაკენ დაიწია და გამაგრდა ავჭალის ახლო, მტკვრის მარცხნივ. აქვე ახლო, მტკვრის მარჯვნივ იყო დაბანაკებული ლუარსაბის ლაშქარი. მეფეებმა ნახეს ერთმანეთი, ბჭობა გამართეს და დაასკვნეს საერთო იერიში მიეტანათ კახელებს ისანზედ, ქართლებს კალაზედ.

- ჯებირებიდან მტრის გამორეკა და განდევნა ადვილი იქნება, ხოლო ქალაქის კედლებთან ან ერთ მხარეს გაუმარჯვებდა ჩვენს ლაშქარს, ან მეორე მხარეს, და რახან ერთ-ერთი ჩვენგანი შეიჭრება ქალაქში, მაშინ ციხეების დაპყრობაც ადვილი იქნება, - სთქვა ლუარსაბმა.

დასთანხმდნენ, თუმცა ზოგიერთი გამოცდილი სარდალი კი ეჭვობდა, რადგან სწორედ ეს მხარეები ჰქონდათ სპარსთ უკეთესად გამაგრებული ქალაქშიც და ქალაქ გარედაც. ღრმა ღელე გამოლმა, ხოლო ვერის ხევი გაღმა ზედ მტკვრის პირამდინ ჯებირებით იყო გამაგრებული და ჯარი ისხდა შიგ. სპარსთ თავიანთი ძალა აქაც მოექციათ. გამარჯვების იმედს იძლეოდა ის გარემოება, რომ ლევანს თანა

ჰქონდა შირვანიდან და განჯიდან წამოღებული ზარბაზნები. ეკვეთნენ მტერს. ლუარსაბმა ვერ გააპო წინა სიმაგრეები. მტერი არ გამოვიდა ჯებირებიდან. ქართლელებმა ვერ შესძლეს თავს დაეარათ მტრისათვის, რადგან ზევით და ზევით ხევი უფრო ცუდი გასავალი იყო და თანაც მტრის ცხენოსანი ჯარი თვალს ადევნებდა მას. ლევანმა გააპო წინა სიმაგრეები, გაიარა ღრმა ღელე და შეიძლებოდა ქალაქის კედლებს მისდგომოდა, მაგრამ აღარ წაიწია წინ: ეფიქრებოდა ლუარსაბის წინააღმდეგ მებრძოლი ჯარის ნაწილი არ გადმოსულიყო მტკვარს და ზურგადან არ მოჰქცეოდა კახთ. ლევანმა მოინდომა თავისი ჯარის ნაწილი გადაეყვანა მტკვარს და მოემწყვდია ჩასაფრებული მტერი, მაგრამ ეს არ იყო წინად მოფიქრებული: ნავტიკების ხიდი არ ჰქონდათ მზად და ვერ განახორციელა განზრახვა. დაღამდა. შეწყდა ბრძოლა. ქართველთა ჯარებმა დაიწიეს წინანდელ ადგილებისკენ.

ამ ამბავმა დააფიქრა მებრძოლნი და დაანახვა, რომ განცალკევებით ბრძოლა ხელსაყრელი არ იყო მათთვის. შეიძლებოდა გარემომოეზღლუდათ ქალაქი, გზები მოეჭრათ და შიმშილით იძულებულ ექმნათ მტერი დაჰნებებოდა მათ, მაგრამ დაყოვნება აღარ შესძლებოდა: ხმები მოდიოდა, ყეინმა გაიმარჯვა მესოპოტამიაში და მემამბოხე ივლტოდაო მის წინაშე. თუ ხმები გამართლდებოდა, ყეინს შეძლება მიეცემოდა მსწრაფლ მოეშველებინა სპარსეთისათვის ჯარიც და სანოვაგეც. ამ ფიქრში და ბჭობაში იყვნენ, როდესაც მივიდა მეფე ლუარსაბთან ნოშრევან და მოითხოვა ნავტიკები: განეზრახა თავისი რაზმით შეჰპარვოდა ქალაქს. სახიფათო ნაბიჯი იყო, სწორედ თავხედური: მთლად ადვილად შეიძლებოდა ამოეჟლიტა მტერს ეს მცირე რაზმი; მაინც დასთანხმდნენ ნოშრევანს, რადგან არ დაიშალა წასვლა.

მთვარეს დაევახშმა: ისეც ბნელი ღამე უკუნად გარდაექმნათ არეულ ღრუბლებს. რომლებს ქარი აქანებდა და აწყვეტდა ერთმანეთს. ატეხილი ქარიშხალი ზრიალით მიისწრაფებოდა ვიწროებში თუ ხევებში, ქვიშა და კენჭი მიჰქონდა თან გვალვისაგან დახეთქილ დედამიწიდან ნაგავ-ნახვეტი; ქარი თვალეხსა სთხრიდა კაცს, მისი გრიალისაგან ყურთა სმენა არ იყო. ნოშრევანი და მისი ოთხი მხლებელი მიაქანებდნენ ნავს, რომელიც ნაფოტივით ჰხტოდა ტალღიდან-ტალღაზე. შორიახლო მისდევდნენ მას სხვა ნავები თუ ნავტიკები, რომლებზედაც ისხდნენ ნოშრევანის კაცები. უჩუმრად მიჰმართავდნენ ნავებს. ზღვისპირელნი იყვნენ, ზღვაზედ გამოზრდილ-გამოჯეკილნი და მტკვრის შფოთიანი დენა ვერ შეაკრთობდა მათ. გამარჯვებული მტერი კი არხეინად იყო. ქარისა და მტკვრისაგან შეწუხებული დარაჯები ბეჭებს ამოჰფარებოდნენ და ნაბადში გახვეულებს ზურგი მიეშვირათ განუწყვეტლად მონადენ კორიანტელისათვის.

ნავები მიუახლოვდნენ ქალაქს. ნოშრევანს ეშინოდა, მტკვარი გაბმული ჯაჭვებით იქნება დაკეტილიო, როგორც თითონ ამაგრებდნენ რიონს თუ სხვა მდინარეებს, როცა მტრის შემოპარვისა ეფიქრებოდათ. მაგრამ სპარსთ ჰაზრადაც არ მოსვლოდათ, რომ შეიძლებოდა ესე გატეხილიყო ქალაქი და არაფერი არ ეზრუნვათ. შეუმჩნევლად შევიდნენ ქალაქში, გავიდნენ ნაპირას, მისცეს სახლებს ცეცხლი, მიჰმართეს კარებს. საშინელი ხმაურობა ასტყდა. შეშინებულმა მტერმა მიჰმართა იარაღს, მაგრამ სიბნელის გამო ვერ არჩევდნენ ვერაფერს და ჰხოცდნენ, ვინც კი მოჰხვდებოდათ. გაისმა ყოველ მხრიდან ზახილ-ტირილი, გადიდდა ყიჟინა, გავრცელდა შიშის ზარი ქუჩიდან-ქუჩაზედ, უბნიდან უბანში. ნახა მტერმა, რომ

გატყდა ქალაქი და მიატოვა სადარაჯოები, მიჰმართა მეტეხისა და შურის ციხეებს. დაიძრა მტერი ქალაქგარეთ ჯებირებიდან და ივლტოდა ქალაქისაკენ. დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ქალაქი სხვა მხრიდან გატყდა და ქართველთა ლაშქარმა უკვე დაიჭირა იგი. მალე მოიტანეს იერიში ლუარსაბისა და ლევანის ჯარებმაც და შევიდნენ ქალაქში. ინათლა. მთელი ქალაქი ქართველთა ხელში იყო, გარდა ციხეებისა.

დიდი სიხარული იყო ქალაქში მეორე დღეს. ქართველთა ერთობ ცოტა კაცი დაჰკარგოდათ, თითქმის უსისხლოდ აეღოთ ქალაქი სპარსთა ერთმანეთი ეჟლიტათ და მრავალი გაწყვეტილიყო. თვით ნოშრევანის რაზმს სულ ორმოცამდინ კაცი აკლდა. მოქალაქეებმა პურ-მარილი მიართვეს გამარჯვებულ ლუარსაბ მეფეს: მადლობა გადაუხადეს მის მაშველად მოსულ მთავრებსაც, ქება შესძღვნეს. ლევანმაც მიიღო მოქალაქეთაგან მილოცვა და მადლობა; ისიც ხომ მხოლოდ მშველელი იყო ლუარსაბ მეფისა, რომლისაც იყო ტფილისი. მოაგონდა ლევანს თავის მეუღლის სურვილები ტფილისის შესახებ, თვალწინ წარმოუდგა საკუთარი ოცნებაც საქართველოს დაპატრონებაზე და დაინახა, რა დიდი მზღვარი იყო ოცნებისა და სინამდვილის შუა. ეხლა რომ განზედ გამდგარიყო ლევანი და ტფილისი თავისად გამოეცხადებინა, სწორედ გააოცებდა ხალხსაც, ლაშქარსაც, ვერ მოახერხებდა! მაშინ ომი უნდა აეტეხნა ლუარსაბისათვის, ძმათა სისხლი ეღვარნა მტრის თვალწინ, ამას-კი ვერ უყაბულებდა ხალხი, ვერც იტვირთებდა თვით მისი ბუნება, და მიულოცა ლევანმაც გამარჯვებულ ლუარსაბს, თავი დაუკრა მას, მისად აღიარა ტფილისიც, საქართველოც.

პირველად რომ დაეცნენ ქალაქს, თუ მაშინ შეჭრილიყო ლევან მეფე ტფილისში და დაეჭირა ციხეები, შეიძლებოდა გამაგრებულიყო იქ და განეცხადებინა იქიდგან თვისი გულის წადილი, ეხლა კი შეუძლებელი იყო ეს; ამჟამად მოუხერხებელი გახდა გაემჟღავნებინა თვისი იდუმალი მოსწრაფება; აქ ჯერჯერობით მზღვარი ედებოდა მის განდიდების სურვილს. ძლიერ საშიშიც იყო ეხლა გასდგომოდა სხვა ქართველ მფლობელებს და მტრულად განცალკევებულიყო: იცოდა, ყენი შურს იძიებდა შირვანისა და განჯა-ყარაბაღის დარბევისათვის, ხოლო ამ შემთხვევაში ისევ საქართველოში უნდა ეძებნა მას მშველელი თუ ქომაგი. ამ მოსაზრებამ შეაფერხა ის და ნება არ მისცა მტერზედ ამოწვდილი მახვილი ძმათა სისხლით შეეღებნა დუშმანთა სამხიარულოდ. უნდა მოეცადნა, სანამ უფრო მარჯვე დრო დადგებოდა თავის მისწრაფების შესასრულებლად.

ტფილისის ციხეები მალე უომრად დაჰნებდნენ გამარჯვებულებს, სპარსთა სარდალმა მხოლოდ ისღა გამოსთხოვა მეფე ლუარსაბს, რომ ნება მიეცა უვნებელად გაეყვანა თავისი ჯარი ქალაქიდან. მეფე დასთანხმდა ამაზე, იარაღის გატანის ნება კი არ მისცა.

მეფე ლევანის ოცნებას თავის სამეფოს გაფართოვების შესახებ სამზღვარი რომ დაედვა ტფილისში, მისი პირადი თავმოყვარეობაც შეილახა იქ: ქალაქის აღების შემდეგ ლევანმა მოისურვა ნოშრევანის ნახვა, რადგან ბევრი საგმირო საქმეები სმენოდა მასზე და ეხლა თავის თვალითაც ნახა მისი თავზედური გამბედავობა და

მოსაზრების უნარი. ნომრევანი კი არსადა სჩანდა: ქალაქის ალების შემდეგ ის ცალკე გამდგარიყო, კოჯრის მხრიდან დაახლოვებოდა შურის ციხეს და იქ დაებანაკნა. მეფესა სთხოვეს თავი დაენებებინა თავის სურვილისთვის:

- მიუკარებელი კაცია, ბატონო, თავზედ ხელაღებული; მისი რაზმიც ისეთივე მოუხეშავი ხალხისაგან შესდგება და ტყუილად უბრძანებთ, არ დაგმორჩილდებიან.

ამისთანა თქმამ უფრო გააჯიუტა მეფე და მეტი ცნობისმოყვარეობა აღუძრა. წინადაც გაგონილი ჰქონდა ნომრევანის სახელი, იგი სახელი დაკავშირებული იყო მისი მეუღლის მგზავრობასთან: გურიელის წერილშიც მოხსენებული იყო ნომრევანი: სიმამრი ურჩევდა ტფილისის აღებაში დაეხმარებინა იგი. გურიელის ჰაზრი კი ვერ აასრულა მეფემ, მაგრამ დარწმუნდა, რომ მართალი იყო ნომრევანის შესახებ ხმები, და ძალიან მოუნდა ერთი მაინც დაეხედნა ვაჟკაცისათვის. გაგზავნა კაცი ნომრევანთან და მიიწვია იგი თავის წინაშე.

ნომრევანი კარავში არ დაუხვდა კაცს, იგი წასულიყო ციხის გარემო ადგილების დასათვალიერებლად. მისი ხალხი კი ნახა მეფის მოციქულმა და ძალიანაც მოეწონა ეს რჩეული ბიჭები. საღამომდინ მოუნდა ცდა დესპანს. მზე ჩასვლაზედ იყო, როცა ნომრევანი დაბრუნდა და რომ მოახსენეს, რისთვის მისულიყო ლევანის კაცი, არ ინახულა იგი, ისე გამოისტუმრა. ლევანს საშინლად ეწყინა ნომრევანის ესეთი ქცევა. იუკადრისა, აიტკრიცა, აინთო; მიმოავლო განრისხებულმა თვალი კარის კაცებს და შებრძანდა კარავში.

- მეფის ბრძანებას არ ასრულებს ვიღაცა თავხედი მხედარი, შეიარაღებული ლაშქარი კი თან ახლავს მეფეს! აქ უნდა გაჩნდეს ის ნომრევანი მკვდარი თუ ცოცხალი! მალხაზ, წაიყვანე ჯარი! - ბრძანა ნაწყენმა სარდალმა.

- რა საჭიროა ვიღაც მეკობრისთვის ჯარი?! მეც ვეყოფი მას! - სთქვა მალხაზ წერეთელმა და გავიდა კრებულიდან.

მცირე ხნის შემდეგ მიდიოდა წერეთელი კლდოვან ბილიკზე სოფელ ოქროყანისკენ. სიპზე ნასხლეტი ნალის ხმა ეფინებოდა ხევ-ღრანტეებს და არღვევდა ღამის სიჩუმეს. ხმის ამოუღებლივ მიდიოდა გაბოროტებული ვაჟკაცი. შორიახლო მისდევდა ათიოდე მხედარი. გამოჩნდა ნომრევანის ბანაკი.

- მარჯვედ იყავით! ცხენები ხელიდან არ გაუშვათ! გამოვტრიალდე თუ არა, თქვენც მოსხლიტეთ ცხენები! ბევრ საუბარს არ გავუბამ მეფის შეურაცხმყოფელს, - სთქვა და გასწორდა ცხენზედ.

მივიდნენ ბანაკში, იკითხეს რაზმის მოთავე. კარავში ბრძანდებო, მოახსენეს და მიიწვიეს. მალხაზ ჩამოხტა ცხენიდან და გაემართა კარვისაკენ. ნომრევანს შეესმა ხმაურობა და ახალუხა გამოვიდა კარვიდან. მხოლოდ ხმალი გარდაეგდო ზედ.

- შენ. ხარ ნომრევან, რაზმის სარდალი?

- მე გახლავარ, ბატონო, მობრძანდით! რაზედ გარჯილხართ?

- შენ კარგად უნდა იცოდე, რისთვისაც გავრჯილვარ! - შეძახა მალხაზმა.

და გააელვა ხმალი, მაგრამ ნოშრევანს წინადავე ეგრძნო, რომ სამტროდ მიდიოდა მასთან კაცი და მარჯვედ დაჰხვდა: აუკრა ხმალი ხმალს, წამზე დაუქნია მახვილი და წარჰკვეთა თავი. თავმოსხლილი ვაჟკაცი ერთს ხანს ცოცხალივით იდგა ნოშრევანის წინ. მალხაზის მხლებლებმა იშიშვლეს ხმალი, მაგრამ მათ გარს შემოერთყნენ ნოშრევანისანი და იძულებულ ჰყვეს დაეშვათ მახვილი, ქარქაშშივე მოექციათ იგი.

- ლევანის მაგივრად მისი მონის სისხლი! - წარმოსთქვა ნაწყენმა.

როცა ლევან მეფის პირველი დესპანი უკმეხად გაისტუმრა ნოშრევანმა, ბნელი ჰაზრი დაებადა მას: მისულიყო ბანაკში და ლაშქრის წინ განეგმირა მეფე. ეხლა, ტფილისის აღებისა და მტრის ძლევის შემდეგ, ესეთი საქმე ღალატი აღარ იქნებოდა სამშობლოს წინაშე, გული უკარნახებდა მას, მოესპო კაცი, რომელმაც მოსტაცა მას ყვავილი სიხარულისა და ჩაუშავა ყოფა. უნებლიეთ მოიქმედა ეს ლევან მეფემ, მაგრამ ნოშრევანის გული მაინც პირთამდინ იმსებოდა მისდამი შურით და ზავით, გესლი მძიმე ლიცლიცებდა მასში: ლევანის სისხლი სწყუროდა ნოშრევანს და მისთვის წარმოსთქვა იგი სიტყვა.

მოახსენეს მეფეს ეს სამწუხარო ამბავი. მან მსწრაფლ გაგზავნა ნოშრევანის დასასჯელად მფრინავი რაზმი, მაგრამ ლევანის კაცებმა ველარ ნახეს იგი: მას მაშინვე დაეტოვებინა ბინა და გასცლიყო იქაურობას. ლუარსაბ მეფემაც აფრინა მხედრები დამნაშავეს წინააღმდეგ, მაგრამ ამაოდ: მათაც ველარ ჰპოვეს იგი.

- კახთა სისხლი წაიღო თან და ჩემი შეურაცხყოფა! უნდა ზღას იგი ან თითონ მან ან მისმა ბატონმა გურიელმა! - ბრძანა გამძვინვარებულმა მეფემ.

და გაუზომელი იგი სიტყვა მეფისა ელდასავით გავარდა ლუარსაბის საშველად მოსულ გურულთა რაზმში. აღელდნენ გურულნი, გაგულისდნენ, იარაღი შეისხეს. თვით ლუარსაბ მეფის ჩარევა დასჭირდა საქმეში, რომ დაეწყნარებინა გულმოსული ხალხი. კახნიც ძლიერ გულამღვრეულნი იყვნენ, ისწრაფოდნენ სისხლი აეღოთ, სისხლით მოებანათ შეურაცხყოფა, მაგრამ ნოშრევანი გადახვეწილიყო, პირად მასზედ ჯავრის ამოყრა აღარ შეიძლებოდა და ძალაუნებურად გულშიდა იტრიალებდნენ ბოლმას. ამ სახით უკვე დაირღვა კავშირი ქართველთა ჯარში. ეხლა უბრალო საბაზიკა კმაროდა რომ უაზრო ომი ატეხილიყო მათ შორის და უბრალოდ დაღვრილიყო სისხლი. კიდევ კარგი, რომ მტერი უკვე ძლიერი იყო და აღარ იყო საჭირო ლაშქრის დაყოვნება ტფილისში.

ლუარსაბ მეფემ დიდებული ზღვენი შესძღვნა ლევანს, დიდი მადლობა გარდაუხადა მას, ძმად გაეფიცა. ლევან მეფემ ამაყად მიიღო ყოველივე პატივი. ვერც შეეძლო სიხარულს მისცემოდა აქამდის გამარჯვებას ნაჩვევი მეფე და დოვლათ-ალაფით გულსავსე მისი ლაშქარი, ეხლა ისეთ გუნებაზედა ბრუნდებოდა უკან, თითქო მტრისაგან ძლევით და არა მტერზედ ბრწყინვალე გამარჯვებით გათავებულებიყოს ბრძოლა ქართველთა.

იცოდა ნოშრევანმა, რომ ლევან მეფე შურს იძიებდა, ეცდებოდა სისხლით მოეხანა თავის შეურაცხყოფა. ეხლა ის აღარად ჩაუთვლიდა ნოშრევანს, რომ მის მარჯვე მოქმედებამ მიანიჭა ქართველებს ძლევა, თითქმის უმსხვერპლოდ ააღებინა ქალაქი. ციხეების აღებაც ეხლა გაადვილებული იყო: ციხის თავები იძულებულ იქმნებოდნენ დაჰნებებოდნენ ქართველებს, რადგან გარშემორტყმულნი იყვნენ ქართველთა ლაშქრით, ნოშრევანი აღარ იყო საჭირო ტფილისისათვის. არც შეიძლებოდა მისი იქ დაყოვნება, თორემ იძულებული შეიქმნებოდა ძმათა სისხლში შეეღებნა თავისი რაზმი, მისთვის თავდადებულ გმირთა დასი. არჩია მთლად გასცლოდა იქაურს არემარეს.

რაზმი ერთს წამს მზად იყო წასასვლელად. იქვე სოფელში იშოვეს ჩულაოზი. გადაიარეს მთა, ჩაემუნენ ვერის ხევეს ბეთანიის დასწვრივ. საცალფეხო გზით გადასჭრეს სხვა მთა და გადახედეს ქართლს. რაზმი წყნარად მიდიოდა ეხლა: ველარ მისწვდებოდა მას მდევარი და ველარცა რას დააკლებდა, თუნდ მოსწდომოდა.

მთელი გზის განმავლობაში ხმა არ ამოუღია ნოშრევანს. თავდახრილი იჯდა შავს რაშზე შავის ფიქრებით გარემოცული და ვერა ჰხედავდა ვერც გზას, ვერც თვალთწარმტაც სურათებს, რომელნიც იშლებოდნენ მის წინ. ვერა გრძნობდა დაღლას, ვერც სიმშბილეს თუ წყურვილს; არც ის იცოდა, საით მიჰქონდა იგი მის ბედის ტალღას ან რისთვისღა დაარონინებდა მას ამ ქვეყნად; გული რომ ამოჰგლიჯა მძლავრი ხელით, სულიც რად არ ამოჰხადა მტარვალმა.

მოსტაცეს თინათინი, ხელიდან წაჰგვარეს იგი მას, აგერ რამდენი ხანია მას აქეთ, მაგრამ ცხადად უდგა თვალწინ იგი წამი, თითქო გუმინ მომხდარიყოს ყველაფერი. ჰსურდა ბედისათვის გამოეგლიჯა ქალი პირიდან, წინააღმდეგობა გაეწია განგებისათვის. კიდევ შესძლებდა მას! სიყვარული შეაძლებინებდა მას ბრძოლას თუნდ მთელ ქვეყანასთან. გარნა არ იყო ნება თინათინისა! იგი სდუმდა. არ თანაუგრძნო ჭაბუკის განზრახვას ქალმა სიყვარულისაგან ნაკარნახებ მის მოსაზრებას, და უღონო იქმნა ნოშრევან უძლეველი, ვერ შესძლო ბუმბერაზმა სატრფოს სურვილთა წინააღმდეგ ბრძოლა; აქ უძლური იყო იგი, მოდუნებულიყო მისი ნებისყოფა, მოშვებულიყო. უბრძოლველად დაანება მაშინ თავისი სიცოცხლე სხვას, გულხელდაკრეფილი იდგა იგი, როცა მის წინ სიმღერით და ზეიმით გაატარეს მისი სულისდგმა. ერთი შეხედვა თინათინისა, მხოლოდ ერთი წამისყოფა მისი და ის სიმღერა სამხიარულო გლოვის ზარად გარდაექმნებოდათ მათ, ხოლო ნოშრევანისათვის ამოდუღდებოდა წყარო უშრეტის ბედნიერებისა, ღვთაებრივის ნეტარებისა. ამოდ ელოდდა ჭაბუკი ქალის გულიდან გადმონაკვეს ნაპერწკალს სიყვარულისა, ამოდ! ქალს ბრწყინვალე მომავლისათვის მიეპყრო ლამაზი თვალები, იმ სამეფო გვირგვინისაკენ, რომელი ელვარებდა მისთვის გომბორის მწვერვალიდან და მის სხივთაგან თვალმოჭრილი ველარ არჩევდა ბეჩავს ნოშრევანს, მისთვის გულმკვდარ ნოშრევანს. ველარა ჰხედავდა ამაყი ქალი ველარც თვის გრძნობას ნაზსა და ლამაზს, სისხლის ცრემლით მომტირალე თვის გულსა: ქალწული თინას გულის კვნესა ველარ აღწევდა დედოფალ თინათინის ყურთა სმენას; ამოდლა კვნესოდა გული საბრალო!

იცოდა კი ნოშრევანმა, რომ კვნესოდა თინას გული მისთვის რომ მისკენ მიისწრაფებოდნენ ქალწულის ნაზი გრძნობები. მაშინ ამიტომ აედევნა მას ნოშრევანი

გზა-გზა, მხოლოდ იმ წამისყოფის მომლოდინე, როცა ქალი შეისმენდა თავის გულისთქმას და მიმოიხედებოდა ნოშრევანის დასანახად, ხმას ჰყოფდა მის სასმენად. მაშინ მოეხსნებოდა ჭაბუკს იგი ჯადო, რომელი უსპობდა უნარს მოქმედებისას. ამ გზაზე იყო, პირველად რომ დაანთქრია ნოშრევან მოძმის სისხლი, სამხიარულოდ და მხიარულად მიმავალ მოძმის სისხლი. უბედური! რად ინება გულგამეხებული ნოშრევანის წინააღმდეგ მახვილის ამაღლება? განა ის არ ჰკმაროდა ჭაბუკს, რომ ბედს ისარი ჩაესვა მის გულში გესლიანი?!

გადმოსცდა მაშინ მაყრიონი კორტოხს და გაწყდა ნოშრევანის უიმედო იმედის ძაფიც. რაც უფრო უახლოვდებოდა ქალი თვის საბრძანებელს, მით უფრო მეტი მხიარულობა ეტყობოდა მას; იგი თანდათან ივიწყებდა ნოშრევანსაც, თვის მამის სახლსაც, მთელ გურიასაც; ეთვისებოდა იგი ქმრის უცნობ სახეს და ახალს საბრძანებელს. ნახა ეს ნოშრევანმა და სასოწარკვეთილებამ მოიცვა იგი. აკი მოისურვა კიდევ თავის მოკვლა, მაგრამ არ მისცეს ნება, ხელიდან გამოსტაცეს მახვილი. მას აქათ ეძებს ნოშრევანი სიკვდილს, მაგრამ სიკვდილმა დაივიწყა იგი. რამდენი ბრძოლა გამოიარა მას შემდეგ, რამდენჯერ პირისპირ შეხვდა სიკვდილს, მაგრამ ამაოდ! სიკვდილს ხელი აედო მასზე. სიცოცხლე კი არ უნდოდა ნოშრევანს! სრულებით აღარა ჰსურდა! რისთვისღა უნდა იცოცხლოს ან ვისთვის?!

- ჩემს ხელთ იყო ბედნიერება და ვერ ვიპყარ იგი, განვიცადე სიტკბოება გარდუვალი და ვერ ვეუფლე მას თუნდა ძალით, თვით სატრფოს უნებლიეთ! - სთქვა ნოშრევან.

და ამოიკვნესა საბრალოდ. მოაგონდა ის წამი, როცა პირველად მოჰხვია ხელი საყვარელს და იგრძნო მისი თბილი ტანი. ეს მაშინ იყო, გაგიჟებულ ცხენიდან რომ გადმოიღო ქალი. გაიხსენა ის ნეტარი წამიც, ის საარაკო წუთი, რომელი განიცადა მან, ოდეს თვით ქალმა განუცხადა მას სიყვარული, ოდეს დაჰკოცნა სუნნელოვანმა. ისე ცხადად წარმოუდგა ნოშრევანს სატრფო, რომ ეხლაც კი იგრძნო მისი ტანის სინაზე და უიმედო სურვილმა დახარა ვაჟკაცი, ცხარი ცრემლით აატირა-ააქვითინა.

- აღარა მსურს სიცოცხლე, ვისწრაფი სიკვდილისადმი, სხვებს კი ჰგონიათ მხოლოდ ჩემი უშიშრობაა ეს, შემმართებულობა! ამან მომიპოვა ნდობა ჩემის ამხანაგებისა, ამან გარდაქმნა იგინი მორჩილ მონებად ჩემს ხელში. ცეცხლი თუ წყალი სულერთია იმათთვის, ოღონდ მე ვუძლოდე წინ. ბრმადა სწამთ ჩემი ბედი, ჰგონიათ, სიკვდილიც ილტვის ჩემს წინაშე... რად მინდა ეს სახელი, ან საარაკო გამარჯვებანი, რას მოელი მათგან! მხოლოდ მოსპობას ვევედრები ზეცას, იგი კი არ შემიწყალებს მე, არ მომანიჭებს დავიწყებას, არც განსვენებას, - სთქვა ნოშრევან.

და გარინდა, ჩაუქრა ჰაზრი, გრძნობა, ყოველივე მისწრაფება; ამოუშრა გული და უსულო გვამს დაემსგავსა სიცოცხლით სავსე ბუმბერაზი, მოყმენი კი მოწიწებით მისდევდნენ მას შორიახლო, ეკრძალებოდნენ დაერღვიათ მისი მდუმარება, ეშინოდათ შეერყიათ მის ფიქრთა დენა. ჰგრძნობდნენ, იცოდნენ რომ დიდი რამ სევდა აწვა მათს სარდალს, გაუშუქებელს ბნელს მოეცვა მისი სული, უსაზღვრო უიმედობას ჰბადებდა მათში მისი ღრმა მწუხარება, მისი ტანჯვა შავ-ბნელი.

გზა კი ილეოდა ჰუნეთა ფერხთ ქვეშ, მოკლდებოდა შარა გრძელი, მთა ბარს ენაცვლებოდა, ველი - ტყეს, ვაკე - ხნარცვებს თუ ხევ-ღრანტეს ძნელად სავალს. ხოლო საით მიდიოდნენ ან რისთვის, ეს არ იცოდნენ, არც სცდილობდნენ გაეგოთ; მათ სწამდათ, რომ მანამ ნოშრევანს ახლდნენ უძლეველს, მათი მიზანი იყო მუდმივ ბრძოლა ვაჟკაცური, ხოლო შედეგი განუწყვეტელის ბრძოლისა მარად გამარჯვება სახელოვანი. ეხლაც ალბათ იქით მიიმართებოდა მათი ბელადის მერანი, სადაც საჭირო იყო მისი ბასრი ხმალი; იქით მიუძლოდა მათ ღმერთიც ლაშქრობდა მარად მებრძოლი, რისხვის მომფენელი.

40

მეფე ლევანი მხიარულად არ დაბრუნდა ომიდან: გაიმარჯვა, მიზანს კი ვერ მიაღწია, ტფილისი ვერ დაისაკუთრა. ომისთვის რომ გულდასმით ემზადებოდაა წინ რომ წაუძღვა მშვენივრად შეიარაღებულ დიდ ლაშქარს, ის კი არა ჰსურდა, ლუარსაბ მეფისათვის ეშველნა ტფილისის აღება, არამედ ის, რომ სათავისოდ დაეჭირა სატახტო ქალაქი. მხოლოდ შველა რომ სდომებოდა, არც ამოდენა ლაშქარს შეჰყრიდა, არც ისე ფართედ შეუდგებოდა სამზადისს. გარნა მეფის საიდუმლო იყო ეს ჰაზრი, მისმა ხალხმა არ იცოდა ეს. გეგმა ამგვარის მოქმედებისა სიმამრისაგანა ჰქონდა ლევანს ნაკარნახები, მეუღლისაგან დაჟინებით ჩაწვეთებულ-შთაბეჭდილი, თვის პატივმოყვარეობისაგან სიამით მიღებულ-შეთვისებული, ხოლო მრავალ ბრწყინვალე გამარჯვებით გამტკიცებულ-დაჭეშმარიტებული.

- ვისღა ეკუთვნის ტფილისი, თუ მე არა, ტფილისი და მთელი საქართველო? ჩემი სვიანობა ადასტურებს, რომ მე უნდა მედგეს თავს გვირგვინი საქართველოსი, მე უნდა მეპყრას ღვთივ-კურთხეული სკიპტრა ბაგრატიონთა. ჩემის საკუთარის ხმლით დავიპყარ მთა, შაქი-შირვანი, განჯა-ყარაბაღი და მევე ვარ განგებისაგან მოწოდებული ვიპყრა ტფილისი, შემოვიერთო ქართლი, შევკრიბო მთელი საქართველო ზღვიდან ზღვამდის, მივაყრდნო ზურგი ურყეველ კავკასიონს და ჩავუდგე კვალში მაჰმადიანთა მპყრობელთ, როგორც პატრონი საქრისტიანოსი! ხალხი მიმიხვდება ამ. დიდ ჰაზრს და თანამიგრძნობს. დამეხმარება თავისსავე სადიდებლად, ასაღორძინებლად, - ფიქრობდა ომად მიმავალი ლევანი.

ტფილისზე პირველ თავდასხმის წინ თვისი ჰაზრი მეფემ გაანდო ვეზირს ქაიხოსროს. მაყაშვილი ჩაფიქრდა ძალიან და გულწრფელად მოახსენა.

- აღსრულდეს ნება უფლისა! ცხებულის სურვილი შთაგონება ზეცისა. გარნა ეხლა მე ვერ თანავუგრძნობ შენს განზრახვას.

- რატომ?

- თუმცა შენა ხარ ყველაზე ღირსეული მეფე ქართველთა და შენ შეგშვენის საქართველოს შეერთება, მაგრამ ეხლა დრო არ არის ძმათა შორის შუღლის შეტანისა. ლუარსაბ უომროდ არ დაგიტმობს არა ტფილისს, არც თავის სამეფოს; მასვე დაეხმარებიან მის საშველად მოსულნი იმერნი. ვძლევთ, ძალიან ძვირად კი დაგვიჯდება ძმათა ძლევა. გაორგულდება ხალხიც, არ იყაბულებს ძმათა სისხლისღვრას. თქვენი დიდებული ჰაზრის განსახორციელებლად სხვა დრო უნდა, უფრო მარჯვე და ხელსაყრელი ჟამი.

- ხალხი თავს დაუკრავს და მუხლთ ემთხვევა მძლეველს! იმერთა შორის გურულნი უკვე ჩვენნი არიან: გურიელს მაგ ჰაზრითა ჰყავს ჯარი მოგზავნილი, მათმა სარდალმა იცის ეს დაწყებილება.

- აღსრულდეს ნება უფლისა! უბრალო მომაკვდავი ვერ მიჰხვდება მეფეთა განზრახვას. მაგრამ გურიელიც ხომ შენ უნდა დაგმორჩილდეს მაშინ, მხოლოდ ერთს პატრონს ბაგრატიონთა საბრძანებელისა. ღმერთმა ქმნას და თავისი თვალით ნახოს მან თვისი ქალი დედოფლად, არა მხოლოდ კახეთისა, არამედ მთელი საქართველოსი.

შემდეგ ვეზირს ხმა არ ამოუღია ამაზე არც მაშინ, როცა პირველი იერიში ტფილისზე არ გათავდა გამარჯვებით და მეფეს შემთხვევა არ მიეცა გამოემჟღავნებინა თავისი იდუმალი სურვილი; არც მაშინ, როცა მოხერხებულად აიღეს ტფილისი, მაგრამ როცა თვით მეფე ლევანის ნებისყოფა შედრკა თვის გეგმის აღსრულების წინაშე.

ხალხმა ეს არ იცოდა. ხალხი ჰხედავდა, რომ ტფილისი მტერს ეჭირა, ჰგრძნობდა, რომ ქართველი სირცხვილეულ იყო ამითი და ჰსურდა განედევნა მტერი. ხალხმა მიაღწია თავის წადილს და უხაროდა გულწრფელად. ამისთვის იყო, რომ ლაშქარი ისე დაბრუნდა შინ, როგორც ქორწილიდან. ომის სახსოვრად იარაღი მოჰქონდათ დავლად: კახთ ნახევარი ერგოთ იმ იარაღისა, რომელიც დაატოვებინეს მტერს ტფილისში. მტრისაგან შემოტანილი ზარბაზნები კი არ მოხსნეს ციხეებს, ამისთანა იარაღს ვერ მოაშორებდნენ ტფილისს.

დაბრუნებისას ნელნელა ილევოდა ლაშქარი. ჩამოეცალნენ ხევსურნი, ფშავნი, თუშნი; ამათ თავიანთი გზა ჰქონდათ წასასვლელი. თვითეული თემი წარუდგებოდა მეფეს დარაზმული, დროშაგაშლილი და გამოეთხოვებოდა. მაგრამ მეფეს ვერღა იტაცებდა ეს სანახავობა, ვედარც ამხიარულებდა მას იგი: დაფიქრებულებოდა ბატონი, ვერაფერს ვერ გაეფანტა ჯავრის ღრუბელი მის სახეზე, ვერც განედევნა ბნელი მის ჩაღრმავებულ თვალეზიდანს.

ალაზანს რომ გასცდა მეფე და მისი ძლევამოსილი მხედრობა, მას შემოეგება ალავერდელი და მთელი სამღვდელოება. პარაკლისი გარდიხადეს სამადლობელი. მღვდელთ-მთავარმა შეაქო მეფე, რომლის ხმალი ნაკურთხი იყო ზეცით და განმახვული საქრისტიანოს დასაცველად, ჭემმარიტი სჯულის გასავრცელებლად, ისლამის და აგარიანთა დასამხოვ-დასათრგუნად, შეადარა მისი ამხედრება ჯვაროსანთა ბრძოლას განსათავისუფლებლად იერუსალიმისა.

- ქართველთა იერუსალიმია ტფილისი; იქ არის ჩვენი სიონი და მას შინა ჯვარი ვაზისა; იქა სდგას ბაგრატიონთა ტახტი ღვთივ კურთხეული; იგი გული საქართველოსი, აკვანი ჩვენის ძლიერებისა; იგი წმიდა-წმიდათა არს ქართველებისა! ვინც აღსდგა მის სახსნელად, ნაკურთხია მისი მარჯვენა; ვინც შესწირა მას სიცოცხლე, მოწამეა იგი წმიდა, ქრისტესათვის სისხლის დამთხვევი! და შენ, მეფეო დიდებულო, არ დაგიკარგვის ღვაწლი ესე ამ ქვეყნად, არც წინაშე მეუფისა! სახელი შენი ბრწყინვალედ აღიბეჭდების ქართველთა მატთანეში, ქართველთა გულში და წიგნსაცა შინა საუკუნისა მის ცხოვრებისა!“ - დაასკვნა სიტყვა მღვდელთმთავარმა.

ტაძრის ფართე ეზოში და მის გალავნის გარემო გაიმართა გამოსათხოვებელი მეჯლიში და გულხალვათმა კახურმა მხიარულებამ დაატკბო სუფრა მეფური.

41

მშვიდობა გამეფებულიყო ლევან მეფის საბრძანებელში. გარეშე მტერი ვერღა არყევდა მის სიწყნარეს. შაჰ-თამაზს უკვე გაემარჯვა, დაემარცხებინა მოწინააღმდეგე, მაგრამ ჯერ მთლად ვერ გაენადგურებინა იგი და ჯერ არ ეცალა მოეპყრო მახვილი ჩრდილოეთისკენ, რომ აღედგინა აქ თვისი სახელი. მტერი განდევნილი იყო მთელი საქართველოდგან. ქართლის მეფე ლუარსაბ გულწრფელად ჰმეგობრობდა ლევანს. ლეკი მოწიწებით გადმოჰყურებდა ძლევადასილ მეფეს და იქაურნი მმართველნი ეძიებდნენ მასთან კავშირს თუ მეგობრობას. სამეფოს მმართვეა და განგებაც არ ეწვა ლევანს მძიმე ტვირთად: გამოცდილნი ბჭენი ერტყნენ გარს, თავდადებულნი. მეფობდა ლევანი ბედნიერად: ნადირობდა, ბურთაობდა, ლხინობდა, ნადიმობდა; იშვებდა გალალბული.

გარნა ცხოვრება არავისთვის არ არის მხოლოდ სიხარული, არც თვით მეფეთათვის. ყველასა აქვს დარდი რამ, ყველას სდევს კაემანი, როგორც აჩრდილი. ლევანსაც ჰქონდა სევდა საიდუმლო და თანა სდევდა მას იგი ვარამი. მისი სევდა მისსავე ოჯახში ჰყვავოდა შავად და იგი კაემანი იმ ყვავილიდან ფშვენდა მარად.

ლევანს იმთავითვე არ აკავშირებდა მეუღლესთან არც ნასახი სიყვარულისა. მათი კავშირი მხოლოდ მოსაზრების შედეგი იყო. ვერც შემდეგ გაათბო ამ კავშირმა მათი გული ერთმანეთისათვის, თუმცა დედოფალს უკვე მეორე ვაჟი ეჭირა ხელში, პატარა იასე. ვერ შეეჩვივნენ მეუღლენი ერთმანეთს, ვერ შეექსვენენ ისე, რომ ერთმანეთის მახლობლობა, ერთმანეთის ხმის სმენა, ერთად ყოფნა, ერთად სუნთქვა საჭიროდ გამხდარიყო მათთვის, სასიამოვნოდ, სასიხარულოდ. ერთადერთი გრძნობა გადატყორცილი კაცისაგან ქალისადმი იყო სიბრალული, მაგრამ ეს ნაზი გრძნობაც ილეოდა, მქრალდებოდა, რადგან თინათინი ძალს იკრებდა თანდათან, მრისხანე ხდებოდა, სასტიკდებოდა; იგი სრულებითაც აღარ მოსჩანდა სუსტი, არც შესაცოდ-შესაბრალისი. მართალია, გრძნობათა გარეშე მდებარე საბელიც აკავშირებდა მეუღლეთ, დიდებისა თუ პატივმოყვარეობის გრდემლზედ გამოჰყედილი ჯაჭვი, მაგრამ ეს კავშირიც დაიმსხვრა, როდესაც ტფილისის აღების შემდეგ დედოფლისათვის მთლად გამოირკვა, რომ ლევანმა უკუაგდო ოცნება თვის სკიპტრის ქვეშ საქართველოს შეკრებისა.

ხალხი რომ დღესასწაულობდა სამშობლოს ხსნას და ჰმადლობდა გამჩენს მოწყალეებისათვის, მეფის სასახლე მხოლოდ გარეგნობით იზიარებდა ერის აღტაცებას, მხოლოდ დასანახად, თორემ სასახლეს იგი გამარჯვება სრულებითაც არ ახარებდა. სამგლოვიარო საქმედაც კი მიაჩნდა იგი სასახლეს, სავალალოდ. რას წარმოიდგენდა გულუბრყვილო ხალხი, რომ მათი დედოფალი უფრო კმაყოფილი იქმნებოდა, ისევ მტერსა სჭეროდა ტფილისი, სინამ მეფე ლუარსაბს; რომ იგი ირჩევდა ხმალი გადასტეხოდა ლევანს ვადაში, არ კი ეხმარა იგი მტრის საძლეველად.

- დაუმკვიდრა ტფილისი ლუარსაბს, თავისი ხელით მიართვა მას გვირგვინი საქართველოსი და ტახტი სამეფო. ამით თითონვე აღიარა თავი თვისი

ქვეშევრდომად ლუარსაბისა, მის მონად. რადღა ატარებს გვირგვინს, ან რომელი უფლებით, თუ იგი მხოლოდ მმართველია საქართველოს მარტო ერთი კუთხისა?! აწ მხოლოდ კახთ ბატონია ლევანი ერთი მთავართაგანი, რომლის მისწრაფება მარად შეზღუდვილი უნდა იყოს მეფისაგან, რომლის ტახტი მხოლოდ საფეხურიღაა ბრწყინვალე ტახტისა!

- რითღა გაირჩევა ლევან ნოშრევანისაგან? მხოლოდ მით, რომ ამისი საბატონო უფრო ვრცელია და მდიდარი! თითონ ლევანი კი ბევრით განირჩევა ნოშრევანისაგან: იგი ახოვანი და შემმართველი, ერთი მუჟა ხალხით საარაკო საქმეების მომქმედი, ეს კი მოკრთალებული, ლაშქართა სიმრავლეზედ დაყრდნობილ-დამყარებული, მათით გულადი; იგი თავისუფალი, თავის ხმალს მინდობილი, უშიშარ-შეუპოვარი. ეს კი მხდალი, რომელსაც ვერც კი გაუბედნია გულახდილად გამოსთქვას თვისი სურვილი.

- ნოშრევანი არ იყო, ლევან ჩემო, ბურთივით რომ გადმოგიგდო ტფილისი ჰოროლის წვერზედ, შენ-კი შეკრთი, ვერ გაბედე ხელის მიშველება, განზედ გაჰხტი მის სიდიადის წინაშე და ლაჩრად დაუთმე იგი სხვას? მერე მისი ახოვნებით და სიმარჯვით მოხიბლულმა მოისურვე გენახა იგი, შეგეხედნა რაინდისათვის და უბრძანე გამოცხადებულიყო შენს წინაშე, გხლებოდა ბატონს. ვერ ეწიე სურვილს! ბუმბერაზმა თავი არ მოიხარა მეფის წინაშე. თავისუფალია იგი, როგორც ქარიშხალი, ამაყია იგი, როგორც არწივი: ვერ გისმენდა, ვერ დაგემონებოდა! ვერც ვერაგობით მოსპობდი მას: ღმერთი ჰფარავს ყოვლად ძლიერი! შენი ჯალათის მახვილი ვერ შეიქმნებოდა ღირსი დასწაფებოდა მის სპეტაკ სისხლს. აფსუს, რომ ნოშრევანის ხმალი შეიბღალ-შეიმწიკვლა ღალატად მისულ კაცის უღირსი სისხლით! მაგრამ არა: ისე თურმე მოჰკვეთა წერეთელს ვერაგი თავი, რომ სისხლის ცვარიც არ დააჩნდა მის აღმასის მახვილს, - ამბობდა დედოფალი.

და საარაკო არსებად წარმოსდგომოდა ქალის აღტაცებულ ოცნებას ნოშრევანი. გადიდებულიყო მის გონების თვალწინ, შეემოსა სიკეთე ყოველივე, გაბრწყინებულიყო და საოცარ ბუმბერაზად იდგა მის წინ; ხოლო გვირგვინოსანი მეუღლე მისი დაკნინდა, დამცირდა და წარსდგა მის წინ, როგორც მომაკვდავი უბრალო, ადამიანი ჩვეულებრივი, ხოლო შემთხვევით სკიპტრის მპყრობელი და მოწეულშემოსილი.

- აი ამისთვის დავთმე ჩემი სიყვარული, გავუპე გული ჭაბუკს ტრფიალსა, უარვყავ იშვიათი სიტკბოება სულისა! ამას შევსწირე გული ჩემი, ქალობა უმანკო ჩემი!

- აახ! რად მაცთუნე, სატანავ ბილწო? დამისახე დიდება ბრწყინვალე, გაჰშალე ჩემს წინ ქვეყანა ჩემი ზღვიდან ზღვამდის, აღამაღლე ტახტი ჩემი უმაღლეს მწვერვალთა მათ თოვლიანთა, გაჰფინე ჩემს წინ საუნჯე ხმელთა თუ ზღვათა, დამადგი თავსა ზედა გვირგვინი ქვისა მისგან პატიოსნისა, სანატრელ მქმენ დედათა შორის, ხოლო ნაცვლად მთხოვე მარგალიტი სიყვარულისა ქმნილი ჩემს გულში ნაჟურთაგან ჩემთა გრძნობათა. ხომ მოგეც იგი მარგალიტი ობოლი და რადღა მეცრუვე? რა უყავ იგი აღთქმანი? რად გატეხე პირი, მარად თაღლითო?

და წარსდგა დედოფლის წინ სატანაილ პირმქისი, განძვინებული, ცეცხლთა მფრქვეველი.

- ნუ მგმობ, მომაკვდავო! ამაოდ მრისხანებ! ფიცი ჩემი იყო მტკიცე და აღვისრულე-ცა დანაქადი: დედოფალი ხარ დიდებული, თუ გიმკობს შარავანდედი ბრწყინვალის გვირგვინისა, გმორჩილებს ზეამაღლებულს მრავალი ათასი, შენს ფერხთ ქვეშ განრთხმულია კუთხე სამოთხისა, შენს წინ გაშლილია საუნჯე ყოველგვარი; თავს გადგა მეუღლე - მეფე, ვაჟკაცი ქართველი, შემმართველი; ხელთ გიპყრია ძე ორი ოქროს-ქოჩრიანი; შენ შემოგნატრიან ყოველნი დედანი, ვითარცა დედოფალს და დედას ბედნიერს. და რა წარვილე ნაცვლად ამისა? - მხოლოდ ქრთილი სიყვარულისა! არ გქონდა სიყვარული სრული; ჩემგანაც კი უძლეველ-შეუხებელი. გარნა უძლებია გული დედაკაცისა: იგი ისწრაფვის იქმნას, ვითარცა ერთი ღმერთთაგანი! რა ვუყავ იგი ქრთილი სიყვარულისა? - დავფალ უფსკრულში, რომ არ აღორძინდეს იგი ქვეყანაზედ: სიყვარული იგივ ღმერთთა ხორცშესხმული, რომელს ვეწინააღმდეგე დასაბამიდგან სოფლისა.

42

ეს სულისკვეთება დედოფლისა არც ახალი იყო, არც წამიერი და წარმავალი. ის დაიწყო პირველსავე დროდგან მისის მეუღლეობისა და ძლიერდებოდა დღითიდღე, რადგან დღითიდღე იზრდებოდა ქალის პატივმოყვარება. თინათინისაგან ოცნებაში დასახული ბაგრატიონთა გვირგვინის შარავანდედი უფრო და უფრო ბრწყინდებოდა და მეტისმეტად სანდომი ხდებოდა, მსწრაფლ სასურველი. ეს მისწრაფება იპყრობდა, იმონებდა ქალის ბუნებას, და სჩრდილავდა მის მდებრობას: დედოფალმა მთლად დასძლია მასში დედაკაცი. ისწრაფვიდა ქალი თავის მიზნისაკენ და იქითკენვე მძლავრად იწვევდა თვის მეუღლეს, რომელიც ვერ იყო მთლად განმსჭვალული ამ ჰაზრით თუ განზრახვით, არც ისე სწრაფად და შეუდრკომლად მიილტვოდა ამ საბოლოო მიზნის განსახორციელებლად. ლევანში ვაჟკაცი მთლად არ ჩაენთქა მეფეს, მას არ დაჰშორებოდა პიროვნული საყოველთაო მოთხოვნილებანი. მეფე რომ იყო ლევანი, ადამიანადვე იყო დამრჩალი, ხორცშესხმულ ადამიანად, რომელს უნდოდა ჟამით-ჟამად განრინება სამეფო საქმეთაგან, ჰსუროდა დროთი-დრო ქალის ლბილი სიტყვა თუ ალერსი, ჰსწყუროდა ხანდისხან ცოლის თბილ მუხლზედ მიედო ზრუნვათაგან დაღლილი და სამეფო გვირგვინით დამძიმებული თავი.

თინათინს კი არ ესმოდა ეს, ის კი ვერა გრძნობდა ამას: იგი გამოჰყვა ლევანს, როგორც გვირგვინოსანს და რომ იგი მეფე თანაც მომაკვდავი იყო უბრალო, ჩვეულებრივ მოთხოვნილებათა პატრონი, ეს ვერ შეეგნო ქალს, ვერც ეგრძნო ცხადად. ან კი რითიღა უნდა ეგრძნო ქალს ყოველივე ეს, როდესაც მას სხვისთვის გაეტანებინა თვისი გული, გრძნობათა იგი შესაკრებელი?

ქალის ამგვარი შეხედულობა იყო იმისი მიზეზი, რომ სასტიკად აწყენინა ქმარს სწორედ იმ დღეს, როდესაც იგი დაბრუნდა ტფილისიდან თავის სასახლეში. მთელი დღის ქეიფ-ზეიმისა და განცხრომის შემდეგ ბატონი მეფე მიაცილეს მის სავანესთან, სადაც ის მეფე კი აღარ იყო, რომელსაც გარეგნობისათვის უნდა მიექცია სასტიკი ყურადღება, არამედ მხოლოდ ვაჟკაცი იყო ნაქეიფარი, თავის ცოლ-შვილში

ოჯახურის დატკობის მსურველ-მომლოდნელი. დედოფალი ტახტზედ იჯდა, მარცხნივ ოდნავ დაჰყრდნობოდა მუთაქას, მოშლით ებურა თავსაფარი, გულისპირი მცირედ ჩაჰსხნოდა. ლევანმა რომ დაინახა ქალი, შეუნდა იგი, წაესწრაფა მისკენ და გაშალა მკლავი მოსახვევნად. ქალმა პირი მიიბრუნა და მარჯვენა ხელით უარჰყო იგი, მოიშორა. ქმარს ეს ნაზობა ეგონა, კდემით გამოწვეული მოძრაობა და ეშხით მოექდო ქალს, მაგრამ მან არ მიიღო ალერსი, გაიბრძოლა.

- აქაც შეიძლება არ აღსრულდეს შენი ნება, შენ კი გგონია, მხოლოდ ტფილისში არა სრულდება შენი სურვილები.

- რა გინდა მითხრა? - შეეკითხა ქმარი და მკლავები ჩამოუშვა.

- კარგად იცი! ტფილისში შენ მხოლოდ სხვის სურვილს ემსახურებოდი; იქ პაწაწინა რაზმის უფროსიც კი არ გმორჩილებდა.

ეწყინა მეუღლის სიტყვა ლევანს, მაგრამ მაინც თავი შეიმაგრა.

- ამაოდ მისაყვედურებ! სახელმწიფო მისწრაფებებს თუ საზოგადო საქმეებს დიდი მოფიქრება უნდა და სიფრთხილე, იმ გარემოებებში შეუძლებელი იყო სხვანაირად მოვქცეულიყავ: ტფილისის დაჩემებას ვერ შევძლებდი მაშინ, რადგან მტერს ჯერ ისევ ეჭირა ციხეები, მეტადრე, თუ მტრის თვალწინ დავღვრიდი ძმათა სისხლს. უეცრად არა ხორციელდება დიდი ჰაზრი.

- მაინც რომელ მოხერხებულ დროსღა ელოდები?

- არ მსურს ეხლა ამ საგანზე ლაპარაკი, არც ამის გუნებაზედ ვარ. არ მსურს ამ განკერძოებულ სავანეშიც მოიპოვოს ზრუნვამ ადგილი. ეჰ, გეტყვი, რა გაეწყობა?! ჩვენს ფრიად დიდ მიზნის მისაღწევად ძლიერი მაშველია საჭირო, საქართველოს გარეშე მდგომი მოკავშირე. სპარსეთი აღარ ვარგა ამ მიზნისათვის, შეურიგებელ მტრად გარდავიკიდე ის; ხონთქარი შორს არის და ძნელიც არის მისი მინდობა; ჩვენი ერთრჯული რუსეთი კი გამოდგება ამ დიდ განზრახვისათვის. განვიზრახე მას მივაყრდნო ზურგი და ისე გადავდგა ნაბიჯი საბოლოოვ.

- ამაო თქმა! ტყუილი ნუგეშები! დაგიკარგავს იმედი ღვთისა და შენის თავისა, ყავარჯენს ეძებ მოუძღურებელი. „წყეულ იყავნ კაცი, რომელსა სასოება აქვს კაცისა მიმართ და განამტკიცოს ხორცი მკლავისა თვისისა მას ზედან და უფლისაგან განსდგეს გული მისი!“... ტფილისი ჩვენი იყო: ჩვენი მეომარი შევიდა პირველად, მამაჩემის მოყმე ნოშრევანი, იმან გაგიღოთ კარი ქალაქისა და ჩვენზედ იყო უპრიანი იგი ქალაქი. ტყუილადღა ელი რასმე, გვიანღა არის! აწ განგება თითონ მოჰნახავს უფრო ღირსეულს, რომ დაადგას გვირგვინი მთელის საქართველოსი, - სთქვა დედოფალმა და სდუმდა.

სდუმდა მეფეც.

- ნოშრევანმა რაღა დაგიშავა, რომ მოისურვე მეფურად-დაჯილდოება მისი და წარუგზავნე ჯალათი თავის წარსაკვეთად?

- მე წარვგზავნე ჯალათი მისდა თავის მოსაკვეთად?! მე მსურდა მოსპობა იმ გმირის? სტყუი! მე მხოლოდ მინდოდა მენახა და პატივი მეცა იმ საარაკო ვაჟკაცისათვის, მაგრამ ალბათ ზრდილობა არ შესწევდა მას და განმარისხა.

- განგარისხა და განგაწბილა!

საშინლად ეწყინა მეფეს ეს უკადრისი თქმა გესლიანი, აინთო და რომ უკიდურესი რამ არ ჩაედინა, მსწრაფლ ასწია ორხო და გავიდა სხვა ოთახში.

სასახლეში კი იშვებდნენ და იხარებდნენ, მისცემოდნენ განცხრომას და განისვენებდნენ, სიამე დამკვიდრებულიყო ყველგან, გარნა ვერ ეპოვა მას კარი მეფის სავანისა, ვერ შეეშუქებინა იქ, ვერ გაენათებინა იგი ბინა, ვერც დაეთბო, სხვებს კი ეგონათ, ბედნიერების ღმერთს იქ დაუსადგურებია და სწორედ დაუბერტყია სიამით სავსე თვისი კალთაო. რა იცოდნენ, რომ მეფის სარეცელზე უარყოფას ეძინა ცივს და არარაობას უგულოს! რა იცოდნენ, რომ იმ ჟამს სასახლის უკანასკნელი მხევალნი თუ მონანი უფრო ბედნიერნი იყვნენ, სანამ გვირგვინოსანნი პატრონნი მათნი!

43

გაენათებინა ბედნიერების შუქს კოწიას ოჯახიც. გაელიმებინა იქ წყნარი სიხარული. მათ სუფთად მოწყობილ ბინას მზრუნველი ხელი ეტყობოდა: თაროზე დამწკრივებული წკრიალა ჯამ-ჭურჭელი ერთმანეთს ეჯიბრებოდა სისუფთავეში: ფარდაგებით დაფენილს და იანაალით დამშვენებულ ტახტს ჭრელი მუთაქები ამკობდნენ თავსა და ბოლოს, ჭრაქი ენთო მაშხალაზე და ალი წყნარად მიმოირხევოდა, ხან მალლა აიწევდა, დაწვრილდებოდა, ხან გვერდზე გადიხრებოდა, ან ჩაიკეცებოდა, გაინაბებოდა. სანათის შუქის მოძრავობას ასდევდნენ ოთახში აჩრდილნიც: ირყევოდნენ, ქანაობდნენ, იზრდებოდნენ, იძაბებოდნენ, შემოკლდებოდნენ, მცირდებოდნენ. ტახტზე ხარატული აკვანი იდგა და შიგ ეძინა პაწაწას. იქვე მოეკეცნა მარიკას და ჰკერავდა. გვერდით მოსჯდომოდა მას დედოფლის მხევალი გულქანი და ემუსაიფებოდა. კოწია მოშორებით იჯდა. ცოლქმარი თითქმის მოკრძალებით ეპყრობოდნენ დედოფლის საყვარელ მხევალს. თითონაც ხომ ძალიან კარგი გულისა იყო გუქა. მხევალი არასოდეს არ ჰშორდებოდა დედოფალს, მის ახლო ოთახში ეძინა, რომ პირველ ბრძანებაზედვე იქ გაჩენილიყო. ეხლა რამდენიმე-წუთით შესულიყო კოწიანთსა, რადგან ქალბატონი და ბატონი უკვე სარეცელზე ეგულეობდა. მაინც კი შორს არ იყო: კოწია და მისი ცოლი თინათინსვე ემსახურებოდნენ და მის პალატების ახლო ჰქონდათ ბინა. გუქა ხანდისხან შევიდოდა ხოლმე მათთან, ამ ტკბილად მოწყობილ პაწაწა ოჯახში სულით ისვენებდა იგი. გაისმა ვერცხლის წკრიალი: დედოფალს გულა გადაეგდო თასში და უბრძანებდა. მხევალი მსწრაფლ წარსდგა მის წინაშე. თინათინი ტანთ გაუხდელი დახვდა მას, ჯერ არ მოესვენა. ძლიელ აღელვებული სჩანდა იგი, შუბლშეკრული, მრისხანე. მხევალი შეკრთა, შიშმა აიტანა და შეძრწუნებული დაეცა ქალბატონის წინ.

- შემინდე დედოფალო! კოწიანთსა გავედი ერთს წამს, მეგონა, რომ უკვე მოისვენე.

თინათინს შეეცოდა ათრთოლებული მხევალი და ააყენა.

- არა, საბრალოვ, შენ არ გიწყრები; სევდა შემომაწვა და მისთვის გიხმე - სთქვა დედოფალმა.

და ველარ შეიმაგრა თავი, მოეხვია თავის ერთგულ მხევალს, ჩაეკრა ლოყით მკერდში და აქვითინდა. გუქამ მოჰხვია მას მკლავი და თქმა რომ ველარ მოახერხა ვერაფრისა, გულში ჩაიკრა იგი, როგორც არსება სასომიხდილი, უმწეო, საბრალო, გარნა საყვარელი. მძლე თანაგრძნობას გაეთანასწორებინა ამ წამს დედოფალი დიდებული და მისი მხევალი ყურმოჭრილი, ქვეყნიურ კეთილთაგან პირთამდინ სამსე მბრძანებელი და ყოველსავე კეთილს მოკლებული ნასყიდი ქალი უბედო, რომელიც აღარც კი იხსენებოდა ადამიანთა დასში. მხოლოდ ორი ქალიდა დარჩენილიყო ამ წუთს, ერთი თვის გარეგან ბედნიერებაში და დიდებაში უსამზღვრო უბედური, ხოლო მეორე თვის სიმწირეში და დამდაბლებაში უსამზღვროდ ბედნიერი: მას ეპოვნა შეუდარი მეგობარი სულისა: აქამდისაც უყვარდათ ქალბატონს და მხევალს ერთმანეთი, მაგრამ მაინც გარდუვალი მზღვარი იდგა მათ შორის; ეხლა კი გრძნობათა სხივებმა ჩაადნეს იგი ზღუდე ყინულისა და განუყრელად შეაერთეს პატრონ-ყმა.

იქნება ამ მოძრაობაში უნებლიეთ იმანაც იჩინა თავი, რომ გულქანიც ოდესმე რჩეულთაგანი იყო ამ ქვეყნისა, თუმცა აწ ადამიანურს უფლებებს მთლად მოკლებული და დამდაბლებული. ვინ იცის!

მხევალს უნდოდა ეკითხა ქალბატონისათვის მიზეზი მისის შეჭირვებისა, გარნა სდუმდა: ალღოთი მიჰხვდა, რომ ჯერ დრო არ იყო ჰაზრთა ფარგალში გადაეტანა გრძნობათა ნადული და გონების ძაფზე აეკინდა ყველა მომხდარი. დედოფალმა გამოიტერა თავისი სევდა და მოეშვა, მოდუნდა, ძალა დაჰკარგა, მოიღვედა, ჩაიკეცა, მხევალმა მიაწვინა იგი ლოგინზე, ფრთხილად გახადა, ბავშვივით დახურა, მიუჯდა ფერხთით, მოჰხვია ათრთოლებულ მუხლებზე ხელი და სული განაბა. დედოფალი ერთს ხანს მძიმედ სუნთქავდა, მემრე ნელ-ნელა დაუწყნარდა სუნთქვა და მიეძინა.

არ იძროდა მხევალი, ეშინოდა გაეფრთხო ძილი მიქანცებულისათვის; არ ეთმობოდა მოეხსნა მკლავნი და მოეცილებინა თავი თვის დიდებულ დობილისათვის. ამ ნათელმა წუთებმა გარდასტყორცნეს იგი იმ სანეტარო დროისა და ქვეყნისაკენ, როდესაც თავისუფალი იყო ის, როდესაც დედის კალთაში ედგა თავი მოწეულით მოსილს, ხოლო მათ გარემო იკმევოდა მუშკი თუ ამბრი სუნნელოვანი; მხევალთა დასი ედგა მათ გარს და მარაოებით უგრილებდა საყოფელს; მოისმოდა ხმა წინწალთა, საკრავთა მწყობრი გუგუნნი; ტკბილნი ხმანი აჰყოლოდნენ სიმთა ჟღერას და უალერსებდა მათ ყურთა სმენას. აგერ მისი დედა დაიხარა მისკენ და ჩასჩურჩულებს საალერსო სიტყვებს, აწ მივიწყებულ საალერსო თქმას; თან კულულებს ურხევს ნაზი თითებით. ააბ! ნეტა დედაა იგი, აწ დაკარგული საყვარელი დედილო, თუ თინათინ დედოფალია იგი, დობილი სულის სწორი, ახლად ნაპოვნი, საოცნებო შეხება! ტკბილი წამები!

მეფე გამწარებული გავიდა თავის პალატაში და დაჭრილი ვეფხვივით აწყდებოდა აქეთ-იქით. რამდენი საზარელი ჰაზრი აღიძრა მის თავში, რამდენჯერ წაატანა იარაღს ხელი, რომ გული გაეპო თავის მაწამლებისათვის; რამდენჯერ

დააპირა ეხმო თავის მესაიდუმლე ვამეყი და ეხლავე მოეწყო ჯიბრზე ღამის განცხრომა, რომ ჟინიანად მოსცემოდა გიჟურს სიამეს. მაგრამ ვერც ერთი თვისი წამიერი სურვილი ვერ შეასრულა. როგორც იყო შესძლო არ გაეტანა საჯაროდ თვისი მწვავე დარდი და შეურაცხყოფა.

- სასახლეში ჰგონიათ, მათი მეფე განცალკევებულ განცხრომას მისცემია საარაკოს. დეე, ეგონოთ! თვის უბედობას თითონვე გადიტანს ლევანი, თითონვე მოუგვარებს წამალს თუ მალამოს.

მაინც ვერა წყნარდებოდა ბატონი, დელავდა, იბრძოდა. მერე მცირედ მოუყუჩდა ტანჯვა, მოუბრუნდა გული და შესძლო აფურტკნული ფიქრების დალაგება.

- არც თუ ისე ძლიერ არის დედოფალი დამნაშავე: დიდს დიდებას მოელოდა უეცარს და რახან მცირეოდნად უმტყუნა მოლოდინმა, გამწარდა, გაბოროტდა. არა, არ კი უმტყუნა მოლოდინმა, არც გაუცრუვდა იმედები, მხოლოდ ცოტა შეუგვიანდა მისი აღსრულება და ეს ვეღარ მოითმინა გულსწრაფმა.

გონებას რომ დაუწყნარდა ვაჟკაცი, თავი იჩინა მეუღლისადმი გრძნობამაც, იმ საბრალოლმა, რომელი დაჰყოლოდა მათს კავშირს. ვაჟკაცს გაახსენდა კიდეც ზოგიერთი ტკბილი წამები, რომელნიც მიენიჭებინა მისთვის მის აწ გამწყრალ მეუღლეს. მოგონებათა დასმა ისევ აღუძრა მას ნდომა, აუშალა სურვილები.

- ცოდვაა ქალი! გაწამდება საწყალი. ვინ იცის როგორ იტანჯება. ისევ მან უნდა დაუთმოს. რაინდია და როგორ შეიძლება ქალს სიტყვა აუწონოს?! წავა, მიეალერსება, დააწყნარებს, დაარწმუნებს, რომ შემდეგაც შეუჩერებლივ იმატებს მათი მეფური დიდება და ბოლოს უსათუოდ ეწევინა იმ დიდს მიზანს, რომელი დაუსახიათ მათ. შეაგონებს, რომ ამ დიად საქმის მოგვარებას მეტი დრო უნდა, დიდი მოთმინება, ღრმა მოსაზრება. როგორ არა! ყველაფერს შეასმენს მას და დააწყნარებს. მიეალერსება, შეაგონებს, რომ ღამე პირადი სიტკბოებისათვის დაუდვია განგებას, ცოლ-ქმრის საკუთარი სიამისათვის; ძუძუს დაუკოცნის, დაატკბობს. დაუმშვიდდება ქალიც! გადაეყრებათ გულიდან ჯანდი, განქრება იგი, როგორც რამ სიზმარი ძნელი. სწორედ ესე უნდა. წავალ! წავალ!

და გაემართა ვაჟკაცი დედოფლის სავანისაკენ.

ასწია ხალიჩა შესასვლელად და შესდგა განცვიფრებული. დედოფალს ეძინა ლოგინზედ; ცოტა პირადმა იწვა, მარჯვენა ხელი ბალიშზედ გადმოედვა. მარცხენა ხელით მხევლის თმას შეჰხებოდა. გუქასაც დედოფლის სარეცელზედ ჩასძინებოდა. იგი ფერხთ მოჰხვევოდა ქალბატონს, თავი მის მუხლებზედ დაედვა და ისე ეძინა. ჯალჯივით თმა გაჰშლოდა და დაეფარნა ლოგინი. შავ კულულებში ნახევრად ამოჩენილიყო ქალის სახე. შეწითლებულ ლოყაზე ნამი დაჰსხმოდა, ბალღური იერით მოქარგული ბაგე ღიმილს გაეპო: ფეხი ჩამოშვებული ჰქონდა, კალთა აჰხდოდა; შოლტივით მოქნილი ნორჩი ტანი თავისუფლად გადაზნექილიყო. ქალწული სხეულის ნაქეთებს ზედ დაჰკვროდა ლბილი ქსოვილი. წმიდა სანთლის შუქი

წყნარად იძროდა შორიახლო მდგარ მაღალ შანდალზე და ნაზი ნათელით აციაგებდა ქალწულს.

შესდგა ვაჟკაცი მოჯადოვებული; ეშინოდა განძრეულიყო, რომ არ შეეფრთხო ძილი საარაკო ქმნილებისათვის; სუნთქვაც კი ჩაინელა და ისე სტკბებოდა სურათის მზერით. მთლად დაავიწყდა ვაჟკაცს თავისი მეუღლე. მისი თეთრი ტანი მარმარილოს სასთუნალიდა ეგონა უსულო, რომელს აწ დაჰყრდნობოდა განხორციელებული ვნებათა დელვა.

შეუნდა ლევანს ქალწული, მთელი თავისი ბუნებით მოესურვა იგი; მოუნდა მიახლოება, სინორჩის ყნოსვა, ჩვილის აგებულების შეხება; თავბრუ დაესხა; მეტისმეტი სურვილი ბუშტივით მოეზვინა ყელში და სუნთქვა შეუხუთა. ქალწულმა იგრძნო მასზედ ხარბად მიმართული აღზნებულ თვალთა ძალა და შეირხა, შეიშმუშნა. ვაჟკაცი გამოერკვა, უკანვე გადადგა ნაბიჯი და დაუშვა ფარდაგი.

შეუძლებელი იყო კიდევ წაეწია წინ თუნდ მცირედ, ყოვლად შეუძლებელი! დღეს მხოლოდ ამ ხილვით უნდა დაკმაყოფილებულიყო ძლიერი მეფე, რომელმა არ იცოდა აქამდის, რა იყო ამგვარ შემთხვევაში სურვილის უარყოფა ანუ შეზღუდვა.

არ მოგვარდა ამ ჟამს მეუღლეთა შეთანხმება, შემთხვევით ვერ მოხერხდა იგი და ვერ გადნა, მათ შუა ამართული ყინულის ზღუდე თუნდ მხოლოდ ხორციელ მისწრაფებათა სხივებ ქვეშ. სამუდამოდ დარჩა ცივი კედელი მათ შორის. თანდათან უფრო გადუვალი ხდებოდა იგი ზღუდე და აშორებდა მათ ერთმანეთს. ალერსთაგან გაბმული სიმები წინადაც ხომ ძალიან ცოტა იყო მათ შორის და ეხლა მთლად ჩაწყდნენ იგინი. ჯერ კიდევ ერთად სცხოვრობდა ცოლ-ქმარი, ჯერ კიდევ გამოფენილი არ იყო მათი ერთმანეთის უარყოფა, საჯაროდ არ იყო გამჟღავნებული, ერთმანეთისათვის კი უხმარ შეიქმნენ იგინი და უცხო.

აწ სხვადასხვა გზა მიეცათ მათ:

ლევანი იმავე შარას დაადგა, რომელი გაკვალული ჰქონდა ჭაბუკობით: იწყო ფრენა ყვავილიდან ყვავილზე და თვრებოდა ნექტარით ხან ერთის გულ-მკერდში, ხან სხვისა. ვერსად კი ვერ ჰპოვებდა კმაყოფილებას სრულს. ხორცი რომ ლაღობდა, სული განმარტოებულიყო დაობლებული და ეძიებდა მეგობარს უცვლელს, მისანდოს, დამტკბარს, თავდადებულს. სცნობდა კიდევ ოდესმე ლევანი ესეთს სულის სწორს. სიზმრად თუ ოცნებაში ეხლაც ხშირად ჰხედავდა იმ მნათობს მოციმციმეს, მთის კიდურიდან რომ დაჰყურებდა მას დაღონებული.

ჰხედავდა ქმრის ქცევას თინათინი და გული ემღვრეოდა უარყოფილს. ქალს ეგონა, რომ ამ გაჭირვებულ ყოფაში ზეცა დაეხმარებოდა მას და მიაპყრო თვალნი შემოქმედს. ხორციელ კმაყოფილებას ვერ მიწევნილი უხორცო ძალთა შორის ეძიებდა სულის სამშვიდეს. და იდგა ლოცვად დედოფალი, მარად-ჟამს შეჰკლადებდა მეუფეს: ეკლესიად გარდაჰქმნა პალატი სადედოფლო.

ესეთი მიმოხვრა მიეღო მეფე-დედოფლის ცხოვრებას, ესე იყო მოწყობილი მათი ურთიერთობა, როდესაც მოხდა ამბავი, რომელმა ჩაწყვიტა უკანასკნელი სიმი მათის კავშირისა და ცხადჰყო მთელი სიცალიერე მათის ყოფისა.

ლევანს პირველადვე ხომ ძალიან თვალში მოუვიდა მშვენიერი გულქანი, პირველ ნახვაშივე დიდი ყურადღება მიაქცია მას. შემდეგაც ყოველთვის სიამოვნებით შეხვდებოდა ამ ძვირფასად ნაგებ ქალწულს, რომლის სიმშვენიერე მთლად ჰფარამდა მის მონობას და აქარწყლებდა. მაგრამ ჯერ კი არ გამხდარიყო გუქა მეფის განსაკუთრებითი ნდომის საგნად: მეუღლე ჯერ ისევ პატივცემას იწვევდა მასში და ავსებდა მის მოთხოვნილებას. შემდეგ ომებში გაერთო ვაჟკაცი, სახელმწიფო ზრუნვამ ხელი დაჰრია მას და აღარც ეცალა ნაყროვნებისა თუ ხორცთა სიამის გადაჭარბებულ მისწრაფებისათვის. ერიდებოდა კიდევ ვაჟკაცი რაიმე ბიწი შეეტანა ოჯახში, თვით მეუღლის გვერდით. ეხლა კი, როდესაც თინათინმა ვერ შესძლო მეუღლე სავსებით ნასიამოვნები ჰყოლოდა, როდესაც მან სარეცელზედაც კი დაავანა ზრუნვა ცივი და მით დააჰკნო რგული მუნ ყვავილი სიხარულისა, - ეხლა განუცხოველდა ლევანს ნდომა მშვენიერის მხევილისა. იგი ნდომა მთლადაც მოუთმენელი შეიქმნა მას შემდეგ, რაც ნახა მეუღლის სავანეში სურათი დაუვიწყარი. მძინარე მშვენიების სახე ვეღარ მოჰშორდა მის გონებას, გახურებული ოცნება სხივითა ჰმოსავდა ლამაზ სახეს და უძლეველად აღძრავდა ვაჟკაცს მის მოსასთვლელად. გარნა ვერ შესძლო ლევანმა აღესრულებინა თვისი წადილი. უღმობელ დარაჯად იდგა დედოფალი მათ შუა.

- მეფეა ძლიერი და სურვილს კი ვერ ისრულებს ვიღაცა მხევილის შესახებ! როგორ შეიძლება? სად თქმულა ამისთანა საქმე?!

და მეტის მოთმინებას ვერ შემძლებელმა ვაჟკაცმა სიტყვა გაუკრა ლამაზ მხეველზე თვის მესაიდუმლოვე ვამეყს. ამან უკვე იცოდა მეფის გულისთქმა, წინდაწინვე გრძნობდა იგი ამას და მხოლოდ ელოდდა ენიშნებინა მეფეს, რომ მყის აღესრულებინა სურვილი მისი. ვამეყმა ბანგი შეაპარა მხეველს და მოართვა მეფეს იგი საიშვიათო ნობათი. ეხლა კი ეწეოდა ლევანი თვის წადილს და საიდუმლოდაც დარჩებოდა ყოველივე: იდუმალვე გადიტანდნენ მკვდარივით მიძინებულ ქალს მისსავე სადგომში.

შემთხვევამ გამოამჟღავნა ყოველივე: დედოფალს ამ ბოლოს დროს ხშირად უკრთებოდა ძილი და ამ დროს თვისი მხევილის მეტს არავის იკარებდა ახლო. ეხლაც დაურეკა მხეველს, მაგრამ იგი არ გამოჩნდა. უეცარმა ეჭვმა დაჰკრა ქალს. გაბრძანდა მხევილისას და, რა ვერა ნახა იგი იქ, პირდაპირ შევიდა მეუღლის საყოფელში. თავისი თვალით ნახა ქმრის ტახტზედ ქალი უსულო, მზგავსი მკვდარისა.

- მრუმო უძლებო! მხოლოდ ავაზაკს შეჰშვენის ქცევა ეგე ბოროტი! - შესძახა დედოფალმა.

- გავიწყდება, დიაცო, რომ სიკვდილით ისჯება მეფის შეურაცხყოფა! - მიუგო განრისხებულმა მეფემ და წამოიჭრა ზე.

- ჰა, ჰა, ჰა! - გაიკისკისა დედოფალმა უცნაურად და გონებაშიხდილი განერთხა იატაკს.

ენკენისთვის დამდეგი იყო. კავკასიონის მწვერვალები უკვე დაეთოვლა. მზის სხივები სხლტებოდნენ სპეტაკ ფიფქზედ, კრთებოდნენ, ლაპლაპებდნენ. ისე მკაფიოდ სჩანდნენ გამჭვირვალ ჰაერში ბუმბერაზი მთები, თითქო, აქვე დგანანო. ზედ თვალწინ. ალაზნის ველს სიყვითლე შეჰპარვოდა, სიმწიფის ნიშანი. ჯერ კი ისევ დატვირთულნი იყვნენ ნაყოფით ტყე, ქალა, ზვრები, ვენახები, ბოსტნები, კეთილშეზავებულ ჰაერში სიმშვიდე გამეფებულიყო. დამდამობით კარგად გრილოდა, თუმცა დღე სითბო იდგა: შემოდგომის მზე ჯერ გულს არ იტეხდა და ძალის მოკლებას არავის არ აგრძნობინებდა. მთელი კახეთი ხატობაში ემზადებოდა: სამი დღის უკან ალავერდობა იყო, პირველი დღესასწაული მთელის კახეთისა, და როგორ შეიძლებოდა არ დასწრებოდა ადამიანი ამ შესანიშნავ დღეობას?!

დიდი მზადება იყო სასახლეშიც, მთელ გრემშიც. მთელი ქალაქი აყრას აპირებდა რამდენიმე დღით: ხატის კარს მიდიოდა დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, გლეხი თუ თავადი, ერი თუ ბერი, სასახლიდან დატვირთული ურემი ურემზედ იგზავნებოდა. სახლთ-უხუცესი დილიდან სადამომდის ფეხჩაუდრეკლად მიდმოდიოდა: სარისტას აძლევდა, თავდარიგს იჭერდა, ბრძანებდა, სთხოვდა, ჯავრობდა, უაღერსებდა, ამხნევებდა; მისი ხმა ხან აქ გაისმოდა სასახლის ეზოში, ხან იქ.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა თავისზედ დედოფლის მზადება ხატში წასასვლელად. იგი მზადება ერთობ ფართედ იყო მოწყობილი; უფრო სამუდამოდ აყრასა ჰგვანდა იგი, სანამ დროებით გამგზავრებას. არც ერთს თავისს სამკაულს არა სტოვებდა სასახლეში. საკუთარს მოახლეებს თუ მსახურებს ყველას ებრძანა თან გაყოლა. თალხებში გამოწყობილიყო დედოფალი. ჩაფიქრებულ ამაყ სახეზედ ღიმი არ მოსდიოდა. წასვლის წინ მთლად დაიარა სასახლე, მის გარშემო შემორტყმული წალკოტ-ვენახები და ეზო-ყურე. თითქო ყველას და ყველაფერს ეთხოვებოდა, ესალმებოდა, უკანასკნელად უაღერსებდა. მხევალი გუქა აჩრდილივით თანაზდევდა მას ფერმიხდილი. დედოფალს თვალთ ცრემლი მოსდიოდა, გარნა განზრახ სასტიკ გამომეტყველებას აძლევდა თვალებს, რომ ცრემლი შეემრო ზედვე. მხევალს შიში რამ აღბეჭდოდა ლამაზ თვალეში და დამფრთხალი ჯეირანივით აფეთებდა მათ. წასვლის წინ კარის ეკლესიაში პარაკლისიც ახდევინა მოძღვარს. დედოფალი მუხლმოდრეკილი ევედრებოდა უფალს: შეწევნასა სთხოვდა ყოვლად ძლიერს, რადგან ძნელი, ძლიერ ძნელი საქმე განეზრახა მას. გარს ეხვივნენ თინათინს ყვავილებივით მორთულ-მოკაზმული ბანოვანნი. გარნა სდუმდნენ იგინი: გრძნობდნენ, რომ დიადი რამ ხდებოდა მათ წინ, ვერ კი მიმხვდარიყვნენ ვერაფერს და ფრთხილობდნენ, ან სიტყვით ან თუ უბრალო მოძრაობით უხერხული რამ არ ჩაედინათ.

დედოფალმა ბრძანა ბავშვები შინ დაეტოვებინათ; მხოლოდ გამგზავრების წინ მიაცვანინა თავის სავანეში, ძიძები დაითხოვა და განიმარტოვა თავი შვილებთან. უაღერსებდა ბავშვებს, ჰკოცნიდა, გულში იკრავდა, გარნა, საკვირველი იყო, გულის სიღრმეში ისეთს წმიდა სიყვარულს ვერ განიცდიდა, როგორც ეგონა; არც განშორების წუთი იყო ისეთი მწვავე და მწარე, როგორც წარმოდგენილი ჰქონდა: ბავშვები ძალიან ჰგვანდნენ მამას. მათი მამა განხორციელებულიყო მათში და იმათ რომ ეხვეოდა ან ჰკოცნიდა, ისე გრძნობდა, თითქო ეაღერსებოდა თვის ქმარს, აწ გულიდან მთლად

ამოგლეჯილს ლევანს, მთლად ამორეცხილს. ეს წარმოდგენა ართმევდა ქალის გრძნობას შესაფერ სილბოს, სითბოს და სინაზეს.

ტრახტრევანდით გაემგზავრა დედოფალი. დაიძრა სასახლის ეზოდან დაჩარდახული ურმები და ცხენოსანი ხალხი. რაც უფრო წინ მიდიოდნენ მლოცავნი, იმდენი უფრო მეტი მგზავრი ჰხვდებოდა მათ. მთელი შარაგზა ალავერდისა სავსე იყო მიმავალი ხალხით თუ ეტლებით. ყველგან და ყველა მხრიდან მოისმოდა ცხენების თქარი-თქური, ურმების ჭრიალი, ხალხის სიმღერა თუ ხმაურობა. მლოცავნი მხიარულად მიემგზავრებოდნენ განთქმულ ხატის კარს, როგორც რამ დიდებულ ქორწილში. დიდებული დღეობა იცოდა ალავერდმა, კვირის-კვირობამდის გასტანდა იგი ობა.

მორჩა დღესასწაული, მაგრამ ალავერდიდან დედოფალი გრემს კი აღარ დაბრუნდა; ცხრაკარში მოისურვა აბრძანება. ბრძანება გასცა დაესუფთავებინათ იქაური დიდებული სასახლე და საცხოვრებლად მოეწყოთ. გაჰკვირდნენ დედოფლის ამისთანა სურვილს. გაბრძანდა თინათინ ალაზანს, აბრძანდა ცხრაკარს და იქ დაივანა. აქ, ცხრაკარის სასახლეში, განაცხადა დედოფალმა თვისი უცვლელი ნება, რომელმაც განაცვიფრა კახეთი და აალაპარაკა მთელი საქართველო. დედოფალმა მოუწოდა თვისთან ალავერდელს და უბრძანა:

- გარდავწყვიტე აღვიკვეცო მონაზონად: შეამზადე ყოველივე წესის აღსასრულებლად!

შეკრთა ალავერდელი. მას ყური ჰქონდა მოკრული, რომ ძნელი რამ უკმაყოფილება ჩამოვარდნილიყო მეფე-დედოფლის შორის, გარნა სრულებითაც ვერ წარმოიდგენდა, ამ ზომამდინ გამწვავდებოდა მათი ურთიერთობა. და დაიბნა უეცრად, ვერ მოიფიქრა, რა ექმნა ან რა გზას დასდგომოდა.

- თუ დავთანხმდე, ვაი თუ განრისხდეს მეფე. დიდებულნიც დაჰგმობენ ჩემს ქცევას; სამეფოს დამცირებად დაჰსახავენ საზარალოდ; ჩემი მოშურნენი ისარგებლებენ ამით და დამამხოვენ, მაგრამ დედოფალი იქნება განზრახ ბრძანებს ამას, იქნება ამითი ჰსურს გამენდოს და დამავალოს, ისევ დავაახლოვო მეფესთან, მოვსპო უფრო უთანხმოება სამეფო სახლში, - გაიფიქრა მოსულმა და ამ ჰაზრით შეპყრობილმა მიუგო დედოფალს:

- ძალიან მძიმე საქმე განგიზრახია, დიდებულო დედოფალო! განგებისაგან მოწოდებული ჰბრძანდები წარმართო სამეფო და არა დედათა მონასტერი.

- სამეფოს განმგებლად მეფე გყავთ ცხებული და მისნი ბჭენი დაბრძნობილ-გამოცდილნი!

- შეუმძიმდება ყოფა დიდებულს ლევანს, შენგან განშორებულს: სახელმწიფო ზრუნვათაგან დაღლილ-დაფიქრებული ვერღა ჰპოვებს იგი თვის ოჯახში სიხარულს.

- „არავინ დასდვის ხელი სახვნელსა და ჰხედავენ იგი გარეშე უკუნ!“ ლევანი კი ჩემს გარეშეც ჰპოვებს სიამეს.

- შვილნი შენნი დაობლდებიან უშენოდ, დედოფალო; მოაკლდებათ მათ ალერსი დედისა. ვინღა აღზრდის თქვენს პირმშოს ღირსეულ მემკვიდრედ ტახტისა?

- სჯობს თქვენვე აღზარდოთ იგინი, მეფემ და მის ბჭეთ და შთააგონოთ მათ თქვენივე ჰაზრი ხელმწიფობაზედ.

- იწყენს, დედოფალო, დიდებული დედ-მამა შენი; ატირდებიან ან მძიმე ამბავზედ მახლობელნი შენნი... ნუ ინებებთ!

- „ვინ არს დედაი ჩემი ან თუ ძმანი ჩემნი? რომელმან ჰყოს ნებაი ღვთისა, იგი არს ძმაი ჩემი და დაი ჩემი და დედაი ჩემი!“

- ძნელად დასარღვევია ეკლესიისაგან ნაკურთხი კავშირი მეუღლეთა.

- მრუშება უძღებისა არღვევს ეკლესიისაგან ნაკურთხს კავშირს ცოლ-ქმრობისას! - ბრძანა დედოფალმა და აღელდა, რისხვა აღეტყინა გამშრალ თვალებში, ამაყად გაიმართა წელში.

- კვირას აღვიკვეცები მონაზნად! შეამზადე ყოველივე წესისამებრ! ეს წიგნი მიართვი მეფეს და იგი დაუყოვნებლივ ადასრულებს ყოველსავე ჩემს ნებას! - ბრძანა დედოფალმა და გატრიალდა.

ალავერდელმა აიღო წერილი და თავდახრილი, ღრმად ჩაფიქრებული გამოვიდა სავანიდან.

46

გავრცელდა ხმა, დედოფალმა უარჰყო სამეფო ტახტი, ხელი აიღო ქმარ-შვილზე და მონაზონად შედგომა განიზრახაო. ამბავი იყო გასაოცარი. ვერ გაეგოთ, რამა ჰყო იძულებული ახალგაზრდა ქალი ხელი აეღო ქვეყნიურ დიდებაზე, განცხრომაზე თუ სიტკბოებაზე. ერთის დახედვით არავითარი მიზეზი არა სჩანდა ამისთანა მოქმედების გასამართლებელი. ზოგნი ასახელებდნენ ლევანის თავისუფალ ქცევას, მაგრამ ეს საკმაო საბუთად არ მიაჩნდათ დედოფლის განზრახვისათვის: დიდ ცოდვად არ უთვლიდნენ მეფე-ვაჟკაცს ამისთანა ლაღობას, უცხო ყვავილთა ჟამითი-ჟამად ყნოსვას; დიდკაცობაში არც იშვიათი მოვლენა იყო ესეთი ქცევა. მეფის თამამობა არც იღებდა უშვერ სახეს, არ აღწევდა საჯაროდ გამოტანილ ბიწიერებამდის. საიდლანაც გავრცელდა დედოფლის სიტყვა: „მრუშება უძღებისა თვითონ არღვევს ეკლესიისაგან ნაკურთხს კავშირს მეუღლობისას“. მაგრამ ძალიან უყვარდათ კახელებს თავიანთი ჭკვიანი, მხნე და ქველი მეფე; გული ნებას არ აძლევდა მათ დაეგმოთ იგი სასტიკად, როგორც სჯიდა მას დედოფალი. ხალხის თანაგრძნობა უფრო მეფისაკენ იყო. ჰყვებოდა ხალხი დედოფალს, რომ საჯაროდ გამოიტანა მეფის მცირედი რამ შეცოდება და ესე მკაცრად დაჰგმო მისი წუთიერი გართობა-გატაცებანი.

- ყველაფერი, რაშიაც მეფეს ამტყუნებს დედოფალი, მათი პირადი საქმეა და არც უნდა გასცილებოდა იგი მათ კერძო ცხოვრებას. დედოფალს არ უნდა ენებებინა

საოჯახო უკმაყოფილებების მიზეზით უარეყვა ყოველივე და შეერყია სახელმწიფო საქმეთა მწყობრი მსვლელობა; უნდა მოეთმინა!

- მართალია! სჯობდა მოეთმინა, ან სხვა რამ ზომები მიეღო თავის თავმოყვარების დასაცველად და შელახული პატივის აღსადგენად. თორემ რას ჰგავს? ყველას სალაპარაკო გახდა მეფე და ყბად ასაღები, მთელი საქართველო დამცინავის თვალთ მოახედა აქეთ: დუშმანი გაახარა, მოყვას გული ატკინა.

- მოყვარეს მაგივრად მტერი შეგვძინა: გურიელი არ დაივიწყებს შეურაცხყოფას, მტრად მოგვეკიდება; გვავენებს, თუ კი მოახერხა ვნება.

- ჩვენმა ცოლებმა თუ მიჰბადეს დედოფალს, ერიჰა! მალე გაივსება მოლოზნებით ჩვენი დედათა მონასტრები.

ქათქათობდნენ მანდილოსნებიც: ჭრელ-ჭრელ ზღაპრებსა სთხზავდნენ ამბის განსამარტებლად, ჭორს ჭორზედ ჰკინძავდნენ გამალებულნი.

- კარგად მოიქცა დედოფალი! ამიერიდან ჩვენი მაგალითი უნდა შეიქმნას იგი: არასოდეს არ უნდა აპატიო ვაჟკაცს ღალატი!

- მართალს ამბობ! როგორ შეიძლება ცოლი ჰყვანდეს და სხვებს დასდევდეს! არავის ხელეწიფებისო ორთა უფალთა მონებაო, ხომ გაგიგიათ.

- ჰო და შინ რომ ბაღლსა ჰშიოდეს, გარეთ ტაბლას რა ხელი აქვსო.

- თუ მიჰბადე დედოფალს, ჩემო ქეთევან, ძალიან კი ინაღვლებს აი შენი ნოდარი: ჰნახავ, ვისაც წამოსჭიმავს მაშინვე ზემო თაროს!

- უწინამც დღე დამელიოს! სწორედ გავალ სახლიდან და დავთმობ ჩემს გამთავნებულს ოჯახს! მარტო სიკვდილს შეუძლიან მამაშოროს ჩემს კერას!

- ქა, რა მაგ სიტყვის პასუხია და, ჩვენი მეფე ჯერ ახალგაზრდაა, განა უცოლოდ დადგება?

- რად დადგება უცოლოდ! რაკი დედოფალი მონაზონად შედგება, ნება აქვს სხვა შეირთოს: მონაზონობა იგივე სიკვდილია ამქვეყნისათვის.

ლაპარაკობდნენ ბანოვანნი, გაჰქონდათ განგაში. გულში ბევრს ოდეს უხაროდა, რომ მარცხი მოუვიდა ამაყს, მიუკარებელ დედოფალს და იძულებული შეიქმნა დაეტოვებინა სამეფო ტახტიც, მბრძანებლობაც.

თვით მეფემ რომ წაიკითხა დედოფლის წერილი და მოისმინა ამბავი ალავერდელისაგან, ჯერ შეკრთა, დაიბნა და ჭირის ოფლი დაასხა. წარმოუდგა მას თვისი სახელი განქიქებული, საზღაპროდ თუ საყვედრებლად დადებული და აირია თავმოყვარება შელახულ-განადგურებული. შემდეგ ცხადად დაესახა მას ის მძიმე წუთები, როდესაც თინათინის უგულო ქცევა ან თქმა მთლად ჩაუნელებდა ხოლმე ვაჟკაცს თბილს გრძნობას და ეშხს, გამოჰფიტავდა ცოლქმრულ ერთობას და მხოლოდ

ნაჭუჭსდა სტოვებდა მისსას, გარეგან რამ სახეს უგულოს. გაახსენდა მას ის წუთებიც, როდესაც ზვიადობით გატაცებული დედოფალი არად აფასებდა ქმრის ბრწყინვალე მოქმედებას თუ მოაზრებას, ღირსებასა ჰხდოდა, ამცირებდა და უსპობდა შეძლებას დამტკბარიყო თავისი ღვაწლით, თვის კარგ მოქმედებათა სახით. გული ემღვრეოდა ამისთანა დროს ვაჟკაცს: იგი ქებას მოელოდდა საქებ საქმისათვის თითონ მეუღლისაგანაც, ალერსი სწყუროდა დამაშვრალს, ხოლო უმადური ცოლისაგან ან სასტიკ სიტყვას ისმენდა, ან ცივ მოქცევას განიცდიდა. გაახსენდა ვაჟკაცს ისიც, რამდენჯერ მიეყვანა იგი ქალის უკაცურ ქცევას უკიდურესობამდის და იქამდინ გაემწარებინა კაცი, რომ კიდევ ენატრა მისი სიკვდილი. ყველაზე ძალიან ამ საშინელი წუთებისა ეშინოდა ლევანს; შეიძლებოდა განაწამებ მეფეს გონება აპხდოდა და დაესკვნა დედოფლის დაღუპვა. ერთი თვალის ჩაკვრა, მცირედ მოძრაობა მანიშნებელი, მხოლოდ კრინტის დამკვრა, - და მთლად მოისპობოდა თინათინ, გაჰქრებოდა თვით მისი სახელი თუ სახსენებელი. გაახსენდა მეფეს ყოველივე ეს და გულს ეგონა უცნაურად, თავისუფლება იგრძნო საგმობი, ფარული სიამე ღიმილივით მოეფინა მის გულს; ისე მჩატედ იგრძნო თავისი თავი, თითქო რაიმე ბასრ კლანჭებიდან განთავისუფლდაო, მის არსებაში მძლავრად ჩაჭედოდა ჭვანგებისაგან. და უხმოდ, უსიტყვოდ გაბრძანდა მეფე დარბაზიდან თითქო გაბრუებული, ცნობა ჩაბინდებული, ჰაზრჩაბლანდული.

ნელნელა მიეფარა მეფის გონების თვალთაგან სახე თინათინისა, მიიჩრდილა იგი, განუჭვრეტელი ჯანლით შეიმოსა; ხოლო გამოირკვა ბურუსიდან ჩვენება საამო, თბილი, მიმზიდველი სამხიარულო:

მოსჩანდა შორიდან! ჩამოეჭვნო იგი მთის ყვავილი ლევანის ღალატს, დაეღონებინა მისგან პირის გატეხას, გარნა ვერ ამოეხმო მის გულიდან ნერგი სიყვარულისა, ვერც ამოეგლიჯა იგი. გადმომდგარიყო ქალწული რამ კონცხზედ კავკასიონისა და ნაღვლიანად დაჰყურებდა ალაზნის ველს. მის სევდით სავსე თვალეში არ იხატებოდა სიძულვილი, არც საყვედური; მის თვალთა სიღრმეში მოსჩანდა ბედის მორჩილება უსამზღვრო და ისევ სიყვარული უანგარო, უშრეტი, თავდადებული. მთლად ჩაენთქა მეფის სული ამ ორ სურათს, რომელთაგან ერთი მიდიოდა შავით მოსილი და სივრცე შემოუწერელი ჰვარავდა მას თვალთაგან, ხოლო მეორე უახლოვდებოდა მას და ნათელი მიმოფრქვეული თანდათან არკვევდა მის სახეს შეუდარებელს.

ქმრისაგან გულნატკენი დედოფალი, თვის ოცნებებში გაცრუებული, თავმოყვარეობა შელახულ-დამდაბლებული, სიყვარულისაგან უარყოფილი აღარც კახთაგან იყო გულსავსე, იმათგანაც შეურაცხყოფილად სთვლიდა თავის თავს. დედოფალს ეგონა, იმისი საოცარი განზრახვა ააღელვებდა სამეფოს, ძირით-ძირობამდის შესძრავდა მას; ეგონა კახნი დასდასად მიჰმართავდნენ მას ვედრებით, რომ უარ-ეყო მას თვისი სურვილი, დაჰბრუნებოდა სადედოფლო ტახტს, არ დაეობლებინა თვისი ოჯახი; ეგონა, შემრწუნდებოდა თვით ლევან მეფე, მოიხრიდა მის წინაშე თავს გვირგვინოსანს, ეახლებოდა მას და სთხოვდა შერიგებას, აღუთქვამდა ღირს ქმნილიყო მისი.

- არა, თინათინ არ დაჰყვებოდა არც ქვეშევრდომთა თხოვნას, არც ქმრის ვედრებას! რახან სთქვა, უკან აღარ გადასდგამდა ნაბიჯს, აღარ დაარღვევდა თავის ნათქვამს. რად ინებებდა ამას, როდესაც ცხადად ჰხედავდა, რომ მისი ჰაზრები, მისი მისწრაფებები, მისი დიდებული შეხედულობა მეფობაზედ შეუგნებელი რჩებოდა მის მეუღლისაგან, მათ ქვეშევრდომთაგანაც?! უკვე დარწმუნდა ის, რომ ლევანი ვერასოდეს ვერ შეიქმნებოდა მთელი საქართველოს მეფედ, ვერასოდეს ვერ ეღირსებოდა ბაგრატიონთა გვირგვინს ზეცით მონადებს. ისიც ვერ შესძლო ლევანმა, სიწმიდით და ფაქიზად დაეცვა ეკლესიისაგან ნაკურთხი მათი კავშირი; იქამდინ დაეცა იგი, რომ ქვეშევრდომებში გასცვალა დედოფალი და განკიცხა იგი ქვეყნის თვალში, როგორც დედაკაცი. მხევლამდისაც კი დამდაბლდა, უძღები, ადამიანობა-ახდილ ყურმოჭრილ მხევლამდინ!

- დიად, ლევანმა უარჰყო იგი მის დიად მისწრაფებაში და მით შეურაცხჰყო იგი, როგორც დედოფალი; ლევანმა გასცვალა იგი მის მოახლეებში თუ მხევლებში და მით დაამდაბლა იგი, როგორც დედაკაცი. თინათინმა კი შესწირა მას თვისი პირმშო სიყვარული, გული შესწირა მას მსხვერპლად! არა, თინათინ ველარ დაუბრუნდება უღირსს, ველარც შეურიგდება მას!

- გარნა მაინც დედოფალია თინათინ და მეფესაც, მის ქვეშევრდომსაც თავზარი უნდა დასცემოდეთ ამ საარაკო ამბის სმენით. თავდახრილნი უნდა მისულიყვნენ მის წინაშე, მუხლმოდრეკით უნდა შეჰვედრებოდნენ მას. ეჰ, ცრუ არის წუთისოფელი, მოღალატე, გაუტანელი.

გაბოროტებულ დედოფალს ჰაზრად მოსდიოდა უკუ ეგდო, თავისი სიტყვა, დიდებით დაბრუნებულიყო თავისსავე სასახლეში და მორჩმულს, ძლიერების შარავანდედით მოცულს თავზარი დაეცა მათთვის, ვინც აწ იხარებდა მისის ტახტიდან განშორებით; მაგრამ სატანასებური თავმოყვარეობა ნებას აღარ აძლევდა უკუდგომისას. თანაც ცხადად ჰხედავდა ქალი იმ, იდუმალ ღიმილს, რომელს გამოიწვევდა ყველაში თავისივე დასკვნით შემკრთალი დედოფალი, თავისივე სიტყვის უარმყოფელი. ყოვლად შეუძლებელია იყო უკუქცევა. ხან ჰაზრად მოსდიოდა დედოფალს, დაებერტყა ფერხთა მტკერი კახეთში და დაჰბრუნებოდა თავისსავე სახლს გურიაში, მაგრამ იქაც ხომ დამდაბლებული უნდა მისულიყო და დამცირებული: დედოფლად ნამყოფი, ქმარგაყრილი თინათინი პატივსადები ველარ შეიქმნებოდა გურიაში, ხოლო მთლად დავიწყებული გახდებოდა კახეთში.

- იქნება მევე დამსდვან ბრალი ოჯახი დაანგრიაო, სამეფო შეარყიაო; იქნება აუგიცა სთქვან ჩემზედ და დამსახონ უღირსად დედოფლობისა, ქმრისაგან განდევნილ უღირს დიაცად. არა, არ შეიძლება! მტკიცედ უნდა წარვემართო წინ: უნდა მივიღო სახე ანგელოსებრივი და აქვე, შუა კახეთში, უნდა დავემკვიდრო. როგორც განხორციელება ლევანის სინიდისის ქენჯნისა და კახთა უმადურებისა თუ შეუგნებლობისა.

- ვერ დააფასეს დიდი თინათინ, ვერ შესწვდნენ მის მაღალ ჰაზრებს, მის სამეფო მისწრაფებას; თვალი ვერ გაუსწორეს მის უებრო ზნეობას; ღირსნი არ იყვნენ ბრწყინვალე თინათინისა, რომლის ამაღლებულ გუნებას მხოლოდ ცა დაიტევს,

რომელს შეჰქმენის ტახტი სხივოსანი იქ, მეშვიდე ცაზედ, საყდართან ყოვლადმღიერის მეფისა.

და გამოიტირა თინათინმა თავისი ქალობა, თავისი დედოფლობა, ყოველივე ქვეყნიური სიამე თვისი და უკვე მტკიცედ, უკვე ურყევლად წარემართა მომავლისადმი. ბარბარე თურქესტანიშვილის მკერდზედ გამოიტირა დედოფალმა თვისი წარსული. ეს მანდილოსანი მაშინვე ეახლა თინათინს, რა წამს გაიგო მისი განზრახვა და აღარც განშორებია მას ბოლომდის, მოლოზნად აღკვეცამდის. ბარბარეს იმ თავითვე შეუყვარდა თინათინ, პირველ ნახვაზედვე დასავით შეეტკბო მას; შემდეგაც თავს ევლებოდა და თუ განმარტობით ჩაიხელებდა, გულში ჩაიკრავდა, ჰკოცნიდა. მისი სიყვარული უეცარი იყო, ძლიერი, შეურყეველი. თინათინიც მაშინვე მიჰხვდა მას და დააფასა წრფელი გრძნობა, შეეთვისა. და აი ეხლა, როდესაც ყველამ უარჰყო დედოფალი, როდესაც მიმქრალდა შარავანდედი მისის დიდებისა და გაცუდდა მისი ძლიერება, ბარბარე არა ჰშორდებოდა მას. არაფერს ეუბნებოდა ქალი დედოფალს, არც ურჩევდა: იგი გრძნობდა სიღრმეს დედოფლის სულისკვეთებისას და იცოდა, რომ სხვის რჩევა თუ სიტყვა უძღურებდა იყო იქ და უადგილო. უსიტყვოდ თანაუგრძნობდა იგი დობილს და გულში იკრავდა მას თვალცრემლიანი.

აახ! ხომ მთელი კახეთიც ბაბალესავით შეიყვარებდა თინათინს, უცვლელის სიყვარულით, თუ თვით მას იმთავითვე არ უარეყო სიყვარული, თუ მხოლოდ იგი წარემღვანებინა ყოლაოზად ცხოვრებისა. მაგრამ მან უარჰყო ნაზი სიყვარული მძლავრი დიდებისათვის ქვეყნიურისა, წარმოაცალიერა გული ამ ნათელ და თბილ ნიჭისაგან და ამოდ ემდუროდა ქვეშევრდომთ თუ მეფეს: მისი გაყინული გული თითონვე ისხლეტდა მისდამი მიმართულ სიყვარულის სხივებს, თითონვე!

დედოფლის აღკვეცა მონაზონად უხალხოდ მოხდა ალავერდის ტაძარში, როდესაც მღვდელთ-მთავარი აღასრულებდა ამ სევდისმომგვრელ წესს საეკლესიოს, ბარბარე თურქესტანიშვილისა და მხევალი გუქა იატაკზე განრთხმულნი ქვითინებდნენ გულამოსკვნით.

გამოვიდა რაყამი დედოფლის შესახებ. მეფე ბრძანებდა: ღვთისმოსავმა დედოფალმა თინათინ განგებითა ღვთისითა და თანახმად საკუთარის სურვილისა შეიმოსა სახე ანგელოსებრივი და ამიერიდგან დაადგების მავედრებელად ჩვენდა მეუფისადმი ყოვლად მოწყალისა, დედოფლადვე იხსენიებოდეს იგი ეკლესიაში ყოველსავე წერილში. მისგან სავანედ ამორჩეულ შუამთას აგებულ იქნას ეკლესია გუმბათიანი და პალატანი. საშენებელი ხარჯი გაიღებოდეს სახელმწიფო ხაზინიდან. ჩვენი კარის ხუროთმოძღვარი განაგებდეს ამ შენობათა საქმეს. დედოფალს ეახლოს თან მისნი მსახურნი და მონანი. აწ დაარსებულს შუამთის დედათა მონასტერს მიეცემის საკუთრებად ამ დღიდან და უკუნისამდე: ქალაქ უჯარმას მეკომური რვა და მამული, ბელაქანს მეკომური რვა და მამული, სოფელი გულგულა თვისი კუთვნილი მამულებით, მთა თერდოს მარჯვნივ. ყოველ წლივ ეძლიოს ჩემის ხაზინიდან მინალთუნი ათასი.

ესეთი იყო საბოძვარი, რომელი გაიღო მეფემ დედოფლისაგან არჩეულ სავანის ასაგებად, შესამკობლად და შესანახად. მოეწონათ მეფის ბრძანება; ესეთი ბრძანება შეჰშვენოდა მეფეს, რომელიც არ უნდა აჰყოლოდა გულის ტკენას და არ უნდა შეევიწროვებინა თანამეცხედრე თვისი, დედა თვისის შვილებისა.

არ იცოდნენ ქვეშევრდომთ, რომ მეფეს არ ატკინა გული დედოფლის საკვირველმა საქციელმა. ვერ წარმოიდგენდნენ, როგორ მძიმე ასატანი შექმნილიყო მეფის შინაური ცხოვრება, კარგ გრძნობას მოკლებული მისი ოჯახი. ჭკვიანი ქალი იყო დედოფალი და სწორედ ის გზა აირჩია, რომელზედ მხოლოდღა შეიძლებოდა გავლა, რომ ამ მძიმე ჰაერს არ მოეშთო ცოლ-ქმარში ყოველივე გრძნობა კაცური და რამე შეუნდობელ ცოდვაში არ ჩაეგდო იგინი. ამისთვის უფრო დააფასა ლევანმა დედოფლის მოქმედება და მეფური პასუხი გასცა მას.

განქარდა აწ სულის შემხუთველი სიმძიმე, რომელი სტანჯავდა ლევანს, ბნელ სიზმრადღა ეჩვენებოდა წარსული. გაუთენდა მეფეს დილა ახალი ყოფისა, გაუღიმა იმედმა ახალის ცხოვრებისა, დამტკბარის ცხოვრებისა, რომელს მოკლებული იყო იგი თვის წინანდელ მეუღლის ხელში. დედოფალმა თვისი გზა აირჩია საკუთარი და განშორდა მას სამუდამოდ. იგინი არასდროს აღარ შეიყრებიან ერთად თვის სიცოცხლეში, აღარ შეხვდებიან ერთმანეთს ცხოვრების შარაზედ. არც საჭიროა იგი შეხვედრა, არც სასურველი!

ეხსნებოდა მეფეს გული, სამხიარულოდ ეღებოდა იგი, ნაზი რამ სიამე ეფინებოდა მის ბუნებას; ფერადად და მიმზიდველად ეჩვენებოდა მას ყოველივე თვის გარემო: თითქო მძიმე ავადმყოფობიდან განთავისუფლებული, სიკვდილს პირიდან გაჰვარდნია და კვლავ სიცოცხლის წყაროს დასწაფებია, ცხოვრების ფერხულში ხელახლად ჩაბმულაო ბედნიერებთან ერთად.

და ახალი ცხოვრებისთვის შობილს ვაჟკაცს კვლავ უღიმოდა კავკასიონის მწვერვალიდან სანატრელი მზე გაზაფხულისა, ლაჟვარდ მთებიდან გადაჰყურებდა გულის სწორი ლეილ-ყიზი, რომელი უარჰყო მან ოდესმე, გარნა ვერ დაივიწყა ვერასოდეს; რომელმან არა უარჰყო ლევანი, არც დაივიწყა არასოდეს.

- მოვალ სატრფიალო, შენთანვე მოვალ სიხარულით და იმედით! წმიდა ყოფილა სიყვარული შენი, როგორც მთის წყარო; სპეტაკი, როგორც ფიფქი მივუალის მწვერვალისა; მაღალი და შეურყეველი, როგორც ცამდის ატყორცილი სალი კლდე შენის ქვეყნისა!

- იქითკენ, ლურჯის მთებისკენ, ვარდისფერი სიყვარულისკენ მოღიმარე სიხარულისკენ, ჩემგან დაღონეულს ჩემს ლეილასკენ!

ბრძანა მეფემ მოეწყოთ ნადირობა დიდებული. შეჰყარეს ჯარი მარჯვედ მსროლელთა, შეეფინნენ გრემისა და ყვარლის მთებს დასდასად მონადირენი.

- მოინადიროს ბატონმა მეფემ, იგემოს კალმახი ცივის წყლისა, მთის ჰაერი შეუმსუბუქებს კაეშნით შემძიმებულს გულს, ახალ-ახალი სანახავი გაართობს მის დაღონებულ თვალს და განიქარვებს ცხებული დარდებს, - ამბობდნენ მეფის მახლობელნი.

და სცდილობდნენ ბრწყინვალედ მოეწყოთ მეფის გართობა ლაშქრობას დაამსგავსეს იგი ნადირობა კაცთა სიმრავლით თუ იარაღის უკეთესობით; ყველა მხიარულად იყო. იქნება გრძნობდნენ, რომ სანადიროდ გაბრძანებული მეფე საარაკო ჯეირანს შეიპყრობდა ლამაზ თვალებიანს, რომელიც თურმე უცვალელებელ კმაყოფილებას მიანიჭებს მის ბედნიერ მპყრობელს.

49

დიდმარხვა მოახლოვებული იყო, ზამთარი ჯერ ისევ მეფობდა კახეთში და თეთრად შეეღესა გაღმა-გამოღმა მთები. ძირს ჯერ ისევ იდგა თოვლი, გარნა ის ისეთი სპეტაკი აღარ იყო, როგორც მთის ფიფქი. ადგილ-ადგილ კიდევ აჭრელებულიყო. მოახლოვებულ გაზაფხულს ალაზნის ველზედ ძალა დაეტანებინა თოვლისათვის და ზოგან კიდევ გაეწმიდა მისგან დედამიწა. დამდნარიყო თოვლი ალავერდის მიდამოებშიც და სველ მიწას შავად ეჩინა პირი. მხოლოდ ალავერდის ტაძრისათვის ვერ ეცვლევინებინა ფერი სითბოს სუნს. დიდებულად აღმართულიყო ტაშირზედ ტაძარი ბუმბერაზი და თეთრად კამკამებდა მზის აღმაცრივ სხივებზედ.

ბატონი ალავერდელი კარზედ გამოეტყუვებინა მზეს. ჩამჯდარიყო იგი ეკლესიის შენობის არშიაზე და ოცნებობდა განმარტოვებული. ახლო არავინა ჰყვანდა: ბერებმა იცოდნენ, რომ ამისთანა-დროს განმარტოვება უყვარდა მღვდელთ-მთავარს. დღე მოსვენებას ერიდებოდა მოხუცი. სადილთ უკან ძილს არ ეწყობოდა რათა არ გაელაღებინა ხორცი მშვენიერი, წელთა რიცხვი კი ტვირთად მძიმედ დასწოლოდა მას და მოსთხოვდა დასვენებას. მოხუციც ძილ-ღვიძილში ატარებდა ერთს ჟამს. ფიქრნი მოიცვამდნენ მღვდელთ-მთავარს, ოცნებანი გარს ეხვეოდნენ მის სპეტაკ შუბლს და უტოდებოდნენ სიზმრებს, თან ექსოვებოდნენ ზმანებას; ხან გაიტაცებდნენ წმიდანს უსამზღვრო სივრცეში, ხან აღავლენდნენ მის სპეტაკ სულს მეშვიდე ცამდის, ნათელ სავანემდის ყოვლად ბრწყინვალე შემოქმედისა.

მიუახლოვდა ტაძრის გალავანს მგზავრი ვინმე. ჭადარა შერთული კაცი იყო, ახოვანი, ხმელი აგებულობისა. ჯერ ცეცხლი არ ჩაჰქრობოდა დიდრონ თვალებში. განიერი ბეჭები სწორედ ეჭირა და ამაყად აეღო მაღლა ჯერ ისევ ხშირი თმით შემოსილი თავი. შალის კაბა ეცვა ბერული, ბრტყელი სარტყელი ერტყა ტყავისა. მგზავრი შევიდა ტაძრის ეზოში, მიიხედ-მოიხედა, მაგრამ ვერავინ დაინახა. მიუახლოვდა ტაძარს და მაშინდა შენიშნა ტაძრის კედელზე ზურგით მიყრდნობილი ბერი. დაუპირდაპირდა მას. ალავერდელმა თვალი გააღო ფეხის ხმაზედ.

- შენდობა, მამაო!

- გაკურთხოს ღმერთმა! ვინა ხარ, შვილო?

- მწირი გახლავარ მგზავრად მომავალი. მსურს თავი შევაფარო ამ წმიდა მონასტერს და მინდა შევევედრო წინამძღვარს, რომ ნება დამართოს.

- დაივანე, შვილო, განისვენე: მონასტრის კარი ღიაა სტუმრისათვის.

- როდის შეიძლება ვნახო წინამძღვარი?

-ამ მონასტრის წინამძღვარი თვით ალავერდელია და შენ უკვე მიიღე მისგან კურთხევა.

ამის გაგონებაზედ მგზავრს გაკვირვება აღებეჭდა სახეზედ: მას უბრალო ბერი ეგონა მღვდელთ-მთავარი. მგზავრი მიწამდის დაიხარა წინამძღვრის წინ და მოწიწებით ეამბორა მას ხელზედ.

დარჩა შეხიზნული ბერი ალავერდში. გავიდა დღეები, გადაება კვირა - კვირას, გადაადეს თვეებმა თავი-თავს, მწირი-კი იქვე ცხოვრობდა, იქ მოღვაწეობდა. უსაქმოდ და უსარგებლოდ-კი არ ატარებდა დროს: ჰშველოდა ბერებს ეკლესიაში, ბოსტანში, ბაღში, მინდორში, ტყეში თუ ველში. მარჯვე კაცი აღმოჩნდა, ყველაფერი გამოუვიდოდა ხელიდან. საშინლად ძლიერი იყო, ღონიერი და თანაც დაუღალავი, ხერხიანი. უჩუმრად უყვარდა მუშაობა. ვერავის შეეძლო მხარდამხარ მიჰყოლოდა მას შრომაში. მთლად უშიში იყო. ტყეში თუ მთაში მარტოდ-მარტო დადიოდა და ამხანაგად მხოლოდ სატევარს იგულვებდა, რომელიც თან დაჰქონდა ამისთანა შემთხვევაში. თუ ყარაულობა იყო ღამ-ღამე საჭირო, მხოლოდ მისთვის უნდა მიენდოთ ესეთი საქმე. ერთხელ ძალიან გააკვირვა ამ უცნაურმა ბერმა მონასტრის მმანიცა და გლეხებიც.

ალაზნის პირზე მშვენიერი ხოდაბუნები ჰქონდა მონასტერს და დიდი მოსავალიც მოვიდა იმ წელს, მაგრამ დათვი შეეჩვია და ანადგურებდა იქაურობას. არ იქნა ვერ განდევნეს იგი, ვერც მოკლეს. დღე ჭალაში იმალებოდა, ღამე გამოდიოდა და ნავნებს სჩადიოდა. მწირმა გამოსთხოვა ნება წინამძღვარს ღამე დაჰყარაულებოდა ნადირს. მარტო ხმალი წაიღო თან, კარგად-კი გალესა, ფხა გაუსინჯა, დუმა გადუსვა. მეორე დღეს უზარმაზარი დათვი ნახეს ხოდაბუნის ბოლოს ტოტებდასხეპილი, თავგაჩეხილი. მხეცს მხოლოდ ტორის ჩამოკვრა მოესწრო ბერისათვის და კაბის სახელი ჩაეტანა თან. გაჰკვირდნენ ყველანი, უნებლიეთი პატივისცემა იგრძნეს მისადმი, თითქმის შიში.

საუბარი ან არასოდეს არა სცოდნოდა ამ უცნაურ ადამიანს, ან მთლად დაჰვიწყებოდა. ისე დააღამებდა ქალაქ დღეს, ორ სიტყვას არ გადააბამდა ერთმანეთზედ. ხან სევდა რამ შემოაწვებოდა ბნელი, გული ჩაუშავდებოდა, თვალეზი ჩაუბნელდებოდა და მწუხარებით აღსავსე განშორდებოდა მონასტერს რამდენიმე დღით. არ იცოდნენ, სად დადიოდა იგი მაშინ, ან სად იღამებდა თუ ითენებდა. გავიდოდა დრო და ბერი ისევ დაბრუნდებოდა მონასტერში, ისევ შეუდგებოდა განუწყვეტელ შრომას, თითქო უნდოდა მძიმე მუშაობით ჩაეკლა თავისი იდუმალი სევდა.

რომ შავი რამ სევდა აწვა მას გულზედ, ეს ცხადი იყო ყველასათვის. რამდენჯერმე ეს ბრგე ვაჟკაცი მწარედ მომტირალე ჰნახეს, იქამდინ შეპყრობილი განუჭვრეტელი დარდით, რომ ქვეყნიერებისა აღარა ესმოდა-რა, გონება აჰხდოდა, ძახილზე პასუხს არ იძლეოდა. საკვირველი ის იყო, რომ ეს მოხდებოდა სწორედ იმის შემდეგ, როცა მმათა კრებულში ჩამოვარდებოდა საუბარი დედოფალ-მოლოზანზედ, რომელიც ეხლა უკვე შუამთის მონასტერში მოღვაწეობდა და რომლის საარაკო ბედი დღესაც ალაპარაკებდა მთელს კახეთს. იქნება კიდევ დაეთხოვნა მონასტრიდან ეს უცნობი და უცნაური კაცი, რადგან თავის განსხვავებულ ქცევით

შიგადაშიგ აღელვებდა მმათა კრებულს, არღვევდა ამ წყნარ საყუდელის ერთგვარს ცხოვრებას. მაგრამ ალავერდელი მოხიბლული იყო ამ შემოფარებული კაცის ხმით, მისი გალობის კილოთი, და ველარ შეჰლევოდა მას. ჯერ პირველად რომ ჩადგა მგალობელთ დასში და აიმაღლა ხმა, ყველამ ყურადღება მიაქცია მის ტკბილ გალობას, მღვდელთ-მთავარმა წირვის შემდეგ ჯვარი გადასახა მას და უთხრა.

- დაგატკბოს ზეციერმა გამჩენმა, როგორც დაატკბე ჩემი ყურთა სმენა!

და ეს თქმა არაერთხელ განუმეორებიათ წინამძღვარს თუ სხვებს. მის გალობაში ისეთი ნაღვლიანი კილო ისმოდა, რომ სწორედ დამამშვენებელი შეიქმნა იგი კილო დიდმარხვულ ღვთისმსახურებისა, რომელსაც საზოგადოდ გადაბურული აქვს ზეწარი კაეშნისა.

50

წარსდგა მწირი ალავერდელის წინ და მოახსენა:

- ცხრაკარი მთლად მიტოვებულია, ბატონო! წყალსადენი გატეხილი, აუზი ღორღით ავსილი, ქვევრები პირღია, ოთახები ჩაობებული; ქარს კრამიტები აუყრია და წვიმა ალპობს სასახლეს. რაც დედოფალი წაბრძანებულა იქიდან, მომვლელი აღარა ჰყავს არც ტაძარს, არც სასახლეს. ნება მიბოძე დავბინავდე იქ და მივხედო იმ წმიდა ადგილს.

დაფიქრდა ალავერდელი. იმანაც იცოდა რომ დედოფლის წასვლის შემდეგ ცხრაკარი უპატრონოდ დარჩა და ისევ მივიწყებას მიეცა, რომ განმარტოვებით მდგომ ეკლესიასაც, სასახლესაც შესაფერი მოვლა აკლდათ, და მოეწონა მხნე ბერის წინადადება. იმაზედა ფიქრობდა მწყემსთ-მთავარი, რად მოენდომებინა ამ კაცს განმარტოება. ხედავდა წინამძღვარი და გრძნობდა, რომ მწირი არ იყო სარწმუნოებით იქამდინ გატაცებული, რომ მიზნად დაედგა ხორცის მთლად შეჭვივრება სულის განსათავისუფლებლად ნივთიერის სიძიმისაგან, რათა მიეცა მისთვის ძალა ძლიერი აღმაფრენისა. მისი დაკვირვებით ეს ადამიანი საიდუმლო სევდით იყო შეპყრობილი, იღუმაღს რამ შემთხვევას ძალად ჩაეყენებინა იგი მონაზონობის კვალში, რომლისათვის შემზადებული არა სჩანდა იგი, რომელიც არც თუ აწ შეეფერებოდა მას. თუ მწირი მაინც უნაკლულად მიმართდა თვის ცხოვრებას ამ გზითაც, ეს მხოლოდ მისთვის, რომ ძლიერი იყო სულითა, გაუტეხელი ხასიათისა და მძლავრად ეპყრა ხელში თავისი გულისთქმა, პირველ შეხედვით ეს სრულიად არ ეტყობოდა ბერს, რადგან იგი მორჩილებით და თავმდაბლობით ასრულებდა ყოველსავე წესს მონასტრისას; მაგრამ წინამძღვრის დამკვირვებელი თვალი ხედავდა, რომ ეს ღვაწლი მხოლოდ ძალდატანებით იყო, შედეგი ძლიერის ნებისყოფისა. ეს მოსჩანდა იმ უეცარ ნაპერწკლებშიც, რომლებსაც ჟამითი-ჟამად აფრქვევდნენ მისი თვალები, თუ რამე საწინააღმდეგო დაჰხვდებოდა წინ. მისი ამაყად აღებული თავი და ამპარტავნული მიხვრა-მოხვრაც უნებლიეთ ცხადჰყოფდნენ ამას. მწყაზრად ცხენზედ ჯდომა, იარაღის მარჯვედ ხმარება და უშიშრობა უკარნახებდა წინამძღვარს, რომ მის წინ იდგა უბრალო ვინმე მომაკვდავი კი არა, მორჩილებაში აღზრდილი და მომდებრებული, არამედ თავისუფლად ზრდილი ვაჟკაცი და ბატონკაცობით გალაღებული-გაამაყებული.

- იქნება ეს ლაღი ბუნება მწირისა არის იმის მიზეზი, რომ თხოულობს იგი განმარტოებას ძნელს და საშინელს; ჰსურს გაინთავისუფლოს თავი მონასტრულ წესისა და მორჩილებისაგან, გაიფიქრა ალავერდელმა და მიჰმართა:

- ძნელი იქნება შენთვის განცალკევება: მარტოდ-მარტო დაყუდება უკაცო ადგილას და ყოველგვარ ნაკლულოვანების ატანა გამოცდილი მეუდაბნოვესათვისაც ძნელია და სახიფათო. ვაი თუ იქ ვერ შესძლო აღასრულო ყოველივე ის, რაც თავს იდევ, როცა დასდე აღთქმა მონაზონობისა.

ამ სიტყვებზედ მწირს მწარედ გაეღიმა და მოახსენა:

- მღვდელთ-მთავარო და მამაო სულიერო! შეუმართებელმა განგებამ თვით დამაყენა გზაზედ მოღვაწეობისა, უძლეველი ხელით მიჰმართა ცხოვრება ჩემი და არც განგება არის მპყრობელი ჩემი სულისა, ბრძანებელი უღმობელი და შეუდრკომელი: ჩემი ცხოვრება მკაცრად არის უკვე ყველგან და ყოველთვის განსაზღვრილი, სასტიკად უცვალებელი.

ისეთი სევდა დაიხატა მწირის ხმაში, ისეთი ნაღველი ჩასწვეთებოდა ამ დასაწყისს აღსარებისა, რომ ალავერდელმა თვითც იგრძნო ტანჯვა უსამზღვრო, რომელიც განეცადა მის წინ მდგომ მწირს. თავი მოიხარა წინამძღვარმა იმ მძიმე ჯვარის მიმოხილვით, რომელი ეტვირთებინა განგებას მიუწთომელს ვაჟკაცისათვის, და აკურთხა იგი.

- იყავნ ნება ღვთისა! სულერთია, სადაც უნდა ჰმსახურებდე ღმერთს: ყველგან რაიმე შვებას მისცემს ყოვლადსახიერი შენს ტანჯულს გულს! ნუ-კი დაივიწყებ ჩვენს კრებულს. კვლავ გამაგონე ტაძარში შენი ტკბილი ხმა.

- წირვას არ მოვცდები ამ ტაძარში, ვერ დაგივიწყებთ ვერც შენ, მღვდელთ-მთავარო, ვერც აქაურ ძმათა კრებულს, რომელთ მიმიღეთ ღვთის სახელით და მიხსენით სასოწარკვეთილებისაგან, მოახსენა ბერმა და ეამბორა მოხუცს.

მწირმა მალე დაატყო თავისი ხელი ცხრა კარს. ისე გაწმინდა და დაასუფთავა ეკლესიაც, სასახლეს და უზარმაზარი ეზოც, რომელსაც მთლად ეჭირა მთის თხემი, რომ თვალს უამებოდა, ტყე ერთყა შენობებს ყოველმხრივ და ამ ხნის განმავლობაში, რაც დედოფალი მონაზონი გადასახლებულიყო ახალს მონასტერში, მცენარეს ხარბად წაეწია წინ, ეკლესიის ძირში ამოეხეთქნა ახალი ყლორტები, შიგ სასახლემიც შეჭრილიყო იგი, რომ გაევერანებინა კაცის ხელით ნამოქმედარი ყოველივე და თვით დაეპყრო შეუცილებელივ. ეხლა-კი მთელი ეს ვრცელი ადგილი ისევე მოვლილად გამოიყურებოდა, როგორც მაშინ, როცა დედოფალი სცხოვრობდა აქ. თვით დედოფლის სავანე-კი მწირმა სახატედ გარდაჰქმნა, წმინდა სამლოცველად.

იწყო ბერმა განმარტოვებული ცხოვრება. სიცოცხლის გაღმა გააბიჯა და იქ დაეყუდა კაცთნათესავის უარმყოფელი. ღვთის სახლს შეეფარა, მეუფის მუხლს მიეყრდნო, გარნა მისი ფიქრი და გულისთქმა მაინც ზეცისაკენ არ მიიმართებოდა, ქვეყანასვე დასტრიალებდა, მასზედვე დაფარვატებდა, რადგან ქვეყანასვე იყო სალარო მისი, მიწაზედვე სცხოვრობდა იგი მისი საუნჯე, თუმცა სიცოცხლეამწარებული, იმედებგაცუდებული, გულჩასისხლებული. არ დაენდო

განგებას სასტიკს არც იგი: ჩაექრო შარავანდედი მისის დიდებისა, მისთვისაც ჩაეხშო გული საბრალო.

მთელი საათობით იჯდა მწირი თვის მწარე ფიქრებში გაბმული და დარდთა დენისაგან წაღებული გაჰყურებდა თვის წინ გადაშლილს დიდებულ არეს. ძირს, დაცემულ ვაკეზედ, მისწრაფებოდა ალაზანი და შორს, ძლიერ შორს იკარგებოდა თვალთაგან განუჭვრეტელ სივრცეში; მდინარის ნაპირებს ასდევნებოდა ვრცელი ჭალა, მისგანვე ნაკვებ-ნაზარდი მისი მოსიყვარულე ჭალა; გაღმა-გამოღმა გადაშლილიყვნენ დაცემული მინდვრები, სიმდიდრე და სიამაყე მთელის საქართველოსი; ორსავ მხრივ მთები ასდევნებოდნენ ედემს მშვენიერს და უხვად უგზავნიდნენ ნაკადულებს: არ უნდოდათ მოეწყურებინათ იგი ველი, არც დაემშიათ უთვალავი სოფლები, რომელნი ასხმოდნენ მათა კალთებს; ლაჟვარდი ცა გულდინჯად დაჰყრდნობოდა კავკასიონის და გომბორის მწვერვალებს, როგორც რამ ბურჯებს ურყევებს. გარნა ვეღარ ამებდა მწირს ვერც ეს თვალთწარმტაცი ბუნება მის წინ გაშლილი, მას ვეღარ უღელვებდა გულს ქვეყნის სიმშვენიერე. მისი გაყინული მზერა მკაფიოდ ვერც-კი არჩევდა ვერაფერს გარდა შუამთისა, რომელი დამკვიდრებულიყო ცივის კალთაზე და დაეფარა თვის უბეში საუნჯე მწირისა ფასდაუდები.

51

დედოფალზედა ფიქრობდა მწირი, მისი ხვედრი მოსვენებას არ აძლევდა მის საწყალ თავს. მისჩერებოდა მწირი შუამთის მონასტერს, სადაც აწ ნებით პატიმრობაში იმყოფებოდა დედოფალი თინათინ, მეუღლე ბედნიერის ლევან მეფისა, ქალი განთქმულის გურიელისა, თინათინის გზა გურიიდან კახეთამდის ვარდის ფურცლით იყო მოფენილი, კახეთში თვალმარგალიტით მოიოჭვა ყოველივე მისი კვალი. დიდება-დიდებაზე მიესართა მას პირველ დღიდანვე დედოფლობისა. მის ხელში განძლიერდა კახეთი, აივსო კაცითა თუ საჭურჭლით, განზედ გაიდგა სამზღვრები, შორით-შორს განაპყრო მარჯვენა ძლიერა მოსილი. მთელი საქართველო შეჰნატროდა თინათინის იღბალს; თავს ედგა ქმარი-მეფე, ვაჟკაცი მშვენიერი, ჭკვიანი, ბედისგან იქამდინ განდიდებული, რომ შეეძლო, ეოცნება ბაგრატიდთა გვირგვინზე, ხელიც გაეწოდნა მისკენ; დაჰნატროდნენ მას, როგორც დედასაც ბედნიერს, რომელს ხელთ ეპყრა ოქროს ქოჩრიანი მარგალიტით ვაჟები. და უარჰყო მან ყოვილივე, განსდგა ყოვლისაგან კეთილისა, შეეფარა შავს ტყეს შავად მოსილი, ქალობა ჩაშავბნელებული.

- რად იტყვი, მაგას, მწირო საბრალო? იქნება მადლი ღვთისა გადმოვიდა მასზე, ამცნო ამაოება ცხოვრებისა, თუნდ მეფის ცხოვრებისა, ძლიერად მიაქცია სული მისი ზეცისკენ და შეჰმოსა დედოფალს სახე ანგელოსებრივი, რათა ღირს ექმნა ჰხლებოდა დედოფალს ზეციერს ყოვლად ნეტარს.

- არა! მადლი ღვთისა არ მიაქცევდა დედოფალს მონასტრისაკენ, არ შეარყევდა სამეფო ტახტს, არ შთააგონებდა მეუღლეს ბედნიერს უარყო ქორწინება ნაკურთხი, დაერღვია ოჯახი ღირსეული; იგი მადლი ვერ წაართმევდა ჩჩვილ-ყრმათ დედას მოყვარულს. არა! მადლი ღვთისა ყოვლად კეთილისა არ დაშლიდა ცხოვრებას ღვთის ნებაზედ მოწყობილს, არც ინებებდა შეემუსრა გული ჯერეთ სიცოცხლით

გაუმადარის ქალისა. ზეცა როდია ესეთი სასტიკი, მხოლოდ ქვეყანაა ესეთი ულმობელი და მხოლოდ ქვეყნიური ძალა დაჰშლიდა მის ყოფას ნეტარს.

- დღითი-დღე თურმე ილევა ქალი, ქრება. საიდუმლო რამ სევდა აშთობს მას. მონაზონის შავი ტანისამოსი აღმურად შემოჰხვევია მას და ანავლ-ანაცრებს მის სხეულს ნაზს, მიჰხრის მას სიკვდილისაკენ.

ფიქრობდა მწირი და სცდილობდა გონების თვალთ განეპო სივრცე, ზღუდენი დედოფლის სავანისა, ჩაეხედნა მის თვალეში, მისთვის სანატრელ თვალეში თინათინისა, განეჭვრიტა სული მისი. სავსებით შეეგნო იგი ძალა ბოროტი, რომელმა დასცა მისი სათაყვანებელი არსება და განამტვერა. ამოდ! ბნელი ჰვარავდა მის თვალთაგან ჭეშმარიტებას და ესა სტანჯავდა მწირს, სულს უხუთავდა, აწამებდა, მოუთმენლადა ჰქმნიდა მის ყოფას გამწარებულს.

მიეპყრო მწირს თვალი ცხრაკარის სიმაღლიდან კახეთის დედაქალაქისათვის, აგერ ოდნავ რომ მოჩანდა კავკასიონის კალთებ შორის, ალაზნის მარცხნივ და სცდილობდა განეპო გონების თვალთ პალატნი მეფისანი, სადაც სუფევდა აწ მეფე ლევან და იშვებდა ახალ ოჯახის წიაღში, ახალი სიხარულის კალთაზე, ახალი სულის უბეში. ჰსურდა შეეგნო, როგორ მოჰხდა, რომ ამ ჰკვიანმა და ქველმა ვაჟკაცმა ვერ შესძლო მკვიდრ ნიადაგზედ დაემყარებინა თავისი პირველი ოჯახი, სიამე და კმაყოფილება გაემეფებინა შიგ, აღმოეცენებინა ყვავილი სიხარულისა, გულსავსედ გაეფურჩქნა იგი, და ეს მაშინ, როდესაც გვერდსა ჰყვანდა თინათინ, ჰკვიანი და ყოვლად შემკული ქალი, ჰქმმარიტად სადედოფლო და დედოფალი-მეუღლე: ვერ შესძლო ეს მაშინაც-კი, როდესაც ორი ვაჟი აკავშირებდა მათ ერთობას. რამ დაარღვია ღვთისგან და კაცთაგან ნაკურთხი კავშირი მათი, რამ გააპო მათი ოჯახი, თუ არ მანქანებამ საემშაკომ, ბოროტმა ძალამ ჯოჯოხეთისამ?!

- რად იტყვი, ბერო, გმობას თუნდ ეშმაკისას? მაღლი ღვთისა მიჰხრიდა მეთქი დედოფალს ზეცისაკენ. მეფე-მეუღლე ვერ შესძლებდა ბრძოლას უძლეველ ძალასთან და გულდაკოდილი დაემორჩილებოდა ბედს მწარეს, თვალცრემლიანი. აკი მეფურის სიუხვით შეუქმნა განშორებულ მეუღლეს სავანე დიდებული, აკი დედოფლურისავე პატივისცემით არის მონაზონი გარშემორტყმული.

- არა, მეფე უთუოდ ნებით დასთანხმდა მეუღლეს, გული მისი არ დაუსერია დედოფლის განზრახვას. დიდებულად შეამკო მონაზონის სავანე, უხვად მიაფრქვია ყოველივე კეთილი, არ მოხსნა მას დიდება დედოფლისა, მაგრამ ეს მხოლოდ მისთვის, რომ ქველია ლევან მეფე და არ დაკარგა პატივცემა თვის ყოფილ თანამემცხედრისადმი, დედისადმი თვისის შვილებისა; არც მისცა ვისმე ნება, პატივი მოეკლოთ ნებით დამდაბლებულისთვის. გულმოკლული-კი აი იყო მეფე მეუღლის განშორებით, იქნებ მისთვის სიხარულიც სდევდა ამ განშორებას. ესე უნდა ყოფილიყო! ხომ მაშინვე დაივიწყა მან თინათინ, ხომ მაშინვე მოსწყვიტა მან მთის ყვავილი: და განისვენებს გულდაამებული, იშვებს აწ და იხარებს.

ფიქრთა ბადეში გაბმული მწირი, შავ გრძნობათაგან სულშეხუთვილი მიაპყრობდა თვალს იქვე ალაზნის პირას ამართულ დიდებულ ალავერდს, ამყად რომ დაჰყურებდა გარემო მდებარე არეს თეთრად განსპეტაკებულს. იქ, იმ დიდებულ

ტადარში ეგულებოდა მას ადამიანი, რომელსაც უნდა სცოდნოდა ყოველივე წვლილი ამ შესანიშნავი ამბისა; იგი თვისი ნათელის გონებით მიხვდებოდა ყოველსავე, თვისი სპეტაკი გულით იგრძნობდა ყოველსავე. მთლად იცის იმან ეს შემთხვევა. „შეგავედრებ, შვილო ჩემო, ყოვლად მოწყალეს, რომ გარდამოუვლინოს მაღლი თვისი შენს გულს განაწამებს!“ - უთხრა თურმე თვალცრემლიანმა დედოფალს, როდესაც აღკვეცა იგი მონაზონად. ალბათ განიცადა სიღრმე და სიმძლავრე დედოფლის ტანჯვისა, რომ ესე მიჰმართა მას.

- მითხარ, მოძღვარო საყვარელო, მამცნე მწირს ბეჩავს საიდუმლო ესე, რომ მიხვდეს საწყალი გონება ჩემი საქმეს საკვირველს და განისვენოს. მაუწყე, მამაო წმიდაო, მეფეთა ეგე საიდუმლო და დამიწყნარე გული ფრიად ღელვილი!

- ჰა, ჰა, ჰა! ვინ ხარ, მდილო საბრალო, რომ განიკითხამ საქმეთა მეფეთასა, სცდილობ განსჭვრიტო განგება ღვთისა?! ჰა, ჰა, ჰა!

გაისმა ხარხარი და ხარხართვე ხმა მისცა სასახლემ ცალიერმა, ტადარმა მიტოვებულმა, ტყემ გარემოჭრილმა, ხოლო უძირო ხევ-ღრანტებში განიმეორეს იგი ხარხარი მავნე სულთ და შეარყიეს ასკეც კასკასით მყუდროება ბინდით მოცულის არისა.

52

ბნელი ღამე იყო ღრუბლიანი, უმთვარო. ჩაბნელებულიყო ტყე უღრანი. მჭიდროდ მიჭრილი უზარმაზარი ხეები სიბნელეს გაეერთიანებინა და ტყე შავად წასდგომოდა თავს დედათ მონასტრის ზღუდეებს შუამთაში. ქარი მძლავრად არხევდა ტყეს, ზნექდა, აგუგუნებდა, როგორც აღელვებულ წყალს, რომელი მოისწრაფოდა წარღვნად ყოვლისა. ტყის ერთგვარ გუგუნს ასხვაფერებდნენ უცნაური რამ ხმები, რომელი ჟამითი-ჟამად შეიჭრებოდნენ გუგუნში და ხარხარ-კასკასით თავს გადაევლებოდნენ მონასტერს, კვნესა-ოხვრით ჩაეშვებოდნენ სხვა ხმით გუნდში, ლეწით და მტვრევით გზას იკვლევდნენ უფსკრულ ხევ-ღრანტებისკენ.

გარესკნელ სიბნელეს არღვევდა სარკმლებიდან მოციმციმე მკრთალი ნათელი: არ ეძინათ მონაზონ თინათინს და მის მხევალს გულქანს, აწ მის დას ქრისტეს მიერ. სხვას ყველას ეძინა: ყარაულებსაც იმ ოთხ კოშკში, რომლებიც დარაჯად ედგნენ მონასტრის მაღალს ზღუდეს ოთხსავე კუთხეში; მსახურთაც, რომელნი სცხოვრობდნენ განცალკევებულ სადგურში; ქალმონაზონთაც, რომელნი დავანებულ იყვნენ სენაკებში დედოფლის სადგომის გარშემო. ღამე გატეხილი იყო და ძილს მისცემოდნენ ყველანი. არ ეძინა დედოფალს. იგი შეეკრთო ღამის საშინელებას, შავი ფიქრები აეშალნა წყვილიად, და გაფითრებული იჯდა ბუხართან; დაგანიერებულ მის თვალებში წამს იგზნებოდნენ ნაპერწკალნი, წამსა ქრებოდნენ; პირი ოდნავ გაეპო, თითები გარდაეჭდო და შეძრწუნებულს ვერ გაეხედნა განძრევა, ეგონა იგი განძრევა დასაწყისი იქნებოდა მასზედ ბოროტთა დენისა. მისი შიში გაეზიარებინა გუქას; ნაცრისფერი დასდებოდა მის მშვენიერ სახეს, მისი დიდრონი თვალები დაფეთებით შეჰყურებდნენ თინათინს, მისჯდომოდა იგი დედოფალს მუხლ-ქვეშ და მოსჭდომოდა. ორივენი სულგანაბულნი ყურს უგდებდნენ საშინელი

დამის საზარელ ხმიანობას. ბოლოს ისევ დედოფალმა მოიკრიფა ღონე, ხელი შეახო მხევალს აშლილს ქოჩორზე და ანუგეშა აკანკალებულის ხმით.

- ნუ გეშინიან, შე საწყალო! მავნე სული ვერ მოეკარება წმინდა ადგილს, ღვთისმშობლის მაღლი დასთრგუნავს მას, ხოლო ბოროტი კაცი ან ძლიერი მხეცი ვერ შემოუვა მცველებს.

- დედოფალო, სანდონი-კი არიან ეს მცველები?

- მთლად სანდონი! ჩვენი კახელები არიან და ხომ იცი ხალხი პატივისცემით მეპყრობა მე.

- მეფე?

- ბოროტი არ არის! ეწია იგი თავის სურვილს და განისვენებს. მე მისთვის აწ მკვდარი ვარ, ეს მონასტერი საფლავია ჩემი და იგი ნებას არავის მისცემს შეურაცხჰყოს საფლავი თვისის პირველ მეუღლისა, ყვავილებითაც შეამკობს ჩემს სამარეს. ამკობს კიდევ: ყოველთვის ვხედავ ჩემს გარემო მის მზრუნველ ხელს. შენ ალბად მაწანწალის ამბავმა შეგაფიქრიანა, რამდენჯერმე რომ ნახეს ჩვენის ახლო. არაფრის შიში არ არის, ჩემო საყვარელო! - უთხრა დედოფალმა.

და ხელი მოჰხვია მხევალს თავზე, გარდუკოცნა ლამაზი სახე. გუქას გული აუჩუყდა დედოფლის გულწრფელი ალერსზე, ცრემლი მოადგა თვალთ და ხელნი დაუკოცნა ქალბატონს. როგორ უყვარდა დედოფალი გულქანს! იგი მისი მხსნელი იყო, მისი ხელმწიფე, მისი დობილი, მისი და, სულის-სწორი; მის მეტი არც ვინ გააჩნდა მას ძირს ქვეყანაზედ და მაღლა ცაში, რაღა ეშველება გუქას, თუ იგიც წაართვა მას ბედმა უღმობელმა, მარად მსახვრალმა?!

- გენაცვალე, ქალბატონო, მიირთვი რამე და მოისვენე!

- რა გვაქვს ვახშმად? ნატოს ხომ კიდევ ეძინება ეხლა.

- წელან მოგართვა ვახშამი და რომ არ ინებე, მე შეგინახე.

დაბრძანდა დედოფალი. გუქამ მოართვა ყველაფერი და თავს დაადგა. უბრძანა დედოფალმა მის გვერდს დამჯდარიყო და ევახშმა. უბედურებას უფსკრული ამოემსო მათ შუა, თანაგრძნობას დაედნო გარდუვალი მზღვარი, განცალკევებულ ცხოვრებას დაემეგობრებინა ერთმანეთისათვის, შეეტკბო, მოსიყვარულე დებად გარდაექმნა მხევალი ნასყიდი და დედოფალი დიდებული. ვახშამზე თინათინ ისევ დაუბრუნდა იმ ექვს, რომელსაც გაევილო შეშინებულ მხევლის გულში.

- გუქა, თავის დღეში არ იფიქრო, რომ აქ რაიმე საფრთხე მოგველოდდეს: ვერ შევეთვისე ლევანს, მაგრამ იგი მაინც პატივისმცემელია ჩემი. შენ ალბად შეგაშინა იმ ეულის ამბავმა, მონასტრის მიდამოებში რომ დადის თურმე. სრულებით საშიში არ არის ის. ათასი გზააბნეული დაიარება ტყე-ღრეში, ათასი გლახაკი თუ შერყეული. მაინც ვუბრძანებ შეიპყრონ და მომგვარონ.

გუქამ ლუკმა დადო ძირს და შეევედრა დედოფალს:

- ნუ ინებებ, გეთაყვა! უბრძანე ხელი არ ახლონ იმ კაცს, ჩემო კეთილო დედოფალო:

- რათა?!

- იმ დღეს ახლო ვნახე და მისი სახე სრულებითაც საშიში არი იყო; ვაი თუ შეპყრობის დროს რამე ავნონ ბეჩავს. ის კაცი ძალიან ჰგავს თქვენ სასახლეში აღზრდილს ნოშრევანს. ბდღვრიალა თვალეები რომ შემომანათა, მაშინვე ის მომაგონდა. მიხდოდა მაშინვე მომეხსენებინა თქვენთვის, მაგრამ ვერ გავზედე.

- ნოშრევანს ჰგავს?! რას ამბობ, ქალო?!

- დიად ნოშრევანს, მე რომ ყური შემომსერა, იმას.

განცვიფრდა დედოფალი, ერთ ხანს გაქვავდა, ბოლოსდა მოეგო თავს.

- საწყალი ნოშრევანი! ტფილისის ომის შემდეგ მისი სახსენებელი აღარ არის, განქრა მისი სახელი. ალბად მოჰკლეს. შინიდგანაცა მწერდნენ ჯერ სასახლეშივე, თვალიდან დავკარგეთო ნოშრევანი, აღარც მისი რაზმი არსებობსო, - სთქვა დედოფალმა.

და ფიქრთ გაიტაცეს იგი იმ ნეტარ დროსაკენ, როდესაც პირველად გამოინასკვა მის ნორჩ გულში კოკორი სიყვარულისა. ჩასჭუნა უდროვოდ იგი ყვავილი სიყვარულისა, ჩაშავდა. მისმა ზვიადობამ მოაშთო იგი უდროვოდ, არ აცალა გადაშლილიყო სურნელ-სიამედ, არ აცალა!

53

აღდგომის მეორე დღე იყო, ცხრაკარის ეკლესიის დღეობა. თუშთა სამლოცველო იყო ეს ტაძარი. დიდოეთიც მისდევდა მას. დიდოელნი ჯერ მთლად არ მიქცეულიყვნენ მაჰმადიანობისკენ, არც ქართველობის ნიშან-წყალი აღმოფხვრილიყო მათში. სხვა მთის ხალხნიც ლოცულობდნენ ამ ხატს. დიდკაცობამ მას აქეთ დაიწყო აქ სიარული, რაც დედოფალმა დროებით სავანედ აღმოირჩია ეს ადგილი. ეხლა აქ აღარა სცხოვრობდა დედოფალი, დღეობაში კი მობრძანდებოდა. ეხლაც შემოეთვალა მობრძანება. ყოველივე განემზადებინათ მის მისაღებად. დიდკაცობაც ამოსულიყო ხატში: მართალია, ლევანი განეყარა თინათინს, გარნა მეფე პატივს არ აკლებდა და დიდებულნიც პატივს სცემდნენ მას. მეფე არ ამობრძანდა. რაც გაჰყროდნენ, ერთმანეთს, აღარ შეჰხვედროდნენ არსად. რადღა შეჰხვედებოდნენ, ან სად?! დედოფალი არსად არ დაბრძანდებოდა, მონასტრის კედლებს არ სცილდებოდა: მხოლოდ რამდენჯერმე მობრძანებულიყო ცხრაკარს.

ალავერდელი ბრძანდებოდა მწირველი. ტევა აღარ იყო ეკლესიაში თუ გარედ, დედოფალი მარჯვენა სვეტთან იდგა, საკურთხევლის წინ. ფიანდაზი ეფინა ფეხქვეშ. მის გვერდზე, ცოტა უკან, იდგა მხევალი დედოფლისა გულქანი. მარჯვნივ და მარცხნივ მოშორებით მოსჯროდა ის მცირე გუნდი დედათა, რომელნი

მოღვაწეობდნენ მასთან ერთად შუამთაში. გუქა თავისებურად ჰშვენიოდა შავ ტანისამოსში, წამწამ დახრილი. ძაძა ლბილად შემოჰხვევოდა მას, ჩაჰკროდა და აღარ ჰფარავდა ემხით მოყვანილს მის ტანს. ძაძამაც კი იცოდა, რომ ცოდვა იყო დაფარვა ყოვლად სრულის ტანისა რომლის მსგავსის შექმნას თვით ბუნებაც იშვიათად ახერხებდა.

- აი ქალი, აი მშვენიერი! ცოდვა არ არის ამ ძვირფას არსების მონასტერში დაკრძალვა, მარგალიტის ჩაფვლა მიწაში?!

- ოღონდაც რომ ცოდვაა! ღმერთს ცხოვრების დასამშვენიებლად გაუჩენია ეს, ქვეყანაზედ სიმშვენიერის გასამრავლებლად, მაგას-კი უარუყვია ღვთის ნება, მიწაში დაუფლავს ტალანტი თვისი. როგორ შეიძლება?! - მსჯელობდა დიდკაცობა.

- ჰე, ჰე, ჰე! რა კარგია ე წყეული! ჩემს ტასიკოსაც-კი სჯობია, - ამბობდა შეზარხოშებული ახლგაზრდა და თავს იქნევდა.

დედოფალი მთლად მიმტკნარებული იყო. თვალებში სიცოცხლე მიჰქრობოდა, ცხვირი დაჰმწვეტებოდა, თეთრს სახეს ნაცრისფერი დასდევდა, ხელები წმიდა სანთლისას უგვანდა. ჰარაქათი გამოჰლუოდა: წირვის დროს რამდენჯერმე ჩაბრძანდა სავარძელში.

- უდარდნია დედოფალს, დაავადებულა; ბევრი ხნის სიცოცხლე აღარ ეტყობა ბეჩავს, - ამბობდა ხალხი.

მარცხენა სვეტის იქით იდგა მაგალობელთა გუნდი, ალავერდის ბერთაგან შემდგარი და ჰგალობდა ხმაშეწყობილად. ამ ხმებში ძალიან ირჩეოდა ერთი ხმა, ობლად რომ გაისმოდა ტაძარში და ტკბილ ჰანგად აღველინებოდა მეუფეს. დედოფალი ისმენდა ამ ხმას და ნაცნობად ეჩვენებოდა მას ძვირფასი ბგერა. რამდენჯერმე სცადა მიეხედნა დასისაკუნ, რომ დაენახა მაგალობელი, მაგრამ ამოდ: სვეტი უშლიდა, სვეტს ეფარნენ მაგაობელნი. ამ ხმამ გარდაიტაცა თინათინი გურიაში, თვის ყმაწვილქალობის დროს, როდესაც უდიმოდა მას მომავალი და უქადდა სიყვარულს, დიდებას, სიხარულს, ყოველსავე კეთილს ქვეყნიურს.

ლოცულობდა დედოფლის მხევალიც, გარნა ღელვა ეტყობოდა უცნაური. ხანდისხან დაუახლოვდებოდა დედოფალს, უნდოდა ეთქვა რამე. ვერ-კი ჰხედავდა: ემინოდა თვის მოძრაობით თუ ჩურჩულით არ დაერღვია ღვთისმსახურების მწყობრი მსვლელობა. ბოლოს ვედარ მოითმინა და, როცა დედოფალი დაბრძანდა, მოახსენა ყურში:

- კარგად რომ გალობს, ის კაცია. ჩვენ მონასტერთან რომ ნახეს რამდენჯერმე: მაშინვე ვიცანი, თვალებზედ ვიცან.

თინათინმა ხმა არ გასცა მხევალს, არც მიიხედა მისკენ, სახეზედ კი განცვიფრება აღებეჭდა, მკრთალი ლოყები შეუვარდისფრდა.

გათავდა წირვა. როდესაც დედოფალი მობრძანდებოდა ტაძრიდან, კარებში დახვდა მას მწირი, დაეცა მის წინ მუხლებზედ და ემთხვია მის კაბის კალთას.

- დიდებულო, დედოფალო! ხელმწიფევ ჩემო თინათინ! რატომ თვალნი არ დამიბრმავდებიან, რომ ამ ძაძასა ვხედავ შენზედ სადედოფლო ძოწეულის მაგივრად! მიცნობლა, ბატონო, შენს ერთგულს მონას ნოშრევანს? - და აქვითინდა მწირი.

დედოფალი შესდგა, შეირყა, გარნა შეიმაგრა თავი.

- შენ ხარ ნოშრევან ჩემო? შენი ხმა მესმოდა დღეს?! აღდეგ ჩემსავით ბედშავო!
- უთხრა დედოფალმა, დაიხარა და შუბლზედ აკოცა ვაჟკაცს.

შეკრთა ხალხი, გაქვავდა ერთს წამს; აღელდა შემდეგ, გაისმა სულთქმა, ზოგან ქვითინი. და გარდაებურა მთელს დღესასწაულს ზეწარი კაემნისა

54

გავრცელდა ხმა, დედოფალი თინათინ ძალიან დასუსტდა. სთქვეს ალავერდელი დაიბარა და მისი ხელით მიიღოვო წმიდა საიდუმლო. ექიმბაშს ეთქვა, ნიშანდობლივი ავადმყოფობა არ ეტყობა, ქალი კი მსწრაფლ იფერფლება და ნავლდებაო. შვილები დაიბარა და დალოცაო. ანდერძი უკვე დასწერა. მონასტრის წინამძღვრობა გულქანს გადასცაო.

ეს ხმები არავის არ აღელვებდა: დედოფალი აღარ იდგა ცხოვრების სათავეში, მისი დიდების შარავანდელი მიმქრალიყო; ცნობისმოყვარეობადა იყო შუამთისკენ მიპყრობილი. მხოლოდ ერთი კაცი იყო კახეთში, რომელსაც გულში ლახვრად ესობოდა ეს ხმები და ეს კაცი იყო მწირი ნოშრევანი.

ერთს საღამოს მხედარი მოადგა ცხრაკარს და იხმო მწირი: ავადმყოფ დედოფალს დაებარებინა იგი. ძლიერ აღელვებული გაემართა ნოშრევან. ავადმყოფი მარტო დაჰხვდა მწირს, მხოლოდ გუქა ახლდა თან. ბალიშებზედ იყო მისვენებული. ნოშრევანის შესვლაზედ სცადა თავი წამოეწია სასთუნალიდან.

- ხომ კარგად ბრძანდები, ჩემო ხელმწიფევ?

- არ ვარ კარგა, ნოშრევან ჩემო! სულაც აღარ ვარ! მიმიწოდა მამამან ზეციერმან: მინდოდა უკანასკნელ ჟამს ჩემთან ყოფილიყავ მინდოდა ჩემები მყოლოდნენ გვერდით.

- ფიქრით სულმუდამ შენთან ვიყავ. ჩემო დედოფალო!

- ძალიან იტანჯე?

- გამოუთქმელად! სიკვდილს ვეძებდი, მანცა უარმყო.

გაჩუმდა ავადმყოფი, ფიქრებს მიეცა, ჩვენებას რასმე. სახე გაუნათდა, შუქი დააჩნდა თვალებში. ისევ ჩაუქრა თვალთ ნათელი. ცრემლი გადმოადგა წამწამზედ.

- აახ!.. ილოცეთ ჩემთვის! - წარმოსთქვა დედოფალმა და ბალღვით მოუკიდა მისუსტებული ენა. ნოშრევან დაიჩოქა სარეცელთან და ცრემლით დააღბო

გაციებული ხელი თინათინისა. გუქა დაემხო პირქვე და აქვითინდა. მილულა თვალეზი მომაკვდავმა, გარინდდა, ძლივსლა ისმოდა სუნთქვა.

გაშუქდა სავანე. გამოჩნდნენ დედოფლის თავით ნათელმოსილი ქმნილება ჰაეროვანი და ფრთა შავი მავნე თვალაღზნებული. ანგელოსმა ფრთა შეახო დედოფალს და მკრთალი რამ ნათელი აციაგდა მის შუბლზედ, ღიმი სიამისა შეეყინა ბაგეზედ. ეშმაკი შეიბერტყა მხრები და წარსდგა წინ.

- მსახურებდა სული ესე დიდებას ქვეყნისასა და მემსგავსა მე.

- იტანჯა ფრიად, განიცადა ძალი სიყვარულისა და აღსდგა მასში ხატება ღვთისა! - მიუგო ანგელოსმა და ანიშნა განშორებოდა.

1913 წ.

შინაური მტერი

1

- აღარა მსურს ხალხით სავსე ადგილას გავატარო ზაფხული, მინდა ერთს წამს მაინც მოვსცილდე ქალაქურ მოუსვენარ ცხოვრებას ხელოვნურს, ვიგემო სოფლის მყუდროება, სულით დავისვენო ბუნების კალთაზე, შეურყეველ-შეუღალავ მიწის წიაღში! - მამცნო ჩემმა მელომ და შემომანათა თავისი მშრალი თვალეზი.

გავკვირდი. უძვირფასესი სააგარაკო ადგილები ჩვენში თუ უცხო ქვეყნებში უნახავ-დაუთელავი არ დაგვრჩა, დავქროდით კიდი-კიდე, კალთა-კალთა ფულს ვაპნევდით ყველგან, ჩემი მელო კი სრულს კმაყოფილებას ვერსად ჰპოვებდა, ტუჩაკვრით დაჰყურებდა ყველაფერს და ეხლა ნეტავ რამ მოაგონა ამ მთლად ხელოვნებათაგან შეთხზილ არსებას სახეუცვლელი ბუნების კალთა, პირველყოფილ ქვეყნის უბეი?!

- ნაცნობების ნახვა მოგსურდება, ქალო, დაგიღონდება ნაზი გული მივარდნილ ადგილას.

- ჩემო კარგო, ნაცნობებმაც და მეგობრებმაც თავი მომაბეზრეს მთელი წლის განმავლობაში, სულ ერთმანეთში, ყოველთვის ერთად, სულ სტუმრობა-წვეულობა! როგორ შეიძლება?! იქნება უნდა ადამიანს თავი გაიმარტოს, რამე მოიფიქროს, რასმე ჩაუკვირდეს ან ღრმად იგრძნოს თუ განიცადოს.

- ვაითუ შესაფერი მოწყობილების ან სანოვაგის შოვნა გავგიძნელდეს მიყრუებულ ადგილას და შეიწროვდე.

- ნუ იტყვი, საყვარელო! იქაც ხომ ხალხი სცხოვრობს ღვთის გაჩენილი; თუ სხვებს შეუძლიანთ წლითი-წლობით ნაკლულევანების ატანა, ჩვენც ცოტახნობით მათთან დავდვით თავი და მოვითმინოთ, - მითხრა ღიმილით.

და შაქრის თითები ოდნავ დამიცაცუნა ბანჯგვლიან თათზე.

- ქალო, რახან ეგრეა, ბევრს რაღას ემზადები სააგარაკოდ? რად გინდა ამდენი კაბები, შაპოები, თათმანები, თავსახურები, წულა-ქოშები და ათასი სხვა მოსაკაზმავ-დასამშვენებელი?

- მოუაზრებლად ლაპარაკობ! თუ ვიცვამ და ვიხურავ, მხოლოდ ჩემს თავს ვეწონები; სრულებითაც სხვებისათვის არ ვირთვები, ვიღაც უცხოებისათვის; მე

თითონ მიხარიან, როცა მოკაზმული ვარ და შრიალ-შრიალით დავგოგმანობ. ესეც არ იყოს, ყველაფერი ეს ჩვენის სახელისათვის არის საჭირო, თორემ იტყვიან გაღარიბდნენ და იმიტომ მიდიან ისეთს მივარდნილ აგარაკშიო. უნდა დარწმუნდნენ ყველანი, რომ მე არც სიძუნწით მომდის ეს, არც ხელმოკლეობით. საჭიროა და ამისათვის მივდივარ სოფლად; დროა, ცოტა ხნით მაინც ვიზრუნოთ მყუდროებაზე და სიმრთელეზე, ჩემსა და შენს ჯანსაღობაზე.

– ჩემს სიმრთელეზე, ქალო?! რა მიჭირს? მადლობა ღმერთს არც სისხლი მაკლია, არც სისქე.

– სრულებით არაფერი გესმის! იქ ტყესა და ველში ცოტახნობით მაინც ასცდები ბანქოს განუწყვეტელ თამაშს და მოისვენებ, მცირე ხნით მაინც მოშორდები თამბაქოს სუნით და სასმელების ბუღით გაჟღენთილ ჰაერს და უძილო ღამეებს.

– მაშ ბანქოს ვერ ვითამაშებ. – იქ?! ვისთან ითამაშებ, როცა შენი საფერი არავინ გეყოლება გვერდით? იცოდე კი: არავინ გამოიწვიო საფლად, არც ჩვენი ახლო ნაცნობები, არც თუ გაბრიელი; მისამართიც არავის აცნობო! – მითხრა ჩემმა მელომ.

და თვალის კილოში ღიმილი რამ ააჩნდა ორაზროვანი, ფართედ გაღებულ თვალთა კილოებში.

გავვოცდი: ბუნების კალთა, განმარტოვება და ფიქრი, სულით დასვენება, ნაცნობთა და მეგობართა თუნდ დროებით უარყოფა, – ეს სულ ახალ-ახალი სიტყვები იყო ჩემი მელოს ბაგეზე, საკვირველი ახალი თქმა. ბანქოს ნუ ითამაშებო! აქამდის ჩემს ბანქოს თამაშს სრულებითაც არ უყურებდა ის მტრულად, არც ელმეცრივ; კიდეც გაუკვირდებოდა, თუ კლუბში თავის დროზე არ წავიდოდი ან შემთხვევით ადრე დავბრუნდებოდი. იუცხოვებდა, კიდეც იწყებდა. ნეტა რა ნახა ეხლა?! ბანქოს უარყოფა კი არა, ისე შესჩვევია ქალი თხუთმეტი წლის განმავლობაში ჩემს ამ ყოველდღიურ გართობას, რომ უკვე მთლად ბუნებრივად მიაჩნდა იგი, ისევე აუცილებლად, როგორც ჩემი სამსახურში სიარული. არც თუ ოჯახისთვის არის ეს ჩემი გართობა უსარგებლო: ხშირად შემომაქვს სახლში მონაგები ფული, ბევრჯელ ბლომდაც. ჩემმა მელომ იცის, ჯიბეებს დამიჩხრეკავს და თუ ბუნჯგალ-ბუნჯგლად მოჰხვდა ქაღალდის ფული, კიდეც მომიალერსებს, მაკოცებს. მეორე დღეს ფულით გასტენს მოვარაყებულ ჩანთას და დაქანაობს მაღაზიიდან მაღაზიაში, მიაქროლ-მოაქროლებს ნავაჭრით სავსე ეტლს მოქიშფეთა თვალის დასაყენებლად. ბედი მაქვს ბანქოში, მეტადრე ამ ბოლო დროს. ამბობენ რამდენიც უფრო სიყვარულის ვარდს ფოთლები შეაჭკნება, იმდენი მეტად გაგიღიმებს ბანქოში ბედიო. ტყუილი იქნება!

ვერაფერი გავიგე ჩემი მელოსი და დავმორჩილდი: ქალმა სთქვა და ალბათ სწორედ ასე იყო საჭირო. მაინც ამაოდ ეცდება სავსებით მიხვდე მშვენიერის აზრს თუ სურვილს. რადა? არ ვიცი! იქნება მისთვის, რომ მსწრაფლ ცვალებადია მისი სურვილი, როგორც სხივთა კრთომა; ან იქნება იმისთვის, რომ იგი მშვენიერი ღმერთია სიამისა და მიუწვდომელი, ვითა ღვთაება.

წავედით. მზიანი დღე იყო. აყვავებული ველ-მინდორი ჭრელად მოსჩანდა. ყოველ ნაბიჯზე აყენებინებდა ეტლს, რომ ან ყვავილი მოეწყვიტნა, ან წყაროს წყალი დაელივნა. რამდენჯერმე თავისი ხელით დაკრეფილი ყვავილები მომიტანა ჩემმა მელომ და გამიღიმა. იყო დრო, როდესაც ესეთ ძღვენს, მისგან მოძღვნილს, აღტაცებაში მოვყვანდი. მაშინ იმ ყვავილებს აფერადებდნენ და ასუნნელებდნენ მელოს ატლასივით ღაწვები, სხივმფენი თვალები, ფუნთუშა ხელი საალერსო და

ჩემი მისდამი შეუკავებელი მისწრაფება. განელდა ეხლა ჩვენთვის იგი საოცნებო ლტოლვილება, განქარდა. მაინც ეხლაც ვემთხვეოდი ხელზე ნიშნად მადლობისა. მაგდენი რამ სუნი არა ჰქონდათ ველის ყვავილებს, არც მშვენიება; ძალიან წვრილებიც იყო ჟიჟმატი. როგორ შეედრება ეს რაღაც ბილილები იმ ტურფა ყვავილებს, ქალაქში რომ მომაწვდიან ერთ უხალთუნად ქალაქში სუფთად შეხვეულს?! მომაწოდა ჭიქით წყალიც. ცივი იყო, დასაფეთებელი კი ვერა ვიგრძენ რა. რა ჰქონდა მას საერთო გაყინულ შარბათთან, ქალაქში რომ მასმევენ ჭიქას შაურად?! ტყუილად უკვირდათ, ამაოდ მოდიოდნენ ალტაცებაში.

ეტლის ხშირად დაყენება გვაცდენდა, გზას აგრძელებდა, ჯაყჯაყმა კი ისეც სული ამომართვა. რა განათლებული კაცის საქმეა ამოდენა გზაზე ცხენებით სიარული, მერე რკინის სალტებიან თვლებზე შემდგარ ეტლით?! შეგიბამს ცხოველები, დამჯდარხარ ზედ, უტევ და შოლტავ მათ უწყალოდ, მირახრახებ ქვა-ღორღზე, მტვრით გვესება ხახა თუ უბე-კალთა. შეუგნებლობაა, ბარბაროსობაა! მე ის მიკვირდა, ჩემი აზიზი მელო როგორ იტანდა ამოდენა უხერხულობას და ტანჯვას; კიდევ იღიმებოდა, მითომდა მესიამოვნებო. თავისი დაწყებული საქმე იყო და ითმენდა, თავს იმაგრებდა, თორემ სწორედ შუა გზიდან გამომექცეოდა უკან.

მზის ჩასვლისას ძლივს მივალწიეთ. მთლად დამტვრეული ვიყავ და მტვრით გაგანგლული, ადამიანის სახე აღარ მედო. დახუთულვიყავი კიდევ იმოდენა ჯდომით. ბედკრული რამ კიბე ასდევდა სახლს; დაბალი ოთახები; საჩეხი მთლად ფათალოთი შეფენილი. ნეტა რაღა საჭირო იყო აქ ამოდენა ბალახი, როდესაც გარშემო ხეები და ჯაგები ჭალად იყო შეკრული?!

– ბიჭო, ნოდარ, აბა მარდად გააცხელე წყალი, მტვერი გავიყრევი; კარგად კი გაწმინდე ნავი და თითონ აბაზანაც.

– არ გახლავთ აქ, ბატონო, არც ნავი, არც შინააბანო.

– არ მახლავს?! მაშ რა ვქნა, ბიჭო, ახლა?

– წყალს დაგისხამ, ბატონო, ხელზე და ისე დაიბანეთ პირი.

ანთეს ლამპრები. ჩემი ოთახი ერთობ პატარა იყო და მალე ნავთის სუნი დადგა შიგ. მერე ღამე ულამპროდ ვერა მძინამს. ბარემ ჭრაქი დააყრჩოლონ რაღა დალოცვილებმა! ვგონებ ელექტრონის სახელიც კი არ იციან აქ. ემჯობინება სანთელი დავანთებინო. გვიან დამეძინა, თუმცა ძალიან დაღლილ-დაჩეჩქვილი ვიყავ, ალბად იმისთვის, რომ ხამი ადგილი იყო; ტახტიც კი ერთობ ჭრიალებდა. ძილში ვიყავ. რაღაც ხვნემა მომესმოდა და ხამუმ-ხამუმ ჭახუნი თუ მტვრევა. მაწვალებდა ეს ხმა, მაწამებდა, მაგრამ ვერ გამოვრჩეულიყავ ძილიდან. სხვა რამ უცნაური ხმები აედევნა ამ ხმას, კაცისა თუ ცხოველ-ფრინველის ხმები. ამ გამოურკვეველ ხმაურობას უეცრად დაერთო საშინელი ღმუილი და თვალები ღია დამრჩა. წამოვვარდი, გავაღე ფანჯრის დარაბა: ხარი იდგა ზედ ჩემ ფანჯარასთან და შემომბლაოდა. იქვე ხრუტუნებდა ღორი და ჭერმის კურკას ამტვრევდა; ესე ეშხიანად აკნაწუნებდა დალოცვილი, თითქო მოხალულ ნუშს შეექცევაო. გამოშლილიყო ქათამი, ინდაური, ბატი, იხვი, ტიტველ-ტიტველი ბალღები; დასტამალივით ამოსარსლული დედაკაცი მისჯდომოდა ძროხას და ჭუჭყიანი თითებით რძესა ჰჟურამდა მწვირიან ძუძუებიდან. ჩემი ოთახის ფანჯარა თურმე მეორე ეზოს დაჰყურებდა მთლად აჭიჭყნულს და მოთხვრილ-მონაგვილს. ნუთუ სოფლად ან ნაცვალი არ არსებობს, ან ექიმი, ან სხვა ვინმე ყურისმგდებელი, რომ თვალი ადევნოს აქაურობას?! მეტად გრილოდა, ცივი სიო უბერავდა, ჟრუანტელმა დამიარა ტანში. ეწვიმა იმ ღამეს და ნესტის სუნი იდგა, ისევე ჩავწექ. შამფურივით ვბრუნავდი ლოგინში, ვედარ დამეძინა და ვედარ.

– აი, ჩემო კარგო, რა წყნარი დღე გამოვიდა! წადი, გაიარ-გამოიარე, მიიხედ-მოიხედე, ისიამოვნე. ამ გზის იქით ხომ ხედავ მუხნარს, მერე ლამაზი ველი დაგხვდება, რომელზედაც ანკარა წყარო ამოჩქრიალებს; ხევს რომ გახვალ, მშვენიერი ფიჭვნარია გორაკზე შეფენილი, ცამდინ აწვდილან ბუმბერაზი ხეები. გუშინ სულ დავიარე იქაურობა, სადაც ეტლი ვერ მისწვდა, ფეხით ვიარე. წადი, ნახე, თვალი გააღე და ვერც კი გაიგებ, ისე გაირბენს დრო სადილობამდის. როგორ შეიძლება სულ შინ ჯდომა და მთქნარება?! – მითხრა მელომ ყავის შემდეგ.

გავიარე. შევედ მუხნარში. სასეირნო ადგილი კი არა, ტყე იყო მთლად დაბურვილი. ხეებ ქვეშ შამბი აშლილიყო, ასკილი თუ კუნელი გადაჰხლართვიყო მაყვალს ან ჟოლს, იელი თუ ათასნაირი სხვა ჯაგი გაბარჯულიყო და ფეხში მედებოდა, ტანსაცმელზე მეზღაუჭებოდა; რამდენჯერმე ქუდი მომგლიჯა გაღუნულმა ტოტმა; ლოყაზედაც გამკრა წვეპლამ, სწორედ თვალს გამომთხრიდა, თუ ლორწონს არ დავეფარნე. გავახწიე მუხნარს, გაველი ველზე. კობტა ველი იყო მწვანით დაფენილი, ყვავილებიც გაშლილიყო ზედა, წყაროც ჩამოდიოდა. მაინც რა სახმარი იყო იგი ჩემთვის? ყვავილებს მაგდენი სუნი არა ჰქონდათ, არც შვენება; მოვგლიჯე ბუნჯგალი ბალახი, გადავაბრუნ-გადმოვაბრუნე და ისევ გადავყარე: არაფრად იყო ჩემთვის გამოსადეგი, თათმანიც გამიმწვანა. წყალი ანკარა იყო, მაგრამ არ მწყურდა. მოვისურვე ჩამოჯდომა, სკამი არსად იდგა, ორიოდ ადამიანი დადიოდა ველზე, ზოგი მზვანეზე წამოწოლილიყო ხეებქვეშ. მეც ჩამოვჯექე ერთ კორდზე, მაგრამ ნესტი ვიგრძენ და ჭიანჭველაც დამეხვია. აყვევი ფიჭვნარს რაღაც ბილიკზე. ძირს გაშლილიყო შარშანდელი ჯალღუზა ჩაშლილი თუ მთელი და ფეხი სხლტებოდა. ეტყობა, არავისთვის და არაფრისთვის არის ის გამოსადეგი, რომ არ აეკრიფნათ. სულ დამეკაწრა ფეხსაცმელი, გამეთხუნა ტანისამოსი. დავბრუნდი სახლში დაქანცული. საკვირველია: ნადირი ხომ არ არის ადამიანი, რომ ტყე-ველზე ეხეტებოდეს უაზროდ?! აუცილებელი კი არის გავატარო ამ აგარაკში ორი თვე, დაუსრულებელი ორი თვე! მაგრამ როგორ? ახ, როგორ? ერთი ამხანაგი მაინც მყვანდეს, რომ ბანქო გავაჩაღო და მაშინ რაც უნდა ექნა ჩემ მელოს, როგორც უნდა, ისე გაეტარებინა დრო ახირებულს. მაგრამ სად არის შესაფერი ამხანაგი, სადა!

გავედი სასეირნოდ მოწყობილ ბაღში. ჩემი მელო ნებას არ მაძლევდა ჩავწერილიყავი, ნებართვა ამელო იქ სიარულისა. ვაითუ შენი საფერები შეგხვდნენ და ისევ შენებურად დაიწყო ბანქოვო. ჩვენი ბინიდან მოშორებითაც იყო ეს ბაღი. მერე ნება დამართო. თითონაც ჩაეწერა. ბაკვიით შემოელობნათ ტყის პირი, შიგ ფიცრული დაედგათ სახვავესავით და ეს იყო მათი სასეირნო ადგილიც, ბანქოსა თუ ჭადრაკის სათამაშო ბინაც, საცეკვაო დარბაზიც, თეატრიც. შევიარე. დავინახე მწვანე მაგიდა და ელექტ-მელექტი მომივიდა ბანქოს სურვილით, ცერი და სალოკი უნებლიეთ ერთმანეთს ეხებოდნენ ქალაღდის ჩამორიგების ჟინით. ჩავჯექე მოთამაშებში. რაღაც ფარაზე თამაშობდნენ, მანათზე თრთოდნენ. როგორ გამიტაცებდა ამისთანა თამაში ან როგორ დამაკმაყოფილებდა?! არც ჩემი ყადარი და საფერი ხალხი გამოდგა, ცოცხით მოგვილებსა ჰგვანდნენ. შინვე წამოველ, მოწყენილობით ღონემიხდილი.

ალბად ყველგან შეეჩვევა ადამიანი, თუნდ ციხეში. შევეჩვიე მეც, წინანდებურად აღარ მეწვა ლოდივით გულზე. მეძინა, თუმცა ათასგვარი ხმაურობა დილიდანვე თავს დამტრიალებდა; ყავის შემდეგ საზოგადო ბაღში მივდიდი სასეირნოდ;

ვსადილობდი და სადილთ უკან ისევ მეძინა, როცა სასეირნოდ მივდიოდი, მუხნარს გარს ვუვლიდი: ნესტი იყო ხეებ ქვეშ და კიდეც მეხამუხებოდა ტყე-ტყე სიარული.

სადილობა ჯერ არ იყო მოტანებული. გარინდებული დავდიოდი სასეირნო ბაღში. თავში ფიქრი არ მქონდა და გულში გრძობა; არც არავითარი სურვილი მოსჩანდა ჩემს არსებაში მკაფიოდ. ისე ვიძროდი, როგორც რამ მანქანა, თვითცნობას მოკლებული. გარემოებებთან ბრძოლა შეუძლებელი იყო ჩემგან, ჩემი მელოსაგან შექმნილ გარემოებებთან ომი, და მორჩილების მეტი აღარა დამრჩომოდა რა, უაზრო მორჩილების მეტი. ბაღს გარეთ ეტლი იდგა გახუნებული, მეეტლეს კოფოზედა სთვლემდა. გავსწიე მისკენ, მინდოდა შინ წავსულიყავი. უეცრად მომესმა.

– ბატონო დავით! ბატონო დავით ზურაბის ძევ!

– მივიხედე, მეფარდულე მომდევდა, ბაღში რომ სავაჭრო ფარდული ჰქონდა, ის მომდახოდა.

– რა გნებავთ?

– მობრძანდით ჩემს ფარდულში, ბატონო ჩემო, ერთი ჭიქა ლუდი მიირთვი, მთლად ახალია.

– არ მინდა ლუდი!

– ცივი გახლავთ, ყინულში შენახული; დღეს მივიღე ქალაქიდან; მობრძანდი, გენაცვალე!

– გუნებაზე არა ვარ, არც ფული მაქვს ზედ.

– ფულს ნუ ბრძანებ, გეთაყვა! გულით გეპატიჟებით; დიდად დავალებულად ჩავსთვლი ჩემს თავს, თუ ინებებთ მობრძანებას.

დავაკვირდი კაცს, გულწრფელად მთხოვდა. სადილობაც ჯერ არ იყო მოტანებული და გავყევ. სრული კმაყოფილება აღებეჭდა ვაჭარს სახეზე, გულწრფელი სიხარული.

4

სასეირნო ბაღი მუხნარის ნაწილიდან გაეკეთებინათ. მესერით შემოფარგლულ ადგილში კიდეც იყო აქა-იქ დარჩენილი რამდენიმე მუხა, ღობის პირებში ზოგან მაყვალი ან ზღმარტლი დამრჩალიყო; შუაზე ორპირად ჩაერიგებინათ ალვის ხე; რამდენსამე ადგილას ცაცხვი დაერგათ. ბაღის აღმოსავლეთ კუთხეში გაემართნათ ფიცრული დუქანი ფარდულებით. აქა ვაჭრობდა ეს ჩემი მოულოდნელი მასპინძელი. დუქნის წინ ყვავილოვანი რამ კორდი გაემართა და მაგიდები კორდის გარშემო იდგა, ხეებქვეშ დამსვა. მომართვა ლუდი და ნამხმარის ნაჭრები შემარილებული. სიო უბერავდა საამო. ქუდი მოვიხადე. დავუწყე ლუდს ნელ-ნელა სმა, რომ გული გადამეყოლებინა. თითონ ვაჭარი თავს მევლებოდა, პირს ღიმი გადაჰფენოდა, სიამოვნებით ხელებს იფშვნიტდა.

– იქნება გეამოთ, ჩემო ბატონო: გრამაფონზე რამდენსამე ხმას დავურავ.

– დაუკარ!

– ქართული ხმები უფრო გესიამოვნებათ, თუ სხვა ხალხის სიმღერები?

– ქართული! აბა ის დაუკარ: „მაისის ვარდმა ფურჩქვნილმან“

– მეც ძალიან მიყვარს ეს სიმღერა, – სთქვა მასპინძელმა და მომართა მანქანა.

კარგად იყო სიმღერა გადაღებული, დახელოვნებულ მომღერალს ჩაეძახნა მგრძობიარედ. თვით მანქანა კი ვერ იყო სადი, ხრინწი რამ მოსდევდა ყელში, ზოგიერთ ბგერასაც ჰყლაპავდა. პატრონმა რამდენჯერმე გაუსწორა მას მილი თუ ენა, თითონაც ჩაუძღერა, რომ წაეხალისებინა იგი და სწორედ ეთქმევიანებინა ხმა, მაგრამ

ამაოდ: მანქანა მაინც შიგადაშიგ ყალბობდა პატრონის გულის გასასიებლად. ის იყო, ვათავებდი სმას, რომ ახალი მუშტარი მოვიდა და მეორე მაგიდა დაიჭირა. სამხედრო კაცი იყო, უღვაშაგრებილი. ვაჭარი მხიარულად მიეგება მას, მხართო სასმელი და გადმომხედა, როგორც თავის ძველ მეგობარს, მასთან საერთო რამ საიდუმლოს მექონს. გავათავე. ჯიბეს ხელი გავიკარ და ხუთმანეთიანი მივაწოდე. იმან ხელები გაასავსავა და საწყლად დამედრიჯა:

– არა, ბატონო! პატივი მეც, ფულს ნუ მომცემ; აკი მე თითონ დაგპატიჟეთ.

მე განცვიფრება აღმებეჭდა სახეზე და წყენა მცირედი. მასპინძელმა ველარ მოახერხა რა და მითხრა:

– ხურდა არა მაქვს, ბატონო, ხელად; დარჩეს, გენაცვა, ხვალამდის.

ჩავიდე ფული და წამოველ. მიკვირდა იმ კაცის საქციელი. მადლობელი კი ვიყავ; დროც გამატარებინა, საფიქრებელიც გამიჩინა, თორემ აგერ თითქმის ერთი თვე იყო, ჩემს თავში განათებულ აზრს არ შემოეხედნა, აქამდის მხოლოდ განურკვეველი უკმაყოფილება სუფევდა ჩემს სულში, ჯანღვით განუჭვრეტელი და შემხუთველი.

მეორე დღესაც შევეფარე ფარდულს და ლუდი მოვითხოვე. ძალიან უამა ვაჭარს. ისე მევლებოდა თავს, როგორც სათუთ რამ არსებას მინაზებულს. ერთი-ორი კაცი სხვაც მოვიდა. ვაჭარმა სიამოვნებით ხელები მოიფშვნიტა და შემოგვთავაზა რამდენიმე ხმა გრამაფონზე. სიმღერები შერჩეული იყო, მაგრამ მანქანას ხრინწივე ედებოდა, ხმა უდუნდებოდა, ენა ებმებოდა. ვაჭარი პირში ედგა მას, თქმას უსწორებდა, ბოროტის თვალთ შეჰყურებდა. ფული ისევ არ აიღო ჩემგან. როცა წყენა შემატყო ამის გამო, მითხრა:

– დარჩეს, ბატონო, თქვენზე, რადგან უთუოდ გინდათ მომცეთ: მცირე რამ ფული შეგროვდება და მერე ერთბაშად ჩამოგართმევთ. მაგისთანა ფულები ყოფილა ჩემ მუშტრებზე! იყო დრო, როცა ათას-თუმნობით ვატრიალებდი თანხას.

– სადა ვაჭრობდით?

– ტფილისში, მიხაილის ქუჩაზე. დუქანი მქონდა აღებული და მთელი ბაღი. მუშტარს ვერ ავსდიოდი, მეტადრე ზაფხულობით. სავაჭრო ფარდულები რომ იყო, ცალკე სენაკებიცა მქონდა გამართული განმარტოების მსურველთათვის. მერე რა სენაკპანები მყვანდა მუშტრისათვის მიჩემებულნი! სწორედ ფერიები იყვნენ დალოცვილები. ცოდვა არ არის ეხლა ამისთანა მივარდნილ ადგილს ვვაჭრობ. იმედი მქონდა, ქალაქშიც კი პირველი სოვდაგარი შევიქნებოდი, მაგრამ, ეჰ, ბედმა უდროო დროს მიმტყუნა და ეხლა, დახე, სულ ორი-სამი კაცი შემოდის ჩემთან სავაჭროდ და ისიც თქვენის მოწყალებით, თქვენის მიბადებით.

– როგორ თუ ჩემის მიბადებით?

– მანამ თქვენ არ დაიწყეთ ჩემთან სიარული, სრულებითაც არავინ მოდიოდა.

მისმა სიტყვებმა გულისთქმაში ჩამაგდეს: მივხვდი, რომ მე ამ კაცს სწორედ მუშტრის მოსაზიდვად ვდომებოდა; მიზანში ამოვუღივარ, როგორც ახალი რამ საშუალება თავის ვაჭრობის გასაფართოვებლად, როგორც რამ გრამაფონი, რომელსაც უნდა მიეზიდნა მისკენ მუშტარი. მე კი ვსჯობდი მის გრამაფონს: ის ხშირად უჯათზედა დგებოდა, ჩემი დიდკაცური იერი და დარბაისლური შეხედულება არასოდეს არ უმტყუნებდა მას: გაქათქათებული მაჯა-საყელო, კეწკეწი ტანისამოსი. თითონ მე ზორბა და მუცლიანი, ბუნჯგალ-ბუნჯგლად უღვაშებდამვებული და ნიკაპ გამოპარსული, ოქროს მძიმე ძეწკვი ოქროსავე ჩანჩხურებით, ძვლის ლორნიონი ოქროს ძაფზე მობმული, ბჭყვრიალა ფეხსაცმელი, თივთიკის შაპო, მბრდღვინავი ხმა მბრძანებელი. რა მიჭირდა ან რა წუნი მქონდა?! და თუ მე ვიკადრებდი მის სავაჭრო ფარდულში მისვლას ლუდისა თუ შარბათის საგემებლად, რასაკვირველია, ეს

მისაზამი მაგალითი იქნებოდა სხვებისათვის, რომლებსაც ალბათ ხელმოკლეობამ აქნევინა პირი ამ უშნოდ გაზრდილ სოფლისაკენ, რომელიც გაკადნიერებულა და თავის თავისათვის აგარაკი უწოდებია. სწორედ ამისათვის მპატიჟობდა კაცი ისე გულიანად, სწორედ ამ მოსაზრებით ამეკვიატა, თორემ სად გაგონილა ვაჭრისაგან ესეთი ქცევა ან ესეთი უანგარობა?! უსაქმოდ მოყიალე დამინახა და ჩემი გამოყენება სცადა თავის გაჭირვებაში. მეწყინა ეს, მაგრამ, საკვირველია, არც ისე ძალიან: ერთი რომ, ჩემი მოსაზრება იქნება მართალი არ იყო და იქნება ამ კაცს აზრადაც არ მოსვლია ჩემ შესახებ ესეთი რამე; გარდა ამისა, ცნობისმოყვარეობამ გადამხარა თავისკენ და მადლობელიც კი შევიქენი იმ უცნობი კაცისა: დაკვირვების საგანი მისცა ჩემს წამოცარიელებულ სულს; ჩემს მძიმე მოწყენილობას მცირედ მაინც აქარვებდა ეს ამბავი და მეც მოვეჭიდე მას, როგორც რამ ხავსს. აღარც ის მეჩოთირებოდა ეხლა, რომ ვაჭარმა მთლად უარი სთქვა ფულის აღებაზე ჩემგან.

– კარგი, რახან ეხლავე არ იღებ ფულს, ერთად მოგცემ ბოლოს, ოღონდ კი დაიხსომე ჩემი დანახარჯი, – ვუთხარ ერთხელ და დავწყნარდი.

5

ხანდისხან მთელი საათობით ვიჯექი ერთი ჭიქა ლუდისა თუ შარბათის დასალევად: ვერთობოდი. ის უფრო მართობდა, რომ ჩემი მასპინძელი ისე ეპყრობოდა თავის გრამოფონს, როგორც სულდგმულს: ურჩევდა ხმა გაესწორებინა, ხრინწი ამოეწმინდნა, სიტყვები მკაფიოდ გამოეთქვა; ხან შეაქებდა, თუ მანქანა სიმღერას უნაკლულად დაათავებდა, ალერსის ნიშნად ხელს გადაუსვამდა; მაგრამ ერთხელ მუშტიც მოუღერა და ისეთის თვალით შეხედა, თითქო მტერი დაინახაო დუქანში შესული.

– ჰა-მეთქი! გეტყობა, ვერ მიცნობ. ნახამ შენს ყოფას: ისე მიგლეწო, პატრონმა ვერ გიცნოს!

– კიდევ!... რასა ხრიალებ, შე არამზადავ, ჯერ ხომ ყელში არავის წაუჭირებია შენთვის?

გამიკვირდა მისი ქცევა თუ თქმა, განცვიფრებით შევხედე მას. იმან თვალი მოჰკრა ჩემს შეხედვას და ჩემსკენ წამოვიდა.

– ესეც მღალატობს, ბატონო! სწორედ შინაური მტერია ჩემი. ჯიბრში ჩამიდგა და მერე რა დროს! რაცა მუშტარი შემომეჩვია და ბედმა ისევე მომხედა, – მითხრა და მისმა სახემ ფიცხელი რამ გამომეტყველება მიიღო, სასტიკი.

– რას ამბობ კაცო? მანქანა ჯიბრში როგორ ჩაგიდგება ან დროს როგორ შეგირჩევს?! ვუთხარი და ჩავაკვირდი.

შემაკრთო მის სახის უცნაურმა გამომეტყველებამ, ერთს წერტილს მიჩერებულმა მისმა თვალებმა; უკან დავიხიე. იმან წინ წამოდგა ნაბიჯი და ჩამჩურჩულა საიდუმლოდ:

– როდესაც უეცრად ვიზარალე, ვაჭრობა დამელუპა და მთლად დავნიავდი, ვიფიქრე, ზაფხულში სადმე სააგარაკო ადგილას გავხსნი დუქანს და ისევე გავიმართები – მეთქი წელში. რაც რამ საფასური მქონდა, ჩემი ცოლის სამკაულიც კი, ზოგი გავყიდე, ზოგი დავაგირავე; ვიყიდე იმ ფულით ცოტა რამ სავაჭრო და მასთან ეს გრამაფონიც, რომ ამის ხმით მიმეზიდნა მუშტარი. პირველ ხანში თითქო იმედი გამიცრუვდა, ეხლა კი ნელ-ნელა შემომეჩვია მუშტარი, მაგრამ, ხედავთ, მტრად ლამის ეს მანქანა ამომიჩნდეს, შინაურ მტრად! თუ ყოველთვის ესე წაახდინა სიმღერა, ისევე დაფთხება მყიდველი.

- ნუ გეფიქრება! მუშტარი იმისთვის მოდის აქ, რომ კარგ საქონელსა ჰყიდი და ადგილიც მარჯვე ამოგიჩვენოს.
- ნუ ბრძანებთ! იქნება ესეთი საქონელი სხვაგანაცა ჰქონდეთ, მაგრამ იმათ გრამაფონი არა აქვთ და საპატიო სტუმარიც არ მისდევთ. ქალაქშივე მოვიფიქრე, რომ სიმღერის ხმა მთელ აქაურ მუშტარს ჩემთან მოიყვანდა. ახ, რა დროს მლალატობს ეს შეჩვენებული!
- ალბად გაუფუჭდა რამე, გააკეთებინე.
- გუშინ თხუთმეტი თუმანი მივეცი და დღეს გავაკეთებინო! ან ვინ არის აქ მაგის მცოდნე?

დრო გადიოდა. სიცხე სოფლადაც კი თანდისთან საგრძნობელი ხდებოდა. მაგრილებელ სასმელებით მოვაჭრეებს მუშტარი ემატებოდათ. იოსებ ივანეს ძის ფარდულშიაც საკმაო ხალხი იკრიბებოდა, მაგრამ მას კი პირზე ღიმი აღარ მოსდიოდა: იმისი მომღერალი მანქანა დღითი-დღე ჯიუტდებოდა, განზრახ ხმას იწყვეტდა, საგალობელში შიგადაშიგ ბგერათა ჯგუფს სტოვებდა, უადგილო ადგილას ხმას აკანკალებდა ან ხრიალებდა, ხაოდა. აღარ ინდობდა თავის პატრონს, აღარც უგონებდა; მორჩილებიდან მთლად გამოსულიყო. ვაჭარს სისხლი ყელში მოჰბჯენოდა, ბოღმით ძლივსდა ჰსუნთქავდა, თვალეხი შესწითლებოდა; თვის მანქანას მტრულად უყურებდა, თითქო, ეს არის, ყელში უნდა სწვდესო. გრამაფონი კი სრულებით არ გრძნობდა პატრონის რისხვას, გულგრილად განაგრძობდა თავის უარშიობას, დაუნდობლად ამახინჯებდა ლამაზ-ლამაზ სიმღერებს; პატრონის შეტევაზე თუ მუქარაზე წარბსაც არ იხრიდა უგრძნობელი. მის დარდასა და ვარამს ისხლექდა გულსიპი, ზედ არ იკარებდა.

თანდათან მეტის ცნობისმოყვარეობით ვადევნებდი თვალს იოსების ტანჯვას და მის მანქანის გულქვაობას. კაცის ტანჯვა მართობდა იმ მოწყენილობაში! ვერ წარმოიდგენთ, რა ძნელია გართობას ნაჩვევ ადამიანისათვის უსაგნოდ სიარული და წუთების თვლა! ძნელი უფრო ის არის, რომ იმისთანა შემთხვევაში დღე ერთობ იზრდება, იჭიმება, დაუსრულებელი ხდება. მანამ კალენდარს ერთ ფურცელს მოაცლი, ერთი კვირა გამოდის. დღე თიბათვის ცხრიდანვე კლებულობსო. ტყუილია! იქ, იმ სოფლად, დღე მკათათვეშიაც იზრდებოდა, დაუსრულებლივ იძაბებოდა.

როგორც იყო, მიიწურა მკათათვეც. გლახებმა ძნა შემოზიდეს და კალოობას მიჰყვეს ხელი. სწორედ ჩვენი უბედურების ჟამი დადგა. სისხამ დილიდანვე ხმაურობა, ყიჟინა, ჰოროველას ძახილი, ხარების ლალვა-ლანძღვა მოსვენებას არ აძლევდა ადამიანს. გადიხრებოდა თუ არა მზე და წამოვიდოდა გრილი სიო, საშინელი ბუქი დატრიალდებოდა მთელ სოფელში: ყველა კალოზე დაიწყებდნენ ნიავებას და მოჰქონდა ნიავს ფერფლივით ბზე; მთელი სოფელი ივსებოდა ამ ფერფლით; აივანზე შემოდოდა ბზე, დერეფანში იფინებოდა; თმა, წვერი, ნესტოები, ხახა სავსე იყო ამ საშინელი ფერფლით. სააგარაკო ადგილს კალოები შემორტყმოდა სამივ მხრივ და მთელი ბუჩო ზედ სახლებზე მოჰქონდა ნიავს.

ბევრი შესძლება ადამიანს. ყოველდღე მთელი საათობით ბზის ბუქში გახვეული მუშაობა! მიკვირს, ფილტვები რატომ არ ევსებათ ამ საშინელი მტვრით და არ ეფლითებათ! ალბად სხვა რამ გამძლე მასალიდან არიან გაკეთებულნი, რომ მაინც შავ-წითლად ღვივიან, მეტადრე მათი გაზტიტველა გოგოები. ღვთის წყალობა გაქვთ,

ჩემი მელო იკადრებდა ხოლმე ხეებ ქვეშ გაბმულ ჭოჭინიდან აბრძანებას და ტყეში ღრმად გასეირნებას, სადამდინაც ვეღარ უწევდა კალოს მტვერი.

მოგვესპო სუფთა ჰაერიც და დაჰკარგა აგარაკმა ყოველივე აზრი. მოწყენილება ტანჯვად გადამექცა. მოწამლული თევზივით მივდ-მოვდიოდი უაზროდ, ბრმა-ბრმად, უმიზნოდ. ერთი ნუგეშიდა ღვიოდა ჩემ გულში: კიდევ ორი კვირა და მოეღებოდა ბოლო ჩემს სამძიმო ყოფნას; ჩავიდოდი ქალაქს და ისევ დავიწყებდი ადამიანურ ცხოვრებას. თითქმის მთელი დამე სუფთა და განათლებულ ხალხთან ბანქო ან ნარდი, შემდეგ მშვენიერი ვახშამი განცალკევებულ ოთახში სასიამოვნო ხალხთან, დღის თერთმეტ საათამდის ძილი, მერე ერთი-ორი საათი სამსახური, სადაც მხოლოდ ხელისმოწერა გჭირია და ხანდისხან ხელქვეითთა მედიდური შეფახვა, რომ თავს არ წავიდნენ; რჩეული სადილი, ბატონკაცური მოსვენება სადილთ უკან; ეტლით ლბილად ქანაობა განათლებულ-განათებულ ქუჩებში; თვის ოცში მთელი კალთა ფული. ადამიანური ცხოვრება კეთილი! მართალია, მანამ მივაღწიე ამნაირ ცხოვრების კარამდინ, მეც საკმაო იწროება გამოვიარე, მაგრამ უშრომლად ხომ არა მოდის რა. და ეხლა ჩემგან თუნდ დროებით დატოვება ამისთანა ცხოვრებისა რაღაც ბუნების კალთაზე განმარტოებულად ყოფისათვის სწორედ უაზრობაა შეუფერებელი. მაგრამ ვინ შეჰმართამს ჟინიან სურვილს ჩემის მელოსას?! ღვთის განგების უარყოფა შესაძლებელია, მისი ნდომისა კი არა.

მაინც ძალიან ძნელი იყო ჩემთვის ამ დანარჩენი დროის გატარებაც და ვეტანებოდი ყველაფერს, რაც კი მცირედ რამ ცვლილებას მაინც შემოიტანდა ჩემს ნირუცვლელ ყოფაში. ამისთვის იყო, რომ ნამდვილ მესიამოვნა, როცა კარდაკარ დაატარეს განცხადება, მსახიობები ჩამოსულან და კვირას წარმოდგენას ჰმართავენო; წარმოდგენის წინ სეირნობასაც მოაწყობენ ბაღში სხვადასხვა გასართობებით და სანახაობებითო, მუსიკაც იქნებაო. ვინც კი იყო იმ სააგარაკოდ, ყველა სასეირნოდ ბაღს მიაწყდა იმ დღეს. მოახლეებიც კი მორთულიყვნენ და ქალბატონებს ამოსდგომოდნენ გვერდში; ვერც კი გაარჩევდი, რომელი იყო მათში ქალბატონი და რომელი გოგო, თუ ფრჩხილებზე არ დაჰხედავდი. ან რა საჭიროა ამეების გარჩევა ამისთანა ბიამან ადგილას, მეტადრე თუ სარჩული სჯობს საპირეს? ბავშვებიც მოეყვანათ. ყველასათვის იყო შესაფერი გასართობი. ვნახე თვით მსახიობებიც. წვერ-ულვაში მოეპარსნათ, შავი ფარაჯები წამოესხათ, წინ ბჭყვრიალა ბალთით შებნეული, საოცრად გაზნექილი ქუდები ჩამოეფხატნათ. ვინ იფიქრებდა, რომ სააგარაკო არტისტები იყვნენ იგინი და არა ნამდვილი მსახიობნი?! ვიარე, ვათვალიერე, ვამთქნარე და ბოლოს მაინც იოსებას ფარდულისაკენ გავსწიე ყელის გასასველებლად.

საკმაოდ მისულიყო მუშტარი. ზოგი ლუდსა სვამდა, ზოგი შარბათს, სხვა ხილს შეექცეოდა ან ისე იჯდა დასასვენებლად. მომართვა იოსებმა ლუდი. მისმა სახის გამომეტყველებამ გამაკვირვა: მკვეთრი რამ ჯავრი აღბეჭდოდა შუბლზე, მრისხანება მოუთმენლად ღელავდა მის თვალებში. არ დაველაპარაკე: გუნებაზე არ იყო. მამართვა სასმელი და გატრიალდა, ისევ გრამაფონთან დადგა, უკრავდა მისი გრამაფონი, მაგრამ არაქათი გამოჰკლეოდა, ხმა ჩაჰხლეჩოდა. სულთმობრძავით ხრიალებდა. დაჰყურებდა ვაჭარი თავის მანქანას, თავის იმედს უკანასკნელს და სისხლი ენთხეოდა გულზე, თვალები ემღვრეოდა, შუბლი ეჭმუხნებოდა.

– რა დროს მიმტყუნა! – ჩაილაპარაკა ყრუდ.

და ნაბიჯი წარსდგა წინ. სახე აელეწა, თვალები აეგზნო, თითები ბრჭყალებივით დაუკავდა და დაეჭიმა. მანქანამ ყურადღება არ მიაქცია პატრონის უკიდურეს ღელვას და სწორედ საყურადღებო ადგილას ჩახლიჩა ხმა.

– მაშ ეგრე! – წამოიძახა ვაჭარმა.

და სწვდა გრამაფონს ყელში. წამს მოუგრიხა კისერი მოღალატეს და მისი ნამსხვრევები ფარდულის წინ გაფანტა. გაცოფებულმა ვაღარ შეიკავა თავი და მიჰყო ხელი დუქნის ავლა-დიდებას. – მაშ ეგრე?! – ხრიალებდა იგი გამწარებული და მის ხელქვეშ ნადგურდებოდა ყოველივე. გაჩნდნენ მოწესეები, სტაცეს ხელი გამმაგებულს. მაშინვე გამოვეცალე: ამისთანა ამბავს შარი სდევს და რა ჩემი საქმეა სახიფათო შემთხვევები?

7

მთლად მიიწურა ზაფხული. მოიღრუბლ-მოიქუშა ცა. დაიწყო განუწყვეტელი წვიმები. ატალახდა ეზო, გზა, მინდორი, ტყე; მუხლამდის საფლობი ხლარცვები და წუმპეები გაიმართა ყველგან. არავითარი ფეხსაცმელით გავლა აღარ შეიძლებოდა. ერთადერთი საშუალება იყო, მუხლამდის დაეკარწახებინა ადამიანს და ეტოპნა. ეხლა გავიგე, რადა ჰქონდათ იქაურ დედაკაცებს დაგრეხილი ფეხი ან დაპრანჭული თითები: წლითი-წლამდის რომ ისე ზილო ტალახი, ვერაფერი საალერსო ფეხი გაგეზრდება.

გათავდა ზაფხული და ნათელმა შემოაშუქა ჩემს ჩახშულ გულში. ისეთი სიხარულით მივეშურებოდი ქალაქში, როგორც ეშში მოსული ახალგაზრდა დანიშნულთან. ხუმრობაა: თითქმის სამი თვე ველური ცხოვრება, ყოველნაირ შნოსა და აზრს მოკლებული ყოფა! ბანქოს ხელში ჰქერასაც კი გადავეჩვიე. გული გამელო, ქალაქის ქუჩებს რომ შევხედე. წავედ ჩემს დალაქთან. ბევრი იცინა, როცა ნახა, როგორ საარაკოდ გავეკორტნე სააგარაკო დალაქს. საუკეთესო ხელოსანია ჩემი დალაქი, თუმცა ერთი თვალი ცოტა დაზიანებული აქვს. თავის დღეში არ ანდობს ჩემს თავს თავის ამხანაგებს. უმთავრეს ქუჩაზედ აქვს სადალაქო, ზედ უწერია „პარიკმახერ ცტეპან,, , ისე კი ბრუტიან სტეფანას ეძახიან. რამდენ რასმე მიაძობს ხოლმე, მანამ მკრეჭამს: ძველი ნაცნობია. ვნახე ადამიანის შესაფერად მოწყობილი აბანოც; ყოველივე მწიკვლისაგან განვიწმიდე! საკვირველი ის იყო, რომ ქალაქი ახალ რამ საუცხოო სანახავად მეჩვენა. ერთხელ მძიმე ავადმყოფი ვიყავი და რომ გადავრჩი , ქვეყნიერება სწორედ ესევე ახლად მეჩვენებოდა და მიმზიდველად. მეგობრებს რომ შევხვდი, წინაღამ გადავეხვიე, ისე მომსურვებიყო მათი ნახვა.

ჩემს მელოსაც, ვგრძნობდი, უამა შინ დაბრუნება. ღვთის წყალობა მაქვს, სული ამოეხუთა მარტოობით! ალბად ეგონა, მეგობრები უსათუოდ მოსძებნიდნენ მას, გველის ხვრელში გაძვრებოდნენ და იპოვნიდნენ. მოტყუვდა. გაბრიელმაც კი აღარა გვნახა. წავიდა ის დრო, როცა ოცნებათა ნიავი უქროდა მარტოობას! მე კი ვატყობდი, რომ ეწამებოდა წარბებშუა რომ ნაოჭი ასდევს, იმაზე ვატყობდი. მაგრამ გული გაიკლდევდა მოწყენილობის ნასახიც კი არ დაიმჩნია.. თითონ იყო ყველაფრის მიზეზი და იმიტომ. იცი? სამოთხიდან განდევნილ ევას ტყუილად ჰხატამენ შემნანედ თუ დამკრთალ-დაღონებულს. იგი ჯიუტად იდგებოდა თვით მეუფის წინაშე გაკერპებულ-გაქვავებული; წარბსაც არ შეიხრიდა მაშინაც კი, როდესაც სხივთაგან შეთხზული ტანთსაცმელი შემოსძარცვეს და ტყავი ჩააცვეს ლოხიანი, რომ აშკარად აღარ ებრწყინა მის სანდომ სიმშვენიერეს.

განვლო ჟამმა, თვისსავე კვალში ჩასდგა ჩემი საყოველღეო ცხოვრება და მიმაქანებდა რბილად, შეურყევლად, უზრუნველ-უფიქრელად, ბატონკაცურად. მიიწურა შემოდგომა. მოახლოვდა ზამთრის დღასასწაულები და ახალ-ახალი გართობების დრო შინ თუ გარედ, ისე ეტანებოდნენ მშვენივრები დიდ-დიდ

მალაზიებს, როგორც მლოცავი თეთრ წმიდა გიორგს. გაუტია ჩემმა მელომაც და დააქროლებდა ეტლს აღმა თუ დაღმა. სულ დამავიწყდა გავლილი ზაფხული, მისი სახე მთლად მიეფარა ჩემი გონების თვალთაგან: საკმაოდ დავლიე ლუდი და შარბათი იმ საკვირველ ადამიანის ფარდულში და სასყიდელი კი არ მიიღო ჩემგან. სრულებით არა ვარ ჩვეული რამე ავიღო უსასყიდლოდ, მერე იმისთანა საწყლისაგან. ეს მაწუხებდა. ვისთვის მიმეცა ფული და გადამეხადა მოვალეობა, როცა ის კაცი მთლად დავკარგე თვალიდან: შემთხვევით ვერა გავიგე რა მისი და განძრახ კი არ დავუწყებდა ძებნას ვიღაც გაკოტრებულ და გადარეულ მედუქნეს. ძალიან კი მინდოდა მომეშორებინა ის ვალი, რადგან, სხვა არა იყოს რა, ზაფხულს მაგონებდა ის, მე კი მინდოდა მთლად აღმოფხვრილიყო ჩემის მეხსიერებიდან იგი დრო.

8

დადგა დღესასწაულები. ეხლა მთლად უნდა აგვეშო კუჭი და ერთმანეთში ქეიფით გვეტარებინა დღეები. უბრალოდ იწყებოდა პურობა, მცირე საუზმით, საუზმეს მოსდევდა დიდებული სადილი, სადილი გარდაიქმნებოდა ვახშმად; მერე ცეკვა-სიმღერა თუ ბანქო და ისე გავიდოდა მთელი დღე-ღამე, როგორც რამ წამი საამო.

უფროსთან ვიყავ მიწვეული სადილად. თმა-წვერის გასასწორებლად წაველ ჩემ დალაქთან. ყოველთვის სუფთად უნდა წარუდგეს ხელქვეითი მეუფროსეს, რომ მისი აზიზი გრძნობა არ შებღალოს: დიდკაცს თავმოყვარეობაც დიდად განვითარებული აქვს, გული თუ გრძნობა განაზებული; არას დროს არ უნდა შეამღვრიო მისი გუნება. მეც ესე ვითხოვ ჩემ მრავალ ხელქვეითთაგან. სახლში როგორც უნდათ, ისე იცხოვრონ, ეს მე არ შემეხება ჩემს წინაშე კი სუფთად უნდა იყვნენ და ღირსეულად, მეტადრე თუ სახლში მივიწვიე ვისმე მათგანი. მომეგება დალაქი, სავარძელი მომიმარჯვა. საკრეჭ-საპარსი იარაღი ჩემს თვალწინ გაავლო განმწმენდელ ალში, რომ შემთხვევით უსუფთაობა რამ არ შერჩენოდა ზედ. მეორე სავარძელში სხვა ვინმე ჩამჯდარიყო, თეთრსავე ჩარსავში გახვეული და მეორე დალაქი მას დასტრიალებდა თავს. ჩემ წინ რომ სარკე იდგა, იმასში სჩანდა ის. ჩემი ყურადღება მიიქცია იმან, რომ ის სხვა დალაქის ხელქვეითი სიცილს ძლივს იკავებდა. მეწყინა; მუშტრის უპატივცემულობა იყო ეს; შეიძლება ჩემს გვერდითაც ესე თავხედად მოიქცეს ვიღაც დალაქის ბიჭი. შუბლი შევიკარ. გაათავა იმ დალაქმა სამუშაო და შეჰხსნა მუშტარს ჩარსავი. გავკვირდი; დაფლეთილი კაცი ადგა სავარძლიდან. მორჩა ჩემი დალაქიც. ავდექი. იმ დაგლეჯილმა მუშტარმა ჩაიყო ხელი ჯიბეში, ცარიელივე ამოიღო ხელი, წყნარის ნაბიჯით მივიდა მაგიდასთან. ვითომ დასდვა ზედ ფული და გამოტრიალდა... სახტად დავრჩი; ის იოსება იყო, აგარაკში გაცნობილი ვაჭარი, ლუდს რომ მასმევდა ხოლმე. ჯერ ცოტა დავიბენ, მაგრამ მალე მივხვდი, როგორ ადამიანთანა მქონდა საქმე.

– გამარჯვება შენი, იოსებ ივანეს ძე! ხომ გახსოვარ!

– როგორ არა! ჩემ სავაჭრო ფარდულში საქმელებს რომ მიირთმევდი ხოლმე ზაფხულში.

– ჰოდა, მაშინ შენი ცოტაოდენი ბუჩული გამომყვა და ინებე ეხლა! – ვუთხარი და მივაწოდე წითელი.

თუმნიანის დანახვაზე ჯერ უეცრად აღელდა და აღტაცება დაეტყო თვალებში, მაგრამ მალე ისევ წყნარი გამომეტყველება მიიღო და დინჯად ჩამომართვა ფული.

– არ დაკარგო, შენს ცოლს მიუტანე, – უთხრა დალაქმა.

– მე ვიცოდი, რომ პატიოსანი კაცი ბრძანდებოდი. ჩემი მოვალეები რომ ესე

პირნათლად გადიხდიდნენ ჩემს ვალს, ისევ პატივსაცემი სოვდაგარი შევიქნებოდი. ეჰ, ისევ არა უშავდა რა, თუ შეჩვენებულ გრამაფონს არ ემტყუნა ჩემთვის, – სთქვა იმან და ამ მოგონებაზე აღელდა, აირია. მსწრაფლ გავიდა დუქნიდან ხელების ქნევით.

– საწყალი! – სთქვა დალაქმა, – მშვენივრად ვაჭრობდა, უზრუნველადა სცხოვრობდა, მაგრამ ამხანაგმა ალალატა და დალუპა. ამ ზაფხულს დარდზე გადარეულიყო და საგიჟეთში იჯდა ცოტა ხანს. ჩემი მუშტარი იყო. თქვენც შეჰხვედრიხართ აქ, მხოლოდ ყურადღება არ მიგიქცევიათ. თმა-წვერის გაკეთებაში მანეთზე ნაკლებს არ დასდებდა მაგიდაზე. ეხლაც ორ კვირაში ერთხელ აუცილებლივ მოდის და ისევ წინანდებურად იქცევა: ვითომ ამოიღებს მანეთს და დასდებს მაგიდაზე იმავე ადგილას.

– მაშ დაჰკარგამს იმ თუმანს.

– არა, ცოლს მიუტანს. არც ისეღა არის გადარეული. მხოლოდ თუ გრამაფონი დაინახა ან მისი ხმა გაიგონა, ფთხება და ფოთდება: ჩემი მტერი არის, ჩემი დამღუპველი შინაური მტერიო.

1914 წ. .

ვერცხლით სნეული

სიმდიდრე თუ გიყვარდა, რად დაემოწაფე
სიგლახაკისა მოძღვარსა?

1

ჯერ ისევ ახლად იყო შეღამებული, სოფელ ყანებიანს კი ღრმად ეძინა. სისხამ დილაზე ამდგარი და მთელი დღის განმავლობაში შეუწყვეტელი შრომით მოქანცული სოფელი ადრე იძინებს, მზის ჩასვლისთანავე, რომ განთიადს საქმეზე დამდგარი დაჰხვდეს დამკლავებული: სოფლად დღე უზომო შრომისათვის დაუდგია დამბადებელს, ხოლო ღამე შესასვენებლად მოღლილის და მოუძღურებულ ხორცისა.

უფრო ადრე იძინებს სოფელი, როცა ბუნება მოწყენილია და გულჩათხრობილი, როცა მოქუშული ცა იცრემლება, ვარსკლავები მიჰფარებიან განუჭვრეტელ ღრუბლებს, ხოლო მთვარეს პირი შეუქცევია დედამიწისათვის, უარუყვია ის და განუწირავს.

ესეთი იყო ის დღე: ნესტიან-ჟინჟლიანი, დალტობილი, აჭიჭყნილ-ატალახებული; გულზე სევდის დამხვევი და ხალისის წამრთმევი. დააწყნარეს თუ არა სოფელელებმა საქონელი და მფრინველი, მაშინვე ჩაწვნენ ნიათგამოცლილები. ძაღლებიც კი აღარ გუშაგობდნენ, სოფელს: წვიმისაგან შეწუხებულნი შეჰფარებოდნენ საჩხს თუ სათივეს და გარინდებულიყვნენ პატრონებივით ხალისგაწყვეტილნი. ბნელს გაჰხარებოდა თვისი ბატონობა, ძღვეამოსილად გადაჰფარებოდა სოფელს, ჩაჰკროდა, ჩაეშავებინა და უჩინარ ექმნა იგი. დრო ხელს უწყობდა შავის ბატონობას: მიწურულიყო შემოდგომა, დღეები გალეულიყვნენ, მზე დაჰშორებოდა ქვეყანას,

სითბო და სინათლე მოეკლო მისთვის და გარესკნელ ძალთათვის მიეცა იგი სატანჯველად. ახ, ძლიერ შორს იყო ის დრო, როდესაც მნათობი სახიერი გულს მოიბრუნებდა ჩვენზე, შეგვინდობდა ცოდვათა ჩვენთა, ჩვენსკენვე იქმოდა თვის პირს სხივოსანს და განგვინათებდა ყოფას გატანჯულს.

ბნელოდა ყველგან. მხოლოდ სოფლის განაპირას გამოკრთოდა ფანჯრიდან ნათელი რამ ცრიატი, სიბნელისაგან ძლეული; მას უკვე ახლდა თვის არსებაში ბნელი: ირყეოდა იგი, ხან მთლად მიმქრალდებოდა, ხან ოდნავ იმატებდა, ძალს იკრეფდა და შემღვრეული სხივებით ამაოდა სცდილობდა განექვრიტა წყვდიადით შემოსილი არე. იგი ნათელი სრულებითაც არ იყო მხიარული, არც ნუგეშინის მცემელი: ოდნავდა არღვევდა ციაგი წყვდიადის ერთიანობას და ძლევამოსილობას; თვალი გრძნობდა, რომ ისიც მალე დაინთქმებოდა ურყეველი სიბნელის საამოდ და გასახარად.

ის მღვრიე ნათელი, მბჟუტავი და ფერმიხდილი, გმოსჭვივოდა მღვდლის ტიმოთეს სახლის ფანჯრიდან. ლამპრის შუქი ჩაებნელებინა შიგნიდან სარკმლის ფარდას, ხოლო გარედან ხშირ ნისლს, რომელიც მძიმედ ჩამოწოლოდა სოფელს და მიმოიდროდა შეტბორებულ-შენივთებული.

2

მღვდლის ბაღებს უკვე ეძინათ იქითა ოთახში. თითონ ტიმოთე და მისი ცოლი მაგიდას მისხდომოდნენ პატარა ოთახში და საქმეში იყვნენ გართულნი. ქალი ბაღლის ახალუხსა ჰკერავდა, კაცს დავთარი გადაეშალნა და ანგარიშობდა. მაგიდა მოფენილი იყო სხვადასხვა ტანის ბარათებით, რომელთ შორის ზოგი კიდევ შეყვითლებულიყო დროთა მსვლელობაში. ახალუხის ამარა იჯდა, ჭრელი წინდებით ფეხზე. მცირედ ჭადარაშერეული თმა აჰბურძგნოდა. სკოლაში რომ სწავლობდა ტიმოთე, მაშინ ეს ჯალჯივით თმა მის სიამაყეს შეადგენდა და მშვენებას; ისეც მოხდენილ ბიჭს ყავლას აძლევდა ხუჭუჭი. ეხლა შუბლ ზეით მთლად შესთხელებოდა თმა, სიმელოტის ფართე გზა გაეკვალა საქორრესაკენ, ხოლო კეფაზე და გვერდებზე, საფეთქლების მხარეს, ბეწვი მკვიდრადვე იყო ჩარგული და მარად წამს უშნოდ იბურძგნებოდა. ემტყუნა ამ სამკაულს კაცისათვის და დაეუშნოებინა იგი, თითქმის საშიში რამ იერი მიეცა მისთვის. სახე კი ჯერ არა ჰქონდა მოტეხილი და თვალების გამომეტყველებაც ისევ ჭაბუკური შერჩენოდა, თუმცა ახალგაზრდული გულუბრყვილობა და აღფრთოვანება აღარ გამოსჭვივოდა მათში.

– სამას თუმნამდის არის ეხლა სოფელზე ჩემი ნისია. ნისია კი არა, ნამდვილი ნალდი, რომელიც შემიდლიან დღესვე ავინაზღაურო კანონის ძალით. სწორედ ჩვენ გლახობაზე გამოჭრილი ხერხია! იასაულით ნისიის აკრეფას ესე შინაურულადა სჯობია საქმის მოგვარება.

– არა გაქვს ხელად და იმისთვის არ მაძლევ განწესებას? კეთილი! ბოროტი მევალე ხომ არა ვარ, ყელში წაგიჭირო; დარჩეს შენზე, სანამ შესძლებდე.

– ჰო, შენი ჭირიმე! მადროვე და როცა ღვთით, წელში გავიმართები, მიიღე თუნდ სარგებლით.

– არა, ჩემო პეტრე, მე შენი სარგებელი არ მინდა; მხოლოდ პატარა ბარათი მომეცი, რომ გმართებს ჩემი: ხომ იცი, ფულმა დავიწყება იცის. ესეც არ იყოს, ყველანი სიკვდილის შვილნი ვართ და არავინ იცის, დღეს რა მოაქვს ან ღამეს.

– კარგი, შენი ჭირიმე, დაწერე ბარათი.

– წავიდეთ და ჩვენი მწერალი დაგვიწერს, ხელსაც თითონვე მოაწერს შენ

მაგივრად; შენ ხომ მაინც წერა არ იცი.

– წავიდეთ, შენი ჭირიმე! აბა ვინ მასწავლიდა ხელის მოწერას.

– ამგვარად შეგროვდა ეს ბარათები ჩემს ხელში. ზოგი ამ უბრალო ბარათთაგანი ნამდვილ თამასუქადაც იქცა ეხლა, კანონიერად დაწერილ საბუთად. აი კაკალაანთ ივანეზე თორმეტი თუმანია თამასუქით, ბასილაანთ სულხანაზე რვა თუმანი. ახლა სხვაზედაც მეტი თუ ნაკლები. დღესვე შემიდლიან აღმასრულებელი ფურცლები ავიღო და გავინაღდო; შემიდლიან გავყიდო კიდევ ეს თამასუქები. ესე სჯობია: ჩემსასაც არა ვკარგავ, ხალხსაც თითქო ხათრს ვუწევ და მთელი სოფელი ხელში მიჭირავს მტკიცედ. ეხლა უნებლიედ უნდა მეფერნენ ჩემი მოვალეები. აბა ერთი კრინტი დასძრან ჩემ წინააღმდეგ ან არ შემისრულონ რაიმე სურვილი და მაშინ ნახავენ თავიანთ ყოფას, – ფიქრობდა ხუცესი და თან ბარათებს ერთმანეთზედ აწყობდა და ჰკონავდა.

ქალს მოეწყინა კერვა, დაამთქნარა, გადადო ხელსაქმე, გაისწორა ჩამომლილი თავზე მოსახვევი და რხევით გასწია მეორე ოთახისკენ. ქმარმა თვალი გააყოლა ცოლს, ჩაიტკაცუნა გადაჭდობილი თითები და ისევ ქალადებს ჩააკვირდა.

– ხუთიოდე წელიწადი რომ კიდევ მოვტრიალდე აქ, მთელი სოფელი ჩემი ყურმოჭრილი ყმა შეიქმნება. კარგა ნაღდის შეგროვებას შევსძლებ. მაშ რა ვქნა? ეხლანდელ დროში თუ ფული არ გიჭირავს ხელში, შენი არც ჰკუა გასჭრის, არც პატიოსნება და არც საპატიო თანამდებობა. შემდეგში შევსძლებ სახლ-კარიც ვიყიდო ქალაქში. ბოლოს ხომ მაინც ქალაქში უნდა გადავიდე. რატომ? ჩემზე ჰკვიანები სხედან იქ მღვდელად თუ ჩემზე განათლებულები? რამდენია იქ ისეთი, რომ სწავლა არ დაუსრულებია ან თუ დაუსრულებია, ისიც ვაი-ვაგლახით. გადავალ ქალაქს და მაშინ უფრო ადვილად შევიძენ ქონებას, შევსძლებ ისე მოვაწყო ჩემი ცხოვრება, როგორც შეეფერება განვითარებულ ადამიანს, – განაგრძობდა ფიქრს ხუცესი და თან ხელი ყუთში წყობისად ალაგებდა ბარათებს.

ძილი მოერია. თვალების სრესა დაიწყო. ძილს ძილი მოაქვს: დღეს მრევლში არავითარი საქმე არ გამოუჩნდა, ისე გასეირნებაც არ შეიძლებოდა ავდრის გამო და ეძინა კაცს სადილ წინადაც, სადილთ უკანაც; რულმა ეხლაც წაართვა თავი და თბილ ლოგინისაკენ დაჰხარა მისი ოცნება. ნესტიც კი იყო სახლში, მაგიდასთან ჯდომას ჩაწოლა ეჯობინებოდა და განსვენება. ჩაკეტა ყუთი, ჩადგა განჯინაში და გავიდა დასაძინებლად.

3

რბილი ლოგინი საამოდ გაშლილიყო ვეება ტახტზე და იწვევდა ვაჟკაცის საფუფუნებლად. ყურთუკის ბალიში გულგაშლით ელოდდა პატრონს. ფართე საბნის ერთი მხარე თავისუფლად იყო გადმოშლილი, ხოლო მეორე ნახევარში გახვეულიყო მღვდლის ჯალაბი და ტკბილად ეძინა. ფუჩფუჩა ქალის ბადრი სახე სითბოს წითლად შეეღვივებინა. მძიმე თეთრი მკლავი მეორე ბალიშზე გადმოედო ქალს და იზიდავდა ვაჟკაცს განსვენებისადმი, ხუცესი ნდომით დააშტერდა მძინარეს, მერე გაიხადა ტანთ და ასწია საბნის ყური, რომ შეწოლილიყო, მაგრამ ამ დროს ყრუდ გაისმა ძაღლის ყმუილი, შესდგა მღვდელი უძრავად, გაშეშდა. ძაღლმა უფრო შეამალა ხმა და ღრინვა ყეფად გარდაჰქმნა, მოისმა ძახილი:

– მღვდელო! ჰაა, მღვდელო!

მამა ტიმოთემ პირჯვარი გადისახა უნებლიეთ და წარმოსთქვა:

– ნეტა ვინ უნდა იყოს ამ დროს?

ძალის ყეფა გახშირდა, ალმასა გამწარებული ეტანებოდა ვიღაცას. მოსულმა მიაღწია კარებს და ჯოხი წაატაკა, რომ ძაღვს გაეგებინებინა სახლის პატრონისათვის ძახილი. მღვდელი ერთ წამს შეკრთა.

– ბნელი ღამე ავაზაკებისთვის არის ქმნილი, ხოლო ცოცხალ კაცს მტერი არ დაეღუპა, – გაიფიქრა იმან და გასძახა დაკეტილი კარებიდან:

– ვინა ხარ, კაცო, ან ამ დროს რა საქმე გაგჩენია?

– სესია ვარ, მამაო, ნაჩხატაანთ სესია, გამომხედე მამაშვილობას!

– რა ამბავია, კაცო, რა გაგჭირვებია ამ უდროვო დროს?

– ჩვენი ბერიკაცი კვდება, სულს აძლევს; ეგებ მოასწრო ზიარება.

– რა დროს ზიარებაა, შე მამაცხოვნებულო, ამ შუალამისას ძანძახში?! არ იქნა, ვერ ჩაგაგონეთ, თავის დროზე დამიძახოთ წესის ასასრულებლად. სულ გეუბნებით, დღისით შემატყობინეთ. სირეგვნეა თქვენი და გაუგონრობა. ან რაღა ზიარება უნდა, ამ ზაფხულს არ ვაზიარე მარიამობას.

– რა ვქნა, მამაო, ეხლა შეწუხდა საწყალი და მეც გამოვეშურე. ჰარიქა, გეთაყვა, გაისარჯე: უზიარებელი არ მოკვდეს ბერიკაცი.

მღვდელი გამოტრიალდა ბურტყუნით; ძაღვი კი ღავლავებდა და ეტანებოდა მოსულს. ხმაურობაზე გამოეღვიძა მღვდლის ჯალაბსაც. სწრაფად ჩაიცვა ქვედა ტანი, წამოისხა შალი და წაყო ტიტველა ფეხი ჩუსტებში.

– რა იყო, რა ამბავია, კაცო?

– ღმერთმა რომ არ იცის ამ ტეტების თავი და ტანი! ნაჩხატაანთ ბიჭია, ბერიკაცი შეგვიწუხდა და აზიარეო. მეტი გზა არ არის, უნდა წავიდე ამ საძაგელ ღამეში. კაცს არ მოასვენებენ. ახლა მწირველიც ვარ ხვალ: შვიდია შემოკვეთილი და არ ვუწირო, ძნელი იქნება.

– უნდა წახვიდე, ადამიანო, მა რას იზამ: უზიარებელს ხომ არ მოჰკლავ საწყალ კაცს.

– უნდა წახვიდე! – დააჯავრა ქმარმა. – აბა ერთი შენ წადი ამ უკუნ ღამეში. თანაც უსარგებლო უნდა ვტოპო: ზიარებაში ხომ არაფერს იძლევიან. მომიტა ერთი სანაწილე!

მღვდელმა ჩამოართვა ცოლს სანაწილე და ოლარი, დაიკვართა ანაფორა, აიღო არგანი და გაემართა.

– ჩაკეტე კარი! ვინძლო ეხლავე შენებურად დაიძინო და დროზე არ გამიღო კარები, – უკმეხად მიაძახა ქალს მიმავალმა.

ქალმა ხმა არ გასცა ქმარს, შემოტრიალდა და ჩარაზა კარი. უნდოდა ისევ ჩაწოლილიყო ლოგინში, რადგან ნათბილარს სიომ დაჰკრა და გააჟრჟოლა, მაგრამ შეეფიქრა, ვაითუ მღვდლის დაბრუნებამდის ჩამეძინოსო და ჩამოჯდა ბუხრის წინ.

ფიქრმა წაიღო მღვდლის ჯალაბი. არ ეჩემებოდა მას ქმრის ხასიათი და ცხოვრების გზა, ამ ბოლოს დროს სრულიად არ მოსწონდა იგი. აგერ რამდენი წელიწადი იყო მასთანა სცხოვრობდა ქალი, მაგრამ ვერ შესჩვეოდა მის ქცევას, ვერ შეეგნო მისი რწმენა, ვერც აზრი მისი ყოფისა. არ ეთანხმებოდა ქმრის აზრები ქალის ფიქრებს, ვერ დაჰნდობიყო ქალი კაცისგან არჩეულს კვალს არსებობისა, ვერ შესთვისებოდა მისი რწმენა და ბუნება ქმრის შეხედულობას. ქალს გულს უმღვრევდა ის უდიერობა, რომელსაც იჩენდა მღვდელი მრევლის მიმართ, მეტადრე მაშინ, თუ საქმე შეეხებოდა შესაძენს და მოსანაგრებელს და ის გარეწრობა, რომელიც ემჩნეოდა მის მოქმედებას

ეკლესიისა თუ საეკლესიო წესების შესახებ. ღარიბსა და ბეჩავს არასდროს არ აპატიებდა ის შემოსატანს, საპყარსა და საწყალს ლუკმას არ მიუპყრობდა, ლატაკ ნათესავს თუ ნაცნობს სახლში არ გაჰზადებდა; ვერცხლის ბჭყვრიალს თვალი მოეჭრა მისთვის, თრთოლვა მოსდიოდა მის ხილვაზე; მზირი თვალი ეჭირა ყველაფერზე, საიდანაც კი თუნდ მცირედ რასმე სარგებელს გამოელოდდა. დიასახლისი იყო მარინე და თავის საკუთარ სახლში თავისუფლად ვერ განძრეულიყო ქმრის შიშით, მცირედი სურვილის ასრულებაც ვერ გაეხედნა; ყველაფერში ანგარიში უნდა მიეცა ქმრისათვის, ყველა წვლილსა და უმნიშვნელოში. არა, მის მამის სახლში სულ სხვა სახე ჰქონდა ცხოვრებას. დიასახლისის მეტადრე ის აღონებდა, რომ ამ ყოველჟამს სასტიკმა ყაირათმა და შეძლებისადმი მისწრაფებამ მთლად ამოაშრო ოჯახში გულუბრყვილო სიამე, თუნდ წამიერი კმაყოფილება და სიხარული. სინათლე და ღიმილი განდევნა სახლიდან ამ უგულო ლტოლვილებამ, დრტვინვა და უზომო სიხარბე გაამეფა კერაზე. ის იყო დიასახლისისათვის უფრო ძნელი, რომ ბოლო არ უჩანდა ამ უკაცურ ყოფას, რადგან დვრიტა მაინც სქლად არ ედებოდა ოჯახს, თვალსაჩინოდ ვერ იზრდებოდა სახლის სიმდიდრე. ქალი გრძნობდა, რომ თვით ამ საანგარო მოქმედებისათვისაც კი არ იყო კაცის ქცევა მარჯვედ მოაზრებული და მიზანშეწონილი, ალღოთი მიმხვდარიყო ამას მარინე, თუმცა განსაზღვრული სახე ვერ მიეცა თავის ამ ბუნდოვან გრძნობისათვის.

- საზიარებლად ეძახიან მღვდელს და როგორ შეიძლება მისგან დაზარება ან საშოვარზე ფიქრი ამ საშინელს წამს?! როგორ შეიძლება ჯავრობა ან ჭირისუფლის გათახსირება?! კაცს მომაკვდავი შინ დაუტოვებია, მოსულა და გევედრება აზიარო, უკანასკნელი ნუგეში წაუძმღვარო საუკუნოდ მიმავალს, შენ კი აყოვნებ, უარზედა სდგებარ და უშხრთიალებ. როგორიღა მოძღვარი ხარ და მამა სულიერი?! ზიარება უკანასკნელის სასოებაა სულთმობრძავისა, წმიდა ნაწილმა უნდა განაშოროს მის უბადრუკ სულს ეშმა, რომელიც მარცხნით კერძო მიახლებია ამომავალ სულს და შიშის ზარსა სცემს მას, აძრწუნებს ფრიად; იესოს სისხლმა და ხორცმა უნდა დააახლოვოს მასთან მარჯვენით მდგარი ანგელოზი კეთილი, რომ მან უპყრას ხელი სულს წარმავალს და წარუძღვეს მას დიდს და საზარელ გზას ჰაერთა შინა. როგორ შეიძლება ამ საშინელს წამს ყვედრება ან ყოყმანი?! პაპაჩემი სრულებით ეგრე არ იქცეოდა. ან როგორ შეეძლო მას უდიერად მოპყრობოდა გაჭირვებულს, როდესაც ის თითონ იზიარებდა დაზარალებულის ტანჯვას, როდესაც თითონაც ცრემლით ტიროდა ჭირისუფლის ტირილზე. საყდარშიც მოწიწებით და გრძნობით იცოდა ლოცვა. რამდენჯერ ასთრთოლებია ხმა გულსატკენ საკითხავების დროს და მის ცრემს მთელი საყდარი აუქვითინებია.

და გადაიტანა ქალი ფიქრმა თავის მამის ოჯახში. მოაგონდა, როგორ უამბობდა ხოლმე მას პაპა სულის ამოსვლის ამბავს, მის მოგზაურობას იმ ქვეყნად და ჰაერთა თანა ძრომას საშინელს.

- რა მოახლოვდების ჟამი ცოდვილის სიკვდილისა, განელება ბჭე ჯოჯოხეთისა და მუნით მოველინება უბადრუკს ეშმა ბილწი, რომელსა აქვს ხელთა შინა მახვილი ცეცხლისა. და მოესმის მომაკვდავს ხმა მქუხარი: ვითარცა არაოდეს განმისვენა სულმა მაგისმან, ნუცა შენ შეიწყალებ მას! მაშინ ეშმა ჩასცემს ლახვარსა ცეცხლისასა პირისა შინა, მრავლგზის სტანჯავს მას გვამსავე შინა და მერმელა აღმოსწვდის სასტიკობითა. მხოლოდ ზიარება შეუმსუბუქებს მომაკვდავს ტანჯვას უკანასკნელს. ამისთვის არის, რომ მღვდელი უნდა ისწრაფოდეს აზიაროს მომაკვდავი. როგორღა შეიძლება აქ მრისხანება ან დაყოვნება ხანისა?!

- ზიარებისავე მაღლი უძღვის სულს უბადრუკს და ყოვლად შეძრწუნებულს

საყდრამდე მეუფისა მართლმსაჯულისა. თანაჰყვება სული შემრწუნებული ანგელოზს წინამძღვარს. დაჰხვდებიან მას საშინელნი მცველნი ჰაერისანი, რათა წარიტაცონ იგი. გარდაუშლიან უსახურნი ცოდვათა ეტრატს და იგი ცოდვანი შეამძიმებენ სულს და მოაკლდების მას ძალი აღმაფრენისა. გარნა ანგელოზი კეთილი გადაშლის სახეს მის კეთილმოქმედებათა და კვლავ ჰაეროვან იქმნება სული და შემძლებელ თანაჰყვებოდეს წინამძღვარს, ვიდრემდის მივა სავანეთა ზეციურის მეუფისა და იხილავს ნათელსა მის მხიარულს თუ მისთა ელვათა კრთომას სანატრელს.

თვალწინ წარმოუდგა ქალს როგორის სასოებით ემზადებოდა პაპამისი წირვისათვის, თითონ რომ ემზადებოდა ლოცვითა და მარხვით, თავის შვილსაც მარინეს მამას, თავისთან ალოცებდა და ამარხულებდა, თუმცა ის მხოლოდ დიაკვანი იყო მაშინ, თავისი მამის მედავითნე. მთელი ოჯახი გაკრძალული იყო, რომ არ შეეშალათ წესი მოძღვრისათვის, არ დაერღვიათ მისთვის ჟამი ვედრებისა ან არ აემღვრიათ მისთვის სულის სიმშვიდე. უყვარს მარინეს პაპის გვერდზე ლოცვად დგომა. აგერ ფეხაკრეფით შევიდა მასთან, მუხლი მოიყარა მის გვერდზე და ლოცულობს. თან ოლარის ფოჩებს ათამაშებს. ღვთისმშობელსაც მოსწონს პატარის ლოცვა, ღვთისმშობლის ძველისძველ ხატს, მარტო თვალეზიდა რომ მოსჩანს ნახატიდან. მარინე თვალეზში ატყობს ხატს, რომ უამება მას მისი ვედრება. პაპასაც უამება თვისი პატარის იქ ყოფნა. განძრახ ხმამაღლა და გარკვევით მოჰყვა ლოცვების კითხვას.

– შეიწყნარე, დიდებულო, დედოფალო ჩემო ღვთისმშობელო მარიამ, ვედრებაი ჩემი; შენა ხარ ღვთისა მიმართ შუამდგომელი და ყოველთავე საქმეთა ჩემთა შენ მიგიბრძობ, შენ ხარ შემეწე ჩემი, შენ ხარ მხსნელი ჩემი, შენ ხარ მფარველი ჩემი, შენდამი დამიძს ყოველი სასოება ჩემი. ფიცხელთა საღმობათა და ვნებათაგან ბოროტთა განვიცდები, შენ შემეწე, სულთა და ხორცთა ჩვენთა მკურნალო, ქალწულო მარიამ... ქალო მარიამ!

– მარინე! არ გესმის, ქალო? – გამოარკვია ყურთასმენამ ხმა და თვალეზი ღია დარჩა ქალს.

– რა დაგემართა, ქალო, რა ძილქუში დაგწოლია, რომ ლამის ხმა ჩავიხლიჩო ძახილით.

შერცხვა მარინეს, რომ თავი ვერ შეიმაგრა ძილისაგან და დროზე არ გაულო კარი სამუშაოდან მომავალ კაცს; ხმა აღარ გასცა, თუმცა გული კი ატკინა მისმა მკაცრმა სიტყვამ.

– არც შინ, არც გარედან არა მაქვს არავითარი პატივი და სიხარული! – შეუმაღლა მღვდელმა ხმა და მიაგდო კუთხეში კვერთხი.

– ნელა, ბეჩავ! ბაღლები არ დაადვიძო. დღეს ძალიან დავიდალე სარეცხის რეცხვით, ახლა საკერავი მქონდა და უნებლიედ ჩამძინებია ცეცხლთა პირას, – უთხრა დიასახლისმა.

და ჩამოართვა სანაწილე და ოლარი. უნდოდა ეკითხნა მომაკვდავის ამბავი, ისიც უნდოდა ეთქვა ქმრისათვის რა სახეები დაუსახა ოცნებამ ბურანში წასულს, მაგრამ გაჩუმდა: იცოდა, რომ მკვახედ უპასუხებდა კაცი, დასცინებდა, წაყვედრებდა განუვითარებას, ცრუმორწმუნებისადმი მიდრეკილებას და გულს ატკენდა ისეც გულნატკენს.

გულს კი ადვილად ატკენდა კაცი მარინეს, რადგან ნაზი გული ჰქონდა, თბილი, ჩვილ გრძნობათათვის კარგადებული. რა ვუყოთ, რომ ქმარი ხშირად უსაყვედურებდა, გაუნათლებელი ხარ, სოფლის გოგოებთან გაზრდილი და რა გაგეგება მაღალი გრძნობებისა ან დიდი აზრებისაო. არ ეთანხმებოდა ქალი განათლებული ქმრის ესეთს მსჯელობას, თავის გუნებაში ვერ ეთანხმებოდა, თორემ პირში არას უბედავდა ვაჟკაცს, უბრალოდ სიტყვასაც არ შეუბრუნებდა. დიდი აზრების შესახებ იქნება მართალიც იყო განვითარებული კაცი, თუმცა ქმრისაგან ნათქვამს ქალი ყოველთვის ლამაზად ითვალისწინებდა და აფასებდა; ხშირად კიდევ უსწორებდა მას მოსაზრებას, თუმცა ახირება არ უყვარდა. მას შეგნებული ჰქონდა საზოგადო შეხედულებაც ცხოვრებაზე და ყალბადაც მიაჩნდა იგი მისი თვალსაზრისი, ვერ შეჰრიგებოდა ქალი მღვდლის აზრსა და ქცევას მრავალ კერძო შემთხვევების შესახებაც. და არც გაუგებრობით მოსდიოდა ეს მარინეს, როგორც ეტყოდა მას ქმარი. ხოლო გული მარინეს ათასჯერ უფრო მოსიყვარულე ჰქონდა, სინამ მის კაცს.

ქალს გაგიჟებით უყვარდა ქმარ-შვილი და თავის ოჯახი. მზად იყო აეტანა ყოველგვარი შრომა თუ ტანჯვა მათის კეთილდღეობისათვის; მათს სიკეთეში ჰხედავდა თავის ნუგეშს თუ სიამეს. და განა ეს კარგი გრძნობა არ იყო ან მოსაწონი? სხვის გაჭირვება გულს უწყალებდა ქალს, სოფელში არც ერთი დაჩაგრული არ იყო, რომ თანაგრძნობით არ მოჰპყრობოდა და შეძლებისა გვარად ხელი არ აებყრო მისთვის; რამდენჯერ ქმრის ჩუმი პური თუ სამოსი მიუწოდებია მშიერ-ტიტველისათვის. და განა ეს კეთილი საქმე არ იყო ან განვითარებული გრძნობა უკეთეს რასმე მოიგონებდა? უყვარდა ქალს სოფელი და სხვანაირად მოქცევა ვერ შეეძლო. გულკეთილი რომ იყო, თანაც გლეხობას თავისიანებადა სთვლიდა, რადგან ახლო იცნობდა სოფელს; იცოდა გლეხთა გულის პასუხი, მათი ცხოვრების აზრი, მათი სიხარულ-სიმძიმე. განა მხოლოდ სიტყვით იცოდა, ზეპირად, მოვალეობისა თუ მცნების ძალით. არა! აღზრდას და ცხოვრებას დაეახლოვებინა იგი ხალხთან და შეექმნა იგი მათთან ერთსული. და განა ეს კარგი საქმე არ იყო, ჭკვიანური ან მოსაწონი? მართლა და, როგორ შეიძლება ადამიანმა ცხოვრება ისე გაატაროს, მხოლოდ თავის თავს იცნობდეს, სულ თავისაკენ იწევდეს და სხვას არაფერი არგოს, არც არაფერი მიჰკერძოს?!

– სხვანაირად ვერ მოვიქცევი! თუ საქმით ან რჩევით ვეღარ ვუშველი ცხოვრებისაგან დაჩაგრულს და შევიწროვებულს, ვილოცავ მაინც მისთვის, რომ ხელი აღუპყრას მას ყოველად სახიერმა, – იტყოდა მარინე.

და ყოველ ღამ ლოცულობდა მხურვალედ. ღვთისმშობელს ავედრებდა თავის ოჯახს, თავის ნათესაობას, ნაცნობებს ყველა ტვირთმძიმეს, მთელ საქრისტიანოს. როცა ქალს ცხოვრების სიდუხჭირე შეუმძიმებდა ყოფას, ლოცვა ანუგეშებს და ამხნევეს მას, გულს უღობს, მოთმინებას ანიჭებს და ღმობიერებას. ის კი აღონებს მარინეს, რომ მისი ქმარი არა ლოცულობს თავის სურვილით; არ ევედრება ღმერთს, არც ვის ავედრებს. ის მხოლოდ ეკლესიის წესებს ასრულებს: ლოცვებს მაშინ კითხულობს, როცა მოვალეობა ითხოვს ამას მისგან. ქალი თავის მამის სახლში არ იყო ჩვეული ამისთანა გულგრილობას და იმისთვის უკვირდა ეს და არ მოსწონდა. პაპა დიდად მორწმუნე ადამიანი ჰყვანდა და მლოცველი, მამაც მის კვალზე იყო შემდგარი.

გულკეთილი და ღვთისნიერი ოჯახიდან იყო მარინე, თუმცა დიდი დოვლათის უნარი თუ ბედი ვერ დაჰყოლოდა მის მამის სახლს. მარინეს მამა ეხლაც მთავარდიაკვანი იყო ჭადარაშერეული. მახლობელ დაბაში მსახურობდა, სადაც

დაბადებულიყო იგი და აღზრდილიყო, სადაც მას ხელისგულის ტოლა საკუთარი ადგილიცა ჰქონდა და ქოხმახობა; მღვდლობას ვერ ეღირსა, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ უღირსი იყო და ამ წმინდა მოვალეობისთვის გამოუსადეგარი. არა, კარგი მოძღვარი დადგებოდა ის, მორწმუნე და ღმობიერი, მაგრამ მიუწოდომელმა განგებამ ღვთისამ არ ინება მთლად დაახლოვებოდა იგი ტრაპეზს თუ სამსხვერპლოს: მიუწოდა უფალმა თვისთან მის მეუღლეს და სწარედ მაშინ, როდესაც მოძღვართუხუცესმა კიდევ წარადგინა ის მღვდლობაზე, მთავრობამ ყურადღება მიაქცია მის სათნოებას, მის უმწიკვლო სამსახურს და მეტადრე მის მშვენიერ თქმას კვერეკსებისას და სახარების საგანგებო კითხვას. როდესაც მღვდელთმთავრისაგან ბრძანება მოვიდა, რომ გამოცხადებულიყო მთავარი მღვდლად საკურთხევლად, ის უკვე დასტიროდა თავის მეუღლეს. აკი დაატირა თავის მართას, ბრძანება მოვიდა ჩემის ხელთდასხმის შესახებ; ქალაქი კი ამოიღო უბიდან და დააბერტყა მიცვალებულს, რომ უფრო მწვავე გაეხადნა თავისი საყვედური მეუღლისადმი ესე უდროოდ ღალატისათვის. ალბად გაიგებდა მისი მართა მის გულისტკივილს, მართას გვამი კი არა, უკვე გაყინულ-გაქვავებული, არამედ მისი სული, რომელიც ჯერ იქვე იყო და უხილავად დასტრიალებდა დაობლებულ თვის ოჯახს: მიცვალებულის სული სამი დღე ისევ თავის ოჯახში არის, ისევ ეალერსება თავის საყვარელ დანაშთენთ; მხოლოდ შემდეგ სტოვებს გულისტკივილით თავის კერას და იწყობს საძნელო სვლას ჰაერთა შინა ტახტისადმი ყოვლადმართლისა მეუფისა.

დარჩა პატარა ოჯახი აცრემლებულ-ატირებული, ვინდა იზრუნავდა ბაღღების აღზრდისათვის? მარინეს ძმა მალე სასწავლებლიდან გამორიცხეს, რადგან ხელი ვერ მიაღებინეს მას წესიერად, და აგერ დიაკვნად არის განწესებული სადღაც შორ სოფელში. როდესაც მოიზარდა მარინე, მისმა მამამ სთხოვა მიეღოთ ქალი ეპარქიულ სასწავლებელში საეკლესიო ხარჯით, მაგრამ უარი მოუვიდა: ნეტა იმდენი იყოს, ობლები გამოვზარდოთ; მამა თავს ადგებარ და თითონ შენ შესძლებ მაგის გამოზრდასაო. მაგრამ როგორ უნდა აღეზარდა? იმდენი შეძლება არა ჰქონდა, პანსიონში მიეცა ის თავის ხარჯით, გარედ კი ვერვის ანდობდა ბავშვს: უცხოს ხელში ხომ არ ჩაადგებდა ქალს, ვინმე გადამთიელის ხელში და ისიც ქალაქ ადგილას, სადაც თურმე ერთობ სასტიკია ხალხი, დახაციცებულ-დანატრულებული და ყოველგვარ არაწმიდობით გატენილი. დარჩა მარინე სახლში. თითონ მამამ ასწავლა წიგნი და წერა, ლოცვა და სათნოება. ხელსაქმეს მიჰხვდა ნათესავი ქალების დახმარებით. დიასახლისობასაც მალე შეეთვისა; ჯარასავით ატრიალებდა თავის მამის პატარა ოჯახს. ნელ-ნელა გამოიჩინა გოგონა და მოსაწონი ქალი დადგა, სანდომი და კეთილი.

თუმცა მაგდენი რამ შენახვა არა ჰქონდა ქალს თავის მამის ხელმოკლე ოჯახში, არც არაფერ ნებივრობაში იყო, იქ, მაგრამ მაინც კანში არ ეტეოდა. კუპატივით ჩაკვრივებულიყო, ლოყები თეთრ-წითლად უღვივოდა; ალისფერ ღაწვებს კდემამოსილად აშუქებდნენ სხივოსანი თვალები მოსიყვარულე ქალწულისა. გაჯავრება მაინც სრულებით არ ეხერხებოდა ქალს, არც იცოდა; დაყვავება და ალერსი იყო მისი სუნთქვა და მისი ბუნების მისწრაფება. თითონ ხომ არ იცოდა ჯავრობა, გაჯავრებული ადამიანიც ისე ენანებოდა, როგორც ავადმყოფი და ამშვიდებდა მას, უალერსებდა, როგორც უეცარი რამ სენით შეპყრობილს სწეულს.

მეტადრე ბალები უყვარდა ძალიან. ბავშვებსაც ძლიერ უხაროდათ მისი ნახვა და მასთან ყოფნა.

- აი, მარინეჯან, ე ბალები ამიტყდა და არ იქნა, ვეღარ დავაჩუმე.
- მეც გავიგონე, ქალო, მაგის ტირილი და შემეცოდა, წამოველი.
- რად სტირი, ქაჯან? აბა ჩემთან მოდი, – მიეხმატკვილა ბავშვს მარინე.

პატარამ შეჰხედა ქალს თვალებში და დაუწყნარდა გაჯავრებული გული, მუშტებით მოიწმინდა ცრემლები და თათები გაუწოდა ქალს. მარინემ გაუწმინდა ბავშვს სახე, გაუღიმა, აკოცა. მტირალმა მხოლოდ მას გაანდო მიზეზი თავის მწუხარებისა.

– სწორედ ანგელოზია ე ჩვენი მარინე! აკი ყველას უყვარს კიდეც, მთელი სოფელი მაგის კარგ ქალობას ამბობს, – მიუბრუნდა სვიმონა თავის ცოლს თეკლეს, როდესაც ბავშვი მარინეს ეტიტინებოდა.

თეკლე მნათეს ცოლი იყო, მთავრიაანთ მეზობელი. მარინეს რომ თმაზე ღვრინჭილები ება, ეს თეკლემ შეაბა, თმას თვალი არ ეცესო.

– ცოდვავა, ქალოჯან, რომ ამ აბრეშუმის შულოებივით გადაგრეხილ ნაწნავებს თვალი ჰკრას ვინმემ და ძირს დასცეს, – ეტყოდა თეკლე, როდესაც თავსა ჰბანდა ქალს და მთელი საათი უნდებოდა თმის ჩამოგებას.

მვირფასი რამ თვალი იყო მარინე, ჯავარსრული, ბუნებრივი სიკეთით და მშვენებით სავსე. ოსტატის ხელი კი არ მიჰკარებოდა მას, რომ ხელოვნურად დაემუშავებინა თვალი იგი პატოსანი. ეჰ, იქნება ვერც კი რამე მოეგო ქალის პიროვნებას, თუ ხელოსანს დაეკუთხ-დაეთალა ის, როგორც ათასი სხვა; იქნება მას სანდომი თავისებურება ჩამოედარცვა მისთვის და შეექმნა იგი სხვებთან ერთგვარი, სხვათა მზგავსი, ისევე ჩამოყალიბებული, როგორც ათასი სხვა. სხვადასხვანაირ ბუნებით და ნიჭით შემკულ ადამიანს აღზრდაც სხვადასხვანაირი უნდა, თვისებური; ჩვენ კი ერთს დარიჯაგში ვატარებთ ყველას. ვისწრაფით ერთისა და იმავე სახის პიროვნება ჩამოვქნათ ფერად-ფერად არსების და მოწოდების ადამიანიშვილთაგან. მე რომ ვუყურებდი მარინეს, ვფიქრობდი.

– თვალისჩინის მექონი კაცი უნდა და გულხმიერი, რომ სწორედ ესეთი მოიწონოს ეს ქალიშვილი, როგორც არის, და ხელი მოჰკიდოს. ვინც უნდა იყოს ამის წამყვანი, განხორციელებულ ბედნიერებას შეეყრება ის, ოღონდ კი შეიგნოს, რა საუნჯეა ეს, როგორც უებრო შვილი შეულახავის ბუნებისა, აღსავსე ხელთუქმნელ მშვენიერებითა.

არც ძალიან საჭიროდ მიმაჩნდა მარინესათვის ნაყოფი იმ ხისა, გულუბრყვილობის ნათელს რომ ჩამოაცლის ქმნილებას და თვალს აუხილავს კეთილისა და ბოროტის დასანახავად: მისი ბუნება ისეც ყოველისავე კეთილისკენ მიიქცევდა მის ნებისყოფას და განარინებდა ყოვლისგან ბიწისა და ბოროტისა. იმისი უნარი კი უნდა ჰქონოდა მარინეს წამყვანს, რომ განერჩივნა სიმშვენივრე ხელთუქმნელი და სიმშვენივრე შეთხზილი, ძალისძალად ჩანერგილ-ჩაბეჭდილი პიროვნებაში.

უკვე მოწიფულიყო ქალი და ხორცთა ღელვას გაედვიძნა მასში. თავისთავად მიილტოდა მისი არსება ვაჟკაცისაკენ, ტოლს ეძებდა იგი შეუგნებლად. საღსა და ძალთა სიმრავლით სავსე გვამში გაებრძოლა სქესობრივ მისწრაფებას და უნებლივ მიეზიდებოდა ქალს საყოველთაო მძლავრ დასკვნისაკენ: თვისი არსების განმეორებისაკენ სხვასთან შეერთებით. გარნა ეს მისი ლტოლვილება არ იყო მხოლოდ ხორციელი: მისი სულიც ეძებდა ცალს, ტოლს შესაფერს და ამ სურვილში ქალს ცხადად დაესახნა ერთი მოთხოვნილება, რომელსაც ვერ შეეღეოდა ის: ამ ქალწულის ოცნებაც გარს ეხვეოდა კეთილთა მიერ შემკულ ვაჟკაცს, საჭაბუკო

თვისებებით აღსავსეს, ხოლო უპირველესი თვისება იმ საოცნებო არსებისა იყო სათნოიანი და მოსიყვარულე ხასიათი.

– ახ, ნეტავი ისეთი ვაჟკაცი შემხვდეს, რომ ბოროტი არ გამოდგეს და შევუყვარდე! ოღონდ კი შემითვისოს, ოღონდ შემიტკბოს და რაც უნდა ღარიბი იყოს და უქონელი მაინც თავს შემოვევლები და დავუტკბობ ყოფას. მაღალ ხმას კი ნუ გამაგონებს ოჯახში, შეტეულ ძახილს და ვერ შეარყევს ჩემს სიამოვნებას ვერც ძლიერი გასაჭირი. თავს ვანაცვალე! რად მინდა, რა სამიწედლა მინდა ეს ჩემი თეთრი ხორცი ან მთლად ჩემი თავი, თუ საყვარელს არ ვათავყვანებ მას?!

და ეს მომავალი საყვარელი მეუღლე ქალს არა ჰყვანდა წარმოდგენილი არც მდიდარ კაცად, არც დიდებულ ვინმე პიროვნებად, არც დიდად განათლებულად თუ მეცნიერად; იგი უბრალო ადამიანი იყო, ცხოვრების უღელში სხვებთან თანაბრად ჩართულ-ჩაბმული, მხოლოდ მოსიყვარულე და გულბილი. დანარჩენ სიკეთეს ღმერთი მისცემთ მათ ყოვლადმოწყალე; იგი სახიერი მიითვლის მათს სათნოებას და აკურთხებს მათს კავშირს ცითგამო. აკი მამა ეტყვის ქალს:

– სიყვარული ღვთის სახესა სთესავს ქვეყანაზე, კეთილს ამრავლებს და ნათელს ამ ტანჯვამრავალ წყვილიად საწუთროში; მოსიყვარულენი არიან ღვთის ნამდვილნი შვილნი; სიყვარული ჰგეის მარადის, სხვა ყოველი ამაო და მსწრაფლ წარმავალი!

მეტისმეტს რასმე დიდებას ვერც მოითხოვდა ქალი ცხოვრებისაგან: არ იცნობდა ბატონკაცურს და გაბრწყინებულს ყოფას, როცა კაცნი ღმერთებივით ატარებენ დროს ფუფუნებაში; მისი ოცნება ტრიალებდა იმ ფარგლებში, სადაც გაზრდილიყო ქალი და რაც ენახა, მხოლოდ მის ნატვრაში უფრო გაფართოვებულიყო ნანახი და მეტის სიკეთით შეესილიყო. ქალის მამამ იცოდა მისი სურვილები თუ მისწრაფება და ამისთვის იყო წყნარად და იმედიანად: ის დარწმუნებული იყო, ამისთანა ლამაზ ქალს, ჯანსაღს და მოყვარულს, ახლოვე ამოუჩნდებოდა საფერი საქმრო და მამის სახლიდან მალე გადავიდოდა თავის საკუთარ ოჯახში ახალი ბუდის მოსაწყობად. ჯერ მაინც დრო არ მოსჭარბებოდა ქალწულს: სულ ჩვიდმეტი წლისა ძლივს იყო.

7

მარიამობა იყო მეორე დღეს, იმ ეკლესიის დღეობა, სადაც მარინეს მამა მსახურებდა. მთავრიანთ სახლშიც ცოტა რამ სამზადისი ჰქონდათ. წვეულობას კი არ აპირობდნენ, მაგრამ შეიძლებოდა ვინმე სტუმარი მისვლოდათ, ნათესავი თუ ნაცნობი და დახვედრა უნდოდა. მარინე დიასახლისობდა, სახვალთა თავდარიცს იჭერდა. თეკლევ გვერძედა ჰყვანდა მას და ეხმარებოდა.

– იცით, ქალებო, ხვალ იოთამე მღვდელიც გადმოვა დღესასწაულზე; თავისი ძმისწულიც თან ეყოლება, იაკობ მღვდლის შვილი ტიმოთე. უნახავად არ დაგვტოვებენ: მე და საწყალი იაკობ მღვდელი მეგობრები ვიყავით; აკი ამ სამი წლის წინადაცა გვნახა ტიმოთემ, საზაფხულოდ რომ მოვიდა.

– განა იაკობ მღვდლის ვაჟი სოფელშია? – შეეკითხა თეკლე.

– ჩამოსულა. სამსახურისთვის თავი დაუნებებია და გამოუსეირნია.

– რად დაანებებდა, ქა, სამსახურს თავს?

– განუზრახავს მღვდლად ეკურთხოს და ეკლესიასვე ემსახუროს, როგორც მისი მამა-პაპა.

– მისცემენ კი მღვდლობას ეგრე ახალგაზრდას, ჯერ ოცდაექვსი წლისა ძლივს იქნება?

– სიხარულითაც მისცემენ მღვდლობას: კაცმა სწავლა დაამთავრა და ისიც

წარჩინებულად, თურმე რუსეთშიაც კი უპირობდნენ გაგზავნას.

– მაშ ძალიან განათლებული იქნება.

– მშვენივრად არის განათლებული. განა ადვილია სწავლის დასრულება და ისიც საუკეთესო ხარისხით; ასში ათი ვერ ათავეს ეგრე. ჩვენ მხარეში მარტო იოთამეა სწავლადამთავრებული და აკი მღვდელთუხუცესადაცა ჰყავთ დადგენილი.

– მაშ შეიძლება იმასაც მისცენ მღვდელთუხუცესობა, – გაეხმაურა ქალი მამას.

– მისცემენ, მაშ რას იზამენ! ჩვენი იოთამე უკვე ხანშია შესული და მღვდელთმოდღვრება უფრო შეკშვენის მას; ამორჩევის დრო რომ მოვა, სწორედ ესე ვიზამთ: იოთამეს მღვდელთმოდღვრად ავირჩევთ, ტიმოთეს კი მის ადგილზე დავაყენებთ, – სთქვა მთავარმა და განაგრძო:

– ჰოდა აბა დაასუფთავეთ სახლი, სარისტიანად დაჰხვდით მომსვლელს თუ წამსვლელს.

– აი ტიმოთესავით საქმრო უნდა ამოუჩნდეს შენისთანა ანგელოზ ქალს, რომ მაღლი იყოს. მერე რა მშვენიერი ახალგაზრდაა! ერთ ვაჟკაცადა ჰღირს მისი ხუჭუჭი თმა, – სთქვა თეკლემ, მთავარი რომ წავიდა.

და სიამოვნებით შეხედა გოგონას, რომელიც მუშაობაში შეჰჩინჰლილებულიყო და ერთიორად დამშვენიებულიყო ლაღად გადაშლილ ყაყაჩოსავით. ქალმა მორცხვად დაჰხარა წამწამი და ხმა არ გასცა თეკლეს.

ტიმოთესავით საქმრო! განა ხუმრობაა სტუდენტი კაცი. ეტყობა, დიდი ნიჭის პატრონია და დიდი უნარისა. იცის მარინემ სკოლის ამბები და სწავლის სიძნელე, მძა უამბობდა ხოლმე იქაურ ტანჯვა-გაჭირებას და იქიდან იცის. დასწავლილის შეგნება უცხო ენაზე და მისი წარმოთქმა, ყოველდღე ახალ-ახალი გაკვეთილების დაზეპირება; წერა შეუცდომლად; სამუშაოდ მოუწყობელი ბინა და გაჭირებით ცხოვრება; ათასი სხვა დაბრკოლება და სისასტიკე. მისმა ძმამ აკი ვერ შესძლო ბოლო გაედევნებინა, თუმცა წიგნს თავს აკლავდა და არც უნიჭო იყო. ტიმოთეს კი მთლად გაუთავებია სწავლა, ბოლომდის გასულა გამარჯვებული. სულ ოცდაექვსი წლის ჭაბუკი და ხალხის მოძღვარი, იქნება თვით მოძღვართ უხუცესიც! სწორედ კარგი ახალგაზრდაა და პატივსადები. მეუღლეც შესაფერი უნდა ისეთს ჭაბუკს, მასავით შეგნებული და განათლებული, თორემ აბა უფიცი ქალი რას გამოადგება მას?! ერთმანეთისას ვერას გაიგებენ და ვერ შეითვისებენ ერთმანეთს, ვერც შეეტკობიან. ვინ მაღირსებს იმისთანა ბედს! რად მიკადრებს. თავს კი შევსწირავდი მის წინ, როგორც თეთრი რამ ცვილი წმ. გიორგის წინაშე!

ქალმა რომ სთქვა, კელაპტარივით დავდნებოდიო ტიმოთეს წინაშე, თავის გულს ჩახედა და გაუკვირდა: იმ ვაჟის ხსენებაზე გული არა გრძნობდა არავითარ ნეტარებას, გაჩუმებულიყო იგი, სრულებითაც არა სძგერდა საამოდ. ჩაეკითხა ძუძუს. ჯერ სდუმდა კოკობი, შემდეგ მორცხვად ჩასჩურჩულა ქალს.

– ვაითუ იმ ვაჟმა გული არ დამახვიოს, არ დამიყვავოს, საალერსოდ არ მომეხმატკბილოს, არც შემიყვაროს, ხომ ჩავჭკნები უსიყვარულოდ, ვერ გადვიფურჩქნები, ვერც კი ვიცხოვრებ!

ქალი დაალონა ძუძუს ნათქვამმა. მარინეს გათხოვების საქმე მის მამაზე იყო მინდობილი და ნათესავებზე; იგი უბრალოდ გაზრდილი იყო, გამოუსვლელი და მათ რჩევას უნდა დაჰყოლიყო მორჩილად; დარწმუნებული იყო, რომ ცუდს არ მოინდომებდნენ მისთვის, მაგრამ თანაც ნატრობდა ქალი, რომ მათი არჩეული კაცი სწორედ ის ყოფილიყო, რომელსაც მისი ჩვილი გული მოელოდდა, რომ მთლად მიენდო მისთვის თავის საწყალი თავი. განა ხუმრობაა მთელი სიცოცხლის გატარება იმისთანა ადამიანთან, რომელიც გულგრილად არის შენზე. მაშინ ხომ სიცოცხლე

ზამთარს დაეგვანება მყინვარს, ბნელს, უიმედოს, რომლის ბოლოშიაც კი არ მოსჩანს თბილი გაზაფხული აყვავებული. ამისთანა ძნელი მომავალი ჰკუმშავდა ქალწულის მოსიყვარულე გულს და აკვნესებდა.

– ნეტა რად მითხრა მამამ იგავით ან რად ამბობს თეკლე, ტიმოთესავით საქმროვო? ტყუილად განმიტაცა მასზე ოცნებამ! ვინ მე, სოფლურად გაზრდილი ღარიბი გოგო და ვინ ხუჭუჭა ტიმოთე, მოხდენილი ჭაბუკი, და განათლებული?! ეჰ, მამა ნატრობს, ხოლო კეთილმა თეკლემ იმისთვისა სთქვა, რომ ეამებინა ჩემთვის, – სთქვა ქალმა და სარკვეში ჩაიხედა, თმა რომ ჩამოჰშლოდა თეთრს შუბლზე, ის გაისწორა.

– ნასწავლი რომ ვიყო, რა უშავდა: გვირგვინ ქვეშ მეც დავუმშვენებდი მას გვერდს, არც თუ ისე დუხჭირი გამოვჩნდებოდი მის გვერდით. თუ განათლებული ვიყო, იმისთვისაც კი აღარ შედგებოდა ყმაწვილი უკან, რომ ღარიბი ვარ და უმზითვო. მაგრამ არა: გამიგონია, მდიდარ ქალს ეძებსო, დიდ მზითვიანს, – სთქვა ქალმა და გამოტრიალდა, მაგრამ შესდგა კარის ბჭეში.

– მართლა რომ მოვიდეს სჩვენსა და ლაპარაკი დამიწყოს, ნეტა თუ რაზე უნდა ვესაუბრო მე საწყალი? სახლის საქმისა და სოფლის აკვარგის მეტი ხომ არა გამეგება რა, – გაიფიქრა ქალმა და სირცხვილის აღმა პრიალით აჰკრა ლოყებზე.

8

მეორე დღეს, წირვათ უკან, შევიდა მთავრიანთ ეზოში ტიტე დიაკვანი და შესძახა: – ქალო, მარინე! მღვდელმა შემოგითვალა, სადილად ჩემთან მოდიო. მამაშენი იქ არის და იმანაც დამაბარა, წამოვიდესო.

ქალი არ მოელოდდა დაპატიჟებას და შეკრთა, პასუხი შეუგვიანა დიაკვანს; ის კი ეჩქარებოდა და აღარ აცალა.

– ახლა ნუღარ კი დაიწყებ ყოყმანსა და ნაზობას; ჩქარა წამოდი; ლოდინს ხომ არ დაგიწყებენ; მოძღვართუხუცესი ბრძანდება იქ.

– კიდევ ვინა ჰყავთ სტუმრად? – შეეკითხა თეკლე.

– ჩვენი თავადები არიან, იაკობ მღვდლის შვილია, აი სტუდენტი რომ არის და ვინ იცის, კიდევ რამდენი ხალხია.

– წაუსვლელობა არ შეიძლება, შვილო. აბა მარჯვედ მოირთვ-მოიკაზმე და მე თითონ მიგაცილებ იქამდის. ის კაბა ჩაიცვი, ჩალის ფერი: უფრო კარგად გადგა და გიხდება კიდევ, – უთხრა თეკლემ.

დროზედ არ დაჰპატიჟეს მარინე და ცოტა შეუგვიანდა მისვლა. უკვე დამსხდარიყვნენ სადილად. სუფრა ეზოში გაემალნათ, ხეებქვეშ. ქალები ერთ მხარეს ჩამწკრივებულიყვნენ. დიდი სტუმრეულობა მოსჩანდა. ხალხს ნაჩვევი არ იყო მარინე და აიბნა, თვალი აერია. ქალების მხარეს დაიწია, უნდოდა მალე ჩარეულიყო მათში და მათს კალთას შეჰფარებიყო, მაგრამ გაიგონა მამის ხმა.

– მღვდელთუხუცესს ემთხვევ ხელზე, შვილო!

უფრო აღელდა მარინე და შეწითლდა ყაყაოსავით. ნამდვილ ვერ მოახერხებდა გზის გაგნობას, თუ ტიტე დიაკვანი არ ჩაჰშველებოდა და გზა არ ეჩვენებინა დეკანოზისაკენ. ქალმა დახარა თავი და შეახო ბაგე მღვდლის მარჯვენას. ხუცესმა დაჰკრა თვალი ყვავილის ღეროსავით მოხრილ სპეტაკ კისერს და ვნებათა ეშმაკ გაითამაშა მის ჟამთა მსვლელობისაგან მიყუჩებულს გულში.

– გაკურთხოს უფალმა, კარგს ბედს შეგყაროს!

– ლამაზი ქალი გყოლია, სოლომონ, სწორედ კარგი ბედის ღირსია, – გადასძახა

მთავარს და, რა თვალი მოჰკრა თვის ყბებჩაჰკნობილ მეუღლეს, უნებლიეთ ამოიოხრა.

ამ შემთხვევამ უფრო დაარცხვინა ქალი და ააღაღანა. ერთს ხან მთელი კრებულის ყურადღება მიიპყრო მისმა სანდომიანმა აგებულობამ.

ქალის ნორჩმა სიმშვენიერემ მიიპყრო თვისზე ტიმოთეს ყურადღებაც. იგი გასწორდა ადგილობრივ, გადისო ქოჩორზე ხელი, შეიგრიხა უღვაში და თვალები მიაშტერა ქალწულს. სწორედ ამ დროს აიხედა მარინემაც და ახალგაზრდათა გამჭვრეტი შეხედვა ელვასავით შეჰხვდა ერთმანეთს. ამ წამიერმა განცდამ მძლავრად დახარა ვაჟის ნებისყოფა ველის ყვავილივით გადაფურჩქვნილ ქალწულისაკენ.

სხვა გარემოებაც იყო, რომელმაც ჩააფიქრა ჭაბუკი; მთელი ორი წელიწადი ეძება ტიმოთემ თავის გუნების საცოლე და არ იქნა, ვერ მიაგნო. მისი ოცნებით ქალი უთუოდ მდიდარი უნდა ყოფილიყო, დიდი მზითვიანი. მამულს ისე არ ეტანებოდა ტიმოთე, როგორც ფულს. სასწავლებელშივე იმ დასკვნამდის მისულიყო ახალგაზრდა, რომ ცხოვრებაში მსოლოდ ფულია ერთადერთი საიმედო ძალა, მარტო იგია მარჯვედ მატარებელი ნავი მღელვარე ზღვაზე სიცოცხლისა. დაბადებიდან დაყოლილი ხარბი გული, ბატონკაცური მიდრეკილება აქეთკენ ეზიდებოდნენ ახალგაზრდას, უზრუნველ და კმაყოფილ ცხოვრებისაკენ. სწავლას ის მხოლოდ ქონების მოსაპოვებელ სახსრად ჰსახავდა: სწავლის მწარე ძირს მისთვის სცოხნიდა ის, რომ კენწეროში სიტკბო ეგემნა, ნივთიერი სიტკბო ხელშესახები.

– სწავლა თვით სწავლისათვის, განათლება თვით განათლებისათვის! აი რას უნდა მივესწრაფებოდეთ ჩვენ სასწავლებელში. როგორ შეიძლება სწავლა აქ მხოლოდ კარგ ნიშნისათვის და ცხოვრებაში ფუფუნების მოსაპოვებლად?! ნუთუ თვით ჭეშმარიტების შეგნება და გონების წყვდიადის გაფანტვა თავისთავად არ აგამაღლებს შენ, არც სიამოვნებას გაგრძნობინებს დაუფასებელს? ნუთუ არ გიტაცებს ის სანეტარო ციაგი, რომელიც მოსჩანს ყოველ მეცნიერების ფარგალში და ძლიერად არ გიწევს უფრო გააძლიერო ის ნათელი საუკუნო საკუთარი შენი შრომითაც?

– მეცნიერება თვით მეცნიერებისათვის, ზნეობა თვით ზნეობისათვის, სიმშვენიერე თვით სიმშვენიერებისათვის! გულუბრყვილო ცნებებია დამველებული. იქნება გგონია რომ ან ჭეშმარიტებას, ან სიკეთეს, ან სიმშვენიერეს თავისთავად აქვს ღირებულება, რომ იგი მხოლოდ თავის არსებაში ჰპოულობს კმაყოფილებას?

– სწორედ ეგრეა და ეგრეც უნდა იყოს!

– არა! ყველაფერს ამ სოფლად მხოლოდ შედარებითი ღირებულება აქვს, ყოველივე იმდენად არის საფასური, რამდენადაც იგი სახმარია და ემსახურება პიროვნების კეთილდღეობას, საკუთარს შენს სიკეთეს თვალსაჩინოს. საუკეთესო შეგირდად რომ ითვლები და რაღაც უნიადაგო შეხედულება შეგიმუშავებია, შენა გგონია, მაგ აზრებით საუკეთესოდ იცხოვრებ და კმაყოფილი იქნები? სრულებითაც არა!

როგორც ეხლა ჩამოგგლეჯია ე ხალათი და ფარა არა გაქვს ჩექმა დაიკერო, ისეც მერე იქნები, ცხოვრებაში. გირჩევ ეხლავე დაახურდავო შენი სიბრძნე და გაკვეთილები აიღო სადმე, რომ კუჭი გაიძლო.

– პური მაქვს და სხვა არც მინდა რამ, ოღონდ კი მივსწვდე იმ ჭეშმარიტებას, რომელსაც თითქო ვხედავ შორიდან ბუნდით მოსილ არეში. ვიკითხამ, ვისწავლი, განვფანტავ ბნელს გონებისას, მივსწვდები იმ ნათელს დაუშრეტელს და გადმოვიტან კაცთა ბნელ ყოფაში, როგორც შესძლო ეს ოდესმე პრომეთეოსმა...

– რომელიც აგერ მშიერ-მწყურვალი მიჯაჭვულია ცივს კლდეზე და ორბი სინანულისა უბდღვნის შიშველ მკერდს! მერწმუნე, ერჩივნა თითონ ებდღვნა სხვისთვის ღვიძლი და სხვისთვის არ მიეშვირნა გული დასალახვრად.

– ეჰ, რა გელაპარაკო: ჩვენი ცხოვრების გზები სხვადასხვა მხარეს მიისწრაფებიან.
– და შენ ბილიკზე ბევრი ჯაგნარია ამოსული, ხოლო ჩემი გზა მოკირწყლულია, მშრალი და საამო სავალი, – ეუბნებოდა ტიმოთე თავის ამხანაგს.

დარწმუნებული იყო, რომ ვისაც თლილი ქვით მოოჭვილი შარაზედ ჰსურს სიარული, სალი გული უნდა ჩაიდოს მკერდში ყოველ თბილ და ღბილ გრძნობათაგან გაცლილ-გახვეწილი, აღმასივით ცივი და გამპობი. მიზანი ამართლებს საშუალებას! განსაზღვრულ მიზნის მისაღწევად ყოველივე საშუალება ხელსაყრელია! ამ შეხედულებით გამოვიდა ტიმოთე სასწავლებლიდან და იმედი ჰქონდა, მალე განახორციელებდა თავის მისწრაფებას. დასაწყის ნაბიჯად ამ გზაზე ჭაბუკმა დაისახა მდიდარი ცოლის შერთვა და იწყო ამგვარ სასძლოთა თვალიერება, მაგრამ მისი სურვილის განხორციელება არც ისე ადვილი აღმოჩნდა. პირველივე ცდა ამ სავალზე ვერ გამოდგა კარგად მოზომილი და ამან შეაკრთო ახალგაზრდა, შეაფიქრა.

რას მოიფიქრებდა ტიმოთე, რომ განათლებულ ვაჟს, თვალადსა და ტანადს, გაუძნელდებოდა ფულიანი ქალის შოვნა. ქალი ბევრი ეძლეოდა, მაგრამ სულ ღარიბები, ჰქონდა ზოგს მზითებიც. სათქმელად კი არ ღირდა: რაღაც სამოც-ოთხმოცი თუმანი! ეს ერთი პეშვი ფარა როგორ დაიჭერდა იმ ძირითადი თანხის ალაგს რომელზედაც უნდა ამოეშენებია ტიმოთეს თავისი კეთილდღეობის სვეტთაგანი?! ამ ძებნაში იყო რომ საშინელი სირცხვილიცა ჭამა ტიმოთემ. მადლობა ღმერთს, რომ ეს ამბავი მხოლოდ მან იცოდა, სოფლამდის ვერ მიეღწია ამ ხმას. ტიმოთე ქალაქში გაეცნო მდიდარ მოხელის ერთადერთს ასულს. ჯერ შორიდან ეტრფოდა მას რაინდულად. მერე გარდაუშალა მოსიყვარულე გული თვისი, გარნა სახტად დარჩა.

– თუ ჩემი თავი გინდა, უმაღლეს სასწავლებელში წადი: თუ არ უნივერსიტეტელს, მე არავის გაყვები, – უთხრა ქალმა. შეჭირვებულმა ტიმოთემ ისიც კი აღუთქვა ქალს, უსათუოდ წავალ უმაღლეს სასწავლებელში, ჯვარის დაწერის შემდეგ მაშინვე გავემართებო, მაგრამ ვერ აცდინა ქალი. ველარაფერში დაარწმუნა და იძულებული შეიქნა ხელცარიელი გამობრუნებულიყო. კიდევ კარგი, საჯაროდ არ შეენუკა ჭაბუკი ჯიუტს, თორემ სირცხვილეული დარჩებოდა და თავმოჭრილი.

– ნეტა ლამაზი მაინც იყოს! ერთი ფაფხაჭელა გოგო შემწვარ-შემურული. მარტო სიმდიდრით მოაქვს თავი და იმითი, რომ გიმნაზია დაუსრულებია, – ფიქრობდა გულდასერილი ტიმოთე.

და აი ეხლა იმედგაცრუებული ჭაბუკი ჩააფიქრა გადაღანებულმა მარინემ, სხვა რამ მიმართულება მისცა მის აზრს, ახალი გზა მოაჩვენა მის მისწრაფებას. ეს იყო მიზეზი, რომ სადილის დროს რამოდენიმეჯერ გააპარა ტიმოთემ მზირი თვალი ქალისაკენ, მაგრამ თვით დაწვებზე დახრილი შავი წამწამი ისხლეტავდა მის თვალთაგან ნატყორცნ ისარს ტრფობისას. ქალწულის სადღეგრძელო რომ წარმოსთქვა თამადამ, ტიმოთეს უნდოდა თავი გამოეჩინა, სიტყვა ეთქვა, ხოტბა რამ შეეფინა ლამაზისათვის, მაგრამ ვერც ერთ საკუთარ დედააზრს ვერ მიაგნო თავის ფიქრთა საღაროში. მოაგონდა რამდენიმე მარჯვე თქმა საღმრთო წერილიდან, ორი სამი ეშხიანი დასკვნაც ფილოსოფიიდან, მაგრამ ქართულად ვერ გადმოიტანა იგი ფრაზები და გაჩუმდა. მღვდელთუხუცესმა კი მარჯვედ შეაქო სინორჩე საზოგადოდ და ახლად შეღერებული ქალწული კერძოდ. ძველმა აჯობა ახალს.

ხალხი გაიშალა სადილოთ უკან, აქეთ-იქით გაიფანტა. ტიმოთემ დრო ჩაიგდო და გაიმარტოვა მარინე. ახალგაზრდებმა გაიარ-გამოიარეს სახლის წინ. მერე ასცდნენ სახლს და გაიარეს ეზო. შეზარხოშებული ჭაბუკი თანდათან ეშხში მოდიოდა და ჭიკჭიკებდა დაუცხრომელად. ათას რამ ფერადს ეტყოდა და საამოს, თან შეუგნებლად უფრო და უფრო იწევდა ქალისაკენ. სცდილობდა ისე ახლო დახრილიყო ლაპარაკში, რომ ქალის თმის ბუნჯგალი შეჭხებოდა მის სახეს. საუბრის დროს მარჯვენა ხელს სახის წინ უთამაშებდა ქალს, მარცხენა ხელი უკან ეჭირა, მის ზურგისაკენ და თითებს ხან შლიდა, სჭიმავდა და ხან ჰკუმშავდა ქორის ბრჭყალებივით. მოუთმენლად უნდოდა ჩაებლუჯა ქალწულის ნაწნავები თუ ტანი და მძლავრად მიეზიდნა თავისკენ; თითქმის ვედარ შეეკავებინა მას ეს მძლავრი სურვილი. მარინემ შეატყო ახალგაზრდას უკიდურესი აღელვება, შეკრთა და გამობრუნდა, ხალხისაკენ ქნა პირი. დედაკაცები შორიდან თვალს ადევნებდნენ მათ, ეგონათ გაიტაცებოდა გამოუცდელს აღტკინებული ჭაბუკი და, როცა ქალი აღარ გაჰყვა ვაჟს და შემობრუნდა, მოუწონეს ქცევა თუ თავდაჭერილობა.

– ქალი თითქმის უდებოდ არის გაზრდილი, მაგრამ ისე თავდაჭერით იქცევა თითქოს გამოცდილი ოსტატისაგან არისო გაწვრთნილი.

– ჯიშით არის, გენაცვა, ყველაფერი: კეთილი და პატიოსანი დედ-მამის შვილია დალოცვილი და ვისგან მიიღებდა შეუფერებელ ქცევას? კვიცი გვარზედ ხტის.

ტიმოთეს კი არ ეჩემა ესეთი თავდაჭერილი მოძრაობა ქალისა: მისმა მოკრთალებამ გაახელა ის, უფრო გაუძლიერა ქალთან ახლო ყოფნის სურვილი. ყოველგვარადა სცდილობდა კვლავ განემარტოვებინა ქალი, მაგრამ ამაოდ: მარინე შეერია ტოლსწორს და აღარა ჰშორდებოდა მათ. ამ გარემოებამ უფრო მეტად გადახარა ჭაბუკი მარინესაკენ და ჩააფიქრა. ქალის სახე აღარც შემდეგ მიეფარა კაცის თვალთაგან. ტიმოთეს გონება თავს დასტრიალებდა ქალს, აფასებდა მის პიროვნებას. უნდოდა შეეგნო რამდენად შეეფერებოდა იმ ოცნებას, რომელიც დაესახა მას ცხოვრებაში განსახორციელებლად. მოფიქრებამ ერთი ნაბიჯი კიდევ წაადგმევინა ვაჟს ლამაზ მარინესაკენ და მიიყვანა იმ ხრამის პირას, წააყენა უფსკრულის იმ დაქანებულ ბექზე, სადაც ერთი განძრევალა კმარა, რომ ადამიანი ჩაითრიოს ამოუსვლელ ჯურღმულში ქორწინებისა.

უცერად კი არ მოვიდა ტიმოთე ამ ხრამის პირას, არც მხოლოდ მარინეს დაღანა სახემ და კდემამოსილებამ მიიზიდა ის ამ ადგილას! გარემოებებიც იქეთკენ ეზიდებოდნენ ახალგაზრდას.

სასწავლებელშივე ჩაეყარა სამირკველი ტიმოთეს შეხედულობას ცხოვრებაზე; ფიქრთა სამფლობელოში მას უკვე დახატული ჰქონდა სახე თვისის შემდეგი ცხოვრებისა და მიზანი მისწრაფებისა. სასწავლებელი ამზადებდა მას მსახურად ეკლესიისა და მთელი თვისი მიმართულებით საყდრის კარისაკენ იწვევდა მას. სიმცროდგანვე საღვთო წერილის ფართედ სწავლა, საეკლესიო საკითხების დაზეპირება, საღმრთო საგნებზე წერა-მსჯელობა, ენისა და აზრის ვარჯიშობა საღვთისმეტყველო სიტყვა-პასუხში, მთელი საათობით საყდარში დგომა უძრავად და უმოქმედოდ, – ყველა ეს შეუმჩნევლად, მაგრამ განუხრელის თანისთანობით ეკლესიურ ბეჭედს ასვამდა მოზარდის გონებას. იმ სასწავლებელში მთელი მეცადინეობა მიქცეული იყო მოზარდთა გონებაზე და ქცევაზე, ხოლო მისი გული, განზე იყო დატოვებული. გრძნობათა ვარჯიშობას შესაფერი ყურადღება არა ჰქონდა მიქცეული. ამისთვის იყო, რომ საღმთო სწავლა ვერა ჰზადებდა მოსწავლეში სულსა წმიდასა, ვერც განაახლებდა გულსა წრფელსა გვამსა შინა მისსა. მოსწავლის მოქმედებაც მიშვებული იყო. გონების წრთვნის შესაფერად არც მას ავარჯიშებდნენ

საკლესიო მოქმედებებში, არც სათნო საქმეებში, რომ მოსწავლეს ენახა საკუთარ მოძრაობაში განხორციელება იმ სწავლისა და შეეთვისებინა იგი, შეეყვარებინა, როგორც განცხადება თავისი საკუთარის ნებისყოფისა. ამისათვის იყო, რომ მოზარდებმა კარგად იცოდნენ სარწმუნოებრივი მეცნიერება, გარნა მხოლოდ სიტყვით, მხოლოდ ზეპირად და იგი ცოდნა არ ამოქმედებდა მათ სულიერ ძალებს, არც განუკვეთელად დაჰკავშირებოდა მათ ზნეობრივ პიროვნებას. მოსწავლეთა მომავალი ცხოვრების სახეც არ იყო ღვთაებურ მეცნიერებაზე აგებული, არც ამ მცნებათაგან დასკვნილი. ბაგე მათი იტყოდა ჭეშმარიტებასა, ხოლო გული მათი არ განიცდიდა სიმართლესა; ხორხი მათი აღმოიტყოდა სათქმელთა საღმრთოთა, ხოლო ნებისყოფა ვერ ამოდრავებულყო იმ სათქმელებში დასახულ მოქმედებათათვის; ენა მათი მოუწოდებდა მეუფესა ზეცათასა, ხოლო მარჯვენაი მათი ვერ აღასრულებდა მცნებათა მისთა. იმისათვის იყო, რომ მათ გულსა, მათ ნებისყოფასაც უჩნდებოდა სხვა პატრონი, უცხო ჭირისუფალი, რომელიც მიმართავდა მათ სხვა გზაზე და მიზნისაკენ. ესე აღზრდილნი ვერ შეიქმნებოდნენ განუხრელ მებრძოლებად სარწმუნოებისათვის, ვერც ეკლესია მოუწოდებდა მათ თვის მსახურებად; ვინც ეკლესიასა არ არის მთელის თვისის არსებით, ის წინააღმდეგია მისი და თუნდ შეიმოსოს სახე სამლო, მაინც ვერ შეიქმნება ჭური სულისა წმინდისა და მწყემსი კეთილი.

10

და ტიმოთეს ნებისყოფას, საღმთო მისწრაფებისაგან თავისუფალს, მის გრძნობათა კრებულს, ზეციურის სიყვარულისაგან ცალიერს, დაეპატრონა ის ძალა, რომელიც სიყრმიდანვე აჩრდილივით თანა სდევდა მის ფიქრებს და რომელმა ბოლოს მთლადაც დაიმონავა იგი. ეს ძალა იყო ტრფიალი ვერცხლისა.

ბაღლებით დატვირთულ ღარიბ ოჯახიდან გამოსული, ქალაქში განადგურებულ კერას შეფარებული, მშიერ-მწყურვალი და ტიტველ-შიშველი, სინათლეს თუ სიტბოს მოწყვეტილი, ყოველგვარ სისუფთავეს და მოვლას მოკლებული, ყოველგვარ კეთილს დანატრებული პატარა შეაკრთო და გაახარა უკიდურესმა სიღარიბემ, რომელთან იძულებული იყო ყოველ წამს ებრძოლა, რომ შეენარჩუნებინა სიცოცხლე და უნარი შრომისა. გაჭირვებულ აწმყოსაგან დამდაბლებულ-დაბეჩავებული თრთოდა შავ-ბნელ მომავლის წინაშე. მძიმე ზრუნვა ცხოვრებაზე მკაცრ ლანდად ასდევნებოდა მის შემრწუნებულს სულს.

– იმდენი მაინც ისწავლე, ბიჭო, რომ დიაკვანობა იმოვო და ლუკმა-პურის მოპოვება შესძლო, თუნდ მწარე ლუკმისა. ერთი მტკაველი მიწა არსად მოგვეპოვება, მე თითონ ვერაფერში შემოდლიან მოშველება და შენის თავის შემნახავი შენვე უნდა გაჰხდე რაც შეიძლება ჩქარა. თუ არა, გლეხის ბიჭები შენზე ათასჯერ ბედნიერები იქნებიან, – ეტყოდა მამა პატარას.

ბაღღმა უკვე მწარის გამოცდილებით იცოდა, რომ ეს არ იყო უბრალო სიტყვა მის შესაშინებლად ნათქვამი, არამედ დუხჭირი ჭეშმარიტება იყო, ხორცმესხმული, სინამდვილე საშინელი. დიაკვანობა! ეს იმის მომასწავებელი იყო, რომ სიკვდილამდის გაჭირვებაში და დამდაბლებაში გაეტარებინა თავისი ყოფა და იმედი აღარ ჰქონიყო ოდესმე აებიჯებინა ცხოვრების უფრო მაღალ თუ სუფთა საფეხურზე. ეს სურათი საფრთხედ ევლინებოდა პატივმოყვარე ბიჭის შემკრთალ გონებას, საშიშ ხატებად მომავლის ცხოვრებისა და სწორედ ეს საზარელი ჩვენება იყო, ძლიერად რომ ელალებოდა მას ბრძოლის გზაზე. ტიმოთეს ყოველგვარ გარჯას იმთავითვე

სარჩულად დაედვა ნივთიერ კეთილდღეობისადმი მისწრაფება. თუმცა მოკლებული იყო ის ყოველგვარ ხელშემწყობ გარემოებებს, მაინც უნდა თავს ედვა მძიმე ტვირთი სწავლისა. უნდა ბოლომდის გაეცლო ეს ეკლიანი გზა თუნდაც უხამლოს, მთლად ფეხშიშველს. არ უნდა ჩამორჩენოდა სწავლაში ტოლ-სწორს, მხარდამხარ უნდა ევლო მათთან, რომ არ განედევნათ სასწავლებლიდან, რომლის გარეშე მას ყბააშკმული ელოდა შრომა უდიერი და უნაყოფო, სიღარიბე უკიდურესი და უწმიდური, დამდაბლება საზარელი, განადგურება მთელის პიროვნებისა.

– მაშინ ჩემი ტოლი გლეხის ბიჭები მართლა და ათასჯერ ბედნიერები იქნებიან ჩემზე; იმათთან ვეღარ მოვალ შრომაში, რადგან ისინი უკვე გაწვრთნილნი არიან ჯაფაში, დახელოვნებულნი და გაწაფულნი, მე კი არა! იმათ საკუთარი სახლ-კარი აქვთ და მიწა, მე კი უჭერო ვიქნები და უნიადაგო; ისინი სიყრმიდანვე შეჩვეულნი არიან მთლად უბირ ცხოვრებას, მე კი არა, ღმერთმა დამიფაროს!..

– ახ, ერთი გამიმარჯვდეს, ერთი შევძლო ჩემის ხელით ცხოვრება, ერთი დავაღწიოთ თავი საზარელ ბეჩავობას და ვიცხოვრო ადამიანურად!

როცა გაათავა ტიმოთემ დაბალი სასწავლებელი და ზევით სკოლაში გადავიდა, ცოტა გაფერმკრთალდა მისი საშინელი ლანდი საზარელი სილატაკისა, მაგრამ კი არ განქრა. ახალგაზრდა უკვე გრძნობდა თვის მარჯვენაში მცირეოდენ ძალას ცხოვრებასთან საბრძოლველად. ფიქრობდა, რომ ცხოვრება ეხლა მთლად ვეღარ დამუსრავდა მას, სწავლას კი ისევ ისე უყურებდა, როგორც პურის საშოვნელ იარაღს და მხოლოდ ამ თვალსაზრისით აფასებდა მას. ზევით კლასებში მთლადაც განქარდა მისთვის შიში სიმშლით განლევისა და თანაც ძლიერად იჩინა თავი მისმა თვითმოყვარეობამ და უზრუნველ ცხოვრებისადმი ხარბად მისწრაფებამ. ტიმოთე ეხლა იარაღს ისხამდა, არამც თუ მხოლოდ ბეჩავად ცხოვრების მოსაგერებლად, არამედ მდიდრულ ცხოვრებაზე იერიშის მისატანად, ბატონკაცური ყოფის დასაპყრობლად და დასამკვიდრებლად. მთლად გაუგებარი იყო ტიმოთესათვის სიტკბოება თვით მეცნიერებისა: სწავლა მისთვის იარაღი იყო ბატონობისა და იარაღი კი არც ტკბილია თავისთავად, არც მწარე; იგი მხოლოდ მომტანია სიტკბოებისა. ისე განვლო ტიმოთემ სასწავლებელი, რომ ვერ იხილა ვერც ზურგით კერძო იგი უნისლო ჭემმარტება, რომელსაც თავს ევლება მეცნიერება და რომლის თუნდ შორი განცდა შეჰქმნის ადამიანს ვითარცა ერთს ღმერთთაგანს, თუნდაც ამ სახილველმა განმარცვოს მას სამოსელი ძოწეული და წარსტაცოს სამოთხე ქვეყნიური.

– ქონება ძალაა! ვისაც ფული უჭირავს ხელში, ძლიერიც ის არის. ვერცხლი საზომია ძლიერებისა და ბედნიერებისა. თუ გინდა ძლიერი იყო ქვეყანასა ზედა და კეთილგეყოს შენ, შეიძინე ოქრო სამსახურებლად შენდა.

– სოლომონ მეფემ რომ სიბრძნე ითხოვა და არა სიმდიდრე? – შეეკითხა ტიმოთეს იოსებ.

– აზრიანი კაცი იყო სოლომონ მეფე და თუ ეხლა ეცხოვრა ჩვენს დროს, სწორედ სიმდიდრეს შესთხოვდა გამჩენელს და მიეგებოდა მასთან ერთად სიბრძნეც, დღეთა სიგრძეც. რამდენი ბრძენია ეხლა უქონლობით დამდაბლებულ-უჩინარი და რამდენს მათგანს დღე ესწრაფება გაჭირებული ცხოვრებით თუ შიმშილ-სიშიშველით.

– შენ ეგრე ამბობ, ქრისტემ კი სთქვა: არა პურითა ხოლო სცხონდების კაცი, არამედ... – მაგრამ ტიმოთემ სიტყვა გააწყვეტინა.

– ვიცი! არამედ ყოვლითა მასთან სატანითა...

– სიტყვას ბანზე ნუ აგდებ! – მკაცრად შეაყენა იოსებმა – ქრისტემ სთქვა: არამედ

ყოვლითა სიტყვითა, რომელი გამოვალს პირისაგან ღმერთისა, ე. ი. სიბრძნის ჭეშმარიტების შეგნებით. რადგან ღმერთი არის თვის სიბრძნე გარდუვალი და ჭეშმარიტება სამარადისო.

– მანვე ბრძანა: რა სარგებელ იყოს კაცსა, უკეთუ სოფელი ყოველი შეიძინოს და სული თვისი იზღვიოს, – დასძინა ივანემ.

– იესომვე ბრძანა: წარვედ, გაჰყიდე მონაგები შენი და მიეც გლახაკთა და გაქვდეს საუნჯე ცათა შინა, – ჩაურთო სიტყვა სილოვანმა.

– თუ არ შეიძენ, რასლა გაჰყიდი ან რას გასცემ? ვერაფერს! თითონ შენც უშნო ბარგი შეიქნები ისეც მძიმედ დატვირთულის ცხოვრებისა, – მიუგო ტიმოთემ და ღიღინით გასწია კარებისაკენ.

11

მაგრამ ტყუილად ეგონა ტიმოთეს, რომ ქონება ადვილი შესაძენი იყო, ოღონდ კი მოენდომებინა ადამიანს მისი მოხვეჭა. მას თავისი თავიც ტყუილად წარმოედგინა ახალქმნილ რამ რაინდად, რომელს ქედმოხრილი შეჰხვდებოდა ქვეყანა, და დაემორჩილებოდა უბრძოლველად. ხშირ ჭაღარაშერთულ ცხოვრებას ბევრი ენახა ნამდვილი ბუმბერაზიც, მაგრამ მძლავრად დაედუნა იგი და დაემუხლისთავებინა: რა ყურადღებას მიაქცევდა იგი რაღაცა თავაღებულ ჭიას, რომელიც უსუსურად აღელვებდა უღვაშს და ეგონა ამირანის ხმალს ვიქნევ და ვაელვარებო?!

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ტიმოთემ მოისურვა ახალ გზას დასდგომოდა ცხოვრებისას და არ გაჰყოლოდა მამა-პაპისაგან გაკვალილ ბილიკს, მაგრამ საითაც ფეხი გადადგა, წაბორძიკდა, საითაც გაიქცა, იქით წაიქცა და ბოლოს იძულებული შეიქმნა ისევ იმ კვალს შესდგომოდა, ხატის კარს რომ მიჰყვანდა მისთანა ვაჟბატონები: დაასკვნა მღვდლად კურთხეულიყო, როგორც სჩვევოდა ეს მის წინაპართ. საცოლოს ძებნაშიაც, უნებლიეთ მათვე შეხედულებას დაუბრუნდა.

– სამღვდელო კაცს სჯობს მეუღლეც ეკლესიის მსახურთა ოჯახიდანა ჰყვანდეს გამოსული: მას დაბადებიდანვე შესისხლხორცებული ექმნება ის თავისებური აზროვნება და ცხოვრებაზე შეხედულობა, რომელიც უკვე საუკუნეობით არის დამუშავებული ამ წოდებაში, გაეგონა მას თავის მამისაგან.

ამნაირ გარემოებაში იყო ტიმოთე და ამგვარ აზროვნებას დასდგომოდა, როდესაც შეხვდა მარინეს და ნდომის თვალთ შეხვდა მას. იგი უკვე დაბრუნებოდა თავის წოდებას და აპირობდა შეეღო კარი ეკლესიისა.

– ესე ემჯობინება! თანამდებობა ნაცნობია და ხელობა უკვე შესწავლილი. მრევლს კარგს ჩავიგდებ ხელში, რადგან უფლება მიჭირავს. არა უშავს რა, თუნდ ქალაქ გარეთაც იყოს ჯერჯერობით, ოღონ კი ახლო სადმე და მდიდარ ადგილას. საშრომი მაგდენი არ მექნება და შემეძლება თავისუფლად ვიმოქმედო. სოფლურ საქმეებს მოვკიდებ ხელს: საქონელს გავიჩენ, ხვნა-თესვას მივყვები, ცხვარს ჩავუზიარებ, ვენახებს დავიგირავებ, მამულს შევიძენ ხელსაყრელ ფასში; ფულს ავათამაშებ და ყველაფერს ჭკუას ავადევნებ. თუ ფული ფულს იგებს, თანხა და გამჭრიახობა ერთი-ორად აქცევენ დოვლათს. ეხლა ჯამაგირი, მრევლისაგან შემოსავალი და შეივსება ნელ-ნელა საწყაული. ადამიანს თუ კარგადა აქვს გაკვლეული მიზანი ცხოვრებისა, მისი მოქმედება ხვავიანი იქნება და გამარჯვებული, – ფიქრობდა სამღვდელოდ შემზადებული.

და ათვალთქვებდა ჭაბუკი მარჯვედ ადგილს, რომ ფეხი მოეკიდებინა საბრძოლველად. ეს ძალიან უხაროდა ემმას, სიამოვნებით ხელებს იფშვნებდა იგი, რადგან თავისი მსახური ეყოლებოდა შიგ საკურთხეველში; ტიმოთეს მფარველ

ანგელოზს სწყინდა ეს, გული სტკივოდა და თვალცრემლიანი შეჰყურებდა თავალეზულ კაცს, რომელსაც სასმენელი დაეხშო მის შთაგონებისათვის; ტიმოთე კი ლაღად ასდევდა თავის ფიქრებს და ვერა ჰხედავდა ვერც მავნე სულის სიამეს, ვერც კეთილი არსების ჭმუნვას; არ ესმოდა მას არც ბილწი ხითხითი ბოროტისა და ვერც ოხვრა კეთილისა: მას არ ესხნეს თვალნი ხედვად ქმნილებათა ჰაეროვანთა და ყურნი სმენად ბგერათა ეთეროვანთა.

ამგვარ ზნეობრივ მდგომარეობაში იყო ტიმოთე, როდესაც შეზარხოშებულმა დასაახლოვებლად განიმარტოვა გულწმინდა გოგონა, მაგრამ ალლოთი მიჰხვდა ქალწული ჭაბუკის გულისთქმას და არ გაჰყვა შორს, არ გადალახა ხალხის ჩვეულებისაგან აღნიშნული სამზღვარი კდემისა. ამან მეტად გაახურა ვაჟის გულისთქმა და გადაადგმევინა უკანასკნელი ნაბიჯი. რას აგებდა?! მშვენიერი ქალწული, გულუბრყვილო და კეთილი, ბაღბობიდანვე დიასახლისობას მიჩვეული, ჯანსაღი და თეთრყირმიზი.

– არც ბევრს მოითხოვს ცხოვრებისაგან: არ არის გააზიზებული, არც ფუფუნებას მიჩვეული და გაყვინიზებული, არც თუ ფიქრმსუბუქია, რომ გარეგნობას გადაჰყვეს და ფუქსავატობა გაიხადოს საგნად სიამისა. ესეც ერთი თანხაა ოჯახისათვის. მართალია, ღარიბი კაცის შვილია, სოფელში მთავარდიაკვნად ჩარჩენილი ადამიანისა, მაგრამ რა უშავს...

– ეჰ, უშავს კი, მაგრამ უკეთესი რომ ვერ ვიშოვე! – სთქვა ჭაბუკმა და თვალწინ დაესახა იმ შაშხივით შავად გამოსულ ქალის უარი სამარცხვინო.

– მაინც კარგი იქნებოდა, რამოდენიმე ათ თუმნიანი მოეცათ: თავშენახული კაცია სოლომონი, კუნჭულში ექნება მიგდებული. თუ ოჯახს დვრიტად ვერ დაედება ეს ქრთამი, ქალს მაინც მოვრთამ მშვენივრად და გავატარ-გამოვატარებ ქალაქში იმ კახაჯის გულის გასასიებლად: ნახოს ღაღანა და მოკვდეს შურით! – ფიქრობდა ჯავრის ამოყრის მოსურნე.

ამისთვის იყო, რომ მაინც მაჭანკალი მიუგზავნა ბეჩავ მთავარს და ამოაცალა დაცხავებულ ჯიბიდან, თუ რამ ფარა ჩარჩენილიყო შიგ. მამის მოყვარულ ქალს არ უამა ეს, გული ატკინა საქმროს ამ პირველმა ნაბიჯმა, მაგრამ ამაზე საფიქრად აღარ ეცალათ არც თვით ქალს, არც მის მამას. ისინი აღტაცებულნი იყვნენ თვის მოულოდნელ ბედით და სიხარულის ბურუსი ეხვია მათაც, მათ ოჯახსაც.

მარინეს შემდეგში ვეღარც კი წარმოედგინა ნათლად ის ათასფერი სასიხარულო გარემოებები, რომლებიც გარს ერტყა მას იმ დროს განმავლობაში, მანამ ჯვარს დაიწერდა და ახალ ოჯახში დატრიალდებოდა. მთელი ეს ხანი განუწყვეტელი დღესასწაული იყო მისთვის, უჩრდილო სიხარული, კმაყოფილება, ღმრთისადმიც და კაცისადმიც მაღლობა.

მეტადრე ნათელთა რამ ქულად დასახოდა ქალს ის დღე, როდესაც ტიმოთე უკვე ნაკურთხი მოუვიდა ქალაქიდან. ხასხასი მწვანე კაბა, ნაკერი ბრტყელი სარტყელი, ორფერი ფარჩის ანაფორა, ხან რომ ღვინისფერი დაჰკრამდა და ხან მომწვანო, დაბზინებული შაპო, შარავანდედად შემორტყმული ხუჭუჭი თმა-წვერი. სწორედ მშვენიერება იყო! მარინე ამაზე საუცხოვო სანახავს ოცნებაშიაც ვერ წარმოიდგენდა. პირველად მარინე აკურთხა მღვდელმა და შუბლზე აკოცა. მთავარს სიხარულის ცრემლი მოედინა თვალეზზე.

– ახ, ნეტავ ეხლა საწყალი შენი სიდედრი წამოახედა, რომ დაენახა, რა იღბალი შეჰხვდა მის საყვარელ გოგონას; სიხარულით აუჩქროლდებოდა დამიწებული გული, – უთხრა სიძეს და სიტყვა ჩამოართვა პირველი პანაშვიდი სიდედრის საფლაგზე გარდაეხადნა.

მერმე ახალ მრევლში მისვლა, ნორჩი ოჯახის მოწყობა, ახალი ნაცნობები. ეკ, ისწრაფვის დრო შეუყოვნებლივ და უფრო დრო ბედნიერი. განვლეს მარინესთვის წლებმა შეუმჩნევლად და აგერ სამი შვილის დედაა ეხლა ის. მის მეუღლესაც გაუხუნა დაუნდობელმა დრომ ბჭყვრიალა ფრთები, ხუჭუჭი დააცვივნა, უშნოდ გაბერა, კოლოტს დაამსგავსა.

ახ, რა ცუდია დრო მიმავალი! გულცივია იგი და ბოროტი. რა იყო ისე შეენახა ტიმოთეც და თითონ მარინეც, როგორნიც იყვნენ ისინი პირველს ჟამს შეუღლებიან. ხომ ადვილად შეეძლო მას ამის ასრულება. მაშინ სიხარულის სხივებით იყო მარინე მორთული და ყველაფერი ვარდისფრად ეჩვენებოდა. აყვავებული გაზაფხული იყო მისთვის იგი დრო, ჭრელი, ლამაზი, თვალწარმტაცი.

12

მიდიოდა დრო დაუყოვნებლივ. ცხოვრების წვრიმანი უძღებოდა სნთქავდა ჟამს, დღე დღესა განუკვალავდა გზასა სავალსა და ღამე ღამესა მოუთხოვრობდა დაუდგომელ სრბოლას საწუთროისა. ენაცვლებოდა ზამთარი ზაფხულს. ბრუნავდა დაუცხრომლად დროთა მსვლელობის ბორბალი. აგერ უკვე მოზრდილი შვილების პატრონი იყო მღვდელი ტიმოთე და რომ დაფიქრდებოდა, ეგონა გუშინ-გუშინწინ დავიწერე ჯვარი და მღვდლად ვეკურთხეო. ჯამთა დენა კი ხავსს უკიდებდა მასაც, მის მეუღლესაც. დედაკაცი მთლად ჩაენთქა საყოველღეო ზრუნვას უჩინარს; მის კეთილ თვალებს დაჰვიწყებოდა მხიარული ღიმილი, ფიქრთა რიდე გადაჰფარებოდა მის სათნო სახეს. მისი ქმარიც, ოდესმე კობტა მოძღვარი, ყოველსავე სოფლურს რომ იმლიკად დაჰყურებდა და აღმაცრივ, მთლად ჩაეხვივნა სოფლურ ყოფას და თითქმის აღარავითარ ყურადღებას არ აქცევდა თვის ტანსაცმელს თუ გარეგნობას. გაბარდული წვერ-ულვაში, მწვირიანი საყელო, გაღეგავებული ჩექმები, შეხუნებული ქუდი, ადგილ-ადგილ ბურნუთის ფერი რომ დაჰკრავდა; ხშირად ჭუჭყიანი ხელები... ეკ, მართლა და რისთვის ან ვისთვის უნდა ეზრუნა სოფლად, სადაც არავითარი გასავალი არა აქვს განათლებულ ცხოვრებას. შავ მიწასთან სცხოვრობს იქ ადამიანი, პირუტყვთა შორის და ჰბამავს იგი თვის გარემოს და ემსგავსება მას. ჰკარგავს კიდევ იქ, თუნდ გემოვნება განვითარებული ადამიანი, საზომს შესაფასებლად თვისი ყოფისა: გლეხებთან შედარებით და მათ ცხოვრებასთან შედარებით ესეთი კაცი მაინც მაღლა სდგას და უფრო სუფთად მოჩანს, ადამიანურად. მთლად კი მაინც ვერ ჩანთქა ტიმოთე დაუდევრობამ: ერთი ხელი ახალი ტანისამოსი ყოველთვის ჰქონდა შენახული საპატიო ადგილს წარსადგომლად.

აღარც თუ ძალიანდა ეცალა ცოლ-ქმარს თავის თავზე საზრუნველად, მეტადრე ეხლა, როდესაც მათი ფიქრი მთლად მიიზიდა მათმა ვაჟმა ნიკომ. აგერ სწავლის დრო მოჰსვლოდა და დღეს თუ ხვალ ქალაქს უნდა წაეყვანათ. კიდევ მიიწურა მარიამობის თვე და ყველაფერი მზად უნდა ყოფილიყო ბაღლის გასასტუმრებლად. დიასახლისს წუთიც აღარა ჰქონდა თავისუფალი. ამზადებდა მარინე ბაღლს და თან ფიქრი რამ მჭრელი ჩასჭდევოდა მის გონებას და უტანჯავდა სულს: მათი სოფელი ქალაქის პირს აჰკროდა, მაგრამ იმ ქალაქში არ იყო შესაფერი სასწავლებელი და ქალმა არ იცოდა იმ შორ ქალაქში ვისთვის უნდა მიეზარებინა თავისი პატარა, რომ ცოტად მაინც საიმედო ყოფილიყო სახლის პატრონი და შიმშილ-წყურვილით არ შეეწუხებინა ბავშვი. ამაზე რომ ფიქრობდა ქალი, ყოველთვის ერთი და იგივე საყვედური მოადგებოდა ენაზე.

– ეს კაცი განათლებულია, ქალაქში ამაზე ნასწავლი მღვდელი თურმე ორიოდელა არის და ნეტა რატომ არ სცდილობს იქ გადასვლას, რომ ჩემი ბალები ჩემს კალთაშივე დაიზარდნენ.

ცოლმა რამდენჯერმე კიდეც გაუკრა კაცს სიტყვა ამის თავობაზე, მაგრამ ის ან სდუმდა, ან ეუბნებოდა, ჩემი დრო და ადგილი მე თითონ ვიციო. ბუნებით ღმობიერ ქალს ახირება არ უყვარდა, თანაც იმთავითვე მეტი წარმოდგენა ჰქონდა ქმარის განვითარებაზე, დარწმუნებული იყო, რომ მისი გონება უფრო საღად და ცხოვრების შესაფერად გადასწყვეტდა ამგვარ საკითხებს და დაჩუმდებოდა ხოლმე, მხოლოდ ამოიოხრებდა. ერთი კი უკვირდა ქალს; ზეპირ ხომ დარწმუნებული იყო ქმრის მოსაზრების ძლიერებაში, მაგრამ გულში ხშირად არ ეთანხმებოდა მის აზრს, არც მოსწონდა მისი მოქმედების გეგმა. თავის თავს საკმაოდ ვერ აფასებდა მოკრთალებული, მიტომ ვერა ჰბედავდა თავის ჭკუაზე გაეტარებინა ოჯახი, თავის სურვილზე მოეწყო მისი ბედ-იღბალი, ქმარსაც ისე ეჭირა თავი, რომ ცოლის რჩევას მაგდენ ყურადღებას არ აქცევდა. რაც დრო მიიწურა, უფრო დაღონდა დედაკაცი, მღვდელმა რამდენჯერმე ცრემლიც შენიშნა მის თვალებზე და რომ ენუგემებინა დაღონებული, უთხრა:

– დარწმუნებული ვარ, ბალებს საეკლესიო ხარჯზე მიიღებენ და პანსიონში დავაბინავებ.

– გამიგონია საეკლესიო ხარჯზე მხოლოდ ობლებს იღებენ და ყოვლად უსახსროებსო.

– ის კი აღარ გაგიგონია, რომ ნამსახურ კაცს პატივსა სცემენ! აგერ რამდენი წელიწადია ნასწავლი კაცი სოფლად ვემსახურები და რას მემართლებიან, მცირეოდენი შეღავათი მაინც არ მომცენ.

მღვდელს თავისი ნასწავლობის და ნამსახურობის იმედი რომ ჰქონდა, თანაც იმედი ჰქონდა, რომ მას ძალიან დაეხმარებოდა თავის ნაამხანაგარი ადამიანი, რომელიც აგერ მღვდელთმთავრად იყო და დიდი პატივი ჰქონდა დამსახურებული.

– ესეც არ იყოს, შეიძლება ჩვენი საფერი ადგილი გამოჩნდეს ქალაქში და მაშინ ჩვენი ბედი უფრო სხვანაირად დაბრუნდება, – დასძინა კაცმა და იმედიანად შეხედა ცოლს.

გულმა გაუღიმა ქალს. გაუხარდა, რომ მღვდელიც ეხლა იმ აზრს დასდგომია, რომელსაც თვითონ აღვიებდა თავის გულში, რადგან ერთობ ეძნელებოდა შვილების დამორება.

– გისმინოს ღმერთმა! – მხიარულად მიუგო ქალმა, – მიყვარს სოფელი და დამენანება ჩვენი კარმიდამო თუ მოწყობილი სახლის თავმინებება; მეზობლებსაც ძალიან ვარ შეჩვეული; მაგრამ რა ვქმნა? მეტად მეძნელება ბალების მოშორება და კიდეც მეშინიან.

მამა ტიმოთემ იმისთვის გადაუკრა ცოლს სიტყვა ქალაქში გადასვლაზე რომ თითონ იყო ეხლა დაიმედებული: ამბავი მოუვიდა, თომა მღვდელი ძლიერ არის ავად და მარჯვედ იყავიო. თომა მღვდელი სწორედ იმ ეკლესიის წინამძღვარი იყო, რომელზედაც მზირად ეჭირა თვალი ტიმოთეს. ცოლისათვის ჯერ არ ეთქვა ეს ამბავი, არც ეტყოდა. ამ ბოროტმა ამბავმა ასიამოვნა ის და არ უნდოდა გული გადაეშალა ქალისათვის. კაცის უბედურება საწყენია, მაგრამ ცხოვრებაში ბოროტი და კეთილი გადაბმულია ერთმანეთზე, საწყენი და საამო ერთმანეთში არიან გახლართულნი და მოძღვარისა რა ბრალი იყო, თუ ამ საზოგადოდ საწყენმა ამბავმა მასში იმედი დაჰბადა უკეთესად დაპურებისა და გული გაუღო. მაინც ესმოდა, რომ ეს გრძნობა შორს იყო სათნოებაზე და არ გაუმხილა თავის გულუბრყვილო მეუღლეს: ის ვერ შეიგნებდა ამისთანა რთულ გრძნობას, იქნება კიდეც დაეგმო ქმრის

სიამე. არა, თქმისა კი არ ეშინოდა. მაგრამ ეხატრებოდა, თითქო კიდევაც სცხვენოდა. ისიც უნდოდა ხუცესს საჩუქრად მიერთმია მეუღლისათვის ეს სასიამოვნო ამბავი და ერთი კიდევ გაეხარებინა იგი, როგორც მაშინ გაახარა მღვდლად ნაკურთხი რომ მოუვიდა ქალაქიდან ფერად-ფერადად შემკული და შემოსილი. ეხლაც იმედი კი აუძრა მეუღლეს, მაგრამ არ დაანახვა ის საფუძველი, რომელზედაც იყო დამყარებული მოძღვრის მოლოდინი.

და ამ იმედმა მიაქცია ქალის ყურადღება ქალაქისაკენ. იქაურ სკოლებისაკენ. იგი უკვე ცხადად ხედავდა, როგორ გაისტუმრებდა შვილებს სხვადასხვა სასწავლებელში დილ-დილით ან როგორ შეხვდებოდა სადილობისას სკოლიდან მომავალ დაღლილ-დატანჯულ ბავშვებს, რომ თვის კალთაში განესვენებინა მათთვის და მსწრაფლ დაევიწყებინა სასწავლებლის მძიმე სახე ან გულგახევებულ მასწავლებელთ სიმკაცრე თუ სიდუხჭირე.

13

ეხლა კი თითქო შემოდგომამ შესდგა ფეხი მათ ცხოვრებაში და შეაყვითლა ფოთოლი მათის სიამისა, გული როგორღაც დაუთრთვილა მან და ჩამოაცალა თვალთაგან ნათელი მხიარული; ბოროტის ლანდი მოაჩვენა შორიახლო და ჩაუმუქა მათ ყოფა.

მარინემ ხელი გადაისვა თვალეზე, მიიხედა-მოიხედა და გამოერკვა მოგონებათა ბურუსიდან. მთელმა წარსულმა ისე განვლო მის გონებაში, როგორც რამ სიზმარმა მკაფიომ და აწ ისევ ფერმკრთალმა სინამდვილემ შეანათა თვალეები.

აგერ მისი ტიმოთე, მისი ხუცესი, გადაწოლილა გულადმა და ფშვინავს ტუჩებგადმობრუნებული; ხელ-ფეხი დასტოტყებ-დაჰსიებია, მუცელი გაჰბერია, გაჩეჩილი წვერ-ულვაში ჯაგნარვით მოჰსდებია მის ყინჩად ჩაწითლებულ სახეს.

– ისე ჩაწვა ე კაცი, პირჯვარიც არ გამოისახა, ღმერთი არ ახსენა. ესე იცის! მამაჩემი სულ სხვანაირად იქცევა: ხანგრძლივ ლოცულობს მუხლმოდრეკით; ბევრჯერ ცრემლიც შემინიშნია მის თვალეზე ლოცვის დროს; ბალღებსაც ალოცებდა და ისე მოასვენებდა მთელს ოჯახს. რა ვუყოთ, რომ უსწავლეელია მამაჩემი! განა ვინც სწავლულია, ღმერთი აღარ უნდა ახსოვდეს?!

ქალი ამ ფიქრებში იყო, რომ რაღაცა ფთხრიალი მოესმა. ჯერ შეკრთა უეცრად, მერე კი გაახსენდა, რომ მისი ქმარი ხელცალიერი არ დაბრუნდა მრევლიდან: ფეხშეკრული ვარია მოიყვანა და იქვე მიაგდო კუთხეში. წედან ამას ყურადღება არ მიაქცია მარინემ. ეხლა კი გაითვალისწინა ეს პატარა შემთხვევა და გული ეტკინა.

– რა დროს შეწუხება იყო იმ საწყლებისა, როცა მომაკვდავი კაცი წინ უდევთ?! აღბად მოითხოვა, არ მოისურვა ხელცალიერი წამოსვლა. მაგრამ მრევლიც ხომ ისე ჰყავს გაწვრთნილი, უნუგემოდ არ გამოუშვებენ. იციან, გულნაკლულად წამოვა მოძღვარი, ჯავრს ჩაიტანს და მარჯვე შემთხვევაში ან აყვედრებს, ან გააწვალებს მათ.

ახ, არ მოსწონდა მარინეს ესეთი ქცევა ქმრისა, მისი ესეთი სიმკაცრე, მაგრამ ვერაფერი გაეწყო, თქმისაც ეშინოდა. იცოდა კაცი შეუტევდა მას და მოუხეშავად ჩააჩუმებდა. ბოლოს და ბოლოს ტიმოთემ თითქო მთლად დაკარგა მისი ხათრი და სიყვარული. რად? რისთვის? ქალი ხომ ისევ პატივცემით ეპყრობა მას, სიყვარული ხომ არ გასციებია მისადმი; მხოლოდ შვილოსნობამ და ზრუნვამ დაჩაგრა ის, ბალღების აღზრდა-მოვლამ გადაიტანა თან. ვაჟკაცი კი არა ჰხედავს ამას, არაფრად მიაჩნია ქალის მოქანცულობა და თავის ჟინს ანვითარებს.

– იმოდენა სიბრაღულიც აღარა აქვს ჩემი რომ ერთი გამოცდილი მსახურნი მაინც

დამიჭიროს, მშველელი. როგორი მღვდლის ჯალაბი ვარ როდესაც ყოველწუთს დამკლავებული ვმუშაობ და იმდენი დროც არა მაქვს, თავისუფლად ამოვისუნთქო, ჩემს თავს მოვუარო და ქალური ემზი შევინარჩუნო ან სისუფთავე. იმდღეს ისიც მისაყვედურა, სარეცხს სხვას აძლევო. რა ვქნა, წვრილმანს მე თითონ ვრეცხავ და სხვა დიდ სამუშაოსთვის რომ აღარც დრო მაქვს და აღარც ჯანი; რა წყალში ჩავვარდე, – თქვა ქალმა, მკლავები ჩამოყარა და ერთს ხანს ისე იყო გარინდებული. – უქონლობით რომ მოსდიოდეს ეს, კიდევ არაფერი; მაგრამ რაღაცა შეუფერებელი ზნე დასჩემდა, ლამის ადამიანს პირში ლუკმა დაუთვალოს. თანდათან უქვავდება ბეჩავს გული, ლამის უდიერი შეიქმნეს და კაცთმოძულე, ქრისტეს გამყიდველი, – სთქვა ქალმა.

და თითონვე შეკრთა, როცა მსჯელობამ ამ დასკვნამდინ მიიყვანა ის: გაგონილი ჰქონდა, მის ქმარს ამგვარ რამ მეტსახელს ემახდნენ და იმან შეაშინა, იმან აგრძნობინა გულისტკივილი თუ სიბრალოე ცხოვრებაში უჯიშოდ ჩაბმულ თვის მეუღლისადმი და დაამტერდა ქალი მძინარეს.

არ ვიცი, იგრძნო მოძღვარმა ქალის მზირი თვალი თუ სხეულმა შეარხია იგი: შეიშმუშნა, გადმობრუნდა ცოლის ბალიშისაკენ გადაჰხვია მარჯვენა, მაგრამ ადგილი რომ ცალიერი დაჰხვდა, გამოეღვიძა.

– ისევა გღვიძავს, ქალო?! აგერ გათენებაა მოტანებული, შენ კი ტყუილადა ჰბუგამ ნავთს. ჯერ შენი გაღვიძებაა ხოლმე ძნელი და ახლა დაძინება. ნეტა აკეთებდე მაინც რასმე!

ქალმა უჩუმრად გააქრო ლამფა და ჩაწვა.

მღვდლის გონებაც განსაზღვრულ საგნისაკენ მიმართა ქალაქში გადასვლაზე საუბარმა, მაგრამ მისი საფიქრებელი სულ სხვა იყო და სხვა სახისა.

ტიმოთეს საკმაოდა ჰქონდა სოფლის ნიადაგში ფესვები გადგმული, ზოგიერთი ჯირკვი ღრმადაც წასულიყო მიწაში, მიეგნო იქ იდუმალად მონაჟონ სინესტისათვის და სწოვდა მას, რომ ეკვებნა და დაეზინებინა ზეაღმართული თვისი რტოები. ხუცესის ჰაზრი ეხლა ამ საგანს ევლებოდა თავს. საჭიროც იყო მოეფიქრნა ყველაფერი, რადგან რაც უფრო მეტს აკვირდებოდა იგი საამისოდ მოწყობილ გარემოებებს, იმდენად უფრო რწმუნდებოდა, რომ ის სამღვდლო ადგილი, ქალაქში რომ თავისუფლდებოდა არ ასცდებოდა მას. მთავარი საფუძველი ამ იმედისა ის იყო, რომ მას ერთობ დიდი წარმოდგენა ჰქონდა თავის თავზე და იმ სამსახურზე, რომელსაც ეწეოდა ის სოფლად ამდენ ხანს. განათლებული კაცი, რომელმაც ოდესღაც კინაღამ შეალო კარი უმაღლესი სასწავლებლისა და რაღაცა სოფლის მღვდლობა! ეს ისეთი ღვაწლი იყო მოძღვრის თვალში, რომ მთავრობას უსათუოდ უნდა დაეფასებინა იგი და გადაეყვანა უკეთეს ადგილას, უფრო ფართე სამოქმედო მიდამოში. ჩავა ქალაქს, ინახულებს ყოვლადსამღვდელოს, მოუთხოვს ყოველსავე გასაჭირს თვისის ცხოვრებისას, განფენს მის წინაშე გულსა თვისსა, შეევედრება მას და შეჰკლადებს.

– აღმოიყვანე, მეუფეო, სული ჩემი საპყრობილით, რამეთუ წარეწირა ნუგეშინისცემა უბადრუკსა მას გულსა ჩემსა!

და იგი ყურად-იღებს ვედრებას მისსა, დასდებს სასყიდელს მის ღვაწლს, აღიძვრის მისადმი თანაგრძნობით, უბყრობს მარჯვენასა და გარდაიყვანს ადგილსა მას ნათელსა, უხვსა და განსასვენებელსა. უბრძანებს:

– ვინაიდან დაგიყოფიეს წელიწადი მრავალნი ადგილსა მწირსა დაბალთათანა, აწ დაივანე ადგილსა პოხიერსა და შერაცხილ იქმენ გუნდსა მას რჩეულთასა; ვინაიდან აქამომდე მცირედსა ზედან სარწმუნო იქმენ, აწ მრავალთა ზედან დაგადგინო შენ. მოვედ, კურთხეულო, და დაიმკვიდრე საყოფელი იგი კეთილი!

მართალია, არც ისე ბნელოდა ტიმოთეს სამწყსოში, არც თუ ისე მცირედზე იყო იგი დამკვიდრებული: მოახერხა ცოლ-შვილის გამოკვებაც, ცოტა რამ ქვეყნიერთა ნიჭთა შეძენაც, მაგრამ ეს მისი კერძო საქმეა და უნარი; მღვდელთმთავარმა ეს არც უნდა იცოდეს და არც საქმე აქვს ამასთან არავითარი. ერთი ხინჯი კი მაინცა ჰქონდა ხუცესს გულში, ერთ ადგილიდან მოსალოდნელი იყო მისი განზრახვის წინააღმდეგი მოქმედება, თუმცა იმისთანა ამბავი ბევრგან ხდებოდა და ბევრისაგან: მოძღვარი ტიმოთე თვის მრევლში სასწავლებელს არა ჰხსნიდა და არა! ბევრჯერ მოასწრეს, ბევრჯერ ურჩიეს, კიდევ უბრძანეს, მაგრამ ვერაფერი შეასმინეს. მეტადრე მას აქეთ გაჯიქდა ხუცესი, რაც ერთხელ სცადა და ვერ შეასრულა თვისი სურვილი. ახალსავე მღვდლობაში შეკრიბა მან სოფლად რამდენიმე გოგო-ბიჭი, აგვევინ-აწმენდინა სახლ-კარი, აზიდინა წყაროს წყალი, ასწავლა შიგადაშიგ ანბანი და მისწერა მთავრობას: სკოლა გავხსენ ჩემსავე სახლში ჩემის ხარჯით და ჯამაგირი დამინიშნეთო, საჭირო თანხაც გადმომეცით შენობის ასაგებადაო. მთავრობამ ახლო გაიცნო საქმე და ვერ დააკმაყოფილა მოძღვრის სურვილი. ამაზე გაწყრა მღვდელი და მთლად უარჰყო სასწავლებელიც, მრევლის სწავლებაც. ეს ხინჯი ეხლა მკაფიოდ დაესახა ხუცესს გონებაში და მცირეს შეარყია მისი რწმენა გამარჯვებაზე. მაინც თავს ინუგეშებდა.

– რა ვქნა, თუ ვერ ავასრულე მთავრობის ეს მოთხოვნილება? თითონვე არიან დამნაშავენი. უნდათ საქმეც გაკეთდეს, ფულიც არ დახარჯონ! თითონ ათასობით იღებენ, ჩვენთვის ასობითაც არ ემეტებათ. ან რა გადარჩებათ, რომ გაიმეტონ.

რაკი მთლად დარწმუნებული იყო, აუსრულდებოდა სურვილი, ეხლავე შეუდგა იმაზე ზრუნვას, რაც შეიძლებოდა მცირე ზარალით დაეტოვებინა სოფელი. აი ამ ფიქრებმა გაირთეს მოძღვარი.

– თუნდ ეხლავე გარდაიცვალოს თომა მღვდელი, მაინც ორი-სამი კვირა გავა, მანამ მღვდელმთავარი თავის განაჩენს დააწერს თხოვნებს; შემდეგ კიდევ ხანი გავა, მანამ ჩემს ადგილას სხვას გამოამწყსებენ, ისე რომ ექვსიოდე კვირას მაინც მადროვებენ. საკმარისიც იქნება! წლებანდელ გადასახადებს ავკრებ კალოზე თუ ვენახებში, ზოგიერთ ჯვარსაწერსაც მოვასწრობ. წინანდელ დარჩენილ დრამას ხომ წინ რაღა უდგა: თამასუქები მიჭირავს ხელში. თუ გაჭირდება, მალხაზს მივყიდი და მერმე თითონ იცის, რა ტუტას აადენს სოფელს, – ფიქრობდა მოძღვარი.

ეს მალხაზ ივანეს ძე გაგეშილი მგელივით ნადირობდა სოფელში: სამსჯავროს გზა დაესწავლა, საყოველღეო კანონები გაეზეპირებინა, თხოვნებისა და საჩივრების წერას შესწავლოდა, სინიდისი ამოეხაპა და კეთილად მხოლოდ ის მიაჩნდა, რაც პირად მისთვის იყო სასარგებლო. სუნით მიაგნებდა, სადაც მისთვის ხელსაყრელი საქმე გაჩნდებოდა. მალა ღვთისა აღარ ეშინოდა, დაბლა ადამიანისა. აი ამ საშიშ ადამიანთანა ჰქონდა ტიმოთეს საქმე დაჭერილი და მეგობრობა გაბმული. მალხაზმა იცოდა მღვდლის თამასუქების ამბავი და თვალი ეჭირა მისკენ. რამდენჯერმე უთქვამს:

– მამაო ტიმოთე! მამე გაგინადლო თამასუქები; გინდა, ეხლავე მოგცემ მანეთზე ათ შაურს და მთლად გაგანთავისუფლებ მაგ ქალაქებისაგან. მაინც ხომ უჩემოდ ვერ მოახერხებ მაგათ განადღებას.

მართალს ამბობდა მალხაზი, უიმისოდ იმ თამასუქების ფულად ქცევა ძნელი იქნებოდა: ჯერ ერთი, რომ არ შეეფერებოდა მღვდელს ამგვარ საქმეებზე

სამსჯავროში სიარული და თუ სხვას მიანდობდა ამ საქმეს, მალხაზი არ დასთმობდა, თითონ გამოვიდოდა გლეხთა დამცველად და ოინებს გაუქვეყნებდა ხუცესს. ამას ყველაფერსა გრძნობდა მღვდელი და ეხლა შესაფერი დრო იპოვა გადაეცა საქმეები ამ კაცისათვის. თითონ ხომ სოფელში აღარ იქნებოდა და რა ენაღვლებოდა, მის შემდეგ რა მოხდებოდა მის მრევლში.

– მხოლოდ ნუ ჰგონია მალხაზს, რომ ნახევარი დავუთმო, მეხუთედიც ეყოფა; მანეთზე რომ ერთი აბაზი აიღოს, სხვა რაღა უნდა? მე ვიცი, დიდი შრომა დასჭირდება სამსჯავროში გაჩვეულს!

მაინც ამდენის მიცემაც ეძნელებოდა მღვდელს და ჯერ ისევ ყოყმობდა.

– ნიკოლას დუქანში რომ ცოტაოდენი თანხა მაქვს ჩაყენებული, დეე ჯერ ისევ დარჩეს იქ, მაგრამ ეხლა თუმანი აბაზობაზე მაინც უნდა დაიწეროს. ვეტყვი, ყმაწვილი მიმყავს ქალაქში და ფული მიჭირს-მეთქი. თუ მომცა, რა კარგი, თუ არა და თამასუქს გამოვაცვლევიანებ.

ხუცესს ესარგებლნა მეწვრიმანე ნიკოლას გაჭირვებით და ფული ესესხებინა მისთვის. ეხლა სუყველაფერს იქა ვაჭრობდა, ხშირი სტუმარი იყო დუქანში.

– ისიც უნდა გაიყიდოს, რაც სახლში საქონელი თუ ფრინველია ან ავეჯეულობა. აფსუს, რომ ჩემი დარგული ხეხილი სხვას უნდა დარჩეს, ჩემს მოადგილეს. რათაო?! ვეტყვი, ცოტაოდენი ფული მომცეს ჩემს ნაშრომში, თუ არა და მთლად გადავჭრი ხეხილებს. ქვეყანამ იცის, რომ ჩემ მოსვლამდის ერთი ნერგიც არ იღგა ამ ეზო-ყურეში.

დაკვირვებით იკვლევდა ხუცესი, რას უზამდა ყველა წვრიმალს ან როგორ გაასაღებდა, რომ რაც შეიძლებოდა მეტი ფული აეღო ხარახურაშიც. ამ თვის ფიქრებს ჯერ არ უმხელდა ცოლს, რადგან ის ვერ შეიგნებდა ქმრის ანგარიშს და იქნება ზოგ რამეში არც კი დასთანხმდებოდა მას.

– გულჩვილი დედაკაცია, გაუნათლებელი. იმასა ჰგონია, შეიძლება ამ დროში ცხოვრება, თუ კაცმა ყველაფერი არ იანგარიშა, თუ თავისი ყოველივე ნაბიჯი ზუზვიც არ გამოზომა და სასტიკად, – ფიქრობდა მღვდელი.

და ნანობდა, რომ თავისავით ანგარიშიანი და ცხოვრების მცოდნე მეუღლე არ შეჰხვდა, რათა შეეგნო ყოველივე მისი მოქმედება, დაედასტურებინა და თითონაც ამავე საზომით მოეზომა საქმე. მართალია, პირადი მოთხოვნილება ცოტა ჰქონდა მარინეს, მაგრამ სარჩოს მოხვეჭის უნარი აკლდა; მის ხელს გაცემა უფრო ეხერხებოდა, ვიდრე მობოჭვა; არ იცოდა გულუბრყვილომ, რომ ფულის შექმნამ სრულებით არ იცის სიბრალული და თანხას არაფერი საერთო არა აქვს ჩვილ გრძნობებთან.

– ეჰ, განათლებული რომ იყოს, წაკითხული რომ ჰქონდეს გამოკვლევები თანხის ზრდის შესახებ, მაშინ ეცოდინებოდა, რომ ფულისადმი მისწრაფება და კეთილი გრძნობები შეუზომელნი არიან და ვერა თავსდებიან ერთმანეთში; მაგრამ ვინ მარინე, სად ამ ჭეშმარიტებათა შეგნება!

– ბედი შემწევს! ზეგ-მაზეგ უნდა წამეყვანა ბალლი და ის კაციც უკვე გარდაცვლილა; არზის მიცემის დროა, – სთქვა ტიმოთემ, როდესაც გახსნა წერილი.

შინ რომ მივიდა, ცოლს გადასცა წერილი და უთხრა:

– მაინც ხომ უნდა წავსულიყავ ქალაქს და აი საჭირო საქმეც გამიჩნდა.

ცოლი დაეთანხმა, რომ მართლა მარჯვედ მოეწყო გარემოებები და იმედი გამოსთქვა, მღვდლის განზრახვა კეთილად და სასურველად დამთავრდებოდა. მესამე დღეს წავიდა მოძღვარი ქალაქს და ბავშვიც წაიყვანა. რომ ჩავიდა, აბანო ნახა, გამოეწყო ახალ ტანისამოსში, გადივარცხნა თმა-წვერი და გასწია მთავრობასთან წარსადგომად. ტიმოთეს ეგონა მღვდელთმთავარი კერძოდ მიმიღებს, დამსვამს სასაუბროდ და მეც განვუმარტავ ჩემს გარემოებებს, გავაცნობ ჩემს თავს. შესცდა: მისმა მეუფებამ იგი მიიღო საერთო დარბაზში სხვა მთხოვნელებთან ერთად, ჩამოართვა არზა და, რომ დაჰკრა თვალი მის გვარს, თითქო რაღაცა მოაგონდაო.

– მამაო, სკოლა გაქვს მრევლში? – ჰკითხა მან.

– არა, თქვენო მეუფებავ, მაგრამ...

– ყოვლად უსამღვდელომ ორაზროვნად შეხედა მას და მიუბრუნდა სხვა მთხოვნელებს. ცივ წყალ გადასხმული გამოვიდა მამა ტიმოთე სასახლიდან, ცოტა შეეყოყმანდა და შებრუნდა იქვე სამდივნოში, სადაც ნაცნობი მოხელე ეგულებოდა. იქ განუმარტეს მას, რომ ყოვლად უსამღვდელოესი სხვანაირად ვერც მოიქცეოდა, რადგან დრო არა აქვს, ყველას სათითაოდ და დაწვრილებით მოუსმინოს სათხოვარი.

– თხოვნაში ხომ ყველაფერი მოიხსენიე და განმარტე. სხვა რაღა გინდა. ვის დააწერინე არზა?

– არზა მე თითონ დავწერე, ვისთვის უნდა დამეწერინებინა?! – სთქვა ამაყად მღვდელმა, – მხოლოს იქ მოკლედ ვსთქვი სათხოვარი; მეგონა პირად მოვახსენებდი ყველაფერს.

– ტყუილად გგონებია! სჯობდა უფრო გამოცდილი კაცისათვის დაგეწერინებინა არზა, – მიუგო მოხელემ და მიუბრუნდა თავის საწერს.

საქმის ამგვარი მიმოხვრა არ მოეწონა ტიმოთეს და შეკრთა; მიხვდა, რომ უკეთესი იქნებოდა ჯერ სამდივნოში შესულიყო, გამოეკვლია საქმის ვითარება, ცოტაოდენ რამ დაეხარჯა, არზა გაეკეთებინა და დარიგებაც მოესმინა უფრო გამოცდილებისაგან. გვიანდა იყო! ნაწყენი გამოვიდა მღვდელი, დაფიქრებული. უნდოდა როგორმე გამოებრუნებინა ხელიდან წასული საქმე, მკვიდრ ნიადაგზე შეეყენებინა იგი და ამ გაჭირვებაში მხსნელად დაისახა ქართველი ეპისკოპოსი, რომელიც იმ ჟამად ქალაქში სცხოვრობდა. გასწია მისკენ.

მღვდელთმთავარი თითქმის ტიმოთეს კბილის კაცი იყო, სულ სამი კლასით უფროსი. ხუცესი სასწავლებლიდანვე იცნობდა მას. მერმეც ენახა: ერთს დღესასწაულში სწირა მასთან ერთად, სიტყვაც კი წარმოსთქვა ამბიონიდან. უბრალო კაცი იყო მწყემსთმთავარი, გარეგნობას არავითარ ყურადღებას არ აქცევდა, მდიდრული ჩაცმა-დახურვა არ უყვარდა, მედიდურად სუფევა და მბრძანებლობა არ მოსწონდა. წიგნს მისდევდა, კალამი მარჯვედ ეჭირა; ენაც უჭრიდა: თუ აღიგზნებოდა, მჭერმეტყველების ბჭეთამდის აღიწეოდა. მერმე კი ისევ ჩანელდებოდა, ჩაქრებოდა, ჩანავლდებოდა, თუმცა ფერფლ ქვეშ მარად უღვივოდა გრძნობა ცეცხლებრივი. წინდაუხედავი პირდაპირ დაავლებდა ხელს ამ ნავლით შეფერფლილ ნაღვერდალს და ხელს დაიდაგავდა სწორედ მაშინ, როდესაც სრულებით არ მოელოდდა.

მოახსენეს, ხუცესსა ჰსურსო თქვენი ნახვა. მიიწვიეს. მამა ტიმოთე შევიდა ფარჩის ანაფორის შრიალით, წალების ჭრიალით. ბერი ძამაში გახვეული დაჰხვდა. ხუცესმა გაუღიმა და შენდობა მოსთხოვა.

– ტიმოთე გახლავარ როდინაშვილი, ჩართაულის მღვდელი. ალბად გახსოვთ, ამ ორი წლის წინად თანამწირველიც ვიყავი თქვენი.

– როგორ არა! დაბრძანდით. რისთვის გასჯილხართ?

მღვდელი ფართედ ჩაჯდა სავარძელში და ხასად შემოიღო ფეხი ფეხს.

– ბაღლი ჩამოვიყვანე სასწავლებელში. მინდოდა გიმნაზიაში გამეზარდა, კიდევ ვამზადებდი საიმისოდ, მაგრამ ისევ სასულიერო სასწავლებელი ვირჩიე; დეე, ისიც ისევ ეკლესიას ემსახუროს! ჩემთვისაც უფრო შეღავათი იქნება: საეკლესიო ხარჯზე გამიზრდიან ბაღლს.

– საეკლესიო ხარჯზე? არა მგონია! ობლებს და საწყალ დიაკვნის შვილებსაც ვერა სწვდება იგი ხარჯი. მაგრამ რა ვიცი, თითონ იციან საქმისა.

– მაშ ვიღაცა დიაკვნის ბაღლები უფრო პატივში ყოფილან, სანამ განათლებული მღვდლის შვილები; მე კი მეგონა, მთავრობა დააფასებდა ჩემს სოფლად სამსახურს. იმისი იმედიცა მქონდა, რომ თქვენ უბრძანებდით მიეღოთ ბაღლი.

მღვდელთმთავარს არ უამა არც მისი მსჯელობა, არც მისი ხასი ქცევა და აილენა, მაგრამ მოსულმა ვერ შეამჩნია ეს და განაგრძო:

– მაშ რახან ეგრეა, სხვა საქმეში მაინც უნდა დამეხმაროთ.

– ბრძანეთ!

– დეკანოზი ფრიდონაური რომ გარდაიცვალა, იმისი ადგილი ვითხოვე და იმედია დამეხმარებით მთავრობის წინაშე, რომ არ ამცდეს ის ეკლესია.

– მაგისტანა საქმეებში არ ვერევი საზოგადოდ და არც განსაკუთრებითი საბუთი მაქვს, ეხლა დავარღვიო ეს წესი.

– მაშ ტყუილი იმედი მქონია! მეგონა, ქართველი მღვდელთმთავარი დამეხმარებოდით ქართველ მღვდელს.

მწყემსთმთავარმა ვეღარ შეიმავრა თავი.

– მაინც რა განსაკუთრებითი ღვაწლი მიგიძღვისთ მრევლისა თუ ეკლესიის წინაშე, რომ გაგარჩიოთ სხვებისაგან, – უთხრა მან და გადასახა ჯვარი.

კარგი ქმნა, რომ მალე დაითხოვა, თორემ მთლად გამოვიდოდა მოთმინებიდან და წააყვედრიდა ყველაფერს, რაც იცოდა მან ტიმოთეზე. ცოდნით კი ბევრი იცოდა, რადგან მეზობელმა მღვდელმა მაშინ, იმ დღესასწაულის დროს, საკმაოდ დაუხატა მას ტიმოთეს ზნეობრივი სახე და მისი მრევლში მოღვაწეობა. მაინც მსწრაფლ დაყუჩდა ბერი და რამდენიმე მამაშვილური დარიგება მისცა ხუცესს, სანამ გაისტუმრებდა.

დამუხლისთავებული მღვდელი არ დაჰმორჩილდა ბედს და სამდივნოს მმართველის შემწეობით მოახერხა მთავრობის ნახვა, ნეტა არ ენახა! როგორღაც შეკრთა, აღელდა, ჰაზრები აეფურტკნა და მწყობრად დალაგებულ-დამზადებული ფრაზეების უმწო ნაფლეთებილა შერჩა ენაზე. დარცხვენილი გამოვიდა ბოლმამორეული და აჭარხლებული.

იმედგაცრუებული წამოვიდა ტიმოთე ქალაქიდან, გაწბილებულ-გამწარებული, შეურაცხყოფილი. ძლიერ გათახსირებულადა გრძნობდა თავს. თავის დღეში ვერ წარმოიდგენდა, რომ ისე ცივად და უპატიურად მოეხერხებოდნენ მას ქალაქში. პირველად რომ მივიდა ხუცესი სოფელში, ახალ მღვდლობას, გაზვიადებული თვითმოყვარეობა მიიტანა თან, თავის თავზე დიდი წარმოდგენა; ეს მისი გრძნობა იქ უფრო გაძლიერდა და გამძლავრდა, რადგან მეტოქე არავინ დაუხვდა წინ, არც კბილის მომჭრელი, რომ ჩაეფიქრებინა კაცი. ყველგან მისი სიტყვა გადიოდა, მისი თქმა თუ ქცევა საგანგებოდ მიაჩნდათ, სწავლა სანიმუშოდ. ბევრგან სრულდებოდა მისი სურვილი. მეტადრე იმის შემდეგ ეპყრობოდნენ კაცს მორიდებით, რაც თანხა

რამ ჩაიგდო ხელში, დაბეგრა სოფელი კანონიერის ხერხით და აგრძნობინა თავისი მარჯვენა, არა მაკურთხეველი მარჯვენა, არამედ მძიმე და დაბლა დამხრელი. მართალია, თავისთავად არც თუ დიდად მძლავრი რამ იყო ხუცესი, მაგრამ ჩაბნელებულ და განადგურებულ სოფელში ესეც კმაროდა. აი ამ გარემოებებმა შეამღვრიეს საღი წარმოდგენა მღვდლისა თავის თავზე და თავის ქცევაზე. როდესაც ქალაქში დაუპირდაპირდა ის უფრო ძლიერ ხალხს, მოქნილს და დამოუკიდებელს, დაინახა თავისი სიმცირე და თავის დაჭარბებულ იმედების უსაფუძვლობა; იგრძნო, რომ მისი ზვიადობა მეტი იყო და მოთხოვნილებები დაუმსახურებელი.

– რა მომივიდა! ენა დამება არქიელის წინ, რულიც კი ვეღარ მოვახერხე; ხომ მომზადებული მქონდა სათქმელი, მაგრამ მაინც დავიბენ; მე თვითონ ვატყობდი, შეცდომები რომ მომდიოდა ფრასებში. აკი იმასაც გაუკვირდა, როცა ვუთხარი, სტუდენტი ვარ – მეთქი. დამარიგა.

– წიგნები უნდა იკითხო, მამაო, ახალი ცოდნა დასძინო ძველ ნასწავლს, თორემ ძველიც პირახდილ წინწანაქარივით ამოგიქრება და მჯავე წყალი შეგრჩება ხელში.

– იკითხო! თითონ გაბრწყინებულან გულსავსენი და თუნდ წაიკითხავენ, თუნდ დასწერენ; მე კი ათასი საზრუნველი მაქვს, რომ ოჯახი არ დავამშოო. ასწავლეო ბაღლებს, უქადაგეო მრევლს, გულმტკივნეულად მიხედე შენს ეკლესიას; ნუ შეუმძიმებ სოფელს ყოფას; მცირედსა ზედან სარწმუნო იყავო! ადვილი სათქმელია ეს მათთვის, მრავალთა ზედან დადგენილთათვის, – ფიქრობდა მღვდელი.

მაგრამ თითონვე გრძნობდა, რომ მისი მსჯელობა არ იყო ხალასი სიმართლე და უფრო ჯავრდებოდა. გარკინავებული იჯდა ცხენზე, მგზავრებს ყურადღებას არ აქცევდა, თუმცა ისინი შენდობასა სთხოვდნენ მას.

– ჩვენი ეპისკოპოსიც რომ დარიგებას შეუდგა, ალბად ისიც გაუტენიათ ენით. განათლებული კაცი რომ ხარ, ნათელი ქრისტესი უნდა მოჰფინო შენს სამწყსოსო; ისე არა ჰმსახურებ ტრაპეზს, როგორც შეეფერება მის სიწმინდესაო; ვერცხლის ბჭყვრიალს თვალი მოუჭრია შენთვის და წმინდა მოვალეობა დაგვიწყებიაო. თითქო თითონ კი დიდი მორწმუნე იყო და იმისთვის შესდგა ბერად! მღვდელობაც ხომ ისეთივე სახელმწიფო სამსახურია, როგორც ყველა სხვა მოხელეობა და როდის არ ავასრულე ჩემი მოვალეობა? რომელი დავტოვე მოუნათლავი ან მოვკალი უზიარებელი? სკოლა გახსენიო. ფული? ჯამაგირი? სასყიდელი? ალბად უწინ იყო ის, რომ უსასყიდლოდ იღებდნენ და მუქთად ურიგებდნენ. ჩემთვის არც არავის მოუცია რა უსასყიდლოდ, ვერც რასმე მივცემ უფასოდ.

ეკლიან ფიქრებში გაბმულმა ხუცესმა ვერც კი გაიგო, როგორ დაილია გზა. სოფელი რომ გადაეშალა წინ, მღვდელმა მათრახი მოუმარჯვ-მოულერა მას და წარმოსთქვა:

– ხომ დამაკერეს კაცი შენზე, დამლურსმეს. აღარ უნდათ ამგლიჯონ შენის მკერდიდან და კარგი! ტყუილად ჰგონიათ, ამით დამსაჯონ და ბევრი წამაგებინონ. ისე ამოვწოვო სოფელი, როგორც ღრუბელმა; ისე შევიხმარო ყოველივე სიკეთე აქაური, რომ პირველი ადგილის მღვდლები შემომნატროდნენ!

ტიმოთე რომ სოფელში შევიდა, მისი ცოლი მარინე გომურის ბანზე იდგა და ქმრის გზას გასცქეროდა. შეფიქრებული იყო ქალი; მღვდელი დანიშნულ დროზე არ მოვიდა და ეს აწუხებდა ქალს.

იქნება ბაღლი ავად გახდა და იმას უზის იქ ან იქნება არ მიიღეს სასწავლებელში და იმან დააბრკოლა კაცი, – ფიქრობდა ის.

და ათასგვარ საფრთხეს წარმოიდგენდა საშიშარს. ხან კი მუქი ფიქრები ნათელ იმედებად გარდაექმნებოდნენ.

– ვინ იცის კიდევ მისცეს ახალი ადგილი. მაშინ ბევრი საქმე გაუჩნდებოდა იქ მოსაწყობი. სწორედ იმიტომ იგვიანებს. თუ გადაგვიყვანეს, ნეტა ბაღლი უკანვე მოიყვანოს. ხომ მიიღეს და რა უშავს, ერთი-ორი კვირა არ იაროს გაკვეთილებზე. გაიფანცქალებს აქ, რთველს ჩამოვათავებთ და ერთად წავალთ ქალაქს. ნამდვილ ესე იზამს, თორემ იქ ვის დაუტოვებს ყმაწვილს ან ვის მიაბარებს ორი-სამი კვირით, – ფიქრობდა მღვდლის ჯალაბი.

მღვდელმა შორიდანვე შენიშნა თავისი ცოლი, ლეჩაგს რომ აფრიალებდა ბანის წვერზე. ეჯავრა: გამარჯვებული არ მიდიოდა შინ, არც ერთი თავისი იმედი განხორციელებული არ მიჰქონდა თან და რა პირით უნდა სჩვენებოდა ქალს. მეუღლის თვალში აქამდის პირველი კაცი იყო ის, უნარიანი, მოხერხებული, საქმის მცოდნე და ეხლა კი უნდა გაემჟღავნებინა მისთვის, რომ ისე უშნოდ დამარცხდა. გული ბოღმით ევსებოდა. ერთობ დიდად წარმოუდგა თავისი დამარცხება, უკიდურეს უბედურებად. გულმა ერთი კი უთხრა ხუცესს, მოთმინებით დაჰხვედროდა ამ დროებით უსიამოვნებას, ეთქვა ცოლისათვის ყველაფერი, მის კალთაში გაენქარვებინა ჭმუნვა და მდინარესთვის მიეცა იგი სევდა, როგორც რამ სიზმარი რამ უსიამოვნო, მაგრამ ამ კეთილმა გრძნობამ მხოლოდ გაუელვა გულში და იქვე ჩაკვდა. ისე პირქუშად შევიდა კაცი ეზოში, როგორც მეხცემული. ქალს სიხარულის შუქი ჩაუქრა სახეზედ, ღიმილი შეაშრა ბაგეზედ. ყმაწვილები პირდია შეჰყურებდნენ მამას, დიაკვანმა ცნობისმოყვარეობით დააჰყიტა თვალები.

– რა იყო, კაცო, როგორ დააბინავე საწყალი ბავშვი, ხომ კარგად არის?
– კარგად არის, მაშ რა დაემართებოდა? – შეუტია ცოლს და მიაგდო დიაკვანს აღვირი:

– ერთი ჩამოხსენ ხურჯინი და მოუარე ცხენს! სადა გდია გოგო, რომ არ გამომეშველება?

– წყალზედ წავიდა, ბეჩავ! – მიუგო გულნატკენმა ცოლმა და მიეხმარა დიაკვანს, რომელიც ხურჯინსა ხსნიდა.

გავიდა ჟამი. მწარე გრძნობა ნელ-ნელა მიყუჩდა: ნატკენი თავმოყვარება დაამდა; იარა გულისა მთლად მორჩა და ოდნავდა ეტყობოდა თეთრი რამ ზოლი, ნიშანი წინანდელის ჭრილობისა. ეს სერიც ათასში ერთხელ შეაჩნდებოდა ხუცესის გულს, როდესაც რამე გარემოება გაახსენებდა ქალაქს და მის უარმყოფელ სასულიერო მთავრობას. ამ შემთხვევამ ჰკვავ ასწავლა ტიმოთეს.

– მოგცემენ თუ არა ოდესმე სხვა უკეთეს ადგილს, ეს ღმერთმა იცის, ჯერჯერობით კი უნდა სავსებით ისარგებლო იმ გარემოებით, რომელშიცა ხარ: უნდა გააძლიერო შენი შნო თუ შრომის უნარი და რაც შეიძლება მკვიდრად ამოაშენო შენის კეთილდღეობის გოდოლი, – ეუბნებოდა მღვდელი თავის თავს.

– და თანდისთან მძლავრად უჭერდა მოყვასს თუ სამწყსოს ხელს, რომ გამოეწურა თვის სასარგებლოდ თუნდ უკანასკნელი სიჩხინტე. მეტადრე მაშინ უდარებდა ხუცესს დღე, როდესაც სოფელს რაიმე გასაჭირი დაატყდებოდა თავს: ან ხარჯის ამკრეფნი შეესევოდნენ, ან ასკილის ყვავილობა მოატანდა და მთლად გამოიფიტებოდა სოფელი. მოძღვარმა იცოდა ეს, სწორედ იმ დროსთვის მოიმარჯვებდა თავისუფალ ფულს თუ სულადს და თავისებურად აღუპყრავდა ხელს გაჭირვებულს. მანეთი მანეთზე, კოდი პური ორ კოდ დარკვევულზე.

გაზეპირებული საქმე იყო მისთვის და გაკვეთილი გზა. ყოველივე ესეთი დაწყებილება ქალაქდზედა ჰქონდა მას მარჯვედ შეკრული, რომ კანონს როგორმე

ბრჭყალი არ გამოეკრა მისთვის და არ ეწყინა რამე. ისეთს ქაღალდს შეადგენდა, ერთი დღე გარს გეარნა, შესავალ კარს ვერ უპოვნიდი. რა უჭირდა! წერა იცოდა, ამგვარ მწერლობაში დახელოვნებული იყო, სოფლის მოხელე-მსაჯულები ხელში ეჭირა, რადგან შემთხვევის შესაფერად იმათაც არ ივიწყებდა. ივსებოდა მღვდლის სახლი დოვლათით, ღმერთი უხვის ხელით აფრქვევდა ქვეყნიურს კეთილს მის კარ-მიდამოში და სახლ-კარში. თანდათან მეტს ჯმაცოფილებასა ჰგრძნობდა კაცი. ეხლა ის ერთის მხრივ მადლობელიც იყო, რომ მაშინ არ გადიყვანეს ქალაქში.

– არა მგონია, მეტს მოგებაში ვყოფილიყავი იქ. ამოდენა სამკალი ყოფილა აქ, ხოლო ჰაზრიანი მუშაკი თითქმის არა. მოვიმკი, შევიძენ, შევიკრებ ყოველსა ნაყოფსა და კეთილსა ჩემსა, ძალას დავიჭერ ხელში და ქალაქშიც ფესვებს გავიდგამ. ისეთი სახლი წამოვჭიმო იქ, რომ იქაურ ხუცებს კბილები უკაწკაწებდესო! სახლები ქალაქში, მამული სოფლად, გარჯის უნარი, ცოტაოდენი თანხა და სხვა რაღა უნდა, რომ მიეცეს და მიემატოს ადამიანს, რომ მრავალთა ზედან დადგენილი იყოს იგი თუნდ უბრალო სოფელში?!

– იცი, ქალო, თანდათან გამოცდილებას ვიძენ, თანდათან მეტს მიდამოსა ვხედავ ჩემ სამოქმედოდ. წინად – გახსოვს? გაუბედავდა ვმოქმედობდი, ჯერ მთლად არ შემეგნო ძალა გამორკვეულის გეგმისა; ეხლა კი ვიცი, როგორ უნდა მოვიქცე და აკი მატულობს კიდევ ჩვენი შემოსავალი და ყვავდება ჩვენი კეთილდღეობა. მართალი დაუწერიათ: ყოველსა რომელსა აქვს, მიეცეს და მიემატოს, ხოლო რომელსა არა აქვნდეს, მოველოს მისგან იგიცა, რომელი აქვნდეს მას. სრული ჭეშმარიტებაა! უდა წაერთვას, ვისაც მცირედი აქვს; თორემ საიდან მიემატება, ვისაც ბევრი აქვს. ეგრეა წუთისოფელი: ერთის დაქცევაზე არის ამოყვანილი მეორის აშენება, ღმერთმან ერთი რად აცხოვნოს, თუ მეორე არ წარწყმიდოს. არ გაიზრდება ახალი მცენარე ვერც ყვავილად გარდაიფურჩქნება იგი, თუ იმ ნიადაგში, მის ფესვებ ქვეშ, არ განიხრწნა სხვა, რასაც ოდესმე სიცოცხლე ჰქონდა მინიჭებული. ნურაფრისა ნუ გეფიქრება! ისეთს გარემოებებში ჩაგაყენო, მღვდლის ჯალაბები კი არა, თავადის ცოლებიც შემოგნატრიდნენ.

მარინეს კი ის არ ანაღვლებდა, რაზედაცა ზრუნავდა მისი ქმარი. მას ის აფიქრებდა, რომ არ ეჩემებოდა კაცის ესეთი მსჯელობა, არც გული უთქვამდა ესეთი შენაძენისთვის. მას აგონდებოდა სხვა ნათქვამებიც: უგუნურო! ამას ღამესა მიგიღო სული შენი შენგან და ეგე, რომელი მოიძზადე, ვისა იყოს? და კიდევ: რასაცა გასცემ შენია. ამ მცნებას უფრო ეთვისებოდა მოწყალე გული ქალისა, მაგრამ სდუმდა. იცოდა, რა ჯიუტად იყო მღვდელი მომართული და ჩუმად იყო.

ესე ეუბნებოდა მღვდელი თავის ცოლს, როდესაც მან მოახერხა და ქალაქში შეიძინა მამული, სახლი ვალიანი იყო, საჯარო ვაჭრობით დარჩა იგი ხუცესს, მაგრამ ხელსაყრელი გამოდგა და ისე კარგად გაქირავდა, რომ თავსაც გამოისყიდდა, მოგებასაც აჩვენებდა პატრონს. ერთი ოთახის გადარჩენაც მოახერხა, რომელიც ბინად შეიქმნა ტიმოთესთვის და ბუნაგიც სოფლურ ნაწარმოების დასაბინავებალად. ეხლა მას შეეძლო ზოგიერთი რამ ჩაეტანა ქალაქში, შეენახა იქ და მოგებით გაეყიდნა ჩარჩებზე. ყველაფერს მოახერხებდა. თავისუფალი დრო ბევრი ჰქონდა. რა იყო მისი სამსახური? კვირა-უქმეში უნდა ეწირნა. ძალას კი არავინ ატანდა, მაგრამ მაინც საჭირო იყო წირვა-ლოცვა. არც ლოცვის გაჭიანურება უყვარდა და დიაკვანიც შეაჩვია, რაც შეიძლებოდა მოკლედ მოეჭრა საკითხავები. განათვლა, მონათვლა, სახლის კურთხევა, ქორწილი და ყველა ამგვარი სამსახური ხერხდებოდა მაშინ, როცა უფრო ეცალა მღვდელს. თუ დილით არ ეცალა, საღამო ხომ იქ იყო ან მეორე დღე. სად გაიქცევოდა საქმე?! სახალისოც იყო ყოველივე ეს: შემზადებას არა

თხოულობდა, არც შრომას რასმე, შემოსავალს კი იძლეოდა ცოტაოდენ და კარგ დაპურებას უსათუოდ. ნახევარ საათი იკითხე და იგალობე, ერთი საათი შეექცე და განისვენე. სწორედ კარგი ხელობაა მღვდლობა. მხოლოდ საზიარებელი და ანდერძი უჭირებდა საქმეს: სიკვდილი არ იცდიდა და ხუცესსაც აშურებდნენ, ძალას ატანდნენ.

ესეთ ფიქრებზედ იდგა მოძღვარი და თავის თავს მოსაზრებას უქებდა, რომ სხვა სამსახურს არ დაადგა და არ შესდგა ცხოვრების იმ კრულ გზაზე, სადა აღმოცენდებიან ეკალნი მხოლოდ და კუროსთავნი.

18

ძალიან წინ წაიწია ხუცესმა არჩეულ გზაზე. რაც მეტი შეიძინა, იმდენი უფრო გათამამდა, მედიდურობა დაიწყო, ყურადღებას აღარავის აქცევდა. საყდარიც და მრევლიც თავის ნებაზედ დააყენა. სწირავდა, როცა მოისურვებდა; ლოცვას მაშინ დააყენებდა, როცა საღამოს ძილით გაძღებოდა. ხშირად ხალხი შეიყრებოდა საყდრის ეზოში, დიაკვანი და მნათე ელოდდნენ ხშირ ბინდამდინ, მღვდელი კი არსადა სჩანდა. აკრძალა დაეძახნათ და შეეწუხებინათ. არც საყდრის კარის გაღება შეიძლებოდა უმისოდ. სინამ მღვდელი არ გამოჩნდებოდა, ზარი არ დაირეკებოდა. – თუ არქიელის მოსვლაზე ყველა ზარებსა რეკავენ, ჩემ მოსვლაზე ჩემი საყდრის ზარი დაირეკოს. მრევლმაც იცოდეს, როდის მოდის მათი მოძღვარი საყდარში და ადრე ნუ იკრიბება ტყუილად!

სოფელში არ მოსწონდათ მღვდლის ესეთი ქცევა და მიმართულება, ყრუდ გაისმოდა იქ უკმაყოფილება, მაგრამ ხმის ამომღები ჯერ არავინ იყო: ძალის მექონნი მეგობრად აყვანდა ტიმოთეს, ხოლო უძღურნი და დაჩაგრულნი ეხლაც ხმაჩაკებენდილნი იყვნენ, როგორც ყოველთვის. ზოგნი კიდევ აქებდნენ მოძღვარს, როგორც მტკიცე ხასიათის ადამიანს და გამჭრიახს. თუ ვინმე გაჰხედავდა წინააღმდეგობას, მღვდელი დახელოვნებული იყო ბრძოლაში: ძალის მექონთან ხერხსა ხმარობდა, ხოლო უძღურთან ძალას. მას აქათ უფრო ადვილი შეიქმნა მღვდლისადმი ასეთი თამამი ქცევა, რაც მთავრობამ ყურადღება მიაქცია მის განათლებას და წარმატება მიანიჭა მას: იმ არეში ცოტა იყო განსწავლელი მღვდელი და როცა იქაური მოძღვართუხუცესი გადავიდა სხვა ადგილას, ეს თანამდებობა ტიმოთეს მისცეს. ძალიან სასარგებლო იყო ეს მისთვის: ამ თანამდებობას ცოტა რამ შემოსავალი მოსდევდა თავისთავად; გარდა ამისა ის სამღვდელოთა უფროსი ხდებოდა იმ მიდამოში და ამას თავის სახეიროდ გამოიყენებდა. გამოცდილი, თავის სასარგებლოდ მიაქცევდა და შემოსავალს გაიმრავლებდა.

ღმერთი ვისაც მისცემს, ორი ხელით მისცემს: არ გასულა რამდენიმე თვე და ტიმოთე დანიშნეს თავმჯდომარედ იქაურ საეკლესიო სკოლების კომიტეტისა. ეს თანამდებობა პირდაპირ შემოსავალს არ იძლეოდა, მაგრამ პატივსა ჰმატებდა. თავმოყვარეობას აკმაყოფილებდა, გავლენას აძლიერებდა და იმისთანა მარჯვე ადამიანის ხელში სასარგებლოდ ამოძრავდებოდა ეს ძალაც.

– ეხლა კი მიხვდა მთავრობა, ვისთანა აქვს საქმე და დამაფასა. მაშინ ყველაფერზე უარი მითხრეს და გამაწილეს. აწ მიხვდნენ, რომ ტყუილად დამჩაგრეს და ჰსურთ გამოსიყიდონ თავიანთ შეცდომა, – ამბობდა მღვდელი და სიამოვნებით უღიმოდა თავის თავს.

– რა იციან, რომ მათი მაშინდელი უარი მე ჩემთა სასარგებლოდ გამოვიყენე. თუ

მაშინ გადავსულიყავ ქალაქში, დაუსრულებელი დამრჩებოდა დაწყებული საქმეები და ვერ შევიძენდი იმას, რაც ეხლა მოვინაგრე. დავიმუხლისთავე მაშინ, მაგრამ სწორედ ის უნებლიეთი დაცემა გამოვიყენე, როგორც რამ ქამანდი და გადავიტანე ჩემი მოშურნენი თუ უარის მყოფელნი, ფიქრობდა მღვდელი.

და სიამოვნებით უალერსებდა თავის თავს, უქებდა წინდახედულობას და გამჭირახობას. საპატიო ადგილს ანიჭებდა ღირსეულს.

– იქვე, სასწავლებელშივე, ვატყობდი ჩემს თავს, რომ უხვად ვიყავი ბუნებისგან დაჯილდოვებული. მოვსწონდი კიდევ მასწავლებლებს, რამდენჯერ ვუქივართ. შუბლის მოყვანილობაც სწორედ ისეთი მაქვს, როგორც უნდა ჰქონდეს ნიჭიერ ადამიანს. აფსუს, რომ არ განვაგრძე სწავლა, თორემ უთუოდ კვალს გავავლებდი მეცნიერებაში და უკვდავ ვყოფდი ჩემს სახელს! მაინც არა უშავს რა, ვერც ეხლა დამივიწყებენ მალე.

– ეჰ, ან კი რაში მეკითხება, ვეხსომები ვისმე თუ არა: როცა მე აღარ ვიქნები, მაშინ ხომ ყველაფერიც მოისპობა ჩემთვის და ჩაქრება. მითომ არა? განა სხვა ჰაზრის, სხვანაირი მსჯელობა ამაო არ არის და ბრბოს საცდუნებლად შეთხზილ-მოგონილი? – ფიქრობდა ხუცესი.

მაგრამ ბევრი დრო კი აღარა რჩებოდა ტიმოთეს ამისთანა ფიქრებისა და უშედეგო გრძნობათათვის: საეკლესიო წესების შესრულება თავის მრევლში, მრევლიდან მრევლში სიარული მოძღვართა და საყდართა სათვალთვრებლად, სკოლებისა და მასწავლებლების საქმეების მოწესრიგება; ახლა ყველგან სადილ-ვახშამი, თამადაობა და სიმღერა; შიგადაშიგ ბანქოს თამაში; აქა-იქ შემთხვევითი არშიყოფა, ისე სახალისოდ თუ ჟამთა შესაფერადებლად. სადღა ეცალა მოძღვარს ფიქრებისა და ოცნებებისათვის?! ეს დრო სწორედ ბედნიერი ხანი იყო მისთვის, დამაკმაყოფილებელი და ეს მით უფრო, რომ განდიდებულ-გალაღებული კაცი ვეღარა ჰხედავდა იმ ჩრდილებს, რომელიც აღმოჩენილიყვნენ მის ცხოვრების კამარაზე და ადგილ-ადგილ კიდევ შენივთებულიყვნენ. ჩაებნელებინათ მოწმენდილი ცა მისის ბედნიერებისა.

მაშინვე შესჩენოდა ტიმოთეს კეთილყოფას დამფქველი ღიმილი, თუმცა უძალო, მაინც უსიამოვნოდ მზრუნელი და ამამღვრეველი გუნებისა.

სადამო იყო კარგად გვიანი. მღვდელთუხუცესი სხვა სოფლიდან მოვიდა. დიაკვანმა მოახსენა, ჯვარსაწერია დღეს, ხათაანთ თეკლეს უნდა დავწეროთო ჯვარი. – კარგია! თხუთმეტ მანეთ ნაკლებ კი არ დავწერ ჯვარს. – რად უნდა დასწეროთ ნაკლებ: შეძლებული ოჯახის შვილია, კერპი კაცი კი არის, იქნება გაგაჯანჯლოს. – იმდენი იჯიუტოს, მინამ მოეწყინება: მანამ ფულს არ დამითვლის, ფეხსაც არ გადავდგამ ეკლესიისკენ. – მერმე რა საჭიროა მეტის თხოვნა? ოჯახის შვილია და ვაითუ იწყინოს. ისე გამოართვით, როგორც დაუდგენიათ, – სთქვა მღვდლის ჯალაბმა მოკრთალებით. – არ გესმის საქმე! გლეხკაცობა რომელი კანონმდებელია, რომ თითონ ჰნიხრავს გადასახადს?! სწორედ მაგ თავი-ოჯახების ბრალია სამღვდელოების ესეთი შევიწროება. ღარიბს მხოლოდ ხუთი მანეთი უნდა გადახდესო ჯვარსაწერი. რომელი ჩასთვლის თავის თავს მდიდრებში? გამოდის, რომ საზოგადოდ ხუთი მანეთი უნდა ვიღოთ ჯვარსაწერი. ხომ შიმშილით დაგვეხოცა ცოლ-შვილი.

– მართალსა ჰბრძანებ, შენმა მადლმა! გოგოლაანთა ბიჭმა რომ ხუთი მანეთი გადმოგვივდო იმ დღეს, ძალიან ღარიბია? სულაც არა! გლეხი საზოგადოდ შეძლებულია: თავისი მიწა აქვს, სახლ-კარი, მუშაობა იცის და ცოტათი კმაყოფილდება. ჩვენა ვართ საბრალონი, უნიადაგონი და მაგათ ხელში შემყურენი, – დასძინა დიაკვანმა.

– მეც ეგრე ვფიქრობ! იმ დღეს რომ ხუთი მანეთი დაგვაკლდა, მაგის კისრიდან ამოვიღებ ეხლა იმ ფულს.

დალამდა. მოვიდა თითონ ბერა და მოახსენა მღვდელს, მეფე-დედოფალი მოდის და წამობრძანდით.

– კეთილი! აბა ჯვარსაწერი, კარის გასაღები, ფიანდაზისა, გვირგვინების ფულიც ხომ მზად არის? მნათეც არ დაივიწყო: დიდი ოჯახის შვილი რომ ხარ, სარისტაც ოჯახიშვილური უნდა მიაღებო.

– ვიცი, მამაო! ჩემი მოვალეობის შესრულებას წინ რა უდგა? მაგრამ მღვდლის ჯალაბიც კი უთუოდ უნდა გვეწვიოს ქორწილში, – მიუგო ბურამ და ორი ოქრო ამოიღო ქისიდან.

მღვდელმა დახედა სუთმანეთიანებს და ხელი უკან წაიღო.

– როგორ გეკადრება! რახან კარგი მეგობრობა გვაქვს. მე და შენ. თხუთმეტ მანეთს დაგჯერდები, თუმცა ორი თუმნის მოცემა მაინც შეჰფერის შენს ბედნიერს ოჯახს, მერმე რა რძალი მოგყავს!

ბერას არ უამა მღვდლის თქმა: უნდოდა ყველაფერი რიგზე და სამხიარულოდ ყოფილიყო, ყველა კმაყოფილი დამრჩალიყო; ამისთვის პირდაპირ ამოიღო ის ფული, რომელც ეკუთვნოდა მღვდელს მისგან.

– რადა ბრძანებ მაგისთანა სიტყვას? ხომ იცი, რომ დადგენილების ძალით თუმანი უნდა მოგართვა. ესეც არ იყოს, ვის გაუგონია თუმანზე მეტი ჯვარსაწერი უბრალო გლეხისაგან?!

– თქვენ რომელი კანონმდებელნი იყავით, რომ დაადგინეთ და მორჩით? ეგ თქვენი საქციელი უკანონობაა, მთავრობის უფლების შელახვა და მე, როგორც მთავრობის კაცი, ვალდებული ვარ არც დაგეთანხმო, კიდევ მოვახსენო ყველაფერი უფროსებს; უნდა დავასახელო ის კაცები, რომლებიც აღელვებენ სოფელს – მიუგო მღვდელმა და ხმა აუმაღლა.

მაღალ ხმას მაღალი ხმა მოჰყვა, ყვირილს გნიასი, წყევლას ლანძვდა. ამასობაში მოვიდა მეფე-დედოფალიც. საყდრის კარი დაკეტილი დაჰხვდათ. შეიქმნა ჩოჩქოლი. საქმე რომ გამწვავდა, მღვდლის ჯალაბმა ველარ მოითმინა და შეევედრა ქმარს დასთანხმებოდა, მოისპო უსიმოვნება, მაგრამ გახელებულმა კაცმა არ უსმინა მეუღლეს, საჯაროდ კადრა მკვახე სიტყვა და უბრძანა შინ შესულიყო. გამწვავდა საქმე. სისხლი აემღვრა ხალხს. თვით მღვდლის მეგობრებიც აღელდნენ ფრიად. წამოდგა წინ მალხაზ ბურჯელი და სთხოვა მღვდელს დასთანხმებოდა, შეესრულებინა თავისი თანამდებობა. მღვდელი მრისხანედ მიუბრუნდა მას და ავად შესძახა:

– ნუ ერევი გლეხების საქმეში! მე ვთხოვლობ სამსახურისათვის ღირსებულ სასყიდელს და სხვები კი ისეთნიც არიან სოფელში, რომლებიც არც არაფერს უკეთებენ ხალხს და ტყავსაც აძრობენ უსამართლოდ.

– მაშ ეგრე, მღვდელო! ეს უღვაში არა მქონდეს ზედ, თუ არ გადაგაყლაპო ამონადები სიტყვა! – სთქვა მალხაზმა და მოშორდა მღვდლის კარებსაც, მთლად ეკლესიის ეზოსაც.

– ხედავთ, ხალხნო? ეს კაცი სოფელს მიღელვებს და თანაც მემუქრება! მოწმეები

იყავით! სხვა აღარა დამრჩენია რა, უნდა მოვახსენო ყოველივე ეს მთავრობას.

ეხლა კი შეფიქრიანდა ხალხი. მრევლი შეჩვეული იყო მღვდლის ჯიუტობას, მის ჩინჩს და ჯანჯლობას; ისიც იცოდა ხალხმა, რომ სწორედ მაშინ გაიმაგრებდა ხუცესი ფეხს, როცა გლეხს გასაჭირი მოასწრობდა, და ბევრჯერ უკანასკნელ ლუკმას გამოსწვდიდა პირიდან, მაგრამ ეს ვაჭრობა და ღრიანცელი ბოლოს თავისთავად დაეშვებოდა: მღვდელი დაადგებოდა თავის საქმეს, ხოლო გულკეთილი ხალხი წამსვე დაივიწყებდა წყენას და მიუტევებდა უდიერობას, მეტადრე თუ დღევანდელივით სამხიარულო გზაზე იყო დამდგარი. ეხლა კი მიჰხვდა ხალხი, რომ სახუმარო ბრძოლა არ დაიწყო სოფლის ორ ძლიერთა შორის და მოისურვა მოესპო აყალმაყალი, დროც იყო: შემფოთებული პატარძალი შიშით კანკალებდა და ტიროდა, მორთულ მეფეს ბოდმა ყელში ებჯინებოდა და გარკინავებული იდგა: დედაკაცები ვიშვიშებდნენ; შეზარხოშებულ მაყრებში არეულობა ჩავარდნილიყო და შეიძლებოდა ქარიშხლად გარდაქმნილიყო. იგრძნეს ეს სოფლის ქეთხუდებმა და მიჰმართეს ისევ ბერას, რომ დაეკმაყოფილებინა მღვდლის სურვილი. მაშინ ხმა აიმაღლა ბერამ.

– ხალხო და ჯამაათო! მე იმისთვის კი არ გავჯიუტდი, რომ რაღაც ხუთი მანეთი მენანებოდა ამ ჩემთვის ბედნიერ დღეს, მაგრამ არ მინდოდა დამერღვია სოფლის დადგენილება; ეხლა, რახან სოფელი მეუბნება მიეციო, აჰა მიირთვას!

ჩააბარეს მღვდელს ფული. გაიმართა ჯვრისწერა. სიმღერთა და ყიჟინით წაიყვანეს მეფე-დედოფალი. მღვდელ-დიაკვანიც მიიპატიჟეს: უმათოთ არ შეიძლებოდა, ხალხშიც უნდა დაელოცნა მღვდელს შეუღლებულნი. სუფრა ეკურთხებინა. გაჩაღდა ქორწილი, გამხიარულდა ბუხარი და აღარც ვინ იყო სახლში გულჩათხრობილი გარდა ხუცესისა. პურობა იყო დიდად უხვი და ისიც უთუოდ გამხიარულდებოდა, ქუდს ჭერსა ჰკრავდა, რომ წარეხოცა ცუდი შთაბეჭდილება, რომელიც მოახდინა მისმა ვაჭრობამ, მაგრამ ვეღარ მოახერხა: მალხაზი არ მივიდა მეჯლისში და ეს შავ აჩრდილად ჩაეფინა მღვდლის გულს, ავის მომასწავებელ ლანდად დაესახა თვალწინ. მღვდელი რომ წასულიყო, მემრე სწვევოდა მალხაზი ბერას ძალიანაც მოემხიარულებინა, კარგი პირისანახავი მიერთმია პატარძალისთვის, შაბაში უხვად გაეცა. ეს მეორე დღეს უამბეს ტიმოთეს.

20

მღვდელი შეზარხოშებული დაბრუნდა ქორწილიდან. მას დაჰვიწყებოდა გარდახდილი ბრძოლა, შეჰკრიგებოდა მექორწინებებს და მოემხიარულებინა, ჩვეული იყო ის ამისთანა ამბებს. ის ახარებდა ხუცესს, რომ თავისი სიტყვა გაიყვანა, ნება თუ სურვილი აისრულა და არავის დაუთმო. ეჰა! სად წავიდოდა, რომ ყველასთვის დაეთმო?! სოფლის ხალხი ჯიუტია მისაცემში, მუდამ ხვეწნა იცის, ჯიჯინი და თუ ყველას დაჰყვა ან აპატია, შინ ვეღარას შეიტანს. ეს ბრძოლა სრულებითაც აღარ დასტოვებდა მის გულში აღარავითარ კვალს, მის ხსოვნიდანაც მთლად ამოიფხვრებოდა ის, თუ მალხაზასთან არ მოსვლოდა ლაპარაკი. ეს კი ვეღარ ავიწყებოდა ტიმოთეს, რადგან ახალ და შესამჩნევ დაბრკოლებად აღემართა ეს მის სავალ ბილიკზე: მღვდელს აქამდინ მარტო გლეხებთანა ჰქონდა ბრძოლა, ხოლო თუ ამისთანა ურთიერთობის დროს ვინმე ძალის მექონი ჩაერევოდა ხოლმე და მის მემშველად; ეხლა კი სხვანაირად შებრუნდა საქმე.

– არა, რას ერეოდა ისეთს ამბავში, რომელიც სრულებით არ შეეხებოდა მას?! მე

ვებრძოდი ჩემს მრევლს, ვეკამათებოდი საეკლესიო საქმის გამო და მევე ვიცოდი, როგორ ან რით გავათავებდი საკითხს და მოვრიგდებოდი. ან იქნება არ იცოდა, რომ საჯაროდ არასდროს არ დავუთმობდი?! უნდა შემოსულიყო ჩემთან, ეკითხა, ეთხოვნა და მაშინ მე თითონ უფრველები თავდასავლელ კვალს; თუმანს მომცემდნენ ხელში, დანარჩენს შემპირდებოდნენ თუნდ მხოლოდ სიტყვით, გათავდებოდა ჩხუბი. ალბათ იმას უნდოდა სახალხოდ ეჩვენებინა თავისი ძალა და გავლენა. მოჰხვდა! მოვიდა სეტყვა და დაჰხვდა ქვა, – ფიქრობდა ტიმოთე.

მაგრამ, ეტყობოდა, არც ისე სიპი ყოფილიყო ის ქვა, სეტყვას რომ დაჰხვედროდა: თუმცა გატეხილიყო სეტყვის გულა, მაგრამ შეეცრცნა მჭადაც და კვალი დაემჩნია მისთვის. მაშ რა იყო ეს, რომ მღვდლის გულის კუნჭულში მაინც შავად ჩამრჩალიყო ეს ჯავრის რამ ნაგლეჯი და ვერ ჩაერეცხა იგი ვერც თუ ღვარს წითელ ღვინისას?! ისიც აჯავრებდა ხუცესს, რომ მისი ცოლი მარინე არ იყო ქორწილში. სოფელში დიდებული მეჯლიში ჰქონდათ, მღვდლის ჯალაბი კი თავს არ იჯდა, თვით მღვდელთუხუცესის მეუღლე! ეს ხომ თვითონ მოძღვრის უპატივცემულობა იყო და დამცირება.

– ძალიან დავლიეთ, ქალო; დიდი ქორწილი გადიხადეს და ღრეობა. შენ რატომ არ წამოხველ?

– გუნებაზე არ ვიყავი, ვერც ბალღებს დავანებე თავი; ან რად მინდოდა წამოსვლა, განა ისე კი არ ვიცი სოფლის ქორწილი.

– იცი თუ არა, ეგ სხვა კითხვაა. ბავშვებთან ნენეს დააყენებდი; ჯერ პირველია თუ ბალღების ცოტახნობით მიტოვება?! იქნება არც კი დაგპატიჟეს?

– ბევრიც მეხვეწნენ! აკი გეუბნები, უგუნებოდ ვიყავი, თავს შემომფრინდა და იმიტომ ვერ წამოვედი – მეთქი.

– ჰოდა, უნდა წამოსულიყავ! სოფელში რომ პირველი მანდილოსანი ხარ, ყველგან პირველი ადგილიც უნდა გეჭიროს. მაგრამ რომ ვერაფერი ჩაგაგონე! სულ იმას გეუბნები, ჩემს საქმეში ნუ ერევი – მეთქი. მე მრევლში ჩხუბი მაქვს თუ სიამოვნება, შენ ეს არ შეგეხება; მითომ არც კი გაგიგონია. რა საჭირო იყო, გამოესარჩლე ბერას? იქნება შენი გულკეთილობა უნდა გაჩვენებინა ი ტეტებისთვის. არ მომწონს შენი ქცევა. ჩრჩილივით შემჩენია შენი უარშობა და გუნებას მიმღვრევს.

ქალი დაღონდა. ხედავდა, რომ სცდებოდა კაცი, რომ მრუდე გზაზე შემდგარიყო ის, მაგრამ ვერ გაეხედნა პირდაპირ და გულახდით ეთქვა ყოველივე. ეხლაც დაჩუმდა, არ უნდოდა ნასვამ კაცს შეჰლაპარაკებოდა. მღვდელი ჩამოჯდა ტახტზე და ტანთ გახდა დაიწყო. თან ისევ ბურტყუნებდა, უკმეხად იხსენიებდა ცოლს, ჰგომობდა მის საქციელს და ჰაზრებს. ქალმა ვედარ მოითმინა უსამართლობა და მიახალა ქმარს პირში:

– ეგრე შემოტანილი სარჩო ნაარმევად მიმაჩნია. ჩემის ფიქრით, არ შეჰშვენის ღვთის მსახურს ეგრეთი გულქვაობა. მეშინიან, ვაითუ ეკლესიამ არ მოიხდინოს თვისი მსახურის ეგრეთი გულავობა და დაგვმიზეზოს, დაგვსაჯოს.

– აი რეგვწული სიტყვა! ხატი დაგვმიზეზებს, წყევლა გვიწევს, ღმერთი დაგვსაჯის... სწორედ შენთვისა სცალიან ღმერთს და, თუ არ დაგიშლია, იმასა სთვლის, მეტი ავიღე ჯვარსაწერი თუ ნაკლები. შეიგნე, რომ მე სამსახურს ვასრულებ და ჩემს სამსახურს ვაფასებ; სხვები რომ შესაფერად არ აფასებენ ჩემს გასჯას, არც მთავრობა და არც ხალხი, მე თითონ ვაფასებ და კიდევ ვპოულობ საშუალებას ავილო სასყიდელი. მაგრამ რა გელაპარაკო! შეუგნებელ ადამიანს გადაგეკიდე და ეხლა გვიანდა არის თითზე კბენა თუ სინანული.

ემწვა მარინეს ეს სიტყვა და ცრემლები გადმოჰყარა, უსიტყვოდ დაიწყო მდულვრა, ადგილობრივ ჩაფუფქა უსამართლობამ. ეს პირველი არ იყო ქმრისაგან ამისთანა საყვედური. კაცმა იცოდა, რომ სწორედ ამისთანა თქმით ატკენდა ცოლს გულს და როცა დასჯა უნდოდა მისი, ამ თქმას გადააწნავდა დედაკაცს, როგორც რამ შოლტს მოქნილს. ქალმა რომ ტირილი მორთო, ხუცესი გადაბრუნდა და ხვრინვა ამოუშვა. იმისი დარდი არა ჰქონდა გალადებულს, რომ ყველა ამისთანა საყვედური და სისასტიკე ჩასწყვეტდა ხოლმე იმ ნაზ და უჩინარ სიმებს, რომლებითაც ქალს გადაეხა თვისი მოსიყვარულე გული ქმრის გულთან, რომ იგი ჩაწყვეტილი სიმები სპობდნენ მათ ერთობას და აწამებდნენ დედაკაცს, რომლისთვისაც ქმარ- შვილის სიყვარულის გარეშე არ არსებობდა რა მთელ დუნიაზე.

მარინეს ამგვარი მდგომარეობა პირველ დროდგანვე დაიწყო, რადგან მას სულ სხვანაირადა ჰქონდა ცხოვრება შეგნებულ-შეთვისებული, მინამ მის ქმარს. ბაღბობიდანვე კეთილი იყო მარინე და მოსიყვარულე; სხვის გაჭირვება თუ წუხილი გულს უსერამდა და სტანჯავდა. ბუნების გულუბრყვილო შვილი მხოლოდ იმ სინათლეს მისდევდა, რომელიც ყველას უნათებს და ათბობს. ამისთვის იყო, რომ სიკეთის ციაგი გადაჰფენოდა პირზე და კრთებოდა მის ღმობიერ თვალებში, ღიმილად იშლებოდა მის სანდომ ბაგეზე. აღზრდაც ხელს უწყობდა მას: ბაღბობიდანვე შეჩვეული იყო მცირედზე კმაყოფილებას და სიღარიბე ვერ აშინებდა, ოღონდ კი ღიმილი ყოფილიყო მის გარემო სათნოიანი; ჯაფასაც შეჰქვსოდა; ოღონდ კი გული მთელი ჰქონოდა და ყოველსავე შრომას იტვირთებდა უყვედრებელად: სამხიარულო შრომამ დაღლა არ იცის, არც დრტვინვა.

ზოგი მხოლოდ მრავალზე არის კმაყოფილი; ამ დროს იგი კეთილიც არის, ალერსიც იცის, სახეც უღიმის, მაგრამ თუ მცირედ მაინც შეერყა კეთილდღეობა და შეეშალა ნირი, მაშინვე მისი სიტკბოება სიმწარედ გარდაიქმნება, მისი ღიმილი სასტიკ რამ ღრეჯად, მისი ალერსი ტუქსვად ფიცხელად, გულწრფელად დაივიწყებს წარსულ სიკეთეს, სიამეს გარდასრულს, შეჰკრეფს ყოველსავე მარცხს თუ ნაკლს ყოფისას, რომ შეჰკრას მათგან კონა ეკლისა და გულს უგმიროს მახლობელს. ეჰ, მაინც ესეთი უკმაყოფილო სჯობია იმ პირქუშად დაბადებულ ადამიანს, რომლის გულს მხოლოდ შავი მიწა გააძლობს.

ამ სახისა არ იყო მარინე. მისი კმაყოფილება არ იყო ნაწური ნივთიერის სიუხვისა, არც დოვლათის სიმრავლეზე აღმოცენებული; იგი იყო შედეგი თვით ქალის კეთილის ბუნებისა. ღვთის შვილი იყო მარინე სახიერისა და ისწრაფოდა განებორციელებინა ქვეყანაზე სიხარული. თვის არსებაში თუ მოყვასთა პიროვნებაში ჰხედავდა ყოვლად ნეტარ შემოქმედის ბუნებას და უხაროდა; მზის სხივებში გრძნობდა ყოვლად ბრწყინვალე ღვთაების შუქთა კრთომას და შესტრფოდა; გრილ ნიავეში განიცდიდა ცეცხლთა მაგრილებელ სუნთქვას ყოვლად კეთილის ღვთაებისას და ნეტარებდა: ყვავილთა შვენება უჩვენებდა მას შემოუწერელ სიმშვენიერეს დამბადებელისა და შეჰფრფინვიდა მათ; სულდგმულთ სიცოცხლე და მოძრაობა უსახავდა მას სამარადისო და დაუცხრომელ მოქმედებას შემოქმედისას და ადიდებდა მას; ყოველი არსი რომ აქებდა მიუწთომელს, ყოველი სულდგმული რომ უგალობდა მას ხმატკბილად, მარინაც ჰმადლობდა მამასა მას ზეციურს, რომ მოჰმადლა მას სიცოცხლე და ღირს ჰყო ეხილნა დიდებული სიმშვენიერე არსისა.

მარინე ყველა ამას სწვდებოდა გრძნობათა სიმდიდრით, შეუგნებელ-გამოურკვეველი ალღოთი და მით უფრო ძლიერი იყო მისი მისწრაფება სიყვარულისადმი არსისა. მარინეს უყვარდა არსი არა რაიმე განზრახვით, არც მისთვის, რომ ეს იყო მცნება უფლისა განცხადებული და დაწერილი. ნაქადაგები და

დასწავლილი, არამედ მისთვის, რომ თითონაც განუყოფელი ნაწილი იყო სამყაროსი, რომელი არს მისწრაფება უძლეველის სიყვარულისა და განხორციელება მისი შეუსაზღვრელი.

ესეთი მოსიყვარულე გული შეიტანა მარინემ ქმრის სახლში, სიხარულით სავსე და კმაყოფილი გული. ამისთვის იყო, რომ მტლად ედებდა იგი ქმარ-შვილს, ოჯახს, ნათესაობას, ყველა მის გარემო მყოფს. ქალსა ჰსურდა ყველას მიჰფენოდა მცირეოდენი სხივი მაინც იმ დაუშრეტელის სიხარულისა, რომელი საცნაურქმნილიყო მის არსებაში.

ეკ, ყველა რომ ესეთი გრძნობით შესულიყო ცხოვრებაში, იგი მაშინ ესეთს წყვილადს ხომ აღარ წარმოადგენდა და არც კაცთა ნათესავის კრებული იქნებოდა ერთმანეთის ჩანმთქმნელ არსებათა ხროვა, მხოლოდ გარეგანის ძალით აღვირასხმული და ჭემმარიტად ლაგამასასხმელი.

ქალი ისწრაფიდა მოსიყვარულე ოჯახი შეექმნა თავისის ხელით, სათნოიანი, მორწმუნე, დამბადებელზე სასოდამყარებული და მის ქმნილებათა სიმშვენიერის მოტრფიალე ოჯახი; მცირესა ზედან კმაყოფილი მოდიმარე სახლი. ის დარწმუნებული იყო, რომ ესეთივე უმანკო და სანდომიანი გრძნობები დაჰხვდებოდა ბედისაგან მისთვის მინიჭებულის მეუღლის გულში, მხოლოდ უფრო განვითარებული გონების შუქით განათებულ-გაბრწყინებული. ქალს თვისი შეხედულობა ცხოვრებაზე ბუნებრივად მიაჩნდა და ეჭვიც არ დაჰბადებია იმაზე, რომ სხვა ადამიანი, განათლებული კაცი, სხვანაირად შეჰხედავდა წუთისოფელის სიცოცხლეს და სხვაგვარად დააფასებდა მის ღირებულებას.

21

ამისთვის იყო, რომ დიასახლისობის პირველ ხანში იმ ნიადაგზედვე იდგა ქალი ქმრის ოჯახშიც, როგორც თავის მამის სახლში. მაღლობით იღებდა ყოველსავე, რაც მოეპოვებოდა და სცდილობდა კმაყოფილება და სიამე გაემრავლებინა თვის გარემო. მაგრამ მალე იგრძნო, რომ ეს გულუბრყვილო სათნოება ვერა ხეირობდა მის ახალ ბინაზე და მსწრაფლ ჰკნებოდა. შენიშნა, რომ ნათესავები თუ მეზობლები ვერ იყვნენ გულდიანი მის ჭერქვეშ, ვერც მხიარულნი; ფრთხილობდნენ. რაღაცას ერიდებოდნენ; თავიანთ დარდი თუ ვარამი ვერ ეთქვათ; ლუკმის აღება ერიდებოდათ: ყოველ ჟამს ჰგრძნობდნენ ვაჟკაცის მზირს და მეტისმეტად ანგარიშიან თვალს, რომელში გამქრალიყო თვით ნასახი გულუბრყვილო სიუხვისა.

მაინც ჯერ თვის გუნებისამებრ იქცევოდა ქალი: ხელგაშლილი ეგებებოდა ყველას, თბილს და ტკბილ სიტყვას არავისთვის იშურებდა, მეზობლებთან და ნაცნობებთან უბრალოდ შედიოდა და მათ ჭირსა თუ ლხინს იზიარებდა; თვალყურს ადევნებდა ყველაფერს, რაც კი ახარებდა სოფელს ან რაც გულსა ჰგმინავდა მას და სტკენდა. გაჭირვებულთა ხელის აღმპყრობელი იყო მაშინ შეძლებისდაგვარად. ნუ კი გგონიათ, სახლს არა ზოგავდა და ანიავებდა. არა! ამას არც ვინმე თხოულობდა მისგან სოფელში. მაგრამ უკიდურესობაში ჩავარდნილს უთუოდ წაახმარებდა ხელს. ან რატომ, რა დააკლდებოდა ამით სახლს? ვთქვათ, ხურჯინით მოტანილი ნამცხვარიდან ნამტვრევებს ან ლავაშებში გახვეულ შილაფლავიდან ნარჩენს ღარიბ მეზობელს მიაწვდიდა; ბზობას თუ ხარებობას შემოსულს ზურგიელის ნაჭრებიდან ერთ-ორ ნაკუწს დანატრულეულ საწყლებს შეუგზავნიდა: აღდგომას შეგროვილ წითელ კვერცხებიდან რამდენსამე ჩამტვრეულ-ჩაღწეულს უმწეოს მიუბყრობდა პირის გასახსნილებლად; თბილს კერძს გაუგზავნიდა ავადმყოფს; წასახურად ნახმარ

ქსოვილს, ხატის კარს გახდილს თეთრ ხალათს თუ კოდოპურტში შემოსულ კაბის ძველას შეუგზავნიდა ვისმეს, რომელსაც აგერ შეღერებული გოგო ტიტველი ეგდო კერასთან და სიშიშვლის გამო წყაროზედაც კი ველარ გაეგზავნათ. განა ამისთანა გულმტკივნეულობა თუ გაღება კეთილდღეობას შეასუსტებდა ან ოდნავ მაინც შეარყევდა? სრულებითაც არა! კიდევ გაამაგრებდა ოჯახის საფუძველს, რადგან ხალხი დიდად დააფასებდა ამისთანა უჩინარ წვლილს, შეიყვარებდა გამღებს და ეს დიდი თანხა შეიქმნებოდა მისთვის, განა მხოლოდ ზნეობრივი თანხა, თვითნივითიერიც. სოფლად, მიყრუებულ-მივარდნილ ადგილს, ხალხის სიყვარული და თანაგრძნობა სწორედ განძია ხელშესახები; კაცი რომ კაცის წამალია, გამოყრუებულ სოფლად უფრო ეძინევა ეს ცხადად, თორემ ქალაქ ადგილას ამ თქმას სადღა აქვს მკვიდრი და თვალსაჩინო ნიადაგი.

ხომ განათლებული კაცი იყო მღვდელი ტიმოთე, მაგრამ ვერ ესმოდა ეს უბრალო ჭეშმარიტება, ბუნება არა ჰქონდა მოსიყვარულე და იმიტომ ვერ შეეგნო. მიმართულებაც ისეთი მიეღო, ცხოვრების მიზანიც იმგვარი დაესახნა, რომ უფრო ამოახმო და გაასასტიკა ბუნებრივი მისი გულმშრალობა: ვერცხლის ფხვნილი არ იყო ნოყიერი სასუქი ისეთს გამოფიტულ ნიადაგისათვის და რაც უფრო მეტად ეტანებოდა და პოულობდა ამ ბჭყვრიალა ნამცეცებს, იმდენად უფრო სასტიკდებოდა მისი გული, რომელშიაც უიმისოდაც არა სდიოდა არც წყარო სარწმუნოებისა, არც ნაკადი ღმობიერებისა. ამ ნიადაგზე ქმარმა ნელ-ნელა შეზღუდა ქალის ეს მცირეოდენი გულკეთილობაც და დააღონა იგი; მომხვეჭ დიასახლისად კი მაინც ვერ აქცია უღმობელად, როგორც ოცნებობდა ხუცესი, მაგრამ წარსტაცა ხალისი მოქმედებისა, ხრამი რამ გაავლო ქალსა და სოფელ შუა, ცივი მზღვარი დასდო მათ შორის და მით უფრო სწრაფად იზრდებოდა ეს ზღუდე, რომ მღვდელი თხოულობდა მისგან, ტოლ-სწორად არ დაესახნა სოფლის ვიღაცა დედაკაცები და თავი არ გაეყადრებინა მათთვის.

– გახსოვდეს, რომ მღვდლის ჯალაბი ხარ, მომღვართუხუცესისა, სოფლის ვიღაცა ოტროველები შენი სადარნი არ არიან, არც შენი დარნი; ქალბატონი ხარ მათი და ყველა შესაფერი პატივით უნდა გეყრობოდეს.

– ძნელი იქნება ჩემთვის მთლად ჩამოვშორდე მეზობლებს: ვერც მოვახერხებ მათთან ნამდვილ ქალბატონობას და არც საჭიროა. რომ იცოდე რა პატიოსნები არიან ზოგიერთნი; ჭკვიანები და გულკეთილნი, შენც კი პატივცემით შეჰხედავდი მათ.

– ეგრე იმისთვის გეჩვენება, რომ ბალღობიდანვე მაგათში ხარ გაზრდილი, სუფთა ხალხი არ გინახავს, არავითარი განათლება არ მიგიღია და გგონია, მაგათზე უკეთესი აღარავინ არისო.

უხერხულადა გრძნობდა ქალი თავს, უაზროდ შეზღუდვილ-შეზოჭილად და მის მხიარულ გულს სევდის ნისლი ეპარებოდა.

– თუ დიასახლისი ვარ, ამისთანა წვრილმანი საოჯახო საქმე მე უნდა მეკითხებოდეს; ვაჟკაცი არ უნდა ერეოდეს შიგ. რა იცის იმან ოჯახის მრავალგვარ საქმიანობისა ან რა მისი საქმეა ყოველივე ეს? უბრალოდ მიშლის ხელს. ხომ დარწმუნებულა, რომ ჩემს კერას არ ვუღალატებ; ისიც ხომ იცის, ამ საქმისათვის ჭკუაც შემწევს და უნარიც; რაღა საჭიროა აქაც მისი სასტიკი ბრძანება თუ განკარგულება. მიშლის სოფელთან ერთობას და მეგობრობას, სულ შემომიფრთხო მეზობლები; როცა შინ არის, არასოდეს არ მოჰხედავენ ჩემთან. რასა ჰგავს ეს? ნუთუ ეს არის განათლებული შეხედულება ცხოვრებაზე?! – ამბობდა ქალი გულში და სწყინდა ქმრის ქცევა.

მღვდელი კი თანდათან ძალას იჩენდა, მისი მისწრაფება ფართედა ჰშლიდა ფრთებს და ლაღად დანავარდობდა სოფლიდან სოფელს. გამოცდილს ძალთა მექონეთათვის მიეზყრო ზურგი და თვის ანგარ მოქმედებას საფარველთა ქვეშე კანონთასა ჰფარვიდა, რათა ვერღა წინააღდგომოდა მას მტერი იგი და შურისმგებელი. ძნელიც არ იყო ეს მისთვის: აჯამსა და მეამიტ ხალხში სცხოვრობდა და სათავისოდ მარჯვედ ჰღვედავდა გარემოებებს, თავისკენა ჰხრიდა და აყრუებდა. მარად ანგარიშის მიდევნამ, ყოველივე დანგის თავისკენ მიზიდვამ სათნოება მთლად ამოფხვრა მის გარემო, ხოლო გაამეფა რიდი და კრძალვა. მრევლი ხომ ჯერ უგულოდ და უნდობლად ეპყრობოდა თავის მოძღვარს, ეხლა კიდეც შეაშფოთა სოფელი მისმა მოქმედებამ და იგი დაფარული მტრობით გაჰყურებდა მღვდლის სახლის განათებულ ფანჯრებს. მარინეს გულიც კი ნელ-ნელა იხშობოდა ტიმოთეს წინაშე და საამო მინდობის მაგივრად ივსებოდა მოკრძალებისა და ცივ პატივცემის გრძნობებით. ეწამებოდა მოსიყვარულე მარინე, როცა ჰხედავდა, რომ ოჯახიდან ნელ-ნელა გადიოდა ანგელოზი ტკბილის ღიმილისა და მის ნაცვლად ფებს იკიდებდა იქ დაუნდობელი და აბეზარი ეშმა წვრიმანი ანგარიშისა, რომელთანაც დიასახლისს არაფერი ჰქონდა საერთო. ქალი არ იყო მებრძოლი ბუნებისა და ამ გარემოებამ გულში ნაღველი ჩაუგდო, ჩუმი რამ დარდი ჩაუსახა კეთილ თვალებში, სევდის ნასახი აღებეჭდა ოდესმე მოღიმარე ბაგეზე. ქალი ისევ მონა-მორჩილი იყო ქმრისა და შეუდრკომელი მოჭირნახულე ოჯახისა. გარნა ყველა ის წარმომდინარეობდა არა სავსებისაგან მისის გულისა, არამედ იქიდან, რომ ესეთი ქცევა აუცილებელი იყო ერთხელ და სამუდამოდ ნატვრით წმინდა მოვალეობის ასასრულებლად. აკი ბოლომდისაც შერჩა ოჯახს ქალის ერთგულობა თუ სათნოიანი მზრუნველობა და წყნარის ნათელით გაუშუქა მოძღვარს იგი ბნელი, რომელიც შენივთდა მის ცხოვრების გზაზე.

დაღონება და აჩრდილი უკმაყოფილებისა ხელს არ უშლიდა დიასახლისს, რომ ერთგულად განეგრძო თავისი შრომა. მუშაობდა იგი უთქმელად და შეუდრკომლად, ოჯახს წაღმა ატრიალებდა; დილიდან საღამომდის წვრიმან საქმეში იყო ჩართული. ქალის ისეთ შეუფერხებელ შრომა-მოქმედებას მთლად შეეთვისა მისი ქმარი, თვალი შეაჩვია ცოლს, როგორც რამ მოქმედ მანქანას, მისთვის სასიკეთოდ მომართულს ერთხელ და სამუდამოდ. დაავიწყდა, რომ იგი მანქანა ცოცხალია, სულდგმული, ფიქრთა თუ გრძნობათა მექონი, საკუთარ მისწრაფებათა მოალერსე და შეიძლება იტანჯებოდეს, სიმძიმისი აწვებოდეს გულსა და ატკენდეს.

ან კი რა საქმე ჰქონდა ხუცესს ცოლის ცოცხალ პიროვნებასთან?! მას მიზნად დაედვა მხოლოდ ნივთიერად ავსება სახლისა და აყვავება. იგი ჰხედავდა, რომ დოვლათის გასამრავლებლად ამ მარად მოძრავ და მზრუნველ ადამიანზე უკეთესს ვერას მოჰხელავდა, და კმაყოფილი იყო მისი; აღარც იმის დარდი ჰქონდა, რომ ქალს ამ თავაუღებელ ზრუნვა-შრომაში თანამგრძნობი გული უნდოდა, მოსიყვარულე და გამხალისებელ-გამამხნეველებელი, რომ საჭირო იყო მადლიერი თვალი მოალერსე არსებისა, რომელიც ყოველს წამს მზად არის გადუწიოს ტვირთ ქვეშ დახრილი კისერი და დაუკოცნოს შრომის ოფლით შენამული სახე. ეს დიდი ჯილდო იქნებოდა ბუნებით ჩვილ ქალისათვის, დაუფასებელი სასყიდელი და უებარი საშუალება გასამხნეველად, მაგრამ მას არა ჰყვანდა გვერდით ამისთანა თანამგრძნობელი და იგი შრომობდა, რადგან ეს იყო მისი ვალი, ერთხელ და სიკვდილამდის ნატვრითი მოვალეობა. ძნელი კი იქნებოდა თუნდ მარინესათვის ესეთი შრომის ბოლომდის

გატანა; გატყდებოდა ქალი, გული დაეზარებოდა, თუ პატარები არა ჰყოლოდა გვერდს, რომლებზე ზრუნვა ბუნების კნონი იყო აუცილებელი და რომელთადმი სიყვარულში ჰპოვებდა იგი კმაყოფილებას, თუმცა კი ცალმხრის, რადგან ქალი ჯერ ისევ ღონიერი იყო, გრძნობათა ნაკადი არ ამოჰშლოდა და მთლად ვერ შეეღებოდა პირად ცხოვრების სიტკბობას. ცოდვაც იყო ეხლაც დახშულიყო გრძნობათა სალარო ქალისა, ჩაკეტილიყო მის ტკბილ გრძნობათა ტაგრები.

განა წელთა სიმრავლე კი მთლად ახმობს გრძნობათა ნაკადს? არა! გული ყოველთვის ეძებს თანამგრძნობელს. მაშ რა ქმნას, როცა უამისოდ მარტო დარჩება იგი უსაზღვრო სამყაროში და ჩანთქავს მას წყვდიადი ცივი, მწარედ ააკვნესებს საბრალოს?!

ამას არა ჰხედავდა ვერცხლთა ბზინვით თვალაბმული ხუცესი, ტრფიალი იგი ვერცხლისა დაჰნაცვლებოდა მისთვის ყოველსავე ნაზ გრძნობას სუნნელსა და ისე მოეჭრა მისთვის თვალი, რომ იმასაც კი ვეღარ ამჩნევდა, რომ უმადურმა შრომამ ნელ-ნელა გატეხა ქალი და დათელა მისი ხალისი. ანგარებით გატაცებული თანდათან მეტ შრომასაც თხოულობდა მეუღლისაგან.

– ვის გაუგონია, დედაკაცი სახლში იყოს და ვერ შესძლოს გაჭირებაში მაინც სარეცხი ამორეცხოს ან ორი-სამი რიგი პური ჩააკრას?! რა ვუყოთ, რომ საბედა ავად გამხდარა; მოიხმარე გოგო და ჩააკარ რამდენიმე პური! – შეუტია ქმარმა და კარი გააჯახუნა.

ეწყინა მარინეს, გაუკვირდა: მამის სახლში, უბრალო მთავარდიაკვნის ოჯახში, არასდროს არ დაუვალეზიათ მისთვის ამგვარი მძიმე საქმე და აქ, ქმრის სახლში, მღვდელთუხუცესის შეძლებულ ოჯახში, რად უნდა ატვირთონ მას ესეთი სიმძიმე, რა გაჭირვების გულისათვის?

– მაგრამ რა ენადვლება თავწასულს?! ოღონდ კი მას არა დააკლდეს რა, არც არაფერი დახარჯოს და თუნდ ჩაკვდეს მის სახლში ადამიანი, – გაიფიქრა ქალმა.

შეკრთა: მართლა და ტიმოთეს სახლში და არა ქალის ოჯახში! ქალი ეხლა ისე იყო დატვირთულ-შეზღუდვილი თავის კერაზე როგორც დაქირავებული ვინმე დედაკაცი. ყველა მოვალეობა უნდა აღესრულებინა, თვის ნებაზე კი ვერაფერს გააკეთებდა ცხადად და გულსავსედ.

– რადა? რად უნდა ვიყო ესე შეზღუდვილ-შევიწროებული და რომელი უფლების ძალით. ჰო, თუ მფლანგავი ვიყო ან უყამური. სწორედ უსამართლობაა ადამიანის მის სახლშივე ესე შებოჭვა, – ფიქრობდა ქალი.

ნეტარებით იგონებდა თავის ქალწულობას, როცა ის თავის მამის ოჯახში დატრიალებდა ყველასაგან საყვარელი და ყველას მოყვარული.

– და როდემდის? ნუთუ ბოლომდის, სიკვდილამდის? უნდა ვიმრომოთ, ვიყაირათოდ, შევიძინოთ სიმართლით თუ უსამართლოდ, ავაგროვოთ ქონება. როდისღა უნდა ვიცხოვროთ ადამიანურად?

– მაშინ, როცა უკვე საკმაო ცხოვრება გვექმნება, როცა მკვიდრი საფუძველი ჩაეყრება ჩვენს კეთილდღეობას. მაშინ უკვე შეგვეძლება გულდინჯად შევხედოთ ცხოვრებას და მის ყოველგვარ ცვლილებას; მაშინ ვეღარ შეგვადრწუნებს არსებობის სიღუბჭირე; მაშინ უკვე შევძლებთ ჩვენის თავის შველასაც, სხვის ხელის აბყრობასაც, – ამბობდა მღვდელი.

– მაგრამ ესეთი დრო რომ არასოდეს არ დაგვიდგება! ვაითუ მთელმა სიცოცხლემ მხოლოდ ცხოვრებისათვის მზადებაში გაიაროს და მოულოდნელად გაიღოს სამარის კარი ჩვენს წინაშე, როგორც იმ მდიდრის წინ, რომელსაც სული ამოსწოდეს სწორედ მაშინ, როდესაც აპირობდა შეკრებილ დოვლათზე განცხრომას.

– და შეგროვდება კი ამ გზით სიმდიდრე რამე შესამჩნევი! თუ ფულის მოხვეჭის

გზა სულ სხვა არის, უფრო ფართე და თავისებური, სადაც კაცი აჰსნის შადრევანს სიმდიდრისა და იწვიმებს ოქროს თავისთვისაც, სხვისთვისაც? ან სადაური ეკლესიის მსახურია, როდესაც ღმერთიც, მრევლიც, თვისი საყდარიც მხოლოდ იმდენად სწამს, რამდენად იგინი არიან წყარონი ქონებისა. არა, ესე არ უნდა იყოს. აკი არც მამა სცხოვრობს ესე, ყველასაგან პატივცემული საწყალი მამა! – ფიქრობდა ქალი და ჰაზრი ვერ ეპოვნა ქმრის მოქმედებაში, ვერ შევსჩვევოდა კეთილ გრძნობათა გარეშე ყოფნას.

ტიმოთე კი მტკიცედ ედგა თავისგან არჩეულ შარას. მას კიდეც გაჰმარჯვებოდა თავის სავალზე და ყელმოღერებული მიისწრაფოდა წინ: ველარ ამჩნევდა ამ გაბედულ სვლაში თავისზე სუსტთ თუ უმცირესთ. ან რაღა საჭირო იყო ყურადღება მათდამი და რაიმე გაფრთხილება?! უმდაბლესნი რომ იყვნენ ისინი, უძლურნიც იყვნენ და, მაშასადამე, დასათრგუნნი. გაახსენდა ხიცესს ნაწყვეტი ფრასები: ცხოვრება ბრძოლაა დაუნდობელი და ვაშა მძლე მებრძოლთ! გაახსენდა მივიწყებულ ისტორიიდან სათანადო სურათები, როდესაც გალაღებული მძლეველი ხმალამოწვდილი ჰკაფავდა ყველაფერს, რაც კი აბრკოლებდა მას დიდებულ წინსვლის დროს, და არ მოუპყრობდა თვის სასმენელს სუსტთა ზრახვას თუ ზახილს. ეგრე მედგრად და მრისხანედ უნდა სვლა მიზნისაკენ! რა ვუყოთ რომ ზოგს მსოფლიო ასპარეზი გაჰფენია ფერხთ ქვეშ, ზოგს მცირედი რამ სარბიელი პაწაწა. ყველა თავის მოქმედების ფარგალში უნდა კეისრობდეს შეუდრკომლად.

ესე იმისთვის წავიდა თავს მხედარი ქრისტესი და რაინდი ეკლესიისა, რომ ძალა და დიდება იგდო ხელთ თვის წოდებაში: ჯერ ხომ მღვდელთუხუცესად დანიშნეს, შემდეგ ჩააბარეს სამრევლო სასწავლებელთა გამგებლობა, მემრე იგივე დააყენეს ამ სასწავლებელთა გამგებელ კომიტეტის თავმჯდომარედ მთელ მაზრაში, ბოლოს შესძღვნეს ოქროს ჯვარი და დეკანოზობა, სხვა რაღა დიდება უნდოდა ვილაც სოფლის ხუცესს?! ტიმოთეს ეხლა, როგორც უკვე შესამჩნევ პირს, ხშირად მიჰმართამდნენ ხოლმე საქმეებში: ჩააბარებდნენ გამოძიებას მღვდელთა შორის უთანხმოების მიზეზებისას, მიანდობდნენ ანგარიშების გასწორებას, თუ სადმე საეჭვო რამ საანგარიშო აღმოჩნდებოდა; მოსთხოვდნენ ჰაზრს ამა თუ იმ სამღვდელთა პიროვნების და მის მოქმედების შესახებ. გალაღებული ხუცესიც პამპლაუქობდა, დიდის ზარით და ზეიმით აღასრულებდა მინდობილობას და, სასწორის უღელის ხელში მჭერი, თვის ნებაზე ათამაშებდა სიმართლის თასებს.

და მოდიოდა სახლში დავლა, რომელი ახარებდა გულსა ხუცესისასა და კვლავ ალაღებდა მას: მეტს გამბედაობასა სძენდა და საჭირო სიფრთხილეს აკარგვინებდა, თავხედობის საზღვრამდის აბიჯებინებდა. გაამაყებულს აღარ ესმოდა, რომ მისი ქცევა სრულებით არ იყო მის თანამდებობასთან შეზომილ-შეხამებული. ისიც კი დაჰვიწყებოდა, რომ მოყვასთა მარცვა-ქელვა სათაკილო მოქმედება იყო, ხოლო მისი საქვეყნოდ თავმომწონედ გამოტანა ცოდვა შეუნდობელი.

– რა მადლი უნდა ჰქონდეს მაგისტანა მსახურს ეკლესიისას, რომელს ერთს ჟამს ტრაპეზის წინ განუპყრნია ხელნი ლოცვად და ვედრებად ყოვლად მოწყალისა მამისა მის ზეცათასა, ხოლო მეორე ჟამს იმავე ხელით ჰხვეჭავს ნაარმევს?! როგორ უნდა ვეამბორო იმ მარჯვენას, რომელი მოაშთობს ქრისტეს მიერ შვილთა თვისთა და ტყავსა ჰხდის თვის სამწყსოს სულიერს?

– ეჰ, შენცა! განათლებული გვამია და იცის, როგორ მოეპყროს ფარასა მას

მეტყველსა. მაშ რის მწყემსია, თუ არ გაკვრეჭს ან არ მოსწველს თვის ცხოვართ, ან არ იგემებს ჟამითი-ჟამად მათ ხორცს საკურნებელად ხორცისა თვისისა?! ან ვის გაუგონია კრავი დრტვინავდეს მწყემსის წინაშე და არ ჰმორჩილებდეს მას უსიტყვოდ?!

– მართალია, მაგრამ ერთობ თავს წავიდა ხუცესი, მთლად წაიყარა ლაგამი. სწორედ დროა გაახსენოს ვინმემ, რომ არც უმაღლოა სოფელი, რომ ეგრე გაბედვიდ დაალაჯებს უჯოხოდ.

– მემრე ვინ არის აქ მაგის მეტოქე და კბილის მომჭრელი?

– გამოჩნდებიან! იცი, თურმე მსაჯულს სრულებით არ მოსწონს რომ მაგის საჩივრები ყოველთვის შედის სამსჯავროში და აღმასრულებელი ფურცლები გამოაქვს გლეხებზე, თითქო მოძღვარი კი არა, ვინმე გაქნილი ვეკილიაო.

– მალხაზიც კი კბილებს ილესავს მღვდელზე, რადგან მაგას არ მინდო ფულის საქმეები და შემოსავალი მოაკლო; მემრე ბერაანთ ქორწილის ამბავიც გულში ხინჯათა აქვს ჩაჭრილი. ხომ იცი, მალხაზი ისეთი კაცი არ არის, ჯავრი შეირჩინოს ვისიმე.

– ხალხიც კი ძალიანა ჰყავს ამ ბოლოს დროს ამტერებული; თუ ხელში ჩაიგდეს, არ დაინდობენ.

– როგორ არ აემტეროს კაცი, რომ შეაწუხა სოფელი: თამასუქები რომ უჭირავს ხელში, იმით იმდენ სარგებელსა ჰკრეფავს, რომ წლის განწესებას უდრის.

– მაშ ორჯერ უკრეფნია დრამა: ერთხელ სარგებლის სახით და მერმე, როგორც განწესებულობა.

– ძალიან ხერხიანად დაიჭირა ხელში სოფელი.

– ბოქაული და მამასახლისი ყოველთვის მისკენ არიან.

– ასარგებლებს და არიან! ჩვენგან რომ მაგდენს არას გამოელიან, აკი ზურგიცა აქვთ შემოქცეული.

– რა ოინი იქნება, რომ მოახერხოს მალხაზმა და შეარყოს ეს კაცი.

– სწორედ სამადლობელო საქმეს იზამს და სახელოვანს.

ამისთანა ლაპარაკი ბევრი იყო სოფელში, ბევრი ნატრობდა ხუცესის დამხობას, მაგრამ სიტყვა ვერ ხორციელდებოდა, ის კი თავის განზრახვებს მარჯვედ აწყობ-ასრულებდა. მარინეს უფრო და უფრო არ მოსწონდა თავისი ქმრის ქცევა, არც კეთილს გამოელოდდა მის მოქმედებისაგან, მაგრამ ეხლა სრულებითაც ვეღარას ახერხებდა გალომებულ კაცთან და იტანჯებოდა. შინ შემოტანილი თუმნიანი მოყვასის სისხლით ეგონა შეწითლებული, ხოლო ახალი ლურჯი ქაღალდი უსახავდა მას ჯავრით ჩალურჯებულს გულს იმ ოჯახისა, საიდანაც გამოეტანა მას იგი ფული.

ხალხს უკვე ჰქონდა შეგნებული და ცხადად დახატული ტიმოთეს უკაცური მიდრეკილება და ცუდი თვალთ უყურებდა მას, დრტვინამდა მის წინააღმდეგ. ბევრს პირადი მტრობაც აღელვებდა და ჯავრის ამოყრასა ჰნატრობდა. მაგრამ სოფელი ჯერ ისევ გულჩათხრობილი სდუღდა. უკმაყოფილების იარას ჯერ მთლად ვერ მოეკრიბნა ძალა, რომ ანთებულიყო და გადაეშალნა მთელი თვისი სიმძლავრე, ძალიან კი იყო სიმები დაჭიმული. ერთი მცირედი რამ შემთხვევავა აკლდა, რომ ეფეთქნა ამ ჯავრთა ნაღმს და ავარდნილიყო შავ კვამლად.

– ქალო, ჩემო ანგელოზო მარინე, მეშინიან გითხრა და არც გეტყოდი, მაგრამ რა

ვექნა, რომ მიყვარხარ და მებრალები.

– რა მოხდა, ქალაქიდან ხომ არაფერი გაგიგია ჩემი ბალებიდან?

– რასა ბრძანებ, მღვდლის ჯალაბო, საიდან რას გავიგებდი იქაურ ამბავს? ბალებს ჯვარი სწერიათ, მაგრამ ჩვენ მოძღვარზე არის ხალხი აღელვებული. ისე ოჯახი არ შეიკრიბება, რომ ავი არა თქვან მაგაზე. მთლად გაგვძარცვაო, არც წესებს ასრულებსო თავის რიგზე, უწმაწური ლექსებიც კი დადის მღვდელზე.

– რა წესებს, ადამიანო?

– როგორ არა! სულ თითებზედ აქვთ ჩამოთვლილი, როდის არა სწირა, რამდენი უზიარებელი მოკლა, რამდენს სახლი არ გაუნათლა, ჩემი ვალი არ გადაგიხდიაო; იმასაც ამბობენ, შვიდის წირვას ვუკვეთავთ, გადაწყვეტილ სასყიდელს ვაძლევთ სათითაოდ, ეგ კი გაბმით არ უსრულებს შვიდეულს და თანაც რამდენიმე მიცვალებულისთვის ერთადა სწირავს. ნაჩხატაანთ ბარბარეს საწყალი კაკალა სჩვენებია სიზმრად; თურმე თვალცრემლიანი ევედრებოდა დედას, აწირვინე და დამიხსენ სატანჯველისაგანაო. ჯვარისწერაზე ხომ ნუღარას იტყვი: თუმან ნაკლებ არც ვისმე ჯვარსა სწერს, არც ვის ბარათს აძლევს. ბოქაულთან ისე არ ეზარებათ ჩვენ კაცებს მისვლა, როგორც მღვდელთან.

– რა ვქნა, მართაჯან, და რა წყალში ჩავვარდე. შენ ხომ იცი, რომ სულ იმას ვეუბნები მაგ დალოცვილს, ტკბილად მოექეცი მრევლს, საწყალნი არიან და შეღავათი მიეც-მეთქი, მაგრამ რომ ვერა შევასმინე რა. რად მინდა, ნათლიდედაჯან სარჩო-საბადებელი, თუ ხალხის ცრემლით იქნება დამბალი. ხმელი ლუკმა მირჩევნია, ოღონდ სიხარული იყოს ჩემს გარშემო და პატივცემა.

– რახან გავბედე, ნათლიაჯან, ბარემ ბოლომდის გაგიმჟღავნებ. პანტიანში ნუ დადის მოძღვარი უსაქმოდ, დაუშალე: მივა და ჩამოხდება ი ოსიყმიანთ ქვრივთან. სოფელი ძალიან არის აშფოთებული; ამბობენ, მოვასწრობთ და თავს ლაფს დავასხამთ ბაბალესაც და მღვდელსაცაო.

– განა მაგისთანა უზნეობასაცა სწამებენ?! უი შენ, ჩემო თავო! – დაიძახა მარინემ და ლოყაზე ხელი ჩამოიკრა.

– ნუ, გენაცვა, გულს ნუ შეიწუხებ, ათას რასმე ყბედობს გამწარებული ხალხი, რომ სახელი გაუტეხოს ბატონივით კაცს და ავნოს რამე. აბა რა დასაჯერებელია, ვილაც მწვირიან ბაბალეს გამოებას კალთაზე, როდესაც ეგეთი ძვირფასი მარგალიტი შინ უზიხარ.

ამ ამბავმა ჩათუთქა მარინე, ღრმად ჩააფიქრა და ჩაასევდიანა. ეხლა კი აევსო მას ფიალა მოთმინებისა, გესლით აპირთავდა იგი მის ქმრისაგან სახლში შემოტანილი შხამით და ეს მტრედევით უვნებელი ქალი მკაცრ ხასიათზე თუ მოქმედების კვალზე დააყენა.

დადამდა. ბავშვები სახლში შემოვიდნენ. დიასახლისი იჯდა ჩაფიქრებული, ადგილიდან არ იძროდა.

– ჰა, დედი, დედილო! ბნელა, ლამპარი რატომ არ აგინთია?

– ჰა? ბნელა? – მიუგო ქალმა.

და ააშუქა სანათი, მიაწყნარა ყველაფერი, ავახშმა ბავშვები, დააძინა. ამას ყველაფერს შეუგნებლად ასრულებდა მარინე, ანგარიშის მიუცემლად; მოძრაობდა იგი ჩვეულებრივ, გონება კი სულ სხვაგანა ჰქონდა: ჰაზრით ითვალისწინებდა იმ უბედურებას, რომელი დაატყდა მას თავს, პირად მას და მის ქალობას.

რალა იყო ეხლა მარინე, შეურაცხყოფილი და ქალთაგან გამორჩეული? იგი სცდილობდა დაეყენებინა ქმარი სათნო გზაზე, ჩაენერგა მისთვის სოფლის პატივცემა და ხალხთან ღვთისმიერად ქცევის სურვილი, რომ აღმოცენებულიყო სიყვარული

მისსა და მის მრევლის შუა. მისი ქმარი კი, მეუღლე მისი მოძღვარი, თურმე თითონ ცოლსა სძარცვავს, ლეჩაქს ხდის თავიდან და მეძავსა ჰხურავს წაბილწულს; სოფელს აცინებს თვის ცოლზე, ყბად ასახებადა ჰხდის მას და იგავადა სდებს ქვეყანაზე. რაღა, რისთვის? განა ისეთი მეუღლე იყო მარინე, რომ ქმარი არ ყოფილიყო ყმაყოფილი თუნდ ერთ წამს? მთლად ხომ მას ეკუთვნოდა სულითა და ხორციით მარად ჟამს, ქმრის ყველა სურვილი ხომ ყოველ წამს სრულდებოდა მისგან და სრულდებოდა არა სიმძიმით, არამედ სიყვარულით და სიხარულით. მაშ რაღა უნდა უძღვებ, რაღას ეტანება უწმინდური?!

– ნეტა ჩემზე ლამაზი იყოს ის გათხლებილი დედაკაცი. განა ეგეთი პატივი შემშვენის ამდენი შვილების დედას? მიკვირს და ველარც გამიგია რამ: მრუში და სამკვეთლოსთან ტარიგის ამომღები! არა, ტყუილი იქნება ყველა ეს, ცილისწამება საზარი, გველის რამ სისინი, რომ არიოს კეთილად მოწყობილი კერა და დაამხოს იგი, თორემ ზეცა ხომ არ აპატივებდა ამისთანას, არც ნებას მისცემდა მიახლოვებოდა სიწმინდეს: ცეცხლი ღვთაებრივი გარდამოხდებოდა სამკვეთლოდან და დასწვამდა ცოდვილს.

– კეთილად მოწყობილი კერა! არა, მრავლის ცრემლით მორწყული და ნატაცებზე აგებული კეთილდღეობა. ხომ ჩემის თვალით მინახავს არა ერთი მაგისგან სასტიკად აკვნესებულ-აცრემლებული. სადღა არის აქ ან სიკეთე, ან ღმობიერება? ვაი თუ იგი მართლა მავნეა ცხვრის ტყავში გახვეული, მტაცებელი ცხოვართა მათ სიტყვიერთა, – დაიკვნესა ქალმა და ხელი გაიქნია, რომ უკუეგდო ეს ცუდი სურათი.

გარინდდა ქალი. ერთხანს გაუნძრევლად იჯდა. გაწვალეზულ გონებას ისევ წინანდებურად წარმოუდგა ქმარი, ფარჩის ტანისამოსით დამშვენებული, თმა-წვერ კოხტად გადავარცხნილი, ღიმილით რომ შეეგებებოდა ხოლმე ქალის ალერსს. ისევ ისეთი იყო ტიმოთე, მაგრამ, დახე, თვალეზი კი სულ სხვანაირები დაჰხდომოდა: სისხლით სავსე, ბოროტად მოელვარე, ჩაღრმავებული, პირიც უფრო დიდი ჰქონდა, სისხლით შებასრული კბილები ეშვებოდათ გამოსვლოდა ბაგიდან. უყურებს ქალი ქმარს, ეშინიან, იტანჯება, უნდა ხმა ამოიღოს, დაიმახოს, აღმოთქვას სიტყვა, სასწაულთმოქმედი სიტყვა, პირს რომ მოსდგომია მას, მაგრამ ენა მისი აღქმია სასასა მისსა და ველარა ძალუმს წარმოსთქვას საჭირო თქმა. იცის მარინემ, მთლად დარწმუნებულია, რომ თუ იტყვის იმ საიდუმლო სიტყვას, რომელი აგერ ენის წვერზე ადგა, მაშინვე ჩამოეცლება მღვდელს სახე იგი საზარელი და მის წინ წარსდგება ისევ ის საყვარელი მეუღლე, რომელსაც სურვილით და აღტაცებით მიუძღვნა თვისი უმანკო ქალწულობა, რომელს მიეყრდნო მთელის თვისის არსებით, როგორც რამ ბურჯს საიმედოს და ურყევებს.

მღვდელმა კარგად არ იცოდა მითქმა-მოთქმა. ალლოთი იყო მიმხვდარი და გაგონილიცა ჰქონდა, რომ ხალხი მადლიერი არ იყო მისი და მტრულადაც უყურებდა, მაგრამ ის კი ვერა ჰქონდა შეგნებული და წარმოდგენილი, რომ უკმაყოფილება უკვე დიდად გაიზარდა, გაძლიერდა, ნიადაგი შეარყია მის ფერხთ ქვეშ და მხოლოდ მოხერხებულ დროს თუ საბაბს ეძებდა, რომ ამოეხეთქა და გაენადგურებინა მისგან ნაგები გოდოლი პირადის კეთილდღეობისა. ვერც ისა ჰქონდა ტიმოთეს გათვალისწინებული, რომ მისი ნაშენი ციხედარბაზი ქვიშაზე იყო დანდობილი, მოძრავ რამ ფხვიერ მიწაზე და კმაროდა მოვარდნილიყო ნიაღვარი, რომ საძირკველი გამოერეცხა მისთვის და დაემხო. არ იცოდა მღვდელმა ეს ყველა,

არც ის იცოდა, რა ძლიერებით არის მოსილი ხალხის შეგუბებული სიძულვილი, როდესაც გადმოჰხეთქს ნაპირებს და დაეშვება ძირს გრგვინვით. მას თავისი ნამოქმედარი საღს კლდეზედ ეგონა დამყარებული, რომელს ვერ შეჰმუსრავდნენ ძალნიცა ჯოჯოხეთისანი.

კარგ გუნებაზე იყო ტიმოთე მეტადრე ეხლა, რადგან რამდენიმე საქმე მარჯვედ გაეთავებინა და დღე უსარგებლოდ არ დაეღამებინა. თავის ჭკუისა და მოხერხების მადლიერი მიდიოდა შინისკენ და მიიმღეროდა: „საყვარელმან ვარდის კონა გულსა მკრა“... სცდილობდა სწორედ იმ ჰანგისათვის მიებაძნა, რომელიც გაეგონა ოდესმე ვიღაც მომღერალისაგან. ხუცესი მოელოდდა, რომ სახლიც ისე გახარებულ-აღიღინებული დაჰხვდებოდა, როგორც თითონ მას უმღეროდა გული, მაგრამ როცა კუთხეში მიმჯდარმა ცოლმა ზედაც არ შეხედა, არ უამა ეს მისი ქცევა და გაუკვირდა.

– მჯდომელა ჩაგძინებია, ქალო, თუ რა ამბავია შენს თავს?

– ღმერთმა რომ მიბრალოს და სამუდამოდ დამაძინოს, ის მირჩევნია ამ ყოფას.

– რაო?! რა გაგჭირვებია ეგეთი? ცუდი ამბავი ხომ არა გაიგე რა ბავშვების ქალაქიდან?

– ქალაქიდან არა, სოფლიდან კი მომივიდა შენი სისამაგლისა და ჩემის თავის მოჭრის ამბავი.

– რას ამბობ, დედაკაცო, როგორ გადასც-გადმოსცემ?!

– იმას ვამბობ, რასაც ქვეყანა ამბობს და განგაშობს, – მიუგო ქალმა.

და წამოდგა, ახადა სკივრი, ამოიღო ყველა თავისი სამკაული, რომელიც კი ეყიდნა მისთვის ქმარს, გამოიღო ყურიდან საყურეები, წაიძრო ბეჭდები, ნიშნის ბეჭედიც კი, და მიაყარა ყველა ეს ქმარს.

– აჰა, ეს სულ შენი ნასყიდია, მაგრამ შეცდომით მოგიტანია ჩემთვის; აიღე, წაიღე პანტიანში და შენს ოსიყმიანთ ბაბალეს მიართვი: უფრო გაგეხარდება, როცა იმასა ჰნახავ ამ სამკაულით დამშვენებულს; უთხარი, შავებიც გაიხადოს. ვაჟკაცი რომ თავს ადგა ქალს, შავების ტარება არ შეჰშვენის.

მღვდელი ჯერ სახტად დარჩა და დაიბნა, მაგრამ მარდად მოიფიქრა და მიეხმატკბილა მეუღლეს.

– შე საწყალო! ეგრე მალე როგორ დაგაჯერეს ჩემს ორგულობაზე და ღალატზე? თუ მაგის მეტი ნდობა და პატივისცემა არა გქონია ჩემი, მაშ იმთავით ამ თავამდე უბედური ვყოფილვარ. ეტყობა, მართლა სახუმროდ არ ამსისინებია ხალხი, თუ გესლი სახლშიაც კი შემოიტანეს და კერა ამომღვრიეს.

– მაშ ცილისწამება იყო ეს?

– ცილისწამება და ბოროტად მოფიქრებული მახე: ალბად ის დედაკაცი უნდათ გამოიყვანონ ჩემს წინააღმდეგ საბრძოლველად და იმიტომ შემოიტანეს მისი ბინძური სახელი ჩემს ოჯახში.

– მაშ არ მიდიხარ ხოლმე მის სახლში? – ჩაეკითხა ქალი და თვალეში ჩააცქერდა.

– როგორ არ მივდივარ! სოფელში რომ მივალ, ვინ იცის რამდენთან შევივლი. იმ დღესაც არ იყო ბაბალესაგან გამოტანებული ჩირი მოგიტანე. და განა მომღვარს აკრძალული აქვს მრევლში სიარული ან ეძრახვის ვისიმე ოჯახში შესვლა?! – სთქვა მღვდელმა და ჩამოჯდა ტახტზე თავჩაკიდებული.

ქალს შერცხვა თავისი თავისა, შეინანა, რომ ადვილად აჰყვა ვიღაცა გველაძუა დედაკაცის ენას, დაუფიქრებლივ მიახალა ქმარს ისეთი მძიმე საყვედური; სინანული იგრძნო გულში და ისე ჩაეკითხა ქმარს.

– მართლა უბრალოდ ამაღელვებს? მართლა სიცრუე მითხრეს და ამიყოლიეს?

ქმარმა მხოლოდ საწყლად შეხედა ქალს და უფრო დაბლა დახარა თავი დაფიქრებული. ეხლა კი გული ატკინა მეამიტ დედაკაცს თავისივე მოუზომელმა ქცევამ, ის მოუახლოვდა ქმარს და შუბლზე აკოცა მას. ქმარმა ხელი მოხვია ქალს, მუხლზე დაისვა, მიეალერსა, თვალეზი დაუკოცნა. ისე შეტკბნენ ცოლ-ქმარი, თითქო ერთი კვირის ჯვარდაწერილნი არიანო. გული გაუმთელდა გულუბრყვილო ქალს, აღარც კი ეტყობოდა გაბზარული ადგილი და ეხლა უფრო სცდილობდა ეამებინა მისგან ტყუილად შეურაცხყოფილ კაცისათვის და დაევიწყებინა მისთვის იმ მწარე სასმელის გემო, რომელიც ისე მოუფიქრებელად მიუპყრა მან თავის ქმარს.

დაუყვავა მღვდელმა ცოლს, მიესაყვარლა და გაამხიარულა, მაგრამ ძალიან კი ჩააფიქრა ამ ამბავმა. ცოლის მხრივ არაფრისა ემინოდა, მისი ეჭვების დამინება არ ემნელებოდა: კარგად იცოდა რა მართალი ადამიანი იყო და უემმაკო. ეხლა იმაზედა ფიქრობდა ტიმოთე, როგორ მოეხერხებინა და დაებრმავებინა ხალხის მრავალთვალისანი მხედველობა, რომ ამ აღელვებულ წყლიდან უვნებლად გამოსულიყო. იმედს კი მაინც არა ჰკარგავდა, დარწმუნებული იყო, რომ როგორმე მოახერხებდა, თავს დაუვლიდა მტრებს და ჩაშლიდა მათს ყოველსავე საწინააღმდეგო მანქანებას.

ეს ფიქრი რამოდენიმე ხანს თანა სდევდა მღვდელს და აფრთხილებდა მას ყოველსავე მის მოქმედებაში. მაგრამ მისი მტრები ჯერ არაფერ ამბავში იყვნენ, კიდევ უღიმოდნენ და უალერსებდნენ ძალაში მყოფ ხუცესს, სიამოვნებით ხელს უწვდიდნენ და მეგობრულად ექცეოდნენ. მის ცოლმა ხომ გულწრფელად შეინანა თავისი აჩქარებული საყვედური თუ ქცევა და რომ მთლად გაეპარწლებინა ის ცუდი შთაბეჭდილება, ისე უალერსებდა ქმარს, როგორც საყვარელი. იქნება იდუმალი ალლოც ამოქმედებდა ქალს ესე, რომ ამოეფხვრა ვაჟკაცის გულში იმ საყვარელის სახე და საამო მოძრაობები, უკეთუ ვაჟკაცს უკვე განეცადა იგი სახე და ტრფიალი. მღვდელიც ნელ-ნელა მთლად დაწყნარდა, სულ დაივიწყა იგი აჩრდილნი, რომელნი შენივთებულიყვნენ მის ცხოვრების სავალზე და წინანდებურადვე დაუტევა ყოველივე სიფრთხილე თვის თქმაში თუ ქცევაში. ეხლა აილო ქედი, უფრო დაუახლოვდა იმ უფსკრულის პირს, რომელიც გახსნილიყო მის გზაზე და რომელსაც აწ მხოლოდ შამხნარილა ჰვარავდა მის თვალთავან.

ამ ლაღობის დროს იყო, რომ მღვდელს ახალი სასარგებლო საქმე გამოუჩნდა: მახლობელ პატარა ქალაქში წმინდა სანთლის დუქანი იყო გამართული, რომელიც აკმაყოფილებდა მთელ ხეობის ამ საღმთო მოთხოვნილებას. დუქანი მოზდილ თანხას ატრიალებდა და მით უფრო, რომ ამ მიდამოდან იგზავნებოდა ქარხანაში კომტი სანთელიც. დუქანს განაგებდა გულკეთილი მღვდელი, რომელიც სიყალბეში არასდროს იყო შენიშნული. მაგრამ მას ხელი ვერ მოემართა: ავადმყოფობა, მოულოდნელი ხარჯი, ფულის გადაყოლება ანგარიშის დროს და – ცოტაოდენი ვალი შეგროვდა მღვდლის ხელში. ძალიან დააფიქრა კაცი ამ ვალმა. სცადა სასოვდაგრო რამ ხერხისათვის მიემართა, რომ ცოტა ფული მოეგო და თავის ადგილას ჩაეყენებინა, მაგრამ ერთიორად წააგო გამოუცდელმა და შემოხარჯულ ფულის რაოდენობამ საგრძნობლად იზარტყა. ეხლა კი შეტოკდა გაჭირვებული ხუცესის ანგარიშები: იგვიანებდა ანგარიში, ნასყიდი თუ გაყიდული საქონელი თავის დროზე არ იწერებოდა, გაყიდულის რაოდენობა ნამდვილს ვერ ეთანხმებოდა. შენიშნეს ანგარიშის რყევა გამგებლებმა, მაგრამ დიდ ყურადღებას არ აქცევდნენ მას, რადგან

ენდობოდნენ იმ კაცს და იმედი ჰქონდათ, არაფერი საფრთხე არ მოელოდდა მის ხელში საეკლესიო თანხას.

მაგრამ ადამიანს ხომ მტერი არ დაეღვევა, ხოლო პატარა დაბაქალაქში ისიც იცინან, ვის ბუხარში რა საჭმელი იხარშება. მღვდლის გაჭირვებულმა მდგომარეობამაც ყურადღება მიიქცია თავისზე, მისმა მტრებმა ისარგებლეს ამ გარემოებით და გამოამჟღავნეს. მთავრობამაც კანონიერი მსვლელობა მისცა ამ საქმეს და გამომძიებლად დანიშნა დეკანოზი ტიმოთე. მოწერილობამ გული აუძღვრია ხუცესს: კმაყოფილი იყო, რომ მთავრობამ ესეთი ყურადღება მიაქცია მას, და მცირედ რამ სასყიდელსაც გამოელოდდა მახეში გაბმულ კაცისაგან.

– აი, მამაო იაკინთე, შენი პატივისცემა და შენი ცოლშვილის სიბრალოლი იძულებულ მყოფს დავფარო შენი შეუძლობელი შეცოდება მთავრობის მზირ თვალთაგან.

– ნუ დამღუპავ, შენს მადლს: უნებლიეთ ჩავვარდი განსაცდელში, ღმერთმა ხომ იცის.

– ჰოდა, ესე: სულ რაღაცა სამოცი თუმანი დაგდებია ვალი; ეს არც ისე დიდი ფულია, რომ ნაწილ-ნაწილ ვერ გადაიხადო. ამ დუქნის წარმოებაში რაც ჯამაგირი გეძლევა, მთლად გადადე ვალის გასასტუმრებლად! მღვდლობის ჯამაგირიდანაც მიუმატებ ცოტაოდენს და ნელ-ნელა შეავსებ დანაკლისს. თუ უეცრად გაჭირდა საქმე, ისეხე ვისგანმე; ეხლა დრო საკმაო გაქვს და მოახერხებ სესხის აღებას. მე კი ისე ხელოვნურად დავწერ ამ ჩემგან მოხდენილი გამოკვლევის ოქმს, რომ მთავრობა დამერწმუნება და დაკმაყოფილდება.

– ჰო, შენი მარჯვენის ჭირიმე: განათლებული კაცი ბრძანდები, ავ-კარგის მცოდნე და არაფერი გაგიჭირდება.

– ძნელი ამბავია, მაგრამ რა ვქნა? ახლა ხომ არ დაგღუპავ სამღვთო ადამიანს.

იაკინთემ უბეში ჩაიყო ხელი, ამოიღო სამი ოცდახუთმანეთიანი, მიართო მამა ტიმოთეს და მოახსენა:

– მიიღეთ, მამაო დეკანოზო, ეს საწირავი და უწირეთ ცხოვრებულ მამაჩემ თომას; ის საწყალი სულ სიზმრად მეჩვენება ამ ბოლოს დროს. ხოლო რაც შეეხება ამ სიკეთეს, რომელიც ეხლა მიყავით, სად შემიძლიან ამის გადახდა?! ღმერთმა მოგანიჭოთ კეთილი სიკეთისათვის.

მომღვართუხუცესი მხიარულად დაბრუნდა შინ. მოახერხა ყოველივე ისე, როგორც აღუთქვა მღვდელს და გულდამშვიდებული განაგრძობდა უზრუნველ ყოფას. კიდევ ბოლომდის შერჩებოდა იგი კეთილი ყოფა, თუ ერთობ თავს არ წასულიყო და მთლად არ დაეკარგნა სიფრთხილე თუ წინდახედულობა. დავა ისევ მალხაზამ აშალა, რომელმაც მეორედა სცნო თავისი თავი მღვდელისაგან შეურაცხყოფილად და საბოლოოდ შეებრძოლა მას. სულ უბრალოზედ კი განუცხოველდათ მათ უკმაყოფილება და მემრე ზედ ბედნიერ დღეს.

ნათლისღება დღე იყო. მღვდელი მთელს სოფელს გაუძღვა მდინარეზე წყლის საკურთხევლად. კარგი დარი იდგა. მოწმენდილ ცაზე მზე მხიარულად თამაშობდა, გაყინულ თოვლს აელვარებდა. სადღესასწაულოდ ჩაცმულ-დახურული ხალხი მხიარულ გუნებაზე დამდგარიყო. მღვდელმა ჩაასვენა ჯვარი წყალში. გაისმა დამბაჩების გრიალი. ხალხი მიაწყდა იორდანეს. მღვდელი გაჩერებულიყო და დასცქეროდა წყალში მოლაპლაპე ჯვარს. დიაკვანმა დაიძახა:

– აბა რომელი გამოსდიხართ ჯვარის ამომყვანად და რამდენს გაიღებთ?

მალხაზი ჩვეული იყო ჯვარის ნათლიობას და ამისთვის გადადებული ჰქონდა ყოველწლივ ერთი წითელი. ეხლაც წამოდგა წინ და გადმოაფრიალა თუმნიანი,

რომელიც კუთხით ეჭირა ორ თითში. ამ დროს გამოვიდა ხალხიდან კოხტად მორთულ-მოკაზმული შორიდან მოსული იქაური ახალგაზრდა, ამოიღო თალათინის ქისიდან ოცდახუთმანეთიანი და გადააწოდა ხუცესს. ტიმოთე ერთ ხანს შესდგა, მერე ჩამოართვა ჭაბუკს ფული და გზა მისცა ჯვარისაკენ. ეს ძლიერ ეწყინა მალხაზს და ხმა აიმაღლა. მღვდელი მაგრა დაუხვდა აზნაურს. ხალხი მიემხრო თავის წრიდან გამოსულ შემძლებელ კაცს. დაჰგმეს მალხაზი მკვახე სიტყვისათვის; დასცინეს კიდევ დაჯაბზულს.

27

დიდმარხვის მიწურული იყო. გაზაფხულის დიდებულ დღესასწაულის მოახლოებას ყველასათვის გული გაეხსნა. აღსდგება ქრისტე, კვლავ გაცოცხლდება მაცხოვარი და განიდევნება სიკვდილი მძიმე და ბნელი. დაბრუნდება მზე, განიღვიძებს ძილისა და სიმცხრალისგან, დასთრგუნავს ზამთარს – სახეს სიკვდილისას, გაანთავისუფლებს ქვეყანას გამარცვილ-გაყინულ არსებობისაგან. კვლავ შეიმოსება დედამიწა მდელოთა მიერ ყვავილოვანთა, აღსდგება ცხოვრებად და მაცხოვრებლად ყოველთა სულდგმულთა; ძალამოსილი მნათობი სიხარულით აღავსებს ბუნებას და მის შვილთა არსებას, სამადლობელ გალობად აახმატკბილებს ყოველსავე არსს. აკი ყველას იმედი გაჰღვიძებოდა, გული გაჰზარებოდა და მთელ სოფელს ღიმი გადაჰფენოდა სახეზე.

გახარებულ-გახალისებული იყო მღვდელი ტიმოთეც. მისი დაწყებული საქმე ყველგან და ყოველთვის მარჯვედ მიდიოდა, რაღაც ეჭვები და შიშის ლანდები რომ მოსჩანდნენ მის გარშემო, ისინიც გამქრალიყვნენ და რაღა ჰქონდა ბედნიერს დასალონი ან დასაფიქრებელი?! ის იყო ულოცა მწუხრი მოზიარებელთ და გამოვიდა ეკლესიის გალავანში, როცა მასთან მივიდა ჩაფარი და მიართვა მთავრობის ბეჭდით დაბეჭდილი ეტრატო. მღვდელს ეგონა, უფროსებს მისთვის კიდევ რამ გამოსადიებელი ამბავი მიენდოთ და, სანამ ქაღალდს გახსნიდა, მედიდურად მოავლო თვალი მლოცავთ.

– ალბათ კიდევ გამოსადიებელი რამ საქმე მომანდეს. არ კი ასვენებენ ადამიანსა და! თითქო ჩემის მეტი ნასწავლ-დახელოვნებული მღვდელი არა ჰყვანდეთ! – წარმოსთქვა.

და გახსნა მოწერილობა. ჩაიკითხა, გაფითრდა: ახალი გამომძიებელი უბრძანებდა, დაუყოვნებლივ ასულიყო სანთლის დუქანში, რომ მის თვალწინ მეორედ შეემოწმებინათ ყოველივე და შეეფარდებინათ იმ ანგარიშისათვის, რომელიც წარედგინა ტიმოთეს მთავრობისათვის. მღვდელი აიღეწა ამის წაკითხვაზე, ძლიერად შექმუჭნა ქაღალდი, თითქო თავის მტერსა სრესავსო ხელში, და განშორდა მრევლს. ცოლს ელდა ეცა, როცა შეხედა გარკინავებულ კაცს და ჰკითხა მიზეზი აღელვებისა.

– არ ისვენებენ მტრები: მეორედ მოუსურვებიათ სანთლის დუქნის გაჩხრეკა და მიზარებენ. ვინ იცის, რა ბრალში გამხვიონ.

– შენი სიმართლე არ მიიკარებს არავითარ ბრალდებას. განა იმას შენზე კარგად ეცოდინება ანგარიში ან საქმის აწონ-დაწონა?

– კარგად ეცოდინება თუ ცუდად, მაინც არ დამზოგავს. ეტყობა, აქაურ მტრებს ჩაუკენჭიათ ყველაფერი.

– განა რა ჰქონდათ ჩასაკენჭი? იქნება ხელი დააფარე იმ კაცს. მაშინ რომ ფული

მოიტანე, მართლა მოვალემ მოგცა?

– შენ ყოველთვის გეუბნები, ჩემს საქმეში ნუ ერევი მეტი! ვინა გკითხავს, საიდან შემომაქვს თქვენი საზრდო? შენ ნეტა იმდენი შესძლო, მოიხმარო სახლში მოტანილი, – სთქვა მღვდელმა და გადაახეთქა ქუდი ტახტზე.

ქალი დააფიქრეს ქმრის სიტყვებმა, უწინდელი პატივცემა ქმრის გონებისა და განათლებისადმი უკვე შერყეული იყო მასში; კაცის გონება არ იყო მიქცეული სწავლისა და მეცნიერებისაკენ, სადაც მარინე უღონოდა გრძნობდა თავს ქმართან შედარებით, საყოველღეო ცხოვრების შეგნებაში კი კაცის ჭკუა მაღლა ვერ იდგა ქალის ალღოზე და მიხვედრილობაზე; სათნო გრძნობათა სალარო მღვდელს ხომ თითქო გამოცალიერებელი ჰქონდა იმავ თავიდგან, ქალი კი სწორედ გულჩვილობა იყო ხორცშესხმული; სურვილთა კრებულის მღვდელს ერთობ ვიწრო აღმოჩნდა და შეუზღუდვილი: იგი მხოლოდ პირად კეთილდღეობისაკენ მიისწრაფებოდა, ქალის ნებისყოფა კი ოცნებობდა კმაყოფილება გამეფებულიყო ყველგან და ყოველთა შორის. ქალის ბუნებრივი არსება უფრო კეთილქმნილი აღმოჩნდა, მანამ კაცის ხელოვნურად შემზადებული პიროვნება. მარინე თითქოს წინადაც გრძნობდა ამას მაგრამ მოკრთალება და ქმრისადმი პატივცემა აქამდის ნებას არ აძლევდა მას ცხადექმნა ეს თავისი ძალა ოჯახში და ხელში დაეჭირა თავისი სახლი. ეხლა კი დარწმუნდა, ქმრისაგან არჩეული ცხოვრების გეზი ყალბი იყო, ხნარცვის პირას მიაგლო იგი, და უსყვედურებდა თავს, რომ იქ თავითვე მეტი ფხა არ გამოიჩინა და თითონ არ დაიკვართა სამოქმედოდ.

მართლა და ძნელი დრო დამდგარიყო ტიმოთესთვის: ჯერ ერთი მახიდან ვერ გამოეხსნა მას თავი, როცა გამოირკვა, რომ მოძღვრისათვის ეჩივლა მრევლს. აენუსხათ ყოველივე მისი შეუსაბამო ქცევა და გარეწრობა მრევლისა თუ ეკლესიისადმი და მიერთმიათ არზა მთავრობისათვის. აქ ყველაფერი ისე დაწვრილებით, სახელდობრ და ბოროტად იყო ჩამოთვლილი, რომ შესაძლო იყო სამსჯავროს კარებამდის მიეცილებინა ხუცესი.

– ეს სულ მალხაზის ბრალია! კარგად ვხედავ მის ცბიერ კალამს და გაქნილ ხელს. მაშ მე ტიმოთე დეკანოზი არა ვყოფილვარ, თუ არ მოვსტებო იგი ბოროტი მარჯვენა!

მარინე ისმენდა მღვდლის მუქარას და ვერ გაეგო, როგორ მოახერხებდა ეს გაბმული კაცი სხვის მარჯვენის მოტეხას.

მაღე გაიგეს, რომ ოსიყმიანთ ქვრივს არზა მიერთმია მღვდელთმთავრისათვის: უჩივოდა, შემაცდინა, დამიყოლია და მერმე დამტოვა გათახსირებული, ქვეყანაში თავმოჭრილიო. მარინეს რომ უთხრეს ეს, ჩაკვდა ერთიანად, ალაგობრივ ჩაიკრიფა, თმებსღა იგლეჯდა სირცხვილისა და ჯავრისაგან.

ზედიზედ მოჯრილ უბედურებებმა გაამწარეს კაცი. იგი ჰგმობდა ღმერთს და უსამართლობასა სწამებდა მას; სწყევდა მრევლს, უპირობასა სწამებდა ხალხს და გაუტანლობას.

ტიმოთე უკიდურესად განარისხა იმ ამბავმა, რომ მის გამგეობაში მყოფ მღვდელ-დიაკვნებს ეჩივლათ, უსამართლოდ გვექცევა, ქრთამებს გვაზიდვინებს და აღარ გვინდა მღვდელთუხუცესადაო. მთავრობასაც დაეჯერებინა მათი თქმა და დროებით, გამოძიების დამთავრებამდის, გადაეყენებინა იგი ამ თანამდებობიდან. ტიმოთე მკვახედ იხსენიებდა მთავრობასაც, რომელსაც დაევიწყებინა მისი სამსახური და არ დაჰხმარებოდა მას, აღარც დაეფარა იგი ზედმოსულ მტერთაგან.

– დახე, როგორ ახმაურდნენ და ამხედრდნენ! გუშინ არ იყო ხელებს მიკოცნიდნენ, მიღრეჭდნენ, ფიანდაზად მეგებოდნენ? ჰგონიათ ვილუპები და ისწრაფიან დამამდაბლონ. განანებთ ჩემს შეურაცხყოფას. ვნახოთ, ბოლოს ვის დარჩება ბურთი

და მოედანი! ჰნახავთ, რომ კვლავ დაჰმდაბლდეთ ქვეშე ხელთა ჩემთა და თაყვანსა სცემდეთ კვარცხლბეკთა ფერხთა ჩემთასა, იძახდა ტიმოთე და მუშტს უღერებდა მოზღვავებულ მტერს.

მაგრამ მტერი არა სცხრებოდა და ახალ-ახალი ძალით მიდიოდა მასზე; მასწავლებელთ ეჩივლათ, ბოროტად დაგვჩაგრაო და ჩამოეთვალათ ათასი მისი შეუფერებელი ქცევა, თუ მოქმედება. ამან უფრო ცეცხლი მოუკიდა ადამიანს და წარმოათქმევინა ბოროტება ცხელი.

ნაპერწკალს აფრქვევდა ტიმოთე. მაგრამ გულში, გრძნობათ შესაკრებელის სადღაც კუნჭულში, ამჩნევდა რომ მართალი არ იყო იგი. ხედავდა, რომ მისგან ამორჩეული გზა ცხოვრებისა და მიზანი მისწრაფებისა შეუფერებელნი იყვნენ ერთმანეთისა და შეუწონელნი. შეუძლებელი გამოდგა მღვთის სამსახურში შერიცხულ ადამიანისათვის მსახურება მამონასი, რადგან საუნჯის გზა თურმე არ გადადიოდა საყდარზე და ვერც გადაივიდა. ლანდივით ბუნდად მოსჩანდა მღვდლის გონებაში ეს დასკვნა, მაგრამ ვერ ემორჩილებოდა მას, არა ტყდებოდა და ბოროტობდა. მის დატანჯულ გონებას ვერ განემარტა საკითხი, რომელიც ცხოვრებას ნათლად დაეყენებინა მის წინ: ცოლ-შვილით სავსე კაცს არ შეეძლო არ ემსახურნა ოქროს კერპისთვის. მას, ოჯახის მამას, უნდა ეზრუნვა სახლის კეთილდღეობაზე და მსხვერპლი შეეწირა იმ კერპისათვის; ხოლო ეკლესია მოითხოვდა თავის მსახურისაგან უანგარო სიყვარულს მრევლისადმი და თავდადებას. ეხლა ხედავდა ტიმოთე, რომ ამაოდ ეგონა, შესძლებდა საკუთარის ხელით გამოეხსნა ეს მკვიდრად გამონასკვილი ხლართი ან გადაეჭრა იგი, და ბოროტობდა, ბოზოქრობდა მრისხანებდა უღონოდ.

მარინე შეაკრთო ქმრის ამგვარმა ყოფამ. აჩრდილივით დადიოდა იგი ხმაჩაკმენდილი. ხოლო ღამე, როცა ძილში კი შფოთავდა გულგამეხებული ვაჟკაცი, დადგებოდა ლოცვად:

– ტრფიალებითა ვერცხლისათა დაბნელდა საწყალობელი, განსდევნე ნისლი სულისა მისისა, ნათლისა მომცემელო! – იტყოდა იგი.
– და შესთხოვდა ყოვლაწმიდას, კეთილად მიემართა მას ვაჟკაცის ფიქრები, ტანჯვით განეწმიდა სული მისი, ეხილვებინა მისთვის სიმშვენიერე სიყვარულისა, გული წმიდა დაეზადნა მასში და სული წრფელი განეახლებინა გვამსა, რათა განრინებოდა იგი ყოველსა ბოროტსა და ღირს ქმნილიყო მსახურებად სიწმინდისა. ლოცულობდა ქალი ხელაბყრობით და სწამდა, რომ მეუფე სახიერი უსმენდა მას, არა უგულუბელჰყოფდა ვედრებასა მისსა და მიანიჭებდა მის ოჯახს სიმშვიდეს ურყეველს.

შენიშვნები

ვარიანტები

